

# რ ე ვ ა ზ

## რჩეული თხზულებანი

ოცდახუთი ტომიცა

თანამედროვე ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის, რევაზ მიშველაძის შემოქმედება კარგანია მსოფლიო ლიტერატურის ორგანულ ნაწილად იქცა.

„საქართველოს მაცნე“ გამოსცემს პროზის დიდოსტატის რევაზ მიშველაძის რჩეულ თხზულებათა ოცდახუთტომეულს.

მკითხველი ამ ტომების წაკითხვისას ადვილად დარწმუნდება, რომ მწერლის ჟანრულად უაღრესად მდიდარ ნაწერებში ჩანს არა მარტო საქართველოს პრობლემები, არამედ ქართული სარკმლიდან დანახული მსოფლიოც.

# მ ი შ ვ ე ლ ა ძ ე



ნ ი შ ვ ე ლ ა ძ ე

*ცოფი*  
**XII**



გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

ISBN 978-9941-16-228-2 (ოცდახუთივე ტომი)  
ISBN 978-9941-9941-16-295-4 (XII ტომი)

რედაქტორები: **მერაბ ცაგარეიშვილი**

კომპიუტერული  
უზრუნველყოფა: **მავრა ბანცური**  
**ციალა ძიმისტარიშვილი**

© რევაზ მიშველაძე, **რჩეული თხზულებანი ოცდახუთი ტომად**  
© **გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“**, თბილისი, 2012

მისამართი: თბილისი, 0179, ალ. ჭავჭავაძის გამზ. №27

## სალამოს ხანს

ისტორიის მასწავლებელი ვარ. სოფელ წაღერის საშუალო სკოლაში სსრკ ისტორიას ვასწავლი. გუშინწინ რაიონის განათლების მუშაკთა თათბირზე მესამე მდივანმა გამოგვიცხადა; ჩვენ რომ აქამდე სკოლებში თანამედროვე ისტორიას ვასწავლიდით, სანახევროდ ტყუილი ისტორია იყო. ვისაც როგორ მოეპრიანებოდა, ისე წერდა ისტორიასო. წასულ ბავშვებს რაღა ეშველებათ, მაგრამ სანამ ახალ სახელმძღვანელოს მიიღებდეთ, თქვენ თვითონ ეცადეთ მოწაფეებს დიდი ტყუილები ააცილოთო. თვითონვე შეატყობს კარგი მასწავლებელი, რაა ნამდვილი და რა არი მოჩმახულიო. ახლა დემოკრატიის პერიოდი გვაქვს და სრული თავისუფლება გეძლევათ გაკვეთილზე თქვენი შეხედულებების თამამად გამოთქმისო. ნურც მოწაფეს აუკრძალავთ მაინცდამაინც თავისი აზრის გამოხატვასო. იყოს მეორე აზრიც. კამათში გაირკვევა, რომელი მხარე ხართ მართალიო. წროულს სსრკ-ს ისტორიაში გამოცდაც მოხსნილია, რაკილა ვერაა ისეთი ისტორია, როგორიც თანამედროვეობის მოთხოვნილებას დააკმაყოფილებსო. მოკლედ, დიდი ძვრებია ქვეყანაში. კი, ბატონო, ახლა მაინც დაწერონ მართალი ისტორია და ერთ წელიწადს, როგორც იქნება გავაჯახირებთ.

ისტორიაზე მეტად მე სხვა რამე მანუხებს. გარბის წლები და გარდაქმნამ ვერაფერი სიკეთე დაატყო ჩვენს სოფელს. არადა, რა იმედი გვქონდა. რა სიხარულით შევეუტიეთ საქმეს. მეხუთე წელი თავდება, ცოტა მაინც ხომ უნდა წაწვეულიყავით წინ. რა გვჭირს, რა დაგვემართა. ნუთუ ეს გზაც საეჭვოა და ხვალ-ზეგ დასაგმობადაა განწირული? არ მინდა დავი-

ჯერო, მაგრამ აშკარად არ უჩანს კარგი პირი. მთავრობაც შენუხებუღია, ვატყობ. ვის დავეუმალოთო, ლაპარაკობდა გუშინწინ ტელევიზორში რიჟკოვი; ხორბლის ლამის ორმოც პროცენტს საზღვარგარეთიდან ვყიდულობთ და ჩვენი ვალი დღითი დღე იზრდებაო. იმ ვალს, შენ ხარ ჩემი ბატონი, გადახდა არ უნდა? თუ, მე შენ გეტყვი, გაპატიებს ვინმე?

გუშინ, საღამოს წვიმამ რომ გადაიღო, პორფილესთან გადავედი. ალაგეს რომ გადავაბიჯე, ერთბაშად შემომასუნთქა სიმინდის ჯანმრთელმა ყანამ. ისე აქვს ყანა გამონკრიალებული, ქინძისთავი არ დაგეკარგება. სიმინდს ნაჯახით ვერ მოჭრი. ყოველთვის ამნაირი სიმინდი იცოდა პორფილემ.

მასპინძელს დღის სინათლეზე ჩავუსწარი. ეზოში იჯდა და ბირდაბირს ქლიბით კბილებს უღესავდა.

– გამარჯობა, პორფილე ბატონო.

– გაგიმარჯოს გამჩენმა.

წამოდგა. თავისი სკამი გამომიჩოჩა და შვილიშვილს გასძახა:

– ბონდო, გამომიტანე სკამი, ბაბუა!

– ნუ დგები, პორფილე, თუ კაცი ხარ. არ მინდა დაჯდომა. სულ არ ვზივარ? მეტს რას ვაკეთებ.

შვიდიოდე წლის მკვირცხლთვალებიანმა ბიჭმა ისლის სკამი გამოარბენინა. პორფილე ჩამოჯდა. ხერხი ისევ ფეხებს შორის მოიქცია.

– ბოდის ვიხდი, ნიკუშა, ჩავამთავრებ ბარელამ. ხვალ აღარ მექნება ამის დრო.

– რავა გეკადრება, ჩემო პორფილე, შენ ხელი არ შეიშალო. საქმე არაფერი მაქვს. ისე შემოგიარე. სალაპარაკოდ. სიმინდი იშვიათი გამოგსვლია.

– ეს წვიმა მოუხდა, კი. შრომა უნდა მაგ დალოცვილს. რავარც ერთ კვირას მიუშვებ ხელს, წამოსუღია სარეველა. მაინც რა ჩქარა იზრდება ეს ძირამოსანყვეტი.

– რავა არი ახლა საქმე?

- რაის?
- ქვეყნის.
- რავარც გაპლანეთ, ისე იქნება, შეცდებოდით მისხალში თუ რაი.
- ეშველება ვითომ რამე?
- უსაშველო რა სჭირს, მარა ასე, თქვენ რომ გინდათ, არაფერი გამოვა.
- არენდაზე და იჯარაზე ბრძანებ?
- სწორედ.
- უნგრეთს და ჩინეთს თუ უშველა ამ არენდამ და იჯარამ, ჩვენ რა ქვა გავტეხეთ ასეთი.
- იქანა სხვა მდგომიარობაა და აქ სხვა.
- რა სხვა, მაგალითად. მიწაა იქაც და აქაც.
- მერე? ჩვენსავით ყოყმანი და მარჩიელობა კი არ დაუნყიათ უნგრეთს და ჩინეთს. ჩვენ იქითაც გვინდა ვიყოთ და აქეთაც.
- როგორ?
- რავა და კოლმეურნეობას და საბჭოთა მეურნეობას ძველებურად ვებლაუჭებით, თან არენდას და იჯარას ვექაჩებით, ვერ ველევით. ასე არ გამოვა. ვილაცა მეუბნებოდა გუშინ, ნისქვილში; ჩინეთმა სავარგულების 90 პროცენტი არენდაზე გასცაო. ჩვენთან ჯერ ნახევარი პროცენტიც არ იქნება არენდის და იჯარის წილად. ნახევარი პროცენტის იმედით ყოფნა ივარგებს?
- რომ არ უნდა, აღარც ე შენი არენდა და იჯარა უნდა კაცს? რაღაცა უბედურება გვჭირს, მუშაობას გადავეჩვიეთ.
- სწორია. არ უნდა. ჩვენთან იმდენჯერ მოვატყუეთ გლეხ-კაცი, რომ სხვა გზას თუ არ დავადექით, არც არენდა-იჯარით გამოგვყვება.
- რა გზას მაგალითად?
- გავაუქმოთ უნდა მთლიანად კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები და კიდეც რა უნდა გავაუქმოთ, თუ იცი?
- რაი?

– მინაზე სახელმწიფო საკუთრება. მინა უნდა დავურიგოთ გლეხებს მუდმივ საკუთარ მფლობელობაში; რავარც ჰქონდათ ნიკოლოზის დროს და რავარცხა აქვთ ახლაც წესიერ ქვეყნებში.

– უკან დავბრუნდეთ, კაცო?

– ახლა შენ გინდა უკან წასვლა დაუძახე ამას და გინდა წინ წასვლა. ასე ქე უნდა გაკეთდეს და.

– მასე ხომ იყო ერთ დროს. რა საჭირო იყო, აბა, რევოლუცია.

– რევოლუცია კი იყო საჭირო, ნიკოლოზის დროს მინა ზოგს ჰქონდა და ზოგს არა. რევოლუციას ის უნდა გაეკეთებინა, რომ მინა იმთავაც რგებოდათ, ვისაც არ ჰქონდა. ჩვენ რა ვქენით? მინა ყველას ჩამოვართვით და სახელმწიფოს საკუთრებად გამოვაცხადეთ.

– ეგ კი გავს მართალს.

– დაქირავებულ შრომას რომ ებრძოდა ლენინი, მეტი დაქირავება რალა გინდა, რაც კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობაა. მე, უმინო და უბედური, ვმუშაობ შენს მინაზე, ვღვრი ოფლს, მომყავს მოსავალი და ბოლოს შენ, თუ კარგ ხასიათზე იქნები, იმ ჩემი მოსავლიდან ქე მიწილადებ ცოტას. ესაა საქმე?

– სახელმწიფოსი რომაა მინა, სახელმწიფოს, რავა, ხომ არსად მიაქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველასია.

– მაგ საკენკს, ჩემო ნიკუშა, ეგერ რომ დაბარძული, სკინტლმიმხმარი ვარია დაბორიალეებს, იგიც აღარ ჭამს. შენ კარგად იცი, რაა ყველასი.

– არენდა? არაა მიწის გამოყოფა არენდა?

– არა, შენ არ მომიკვდე მეტად. ახლავ, მიწას მთლიანად არ გაძლევ, მინა ჩემია, მაგრამ შენ არენდით განდობ და იგულისხმე, ვითომ, მიწის ბატონ-პატრონი ხარო. დაიჯერე გულშიო. არ გამოვა, არა. თუ მაძლევ, მთლიანად მომეცი. რას ეპატრონები, რა გინდა.

– ვთქვათ, დაურიგა გლეხებს მინა მუდმივ საკუთრებად მთავრობამ. ჯერ ერთი, გლეხების რაოდენობა ერთი და

იგივე ხომ არ არის? ხვალ რომ შენი შვილი დაოჯახდება და მიწას მომთხოვს, რა მივცე იმას? ან ქალაქიდან სოფლად გადასახლებას რომ კაცი მოინდომებს, იმას რა მივუზომო?

– შეინახე ცოტა ხელუხლებელ ფონდათ.

– მერე ვინ დამიმუშავებს იმ ხელუხლებელ ფონდს? ანდა ესეც ხომ ნაწილობრივი გაუქმება გამოდის მიწაზე სახელმწიფოს საკუთრების.

– სოფელს მიეცი, ბატონო, და სოფელი თვითონ მოუვლის მიწას. არაფერი ფონდი არ დაგჭირდება.

– ეგ წესი შეიძლება აქ, ჩვენს ერცახე წალერში გამოდგეს, მაგრამ შენ რუსეთის შავმიწანიადაგიანი ზონა ან ყაზახეთის ტრამალეები კინოში მაინც არ გინახავს? იმხელა მიწები ვის უნდა მისცე, რომელი ოჯახი განვდება იმის დამუშავებას.

– რაფერ მოყავს ამერიკას და კანადას ჩვენს მეხუთედ ფართობზე ჩვენი სამყოფი და მისი სამყოფი პური, თუ იცი შენ? რაფერ და ტექნიკით, ტექნოლოგიით. პატრონი მიწის – ფერმერია. დაიქირავენს, თუ ვერ განვდება, დღეს ერთს, ხვალ მეორეს და მეიხმარს ხალხს. ახლა მთლად ნადის იმედზეც ვერ იქნები.

– მიწის ხელალებით დარიგება რას გამოიწვევს, იცი? ხუთ-ათ წელიწადში ისევ დაიყოფა ქვეყანა მიწისმქონეებად და უმიწო ბატრაკებად.

– აი, მანდ ხართ შემცდარი. ჯერ ერთი ახლა ტექნიკის და ქიმიის დროა და მეორეც, რატომ გინდათ მდიდარი არ იყოს ქვეყანაზე? სანამ სხვადასხვა მიწის მუშა, სანამ ზარმაცი და გამრჯე იქნება, სანამ გერგილიანი და უგერგილო კაცი იქნება ამ ქვეყანაზე – მდიდარი და ღარიბიც იარსებებს. როგორც სისულელეა ბრძოლა იმისთვის, რომ ყველა ღარიბი იყოს, ისე წყლის ნაყვანა ჯერჯერობით ბრძოლა იმისთვის, რომ ყველა ერთნაირად მდიდარი იყოს.

– ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გლახი რომ მიწას მიიზომავს, იგი აგრონომს და რაციონალიზატორს ყურს



აღარ დაუგდებს. ვისაც როგორ მოეპრიანება, ისე დათესავს და მომკის. ეს იქნება ანარქია მიწაზე და მთლად დავლუპავთ სოფელს.

– ყველაფრის რავა გეშინიათ, ეს მიკვირს, მეტი არაფერი. არ იყო ამდენი აგრონომი და ზოოტექნიკოსი, მარა მშვენივრად უვლიდა გლეხი მიწას. აგრონომის კარნახი მიწადა მე, როდის დავთესო მუხუდო, ან ზოოტექნიკოსის რჩევა მიწადა – რომელ მხარეს მივუჯდე ძროხას მოსაწველადა?

– რატომ ვერ გაიგე, ჩემო პორფილე, კუსტარული მეურნეობის დრო ახლა აღარ არის.

– რას ჰქვია კუსტარული?

– ძველებური, უბრალო, ხელით შრომაზე დამყარებული.

– ვინ გეუბნება, ბატონო, კუსტარულს დავუბრუნდეთო. მე ვლაპარაკობ ერთს მარტო; მოტყუებას ნუ შეეცდები ჩემსას. აღარ ვარ ის უტუ პორფილე, ბრმად რომ მოგყვებოდი სამოცდაათი წელი და თხლეზე რომ დამიყვანე კინალამმეთქი. მეტს მე არაფერს ვამბობ.

პორფილეს მეუღლემ კესარიამ ცაცხვის ძირას, ტაბლაზე, ცხელი ჭადები, შემწვარი ვარია, ჭყინტი სიმინდი და დაჩვრეტილი იმერული ყველი გააწყო. ბონდომ ნაქურჩალით თავდახურული დოქით ღვინო მოარბენინა.

პატარა, წელში გამოყვანილი ჭიქებით ვსვით და რაც ცოტა შეჭიკჭიკებულებმა ერთმანეთს იმ საღამოს ვუთხარით, მოყოლას და გამოქვეყნებას არ ექვემდებარება.

ეგ კი არა, ამ ნოველის ავტორი, რაც ზემოთ დანერა, იმასაც ნანობს. მკითხველი არ უნდა დააბნიო მწერალმა და სევდიან გუნებაზეც არ უნდა დააყენო.



## ნაპი

მატარებლით მგზავრობა რატომ მირჩევნია? ნერვების შლა ნაკლები ახლავს და იმიტომ. აიღებ ბილეთს. მატარებლის გასვლამდე ხუთი წუთით ადრე მიხვალ, თუ გინდა, შეხვალ შენს კუპეში. ჩაალაგებ საბარგულში ბარგს, დაახურავ საბარგულს თავს, წამონვები ზედ და თავი ქუდში გაქვს. კი, მართალია, ორ დღეს გაჩიქრიქებს მატარებელი და კისრის ძარღვებს გატკენს თავის ყანყალით, მაგრამ მარტო ის რად ღირს, რომ მინაზე ხარ და შენი ბარგი შენთან არის. ვილაცამ მითხრა; გამოიანგარიშეს და მატარებლით მგზავრობას მეტი საგზაო შემთხვევები ახლავს, ვიდრე თვითმფრინავით მგზავრობასო. გაზეთში ამოუკითხავს. რას ეძახიან მაგენი „საგზაო შემთხვევას“, იცი? ტიხორეცკაიაში პიჟამოთი შებოლილი თევზის საყიდლად რომ ჩახვალ და სანამ შენ ჟიგულის ყიდვის მადაგალვიძებულ თევზის გადამყიდველს ევაჭრები, მატარებელი რომ დაიძვრება, ხუთმანეთიანს თევზის პატრონს რომ შეატოვებ და თავქუდმოგლეჯილი მოსდევ მატარებელს – იმას კი არა. საგზაო შემთხვევა, ჩემო იმანო, არც მეტი, არც ნაკლები, ავარიანა. ქართულად ავარიას უფრო საშიში სახელი ჰქვია – კატასტროფა.

დავუშვათ, მართლა მეტია მატარებლით მგზავრობის დროს „საგზაო შემთხვევები“, მერე? მატარებლის საგზაო შემთხვევა და თვითმფრინავის საგზაო შემთხვევა ერთია? ელმავალი რომ გაფუჭდეს და ძრავი გამოირთოს, გაჩერდება მატარებელი, მეტს რას იზამს, ორი კილომეტრის სიმაღლეზე ცაში რომ თვითმფრინავის ძრავი გამოირთვება, მეყოლე კარგად. მატარებლის საგზაო შემთხვევის დროს ყველაზე უარესი ავილოთ, თუ გინდა, დაჯახება. თუ მთლად უსაშველო სიჩქარით არ შეასკდა შემადგენლობები ერთმანეთს, გადარჩენის

ცოტა შანსი მაინც გაქვს. თვითმფრინავით? პირის გაღებას ვერ მოასწრებ, ისე ჩქარა გამოგინერს მიქელ-გაბრიელი იმ ქვეყნის საგზურს.

„დროში ხარ მოგებულო, დრო ფასობს დღეს ყველაფერზე ძვირადო“, დაუჟინიათ. მაგ დროის გამოკიდება დალუპავს კაცობრიობას, იცოდე შენ. სად გეჩქარება, რა იყო, იქცევა ქვეყანა? ნამონეჟი მხართეძოზე კუპეში, ეჭუჭუკე თანამგზავრს, თუ კაი მოლაპარაკე შეგხვდა, თუ არა და იკითხე გაზეთი, ჩემო ბატონო. ჩაფაჩუნდი გაჩერებებზე, ხან ნაყინით შეიქციე თავი, ხან მყავე კიტრით, ხან მრგვალად მოხარშულ დედალს და ჭიქა არაყს გაუსინჯე გემო. თუ დედალი არ გიყვარს, თევზი და ლუდი გაგიხსნის პირს. თუ საჭმელსასამელს ერიდები, ვინ რას გაძალებს, ბატონი ხარ, მიჯექი ფანჯარასთან და ათვალეერე ქვეყანა. რა დიდი ხნით კი ხარ მოსული ამ დუნიაზე, ღრუბლებს გადაუფრინო და ნიადაგ ცაზე იყო გაკრული. მატარებლიდან მარტო ყვავილები და ტრამალები კი არ ჩანს, ცხოვრება ჩანს, კუტა, მთელი ჩვენი ცხოვრება. სახნისთან ნაკუზული გაუბედურებული გლეხი ჩანს, ნეხვით უკანანვივებდასვრილ, ფერდებჩაცვენილ ძროხას ადევნებული დედაბერი და ცოცხალი ხატი ჩვენი ყოფისა – გადაქანჯულ, საღებავჩამორეცხილ ქობმახებს შორის აქაიქ ჩაფრენილი „ვილლები“, ცხოვრების მულამსმიხვედრილი, „ყოჩალი ბიჭების“ სახლები.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თვითმფრინავით მგზავრობის დროს ვერც დროში რომ ვერ იგებ მაინცდამაინც, თუ იცი შენ ეს ამბავი? ერთი საათით ადრე რეგისტრაცია მთავრდება. ერთი საათით ადრე რომ რეგისტრაცია მთავრდება, ეს იმას ნიშნავს, რომ გაფრენამდე ორი საათით ადრე მაინც უნდა იყო აეროპორტში. გაფრენამდე ორი საათით ადრე რომ იყო აეროპორტში, ორი საათით ადრე უნდა გამოხვიდე სახლიდან ტაქსით. ტაქსს რომ ფული ბლომად სჭირდება, ამაზე აღარაფერს ვამბობ. ჯერ მარტო დროზე მაქვს ლაპარაკი.

ორი საათი აეროპორტამდე, ორსაათნახევარი გაფრენამდე, მერე ერთი საათი გაფრენისწინა შემონმება, მერე მოსაცდელში ფეხზე დგომა ცხენით, თვითმფრინავის სულისმხერხავ წუილში ტრაპთან დგომა, სანამ სტიუარდესა მოწყალებას მოიღებდეს და კიბეზე აგიშვებდეს, ამას ყველაფერს, სულ ცოტა ხუთი საათი ხომ დასჭირდა? ორსაათნახევარი ფრენა თბილისამდე ხომაა შვიდსაათნახევარი? მერე საათნახევარი ბარგის თვითმფრინავიდან გადმოტვირთვას და კონვეიერთან მოტანას უნდა, ესეც ცხრა საათი, ერთი საათი შენი ბარგის შექუჩებას და სულ მცირე, ნახევარი საათი მაინც (სულ მცირეს გეუბნები) ტაქსის რიგში დგომას – ესეც შენი ათსაათნახევარი. დაუმატე ამას ტაქსით აეროპორტიდან შენს სახლამდე ერთი საათი და მიიღებ თერთმეტსაათნახევარს. ცოტაა? თქვენ მარტო ჰაერში ყოფნას – ორსაათნახევარს ანგარიშობთ, სხვას არაფერს. ეს მე გითხარი, იდეალური ვარიანტი, როცა შეფერხება არ არის და თვითმფრინავი დროზე გაფრინდა. მაგრამ ამ არეული ატმოსფეროს და უსანვავობის გადამკიდე, გრაფიკის რა ზუსტი დაცვით მოძრაობს საჰაერო ტრანსპორტი, თუ იცი შენ? ყოველი მესამე თვითმფრინავი, რალაც მიზეზის გამო, იგვიანებს. დაგვიანებების საშუალო დრო არ დამამატებინო იმ თერთმეტსაათნახევარისთვის, თორემ, შენი კარგად ყოფნით, შეიძლება, ჩემმა დანჯღრეულმა მატარებელმა გაასწროს შენს პენიან და „მოხერხებულ“ „საჰაერო ხომალდს“, როგორც ჟურნალისტები ეძახიან.

ახლა ნერვები? დროის დეფიციტზე მეტად ჩვენს თანამედროვეს ნერვების დეფიციტი აქვს, მე თუ მკითხავ. თუ რამეა გადასარჩენი, პირველ რიგში ნერვები უნდა გადავირჩინოთ, მამაჩემსა აქვს ცხოვნება.

თვითმფრინავით მგზავრობის დროს საიდან იწყება, თუ იცი, ნერვიულობა? ბილეთის შოვნის დამამცირებელ ეპოპეას ვტოვებ. ბილეთი რომ ხელში გაქვს იქედან დავინწყოთ. სართულის მორიგეს, ოცი კაპიკის ნაცვლად, მანეთს აძლევ

და ელრიჯები, ტაქსი დაგიკვეთოს. მანეთს გართმევს, დაკვეთაზეც უარს არ გეუბნება, მაგრამ გაფრთხილებს; გარანტიას ვერ მოგცემთო, არის შემთხვევები, რომ შეკვეთილი ტაქსი დანიშნულების ადგილზე არ ცხადდებაო. ძილში ცუდად ჩაგყვათ, ცუდად გენიშნათ ეს გაფრთხილება. ღამით ცუდად გეძინათ ამ „ვაითუს“ გამო, დილით კი, რაც უფრო ახლოვდება ტაქსის მოსვლის დრო, მით უფრო გიპყრობთ სულის ფორიაქი: „მართლაცდა, ვაითუ არ მოვიდეს!“

მოვიდა ტაქსი. ჩაჯექით და პირველი შეკითხვა, რასაც ტაქსის მძღოლს აძლევთ, ეს იქნება: „თუ იცით, დღეს ფრენა იქნება?“ მძღოლი, ვნუკოვოზე წასვლა არ გადაიფიქროსო და, რა თქმა უნდა, დადებითად გპასუხობთ. მაგრამ თქვენ ხომ იცით, რომ ტაქსის მძღოლმა მხოლოდ იმიტომ გიპასუხათ დადებითად, რომ ვნუკოვოზე წასვლა არ გადაგეფიქრათ. ხოლო ვნუკოვოზე წასვლას თქვენ მძღოლის უარყოფითი პასუხის შემთხვევაშიც არ გადაიფიქრებდით, რადგანაც ფრენა კიდევ რომ არ იყოს, თქვენ მხოლოდ დღეს თორმეტ საათამდე გაქვთ სასტუმროში დარჩენის უფლება. ვადის გაგრძელებისთვის ზრუნვას კი მტერსაც არ ვუსურვებ. საბჭოთა სასტუმროებში თუნდაც ერთი ღამის გასათევად ვადის გაგრძელებას იმდენი ნვალება სჭირდება, რომ შეიძლება ჭკუიდან შეირყე კაცი.

ნერვიულობაზე მაქვს ლაპარაკი. დგახარ სარეგისტრაციო რიგში და ფიქრობ; ვაითუ ჩემი ბარგი ოც კილოგრამზე მეტი აღმოჩნდეს. ამჯერად გაამართლა თქვენმა „ვაითუმ“. ბარგი ოცდაერთი კილოგრამი აღმოჩნდა. „გადაიხადეთ მეორე სალაროში“, – კატეგორიულად გეუბნებათ რეგისტრატორი ქალბატონი. „აქვე რომ გადავიხადო?“ – ელრიჯებით, მაგრამ თქვენს მუდარით სავსე თვალებს ხვდება ტანში გამცრავი გამოთქმა: „ნე პალაგაეტსია“. უნდა აკრიფოთ თქვენი ბარგი და მეორე სალაროსთან რიგში უნდა ჩადგეთ ერთი ზედმეტი კილოგრამის ღირებულების გადასახდელად. დგახ-

ართ, ნერვიულობთ. ცალი თვალი სარეგისტრაციო ბაქნისკენ გიჭირავთ. „ვაითუ“ სანამ „განსხვავებას“ გადაიხდით, რეგისტრაცია დამთავრდეს, თქვენს ადგილზე სხვა მგზავრი („თუ ადგილი დარჩას“ იმედზე მყოფი) აიყვანონ და თქვენ არც თუ მთლად ზრდილობიანი უარი გითხრან.

როგორც იქნა, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. ოფლის სუნით ამშორებულ დარბაზში ზიხართ და თქვენი მარშრუტის გამოცხადებას ელოდებით. როცა რეგისტრაცია დაიწყო, საფრენი ამინდი გახლდათ, მაგრამ ამ ორი საათის განმავლობაში ხომ შეიძლებოდა ამინდი შეცვლილიყო? საკმარისია თბილისში, ან მოსკოვში აეროპორტი ნახევარი საათით დაიკეტოს, რომ თქვენი მარშრუტი განრიგიდან ამოვარდება და ყოველ ოთხ საათში გამოგიცხადებენ, რომ თქვენი გაფრენა ოთხ საათს იგვიანებს. „დაგვიანება“, შეიძლება, სამ დღეს გაგრძელდეს, ხოლო თქვენი დანყვეტილი ნერვებისა და შიმშილ-უძილობით გამოღამებული თვალებისათვის ბოდიშს არავინ მოგიხდით. პირიქით, ხმას თუ აუწიეთ; „რა ხდება ბოლოს და ბოლოს“, შეიძლება მილიციაშიც მიგაბრძანონ.

ვთქვათ, ბოლოს და ბოლოს, გიხმეს პირველ შესასვლელთან. იქ თავიდან დაიწყება თქვენი პასპორტის შემოწმება და ჩხრეკა – ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ჯერ ხელჩანთას გაგიჩხრეკენ, ღამის საცვალს და რალაც-რალაცებს (ზოგს ოყნაც დააქვს მივლინებაში. დიახ, დიახ, ვინიცობაა კუჭის შეკრულობა დაეწყოს, აქ სასაცილო არაფერი არ არის) ამოგალაგებინებენ, ზიზლით ჩახედავენ, ჩანთას ხელს ჰკრავენ და შენვე ჩაგალაგებინებენ ამოყრილ ნივთებს. გაქვთ კიდეც ამის შემდეგ ნერვების ცოტა მარაგი? ფიქრი ნუ გაქვთ, ბოლომდე დაგეხარჯებათ, ტრაპზე ასვლის წინ ერთხელ კიდეც რომ შეგიმონებენ ბილეთ-პასპორტს და ყინვისგან აკივლებულს მუჯლუგუნით შეგაჩერებენ; ჯერ პირველი სალონის მგზავრებმა უნდა დაიკაონ თავიანთი ადგილებიო, ფრენის დროს ნერვიულობაზე აღარაფერს ვამბობ. კეთილ ინებეთ,

და ნუ გაიხსენებთ უკანასკნელი წლების საჰაერო კატასტროფებს; ხან პილოტების დაუდევრობით რომ ხდება, ხან საზღვარგარეთ გაქცევის მოსურნე ბოროტმოქმედთა მეცადინეობით და ხან, იღბალი არ გინდა? ძრავაში მოხვედრილი ფრინველის გამო.

დაეშვით თბილისის აეროდრომზე? ღმერთს მადლობა შესწირეთ, შეიძლებოდა მეყსეულად შეცვლილიყო ამინდი და ასეთივე წარმატებით ბაქოს ფეშენებელურ აეროპორტზე ამოგეყოთ თავი. თქვენ გგონიათ, ყველაფერი დამთავრდა? ახლა, ნება მომეცით, სწორედ ის გიამბოთ, რაც ამ ბოლო სანერვიულო ეტაპზე ამასწინათ შემემთხვა და რისთვისაც ეს ნოველა დაიწერა.

რაც მართალია მართალია, ახლაც ბავშვივით მხიბლავს აეროპორტის საბარგო კონვეიერი. აშენდა მისი ოჯახი, ვინც ეს მოიგონა. ცხვირწინ ჩამოგიტარებს შენს ბარგს და, თუ ვინიცობაა, ვერ მოასწარი ჩამოღება, წავა და ისევ დაგიბრუნებს. ჩემოდანი მოვიდა, აგერ ფეხებსშორის მიდევს, ახლა ფუთას ველოდები. შეთხელდება კონვეიერი. ჩემი ფუთა კი არა და არ ჩანს. არის საჭირო ყოველ ფეხის ნაბიჯზე გაგახსენოთ, რომ ვნერვიულობ? მოდით, შევთანხმდეთ, ამ ნოველაში სიტყვას „ვნერვიულობ“ მეტს აღარ ვიხმარ. თქვენ თვითონვე შეატყობთ, როცა სანერვიულო სიტუაცია შეიქმნება.

ლამის დაცარიელდა კონვეიერი. მორიგეს მივმართე; ჩემოდანი და ფუთა მქონდა ჩაბარებული, ფუთა რატომ არ ამოვიდა-მეთქი. დაათვალიერეთ კარგად, იქნებ ვინმემ შეცდომით აიღო და კონვეიერზე აღარ დააბრუნაო. მივათვალიერ-მოვათვალიერე იქაურობა, გაგიგონია? კონვეიერზე მოსკოვის აეროპორტში ჩემი ფუთისნაირად შეხვეული ერთადერთი ნივთი ბრუნავს. მორიგემ ცოცხულვაშა, ჯმუხმა მამაკაცმა ჩამოიღო და გამომინოდა. ა, გენაცვალე რომ დააქციე ქვეყანა, ვინ შეჭამდა შენს ბარგსო. ეგ ფუთა რომ ჩემი

იყოს, საათია ვუთვალთვალე და არც ოთხნიშნა ციფრებში ვერკვევი სხვაზე ნაკლებად-მეთქი. დახედეთ, ჩემი ნომერია „0953“, ამას კი „0958“ აწერია-მეთქი. მორიგემ მომკიდა ხელი და მთავარ ექსპედიტორთან მიმიყვანა.

ახალგაზრდა, ელამმა, თმაშეთხელებულმა, წითელ-სამკლაურიანმა, მაგრამ უუღვამო ექსპედიტორმა ჯერ დანვრილებით გამომკითხა ვინ ვიყავი და რას წარმოვადგენდი. მერე, არც თუ სხვათაშორის, მკითხა, რა გქონდათ იმ ფუთაშიო.

შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ გასაბერი ნავი მქონდა, უნგრული. სამი საათი ვიდექი მაგ ნავისთვის მოსკოვში რიგში. ხუთი წელია დავექებ და ძლივს მოვიხელთე. თევზაობის მოყვარული ვარ და ჩემთვის აუცილებელია-მეთქი.

ცოტა არ იყოს, აღმაცერად შემომხედა.

მოსკოვში ნავის საყიდლად წახვედითო?

არა, ბატონო, მივლინებით გახლდით და თან ნავიც შევიძინე. ისე ნავის საყიდლადაც რომ წავსულიყავი, თქვენთვის ამას რა მნიშვნელობა აქვს-მეთქი.

პასუხი არ მომცა. „0958“-ს დანვდა და გახსნა დაუნყო. ექვსი ყუთი მოსკოვური ორცხობილა (რუსები „სუხარს“ ეძახიან) გადმოალაგა, კარგად მოათვალიერა, სადმე მისამართი ხომ არ აწერიაო, მერე კვლავ შეკრა ამანათი და ფუთებში მიაგდო.

– საექვო არაფერია. შეეშალა მგზავრს და თქვენი „0953“ წაიღო თავისი „0958“-ის ნაცვლად. გავარდით, იქნებ ტაქსის რიგში დგასო. ვსტაცე ხელი ორცხობილიან ბარგს და ტაქსის გაჩერებისკენ გავიქეცი.

მოქალაქეთა საექვო მზერისა და ხელების სავსავის თანხლებით ჩამოვუარე ბარგს, მაგრამ ჩემი ფუთა არსად აღმოჩნდა.

დაღვრემილი დავბრუნდი სამორიგეოში.

რა ეშველება ახლა ჩემს საქმეს-მეთქი.



ორად-ორი შანსი არსებობს თქვენი ნავის პოვნისო, ექსპედიტორმა. პირველი: ამ ორ დღეში შეიძლება გამოჩნდეს პატრონი. თუ სინდისიანი კაცია, არ მიითვისებს სხვის ნივთსო. თუმცა, რომ არ დაგიმალოთ, ცდუნება დიდია, უნგრული, დეფიციტური გასაბერი ნავი – ორკაპიკიან ორცხობილაშიო. მეორე გზაც ასევე საეჭვოაო. რეგისტრაციის დროს ბარგის ნომერს მოსკოვში არ იწერენ, მაგრამ თვითმფრინავის მთელი შემადგენლობა გარკვეულია, რადგანაც ბილეთის აღების დროს აეროპორტის სალაროში მოქალაქეთა გვარებს და პასპორტის სერია-ნომერს იწერენო. მე გავაგზავნი შეკითხვას და აქტის ასლს. ისინი, თუ არ დაეზარათ, გადმოგვიგზავნიან ყველა მგზავრის გვარსა და პასპორტის ნომერს. ამის მიხედვით სამძებრო ორგანოებმა უნდა დაადგინონ მგზავრთა მისამართები და გამოიკითხონ – ყველამ მიიღო თუ არა თავისი ბარგი. ასე შეიძლება დადგინდეს, ვის „გაჰყვა“ თქვენი ნავიანი ფუთაო.

კი მაგრამ, ვინც ჩემი ნავი მიითვისა, ხომ შეიძლება, არ გამოაჩინოს და განაცხადოს, რომ საბაჟოსთან საპრეტენზიო არაფერი აქვს-მეთქი, ცრემლმორეულმა ვკითხე.

ადვილი შესაძლებელიაო, მანუგემა სახელმწიფოს წარმომადგენელმა.

ესეც ასე, სიმწრით ნაშოვნი უნგრული გასაბერი ნავი თბილისამდე ჩამოვიტანე და აგერ ა, კონვეიერზე ამწაპნა ვილაცამ.

დანა პირს არ მიხსნის. ჩხუბსა და საჰაერო ტრანსპორტის მომსახურების დაბალ დონეზე ლაპარაკს აქ აზრი არა აქვს. ჩემისთანა აღშფოთებულებისთვის მოუსმენიათ?

ექსპედიტორმა აქტი შეადგინა; ეს ორცხობილიანი ფუთა წაიღეთ, თუ პატრონი გამოჩნდა, თქვენთან გამოგზავნითო, დამაიმედა, მერე მაგიდაზე თითების თამაშით (დაახლოებით მარშის მელოდიას გამოსცემდა) და გამოსათხოვარი მალლა ახედვით მაგრძნობინა, რომ ჩემი წასვლის დრო იყო.

მე, როგორც დაზარალებულს, ხომ მაქვს უფლება სასამართლოში გიჩივლოთ-მეთქი, ხავსს ჩავებლაუჭე.

რა თქმა უნდა, გაქვთო. სასამართლოც ზუსტად იმას დაგვავალეხს, რასაც ჩვენ ახლა უჩივლელად ვაკეთებთო. თქვენი ნივთის პოვნის სხვა გზა არ არსებობსო. რაც შეეხება ნავის საფასურს, რაკი თქვენ იგი გამოფრენამდე არ დაგიზღვევიათ, ახალი ძიება და საქმის თავიდან აღძვრა დაგჭირდებათ, რომ ღირებულება აგინაზღაუროთ.

რა ძიება-მეთქი.

რა ძიება და ჩვენ ამ შემთხვევაში თქვენ სიტყვას ვენდობით, ანაზღაურების შემთხვევაში კი სამმა ნეიტრალურმა მონემ მაინც უნდა დაადასტუროს, რომ ფუთაში თქვენ ნამდვილად უნგრული ნავი გედოთო. ხომ შეიძლება, კაცნი ვართ, ასეთივე წარმატებით გეთქვათ, რომ პაგანინის ვიოლინო მოგქონდათ და ჩვენგან ოთუსბირი მოგეთხოვათო.

სახეარეული და ცრემლგამშრალი დავბრუნდი შინ. ჯალაბს, რასაკვირველია, დავუმალე ნავის დაკარგვის ამბავი, რაკილა მათ ნავის შეძენის ამბავიც არ იცოდნენ.

გავიდა ორი კვირა. ამ ხნის განმავლობაში გულხელდაკრეფილი როდი გახლდით. სისტემატურად ვრეკავდი აეროპორტის საბარგო განყოფილებაში და, თუმცა სხვადასხვა ექსპედიტორ მორიგესთან ვხვდებოდი, ყველანი ერთსა და იმავეს მპასუხობდნენ: „მე არაფერი ვიცი, ჩემს ცვლაში ეგ არ მომხდარა, ჩავინერ, ბატონო, გავარკვევთ ყველაფერს და გაცნობებთო“. ის იყო, თქმას ვაპირებდი, ჩავინერეთ ჩემი ნომერი-მეთქი, რომ, ამასობაში, მორიგე ყურმილს ჰკიდებდა.

იმედი რომ გადამენურა, კეთილი ვინებე და გამოვცხადდი აეროპორტში. აღარ მახსოვს, რამდენი კაბინეტი გავიარე „მე არ მეხება, იმასთან მიბრძანდის“ თავაზიანი განცხადებებით და, ბოლოს და ბოლოს, მივალწიე კაცთან, რომელიც მელოდა. როცა ჩემი გასაჭირი ვუამბე, ფეხზე წამოდგა და საზეიმო იერით გამომიცხადა:

– სადა ხართ აქამდე? მთელი კვირა დაგეძებთ. თქვენი ამანათი ნაპოვნია!

ნავის ყიდვა მოსკოვში, ორსაათიანი რიგის შემდეგ, ისე არ გამხარებია, როგორც ამ სიტყვებმა გამახარა.

– აგაშენათ ღმერთმა, აქა გაქვთ?

უჯრა გამოსწია და ქალაღდი დააძრო.

– საქმე იმაშია, რომ – ქალაღდს თვალს არ აცილებს. – უკაცრავად! – უჯრიდან ახლა სხვა ქალაღდი ამოიღო. – ეს არის. მაშ ასე... თქვენი ამანათი შეცდომით ნაუღია მოქალაქე კოვზირიძეს, მცხოვრებს გორგასლის პროსპექტ შვიდ ნომერში. ჩვენ დავადგინეთ, რომ მგზავრი კოვზირიძე შალვა ჩანერიღია გორგასლის შვიდ ნომერში ცოლისძმასთან, თორემ სინამღვიღეში, ცხოვრობს საჩხერეში, სოფელ გორისაში. ამჯერად, ესე იგი თქვენი ნივთის დაკარგვის დღეს, მან მხოლოდ ერთი საათით შეიარა ცოლისძმასთან. ბარგი, რასაკვირვეღია, არ გაუხსნია. ცოტა ხნით დაისვენა და ავტობუსით გაემგზავრა საჩხერეში. ასე რომ თქვენი ამანათი ამჟამად იქნება სოფელ გორისაში შალვა კოვზირიძესთან. ახლა როგორ მოვიქცეთ? გნებავთ თქვენ წაბრძანღით გორისაში, დრო რომ მოვიგოთ, გნებავთ ჩვენს რწმუნებულს გავგზავნით. დრო რომ მოვიგოთ-მეთქი, იმიტომ მოგახსენეთ, რომ ერთი რწმუნებული გვყავს და ამჟამად ბიულეტენზეა. როღის გამოვა, ვერ გეტყვით.

მე ნავალ-მეთქი, სიხარუღისგან რეტდასხმულმა წამოვიძახე მართლაცდა, რა იცი რა მოხდება, შეიძლება ამ ხნის განმავლობაში ჩემს ნავს ძირი გააგდებინონ. ისე, არ ყოფიღა მთლად კარგი კაცი ეგ ვიღაც კოვზირიძეა. ხომ ნახა, რომ სხვისი ამანათი წამოუღია, რატომ აქამდე არ დააბრუნა-მეთქი.

მეორე დღეს, ასე, დაახლოებით პირველ საათზე, გორისას ვენვიე.

ავტობუსმა კარგად მაჯანჯღლარა, მაგრამ ხეღისგულივით წინ გადაშღიღ ყვირიღას ველს და მოღინახეს რომ დავხედე, გულს მომეფონა.

მარტო ამის სანახავად ღირდა ჩამოსვლა.

კითხვა-კითხვით მივაგენი შალვა კოვზირიძის სახლს.

ეზოში მობურჭალე ბავშვებმა ჩემს დაძახილზე ჯოხის ცხენები შემოაბრუნეს და ჭიშკრისკენ გამოიქცნენ. ფუთით ხელში რომ დამინახეს, წარმოუდგენლად გაეხარდათ. უფროსი ოდისკენ გაიქცა; ალბათ მშობლების დასაძახებლად. უმცროსი კი მომიახლოვდა, ამანათს შეეხო და ჩურჩულით მკითხა:

– ბიძია, ნავი მოგვიტანეთ?

ამ კითხვამ წელში გამწყვიტა, მაგრამ არ შევიმჩნიე.

ამასობაში მასპინძლებიც გამოგვეგებნენ. მაღალმა ქორფლიანმა კაცმა ხელი ჩამომართვა და მეუღლე წარმომიდგინა, ქალბატონმა: მობრძანდით, თქვენი ჭირიმე, შალვა, აივანზე აუძეხი სტუმარსო და სამზადში შევარდა.

ვზივართ აივანზე. იმერეთში სტუმარს არავინ ჰკითხავს, რა საქმეზე ხარო. სტუმარმაც, რაც შეიძლება უნდა გააჭიანუროს მოსვლის მიზეზის გამხელა. ვლაპარაკობთ ამინდზე, ატმოსფეროს გაჭუჭყიანებაზე, მინისძვრაზე, ტრანსპორტზე.

ამ უკანასკნელ ჩავებლაუჭე. ვიფიქრე სარკინიგზოდან საჰაერო ტრანსპორტზე გადავალ და მერე სწრაფად მოვაყოლებ ნავის ამბავს-მეთქი, მაგრამ შალვამ დამასწრო.

– არ მითხრა, თუ კაცი ხარ. ჩვენთან ყველაფერი შეიძლება მოხდეს. მოსკოვში ვიყავი ამასწინათ. უნგრულის გასაბერი ნავი იყიდებოდა, გორკის ქუჩაზე, სპორტულ მაღაზიაში. გადავდე თავი. დავდექი რიგში და ვიყიდე, რავარც იქნა. რად გინდა ნავი გორისაშიო, მკითხავთ. რათ და ყვირილაზე ჩამყავს ეს ბავშვები ხანდახან სათევზაოდ და ჩამოყვებიან ზევიდან წყალს, ითამაშებენ-მეთქი. შემშლია ჩვენს აეროპორტში. სხვისი ბარგი წამომიღია. გავხსენი ორი გლობუსი და მაგიდის ლამპაა შიგ. მივწერე აეროპორტს წერილი, მარა გაგიგონია? არც ამბავი, არც ხაბარი. მაქვს აგერ, გლობუსებიანი ფუთა, იქნებ მოაკითხოს ვინმემ-მეთქი.

– მოიცა, ნავი დაკარგეთ თქვენც?

– რავა, სხვამაც დაკარგა?

– სწორედ უნგრული ნავის კვალზე დავდივარ, ბატონო შალვა, მეც. ა, ეს ფუთა გამომატანეს თქვენთან თბილისიდან. ექვსი ყუთი მოსკოვური ორცხოობილაა შიგ. არაა თქვენი?

– არა ბატონო, რად მინდოდა ორცხოობილა. ბავშვებს არ უყვართ და გაფშიკინებულ ორცხოობილას დავამტვრევივ კბილებს? – გაეცინა. წამოდგა. ოთახიდან სწორედ ჩემი ფუთის მსგავსი ფუთა გამომიტანა, ქალღმერთი შემოსხვეული იყო და გლობუსის ოკეანიანი მხარე ცისფრად ჩანდა. ნომრად „0950“ ესვა.

– აჰა, გორკის ქუჩაზე იყიდეთ ნავი თქვენც? – ვკითხე ყოველ შემთხვევისათვის.

– კი, ბატონო, სამ ბავშვს გეფიცები. ნავის გულიზა ბავშვებს დავიფიცებ? მე ვთქვი, გავახარებ-თქვა, ყვირილას ჩამოყობოდნენ და გეირთობდნენ თავს.

ისე, შევხედე თუ არა, მაშინვე მეცნაურა შალვა კოვზირიძე. ალბათ თვითმფრინავში მყავს-მეთქი ნანახი ერთად მგზავრობის დროს, ან იქნებ სულაც ნავის რიგიდან მახსოვს. იქნებ იქვე იდგა ჩემგან ხუთი-ექვსი კაციის შემდეგ.

ახლა ამის რკვევის დრო აღარაა. სამზად სახლში კვამლმა აინია და მასპინძელიც კაი სამეგობრო კაცი ჩანს. რა დროს გასაბერი ნავია, თუ ძმა ხარ.



## შენი პატარა მტრები

რა გაცინებსო, მეკითხები. მართლაც, რა ჯანდაბამ გამაცინა, კაცი შენუხებული მოხვედი და გაცხარებული მელაპარაკები. რასაც შენ მეუბნები, სასაცილო კი არა, აღმაშფოთებელია. გაუმნარებიხართ, უსამართლოდ გაუკრიტიკებიხართ კრებაზე. ვისგანაც მხარდაჭერას ელოდი, სწორედ ისინი გადაგდგომიან. ჯერ ნელიც არ გასულა, რაც დირექტორად დაგნიშნეთ და, იმის ნაცვლად, რომ ხელი შეეწყოს, პირველი დღიდანვე ამოგიღეს მიზანში. ვიცი, გასაგებია, შანტაჟსაც გინყობენ, მუქარასაც არ ერიდებიან, ახლა კოლექტიური თავდასხმა მოგინყვეს კრებაზე. მშვენივრად იცი, ვინ გმტრობს და ვის ვინ აგულიანებს, მაგრამ, მე მგონი, უფრო იმაზე გამეცინა, რომ ვერ ხვდები, რატომ ხდება ასე. რა უნდათ ჩემგანო, ვისთვის რა დამიშავებიაო, მეკითხები.

რომ მცოდნოდა, ასე მიამიტი იყავი, გითხრა სიმართლე, არ მოგცემდი რეკომენდაციას დირექტორის თანამდებობაზე. შენ გგონია კარგი დირექტორობა მხოლოდ ის არის, ქარხანა ფეხზე დააყენო, უხინჯო ფოტოაპარატები გამოუშვა, გეგმა შეასრულო და შრომის დისციპლინის დონე აამაღლო? არა, ჩემო გოდერძი. მტრები უნდა გააჩუმო, მტრებს უნდა დაუყვავო და მოეფერო, ურთიერთობები არ გაამწვავო, კონფლიქტური პიროვნების სახელი არ დაიგდო; ყველაზე მეტად ამას მოვითხოვთ დღეს ხელმძღვანელისაგან და, როგორც ვხედავ, ამ ბოლო პუნქტებში გიჭირს შენც უფრო მეტად.

დავინყოთ თავიდან. ჯერ ის გავარკვიოთ, მტრები რატომ მოგიმრავლდა, მერე ჩემს ფუნქციაზე გეტყვი ორიოდ სიტყვას მთელს ამ ორომტრიალში და ბოლოს, იქნებ, ორიოდ რჩევა მოგცე, შენ თვითონვე როგორ მოუარო შენს სატკივარს.

აიღე ფანქარი და იანგარიშე: ჯერ ერთი, რამდენს უნდა ფოტოაპარატების ქარხნის დირექტორობა. თვით ქარხანა-

შივე წლების განმავლობაში რამდენი მოადგილე – მთავარი ინჟინერი და საამქროს გამგე იზომებდა მხრებზე სადირექტორო ხალათს? ახლა ჩემს აპარატში რამდენს სურდა თავისი გავლენის სფეროდან არ გამოთიშულიყო ეს ქარხანა? შენ გინდა თუ არ გინდა, ეს ქვეყანა ჯგუფებად და წრეებადაა დაყოფილი. საოცარი კონკურენცია მიმდინარეობს ჯგუფებს შორის. რომ დაარქვა იმ ჯგუფებს პარტიები, შენ როგორ ფიქრობ, მრავალპარტიულობა სწორედ ეგ იქნება. შენ ვერ წარმოიდგენ, აქედან რა კარგად ჩანს ეს ბრძოლა. საკმარისია კომიტეტის სხდომაზე რომელიმე თანამდებობის პირი გავაკრიტიკო, რომ მეორე დღესვე წამოყოფს თავს მისი დამქაშების წრე. ხან პირდაპირ, ხან მიეთ-მოეთებით, იმის მიხედვით, ვის როგორ გაებედება, ცდილობენ დაიცვან ჩემგან და მისი სკამის ხელყოფა გადამაფიქრებინონ. ამიტომაც, უვარგისი ხელმძღვანელი რომ ვერ მოგვიხსნია და შინ ვერ დაგვისვამს. აუცილებლად სხვა რაღაც თანამდებობა უნდა გამოვუნახოთ. ანგარიში უნდა გავუწიოთ მის წრეს, მისი გავლენის სფეროებს. ხელს ვერავის აუქნევ, ყველას ერთბაშად ვერ მოიმდურებ, მტრისას გადაკიდებული კაცი. ეს ქარხანა თავისი შემოსავალ-გასავალით რომელიღაც ჯგუფს თავის ბალანსზე ჰქონდა აყვანილი. მე მოგკიდე ხელი და გარეშე კაცი, არცერთ ზვირთში რომ არ ერიე, ისეთი კაცი დაგსვი დირექტორად. როგორ ფიქრობ, ამით დამთავრდებოდა წყალქვეშა დინებები? ფოტოაპარატების ქარხანას დაკარგულად ჩათვლიდნენ სხვადასხვა მაფიის წარმომადგენლები და ხელს ჩაიქნევდნენ? შენც არ მომიკვდე. ვნებები გამწვავდა, ბრძოლამ უფრო მძაფრი ხასიათი მიიღო. სანამ ერთი უჩინარი ინჟინერი იყავი, თითო-ოროლა მტერი გყავდა, ახლა კი ერთბაშად ამოგიღო მიზანში რამდენიმე ჯგუფმა. რაკი ჩემი კანდიდატურა ხარ, ჩათვალეს, რომ ჩემს მეგობრად თუ არა, ახლო ნაცნობად მაინც ითვლები. შენს წინააღმდეგ ძალები ასე გადანაწილდება: ნახევარი იმისთვის იბრძვის, რომ შენი დირექტორული სისუსტე და უნიათობა დაამტკიცოს. ამისთ-

ვის იმასაც კი არ მოერიდებიან, რომ არაკვალიფიციურობა დაგნამონ, ან წუნი შემოგაპარონ. მეორე ნახევარი კი ენერგიულად ცდილობს ჩვენი – ჩემი და შენი ურთიერთობა გააფუჭოს. მე მირეკავენ, წერილებს მწერენ, რომ თითქოს შენ ღირექტორობამ გაგაყოყოჩა, თითქოს სძირად უსვამდე ხაზს იმ გარემოებას, რომ ჩემი პირადი მეგობარი ხარ და ამის გამო ცხვირზე, რომ იტყვიან, ბუზსაც არ ისვამ, ცა ქუდად არ მიგაჩნია და დედამინა ქალამნად. იმასაც მეტყვიან, რომ ხანდახან ცინიკურად მიხსენიებ. ჩემს ფრონტზე შეგიძლია მშვიდად იყო. მე ეს ყველაფერი კარგად ვიცი და შენ წინააღმდეგ ორგანიზებულ შეთქმულებას არ ავყვები, გულთან არ მივიტან. ხომ ხედავ, რამოდენა ეშელონი ჩამომდგარა შენს წინაშე შინაური თუ გარეშე მტრების? ჩემი პირადი მტრებიც შენ უნდა მიითვალო, რაკილა ისინი შენი მტრებიც არიან.

ასეა საქმე. შენ კი გიკვირს, რას მერჩიანო. როგორ ამბობს პოეტი? „სანამდის არ აფრინდება, არავინ ერჩის მწყერს“. შენ ახლა აფრენილი მწყერი ხარ და უნდა შეაჩვიო ყური თოფების გრიალს. შეიძლება ჩამოგაგდონ კიდეც, ღმერთმა ნუ ჰქმნას, იმ ბრძოლას, რაშიც შენ და მე გავყავით თავი, სავალალო დასასრულიც არაერთხელ ჰქონია.

იცოდე, აღზევდება თუ არა ვინმე (სულერთია დამსახურებულად აღზევდა, თუ დაუმსახურებლად), იმ დღესვე გაჩნდება მისი აღზევების საწინააღმდეგო მოძრაობა. გაივსება ჰაერი სისინ-კითხვებით: „რაშია საქმე, რით სჯობია სხვებს, თავზე რომ წამოგასვეს?“, „არც ეგრეა საქმე, როგორც ზემოთ ჰგონიათ“, „თურმე უცოდველი არც ეგ ყოფილა“, „ვინ უჭერს, თუ იცი, მხარს?“, „დალუპავენ ქვეყანას, რა ესმის ამ საქმის“, „ერთხელ ნეხვის აყვავების ამბავია და მეტი არაფერი“. ვერ ეგუება ქვეყანა, არ გაპატიებს, ვისაც ოდნავ მაინც შურს შენი, არ გაპატიებს წინ გაჭრას. ყოვლის ღონით ეცდება დაგქაჩოს და უკან, თავის გვერდით დაგაბრუნოს. სად წავიკითხე, აღარც მახსოვს: „კუზიანი ყველას უყვარს, რაკილა იციან, რომ წელში ვერასოდეს გაიმართებო“.



აი, რატომ არ უნდა გიკვირდეს, რომ თავს გესხმიან. რა მოწესრიგებული კაციც უნდა იყო, თუნდაც შენს ცხოვრებაში ერთი შეცდომაც არ დაგეშვას (და ასეთი, კარგად იცი, ღმერთიც არ არის) მტრები მაინც გეყოლება და ისინი სწორედ მაშინ წამოყოფენ თავს, როცა ჩვეულებრიობას ცოტათი მაინც აცდები და სამიზნეზე აიმართები. გარდა ამისა, მტრები ჭილყვავებივით მაშინ დაგეხვევიან, თუ ოღნავ მაინც წაიბორძიკე, ან ძლიერთაგან ამა ქვეყნისათა, ერთს მაინც თუ მოსწყინდი იმგვარი მოწყენით, კაცი რომ თავისთვის ჩაილაპარაკებს: „რა გააჭირა ამანაც საქმე, რა უნდა, ვერ გამიგიაო“. სწორედ მაშინ გიხელთებენ ძველი და ახალი მტრები. არიქა, ახლა გვაქვს დრო, აქამდე თუ ვერა ვავნეთ, იქნებ ახლა შევისრულეთ გულისწადილიო.

გოდერძი, ეს ამბავი შენ არ უნდა გიკვირდეს. თქვენ, ნიჭით და გონებით გამორჩეულნი, ცოტანი ხართ, საშუალო ნიჭისანი, ან სრულიად უნიჭოები თქვენზე გაცილებით მეტნი არიან. ღმერთმა ნუ ჰქნას, ყველა უნიჭოს ნიჭიერი სძულდეს, მაშინ ცხოვრება ჯოჯოხეთად გადაიქცეოდა, მაგრამ უნიჭოთა დიდ ნაწილს, დამერწმუნე, გულში უდევს ის გაუცნობიერებელი შური, წლების განმავლობაში ზიზღში რომ გადაზრდილა; „რაშია საქმე, რატომ მაჯობა, ისიც ხომ ჩემებრ დედისგან შობილა, ორი თვალი აქვს და ორი ყური“. ვერა და ვერ უპატიებია შენთვის თავისი უსუსურობა. თითქოსდა მისი რალაც მიგითვისებია, თითქოსდა შენ იყო დამნაშავე, რომ ღვთიური ნიჭით არ დააჯილდოვა ბუნებამ.

ახლა შენ მეუბნები, დამიცავი, გადამჭრელი ზომები მიიღეო. სწუხხარ, ნერვიულობ, შენი იმედი მქონდაო, დამიცავი ამ ყვავ-ყორნებისგანო. არ გენყინოს, გოდერძი და ჩემი თანაგრძნობა არ გაშორდება შენი მტრების გონიერებისკენ მონოდების და საკითხის არგამწვავების დონეს. განა არ ვიცი, რომ მართალი ხარ და ცილისმწამებლები დაპანდურებას იმსახურებენ, მაგრამ ჩემიც უნდა გაიგო, მე არ მეყოფა ძალა უმრავლესობას გადაუდგე და შენ ერთს გადაგეფარო.

ამ ცხოვრებასთან მეც შენსავით ათასი არხით ვარ და-  
კავშირებული და თუ შენი ნიჭით აღტაცებული ვარ, სამაგი-  
ეროდ, სხვებთან სხვა ძაფებით ვარ მიბმული. შენ იცი, მეც  
ჩემი სიყრმის მეგობრები, ნათესავები და ახლობლები მყავს.  
გავწყვიტო ყველა ძაფი და შენს იმედზე დავრჩე, მგონი შენც  
არ გაგეხარდება.

არ გამოდის არა ყოველთვის, შენ რომ ობიექტურობას და  
პრინციპულობას ეძახი.

ისევ შენ უნდა იმარჯვო. ნუ იფიქრებ, რომ ეს ქვეყანა  
მარტო შენა ხარ და შენი მტრები. შენი და შენი მტრების ამ-  
ბავი ქვეყანას, ვახშმის შემდეგ, ტახტზე რომ წამოგორდება  
და ჭორაობის ხასიათზე დადგება, მხოლოდ მაშინ აინტერე-  
სებს. სხვა დროს ყველას თავისი ცხოვრება-საზრუნავის დო-  
ლაბები ჰკიდია მხრებზე.

ნურც იმას იფიქრებ, რომ შენი დღევანდელი მტრე-  
ბი ერთხელ და სამუდამოდ შენი მტრები არიან. შეიძლება  
სიტუაცია შეიცვალოს, ან თვითვე მოსწყინდეთ შენი მტრო-  
ბა. ამიტომაც ეცადე, კაცი, ბოლომდე არ გასწირო, კი ბა-  
ტონო, „კბილი კბილის წილ“, მაგრამ ბრძოლაც ზომიერადაა  
საჭირო. სანამ გასჭრიდე, კარგად დაფიქრდი, გაარკვიე. შენს  
ვაჟკაცობას ჩრდილი როდი მიადგება, სანამ არსენალით აღი-  
ჭურვებოდე, მიხვიდე მტრებთან, დაელაპარაკო, გაარკვიო –  
რაშია საქმე, რამ გამოიწვია თქვენი გათიშვა-გაუგებრობა.

საერთოდ, ეს ცხოვრება იმად არა ღირს, შენს პირად,  
ჭირვეულ მტრებთან ბრძოლას შეაღიო. კიდევ რომ გაიმარ-  
ჯვო, დამერწმუნე, გამარჯვების ზეიმის დრო აღარ დაგ-  
რჩება.

რუსთაველი გაიხსენე, სულკურთხეული რუსთაველი  
„ცდების და ცდების სიკვდილსა, ვინ არ მოელის წამისად“.



## რა მოხდა?

ქალი? ურთულესი არსებაა. მე კი არა, ღმერთმაც ვერაფერი გაუგო. ორ ნაბიჯზე მოატყუა ღმერთი და იმ სანყალს ადამიანის გაჩენისთვის კინალამ თავ-ბედი აწყევლინა. ე, შეხედე, ხომ ანგელოზივით ზის, გეგონება ხეს ფოთოლს არ შეურხევსო, შეიძლება მართლა ანგელოზია, ხომ არ ვიცნობთ მე და შენ, მაგრამ უფრო საფიქრებელია, ისეთი მავნის ერთი იყოს, ისეთი სიემმაკე მოიმოქმედოს, აგერ, ერთ წუთში რომ ცა და ხმელი აალაპარაკოს.

თქვენ რომელ გაჩერებაზე ჩადიხართ, საიხვეზე? მეც იქეთ მოვდივარ. დრო გვაქვს და მოგიყვები ჩემს ამბავს. ქალთანაა დაკავშირებული და სიტყვას მოჰყვას, თორემ რა მოსაყოლი ეს არის. ასეთი ამბავი ყოველ ნაბიჯზე ხდება.

ცოლი გამექცა შარშან. კურორტზე მყავდა „ზელიონაია პალიანაზე“, დასასვენებელ სახლში კარგად, მშვენივრად. ხუთი წლის ცოლ-ქმარი გახლდით და ვერც იმას გეტყვი, ვერ ვენყობოდით ერთმანეთს-მეთქი. ყველაფერი რიგიანად მიდიოდა. ვმუშაობდით ორივენი. კოოპერატიული ორთახიანიც ავიშენეთ. მე არ ვსვამდი, ცოლს სეირნობა არ უყვარდა, მეტი რა უნდა ოჯახს. არ უნდა ვიყო გლახა ქმარი, ჩემი ჭკუით. არ ვსვამ-მეთქი, გითხარი, ძუნნი და კაცებში გამოწყვეტილი არა ვარ. თუ საშუალება მქონია, არც ჩასაცმელ-საყიდელზე მითქვამს მისთვის უარი. თვითონაც, ცოდვას ვერ ვიტყვი, დიდი მომთხოვნი და პრეტენზიული ქალი არ იყო. უყიდდი, მადლობას მეტყოდა, არ უყიდდი – არ დაგემდურებოდა.

არც ისეთი გულუბრყვილო და მიამიტი მამაკაცი ვარ, ცოლს რომ ბრმად ენდობა და მერე თავში საცემად გაუხდება საქმე. ვიცოდი, ქალი მაინც ქალია და ვცდილობდი ის-

ეთი სიტუაცია არ შემექმნა მისთვის, რომ არჩევანის წინაშე დამდგარიყო. დასასვენებლად მარტო არ ვუშვებდი, სამსახურიც ისეთი შევურჩიე, მივლინებებში არ უწევდა წასვლა. დილით ხომ ერთად გავდიოდით, სალამოსხანს თითქმის ერთდროულად ვბრუნდებოდით. არ უყვარდა დაგვიანება. არც კრებობია-აქტივისტობიის მოყვარული იყო. მასიურ ღონისძიებებში თითქმის არ მონაწილეობდა. ათასში ერთხელ თუ დაბადების დღეზე დაპატიჟებდნენ, მეც თან წამიყვანდა.

მაინც ეჭვი მექონდა. ხომ იცი, ცოლს ეჭვიანი მზერა არ უნდა მოაშორო. იქნებ არც ისეა საქმე, როგორც მე მეჩვენება, რამეში არ ვტყუვდებოდე-მეთქი და ერთი-ორჯერ შევამოწმე. ვითომ დილიდან კარტოფილის ასაღებად წაგვიყვანეს, ან ვითომ, ოთხდღიან სასწრაფო მივლინებაში მიკრეს თავი. ქალაქიდან გასულს რომ დაგიგულეებს, ქალი, თუ უძრახი საქმის მაქნისია, მაშინ იხელთებს დროს. ან შინ მოიყვანს კუროს, ან თვითონ წავა. ბარე ორი ქალი დალაპარაკებია ლოგინიდან თავის ქმარს მივლინებაში, როგორ ხარ, როგორ იმგზავრე, თბილი საცვალი ჩაიცვი, არ გაცივდე, თავს მოუარეო, ისე რომ საყვარელი გვერდით ეწვა და ჭიპზე უსვამდა ხელს. დარბის მივლინებაში მყოფი პინგვინი მეორე დღეს ცოლის წუხანდელი ზარით ფრთაშესხმული მაღაზიიდან მაღაზიაში, აბა, რით გავახარო ჩემი ერთგული ცოლი, სად ვიშოვო ისეთი პენუარი და ბუზჰალტერი, ჩემს თანამეცხედრეს რომ მოეწონებაო. მე, გითხარი მისი არ იყოს, ასეთი ყრუალა და ბრმად დამჯერე ქმარი არ ვიყავი. შევამოწმე-მეთქი, ხომ გითხარი, მოვბრუნდი შუადღეგადასულზე, თუ რაიმეს ჩამდენია, ახლა გამოჩნდება-მეთქი. გაგიგონია? ზის ჩემი ცოლი მარტო ღუმელთან და ჩემს პერანგს კემსავს, არ დაიჯერებ ასეთი ცოლისას?

აი, ამნაირმა ცოლმა მიყო, რაც მიყო. შარშან კურორტიდან გამექცა. სამი დღე გვექონდა დარჩენილი საგზურის

ბოლომდე. ბილეთები, რასაკვირველია, ალბულის გვეკონდა. დაჰკრა ფეხი და გამექცა. რა ღმერთი გაუწყრა, ვერ გავიგე. დამსვენებელს გაჰყვა, ერთ უღირს და უგვანო ვინმეს, ყაზანელ სალახანას. მივწერე ორჯერ წერილი. დეპუტაც ვაფრინე, პასუხი თვენახევრის მერე მომივიდა. „დამივინყე, ხომ აგისხენი ყველაფერი, მე ბედნიერი ვარ. განქორწინებაზე, რა პირობითაც გინდა, თანახმა ვარ. განცხადება დროზე შეიტანე, ჩვენი შერიგება, ათასი წელიც რომ ვიცოცხლო, არ მოხდება“.

რა ამიხსნა? არაფერიც არ აუხსნია. ნასადილევს დომინოს სათამაშოდ ჩავედი ბიჭებთან და გვიან რომ დავბრუნდი, წერილი დამხვდა მაგიდაზე: „ნავედი, არ გენყინოს, თუ შეგიძლია, მაპატიე კიაზოს მივყვები ცოლად. ასეა საჭირო. ფული ოცდაექვსი მანეთი მიმაქვს. ბილეთი დააბრუნე, მშვიდობით“. ა, ეს იყო მისი ახსნა. რასაკვირველია, მეორე დღესვე ადმინისტრატორს გამოვართვი კიაზოს მისამართი, მაგრამ ჩასვლით არ ჩავსულვარ. რაზე უნდა ჩავსულიყავი. მეც მაქვს ჩემი თავმოყვარეობა. მინდოდა სამსახურში მიმეწერა, ასე და ასე ჩაიღინა თქვენმა თანამშრომელმა, დღისით, მზისით, ყაჩაღურად ცოლი წამართვა-მეთქი. მაგრამ ჩვენთან, ადგილკომში მითხრეს, არ ღირს დავიდარაბის ატეხვა; ჯერ ერთი, ის კაცი რა შუაშია, ცოლი შეერთო, ხომ არ მოუტყუებია და მიუტოვებია, ესეც არ იყოს, არც შენი ცოლი იყო არასრულწლოვანი, ფორიანი კამფეტებით რომ შეეტყუებია ოთახში, ორივემ ის გააკეთა, რაც უნდოდათ, შენ შენს გზას ეწიე, ეს აჯობებს ყველაფერსო. გავჩერდი მეც, რა უნდა მექნა.

ექვსი თვის თავზე გაგვაქორწინეს. ექვს თვეს თურმე უფლება ეძლევა მოღალატე ცოლს კარგად აწონ-დაწონოს ყველაფერი. ხომ შეიძლება გადაიფიქროს. ჩემმა, როგორც ჩანს, არ გადაიფიქრა. განქორწინების სასამართლოზე ორივენი ჩამოვიდნენ. მე, გითხრა სიმართლე, არც

ერთს არ დავლაპარაკებოვარ. თავმოყვარეობის ამბავია, რა უნდა მეთქვა. ჩვენს შორის დარჩეს და ერთად შეძენილი ქონების ნაწილი გამიყო, მაგრამ ბინაზე პრეტენზია არ განუცხადებია. ბინა მთლიანად დამიტოვა. მაინც ნამუსიანად მომექცა, ესეც არაა პატარა საქმე.

ახლა უშუალოდ ფაქტზე მოგახსენებ: ერთ „ზაფხულში“ ვიყავით ჩვენც და ის ყაზანელიც. შავულვაშა, მეზორნესავით გრძელხელება, კაფანდარა კაცია, ასე, ჩემი ხნის, ჰა, ჰა, ორი წლით უმცროსი იქნება. სულ კაცებში იდგა, რაღაცას ჰყვებოდა, თავისებურ სისულელეს ალბათ, სადაც კი გამოჩნდებოდა, ირგვლივ ხითხითს აყენებდა. თავიდანვე არ მომეწონა. ხომ არიან ხმაურიანი, ცოტა უტიფარი კაცები.

ჩასვლის ასე, მესამე თუ მეოთხე დღეა, კინოს რიგში ვდგავართ, ჩვენს წინ ოციოდე დამსვენებელია, ეს ყაზანელი, ეს ჩემი ცოლის მომავალი ქმარი, სალაროსთან დგას, გამოგვხედა, უცნობია, რასაკვირველია, ჩემმა ცოლმაც შეხედა ისე, ჩვეულებრივად, მაგრამ მაინც არ მომეწონა ეს თვალის გამტერება.

სანამ კინო დაიწყებოდა, ავამუშავე ჩემი ფანტაზია და ცოლს ვუჩურჩულე: ის ცხენის ბიძაშვილი, მეჩხერკბილება აყლაყუდა, რიგში რომ გამოგხედა, გუშინ ბილიარდს მეთამაშებოდა, წარმოუდგენელი ფრაერია, ოთხი შარი მივეცი და მოვუგე-მეთქი. რასაკვირველია, ვიცრუე, მაგრამ მინდა, როგორმე დაუსწრებლად შევაძულო ჩემს ცოლს. მაშინ როგორც შევატყვე, ჩემი სიტყვები თანამეცხედრეს აინუნშიც არ ჩაუგდია, ჩემი მობილიარდე პარტნიორით არ დაინტერესებულა.

მეორე დღეს ნასადილევს, ხეივანში რომ ვსეირნობდით, ვილაც ქალს მოაპორნიალებდა, ჩავვიარა და ისევ გამოხედა ჩემს ცოლს. არც ახლა გავუშვი შანსი ხელიდან: „მთელს დასასვენებელ სახლს თავი შეაძულა, ამბობენ, დიდი ქა-

რაფშუტა და დონ-ჟუანი ვინმეა. ქალს, ვინც არ უნდა იყოს იგი, დალაპარაკებისთანავე თურმე ოთახში ეპატიჟებამეთქი“.

„ყველას? ნუთუ ამხელა კაცს წმინდა არაფერი უნდა გააჩნდეს. როგორ შეუძლია, ღმერთო“. – შეიცხადა ჩემმა ცოლმა და ვიგრძენი, რომ მიზანს მოვახვედრე. ჩემი მომავალი მეტოქის (არ ვიცი იმ ორი გამოხედვით რატომ მივიჩინე მეტოქედ) შეძლებების პირველი ქულები აღებული იყო.

თითქოსდა სპეციალურად, ნერვებისმომშლელად ხშირად გვხვდებოდა. ან სასადილოს შესასვლელთან (გულზე ხელს მიიდებდა, განზე გადგებოდა და გზას დაგვითმობდა), ან კიპაროსების ხეივანში, ან ლიფტის რიგში. რატომღაც ნაცნობებად გვთვლიდა, თუმცა ოფიციალურად არავის წარუდგენივართ ერთმანეთისთვის. გაუბედავად გაგვიღიმებდა, მთლად მოსალმებასაც ვერ გვიბედავდა და არც აღარაფერი აკლდა. ამასობაში მე, რაც შემეძლო, ვმუშაობდი. ჩემს ცოლს მგონი ისიც კი შევუთხზე, რომ სექსუალური მანიაკი უნდა იყოს-მეთქი. გუშინწინ ვილაც ქალი შეუტყუებია ოთახში და ძლივს გამოუწინკნიათ-მეთქი ხელიდან. თავზეხელაღებული, ხეპრე ვინმეა-მეთქი. მასეთებს საიდუმლოს შენახვა არც კი შეუძლიათ. თავის სალოგინო თავგადასავლებს მეორე დღესვე ქვეყანას მოსდებენ-მეთქი. თუ ქალი დაიმარტოხელა, მაშინვე, ყოველგვარი შესავლის გარეშე, ხვენწა-კოცნა-ფერებაზე გადადის-მეთქი“.

ასე ვატრიალებ ჩემი ფანტაზიის კარუსელს. ერთხელ სეირნობისას, ჩემი ცოლი, რომელიც ამ თემაზე ყოველთვის ყურადღებით მისმენდა, უეცრად შეჩერდა და ამოოხვრით თქვა:

– ღმერთო ჩემო, რა საშინელებაა!

გამარჯვებას ვზეიმობდი. მეგონა, მიზანს მივაღწიე. მეგონა, ჩემი ცოლი იმ უტიფარ ყაზანელს სხვა თვალთა აღარ შეხედავდა.

და როგორ ფიქრობ, სწორედ მას გაჰყვა. როდის, სად დაელაპარაკა. თითქოსდა გვერდიდან არ მომცილებია. სად შეხვდა, როდის შეთანხმდნენ ცოლ-ქმრობაზე. ან ამ ჩემს პროფილაქტიკურ ღონისძიებას რატომ არ გაუწია ანგარიში ჩემმა ყოფილმა ცოლმა? რა მოხდა საერთოდ, ამდენი ხანია ვფიქრობ და ვერ გამირკვევია.

მოდით და გაუგე ქალს რამე.





## ლეილ-მაჰნუნიანი

ხარიტონ ქელიძე სამსახურიდან უგუნებოდ დაბრუნდა. „გადაგიშენდათ პატრონი!“ შეულრინა ეზოში მორიალე ბატებს, ჭოლოკი ესროლა და თავნისკარტაშვერილ გაზნექილ, ჭიშკრისკენ გაქცეულ, გაოცებულ ფრინველებს, მგონი, ქვაც მიაყოლა. ხარიტონი ყოველთვის ცუდ ხასიათზე იყო, როცა ადრე და ფხიზელი ბრუნდებოდა. იგი ადგილმრეწველობაში გიდელების მქსოველად მუშაობდა. გიდელი ამ ბოლო დროს აღარ სალდებოდა და ხარიტონის უქეიფობის ერთ-ერთი მიზეზი, რა თქმა უნდა, ესეც იყო.

ჭიშკარი მიუგდო. სამზადს უკნიდან მოუარა. „უკანა ეზოშიც ხომ არ ფუთფუთებს მეზობლის საყოლიო“. კისკისი რომ მოესმა, ლაფაროში შეჩერდა, გაირინდა.

ვინრო, სამეზობლო კარზე, იდაყვებით ჩამოყრდნობილი, მისი მეთექვლასელი გოგო – ზაირა დღესაც ხაბურძანის ბიჭს – ლერის ელაპარაკებოდა. ლერიც მეთეში იყო, ოღონდ, როგორც მეზობლები ამბობდნენ, მეშვიდეში გახლდათ ჩანარჩენი და დედამისმა ეს მეორე წელია, რაც მეთხუთმეტე სკოლაში გადმოიყვანა. ხაბურძანიები ხიდსგალმა, ბალახვანში ცხოვრობდნენ და ტერიტორიულად რკინიგზის სკოლას უფრო ეკუთვნოდნენ.

– ჭკუა არ გაქვს ამხელა ბიჭს თავში? – თავის გოგოს მიერ გარკვევით დასმულ კითხვაზე გააფაციცა ყურები ხარიტონმა.

– რაიტო? – უტიფრად იცინოდა ბიჭი.

– აპა, რასაც შენ ლაპარაკობ, ჭკვიანი ილაპარაკებს მაგას? ნადი ახლა, ნადი.

– თუ არ მეტყვი, არ წავალ.

– ნადი, ნადი, ხვალ ვილაპარაკოთ. ნადითქვა, ბიჭო, სახ-

ლი დამწვარი ხვარ გაქვს შენ? წავედი ახლა მე. მგონია ვი-  
ლაცა შამევიდა ეზოში.

– ნადი, ბატონო. მე დავჯდები აგერ და ასე ვიქნები ა,  
დილამდე.

– იყავი, რა მენალვლება... ნადი ახლა, თვარა აღარ  
დაგელაპარაკები, დედას ვფიცავარ.

ხარიტონმა გაიხედა. ისე ჩაფრენოდა ზაირა კარის თავს,  
რომ აშკარად ჩანდა, არც თვითონ აპირებდა სახლში შემოსვ-  
ლას და არც ის უნდოდა, საბურძანისას ბიჭი წასულიყო.

ხარიტონი შებრუნდა, კიბე აირბინა და ლუმელთან წახრილ  
ცოლს, რომელიც კვამლნაჭერილ ცეცხლს სულს უბერავდა,  
კარის მიჯახუნებით ამცნო მოსვლა. სანამ ცეცხლი არ გაა-  
ჩალა, ცოლი არ შემობრუნებულა. წამოდგა, მუხლებზე ხელი  
ჩამოისვა და ქმარს შეხედა.

– მოხვედი?

– სანამ უნდა ელაპარაკოს ახლა იმ ბურძგლა ბიჭს შენი  
ძღაბი, გამაგებინეთ ერთი?!

– ელაპარაკება? ახლა აქ იყო ზაირა, ამ წუთში, ცომზე  
წყალს მისხამდა.

– არ უთხარი შენ, რაც გითხარი მე?

– შენ თვითონ უთხარი, ბატონო, მე რაფერ მეტქვა. ხან  
ამხანაგი მოუვა და ხან მეზობელი. აბა რავა გინდა, დიდი  
ანი.

– დაუძახე-თქვა ამ წუთში, გელაპარაკები. არ გამანწინოს  
თმები ღერ-ღერა! ამხანაგი არ ვიცი მე. საბურძანისას ბიჭს  
ვსდიო ახლა ვენახბოლოში, ასე წევიდა ჩემი საქმე?

– კაი, ხო, წუ იცი გადარევა. – ცოლი გავიდა და ორიოდ  
წუთში დედა-შვილი ერთად მობრუნდნენ. ზაირამ ნიგნების  
ჩანთა აიღო და მაგიდაზე კითხვამობეზრებული მონაფის  
იერით დააბერტყა. ნიგნი გაშალა, მარჯვენა ხელისზურგს  
ნიკაპი დაადო და, ალბათ, კითხვას შეუდგა. ყოველ შემთხ-  
ვევაში, გეგონებოდათ, კითხულობსო.

ცოლმა ვედრო აიღო და გავიდა.

– სხვა ამხანაგი არ გყავს, გოგო, შენ? – ფანჯარას უთხრა ხარიტონმა.

ზაირას ხმა არ ამოუღია. პირიქით, ტუჩების ცმაცუნით განაგრძო კითხვა. აქაოდა, ბეჯითი მოსწავლე ვარ, ამ დროს ჩემი მოცდენა შეიძლებაო?

– სხვა ამხანაგი არ გყავს-თქვა, გოგო, შეენ?! – ხარიტონი არ ხუმრობდა.

– რაზე მეკითხები? – ზაირას წიგნისთვის თვალი არ მოუცილებია.

– მერამდენჯერ მოგაცილა ახლა საბურძანიათ სახლში?

– მე არავის მოვუცილებივარ.

– აბა მე მომაცილა? ჩემი ხათრით მევიდა აქანა?

– ჩემთან რა გინდა, ვერ გევიგე. მე მევიყვანე? მე ჩემი გზით წამოვედი. რა ვიცი მე, ვინ დადის ქუჩაში.

– არ იცი ხომ? თავის მოჭრა მაკლია ახლა. ისედაც წინაა ჩემი საქმე.

– მე გეუბნები, არაფერი არ ვიცი-თქვა, ბაბაია. მოდის და არ დაველაპარაკო? დავემდურო კლასელს?

– ისე დაელაპარაკე, რავარც სხვა კლასელებს ელაპარაკები, არ გესმის შენ?

– მე ყველას ერთნაირად ველაპარაკები.

– ერთნაირად რომ ელაპარაკებოდე, არ მოვიდოდა ის ბიჭი ჩემს ქიშკართან. არც მეზობელი იცი შენ და არც მტერ-მოყვარე. თუ გგონია, უხარია ქვეყანას, ატუზული რომ ხარ ლობესთან გაზის ბალონით.

– არაფერიც ატუზული არ ვარ მე. მეზობლების გულიზა, ახლა, პირს ვერ ევიკრავ.

– უყურებ ამას, რავა მიტლიკინებს ენას? ზაირა, შენ იმ ღვედს ხედავ კედელზე? მითხარი, ხედავ?

ზაირას კედლისკენ არ გაუხედავს. იცოდა, კედელზე სქელი ტყავის ორორნახვრეტიანი ქამარი ეკიდა. ის ქამარი ხარი-

ტონს ჯარიდან ჩამოჰყვა. ეს ადრე იყო, ზაირას დაბადებამდე ორი წლით ადრე, ათას ცხრაას სამოცდათერთმეტ წელს.

იმ დღეს საუბარი ამით დამთავრდა. მეორე დღეს არაფერი და მესამე დღეს, სამსახურიდან კვლავ ადრე და უგუნებოდ მობრუნებული ხარიტონი ისევ წაანყდა ლობესთან მიმჯდარ ხაბურძანიას, რომელიც ჯაყვით თხილის ჯოხს თლიდა. ზაირა ახლომანლო არ დაულანდავს. შეიძლება კატასავით ფრთხილმა გოგომ ჭიშკრის ჭრიალი გაიგონა და სამზადში შევარდა. შეიძლება, დანამდვილებით ვერ გეტყვით. ცოდოს ვერ დავიდე.

– მოინი შენ აქეთ, ბიძია! – ხარიტონმა საჩვენებელი თითის მოკაკავითაც გაამაგრა თავისი თხოვნა.

ლერიმ ჯაყვა დაკეცა, ჯოხი მოისროლა, ცხვირსახოცი, რომელზეც იჯდა, აიღო, გაფერთხა, ოთხად გაკეცა და ჯიბეში ჩაიღო. მასპინძელს კიდევ ერთხელ გამოხედა, ხელში ხომ არაფერი უჭირავსო და ზანტად წამოვიდა.

ისინი კარგა ხანს თვალთ ზვერავდნენ ერთმანეთს. სიჩუმე ხარიტონმა დაარღვია.

– რომელი ხაბურძანიასი ხარ შენ?

– ხიდგალმა ვცხოვრობ, ბალახვანში. მამაჩემი არ გეცოდინებათ, ლიტოფონში მუშაობს.

– მამაშენს ღმერთმა ხელი მოუმართოს, მარა რა გინდა ყოველდღე აქანა, ამ ჩემს ეზო-ყურეში? რა გეგულება ერთი, ლოთიანად, ამიხსენი.

– ზაირას კლასელი ვარ, ნიგნზე მევედი, არ შეიძლება?

– მე ვიცი, რაცხა ნიგნზე დადიხარ, ბიძია, შენ აქანა და სანამ წყნარად გელაპარაკები, ჭკუას მოუხმე პატარა.

– მართლა ნიგნზე მევედი, არ შეიძლება? – ლერი მეგიდელეს თვალეში შესცქეროდა. ამ შიშგარეულმა სითამამემ უფრო გააღიზიანა ხარიტონი, მაგრამ არ შეიმჩნია.

– გუშინაც ნიგნზე მოხვედი, გუშინწინაც? შენი მოსატყუარი კბილები მე კაი ხანია მევიცვალე. ნაი ახლა, ხაბურძანია,

სახლში და ჩოუკვირდი შენს საქმეს. არ მინდა გლახა სიტყვა გაკადრო.

– კლასის ამხანაგი ვარ, – ხმა შეუხრინწიანდა ლერის.

– კლასის ამხანაგი კლასში ვიცი მე. თუ ეს ჩემი ძღაბი გეუბნება, გამომაცილეო, მითხარი და სიგრძეს სიგანედ მოვუქცევ.

– არა, ბიძია, მაგი არაფერს არ მეუბნება, ჩემით მოვდივარ წიგნზე.

– აბა, ახლა ასე შევთანხმდეთ: მეტი აქანა წიგნზე მოსული არ დაგინახო. სხვას მიაკითხე წიგნზე. არ მინდა განყენინო და ტკბილად გელაპარაკები, თვარა მე რომ მყრალი ლაპარაკი ვიცი, მტრისას გეიგონე, რაც გითხარი, ხაბურძანია?

– კი, ბატონო! – ხაბურძანიამ ნახევრად გათლილი თხილის ჯოხი აიღო და ნელა, თავდახრით ქუჩისკენ გააბიჯა. ფეხს არ აუჩქარა. „უფროსი რომ ხარ, იმიტომ გემორჩილები, თორემ არც მეშინია შენი და არც ისე ფეთიანი ვარ, შენმა დარიგებამ სამუდამოდ რომ დამაფრთხოსო“, ფიქრობდა ბალახვნელი მოსწავლე.

ეს საუბარი ჩვიდმეტ ოქტომბერს შედგა, თვრამეტ ოქტომბერს პირველი გაკვეთილი რომ დამთავრდა, ლერი კედლის გაზეთს მიჩერებულ ზაირას გვერდით ამოუდგა. კედლის გაზეთზე გაუნაფავი ხელით ტანკი ეხატა. ტანკს უკან აფეთქების კორიანტელი იყო დახატული. კაცმა რომ თქვას, არც წინიდან ადგა ტანკს კარგი დღე. ნახატის ირგვლივ შეჭრილ-შემოჭრილად რაღაც ეწერა. კედლის გაზეთის წასაკითხად ჩვენს გმირებს ახლა ნამდვილად არ ცხელოდათ.

– რა გითხრა? – ტანკს ააყოლა თვალი ზაირამ.

– არაფერი ისეთი. ნულარ მოხვალ, თორემ სხვანაირად მოგელაპარაკებო.

– შენ არ შეგეშინდეს. მაგას ენა აქვს მასეთი, თვარა მართლა კი არ გაგლახავს.

– გამლახოს, თუ დამიჭერს. წიგნზე მოვედი-მეთქი. – აქ ლერის გაეცინა – ვიცი მე, რა წიგნზეც დადიხარ შენო. შენ გითხრა რამე?

– არაფერი. ისე ვიყავი შეშინებული, წიგნისთვის მთელი საღამო თვალი არ მომიცილებია.

– აბა გეცოდინება გაკვეთილები ღმერთივით.

– კი, ნამეტანი. ისტორიას დავაკლავდი თავს? სანყალ პუგაჩოვს უშველებელი წვერები მივახატე.

– წვერები აკლდა პუგაჩოვს? პუგაჩოვთან რა გინდოდა, რამდენი ხანია გავიარეთ.

– ისე მქონდა გადაშლილი, ფასონათ. ლერი.

– ჰო.

– დამანებე რა, მართლა თავი, ნუ გადამირევ მამაჩემს.

– შენ ეს მითხარი, გიყვარვარ?

– გუშინდელს მერე – კი.

– აბა, ჩემი საქმე, მე ვიცი...

იმ დღის შემდეგ, სტადიონის გადასახვევამდე, ცოტა იქეთ, ბიბლიოთეკამდე მიაცილებდა ხაბურძანის ბიჭი ხარიტონ ქელიძის ლამაზ გოგოს, დაემშვიდობებოდა და საკონსერვო ქარხნის შესახვევს ცხოვრებაგანაღებულ კაცის სტვენით დაადგებოდა.

ახალი წლის წინა დღეს სამსახურიდან, ცოტა არ იყოს, შეჟუჟუნებული დაბრუნდა ხარიტონი. ჯერ იყო და ამოჩემებული „შენი გული ჩემი გულით“, დაღალა ოჯახის წევრები, მერე ტელევიზორი აჩხაკუნა და საინტერესო რომ ვერაფერი დაიჭირა, გამოართო. ხან წიგნს მიჭიჭინებულ ზაირას გახედავდა, ხან კაკლის ტეხვაში გართულ ცოლს.

– იყავი სკოლაში?

– ვიყავი. – მიუგო ცოლმა.

– ისევ სამი აქვს ისტორიაში?

– ხომ გითხარი. ისტორიას თუ არაფერი მიუგუტანეთ, სამს არ მოაცილებს-თქვა.

– მივუტანთ, ბატონო, მივუტანთ. ცოტა ამ ჩვენმაც ქე უნდა გამოიღოს ხელი. გაანძრის ტვინი ცოტა. რა უნდა ისტორიის სწავლას.

– სწავლობს, მარა სწავლა არ გადის მაგასთან, ქე იცი შენ.

ხარიტონმა გაზეთი აიღო, გაშალა, აათვალიერ-ჩაათვალიერა, ისევ დაკეცა და დადო.

– ი ბიჭი რავა არი, ხაბურძანიას ბიჭი. შემოჩვეული რომ მყავდა და რომ ვიფრინე აქედან.

– მერე კაი ქენი? აღარც ელაპარაკება თურმე ბავშვს, ისეა დამფრთხალი. შვილის ამხანაგის სახლიდან დათხოვნა გამიგონია? რავა, სახლში კი არ ჩაბერდება. ამხანაგიც გამოუჩნდება და ყველაფერი. ასე უნდა გამოეკიდო ყველას?

– მე არავის არ მივსდევ, ბატონო... თავის დრო და წესი აქვს ყველაფერს. ჯერ მაგას საამხანაგოდ არ ცალია. ჯერ ისტორიის სამიანს მოუაროს... და საერთოდ... რავა, მე ის კი არ მითქვამს, ნულარ დაელაპარაკები-თქვა, თვითონ ყოფილა გლახა, თუ ასე შეეშინდა, მე ვუთხარი; ამ ჩემს ვენახბოლოზე სალამო-სალამოობით მოსვლა არაა, ბიძია, ლამაზითქვა. მე ქვა არავისთვის მისვრია, ადამიანიშვილი ვარ მეც და ყველაფერი ქე ვიცი...

ზაირა კი აფართხალებული გულით და მოგუდული დიმილით ჩასცქეროდა ისტორიის სახელმძღვანელოს და რასაც ფიქრობდა, იმ მკითხველს მშვენივრად მოეხსენება, ვინც თექვსმეტს გადასცდა. ხოლო თექვსმეტწლამდე ასაკის მკითხველმა, კეთილი ინებოს და, ცოტაც მოითმინოს, მალე გაიგებს.



## მეცხრეკლასელის დღიურიდან

ნოემბერი ქარიანი იცის ჩვენს ქალაქში.

ფოთოლცვენა კარგა ხანია დაიწყო.

ქუჩაზე, რატომღაც, უფრო მეტი ფოთოლი ყრია, ვიდრე ახლომახლო ხეებზე იყო.

ირგვლივ საყელოანეული და ჩქარი ნაბიჯით მიმავალი მოქალაქეები ირევან. მოხუცებს ყველაზე ჭკვიანურად აცვიათ, შუახნისანი ქუდეებს დაეძებენ. გოგონები გულზე მიხუტებული ჩანთებით გარბიან და აბეზარი ქარისგან აფრიალებულ კაბებს ხელით იჭერენ. ჩემხელა ბიჭები თავშიშველი ჩანან და ყოველ მოსახვევთან ქოჩორს ისწორებენ. ჩემხელა ბიჭები არ ჩქარობენ. ისინი ხმაურით მიჰყვებიან ტროტუარს და გამვლელ-გამომვლელს თვალს აყოლებენ. ჩემხელა ბიჭებს არ სცივათ. მეცხრე კლასში ვარ მე.

რა მინდა ამ დროს ქუჩაში? გაგეცინებათ, „მშობელს“ დაეძებ. რუსულის მასწავლებელმა ლოლა სანებლიძემ მშობელი დამიბარა. თანაც დღესვე, ნახევარ საათში უნდა დავბრუნდე სკოლაში მშობლიანად. დედა სამსახურშია, მამა მივლინებაში, ბებიაჩემი ბაზარში წასულა. ჰოდა, ასე ნაუცბათევად საიდან გამოვინერო მშობლები? ქუჩაზე კი ძალიან ბევრი მშობელი დადის. სხვა გზა არა მაქვს ვილაცას უნდა შევეხვეწო, სკოლაში მიმყვეს. ის ჭალარათმიანი კეთილი კაცი ჩანს, მაგრამ ეტყობა, ძალიან ერქარება. ეს ქერათმიანი... არა, არ გამოდგება. ძალიან ახალგაზრდაა. ეს პლაშჩიანი ზედგამოჭრილია. ღმერთო მიშველე!

– მაპატიეთ.

– გისმენ, ბატონო.

– არ გამიჯავრდეთ, ცოტა უცნაური სათხოვარი მაქვს.



- რა გაქვს?
- სათხოვარი.
- აბა ჰე.
- მინდოდა სკოლაში წამომყოლოდით.
- რა საქმეზე?
- მშობლად.
- დაიცა, კარგად ვერ გავიგე.
- ლოლა პლატონოვნამ მშობელი დამიბარა. თქვენ ვითომ ჩემი ბიძა ხართ – შორეული ცურვის კაპიტანი. მიმყვებით სკოლაში, მოისმენთ რუსულის მასწავლებლის საყვედურებს. დაჰპირდებით, რომ უსათუოდ დაარიგებთ ჩემს მშობლებს და თქვენც პირადად დაინტერესდებით ჩემი გამოსწორებით.
- მერე?
- მერე, თუ ახლოს ვიქენი, პლატონოვნას შესახედავად დამტუქსავთ. ყასიდად ყურსაც ამინევთ. ოღონდ არ მატკინოთ. მარცხენა ყური ისედაც მტკივა.
- უცნობს გაეცინა.
- რა გაცინებთ? – ვკითხე მოსალოდნელი უარით შეშინებული.
- ცოტა უცნაური და უჩვეულო დავალებაა.
- რას იზამთ. ამ საქმეში მთავარი სერიოზულობაა. თუ პლატონოვნასთან გაგეცინათ, დავიღუპებით. წავიდეთ?
- დაიცა, რა დააშავე ასეთი? – მკითხა და მხარზე ხელი დამადო.
- ჩვეულებრივი ისტორიაა. რუსულის გაკვეთილზე სირუმი რომ ჩამოვარდა, ჩანთიდან ღამურა ამოვაძვრინე, ფეხები შევუხსენი და შავ, ტიტველ ფრთებზე სული შევუბერე. ღამურამ ორჯერ შემოუფრინა კედლებს, მერე დაფას შეასკდა და ნისკარტგახეთქილი დაეცა ძირს. ბავშვებს არ გასცინებიათ, მაგრამ მე მაინც დამიბარეს მშობელი.
- ოო, საქმე არც თუ სახუმროდ გვექონია, წავიდეთ.
- წარმოიდგინეთ, როგორ გამეხარდებოდა.

მოსახვევის ბოლოს ახალი გზა გაჰყავთ, იგი დანგრეული სახლების, ამოთხრილი ხეების და მოშლილი ლობეების ხარჯზე ნელა, ძალიან ნელა მიდის სტადიონისაკენ. გუშინ ეს მწვანე ჭიშკარი ისევ ჭიშკრობდა. აქეთ, გზის შუაგულში, გრუხუნებს ბულდოზერი და მთელი ქვეყნის მიწას ერთ ადგილას აგროვებს. ვერ იქნა და ფეხი ვერ ავუწყე. ისე ჩქარა მიდის ეს დალოცვილი, ასკინკილით ძლივს ვუსწორდები. ნეტავ ვინ არის, რა კაცია, ასე ბრმად რომ ვანდე მშობლობა?

– როგორ სწავლობ?

ამ შეკითხვას დიდი ხანია ველოდი.

– მეხუთე კლასამდე ფრიადოსანი ვიყავი, როგორც ყველა. ისე, ალგებრის მაგალითებს ყოველთვის ვიყვან.

– რა გქვია?

– ვაჟა ჯღამაძე.

– რომელ კლასში ხარ?

– მეცხრეში.

– კარგი კლასია?

– სულ ოცდახუთნი ვართ. ჩვიდმეტი ვაჟი და რვა გოგო. ყველანაირი ხალხია. თქვენ რა გქვიათ?

– გურამი.

სამასწავლებლო მეორე სართულზეა. პირველი სართულის დერეფანში სამ ადგილას ჰკიდია შავად გაფორმებული წარწერა: „გაკვეთილების დროს აკრძალულია დერეფანში დგომა და ხმაური. შესვენების დროს კი ვესტიბიულში ბურთის თამაში, თავდაყირა სიარული და საკლასო ოთახებში ველოსიპედით ან ფეხბურთელის ფორმით შემოსვლა“. სამასწავლებლოში მარტო ლოლა პლატონოვნა ზის და უსათვალოდ კითხულობს გაზეთს. მე პირველად ვნახე იგი სათვალის გარეშე. პლატონოვნა მხოლოდ მაღალ კლასებს ასწავლის.

– აქ არის, ფანჯარასთან ზის. – ჩურჩულით ვაუწყე „ბიძაჩემს“ და კარებს მოვშორდი.

- დაიცა, ერთად შევიდეთ.
- ჯერ თქვენ შებრძანდით - დავუთმე.
- აბა ჰე, შევიდეთ. შეიძლება?
- მობრძანდით.
- მე ისა, უკაცრავად, ჯლამაძის საქმეზე განუხებთ.
- მობრძანდით, მობრძანდით. თქვენ რა ხართ ამისი?
- ბიძა გახლავართ.
- მე ბებია დავუბარე, თქვენ რატომ შენუხდით, პატივცემულო.

- რას ბრძანებთ. სწორედ ახლა მომინია სახლში ყოფნამ. მოგეხსენებათ, შორეული ცურვის კაპიტანი ვარ და ძმისშვილს ყურადღება ვერ მივაქციე.

- არ გრცხვენია, ბიჭო შენ? ამისთანა ბიძის პატრონს არ გრცხვენია? ხომ დაგპირდი, არ დავუმაღავ არაფერს-თქვა.

ჩემს წინაშე სათნოების გამომჟღავნების ყველაზე რთული ეტაპია. იულია მასწავლებელს წინ დავუდექი და თავი, რაც შეიძლებოდა, მარჯვნივ გადავხარე, სიმორცხვისა და სინანულის ნიშნად.

- მძიმე მდგომარეობაა, პატივცემულო. - ამოიოხრა პლატონოვნამ.

- ბრძანეთ. - ჩანს გურამს მაგარი გული აქვს.

- მე საერთოდ დისციპლინა კარგი მაქვს. - დაიწყო მასწავლებელმა.

- დიახ.

- ჩემს გაკვეთილზე ბუზის გაფრენას გაიგონებთ, პატივცემულო. გუშინ კი არ მოვსულვარ მე. სკოლაში დავბერდი ქალი.

- რა ჩაიდინა?

- ღამურა გამიფრინა გაკვეთილზე.

- სად გყავდა, ბიჭო, ღამურა?

- ჩემი არ იყო მას. ბეშქენაძემ მოუყვანა ბიოლოგიის მასწავლებელს, - ვცადე ცრემლი მომწოლოდა თვალებში, მაგრამ არ გამომივიდა.

– ხედავთ, პატივცემულო. თავის პირით აღიარებს ყველაფერს. დღეს კრილოვი უნდა დამენყო. ჩამიშალა გაკვეთილი. პატარ-პატარა დარღვევებში ადრეც მყავდა შენიშნული. ღამურა დიდი დარღვევაა და ამიტომ დაგიბარეთ.

– თქვი, ბიჭო, რამე, – მომიბრუნდა გურამი.

– რა ვთქვა?

– როგორ აფასებ შენს საქციელს.

– ცუდად. – არც დავფიქრებულვარ, ისე ვუპასუხე.

– თქვი ახლა, რა პირობას აძლევ ბიძაშენს? – ბრძანა ქალბატონმა ლოლამ.

– ყოველგვარ პირობაზე თანახმა ვარ. – მშვიდად ვთქვი მე.

გურამს თვალები უელავდა. აშკარად შევატყვე, გაბრაზდა. თავის განზე განევა ვერ მოვასწარი, ყურზე მწვდა და ისე მაგრამ ამქაჩა, კინალამ ვიყვირე – თუ კაცს პატივი ეცი, კეთილ ინებე და ნერვები დაიწყნარე, ვილაცხა ხარ-მეთქი.

იულია მასწავლებელს, ეტყობა, შევეცოდე.

– კარგი, ეყოფა, გაუშვით ახლა, პატივცემულო.

– არა, არ ეყოფა! – გაჯიუტდა „შორეული ცურვის კაპიტანი“.

– კარგი, ცოდოა, მე მგონი საკმარისად დაისაჯა, – შეეხვეწა პლატონოვნა.

– თქვენ არ იცით. მას ეს ყველაფერი კარებამდე არ მიჰყვება! – თავისას არ იშლის გურამი და ყურს მიწრი-ახებს.

– კარგი ახლა, გაუშვით. ყური ეტკინება ბავშვს. მე ხომ ვუთხარი, ბებიაჩემი უნდა მოსულიყო. – აღელდა პლატონოვნა.

– თქვენ ფიქრობთ, ბებიაჩემის ეშინია? ბებია აგდებული ჰყავს.

– მე გთხოვთ, ძალიან გთხოვთ. ახლა მთლად გასამეტებელი კი არაა. – ნუხს ლოლა მასწავლებელი.

მრისხანე ბიძამ, როგორც იქნა, გამიშვა ხელი. მე მაშინვე კარებისკენ მოვუსვი. გურამი კი დიდხანს ესაუბრებოდა დამშვიდებულ რუსულის მასწავლებელს.

შელამებული იყო, გურამი რომ სკოლის კარებიდან გამოვიდა. ღობეზე შემომჯდარს ხელი დამიქნია.

ქვა გადავავდე და წელათრევიტ მისკენ წავედი.

უნდა გამოგიტყდეთ, ქვა წელან, ყურისანევით გამწარებულია ავიღე, რომ გამოვა, ვდრუზავ ზურგში და გავიქცევი-მეთქი.

– მოდი აქ, – პლაშის ჯიბეში ხელები უწყვია და იცინის.

შორიახლო დავდექი. კიდეც არ მსტაცოს-მეთქი ყურზე ხელი.

– გადავრჩით, ხომ?

– შე კაი კაცო, თუ კაცს პატივი ეცი... ეს ყურის ახევა რაღა იყო. ლოლა უარესს რას მიზამდა.

– არ გენყინოს. როლში შევედი. შორეული ცურვის კაპიტანი უბრალო კაცი ხომ არ არის. ცოტა სიმკაცრე უნდა გამომეჩინა... კარგად აბა.

– კარგად.

ხელი არ ჩამომირთმევია. ახლოს არ მივსულვარ. თეთრი ხიდისკენ წავიდა. შეჩერდა, მოიხედა და ხელი დამიქნია. მეც სწორედ მაშინ მივიხედე, როცა ხელს მიქნევდა.



## ლეკი-სანდროს ამბავი

ყველაფერს თავისი დრო აქვს, შვილოსა. თონეში პური მაშინ უნდა ჩააკრა, როდესაც თონე ცხელია. იცი? რა არი კაცის ცხოვრების მთავარი სიბრძნე: ჯერ შენი თავი იცნო და მერე კარგად დაისწავლო, სადა ხარ, ვისთანა გაქვს საქმე. ეგ არის მთელი ფილოსოფია. ბევრი ეგრე ჩადის საფლავში, თუ რაიმე ვერ გაუგია, სწორედ ეგ არის. ანდერძის დანერა ხომ მაინც არ უნდა შეგეშალოს. მიდიხარ ამ ქვეყნიდან (ბერიკაცის ბუნებრივ სიკვდილზე მოგახსენებ), ახლა მაინც ხომ უნდა თქვა სიმართლე. რამდენია ანდერძიანად შემცდარი, შვილო. ვერგაგებული, ვერჩამწვდარი იმასა, თუ ვინ იყო და რა სურდა ამ ნუთისოფლიდან.

ცოდო არ არი? კაცი, ამ თხრილს გადავახტებო რომ ჰგონია, გამაექანება, ჰოპს დაიძახებს და შუა ტლაპოში რომ მოადენს ზღართანსა? ჭკვიანი ტუსალი ციხიდან მანამ არ გაიქცევა, სანამ ოთხმოცდაათი პრაცენტი მაინც არ ექნება იმედი იმისა, რომ სამშვიდობოს გააღწევს. მათ? სიჩქარით საქმეს წაახდენს უჭკუო და მერე რაღას უშველის, გინდამც ფათერაკს დააბრალოს და გინდამც – უიღბლობასა. ჭკვიანმა ტუსალმა იცის, რომა გაქცევის ცდისას დაჭერილ-დაპანლურებულს უარეს დღეში ჩააგდებენ. სასჯელს ხომ მაუმატებენ და მაუმატებენ, უფრო ღრმა ხაროში ჩააგდებენ და ხუნდებსაც დაადებენ, რომ გაპარვა მეტი აღარ გაბედოს.

კარგი საქმე წამაინწყეთ. სულითა და გულით თქვენთანა ვაარ. როგორ არ გამეხარდეს, როცა ამ არეულ დროში, როცა ჩემმა მზემა, ყველაფერი დაკარგული მეგონა, ილიას ფიქრთან მისულხართ და სამშობლოს შველა გადაგინწყვეტიათ. მძიმედ, შვილო, მძიმედ მიჰყეთ საქმესა. ახლა ათასჯერ გაზომვი მეტი

არა გვიხსნის რა. ერთი ჰაიჰარად გადადგმული ნაბიჯი და, იქნება, ყველაფერი წყალში ჩაგვეყაროს. ჩვენივე სიჩქარით ისეთ დღეში ჩავაგდოთ ქვეყანა, რო ახლანდელი სანატრელი გაგვიხდეს, მამა.

დავით აღმაშენებელი, ჩვენი მამა დავითი იმდენად ბრძენი იყო, თავის მტრებსა ხშირად თავისივე მტრების ხელითა სპობდა. ისე შორსგამხედველი გახლდათ, რომა, კარგა ხანს გარს უარა მტრებისგან შეჭირვებულ თბილისსა და სწორედ მაშინ დაჰკრა ურჯულოთ, როცა დრო მაიხელთა, როცა დარწმუნდა, რომ ჩვენი აჯობებდა, ჩვენი გასჭრიდა.

ყველაფერი დროის არშინით უნდა გაიზომოს-მეთქი, დაიხსომე. მყვირალა და ბაქია მტერი საშიში არასოდეს არ არი. მითხრეს; ჯეელები ქალაქში გაჰყვირიანო, ხვალ ამას ვიქმთ და ზეგ ამასაო. საქმის ხალხი, შვილო, ჩუმად არი. ე მაგ ყვირილ-ღრიანცელით მტერს გავაფხიზლებთ და ეგ იქნება. ჩუმად, წყნარად, შეუმჩნეველად ვქსოვოთ ჩვენი ჯაჭვის პერანგი, უხმაუროდ ვლესოთ გორდაი და ძლევის ყიჟინის დრო რომ მოვა, სწორედ მაშინ დავსცხოთ დაფდაფებსა. მე ეგრე მგონია და რა ვიცი, იქნება ვცდები და იქნება თქვენა ხართ მართლები.

ყური დამიგდე. პაპაჩემის ამბავ გეტყვი და, ეგების, რამე გენიშნოს ამ ამბავში. მოკლედ გეტყვი, ვიცი, შენი საქმე გენევა თოკითა და არც მე ვარ, მადლობა ღმერთს, ჯერ ისე მოცლილი, ლაპარაკის იმტა მამერიოს და თავ-ბოლო ვერ გავიგნო სიტყვის ლაშქარშია.

პაპაჩემს ლეკ-სანდროს ეძახდნენ. მეტსახელად „ლეკი“ სოფელმა შეარქვა, თორემა ჩვენს გვარში არც ლეკი სისხლი გარეულა, შვილო, და არც თათრისა. სანაშენე ქართველებიო რომ იტყვიან, სწორედ ისა ვართ.

სანდრო, ცხონებული პაპაჩემი, რვა წლისა დაობლებულა. დედას ყანაში ქმართან სადილი რომ მიჰქონდა, თულები დასხმიან და, შენთან ბოდიში, ნამუსის ახდა დაუპირნიათ.

კვილზე მამაიმისი (სანდროს მამაი) წამოშველებია. ერთად დაუხოცავთ ცოლ-ქმარი ავაზაკებსა და გაქცეულან. ობლად დარჩენილ პაპაჩემსა, თურმე, სამადლოდ სოფელი ზრდიდა. ობოლი კიდე მადლს იმით იხდიდა, რომა, სოფლის ნახირს მწყემსავდა.

ზემთ, ალაზნის ჭალა რომ მთავრდება, ლეკების სოფელი იყო. ჩემს ყმანვილკაცობაშიც ცხოვრობდნენ ლეკები იქა. ორმოცი წელიც არ იქნება, რაც ლეკები იქედან აიყარნენ და გადასახლდნენ. ხმა გამოვიდა, თათრებს რალაცაში ვერ შეენყვნენო. უზომოდ გამრავლებული თათრები, ჩანს, მოერივნენ მთის უბეში მიყუჟულ ლეკებსა და შეავიწროვეს. ლეკებმა კიდე, იფიქრეს, იფიქრეს და გაეცალნენ. იქნებ ეგრეც არ იყო, მე, ჩემი მოკლე ჭკუით, ასე ვჩხრიკავ, ალბათ, ეგრე იქნებოდა-მეთქი.

მაშინ, როცა ეს ამბავი მოხდა, ლეკთა აული კარგა მოზრდილი და მოღონიერებულიც გახლდათ. მათგან მოსვენება არა ჰქონდა ჩვენს სოფელსა. ალაზნი გამოღმა პირველი ქართული სოფელი ქაცვიანი გახლავთ, ჩვენ უფრო აქეთ, სიღრმეში ვართ, მაგრამა, ლეკები ქაცვიანს არ ერჩოდნენ. ჩვენა ვყავდით ნიშანში ამოღებული. რაკი ქაცვიანი ახლოი იყო, ალბათ, კვალის დასაფარავად ჩვენ უფრო გვეტანებოდნენ. საქონელს წაგვალავდნენ, ქალებს გვტაცებდნენ, ქურდ-ბაცაცობასაც არ თაკილობდნენ. ერთი სიტყვით, კინალამ დაბრიყვებული ვჰყვანდით.

ერთ დღეს შვიდი მოთარეშე ლეკი გადმომსხდარა ალაზანს გამოღმა. მოუყნოს-მოუჭალავთ იქაურობა და, ერთიც ვნახოთ, ლელიანში სანდრო აძოვებს ნახირსა. თორმეტი წლის ბიჭი, აბა, რა წინალობას გაუწევდა შვიდ ყაჩაღსა. ამხტარა-დამხტარა სანდრო. ერთს თურმე ქვა ჰდრუზა ზურგში, მეორეს ხელზე უკბინა. ლეკებს ხეზე მიუბამთ და საქონლი შექურება დაუნყიათ. ერთ ლეკს უთქვამს ამხანაგებითვინ: ე ლეკვი მოვიშოროთ, თორემ კარგს არას დაგვმართებსო.



ამოუღია დამბაჩა და უნდა ესროლოს უბედურ მწყემს ბიჭსა. სანდროს ტირილი დაუწყია; რათა მკლავთ, ძიაო. მე ერთი ობოლ-ობერი ვარ, ჩემს წილად ერთი ხბოც არ მამბადია. ეგა სუ სოფლი ნახირია. შინ მაინც აღარ მიმესვლება, თქვენთან წამოვალ. ჩემთვის ერთია, ძროხას ალაზან გაღმა დავუდგები, თუ ალაზან გამოღმაო. ლეკებმა, თურმე, ერთმანეთს გადახედეს; წავიყვანოთ და ვიმსახუროთ, ამის პატრონი ქვეყანაც, ობოლი ყოფილა, ამის მონახვაზე თავსაც არავინ გამაიდებსო.

ერთი სიტყვით, წაუსხამს ნახირი და ზედ მიუყოლებიათ ჩვენი სანდროცა. კარგა ხანს დამწყვედული ჰყოლიათ, მერმე გამაუშვიათ და ხელის ბიჭადა ჰყავდათ თურმე ხან ერთ ლეკსა და ხან მეორესა.

სოფელი რა, ითავცემა სოფელმა უფრო ბაღის და-კარგვაი, ვინემ ნახირისა. აფრინეს კაცები, ხან იქეთ შეთვალეს და ხან აქეთა. ღვთის წინაშე, ჩვენები ალაზანს გაღმა ყინჩად ვერ დადიოდნენ, ეშინოდათ. ლეკები და თათრები კიდე, მოკალი და ერთმანეთს არ გაჰყიდიან. არც ეგეთი ბიჭი გვინახნია და არც ეგეთი ნახირიო. შეურიგდა ბედს სოფელი და ნელ-ნელა დავინწყების ნისლი ეხვეოდა სანდრო ბიჭსაცა.

გავიდა სამი წელი. დამავინწყდა მეთქო, რომა სანდრომ ლეკებ თავიც კი შეაყვარა. მუყაითი და დამჯერე ბიჭის სახელი დაიგდო. ბოლო დროს თურმე ისე ენდობოდნენ, რომ მწყემსადაც გაამწესეს და ლეკების საქონელსაც (რომელშიც, რა თქმა უნდა, სამი წლის წინათ მონატაცები ნახირიც ერია) კი ანდობდნენ მარტოკასა.

მწყემსავს სანდრო ლეკის ძროხასა, გადი-გამოდის ქალაში, ხეებს თარჯს ადებს, რომ მოკლე და საიდუმლო გზა დაისწავლოს. თანაც იმაზეა დარანებული, როდის მაცცილებენ ლეკები თვალსა, რომ დრო იხელთოს და ტყვე ბიჭმა სამი წლის ნაფერები ნატვრა აისრულოს.

ჰხედამ შვილოსა? რა ჭკუა ჰქონია თორმეტ-თხუთმეტი

წლის ყმანვილსა. იმ სამი წლი ტყვეობაში ცრემლი არ შეშრობია თვალზედ, გაქცევის ფიქრი გულიდამ არ ამოუღია. მტერს კიდე თავს აჩვენებდა; შავეგუე მონობას, ჩემი სოფელი აღარც მახსოვს, შენი ერთგული ვაარო.

რალა ბევრი გავაგრძელო, ერთ მშვენიერ დილასა სანდრო-ბიჭმა გამაირეკა ეს ამოტოლა ნახირი, შააგდო ალაზნის ფონსა და სანამ ლეკები შაიტყობდნენ, ლეკი-სანდრო ქაცვიანს კარგა ხნის გამამცდარი გახლდათ.

ახლა შენ იგულისხმე, როგორ გაეხარდებოდა სოფელს სანდროს დაბრუნებაი და არანაკლებ – ლეკობაში ნასუქნაპატივები საქონლისა.

პაპაჩემმა ოთხმოცდაოთხი წელი დაჰყო ამქვეყნად და, როგორც გითხარიყე, ლეკი-სანდროს ეძახდნენ, ხოლო თუ რაიმეს ჰყვებოდა, ცხონებული, ყველაზე ხშირად, სნორედ ლეკთა ტყვეობაში ყოფნის ამბები გახლდათ. ჰყვებოდა და ჩვენც სიამოვნებით ვუსმენდით, თუმცადა, რასაკვირველია, ათასჯერ გვექონდა მოსმენილიც და გაგონილიცა.

რაზედ გაიმბე ლეკი-სანდროის თავგადასავალი? იმაზედ, რომ ერთხელ კიდევ მეთქო შენთვისა; ყველაფერს თავისი დროი აქვ-მეთქი.

არ აჩქარდეთ, შვილოსა, არც აჩქარდეთ და არც ძალიან დააგვიანოთ. ძნელ დროში ვცხოვრობთ, ჩემგან არ გესწავლებათ.

თქვენთვინ ვნუხვარ და მთელი ღამე ამ ბებერი თავითა ვლენავ ჩემი უძილობის ბალიშსა. ვინძლო სიტყვა მაინც შევანო, ე მანდ არაფერი შეეშალოთ-მეთქი.

თქვენთვინა, თორემ, მე რა, მე ორი პარასკევი დამრჩენია, მალე გავისუნთქები ამ წუთისოფლიდან.



## მივლივარ

„აირია ქვეყანა.

იქნებ არეული აქამდე იყო და ახლა დაწყობის ფუსფუსია, მე რომ ქვეყნის არევად მეჩვენება.

მე მაინც არ უნდა მოვსწრებოდი.

ვწელე, ვწელე ეს წუთისოფელი და აი, ამ დრომდე მოვედი. ბედნიერები როგორ არ არიან ისინი, ვინც ადრე წავიდა.

საფლავეში არ მომასვენებს, თუ ახლა დავიჯერე, რომ რასაც სამოცდაათი წელი ვემსახურე, სიყალბე და სიმახინჯე იყო.

ღმერთო, ყველა დაიფარე სიბერეში ამგვარი სიმართლის-აგან.

მოსულიყო ახალი ცხოვრება, მაგრამ იმდენი პატივი მაინც ეცა ჩვენთვის, რომ ისტორიის ჯვარზე არ გავეკარით და საქვეყნოდ არ შევერცხვინეთ.

ახალი გაზეთის გაშლის შიში დამჩემდა ამ ბოლო დროს და ტელევიზორსაც ვუფრთხი. ვაითუ, სტალინის სიკვდილით დამწუხრებულ მილიონებში ჩემი სახეც გაკრთეს ეკრანზე და დიქტორმა უმონყალოდ დამცინოს: – შეხედეთ ამ უბედურს, ამ მოტყუებულ-გაცურებულ კაცსო.

რა გვიქნია, რა სიავენი ჩაგვიდენია.

ლამის ისიც დაწერონ; სამამულო ომის მოგებაც შეცდომა იყო, რომ წაგვეგო, შეიძლება უკეთ წასულიყო ჩვენი ცხოვრებაო.

მემკვიდრე პირველგამსვლელის შეცდომას რომ უკეთ ხედავს, ამას რა კამათი უნდა, მაგრამ თუ ჩაუთვლიათ ვინმესთვის კარგ ბიჭობად, საკუთარი მამის გმობა და წინაპართა საფლავებზე გუთნით გადავლა?

ეს რომ არ გვექნა, წინ ვერ წავიდოდითო.

იქნებ მართალიცაა, მაგრამ მე რა ვქნა, მე? რა ნუგეშს მაძლევ ოთხმოცდაშვიდი წლის ბერიკაცს: ჩემი ნაშენები სიმაგრე ბაბილონის გოდოლად რომ გამომიცხადე და ჩემი ნაფიქრალ-ნაგვირისტალი მტკნარ სისულელედ?

არ გეშინია, რომ უღმობელი ისტორია, დრო მოვა და შენც გაგასამართლებს?

რა მოწინებით შემინახავს მადლობები და სიგელები, ჩემი ფიქრით, პატიოსანი, ერთგული შრომისთვის დამსახურებული.

რა სათუთად დამიბნევია ხავერდის ბალიშებზე ბრძოლაში თუ „შრომის ფრონტებზე“ მიღებული ორდენები და მედლები.

ნუთუ ეს ყველაფერი გამასხარავებული კაცის მოტყუების და დაცინვის ფორმები იყო და სხვა არაფერი?

ნუთუ საპნის ბუშტივით გასკდა და უკვალოდ განიბნა ჰაერში ის ჩვენი ალღუმები, ის ჩვენი შემართებანი, ის ფეხ-ანყობილი ტკაპატკუპი უახლესი ისტორიის ფართო მაგისტრალზე?

ვინ ვართ ჩვენ?

დამნაშავეთა ამქარი და ამიტომ თვითონაც დამნაშავენი, გზის სიმცდარე რომ იმითავითვე ვერ შეგვენიშნავს და ცრუ-პოლიტიკოსებს ცხვრებივით გავყოლივართ განუკითხაობის ჭაობისაკენ?

თურმე ჩვენი ანგარიშმიუცემელი ჯაჯგურით რა ცუდი სამსახური გაგვიწევია ქვეყნისთვის, რამდენი თავსატეხი გაგვიჩენია მომავალ თაობათათვის.

ყველაფერი ჩვენ დაგვბრალდა და ისე დაგვაქციეს თავზე ჭერი, ხმა არ ამოგვალბინეს.

თავის მართლების საშუალება არ მოგვცეს.

ვარგა ასე?

შეიძლება კაცს დანაშაულად ჩაუთვალო, რატომ დაიბადე ათას ცხრაას ორ წელს და ათას ცხრაას ორმოც წელს რატომ არ დაიბადეო?

გუშინ გუნდრუკს გვიკმევდით, შეხვედრებს გვინყობდით და ხელისგულზე გვატარებდით; „ჩვენი მამები, ძველი ბოლშევიკები, პირველი განვევის კომკავშირლები, ვეტერანი ოქტომბრელები“.

ახლა ერთბაშად დაგვივიწყეთ.

არა, კი არ დაგვივიწყეთ (ნეტავ დაგვიწყებოდით), მოგვდექით და ტყავს გვაძრობთ, როგორ დაუშვით ვოროშილოვის და მოლოტოვის პარპაში კრემლშიო.

რევოლუციურ წარსულს თავი რომ გავანებოთ, მსოფლიო ომის მონაწილენი ცოტანილა დავრჩით და ჩვენც კი გვრცხვე-ნია ვეტერანთა შეკრებებზე და ტრიბუნებზე გამოჩენა.

იმდენჯერ და ისე უმონყალოდ დასცინეთ ჩვენს რწმენას, რომ ხმა აღარ ამოგველება, ასე გვეგონია, დანაშაული მიგვიძლოდეს თქვენს წინაშე. ვზივარ ახლა მე, გარდასული კაცი, შენს წინ, დანყობილი მაქვს ერთმანეთზე ჩემი ნაჯაფი, დაღლილი ხელები, ვერ ვმართავ მარილებით დაზრულ ხერხემალს, მტეხავს ისტორიის სანგრებში ნადები ნეკრესის ქარებისგან დაჭმული სახსრები...

ვზივარ და თვალებში შემოგყურებ.

რა პასუხს მაძლევ?

ის, რაც შენ ახლა შეცდომად და ბავშვურ თამაშობად გეჩვენება, ჩემი ცხოვრება იყო. გესმის თუ არა, ჩემი ცხოვრება.

ერთი წუთით შეგიძლია წარმოიდგინო? შენი სიცოცხლის მიმწუხრზე დაჯარდნენ შვილები და გაგასამართლონ; უარს ვამბობთ შენზე, მამაჩვენო, რადგანაც არაფერი სანაღმართო შენ არ გაგიკეთებიაო.

ვინ იცხოვრა შეუმცდარად?

თუ დამისახელებ ისტორიის რომელიმე მონაკვეთს, რომლის მიმართაც პრეტენზიის წამოყენების უამრავი საბუთები არ ჰქონოდა შთამომავლობას?

აბა, მე რას მერჩი, შე კაი კაცო. რატომ გინდა, შემაძულლო სიკვდილის წინ ის, რასაც სიცოცხლე შევწირე? რატომ

გინდა, ზიზლით ვუცქეროდე ჩემი ძველი ალბომის ფოტოსურათებს კონუსისქუდიანი და წითელვარსკვლავიანი, მაღაროელისკასკიანი და ხელტრანსპარანტიანი ბიჭი რომ ვიმზირებ ნარსულიდან დღევანდელ დღეში?

ჩემი გულუბრყვილო სახე და ჯიუტი მზერა ნუ გაგაკვირვებს. შენც ასე გამოჩნდები ოცდამეერთე საუკუნის კაცის თვალში შენი გარდაქმნის ხარაჩოებიდან.

გული მატკინე, ბაბაია, წამავალ კაცს.

ის პატარა იმედის სხივიც არ წამატანე, ცივ სამარეში ცოტა ხანს მაინც რომ გამათბობდა.

ღმერთმა გაშოროს, შენმა მემკვიდრეებმა შენც ისეთივე განაჩენი გამოგიტანონ, როგორიც მე მარგუნე.

მივდივარ.

ჩემი ფილტვები ცოტა ხანს კიდევ დაჰბერავდნენ ძველი საბერველივით და გულიც, ალბათ, კიდევ შეძლებდა ბებერი სხეულის სისხლით გათბობას, მაგრამ მეყოფა.

ჩემს წასვლას ორი მიზეზი აქვს:

ჯერ ერთი, დავიღალე ჩემი და ჩემი თაობის ლანძღვაგინების მოსმენით და მეორეც, ნიავს უსიამო ამბები მოაქვს და არ მინდა დავრწმუნდე, რომ ვერც შენ შესძელი დროისთვის შესაფერი ჯილა დაგედგა.

მგონი, ვერც შენ უშველე უკან დაცურებულ ქვეყანას. მშვიდობით!”

\* \* \*

ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრა წლის ჩვიდმეტი მარტის საღამო იყო.

წასესხებს თავისი გაეტანა, თოვლგარეულად წვიმდა.

დასავლეთის ცივი, უსიამო ქარი ქროდა.

წინოშვილის ქუჩის დასაწყისთან, ნომერ ოთხ სასურსათო მაღაზიაში „ტალონებზე“ ნახევარ კილოგრამ აქოთებულ ყველს არიგებდნენ.

მაღაზიასთან გრძელი რიგი იდგა.

მოქალაქენი უკვე შეგუებოდნენ იმ აზრს, რომ აშენებული სოციალიზმის ქვეყანაში ბარათებით ყველის, კარაქის, შაქრის და ხორცის გაცემა, ცოტა არ იყოს, უხერხული რამ გახლავთ. შეგუებოდნენ და უკვე კამათითაც აღარ კამათობდნენ. მართლაც და სანამ შეიძლება იკამათო იმაზე, რასაც ვერავითარი კამათი ვერ შევლის.

უეცრად იქვე, მაღაზიასთან ახლოს, რომელიღაც ქუჩისპირა სახლში თოფმა იქუხა.

რიგში მდგომთა თავები მეყსეულ იქეთ შებრუნდნენ, საიდანაც თოფმა იქუხა.

წამიჯ და მაღაზიიდან მარცხნივ, მესამე სახლში კივილი მოისმა.

– დომენტი ხელაძისასაა?!

– კი.

– სისულელე ხვარაფერი ჩაიდინა ბერიკაცმა?!

– არ უნდა ლაპარაკი.

– ამღვრეულ ხასიათზე იყო ეს დღეები...

ოთახში შესულთ მძიმე სურათი წარმოუდგათ.

საფეთქელგახვრეტილი დომენტი ხელაძე იატაკზე ეგდო, ღია თვალებით ჭერს შესცქეროდა და მარცხენა ფეხს ნელა უსვამდა ფარდაგს.

თავზე ბუდიონის ცხენოსანი კავალერიის გაცვეთილი, ყურებიანი ქუდი ეხურა.



## ლაზი

სტამბულს ყელში ნაუჭერია ხელი შავი ზღვისათვის. იცოდნენ ბიზანტიელებმა, სად აეშენებინათ ქალაქი. ჯერ ახლა რამოდენა სიკეთეა, ბოსფორის სრუტეს ფლობდე, ახლა, ამ დადგენილი დიპლომატიის, ერთა ლიგის და საჰაერო ხომალდების საუკუნეში. მაშინ რა იქნებოდა, როდესაც ბოსფორზე გადიოდა ევროპა-აზიის შემაერთებელი საზღვაოსნო გზა. ჩაკეტე ბოსფორ-დარდანელი და დაადე უსაშველო ბაჟი. მარტო საბაჟო შემოსავალი არჩენს ერთ სახელმწიფოს. თურქებს ყველაფერი მზამზარეული დახვდათ. დაიპყრეს ქვეყანა და მალევე იზრუნეს იმისათვის, რომ თურქეთის ისტორიის ნაწილი გამხდარიყო ის ბრწყინვალე ცივილიზაცია, ასე რუდუნებით რომ აშენეს ბიზანტიელებმა საუკუნეთა განმავლობაში. მოვიდნენ და კოპნია კონსტანტინოპოლს სტამბული დაარქვეს, ზღაპრული აია-სოფის ტაძარი მეჩეთად გადააკეთეს, ზღვისპირა ბასტიონთა ნანგრევებს უგემოვნოდ, მაგრამ, როგორც ჩანს, უფრო მკვიდრად დააშენეს თურქული ციხეები, ბიზანტიურ მიწისქვეშა არხებს და აბანო-ბიბლიოთეკებს ბევრი ვერა გაუგეს რა და იავარჰქმნეს. ახლა აქ ყველაფერს თურქული ბეჭედი აზის. აქა-იქ ჯიუტ ფაქტად შერჩენილი ნაშთი ბიზანტიური კულტურისა ქრება და ნიავდება. ნახევარმთვარე დაპატრონებია კონსტანტინოპოლს და თავისად მოუქცევია. საით წავიდნენ ამაყი ბიზანტიონები, რა შესცოდეს, რა შეცდომა დაუშვეს ისტორიის წინაშე ისეთი, რომ სამუდამოდ, უკანმოუბრუნებლად წასულიყვნენ აქედან, იმათთვის დაეგდოთ თავიანთი ციხე-ტალანები, ვისაც კონსტანტინოპოლის გაკონსტანტინოპოლებსთვის უმცირესი წვლილიც კი არ გაელო?

ამ აბურდულ საუკუნეში კი თურქეთსაც ის სენი შეჰყრია, რაც სხვა უწარსულო და ნაკლებკულტუროსან ქვეყნებს



დაემართა – ამერიკომანია. ლინკოლნის ქვეყანას, მართალია, თოფით არ დაუპყრია სასულთანო, მაგრამ მშვენივრად მოუხერხებია თავისი გემოვნება მოეხვია თავს და იმ ფერხულში ჩაება, რომელიც კაცობრიობას ასე ენერგიულად მიაქანებს ხვალის ეროვნულსახენაშლილ მსოფლიოსაკენ. რომ ვაკვირდები, ურბანიზმის სტიქიას მხოლოდ ის ხალხები უწევენ ძლიერ წინააღმდეგობას, ვისაც თავისი, ათასწლოებით გამომწვარ-გამობრძმედილი კულტურა აქვს. გაქრობისა და შერწყმა-გათქეფვის ტრაგედია ერთა მცირერიცხოვნებაზე როდია დამოკიდებული, როგორც ეს „ზოგიერთს ჰსურს და ჰგონია“. ერის ნაციონალურ თვითმყობადობაზე და გამძლეობაზე ჰკიდია მისივე მომავალი. შეიძლება მრავალრიცხოვანმა, მაგრამ საეჭვო ეროვნული იერსახის მქონე, ხალხმა უფრო ჩქარა დაუსვას კითხვის ნიშანი თავის არსებობას, ვიდრე სადღაც, ქედებს შორის შეეყუჟულმა, პატარა, ეგზოტიკურმა ერმა, რომელსაც კოსმოპოლიტური ცივილიზაციის მსახვრალი ტალღა ნაკლებად მიწვდება, ან მიწვდება, მაგრამ ამ პატარა ერისგან გაქრობის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიული გამოცდილების ისეთ მაგალითს წააწყდება, რომ, ვინ იცის იქნებ „კულტურით დაპყრობის“ განზრახვა გულიდან სამუდამოდ ამოიღოს.

მესამე დღეა სტამბოლში ვართ. დამღალა ხმაურიანმა, ჭუჭყიანმა სტამბოლმა. ზაურ ბოლქვაძის „ქალაქ-საქაბაბისა“ არ იყოს, სტამბოლი სწორედ რომ ქალაქი-ბაზარია. აქ გეგონება, რომ ყველა ყველაფერს ჰყიდის, მაგრამ არავინ არაფერს ყიდულობს. ქუჩაში „შენთვის, წყნარად“ ვერ გაივლი. ადევნებული ჩარჩი-მენწერილმანე ფეხდაფეხ მოგდევს და რაგინდარას გათავაზობს. ხოლო თუ ღმერთი გაგინყრა და შეჩერდი, მუხლებს ქარს ამოვალებინებო, კარგად მეყოლე. მუმლივით დაგეხვევა კუსტარ-კინტო-აფერისტთა ლაშქარი. გასასყიდ ნივთს ხელში შეგატოვებენ, რომ ფული დაგცინცლონ, ნებართვის გარეშე ჯიბეში გიძვრებიან. ყურად არავინ იღებს შენს მუდარას; მომეშვით, არ მინდა, ფული არა

მაქვსო. გაქვს, გაქვს, გაქვს, კარგად ნახეო, სწორედ იმ ჯიბეზე გითითებენ, სადაც ლუდისთვის სიმწრით გადანახული ხელმოკლე ტურისტის ორიოდე კაპიკი გიდევს.

როგორც იქნა, გაიღია სტამბოლის გრძელი დღე და თავი ზღვისპირა რესტორან „იულდუზლარს“ შევაფარეთ. ღრიალა ორკესტრი, ევროპული სუფრის წესი: კერძა და კერძს შორის ორმოცი წუთი მაინც რომ დევს. რამდენიც უნდა ეხვეწო, მშიერი ვარ და, თუ კაცი ხარ, ერთად მომიტანე პირველი, მეორეც და მესამეცო, შენს მუდარას ყურად არავინ იღებს. სულს ამოგხდიან ლოდინით და რესტორანს საერთოდ შეგაძულებენ. ვენაცვალე ჩემს ქვეყანას. ყველაფერი როგორ გაიანგარიშა ქართველმა კაცმა, ყველა წესი როგორ გამოაჯანდრაგ-გამოაგვირისტა. ხომ უბრალო ამბავია – ჭამაა, მეტი ხომ არაფერი, რა ქვეყანა დაიქცევა, ოცი წუთით ადრე შეჭამ, თუ გვიან. არა! ქართველმა მასპინძელმა იცის, რომ მშიერ კაცთან ცერემონია-მაიმუნობა და გამოცანობის თამაში არაა საჭირო. მაგიდას რომ მიუჯდები, იქვე, შენს თვალწინ აწყვია ყველაფერი. რაც გაგეხარდება, მიირთვი. ვილაც ცხვირაბზუებული, გუდამშიერი ევროპელი მორცხვად შემოგკადრებს ხანდახან შენიშვნას; საქართველოში ჭამის კულტია, ჭამას დიდ დრო-ადგილს უთმობენო. პირიქით, ჭამის კულტი ევროპაშია, ცხრამეტ დანა-ჩანგალს რომ მოგიტანენ და თავზე გახვევენ თავიანთ მაციონს. ქართულ სუფრაზე კი უფრო მარტივად და ადამიანურადაა ყველაფერი გადანყვეტილი. რა კუკუდამალობანას მეთამაშები. დაანყვე მაგიდაზე, რაც მოგაქვს, და მე თვით ავირჩევ. იქნებ, არ მსიამოვნებს იმ თანმიმდევრობით ჭამა, როგორც შენ მთავაზობ.

ჯაზზე მორგებული თურქული მელოდიები კიდევე უფრო აუტანელს ხდის აქ ყოფნას. ისე ძლიერი დინამიკ-მიკროფონები უდგათ, გეგონებათ, მთელი სტამბოლის გასაგონად უკრავენო. ქუჩაში მართლაც ჩერდება ხალხი და რესტორნის ღია კარებში იხედება; რა ხდება ასეთიო. ჩანს, ორკესტრის მისიაც ეგ არის – სტუმრის მოზიდვა. ჩვენს გართობა-დასვენებაზე არავინ იკლავს თავს.

რესტორანში მექორნილენი შემოვიდნენ და პირდაპირ ორკესტრის წინ პატარა არენას მიაშურეს. გაიმართა როკვა, მაგრამ რა როკვა. ყველაზე უფრო პატარძალი აქტიურობს. იგი შავთვალწარბა, მოხდენილი და მათრახივით მოქნილი გოგოა. ისე ეგზალტიურად, თავდავიწყებით ცეკვავს, რომ ერთ რამედ ღირს ცქერა. საქორწინო თეთრი კაბა-ჩიხტიკოპი ხელს რომ არ უშლიდეს, ქუსლებს საფეთქლებს მიანვდენდა. ჯერ სიძე დალალა და მიასვენა, შემობრუნდა და მაყრიონს გადაენტო. პატარა ჭრელ რიდეს აფრიალებს და ისე მსუბუქად, ლალად ცეკვავს, გეგონებათ ეს-ესაა აფრინდებაო. სხვა ხათუნებიც დაფრიალებენ წრეში, პატარა პატარძალი ყველაზე ლამაზია. ასეც უნდა იყოს.

კარგა ხნის შემდეგ მექორნილენი მათთვის გაშლილ გრძელ სუფრას შემოუსხდნენ, დედოფალი ცეკვას განაგრძობს. ჩადრი მოიხადა, მაჯებიდან სატკაპუნოები წაიძრო და ორკესტრის რიტმს მიუსადაგა. ჯერ მალლა შემართული მაჯა-მტევანი აათამაშა, მერე, თითქოს ნიავმა დაჰქროლაო, მკლავები პურის თავთავივით მსუბუქად დაარწია, ყელ-კისერზე თავი ისე ჰაეროვნად დაატრიალა, გეგონებოდათ, ეს-ესაა წასძვრებაო. მართლაც რომ თვალწარმტაცი და გემრიელი ცეკვაა. მუცელს და რალაც რალაცებს ბუზანკალდახვეული ბედაურივით ათამაშ-ათიმთიმებს. საეჭვოდ გაყინული უნდა გქონდეს სისხლი კაცს, რომ ამ ცეკვამ არ აგანთოს და არ აგაფორი-აქოს. რა დიდებული ხერხი მოუგონია აღმოსავლელ ქალს თაობათა გასამრავლებლად; ერთი მხრივ ჩადრში შემალული სახე და იმ შეფარული იდუმალების ამოხსნასთან დაკავშირებული ინტერესი, ხოლო მეორე მხრივ მუცლით როკვა – თავისუფალი სექსის ამ საუკუნეში ყოველგვარ სტრიპტიზზე უფრო მადისაღმძვრელი.

დარბაზის კუთხეში, მწვანედგანათებულ ვინრო მაგიდას ორნი უსხედან; ორმოციოდე წლის, კეფასთან თმაშეთხელებული მამაკაცი და ახალგაზრდა ქალი, რომელიც ჩემგან ზურგით ზის და კარგა ხანია არ შემობრუნებულა. მთელს რესტორანში

ჩვენი დელეგაციის ღრმადსერიოზული წევრების გარდა მხოლოდ ის ორნი არ მონაწილეობენ საერთო გრიალ-ლრიანცელში. ახლა, როდესაც ლამის ოფიციალტებიც კი აიტაცა საქორწინო ეგზალტაციამ, ჩვენი გმირები სხედან და ერთმანეთს შესცქერიან. ისინი რესტორანში დაგვხვდნენ. კარგა ხანია არ შემობრუნებულა-მეთქი რომ გითხარი, არ გაგიკვირდეს, რა ჩემი საქმეა, გამოიხედავს თუ არა აქეთ სხვის მაგიდასთან მჯდომი სხვისი ქალი, მაგრამ ადამიანის თვისებაა ასეთი; ორი საათია მარტო იმ ქალის მარცხენა ყურს და მხრებზე გაშლილ კუპრივით შავი, სწორ თმას რომ ვხედავ, მაინტერესებს როგორია, როგორი ფერის თვალები აქვს. არის ახლა ეს ცნობის-მოყვარეობა დასაძრახი? მე მგონი არა.

რითი იქცევენ ყურადღებას ხელისგულზე ყბაჩამოდებულნი, შავპერანგა მამაკაცი და ლამაზყურებიანი ქალი? სწორედ იმით, რომ ცდილობენ არაფრით მიიქციონ ყურადღება, მგონი ერთხელაც არ გაუხედავთ მექორწილებისკენ. თითქოსდა არც ორკესტრის ღრიალი მოქმედებს მათზე. ჩაძირულან თავიანთ სამყაროში, თავიანთ საზრუნავში. ხომ სულზე უფრო განუყრელი უნდა იყოს შენთვის ქალი, საერთოზე უფრო მეტი საერთო უნდა გქონდეს მასთან, ან სიცოცხლეზე უფრო აუცილებელ საკითხს უნდა წყვეტდე აქვე, რესტორანში ამ ფეიერვერკმა ერთხელ მაინც არ მოგწყვიტოს თვალი და ბრაციბრუც-პაკიპუკმა ერთხელ მაინც არ მიგახედოს.

ერთი ფიქრი ამეკვიატა და ვერ ვიცილებ. ის კაცი ქართველი უნდა იყოს. რატომ მაინცდამაინც ქართველი? ვეკამათები თავს და გულუბრყვილოდ მეჩვენება ჩემივე ფიქრი იმის შესახებ, რომ ასეთი შუბლი და ყბანიკაპი, ან თუნდაც ასეთი ნაღვლიანი თვალები მხოლოდ ქართველებს აქვთ. კალამი ვერა და ვერ გადმოსცემს ნიშნების მთელ წყებას, რის გამოც რესტორნის კუთხეში ჩუმად მიმჯდარი კაცი ქართველად მივიჩნიე. ეს ის მეცხრე, შინაგანი გრძნობა გახლავთ, რის წყალობითაც ხშირად შეუცდომლად ცნობს ებრაელი ებრაელს, სომეხი სომეხს, მონღოლი მონღოლს.

ამ ბოლო დროს სენტიმენტალური გავხდი. ასე მგონია, თუ არ დაველაპარაკე იმ კაცს, გული გამისკდება. უნდა გავიგო; ვინაა, რა მოხელეა. „იქნებ, ღმერთო შეგცოდდე, სულ ტყუილად ვაფართხუნებ რომანტიკის ბაირალს, იქნებ პოლიციის ერთი, საწყალი, საიდუმლო აგენტია და სწორედ ჩვენი მეთვალყურეობა აქვს დავალებული. ეს მანდ ჩემი წინამასწარობით თავგის მიერ კატის გამოთხრის ანდაზისა არ იყოს, ხიფათში არ ჩავიგდო-მეთქი თავი, გავიფიქრე, მაგრამ მაინც ვერ ვძლიე ცდუნებას. როგორც კი წვიმამ წამოუშინა, – წამოდგა, ქალს რალაც ჩაულაპარაკა, აივანზე გავიდა, სვეტს მიეყრდნო და ზღვას მიაჩერდა. არც მახსოვს, როგორ აღმოვჩნდი მის გვერდით.

– გურჯი? – ვკითხე ისე კონსპირაციულად, როგორც გულუბრყვილო დეტექტიურ ფილმებშია. ორივენი წვიმას შეეყურებთ და თითქოს ერთმანეთს არც კი ველაპარაკებით.

– ეო, სკანი ჭირი, ლაზი ვორექ!\*

მთელი ტანით შემობრუნდა, ისე ხარბად ამათვალისწინებდა, შევატყვე, გულით უნდოდა ნაცნობი აღმოვჩენილიყავი, ნაცნობი თუ არა, იმას მაინც მიხვედრილიყო, ვინ ვიყავი და რა საქმე მქონდა მასთან.

ენა დამება. არ ვიცი, როგორ დავიწყო. მეგრული როგორ არ ვიცი, მაგრამ რატომღაც ქართულად მინდა ველაპარაკო და ძალიან მინდა ქართული იცოდეს.

– თქვენ, აქაურს არ გავხართ? – ჩემი ეჭვი სუფთა ქართულით გააქარწყლა.

– თბილისიდან გახლავართ.

– ტურისტი?

– დიახ.

ჩაქრა, ჩაიფერფლა. ის ხალისი და ინტერესი გაუკრთა თვალთაგან, რითად პირველად შემომიბრუნდა. უგემურად მიცქერის. საყვედური, სინანული, უნდობლობა, გულდანწყვეტა უხატია გამოხედვაში.

---

\* კი, შენი ჭირიმე, ლაზი ვარ.

- როგორ მოგნონთ აქაურობა?
- რა უჭირს. სტამბოლი ნამეტანი ქრელი ყოფილა.
- ქრელია კი. როდის ჩამობრძანდით?
- მესამე დღეა.
- ჯერ ვერაფრის ნახვას ვერ მოასწრებდით, სად ცხოვრობთ?
- სასტუმრო „ბილდინგში“.
- რატომ ჩამოხვით მაგ ქუჩიანი სასტუმროში. ბაზართან ახლოს რომაა, ხომ ისაა „ბილდინგი“. ვიცი, როგორ არა, ჩვენს შორის დარჩეს და აგდებული სასტუმროა ძალიან. რალა მაინცდამაინც მანდ შეგასახლეს.
- ალბათ, მეტის ღირსი არ ვიყავით. რას შვრებით, როგორ ცხოვრობთ ქართველები.
- როგორც გვკითხულობთ, ისე ვართ, ა, მაგალითად?
- კითხვით როგორ არ გკითხულობთ, მაგრამ ვაი, რომ გვახსოვხართ და მეტი არაფერი. სხვა რა შეგვიძლია.
- ისიც კარგია, თუ გახსოვართ, მაგრამ არც ეგ მჯერა რალაც. ყველა ერმა გაიღვიძა ნელ-ნელა და საქართველოს ახლა მოუნდა ძილი.
- არ გვიძინავს, დამერწმუნე.
- საიდან ჩანს, რომ არ გძინავთ. გერმანიამ მსოფლიოს სისხლი დალია და ერთ ამბავშია ახლა, რატომ ვართ შუაზე გაყოფილიო. არ ვიცი, თქვენს გაზეთებში წერენ თუ არა და ერთა ლიგის ტერიტორიულ კომისიაში მუდმივად დგას გერმანიის საკითხი. ორი მილიონი ქართველი, ლამის ნახევარი, საქართველო-თურქეთის ხელშია და აბა ერთი ხმა თუ ამოვიღებთ. რამ დაგამუნჯათ, რისი გეშინიათ?
- წყლის ნაყვა იქნება და მეტი არაფერი. ჯერ ისტორიის ნისქეილი სამაგისო ხორბალს არ ფქვავს.
- როცა შეგეძლოთ, მაშინ ხომ მოიკალით თავი.
- როდის შეგეძლო?
- როდის და ომის დამთავრების მერე. გერმანიის მეკავშირე თურქეთის სულთანს სტალინის შიშით ნელში აკანკ-

ალებდა. ერთი რომ ეთქვა სტალინს, ქართველებს დაუბრუნე თავისი მიწებიო, ტაშისკვრით დააბრუნებდა. შეიძლებოდა ასეთი მომენტის გაშვება ხელიდან?

– მაგაში მართალი ხართ.

– რაში არა ვართ მართალი? რატომ გაქვთ დღესაც ისეთი სახე მიღებული, თითქოს ჩვენ სამუდამოდ ამოგვიღეთ გულიდან და შეეგუეთ უჩვენობას. ბავშვებს რომ გრიგოლ ხანძთელის ამბავს ასწავლით, რატომ არ ეუბნებით, სადაა ამჯერად ხანძთელის აშენებული მონასტრები: სადაა ხანძთა, ოპიზა, ბანა, შავშეთი, ერუშეთი...

– ვეუბნებით, მაგრამ რაი მერე.

– რატომ არ წერთ გაზეთებში, ზარებს რატომ არ რეკავთ. სირცხვილია ამაზე ლაპარაკი? ვინ გაქვებთ საკუთარი ძმის დავიწყებისთვის? ხომ ნახეთ, რა ჰქნეს სომხებმა. მსოფლიოს დაანახეს, რომ სტკივა სომხეთს თავისი ყარაბაღი.

– მერე რა გამოვიდა.

– ასე ლაპარაკი როგორ შეიძლება. არც გამოვიდეს და არც ვილაპარაკოთ? ჩვენ გვინდა, მსოფლიომ იცოდეს, რომ პატრონი გვყავს. ჩვენი სახელმწიფო გვაქვს და, ადრე თუ გვიან, უნდა შევუერთდეთ.

– თქვენ ეგ როდი გადარდებთ, თქვენ თქვენი ტყავის უფრო გეშინიათ. თურქს რაც შეეხება, უარესს რას გვიზამს: ქართული სკოლა მოგვისპო, ენა წაგვართვა ქრისტიანული წაგვართვა და გაგვამუსულმანა. მე სუფთა ქართველს პასპორტში თურქი ჩამიწერა. მეტს რაღას იზამს.

– როგორ თურქი?

– სულთნის განკარგულებით უკვე ოც წელზე მეტია თურქეთში მცხოვრებს პასპორტში მხოლოდ თურქი უწერია. დიახ, ეროვნება – თურქი, რელიგია – მუსულმანი (ან არამუსულმანი). ვინც გინდა იყავი წარმოშობით, რაკი თურქეთში ცხოვრობ, თურქი ხარ.

– ეგ როგორ შეიძლება.

– შეიძლება. არ შეიძლებას არ დაგიდევს თურქი. მე შენ

გეტყვი, დამტუქსავი, ან გამფრთხილებელი ჰყავს ვინმე. არათურქებმა ერთი ამბავი ავტეხეთ, მაგრამ შედეგად ის მოჰყვა, რომ „ექსტრემისტებს“ ანგარიში გაგვისწორეს, სხვები კი ასახლეს და თურქეთის სხვადასხვა პროვინციაში მიმოკარგეს.

– დაგიჭირეს?

– არა. ხელმონერებს რომ ვაგროვებდი ძალად გათურქების წინააღმდეგ, დამირეკეს; დაანებე თავი მაგ საქმეს, თორემ განანებთო. არ შევეპუე. თქვენ ვინც შეგიშინებიათ, ის შეაშინეთ-მეთქი. ერთი კვირის თავზე შვიდი წლის ბიჭი მომიკლეს. ქუჩაში თამაშობდა, მანქანიდან ესროლეს. ტრაპიზონში აღარ დამედგომებოდა. ვიფიქრე სხვა ბავშვებსაც მომიკლავენ-მეთქი და სტამბოლს შევაფარე თავი. ასეა ჩემი საქმე. ჩემი უმწეობა ხომ მალონებს და მალონებს, თქვენი სიჩუმე ვერ ამიტანია. ილაპარაკეთ, წერეთ, გაახმაურეთ ეს ამბავი, თქვე კაი ხალხო. მსოფლიო იღვიძებს. განთესილები თავის მინებს უბრუნდებიან, იქნებ ჩვენც დაგვადგეს სამველი.

– ვინ გამოიდებს ჩვენი გულისთვის თავს?

– არც ეგრეა საქმე. როგორც ჰქუხს, ისე არა წვიმს... ჭოროხზე გადმოხვედით? რა დიდებული საქმეა სარფის გახსნა.

– შენც არ მომიკვდე, ხომ ორი ფენის ნაბიჯზე ვართ. თვითმფრინავით ნახევარი საათი გზაა თბილისიდან; მაგრამ ტურისტად თუ გინდა სტამბოლში ჩასვლა, ჯერ მოსკოვში უნდა ჩაფრინდე და მოსკოვიდან უნდა ჩამოფრინდე სტამბოლში.

– აბა გზა რაღაზე გახსნეს?

– ისე, სახელად და სპეციალიზებული მანქანებისთვის.

– ავტოტურისტებს ხომ შეუძლიათ სარფზე გადმოსვლა?

– ჯერჯერობით უარს ეუბნებიან. მომავალში ვნახოთ.

– ?!

– ათას რალაცასთანააო დაკავშირებული.

– საზღვარი კაცის მოგონილია, ღმერთს არ დაუნესებია. სარფის გზის გახსნაზე გახლდით. ზონარი რომ გაიჭრა, ათასამდე კაცი გადმოვიდა თქვენსკენ ერთბაშად. კი,



დაფეთდნენ სამსახურის პირები, მაგრამ რაი? ცრემლის ღვრის და კოცნა-ფერების მეტი არაფერი მომხდარა. ყველა ერთმანეთს იცნობს. ბიძაშვილ-მამიდაშვილები ხვდებოდნენ ერთმანეთს. გახარებულები, გაბედნიერებულები. ეგონათ, ასე იქნება სულ მისვლა-მოსვლაო, ანი მაინც მევინახულებთ ერთმანეთსო. ორ საათში დაიძახეს; აბა, დამთავრდა შეხვედრაო და ისევ გათიშეს სოფელი. ერთი ციცქნა სარფი მაინც რალა გასაყოფია.

– როდის მოწესრიგდება მსოფლიო?

– მსოფლიო არასოდეს ყოფილა მოწესრიგებული და არც არასდროს მოწესრიგდება, მაგრამ ამ პლანეტაზე მილიონწლიანმა ერთად ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ ყოველი ერი თავისთვის, ცალკე უნდა ცხოვრობდეს. თავისი სახელმწიფო ჰქონდეს. არც სხვას ერჩოდეს და არც სხვა დაიჯინოს თავზე. მე ხომ ბალანაი მომიკლეს, მაინც ვიბრძვი ჩემი საქართველოსთვის. ჩემს პატარა საქმეს მაინც ვაკეთებ. მართალია, შემაშინეს და ისე აქტიურად ველარ ვიღებ ხმას, მაგრამ ყოველ საღამოს ამ რესტორანში ჩემი ორი ბიჭი გამოდის და დოლით ქართულ ცეკვებს ცეკვავს. თუ მოიცდით ბოლომდე, ნახავთ ჩემს ბიჭებს. კაი მოცეკვავე ბიჭები მყავს. რაც მთავარია, ვაცხადებინებ ყოველდამე რესტორნის კონფერანსიეს: „ახლა ქართველი ბიჭები ქართულ ცეკვას შეასრულებენო“, ესეც ხომ საქმეა. ყველამ ასეთი პატარა საქმე რომ გააკეთოს, არ წავა ჩვენი საქმე გლახათ.

– А, вот оно, где вы! А я вас искал. Вы, оказывается знакомого тут нашли. Пожалуйста, пожалуйста, продолжайте – ეს ყველაფერი ისე „ტკბილად“ იყო ნათქვამი, რომ საუბრის გაგრძელება აღარ შეიძლებოდა. ლაზს ბოდიში მოვუხადე და რესტორანში შევბრუნდი.

რა გაეწყობა, მედოლე ქართველ ბიჭებს უნდა დაველოდო.



## ავი მუსაიფი

უჯუმ კაპბა და მისი მეზობელი სილოვან მორგოშია მიტინგიდან ბრუნდებოდნენ.

გაზაფხულის თბილი საღამო იყო.

უჯუმს პაპისეული ყალამქარი ემოსა, თავზე ბოხოხი ეხურა და გალიფე-აზიაცკებში გამონკეპილი ფრთხილად, კატასავით მიაბიჯებდა.

სილოვანს წელიწადი თორმეტი თვე სულ ერთნაირად ეცვა: ფართხუნა ბლუზა-ხალათი, კისერზე გადმოგდებული გრძელი დარაია, ძველთაძველი სანდლები ფეხზე. ილლიაში განუყრელი, გაცვეთილ-გახუნებული ტყავის საქაღალდე ჰქონდა გაჩრილი.

უჯუმ წელს ზევით გაჩიკინებული მიაბიჯებდა. სიარულის დროს თითქმის არ ირხეოდა. მონაცვლეობით ცალ ხელს ამოძრავებდა და მონუსხულივით მხოლოდ წინ იყურებოდა.

სილოვანი მთელი ტანით მიირხეოდა. ქმენით, გადაქანჯვ-გადმოქანჯვით მორღვეულივით ადგამდა ფეხებს. თავს წამდაუნუმ ლოკატორივით ატრიალებდა და დროგამოშვებით ადამის ვაშლზე ოთხ თითს ჩაისვამდა, თითქოს ამოწმებდა, ამ ორომტრიალში ყელში ხომ არ გადამცდა, ხომ არ გადავყლაპეო.

მეზობლები მიტინგის დამთავრებისას შემთხვევით წააწყდნენ ერთმანეთს. ორატორების გამოსვლისას სილოვანი ბობოქრობდა, ქაქანებდა, რეპლიკებს ისროდა, ირგვლივ მყოფთ რაღაცას უხსნიდა, უჯუმ ქანდაკებასავით იდგა. არც ავს ამბობდა, არც კარგს.

ხალხმა დაშლა რომ დაიწყო, სილოვანს მხარზე დაადო ხელი და ჩაულაპარაკა:

– ვევედათო?\*

– ქო პატონი\*\*. მაშინვე დაეთანხმა მორგოშია, საქალაქდღე ილღიაში შეინია და ნინ ნასულს გამოუდღა.

მარუხის ქუჩა გაღაჭრეს და მარცხნივ, უასფალტო აღმართს დაადგნენ.

მოსახვევთან შედგებოდნენ, მუხლებს ქარს ამოაღებინებდნენ, ზღვის პირას განოლილ ქალაქს ჩახეღავდნენ და გზას განაგრძობდნენ.

შორს, მერხეულის გასწვრივ, სამეგრელოს ქედის თეთრი თხემი მოჩანდა. თეთრი მთები ერთბაშად იწყებოდა ლილისფერი გორაკების მიღმა.

მენამული მზე ზღვაში ეშვებოდა.

– არაა კარგად საქმე ხომ? – ჰკითხა უჯუშმა.

– კარგად როგორ იქნება. – განზე გაიხეღა სილოვანმა.

– რაღაცა ჭირს ქვეყანას. ასე რომ აირეღა ხალხი, არაა მაგ კარგი ნიშანი.

– ქვეყანას კი არა, ჩვენ გვჭირს, უჯუშ ბატონო, ვერ დავეტიეთ ყაჭივით ჩვენს კანში. ახლა, რაკი ასე ნავიღა საქმე, ბოლომღე უნდა გაირკვეს ყველაფერი, ბოლომღე უნდა ითქვას და, ან ისე უნდა ვქნათ, ან ასე.

– რა უნდა ვქნათ?

– რასაც გაღანყვეტს ხალხი. თქვენ ხომ მოანერეთ ხელი იმ ქალღღს.

– მოვანერე რაღაცას, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ქალღღს.

– ჰოღა, რას მოანერეთ, თუ იცით, ხელი. ქართველებთან ყოფნა არ გვინდა, დიდ რუსეთს შეგვაერთეთო.

– ეგ ტყვიღია. მე ნამიკითხეს. ეგ არ ენერა იმ ქალღღში. არავისთან შეერთება ჩვენ არ გვინდა. მარტო გამოგყავით და ცალკე ვიქნებითო. ასე ნამიკითხეს მე.

---

\* არ ნავიღეთ? (მეგრ.)

\*\* კი, ბატონო. (მეგრ.)

- პირველი ხომ არაა თქვენგან ეგ ნაბიჯი, უჯუშ ბატონო.
- რას ჰქვია პირველი?
- რას და ამ ათი წლის წინათაც, იმაზე უფრო ადრეც დააყენეთ ეს საკითხი, ხომ?
- მერე რა არის ამაში ცუდი?
- ცუდი რაც არის, იცით თქვენ ძალიან კარგად. იცით, მაგრამ რაკი ჩვენ ბევრჯერ დაგითმეთ და წაგიყრეთ ჩვენი სულელური სიკეთის გამო, თქვენ იფიქრეთ, რომ ქართველებმა არ ვიცით, რაშია საქმე და მეტი და მეტი მოინდომეთ.
- რა მეტი მოვინდომეთ. არა გვაქვს უფლება ჩვენ, აფხაზებს ჩვენს მიწაზე ყოფნის?
- რომელ აფხაზებს, უჯუშ ბატონო. აფხაზი მე ვარ.
- მე ვინ ვარ, აბა? – აიმრიზა უჯუშ.
- თქვენ ვინც ხართ, იცით თქვენ, ძალიან კარგად. მაგრამ მართო თქვენი დამსახურება არ არის, თქვენ რომ დღეს თავს აფხაზებს ეძახით, ჩვენი ბრალიცაა.
- ჩვენ კი არ ვეძახით, ისტორია გვეძახის აფხაზებს. მართლა ასე კი არ არის საქმე, თქვენ რომ გინდათ. ჩვენ მერვე საუკუნეში ცალკე სამეფო გვქონდა.
- მერე ვინ ცხოვრობდა თუ იცი იმ სამეფოში? ჩვენ ვცხოვრობდით ქართველები, აფხაზეთი ყოველთვის მხოლოდ გეოგრაფიული ადგილის სახელი იყო. ერის სახელი არასოდეს ყოფილა. არავითარი აფხაზი ერი და აფხაზური კულტურა არასოდეს ბუნებაში არ არსებულა და მითუმეტეს აფხაზური ენა.
- აბა რა ენაზე ლაპარაკობდა აფხაზთა სამეფო?
- რასაკვირველია, ქართულ ენაზე, იცით თქვენ ეს, ძალიან კარგად, უჯუშ ბატონო.
- აბა, ჩვენ ვინ ვართ, შენი ქკუით?
- თქვენ ვინ ხართ და მეთვრამეტე საუკუნეში ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებული ადიღურის ტომების – აბშილები და აბაზგების შთამომავალნი.

– საიდან იცი?

– რა ცოდნა უნდა ამას, უჯუმ ბატონო. თქვენ და ადილველნი ერთ ენაზე ლაპარაკობთ. ერთი საერთო კულტურა გაქვთ, ერთი გვარ-სახელი გაქვთ და ერთი ხალხი ხართ.

– როგორ ფიქრობ, რაში დაგვჭირდა სხვისი სახელის მითვისება?

– როცა მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში ჩვენ, ქართველებმა, როგორც მეზობლებს, კავკასიის ჩვენი მხრის საძოვრები დაგითმეთ, თქვენ ეს „დროებითი დათმობა“ ჩუქებად ჩათვალეთ. გაგიტკბათ მზის გულზე ყოფნა და თანდათანობით ძირს ჩამოიწიეთ. რაკი აბაზგი და აფხაზი თითქმის ერთნაირად ჟღერს, ადექით და თქვენს თავს აფხაზი უწოდეთ.

– რატომ გავაკეთეთ-მეთქი ეს. რა ფასი ჰქონდა ჩვენთვის აბაზგები ვიქნებოდით თუ აფხაზები?

– მე გითხრათ მაინცდამაინც? ჩემგან გინდათ რომ გაიგონოთ? ეს იმიტომ გააკეთეთ, რომ თქვენი ჩამოსვლის კვალი წაგეშალათ. ადგილობრივი ქართული მოსახლეობისთვის თვალში ნაცარი შეგეყარათ და მოგემზადებინათ ის, რასაც ახლა აკეთებთ – თავი სხვისი მიწის ბატონ-პატრონებად გაგესაღებინათ.

– ახლა რატომ გვინდა ცალკე ვიყოთ? თქვენ მიწა დაგითმიათ, როგორც ამბობ, ჩვენთვის და ასეთი უმადურები ხომ არ ვართ, გამოყოფა მოვითხოვოთ?

– ამას იმიტომ აკეთებთ, რომ სინდისი გქენჯნით. დაგლალათ სხვის ბუდეში გუგუღივით კვერცხის დებამ და სხვისი ტოპონიმიკის თუ ისტორიული ძეგლების თქვენად გამოცხადებამ. რაც დრო გადის, თანდათან რწმუნდებით, რომ თქვენ – სტუმრებს, მასპინძელი ქართველების წინაშე უმადურობით და უპირობით საკმაოდ დიდი დანაშაული გაქვთ ჩადენილი და ახლა გსურთ თქვენს „გააფხაზებას“ აღარაფერი გახსენებდეთ. ძველი ხიდები ჩატეხოთ და წარსულს ქვა და გუნდა მიაყაროთ.

– მაშ, ჩვენ უკულტურო და უწარსულო ხალხი ვართ? „ნართების“ ეპოსის შემქმნელი ერი!

– „ნართების“ ეპოსი მთიელთა საერთო საკუთრებაა და, თუ სიმართლე გინდათ, ყველაზე მეტი უფლება მისი დაპატრონების ოსებს აქვთ.

– სადმე წერია, რომ ჩვენ მეთვრამეტე საუკუნის დასაყისში ჩამოვსახლდით?

– ეს საკამათო არ არის, უჯუშ ბატონო. თქვენ ჩვენს ისტორიაში მანამდე არსად იხსენიებით. თუ ენის და რჯულის ერთობა ადილეურ ტომებთან არაფერს გეუბნებათ, ერთ ამბავს მაინც რატომ არ უფიქრდებით.

– რა ამბავს?

– თქვენ ქართველების გვერდით საუკუნეთა მანძილზე რომ გეცხოვრათ, სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ცოტათი მაინც არ გადაგედებოდათ ქართული კულტურა?

– კულტურა ტიფი არ არის, რომ გადაგედოს.

– ოღონდაც, მაგრამ მოთხოვნილება ხომ გაგიჩინებოდათ რაიმე ისტორიულად ღირებულის შექმნისა. მეხუთე საუკუნეში ჩვენ რომანებს ვწერდით. მეთორმეტე საუკუნეში „ვეფხისტყაოსანი“ დავწერეთ. თქვენ რა შეჰქმენით, რა გააკეთეთ? გელათის და სვეტიცხოვლის მშენებელი ერის გვერდით ასე ყუჩად, უინტელექტოდ და უპრეტენზიოდ ცხოვრობდით?

– რატომ ყუჩად, მაშ ეს ბედია და ბიჭვინთის მონასტერი ვინ ააშენა?

– ეგ არ თქვათ არსად, უჯუშ ბატონო. სწორედ ბედიისა და ბიჭვინთის მონასტრებია თქვენს უწარსულობას რომ ამტკიცებს. რა სინდისით, რა პირით მიითვისეთ ქართული ქრისტიანული კულტურის ძეგლები? სირცხვილი მაინც არ გინვათ ყურებს, იმ ძეგლებზე ქართულ წარწერებს რომ კითხულობთ? იქნებ ისე გიყვარდათ შუა საუკუნეებში ქართველები, რომ თქვენს ენაზე უარი თქვით და ქართულ წარწერებს აკეთებდით ქრისტიანულ ძეგლთა კედლებზე?

რომ არ გეტყობათ დღეს ეს ტრადიციული კეთილშობილება?

– ეკლესია-მონასტრების აშენება აუცილებელი იყო?

– აბა სად ჩანს წარსულ საუკუნეებში თქვენი არსებობის კვალი, ბატონო უჯუშ? იქნებ ცეკვა-სიმღერებში? მეგრულ მელოდიებს ახლახან ადიღური სიტყვები რომ მოარგეთ და თქვენს სიმღერებს ეძახით, ვარგა ასე? ანბანი რომ სხვისგან ისესხეთ და მთელი თქვენი მწერლობის ისტორია ას წელზე მეტს არ ითვლის, იქნებ ეს გაამაყებთ? მეძროხე, მწყემსი, ჩამორჩენილი ხალხი იყავით, რა არის ამაში დასაძრახი? ჩვენს შორის დარჩეს და კულინარიის საქმეც ჩვენგან შეითვისეთ. რა პირით ასაღებთ თქვენს სამზარეულოდ მეგრულ ლომს და შებოლილ ყველს? ფაცხაც კი არ გაქვთ თქვენს ენაზე და ესეც მეგრულს ესესხეთ. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ზღვისპირა მცხოვრები ხალხის სიტყვები თქვენს ენაში ტრადიციულად არ მოიპოვება.

– რა ვქნათ აბა ჩვენ, შენი ჭკუით, სილოვან ბატონო?

– რა ჰქნათ და, მამაჩემსა აქვს ცხონება, ისტორიის წინაშე თავს კიდევ უფრო ნუ გაიმასხარავებთ. ჩამოიხსენით აფხაზური ნილაბი და თქვენს თავს უწოდეთ ის, ვინც ხართ ადიღეველები – აფსუები და აბაზგები. აფხაზობა ჩვენ, ქართველებს დაგვიბრუნეთ და ყველაფერი რიგზე იქნება. აღარ დაჭირდებათ თქვენს ისტორიკოსებს სიმპოზიუმებზე განითლება და არც ლოთი ენათმეცნიერების მოსყიდვა „მაიკოპური წარწერის“ წასაკითხად.

– ახლა გაიგეთ, რომ ჩვენ აფხაზები არა ვართ, ახლა გამოიფხიკეთ ყურები? აქამდე სად იყავით?

– ჯერ ერთი ჩვენ მიმტევებელი ხალხი ვართ და აქამდე თქვენს ჯიუტ დამკვიდრავებას სერიოზულ მნიშვნელობას არ ვანიჭებდით. ეროვნულ ცელქობა-ცუღლუტობად მიგვაჩნდა თქვენი ჩალიჩი. ესეც არ იყოს, ჩვენმა მკაცრმა ოფიციალურმა დრომაც არაერთხელ ჩაგვიგუბა პირში წყალი.

– ეს როგორ გავიგო?

– იმთავითვე შეცდომა დაუშვა ყველამ და მათ შორის ილია ჭავჭავაძემაც, თვითმარქვია აფხაზები რომ არ გამხილათ. მიუტევებელი შეცდომა იყო თქვენთვის ავტონომიური რესპუბლიკის სახელის მიკუთვნება. თუ მაინცდამაინც, უნდა მონათლულიყავით სამხრეთ ადიღეველთა ავტონომიურ რესპუბლიკად, როგორც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქია. აღმაშფოთებელი შეცდომა იყო თქვენთვის, ჭირვეულ აფსუათათვის ის დათმობები, რაც საქართველომ გაიღო.

– რა დათმობები?

– რა და ლიტერატურა არ გქონდათ და შეგიქმნეს, მწერალი არ გყავდათ და მწერალთა კავშირი გამოგიგონეს, პროფესორი არ გყავდათ და უნივერსიტეტი დაგიარსეს, ჟურნალისტი არ გყავდათ და რადიოტელევიზიის კომიტეტის შეგიკონინეს.

– თუ დაგიჯერეთ და ვირწმუნეთ ჩვენი უაფხაზობა, ავიკრათ გუდა-ნაბადი და ისევ ჩვენს მთებს მივაშუროთ?

– ეს სხვა ლაპარაკია, უჯუშ ბატონო. გამოცდით, ვინც ხართ, ზურგს ნუ შეაქცევთ თქვენს ადიღეველ ძმებს და იყავით, იცხოვრეთ სანამ გაგეხარდებათ, ჩვენს მინაზე. როგორ ფიქრობ, ჩვენ – რუსთაველის ერი ვინმეს შემვიწროებელი და დამმონებელი ხალხი ვართ, როგორც თქვენ წერთ თქვენს უნიჭოდ შეთითხნილ წერილებში?

ამ საუბარში უჯუშის ჭიშკარს მიდგომოდნენ.

უჯუშ შედგა, ლობეზე ხელი გადაჰყო, კარი გააღო და მეზობელს მიუბრუნდა.

– ეს ლაპარაკი ვინც წამოიწყო, ისაა გასაროზგი. ვცხოვრობდით მშვიდად, არ ვერჩოდით ერთმანეთს.

– ღმერთი, რჯული, უჯუშ ბატონო, ჩვენ, ქართველებს არ წამოგვინცია.

– ხვალაც არისო მიტინგი?

– ამბობენ.



– ხვალ ვითომ რა საკითხზე იქნება?

– ხვალაც ამ საკითხზე. ხომ გითხარით, ამ საქმეს გადადება არ მოუხდება. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაწყდეს. ჩვენ შეურაცხყოფილი მასპინძლები ვართ. ჩვენს ისტორიულ მინას და ჩვენს კეთილ გულს გვედავებიან, უჯუშ ბატონო.

ღამე ნებისა უსურვა უჯუშმა მეზობელს და სიბნელება გააბიჯა.

\* \* \*

მეორე დღეს მზე მტკაველზე იყო წამოსული, როცა თეთრ მოსასხამში გამოწყობილი სილოვან მორგოშია უჯუშის ჭიშკარს მიადგა და მანდარინის ბაღში მოფუსფუსე მასპინძელს ჩასძახა:

– მიტინგზე არ მობრძანდებით, უჯუშ ბატონო?

უჯუშ წელში გაიმართა, სასხლავი მარჯვენიდან მარცხენაში გადმოიტანა, შუბლზე ხელი მიიჩრდილა და ხმადაბლა, დაგუდული ხმით გაეპასუხა:

– არა, ბატონო, არა.



## ლუკა

მდგომარეობა, როგორც დიპლომატები იტყვიან ხოლმე, ექსტრემალური იყო. უსანქციო მიტინგი უმართავ პროცესში გადაიზარდა. მესამე დღე იყო, გუგუნებდა თავისუფლების მოედანი. ორატორები ერთმანეთს ცვლიდნენ. მარიონეტული მთავრობის წევრები თავიანთ კაბინეტებში შემკრთალ-შენუხებულნი დააბიჯებდნენ, ფანჯრიდან დასცქეროდნენ რუსთაველის პროსპექტზე შეკრებილთ და მწვავედ განიცდიდნენ, რომ ასეთ ძნელ დროს მოუწიათ ქვეყნის მართვა-გამგეობამ. წესრიგის დაცვის სამსახურის უფროსებს კაბინეტები მიეტოვებინათ და ქუჩაში იდგნენ, ნერვულად იმტვრევდნენ თითებს და ზოგჯერ იმედის თვალს მიაპყრობდნენ ქუჩის მთელ გაყოლებაზე ჩამწკრივებული ტანკებიდან და ავტობუსებიდან მომზირალ ჯარისკაცთა შეშინებულ სახეებს.

„ლუკას უხმეთ, ლუკამ მიმართოს ახალგაზრდობას“, გაიცა ზემოდან განკარგულება. ლუკა ჭყოიძე სამოცსგადაშორებული, ყოფილი დისიდენტი, მთავრობაზე ბევრჯერ გამწყრალი და ბევრჯერ შერიგებული, ხალხში ჯერ კიდევ სარგებლობდა ძველი ავტორიტეტით. შუა ხანს რომ გადაშორდა, პოლიტიკურ ბრძოლაზე უარი თქვა, სამსახურში შევიდა და მშვიდ ცხოვრებას მიჰყო ხელი, მაგრამ პატიოსანი კაცი იყო და ბოლომდე ვერ დაარბილდააუთავეს. ხანდახან დარბაზიდან ისეთ დროს წამოიძახებდა – „არ არის სწორიო“, რომ მთელს პრეზიდენტი ტანში გააცვივებდა. ლუკასთვის მაღალი რანგის მოხელე საშიშროებას არ წარმოადგენდა. რაც არ მოენონებოდა „მაღალი ხელმძღვანელის“ ნათქვამში, იქვე წამოდგებოდა და სახალხოდ უარყოფდა. ამიტომაც ბევრს ჰქონდა წარმოდგენა ლუკაზე, როგორც შეუვალ და პრინ-

ციხულ კაცზე. ნაწილობრივ მართლაც იყო ლუკა მართალი და გაბედული, მაგრამ სამწუხაროდ, მხოლოდ ნაწილობრივ. ბევრჯერ ჭკუანასწავლს და ყურანანევს გამომუშავებული ჰქონდა ოქროს შუალედური პოზიცია. ეშმაკი იყო. ისეთს არაფერს იტყოდა, რომ ხელისუფლების რისხვა გამოენვია, მაგრამ არც ისეთს ამბობდა რამეს, ესტვინათ და ტრიბუნიდან ჩამოეგდოთ. ალბათ, ყველაზე აუტანელი ასეთი, ჭკუანასწავლი, ყოფილი მემამბოხეა, ჩემო მკითხველო.

რაკილა ლუკას ჯერ კიდევ უსმენდნენ, გასაჭირის დროს მთავრობის წარმომადგენლები ხშირად მიმართავდნენ საშველად „ყოფილ ოტელოს“. მიტინგი საშიშ მიმართულებას რომ დაადგებოდა, უხმობდნენ ლუკას და ჩვენი გმირიც თავისი ხავერდოვანი ხმით არ დაიშურებდა მამაშვილურ დარიგებებს: „თქვენი ჯანმრთელობა, შვილებო, საქართველოს სჭირდებაო, თქვენაო, ჩვენი მომავალი ხართო, ეს მანდ სისულელე არაფერი ჩაიდინოთ, ჯერ ადრეა ქვის სროლა, ახლა ქვების შეგროვების პერიოდიანო. ჩემს თაობას მძიმე დღეები გამოუვლია და არ გვინდა, თქვენც იმავე მეთოდებით ჭკუის სწავლების ობიექტებად იქცეთო“ და ა. შ. ვერ გეტყვით, რა ზემოქმედებას ახდენდა ლუკას აბატური ლაღადებანი ახალგაზრდებზე. ეს კი ცხადია, რომ მომიტინგენი ლუკას გამოსვლიდან კარგა ხნის შემდეგ მშვიდობიანად იშლებოდნენ, ხოლო „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ ეგონათ, რომ ეს, ყოველივე ლუკას „ცეცხლოვანი“ სიტყვის წყალობა იყო.

ეძებეს, ეძებეს და, როგორც იქნა, მიაკვლიეს ლუკა ჭყოიძეს. იგი იქვე, ტრიბუნის უკან, ვიღაც უბერეტო, თავმოტვლებილ კაცს ელაპარაკებოდა და, რასაკვირველია, გამოსვლას არ აპირებდა.

ჯერ მამულიშვილური ვალი მოაგონეს, მერე მის ავტორიტეტს გაუსვეს ხაზი, ბოლოს იმ „ამხანაგის“ სახელიც უხსენეს და, რა თქმა უნდა, დაიყოლიეს ლუკა გამოსვლაზე.

სამმა „თანამშრომელმა გაუკვალა გზა მიკროფონისკენ. მიიყვანეს, ტრიბუნაზე შეაყენეს და გამოშორდნენ. ორი ორატორიც და მიკროფონში ლუკას მგზნებარე ხმა გაისმა:

„ძვირფასო მეგობრებო!

მე ბევრჯერ გამოვსულვარ თქვენს წინაშე და ბევრჯერ ჭკუის დამრიგებლის როლშიც ვყოფილვარ.

ახლა მე ბოდში უნდა მოგიხადოთ ყველა ჩემი წინა გამოსვლისათვის.

ჩემი სამოცი წელი სრულებითაც არ მაძლევს იმის უფლებას, რომ გაუთავებლად გაშინოთ წარსულით, გაგაფრთხილოთ მომავალ სიძნელეთა გამო და ბრძოლის გზას აგაცდინოთ.

კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ თქვენ მართალი ხართ.

ადრე, სახლში რომ ვბრუნდებოდი, ვფიქრობდი, რა კარგი საქმე გავაკეთე, ხალხს მოთმინებისკენ მოვუწოდე-მეთქი.

გადიოდა თვეები, წლები და ამ ჩვენს მოთმინებას ვერაფერი სიკეთე მოჰქონდა.

თანდათანობით უფსკრულისკენ მივექანებით, ლამის მენყერზე ვზივართ და რა პირით გიქადაგოთ ახლა მე თქვენ უკან დახევა, სათნოება, კეთილგონიერება და მოთმინება.

ჩვენ ამ აუხსნელი სიფრთხილით ისედაც ბევრი დრო დავკარგეთ.

ჩვენს გვერდით მცხოვრებმა ერებმა თავი გადაირჩინეს, ჩვენ კი პირდაღებული შემოგვყურებს ისტორიის ვეშაპი. მშვიდობიანად, უსისხლოდ გვიპყრობენ და რიყეზე ამოყრილი თევზებივით სულს ვლაფავთ.

ჩვენი ათასწლოვანი სიკეთე უმადურობად და ლანძღვად დაგვიბრუნდა.

ჩვენს ეროვნულ სხეულს ხავსად მოდებული გადამთიელი ჩვენს მიწას გვედავება.

ჩვენი პატრონი არავინ აღმოჩნდა. ყველამ თავისი კარიერული მიზნები შეისრულა დაჩოქებისკენ ჩვენი მოწოდებით, მერე გადაგვაბიჯა და თავის გზას ეწია.

როგორც ჩანს, ჩვენს თავს ჩვენ უნდა ვუშველოთ და არავის ვათქმევინოთ, რომ ამ მიწის პატრონად აღარ ვვარგავართ.

ახლა ენერგიული, გადამწყვეტი მოქმედების დროა.

თქვენ, ახალგაზრდებმა უკვე დაამტკიცეთ, რომ გმირ წინაპართა გენი სწორედ თქვენში ფეთქავს და გაბედულების, თავგანწირვის დიდებული მაგალითები არაერთხელ მოგვეცით სწორედ ახლა, ამ ბოლო წლებში.

თქვენ მართალი ხართ!

მიდით და მოგყვებით, ძვირფასო ახალგაზრდებო!“

კიდევ რაღაც თქვა ლუკამ, მაგრამ მიკროფონი გამოურთეს.

რაკილა იგრძნო, მიკროფონი გამომირთესო, მუშტმემართვით ორიოდე ლოზუნგი გადმოისროლა და ტაშის გრიალში ტრიბუნას მოშორდა.



## სამართლებრივი სახელმწიფო

იქნებ თავის ტკივილები მომიხსნათ, ექიმო, და სხვას არ დავეძებ აღარაფერს. ყველაფერი რომ გითხრათ, რაც მანუხებს, შეიძლება არ დამიჯეროთ, ან საავადმყოფოში დანოლა მომთხოვოთ. იქ ყოფნის დრო და საშუალება სადა მაქვს. ახლაც უპატრონოდ მყავს ბავშვი მიტოვებული. მეათე კლასშია ჩემი ბიჭი და ახლა უნდა იმას პატრონობა. კი, მეუბნება, შენს თავს მიხედე, დედა, მე დიდი ვარ უკვეო, მაგრამ დედა მოუკვდეს იმას, უჩემოდ ჩაის არ დაისხამს. ლუკმას არ ჩაიდებს პირში, მე თუ იქვე არ ვუზივარ და არ ვეჩიჩინები. არ არიან, არა, ახლანდელი ბავშვები მჭამელები. რომ გადაყვე თან, ერთ ჭიქა რძეს ვერ დააღვინებ.

ნერვები მაქვს ანენილი, ღამეები არ მძინავ და ნერვულობას ვაბრალებს თავის ტკივილებს. რომ გიამბოთ, რამ დამაგლიჯა ნერვები, არ დაიჯერებთ. რაც მე ამ ერთ წელიწადში გადამხდა, მტერს არ ვუსურვებ. ცოცხალი რომ ვარ, ისიც მიკვირს, ბატონო. ეს ბავშვი რომ არ მყავდეს გასაზრდელი და გზაზე დასაყენებელი, აქამდე ცხრაჯერ მოვიკლავდი თავს.

ადამიანს უბედურება როგორ უნდა გაგიკვირდეს. სხვას რომ არ მოსვლია, ისეთი არავის არაფერი დაემართება, მაგრამ მე გული სხვა რამემ მომიკლა. არ მეგონა, არა, თუ დღესაც ასე უსამართლოდ იყო ქვეყანა მონყობილი და თუ სიმართლის მისაღწევად მაინცდამაინც რკინის ქალამნების ჩაცმა, ჯოხის ხელში დაკავება და ხელმწიფეთა კარდაკარ სიარული იყო საჭირო.

ქმარი მომიკლეს შარშან. გუგულივით წყნარი კაცი, ვეტექიმი, ახალი დამთავრებული ჰქონდა ზოოვეტი დაუსწრებლად, მანამდე სულ მუშად მუშაობდა მეურნეობაში, ნეტავ, სულ არ ესწავლა, იქნებ ცოცხალი მყოლოდა.

გამონთავისუფლდა ვეტექიმის ადგილი და დანიშნეს. არც უნდოდა მაინცდამაინც, სანერვიულო ადგილიაო. შარშან, ცხრა დეკემბერი იყო, სახლში მოგვაკითხეს ძმებმა ფართლიძეებმა. ორი ძმა იყო. ორივენი ჩვენს მეზობლად ცხოვრობენ. იქვე მეოთხე მოსახლე არიან. უმუშევარი, ბნელი ხალხი. ერთმა ორი წლის წინ მოიყვანა ცოლი, მაგრამ არ გაუჩერდა, გაექცა. მარტო ცხოვრობდნენ ძმები და მე რაში მეკითხებოდა, მაგრამ ყველამ იცოდა, თალლითობით და მაქინაციებით ირჩენდნენ თავს.

არ მესიამოვნა ფართლიძეების მოსვლა. გაიყვანეს ჩემი ქმარი და დიდხანს, გაცხარებით უმტკიცებდნენ რალაცას. შემობრუნდა და ქუდი ჩამოხსნა, სად მიხვალ-მეთქი. პატარა საქმეზე მივყვები ფართლიძეებსო. ნეტავ, მუხლებში ჩავვარდნოდი და არ გამეშვა. წინასწარ რა იცი ადამიანმა, რა შავი დღე გელის, თორემ ვეფხვად გადავიქცეოდი და თვალებს ამოვკორტნიდი ჩემს დამავსებლებს.

დილით გვერდითა მეზობელი კივილით შემოიჭრა ჩემს ეზოში, შენი ქმარი ჩემს ჭასთან ასვენიაო. გავვარდით, ბრეზენტშემოხვეული მართლაც აგერაა გაცივებულ-გალიგვებული. რა მიხვედრა უნდოდა, რომ ფართლიძეების მოკლული იყო. შევვარდი სახლში კივილით, უკან მთელი სოფელი მომყვება. „ჩვენო, ღამის თერთმეტ საათზე დავშორდითო, რა ვიცით, ვინ მოკლაო“, შენუხდნენ ვითომ ძალიან.

მოვიდა მილიცია. დააპატიმრეს ორივენი და მესამე დღესვე გამოუშვეს. სანამ მკვდარი შინ გვედო, იმის თავი სად მქონდა, დასაფლავების მეორე დღესვე ჩავედით მე და ჩემი მაზლი რაიმილიციაში. მილიციის უფროსმა, ძიებას გავნაგრძობთო, არაა მაგათი მოკლულიო. დავადგინეთ, მაგ დროს ესენი სახლში ყოფილანო. აბა, ვინ მოკლა ჩემი ქმარი, ესენი ეჩხუბებოდნენ ორი საათი ჯერ ჭიშკართან, მერე წაიყვანეს, ამას რალა ძიება უნდა-მეთქი. რაიონის ექსპერტს ისე ჰქონდა საქმე შედგენილი, ვითომ მანქანამ დაარტყა და ვილაცამ შეახვია ბრეზენტში მერე და ეზოში ჩამოაგდო. ჩვენ

კი ყველამ ვიცოდით, რომ ბლაგვი საგნის რამდენიმე ადგილას დარტყმით იყო მოკლული. ორ ადგილას თავი ჰქონდა ჩატეხილი სხვადასხვა მხარეს ეტყობოდა დანარტყამი.

გამოვიძახეთ ჯგუფი თბილისიდან. ჩამოვიდა ვილაც ახალგაზრდა გამომძიებელი და ხანშიშესული ექსპერტი. მიცვალებული უნდა ამოვთხაროთო. მივეცით ნება, გასინჯეს მკვდარი და იმათაც ეს დასკვნა დაადასტურეს. რად უნდა ლაპარაკი ფულია შუაში.

არადა, ჩემი ქმრის მკვლელები გარეთ დასეირნობენ. რა მომასვენებს. ჩემი ქმარი ისე უყვარდა მთელ სოფელს, თვალში რომ ჩავარდნოდან, თითს არ ამოისვამდნენ. მირჩია ვილაცამ და მეც ჭკუაში დამიჯდა. ვიქირავეთ ავტობუსი, ჩავჯექით ოცდათხუთმეტი კაცი მეზობელ-ნათესავები და ღამის თერთმეტ საათზე დავადექით გზას თბილისისკენ. სამ საათზე ხაშურთან გაგვაჩერეს, თოვს, ქარბუქია. გადმობრძანდითო, გვთხოვეს ზრდილობიანად, თქვენს მძღოლს საბუთები წესრიგში არა აქვს და ავტობუსი უნდა დავაყენოთო. აბა, ჩვენ რითი წავიდეთ-მეთქი, მხრები აიჩეჩეს. თურმე დაურეკავს ჩვენი მილიციის უფროსს, ესა და ეს ავტობუსი ამა და ამ საქმეზე მიდის და, არიქა, გააჩერეთ როგორმეო. ავტეხე კვილი, მაგრამ ვინ გისმინა.

ჩამოვედით ავტობუსიდან და დავადექით გზას თბილისისკენ. სად წახვალ ამ ყიამეთში. ერთ საათში გათოშილებს ძველი, ცარიელი ავტობუსი წამოგვეწვინა, ნაწილი იმან წამოგვიყვანა, ნაწილი სხვამ შეგვიცოდა და ჩამოვედით როგორც იქნა. ჩვენდა იღბლად არცერთი დიდი უფროსი ადგილზე არ აღმოჩნდა. ხან ერთ კაბინეტში შევცვივდით, ხან მეორეში. მერე ვილაც კესაევმა მიგვილო. მეო მაგ მკვლელობის საქმის კურსში ვარო, კონტროლზე გვყავს აყვანილი, თქვენ დაბრუნდით უკან და გაძლევთ პირობას, ერთ კვირაში დააპატიმრებენ მკვლელებსო.

მთელმა რაიონმა იცის, რომ მკვლელები ფართლიძეები არიან, რად უნდა ერთი კვირა-მეთქი. დავბრუნდით, გადის



ორი კვირა, ვინ სცემს მკვლევებს ხმას უბატონოდ.

არადა ვიცი, დრო რომ გავა და კვალი წაიშლება, მერე და მერე უფრო ძნელი გახდება სიმართლის დადგენა.

ახალი წლის წინა დღეს მოვილაპარაკეთ მთელმა სოფელმა, ამოვთხარეთ მეორედ მიცვალებული, გამოვიტანეთ შუა ტრასაზე, დავდგით, მოძრაობა გადავკეტეთ და ჩვენც იქვე დავდექით.

რაშია საქმე? ჩერდებიან მანქანები, დაიკეტა მოძრაობა, მოვარდა მილიცია, ინსპექცია, ადგილიდან ძვრა ვერ გვიყვეს.

რაიკომი, აღმასკომი, – ყველა გველრიჯება; გაანთავისუფლეთ გზაო, სამასამდე კაცი მიცვალებულის კუბოთი ვდგავართ ქუჩაში და ვამბობთ, სანამ მკვლევებს არ დაიჭერენ, ფეხს არ მოვიცვლითო.

დააპატიმრეს, რა მეტი გზა ჰქონდათ.

მესამე დღესვე გამოტყდნენ ძმები, ღორის ხორცზე ბეჭდის დარტყმა ვთხოვეთ, უარი გვითხრა და ამ ნიადაგზე შევლაპარაკდითო. თურმე შეამონმა საწყალმა ჩემმა ქმარმა ხორცი და ნახა, რომ დაავადებულია, ნუ გაყიდით ამას, ბიჭებო, ნუ ჩადგებით ხალხის ცოდვაშიო.

რას ქვია ამხელა ღორი ვიზარალოთო, ის ღორიც მონაპარავი ჰქონიათ და მოუკლავთ იმ ძალთაპირებს ჩემი ქმარი.

გაასამართლეს და რვა-რვა წელი მისცეს. მაინც გაახერხეს რაღაცა. რვა წელი რა არის. შემთხვევით ჩხუბში კი არ მოუკლავთ, წინასწარ – განზრახვით წაიყვანეს და მოკლეს. რვა წელს ხანდახან მაღაზიაში რომ მარცხენა საქონელი აღმოჩნდება, იმაშიც აძლევენ კაცს.

ა, ამ ამბების გადამტანი ცოცხალი რომ ვარ, არ გიკვირს? იქნება თავის ტკივილები მომიხსნა, შენ შემოგეველე, სხვას აღარ დავეძებ.



## მოქცევაი

იმ სამასწლიანი ტკივილის დავინწყება ადვილი რომ არ არის, თქვენზე უკეთ ვინ უწყის ეგ ამბავი. თურქმა იცოდა, რასაც აკეთებდა. მთავარი ნაგართვა – რწმენა. რაკი იმას მიაღწია, რომ ამხელა კუთხე, კუთხე, სადაც ქრისტიანობის აკვანი დაირწა, გაამუსულმანა, იფიქრა, ანი ერთი ნაბიჯია დარჩენილი გათურქებამდეო. ის ერთი ნაბიჯი კი, ნურას უკაცრავად, არ გადადგა ჩვენებურმა კაცმა. არ გათურქდა. თავის რჯულს, თავის ენას, თავის აკვან-იავნანას ჩაებლაუჭა და ასე მოიტანა მოაქჟამამდე თავისი გატანჯული არსებობა და უტეხი სული.

რაი დაგიმალო და რწმენას ახლაც, ამ ბოლო დროსაც, ბევრი ებლაუჭებოდა. მე ღმერთმა დამიფაროს რომელიმე რელიგიის შეურაცხყოფისგან. მაჰმადიანობასაც თავისი ლაზათი აქვს, მაგრამ რომ არ იყო ეგ ქართველისთვის ტრადიციული სარწმუნოება, გულში ყველამ იცოდა. სოფელში იდგა მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეების ქრისტიანული ეკლესიები. აუვლიდა და ჩაუვლიდა იმ ბოქლომდადებულ ეკლესიებს კაცი, მარა ლოცვით მაინც მაჰმადის რჯულზე ლოცულობდა. ვერც გაამტყუნებდი. მას ხომ ტანჯვითა და კირთებით დაავინწყეს მაცხოვარი და სხვა ღმერთს შეუყენეს. მუსულმანობა კიდე, რა დასამალია, ქრისტიანობაზე ბევრად აქტიური რელიგიაა. მორწმუნესგან ყველაფერს მოითხოვს. ყოველ საათში აიძულებს სამსახურს, წამდაუნუმ შეახსენებს ალაჰს. და დღედაღამ შრომა-წვალეებაში გართულ ჩვენებურს, ამ ისედაც სახელმწიფოსგან დევნილი სარწმუნოებების გადამკიდეს, დრო აღარ დარჩა რელიგიური თვითგამორკვევის. ფიქრობდა, ხომ მაინც ქართველი ვარ და, რა მნიშვნელობა აქვს, სად ვილოცებო!

ამ წელს სასწაულები მოხდა ჩვენს შეგნებაში, საერთოდ, ქრისტიანობამ თავისი შეუზღალავი დროშა ააფრიალა და ქართველისაგან ჯვანით ერთობის გარდა, რწმენის ერთობაც მოითხოვა.

მე მაინც შიშით შევცქეროდი ჩვენი მხარის რელიგიურ სახეცვლილებას. აქ ძალდატანება და თავზე მოხვევა რომ არ შეიძლება, მოგეხსენება. უწმინდესი და უნეტარესი რომ ჩამობრძანდა, ცოტა არ იყოს, შევკრთი. რა უნდა ვქნა მე, ხელმძღვანელმა, ვაი თუ ეკლესიის კურთხევა და ქრისტეს ქადაგება არ მიიღოს ხალხმა და ყველაფერი მე დამბრალდეს-მეთქი. როგორ არ ვიცი, ხელმძღვანელი ყოველთვის ხალხთან უნდა იყოს, მაგრამ ხომ არ შემიძლია, ხელალებით მოვუნოდო, ეს რწმენა დათმეთ და ამას შეუდექით-მეთქი. მე თვითონ რა პოზიციაც უნდა მეკავოს, გარეგნულად მაინც ნეიტრალიტეტი უნდა დავიცვა.

ჩვენს შორის დარჩეს და ეკლესიის კურთხევის წინააღმდეგ ჩემთან დელეგაცია მოვიდა მიღებაზე. ხუთი მთიელი მოხუცი. უმცროსი მათ შორის ოთხმოცზე ნაკლების არ იქნებოდა. რას შვრებიო, მითხრეს, ხომ იცი, ალაჰი არ გაპატიებს ამასო. შენამდე სხვები ისხდნენ მაგ სკამზე, მაგრამ ქრისტიანული ეკლესიის გახსნა არავის მოსვლია თავშიო. ვისზე რა ნაკლები ქართველები ვართ ჩვენ, გვითხარი ერთიო. ესაა თქვენი რელიგიის თავისუფლებაო?

რას უპასუხებდი შენ, ჩემს ადგილზე რომ ყოფილიყავ? იმ დარბაისელ მოხუცებს ჩემგან ცარიელი სიტყვა კი არა, საქმე სურდათ. თქვენს რწმენას არავინ ეხება, ბაბა-მეთქი, უნეტარესი თავისი მრევლის მისახედავ-საპატრონოდ ჩამოდის-მეთქი. ბოლოს და ბოლოს, ქრისტიანებსაც ხომ უნდა გვქონდეს ჩვენი სალოცავი-მეთქი! მე, საერთოდ, ათეისტი ვარ ჩემი პარტიულობით და ჩემი მდგომარეობით. მე ვერც ასე ვეტყვი და ვერც ისე-მეთქი. რომც ვუთხრა, არ დამიჯერებს-მეთქი. უწმინდესმა თავისი საქმე ჩემზე კარგად იცის-მეთქი.

ნავიდნენ შეფიქრიანებულები, ცოტა არ იყოს, გულდანყვეტილებიც. ჩანს, ჩემგან უფრო გადამჭრელ პასუხს ელოდნენ.

ტაძრის კურთხევის დღეს რაც ჩვენს ქალაქში ხდებოდა, ამის აღწერას, მე კი არა, კარგი, დახელოვნებული მწერალიც ვერ შეძლებს.

ჩვენი ქალაქისთვის იშვიათი დარი დადგა. მუქი ლურჯი გახდა ცა. რაღაცნაირი მუქი ცისფერი ცარგვალი თითქოს უფრო ჩამოინია ძირს. ჩვეულებრივზე უფრო დაბალი და გამჭვირვალე იყო ცა. თუ მე მეჩვენებოდა ასე, ვერ გეტყვი.

ჩემი ყოფნა დადგენილი თუ დაუდგენელი წესის მიხედვით საეკლესიო ცერემონიებზე არ შეიძლება. ასეთია წარსულის ინერცია, თორემ რატომ არ უნდა შეიძლებოდეს, კაცმა რომ თქვას?! იქვე, ეკლესიის წინ, ჩემი ნათესავი ცხოვრობს და იმის სახლში ვარ შემალული. მინდა ყველაფერი კარგად ჩატარდეს.

დაიწყო უწმინდესმა და უნეტარესმა ქადაგება. მაინც რა სახე აქვს იმ დალოცვილს. მე მგონია, ქრისტეს სახე რასაც ჰქვია, ეგ სახეა სწორედ. სათნო, კეთილი, დამამშვიდებელი, მეტყველი, წმინდა. რა სანახაობა შეედრება ამას! გადი-გამოდიან ღვთის მსახურნი. არის ტკბილი გალობა და ლიტანია. ცრემლი მადგება წამდაუნუმ თვალზე.

ხალხი? ვერავითარმა მილიციამ ვერ შეაკავა.

ზღვა ხალხი მოაწყდა ტაძარს. უწმინდესი თითებაშვებულ ხელს წინ რომ გაიშვერს, ერთბაშად ურიცხვი ტუჩი ერთად დააცხრება საამბორებლად. გაივსო ქუჩა, ეზო. აწვება ხალხი. ღმერთო, ოღონდ ახლა არ დაირღვეს წესრიგი, თორემ ყველაფერი წყალში ჩაიყრება!

გაგიგონია? სამაგალითოდ იქცევა ხალხი. თითქოსდა მთელი სიცოცხლე ქრისტიანულ ლოცვა-კურთხევაში გაეტარებინოთ. გალობაშიც ჰყვებიან გუნდს, პირჯვარსაც იწერენ. მუხლზეც მოხდენილად ეცემიან.

ესეც შენ, სოციალისტურო წყობილებავ! რაო, აღ-  
მოგვიფხვრია ადამიანის ზნეჩვევიდან, ის, რაც ათასი წლის  
განმავლობაში ჩაებეჭდა მეხსიერებას და შეისისხლხორცა?!

შემოუარეს სამჯერ ტაძარს. მერე ეზოში გამოვიდა უნ-  
მინდესი და აქვითინებულ-ათრთოლებული ხალხის წინაშე  
გრძელი ლოცვა წაიკითხა.

ახლა კი შევიდეთ ტაძარსა ჩვენსა და ავუნთოთ სახლს  
ქრისტესას წმინდა სანთლებიო, რომ თქვა, ყველანი შესასვ-  
ლელს მიაწყდნენ.

არც კი მახსოვს, როგორ აღმოვჩნდი ტაძარში და, „მამაო  
ჩვენო“ რომ ჩამთავრდა, სწორედ მაშინ გამოვერკვიე, მაგრამ  
უკვე გვიან იყო: ყველაზე მაღლა მეჭირა ანთებული სანთელი.  
ეკლესიის კურთხევის შემდეგ მონათვლა დაიწყო. უწმინდესი  
და მისი ამაღლა ჯვრების დარიგებას ვერ აუდიოდნენ. ხუთასი  
კაცი ერთდროულად მოინათლა, ხუთასი ქართველი შეუდგა  
ქრისტეს ლაშქარს იმ დღეს.

მონათვლის მართლად მოქცევის იმ დღეს დაწყებული  
პროცესი დღემდე გრძელდება.

რა არის ეს, სისხლის ყივილი თუ ქრისტეს საქმის რწმენა?  
ალბათ, ორივე ერთად.



## მესამე ზარი

### ვუძღვნი თენგიზ ჩანტლაძის ხსოვნას

მოდის, კაცო, შემოდი. ადამიანისფერი აღარ გადევს. შემოდი თამამად. მე ვარ. გეშინია მკვდართან ლაპარაკის? პირველად ხვდები მოლაპარაკე მიცვალებულს ხომ? იცი, რა, შენ კი არა, ლამის მეც დავიჯერო. მეორე დღეა შემჭამა ხალხმა. ვინ არ დარეკა, ვინ არ მოვიდა. „ჭორია ხომ?“ კარებში დგას კაცი, მელაპარაკება და მეკითხება – ხომ ჭორია შენი სიკვდილიო. ასეთი რამ გინახავს? ისე, როგორც ჩანს, ორმოცდაათს რომ გადავშორდებით, ჩვენი სიკვდილის საკითხი უკვე მნიშვნელობა სადღაც, თორემ ჭორი ასე სწრაფად არ გავრცელდებოდა. ერთი-ორგან დავიჩივლე; დავიღალე-მეთქი, ვიღაცას ვუთხარი, ეტყობა, ამ ბოლო დროს. გულს მაზიდვინებს-მეთქი და მეტი არ უნდა ქალაქს. ვინ მომიგონა მაინც, რომ იცოდე, როგორ მაინტერესებს. ლამის გამომიტირა მთელმა ქალაქმა. რა გრძნობა მაქვს იცი? უხერხულ მდგომარეობაში ვარ, კაცი პანაშვიდზე რომ მოდის და ცოცხალი ვხვდები. ვაითუ, მართლა რომ მოვკვდები, მერე აღარც კი დაიჯერონ, მორიგ ჭორად, ან ხუმრობად ჩამითვალონ და ცრემლის გადმომგდები არ გამოჩნდეს. ასეთ გაურკვეველ მდგომარეობაში ჯერ არ ვყოფილვარ. ჯერ ჩემს მდივანს ურეკავდნენ; მართლა გარდაიცვალა თუ არაო, მერე, ეტყობა, ის გოგო მთლად დამაჯერებლად ვერ პასუხობდა და აქეთ გადმოვრთე ტელეფონი. ახლა პირდაპირ მე მეკითხებიან, ცოცხალი ვარ თუ არა. ზოგი, გითხარი უკვე, ხმას არ უჯერებს, შემოდის კაბინეტში და ჩემი ყურებამდე გალიმებული სახე აღარ აკმაყოფილებს, ხმა ამოიღეო, მეუბნება. შეძახილმა ხე გაახმოო, რა გენიალური ანდაზაა, ვერ წარმოიდგენ. ნუხელის რომ ვწვე-

ბოდი, ერთი გაფიქრება გავიფიქრე, მართლა ხომ არ მოვკვდი და ეს ყველაფერი საიქიოში ხომ არ ხდება-მეთქი. ხომ იცი, სიკვდილი გონებიდან იწყება, თუ დაიჯერებ, მეყოლე კარგად თურმე. აზრის სიკვდილიდან ფიზიკურ სიკვდილზე გადასვლა თვალის დახამხამებაში ხდება. ჭაბუამ მითხრა ერთხელ. ოცი წლის წინათ ექიმმა ყელის კიბოს დიაგნოზი დამისვა და თან გამომიცხადა: დიდი, დიდი სამი თვის სიცოცხლე დაგრჩენიაო. არ დავიჯერე, ახლოსაც არ გავიკარე სიკვდილზე ფიქრი. შენ ხომ არ გაგიჟდი, რა დროს სიკვდილია, ამდენი და ამდენი საქმე მაქვს-მეთქი! რომ დამეჯერებინა, ახლა ჩემი ძვლებიც აღარ იქნებოდა მინაშიო.

წარმომიდგენია, როცა გაიგე, რა სახეს მიიღებდი. კაცს გუშინ თორმეტ საათზე ველაპარაკე, თორმეტი იყო არა? შენ რომ მოხვედი, სალსალამათი იყო, ვიცინეთ, ვიხარხარეთ და ასე უცებ (ექვსზე გარდაიცვალაო ჩემზე ამბობენ ხომ?) რა მოკლავდაო, გადაირეოდი. სიკვდილი მართლა ასე მოპარვით კი არ მოდის. მთლად უნამუსოდ კი არ გექცევა. დილიდან მაინც გაგრძნობინებს, რომ შენს სიახლოვეს ტრიალებს. დილით გულის ტკივილს იგრძნობ, უქეიფობას ატყობ თავს, ნახევრადხუმრობით შინ ერთ-ორ სიტყვას ანდერძივით დაიბარებ, მერე სამსახურში ნახვალ და მთელი დღე ჩუმად ხარ, რაღაცნაირი, უჩვეულო, წამსვლელი კაცის განწყობილება გაქვს. მერე ახლო მეგობრებს დაურეკავ, სადა ხართ, სად დაიკარგეთო, ისე, უბრალოდ, დამთქნარება და წასვლა არ არსებობს. რაღაცას ჩაიდენ განსაკუთრებულს იმ დღეს, ქელეხზე სათქმელი სადღეგრძელოს მასალა ხომ უნდა მისცე მეგობრებს. რა ვიცი, მე სულ ეგეთი სიკვდილები გამიგია. ტანმა უგრძნოო, ასე და ასე თქვაო, სიკვდილის წინ ბაბუამისის სურათისკენ გაიხედაო.

ახლა უკვე პირაღმა ვიქნებოდი გამხვართული და იქნებოდა ფაციფუცი. დაკრძალვის ადგილიო, ნეკროლოგიო, რამდენი რამ სჭირდება მიცვალებულს. კიდევ კარგი, რომ

საკუთარ დაკრძალვაზე ზრუნვისგან მაინც თავისუფალია ადამიანი. წარმოიდგინე, ესეც რომ ჩვენი გასაკეთებელი ყოფილიყო.

საკუთარი ნეკროლოგის წაკითხვაზე უფრო საზარელი ხომ არაფერია ამ ქვეყანაზე, მაგრამ მაინც მაინტერესებს, შენ ვერ წარმოიდგენ, როგორ მაინტერესებს. ალბათ, ასე დაიწყებდნენ: „მოულოდნელად წავიდა ჩვენგან გამოჩენილი ქართველი მსახიობი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, 1977 წლიდან სკკპ წევრი, იუმორისა და სატირის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი თენგიზ ვასილის ძე ჩანტლაძე. იგი დაიბადა 1933 წელს. სწავლობდა ჯერ უნივერსიტეტის გეოლოგიურ ფაკულტეტზე, მერე პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. პოლიტექნიკურში სტუდენტობისას დაიწყო კონფერანსიობა და მერე თეატრს აღარ მოშორებია. 1950–60 წლებში მუშაობდა მარჯანიშვილის თეატრში, 1968 წელს იუმორისა და სატირის თეატრი დააარსა“ – და შემდეგ, როგორც ყველა ნეკროლოგშია.

იმ დღეს, შენი წასვლის მერე, ნერვები ცოტა მომიშალეს, მაგრამ ისე არა – სასიკვდილო რომ ყოფილიყო. თენგიზ ჩანტლაძეს ნერვების მოშლა მოკლავს? მთელი ცხოვრება ხელში მიჭირავს თოკებივით საკუთარი ნერვები და ვექაჩები აღმა-დაღმა. დაწყნარებული ცხოვრება ვისა აქვს დღეს, თეატრის კაცს რომ ჰქონდეს.

ისეთი არაფერი-მეთქი, გეუბნები. ჩვეულებრივი დღე ჩემი, ჩვეულებრივი ბრძოლა. ჩამოვედი ქუთაისის გასტროლებიდან, თეატრის შენობა დანგრეული დამხვდა. ეს პატარა კაბინეტი, სადაც ახლა ვართ, ძლივს გადაურჩენია ღირექტორს. რაშია საქმე? რემონტს ვინყებთ, სცენა ბალის მხრიდან უნდა მოვაშენოთო. ეს თეატრის თავიდან აშენებას უდრის. არ უნდა ლაპარაკი. კი ბატონო, შენი თეატრია, მე დროებით ვარ შემოხიზნული, მაგრამ მეც ხომ თეატრი ვარ, მე სად წავიდე-მეთქი. სადაც გაგეხარდებო. ეს რა პასუხ-



ია, თეატრს ბალაგანად ხომ არ გადავაქცევ-მეთქი. ვერავინ ვერავითარი საიმედო პასუხი ვერ მომცა. ახლა თეატრების რემონტების დოღია. ქალაქში, ეტყობა, თეატრი აღარ ჭირდებათ და რემონტის საბაბით ხურავენ. რემონტზეა მარჯანიშვილის თეატრი, რემონტზეა მუსკომედია, რემონტზეა მეტეხის თეატრი, უბინაოდ ვართ ჩვენც. ჯერ დაამთავრე ერთი თეატრის რემონტი და მერე დაიწყე მეორე რემონტი, სად გსდისო ქუჩაში მაცურებელმა ბილეთით ხელში, შე მამაცხონებულო. არა ვარ მართალი?

ეს ისე გითხარი, სიტყვის მასალად. ამაზე უარეს დღეში მყოლია თეატრი და გაღმა გამიცურავს. მე ზოგიერთი „ამხანაგის“ ირონიული მზერა, ვერშემჩნევა და გულგრილობა უფრო მიფუჭებს ხასიათს, ვიდრე ბიუროკრატიული ნაჯექ-უკუჯექობა. ჯერ ვერ გვიცნო ყველამ, მაგრამ სხვა თეატრების გვერდით ჩემი თეატრიც მოდგაფუნობს ამ ქვეყანაზე და თავის საქმეს აკეთებს.

სიკვდილს რაც შეეხება, ჯერ სასიკვდილოდ არ მცალია. შენ მაინც როგორ მოტყუვდი, შენ მაინც როგორ დაიჯერე.

\* \* \*

უძილობისგან განამებულს ნუთით ჩამთვლიმა და ეს სიზმარი ვნახე. რა ბედნიერი ვიყავი, ძმაო, რა დიდებული ნუთები მქონდა. ახლა აქედან გავალ და მთელ ქვეყანას მოვდებ, რომ თენგიზ ჩანტლაძის სიკვდილი ჭორი ყოფილა-მეთქი.

ნეტავ არ გამლვიძებოდა. არ გადმოვსახლებულიყავ ამ საშინელ სიცხადეში. დღეს შენი დაკრძალვის დღეა. სამშაბათი, 1988 წელი, 13 სექტემბერი.



## აღსარება

ახლა ლაპარაკი ადვილია. ახლა მეც კარგად ვხედავ, რა შეცდომაც დავუშვი. თუ ძმა ხარ, წამით მაინც გჯერა, რომ ვიცოდი წინასწარ, რაც მოხდებოდა? მე მომატყუეს, უნამუსოდ მომატყუეს. ნახევარი საათით ადრე ერთხელ კიდე ველაპარაკე, ვისაც შესრულება ეხებოდა; ისე გაათავისუფლეთ მოედანი, ვინმე არ დაშავდეს-მეთქი. მე ცემა-ტყუების წინააღმდეგიც კი ვიყავი. რომ მცოდნოდა, ხალხს დამიხოცავდნენ, როგორ ფიქრობ შენ, გულს არ გავიგლეჯდი და არ ჩავვარდებოდი? არ დავდგებოდი ჩემი, ისედაც გაუბედურებული ერის გვერდით?

თავი რატომ არ მოიკალიო, რამდენჯერმე გამაგონეს. შეიძლება სწორიცაა, მაგრამ ვერ მოვიკალი, არ აღმომაჩნდა იმხელა ვაჟკაცობა და რა ვქნა ახლა. კი, მიუტყევებელი შეცდომა დავუშვი, მაგრამ თავის მოკვლით ეშველება რამეს? იქნებ მეც მომიჩინონ ჩემი პატარა საქმე ამ ქვეყანაზე, იქნებ ჩემთვისაც გამოიძებნოს ადგილი და შრომით, კაცობით ნაწილობრივ მაინც გამოვისყიდო დანაშაული. საფლავში ჩემი ჩანოლა ვის რას შეჰმატებს, თორემ, ჯანდაბა ჩემს თავს.

შენ მაინც ნუ ჩამთვლი ერის მტრად, ძმურად გთხოვ. შეიძლება დიდ მასშტაბებში რაიმე შემშლოდა. მაგრამ ქვეყნისთვის რომ სიკეთე მინდოდა, შენ ხომ მაინც იცი. რა შემეძლო? რაც შემეძლო, ვცდილობდი და ბევრი რომ არაფერი შემეძლო, ეს მხოლოდ იმან იცის, ვისაც იმ თანამდებობაზე უმუშავია.

არაფორმალეები მარიონეტს რომ მეძახდნენ, ეგ იყო ყველაზე სწორი მათ ნათქვამში. ახლა რომ ზოგიერთი მლანძღავს; ვერცერთი საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანაო, წარმოიდ-

გინოს ჩემი მდგომარეობაც. წარმოდგენით მაინც წარმოიდგინოს ორცეცხლშუა ყოფნა.

აქედან მეუბნებოდნენ: თუ ხარ პატრიოტი, უცხო ერების სოკოსავით გამრავლებულ შვილებს უკანონოდ აშენებული სახლები დაუნგრეო, იქედან მეუბნებოდნენ; შენს მიწაზე დამკვიდრებულ არაქართველ მოსახლეობას არ აწყენინო, თორემ ყურს აგახვეთო. აქედან მეუბნებოდნენ; თუ ახალგაზრდების მეგობარი ხარ, სიტყვის თავისუფლება მოგვეცი და მიტინგებს ნუ გვიშლიო. იქედან მეუბნებოდნენ; რა ხმაური ისმის მანდ, საქართველოდან, რა მიტინგები და მანიფესტაციები აგიტყდათ, დაუყოვნებლივ შეწყვიტე მიტინგომანია, ხოლო თუ უძლური ხარ, განაცხადე და გადადექიო.

ყველასა აქვს თავმოყვარეობის გრძნობა. გეთანხმები, განა არ გეთანხმები, იქ რომ დაჯდები, თავმოყვარეობის ოფოფები გალიაში უნდა შერეკო და ბიჭური ანგარიშსწორების, მამლაცინობის ნერვები დაიოკო, მაგრამ ჩემი მთავარი ნაკლი სწორედ ის არის, რომ ამდენი წელი ვიმუშავე პარტიულ ორგანოებში და ვერ გაკეთდა მაინც ჩემგან თავდრეკილი ფუნქციონერი. ვერ შევძელი ერთის თქმა და მეორის კეთება. ვერ ვისწავლე, სტრატეგიული უკან დახევა და მომენტის დროს კლანჭების გამოჩენა.

გავა წლები და ოდესმე ვინმე მაინც გაარკვევს სიმართლეს. ჩემი კარიერის სამარცხვინო დასასრულს ისე არ განვიცდი, როგორც ფიქრს იმაზე, რომ ჯერ კიდევ ვერ გავვირკვევია, რა ხდება ჩვენს თავს და ვის ხელში ვართ.

რატომ ჩადექი მაგ სამსახურშიო, რას მიძვრებოდი ხელმძღვანელობაშიო, უკანასკნელი წლების ვითარებათა შემყურე ხომ არ შეიძლებოდა შენ მართლაც იმგვარი „დარწმუნებული კომუნისტი“ ყოფილიყავ, როგორადაც თავს აჩვენებდი ქვეყანასო. ჯერ ერთი, მე ვიქნებოდი თუ სხვა, რა მნიშვნელობა აქვს, მე შენ გეტყვი, ვერ მოძებნიდნენ მორჩილ და დამჯერე კაცს. მე, რაც შემეძლო, გადავეფარე ჩემს რესპუბლიკას. ყოველ

შემთხვევაში, იმას მაინც ვერავინ იტყვის, რომ სისხლის, დასჯის მოყვარული ვიყავი და ციხეები გავავსე პატიმრებით. თუ გახსოვთ ჩემი გამოსვლები, ბოლომდე მიტევების და შერიგების პოზიციაზე ვიდექი. ჩემს „თანამოაზრეთაგან“ (ახლა რომ მამა აბრამის ბატონებად მოაქვთ თავი) ერთმა და ორმა როდი მიჩრია, დააპატიმრე დისიდენტები და დამშვიდდება ქვეყანაო.

მე ახლაც, გაგდებულ კაცს, ახლაც არა მაქვს ბევრი რამის თქმის უფლება, მაგრამ არც თქვენ უნდა იყოთ ისეთი მიაშიტები, რომ ვერ მიხვდეთ; მე მხოლოდ და მხოლოდ განტევების ვაცი ვარ და რა რისხვაც თავს დამატებეს, მაგათ სინდისზე იყოს.

გადახედეთ ბოლოდროინდელ პრესას და ნახავთ, რა მეთოდურად მზადდებოდა საქართველოს დასჯის ოპერაცია. რა ზიზლი და შხამი დაანთხიეს „სტალინის და ბერიას სამშობლოს“ ტენდენციურ პუბლიკაციებში. იძულებითი დემოკრატია მმართველებს ხელიდან გაექცათ და სიმართლის მოლაღაღებმა „დაუკრეფავში გადასვლა იწყეს“. ეს კი კატასტროფას მოასწავებდა. სწრაფად იქნა მოფიქრებული აემუშავებინათ ანარქიისკენ მიმსწრაფი დემოკრატის სამუხრუჭო მექანიზმი და სადმე უნაპირო საჯაროობის მომხრეთა ყურის აწევის მწარე გაკვეთილი ჩაეტარებინათ. ასეთ ობიექტად უყოყმანოდ იქნა არჩეული საქართველო. მართლაც ჩაატარეს საქართველოსთვის ჭკუის სწავლების აქცია, რითაც სხვა რესპუბლიკებსაც დაანახეს, რომ დემოკრატია ურაზმერო სრულიადაც არ არის და რომ მთავრობას მასობრივი დასჯის საშუალებანი მუზეუმებისათვის როდი გადაუცია.

ერთადერთი, რაც ნუგეშს მაძლევს უდროოდ გაპენსიონერებულ კაცს, ის გახლავთ, რომ ანგარიშში მოტყუვდნენ, ქვეყანა ის აღარ არის, რაც ადრე იყო. ახლა ვერც ხელს დააფარებენ ნამდვილ მკვლელებს და ვერც სისხლს მორეცხავენ. იმ სისხლს ხალხმა ყვავილების დიდი საბანი გადააფარა და სამუდამოდ შეინახა თავის ხსოვნაში.

მთავარი შეცდომა, რასაც ვერასოდეს ვაპატიებ ჩემს თავს, ის გახლავთ, რომ გაბედულება არ მეყო, ბოლო წუთებში მაინც გამოვსულიყავ დემონსტრანტთა წინაშე, ჩამომეგლიჯა ჩემი საუფროსო მანტია და მეყვირა: „ხალხნო, თავს უშველეთ, მე უკვე აღარაფერი მეკითხება, თქვენს გასაჟუჟად სპეციალური დანიშნულების ჯარი მოდის-მეთქი“. არ ვიცი, დამიჯერებდნენ თუ არა, მაგრამ მე ჩემი რომ უნდა მეთქვა, ეს საკამათო არ არის.

რატომ ავიღე ჩემს თავზე ყველაფერი? ალბათ იმიტომ, რომ დამნაშავეთა ძეხვის გზაზე ჩვენებმა შორს არ გაიწიონ და „გაბედულებისათვის“ უარესად არ დაისაჯონ.

მე, გემუდარებით, მხოლოდ მე შემაჩვენეთ, მლანძღეთ და მაგინეთ. ერს ახალ სასაკლაოზე ნუ გაიყვანთ და ჯანდაბა ჩემს თავს.

ყველაზე დიდი წყალობა ახლა ჩემთვის კულისებში, ჩრდილში გდებაა.

ნულარას მკითხავ. დავიტანჯე.

პატიებას არ გთხოვ. შენდობის თხოვნის მორალური უფლებაც არ მაქვს.

არის დანაშაული, როცა ბრალდებულმა მიტევებაზე კრინტიც არ უნდა დაძრას.

ჩუმად მამყოფე სადმე კუთხეში და დუმილის უფლებას ნუ წამართმევ.

სულერთია, შენი მონყალე გულის ამბავი რომ ვიცი, ისეთ სასჯელს მაინც ვერ მოიფიქრებ, რა სასჯელითაც უკვე დავისაჯე.

ხალხი დახოცესო რომ მაცნობეს, იმის შემდეგ მე ის კაცი აღარა ვარ, ვისაც ორმოცდაათი წელი მიტარებია ჩემი სახელი და გვარი, ავად თუ კარგად.

ჩემი წამების დემონსტრაციაც მშვენივრად მოიფიქრეს; დამატარებენ თათბირებზე და სიტყვასაც მაძლევენ. იქნებ რამე წამომცდეს ისეთი, რომ გაბრაზებულმა ერმა ხელი ჩას-

ჭიდოს, მრისხანებას სილბოდ შეუყენოს ჩემი თავის მართლებას.

ეგეც ჩემი ერის სიკეთის დასტურია.

არ გინდათ ბოლომდე დაიჯეროთ, არ გინდათ ისტორიულ დამნაშავეთა სიაში გყავდეთ. ის სია ისედაც გრძელია და საშინელი.

დიახ, შენ ისე ვით დამსჯი-მეთქი, როგორც მე დამთრგუნა ჩემმა სინდისმა. სანამ პირში სული მიდგას, თვალს ვერ გაგისწორებ. სანამ თავი ჩემი მახლავს, არ მომასვენებს ნამიტინგარზე ყაყაჩოდ ამოსული სისხლი.

დავდივარ, პირსაც ვიპარსავ, ტელეფონის ყურმილსაც ვიღებ, მაგრამ ამას ყველაფერს, დამიჯერეთ, იმ წინანდელი ჩემი არსების ინსტინქტებით ჩავდივარ მხოლოდ.

ტელეფონით საშინელ სიცხადეს რომ შემახსენებენ, ყელგამშრალი ვლულლულებ: „მე ვარ, ბატონო. დიახ, დიახ. რა მოგახსენოთ... მეტის ღირსიც ვარ... გმადლობთ, ბატონო...“

წარმოიდგინე მასპინძელი – კარის გაღების რომ ეშინია. მეგობართა ნახვაც არა ჰსურს. შეცოდების ყალბი სიტყვა და ნუგეში ჩემთვის ახლა ძაგებაზე უფრო ცუდი მოსასმენია.

და მაინც, გუდა-ნაბადს ვერ ავიკრავ და ვერ გაგეცლები. ამ მიწაზე უნდა მოვკვდე ამ მიწის ნაწილი. შვილებიც ისე უნდა აღვზარდო, მამის დანაშაული მცირედ მაინც გამოისყიდონ.

შენთან, შენს კალთასთან მოვიტან თავს და შენს ფერხთით პირქვე დავეცემი, ჩემისთანა ძე შეცდომილთათვის შეგინდვია და გაგინვდია სიცოცხლის ტოტი?



## ცოფი

ახლა მაინც ხომ დარწმუნდით, ბატონო, რა ხდება ჩვენს თავს. ამიტომ მოვიკალი თავი თქვენს მოსაყვანად. მინდოდა თვალი შეგვევლოთ და წარმოდგენა გქონოდათ ყველაზე ერთად – მკვლელებზეც, მოსამართლეებზეც და იმათზეც, ვინც დარბაზში მაყურებლად ზის.

დააკვირდებოდით, რასაკვირველია: ერთ მხარეს ჩვენ ვზივართ – დაზარალებულები. მეორე მხარეს – მკვლელების მეზობელ-ნათესაები. ხომ ნახეთ, რა საცოდავები, ილა-ჯგანყვეტილები, გალახულ-დაზაფრულები, ანიოკებულ-ატირებულები ვყრივართ ჩვენ და რა ქორივით შემართულები, თავანულები, ნახტომისთვის გამზადებულ აფთრებს ჰგვანან ისინი. მრცხვენია, ჩემიანებს რომ გადავხედავ. რამ დაგვასანყლა და დაგვადედლა ასე. რა მოხდა ჩვენს ხასიათში ისეთი, რომ თავის დაცვის უნარიც დაგვიკარგავს. ჩვენს ქალაქში, ჩვენს ქუჩაზე ჩვენი მოსამართლე და პროკურორი ასამართლებს გადამთიელ მკვლელებს, ასამართლებს მერე როგორი დანაშაულისთვის, რა სადისტური მკვლელობისთვის და მკვლელებიც და მათი გულშემატკივრებიც ყინჩად სხედან. ხანდახან მოსამართლესაც ერევიან ლაპარაკში, წამოძახილებით ირგვლივ ყველას აგრძნობინებენ, რომ არაფრისა და არავისი ეშინიათ.

ადამიანის უსინდისობას, თურმე, საზღვრები არა ჰქონია. იმის მაგივრად, რომ თავჩაქინდრულები, შენუხებულები ისხდნენ, თავს მალლა სწევნ და გაფაციცებულნიც კი არიან, ე, მანდ, „სიმართლე“ არ დაგვეკარგოსო.

იქნება გცოდავ, ღმერთო, მაგრამ რა ვქნა, მეჩვენება, რომ სწორედ ჩვენიანებისგან არიან გულმიცემულნი. ხომ ნახეთ,

წამდაუნუმ ეკითხებიან და ოქმშიც წერენ: – მაშ, მთვრალეები იყავით და არა გახსოვთ რაო? მაშ წინასწარგანზრახვით არ მოგიკლავთო? რა დიდი მიხვედრა უნდა, საითაც უკაკუნებს ეგ კითხვები. მე ამათი სამართლის დიდი იმედი აღარა მაქვს. იქნება ცოდოს ჩავდივარ და მეჩვენება, იქნებ სულაც არ მოხდეს ისე, როგორც მე ვეჭვობ, ამიტომაც, სანამ განაჩენს არ გამოაცხადებენ, ჩუმად ვარ. თუ სამართალმა პური არა სჭამა, მერე მე ვიცოდე და ჩემმა კაცობამ. მე თვით გავუჩენ სამართალს ჩემს დატანჯულ ძმასა.

აშკარად დარიგებულები არიან და ხომ ხედავთ, რა პასუხებს იძლევიან; მთვრალეები ვიყავით და არა გვახსოვს რაო. ახლა ისიც კი „მაიფიქრეს“ არ ვიცოდით, რა რჯულის კაცსა ვკლავდითო, ხმა არ ამოუღია და ჩვენ, აბა, საიდან მივხვდებოდითო.

პირველ ჩვენებებში და საგამომძიებლო დასკვნაშიც ყველაფერი სწორად ეწერა. მერე და მერე ცვალებს ჩვენებები და დასკვნაც შესაფერი დაინერა. პირველ აღიარებაში ასე იყო ეგ ამბავი: ექვსნი იყვნენ. ოთხი ტყეში კოცონთან დარჩა, ორი ავაზაკი მოტოციკლით სოფლისკენ წამოვიდა. ახალშებინდებული იყო. სახლიდან ათი წუთის გამოსულ ჩემს ძმას ნაანყდნენ ქუჩაში. დაიჭირეს, გათოკეს, მოტოციკლეტზე შეაგდეს-და წაიყვანეს. ტყეში კოცონთან პირდაღმა დააგდეს, ღორივით დაკლეს, ცხედარი ნაჭერ-ნაჭერად აქნეს და დაწვეს. თავი კი იმ მაღალმა, ახლა რომ ყველაფერს იბრალეებს, ტომარაში ჩააგდო და შინ წაიღო, როგორც რელიქვია, შესანახავად. აი, ასე მოხდა სინამდვილეში. როცა ჩვენთან დაპირისპირებისას გამომძიებელმა ჰკითხა, თუ იცნობდით მოკლულს ადრეო, ექვსივემ (მაშინ ექვსი იყო დაპატიმრებული) იუარა, პირველად ვნახეთო. ჩვენთვის სუ ერთი იყო, ვინ იქნებოდა. პირველივე შემხვედრი უნდა მოგვეკლაო.

მერე იდინა, იდინა საქმემ და აქამდე ასე მოვიდა: სამი ავაზაკი გაათავისუფლეს, ეგენი ადრე წამოსულან და არც რა



უნახავთო. დარჩენილი სამიდან კიდევ ერთი იბრალებს დანაშაულს და სხვებზე ამბობს, ეგენი იქვე იყვნენ, მაგრამ მკვლელობაში მონაწილეობა არ მიუღიათ, პირიქით, მეხვეწებოდნენ; ეგ ურიგო კაცი არ არის, ნუ მოჰკლავო. ვინ დაიჯერებს ამას, შენი კვნესამე. თეთრი ძაფითაა ნაკერი ეს ყოველივე. ჯერ ერთი, სად წავიდა ის პირველი ჩვენება, სადაც ეწერა სოფლიდან მოტოციკლეტით წამავიყვანეთო. ახლა რომ ამბობენ, ტყეში, ფარეხთან, კოცონიდან თხუთმეტიოდე მეტრში ვნახეთ, ხელში მოპარული ცხვარი ეჭირაო, რატომ არავინ ეუბნება, უნამუსოდ სტყუითო? ჩემი ძმა სამოცდახუთი წლის კაცი იყო. ცალთვალა, მეორე თვალში კიდე მხედველობა ოცი პროცენტი ჰქონდა. სანყალს ცეროზი სჭირდა. ჯიბეში ედო პოლიკლინიკის ქალაღი. დღე-დღეზე საავადმყოფოში უნდა დაგვეწვინა. ჯოხით დადიოდა, დილით და დანოლის წინ ცოტა ფეხით უნდა გაეელო, რომ ღვიძლის ტკივილს არ შეეწუხებინა. სახლს ვერ ცილდებოდა. იქვე, ქუჩაში დადიოდა, დიდი-დიდი, ასი, ორასი მეტრი იქეთ-აქეთ. შეეძლო ჩემს ავადმყოფ ძმას სახლიდან ხუთი კილომეტრის დაშორებით, ტყეში, ცხვრის მოსაპარავად წასულიყო? ჯერ ერთი ხმელზე ძლივს დადიოდა და წელამდე წყალში როგორ გასტოპა? მეორეც, ცხვარი როგორ აიყვანა ხელში, როცა დოქით წყალსაც ძლივსა სწევდა. მისთვის მძიმის აწევა არ შეიძლებოდა, ცეროზი, მოგეხსენებათ.

ვთქვათ, მოხდა სასწაული და მივიდა ჩემი ავადმყოფი ძმა იმ სიშორეზე ცხვრის მოსაპარავად, ის როგორღა მოხდა, რომ ძაღლებმა ასე ახლოს მიუშვეს? ჩვენებაში ექვსივეს ეწერა ოთხი ანჩხლი ძაღლი გვეყავდაო, კარგი, თვითონ მთვრალეები იყვნენ, ძაღლებიც ხომ არ იყვნენ მთვრალეები?

სინამდვილეში არაფერიც მთვრალეები არა ყოფილან. ძალიანაც ფხიზლები იყვნენ და მშვენივრადაც იცოდნენ, რასაც აკეთებდნენ.

სამი ხომ გაუშვეს, ახლა ორის გამოყოფაც უნდათ მკვლ-

ელობიდან. რანაირად კაცო?! თუ ის ორი წინააღმდეგი იყო მოკვლისა, რას უყურებდნენ. სანამ იმ ერთმა გაკოჭა კაცი, მოიყვანა, დაკლა ღორივით, ცეცხლს შეუკეთა, დაჭრა კაცი ნაწილ-ნაწილად, ცეცხლზე შემოდო კუნძებივით, ამ ხნის განმავლობაში ის ორი იჯდა და ჩუმად ტუქსავდა, არა გრცხვენია, რას ჩადიხარო? გჯერათ თქვენ ეგ ამბავი? თუ შველა უნდოდათ, რატომ არ ეცნენ ხელში, ან მიცვალებულის დაჩეხვა მაინც როგორღა დაანებეს?

იქნებ ჩვენ უარესის ღირსიცა ვართ, ახლა რომ ვუკვირდები. ჩვენი ბრალია ყველაფერი. გადამთიელს მიწა მივეცი და გვერდით დავისახლეთ. სიკეთეს კიდე ეგრე გვიხდიან. მამა-პაპის ანდერძი რომ დავივიწყეთ და სულელურმა ხელგაშლილობამ დაგვაცვედნა, ახია ჩვენზე.

სხვამ თავისი საქმე იცის, მაგრამ თუ სამართალმა არ სჭამა პური, როგორც ზემოთ გითხარი, მე თვითონ გავაჩენ სამართალსა. ჩემი ფიქრით მკვლევლები უნდა დაიხვრიტონ და მოსამართლემ კერძო განჩინებაც უნდა გამოიტანოს, რომ ჩვენი კეთილმეზობლურად ყოფნა აწი აღარ შეიძლება და ეგენი დედაბუდიანად უნდა აიყარონ, თავის მთებს დაუბრუნდნენ.

თუ ასე არ მოხდა, მე ხომ ჩემსას ვიზამ; სახლ-წულიანად გადავწვავ ჩემი ძმის მკვლევლებს, სოფელი კიდე თავის განაჩენს გამოუტანს მაგათა. არც ეგრეა საქმე, როგორც ზოგსა ჰგონია.



## შხამი

საექსპერტო ჯგუფის უფროსი გიორგი მესაბლიშვილი იჯდა და კედელზე მ. გორბაჩოვის სურათს შეჰყურებდა. გენერალური მდივანი ამ სურათზე უფრო ახალგაზრდა და გამხდარი ჩანდა.

ერის დამშოშმინებელი კომისიის თავმჯდომარე კაბინეტში ზურგზეხელებდნყობილი მიმოდიოდა, ხანდახან შეჩერდებოდა, ნათქვამისთვის მეტი დამაჯერებლობის მისანიჭებლად გიორგისკენ თითს გამოიშვერდა, წინადადებას ერთხელ კიდევ გაიმეორებდა და კვლავ განაგრძობდა გზას ფარდაგზე, რომელსაც წითელი ყაყაჩოები ეხატა.

– ასეა საჭირო, დამიჯერე გიორგი. შენ მაინც მიცნობ, მე არც არავისი მეშინია და არც კომისიის თავმჯდომარეობა მიღირს დიდად. ხალხისთვისაა ასე საჭირო. რას მისცემს ხალხს იმის გაგება, რომ ჯარმა ქიმიური იარაღი გამოიყენა. დაბოცილებს ხომ ვერ გავაცოცხლებთ. ხალხს კი დარდსა და ბოლმას მოვუმატებთ. რატომ გაგვნირეს, რა დავაშავეთ ასეთიო, იტყვიან. ქვეყანა მგლოვიარეა. ხალხის განწყობილება ჩემზე უკეთ იცი, არ არის ჩვენი სისტემის სასარგებლოდ მომართული. ამ დროს ჩვენ დარდს დარდი მივუმატოთ? ჩქარობენ შენი ექსპერტები. მანდ „ჩერიომუხას“ გარდა სხვა კვალი არ ჩანს. „ჩერიომუხა“ ცრემლმდენი, უსაფრთხო გაზია. ჩვენ რომ ზედმეტი კირკიტი დავინყოთ და ფანტაზიას გასაქანი მივცეთ, შორს წავალთ, ნერვული მოვლენები, რაც ზოგიერთ მონამლულს ეტყობა, იმდენად ინტოქსიკაციის ბრალი არ არის, რამდენადაც იმ ლამის შიშის ზაფრისა, სტრესული მოვლენებია და ორგანული არაფერი შეინიშნება. დავფიქრდეთ კარგად, რას მიცემს ხალხს ის, რისკენაც შენი ჯგუფის

წევრებს მიჰყავთ საქმე? ჯარისკაცებს არავინ დასჯის, ხომ მართალია? ხალხს ტყუილად გავალიზიანებთ და ისევ ჩვენს ზურგზე გადატყდება ჯოხი.

– კი მაგრამ, მოწამვლის საშუალებების დადგენა თუნდაც იმისთვისაა საჭირო, რომ მკურნალობის სწორ გზას დავადგეთ.

– მე მითხრეს, რომ ზუსტი ანტიდოტი საჭირო იყო მოწამვლის პირველ დღეს, ახლა იგი ეფექტური ვერ იქნება. ასე რომ, უნდა დამიჯერო. ცრემლსადენის გარდა სხვა რამით მოწამვლა არ აღინიშნება. ასე სჯობია ხალხისთვის. შენ ჭკვიანი კაცი ხარ და გამიგებ, უნდა გამიგო. ჩვენი ერი ახლა დიდი განსაცდელისა და დიდი სულიერი გამოცდის წინაშე დგას. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ხალხის დაშოშმინებისა და გადარჩენისთვის. აბა, შენ იცი. წინასწარ გიხდი მადლობას.

გიორგის საპასუხოდ არაფერი უთქვამს. გულდამძიმებული ჩამოვიდა კიბეზე. მანქანა რომ გაალო და ჩაჯდა, მერე დაუნყო გასაღებს ჯიბეში ძებნა, ჩანთაშიც რომ ვერ აღმოაჩინა, სასონარკვეთას მიეცა. უეცრად მოისაზრა; უგასაღებოდ მანქანაში როგორ აღმოვჩნდიო. გადმოვიდა, კარს გასაღები გამოაძრო და თავს გაუჯავრდა, რამ დამაბნიაო.

თავდაღმართზე შხუილით დაუშვა მანქანა. ვაკეს რომ გამოსცდა მხოლოდ მაშინ მოეგო გონს და ქურჩას გახედა.

ორჯონიკიძის შერყვნილ ძეგლს მილიციის მუშაკები ბენზინიანი ჯაგრისებით გულმოდგინედ წმენდნენ.

იქვე, ახლომახლო, მშვიდობიანი მოქალაქენი იდგნენ და ამ სანახაობას, ღმერთო შეგცოდე, კმაყოფილი სახეებით შესცქეროდნენ.

გიორგიმ ქავთარაძის ქურჩისკენ გაუხვია და საავადმყოფოსთან შეაჩერა მანქანა.

შესასვლელთან ხალხი ბუზივით ირეოდა. მილიციელები მსურველთ, როგორც მესაბლიშვილმა შეატყო, ასაკობრივი პრინციპით და სოლიდური, საქმიანი კაცის შესახედაობის

მიხედვით ატარებდნენ. ეს გარემოება ახალგაზრდობის უკმაყოფილებას ინვევდა. წესრიგის დამცველებთან ერთად გილას კამათიც კი გაემართათ. წვეროსანი ბიჭი ყურებამდე განითლებულ უმცროს სერჟანტს ჰელსინკის საერთაშორისო ხელშეკრულებას მოაგონებდა და განუმარტავდა, ამ ზედმეტმა აკრძალვებმა და არშეშვებებმაც გამოიწვია ცხრა აპრილიო. არ შეიძლება, გენაცვალე, ავადმყოფებს აღიზიანებთ ამდენი მნახველი. ეს ღონისძიება ავადმყოფების სურვილით კეთდება, თორემ ჩვენ სულ არ გვეხალისება აქ დგომა და ენის ტარტალიო, მერამდენეჯერ იმეორებდა სერჟანტი, მაგრამ მისი „სიმართლის“ გაგება ირგვლივ შემოჯარულთაგან არავის სურდა.

კარს გრძელთმიანი, შავზონარწაკრული, მაღალი ბიჭი მიუახლოვდა და შესვლის მსურველთა ზურგებს მიემატა. იგი ვილაცამ შენიშნა და მილიციელებს უთხრა:

– გაატარეთ, მოშიმშილეთ.

ყველამ მაღალი ბიჭისკენ მიიხედა. დერეფანი სწრაფად გაკეთდა და მოშიმშილე მონინებით გაატარეს. გიორგიმ იმ დერეფნითვე ისარგებლა და მილიციელებმა გზა რომ გადაულობეს, ჩუმად ჩაილაპარაკა:

– საექსპერტო კომისია.

– საბუთი? – ჰკითხა სერჟანტმა. აშკარად ჩანდა, რომ იგი სხვადასხვა კომისიების და არაფორმალური გაერთიანებების დასახელებას მიჩვეული იყო.

გიორგიმ საბუთი უჩვენა.

ჯერ მეშვიდე სართულზე ავიდა, მორიგე ექიმი მოძებნა და უთხრა – ესა და ეს კაცი ვარ, თუ შეიძლება რამდენიმე ტიპიურ ავადმყოფთან შემიძეხითო.

მორიგე ექიმი ახალგაზრდა, ლამაზი გოგონა იყო. ნატო ერქვა. დაღლილი იერი და სუსტი, გაბზარული ხმა მას კიდევ უფრო ნაზსა და ქალურს ხდიდა.

პალატისკენ რომ მიაბიჯებდნენ, გიორგიმ ჰკითხა:

– რა მდგომარეობაა?

– ძველებური.

– უკეთესობა არ შეინიშნება?

– როგორ გითხრათ. ერთ საათს რომ კარგად არიან და თვითონაც გაიხარებენ, მეორე საათს გონების დაბინდვა ეწყებათ, მესხიერების დაქვეითება, ზოგს სრული გათიშვაც კი.

– ყველას ემართება?

– თითქმის, მეტნაკლებად.

შვიდასმეცხრე პალატაში ორნი იწვნენ, ვაჟები. ერთი მათგანი სანოლზე წამომჯდარიყო, ხელში ქილა ეჭირა და დიდი კოვზით ტყემლის კომპოტს ჭამდა. სტუმრები რომ დაინახა, ერთი გახედა, მობრძანდითო თქვა, მაგრამ ჭამა არ შეუწყვეტია. მეორე, ქერათმიანი, გამხდარი ბიჭი, პირაღმა იწვა, ჭერს შესცქეროდა და რალაცას ბუტბუტებდა.

– როგორა ხართ, ბიჭებო? – მცირე პაუზის შემდეგ იკითხა გიორგიმ.

– კარგად, პატივცემულო, ხომ ხედავთ კომპოტს ვჭამთ, – ბიჭმა კოვზი ქილაში ჩააგდო და კარადისკენ გააცურა. – ცოტა კოკი ვერ არის დღეს კარგად, – მეგობარს გახედა.

კოკი ჭერს შესცქეროდა და ბუტბუტებდა. აშკარად ჩანდა, რომ ექიმის და მისი თანმხლების შემოსვლა არც გაუგია.

– კარგი ბიჭები არიან, – დეკლარაციულად უთხრა ნატომ სტუმარს, მერე ხმას დაუნია – გერას ძილი არა აქვს. ღამით სედუქსენით ვაძინებთ. ჭამის აჩემება აქვს. სიმაძღრეს ვერ გებულობს. გაუთავებლად ჭამს. კოკი უფრო ცუდად არის.

ამასობაში კოკიმ შუბლზე მუშტი მოისვა და საბანი ფეხებშორის შეიკეცა.

– როგორ ხარ, კოკი? – ჩაჰკითხა ნატომ.

კოკიმ უაზრო თვალეებით ამოხედა.

– ვა, გათენდა? – იკითხა მან და სანოლზე წამოჯდა. – რომ არ მძინებია? როგორ გათენდა – ნატოს მაჯაზე წაავლო ხელი. – თქვენთან რომელია?

– ოთხია, კოკი. როგორ გათენდებოდა, როცა ჯერ არც კი დაღამებულა.

– ჰო, სულ დამავიწყდა, რომ გათენდეს, ხომ უნდა დაღამდეს. ხომ უნდა დაღამებულიყო. აბა, ისე როგორ გათენდებოდა. რომ დაღამებულიყო, სინათლეს ჩააქრობდნენ. არ მძინებია, ესე იგი არ დაღამებულა. ხომ უნდა მეძინებოდეს... გუშინ დამეძინა... დღეს აღარ მეძინება... იმიტომ რომ არ დაღამებულა...

კოკიმ ერთი ამოხედა უაზრო თვალებით სტუმრებს, კედლისკენ შეტრიალდა და განაგრძო ნაწყვეტ-ნაწყვეტი, ფიქრსშერჩენილი საუბარი თავის თავთან, თავის აჩრდილთან.

მეექვსე სართულზე, ექვსასრვა პალატაში, ერთი ავადმყოფი იწვა – მანანა ნავერიანი. მიტკლის ფერი დასდებოდა. მარჯვენა მკლავზე წვეთოვანი ჰქონდა შეერთებული. თავი გადაეგდო და ღია თვალებით ჭერს შესცქეროდა.

– როგორ არის? – ჩურჩულით ჰკითხა გიორგიმ ავადმყოფის ფერხთით, თეთრ სკამზე ჩამომჯდარ ხელებში თავჩარგულ ყმანვილს.

სანამ ყმანვილი წამოდგებოდა, ნატო ალაპარაკდა:

– ვერ არის კარგად. მეშვიდე დღეა წვეთოვანზე გვყავს. შხამისგან საყლაპავი მილი აქვს დაზიანებული. დეპრესიაშია, ნერვულ სისტემას როგორმე მოვუწესრიგებთ. საყლაპავი მილის მდგომარეობა გვაფიქრებს. წვეთოვანზე დიდხანს ყოფნა არ შეიძლება. საჭმლის მომნელებელი ორგანოები ფუნქციას ჰკარგავენ და მწყობრიდან გამოდიან. – ეს სიტყვები ნატომ ჩურჩულით თქვა.

– თქვენ რა ხართ ავადმყოფის? – ნატოს მიჩერებულ ყმანვილს ჰკითხა გიორგიმ.

– ქმარი.

– თქვენ იქ არ ყოფილხართ იმ ღამით?

– წარმოიდგინეთ, რომ არა, პატარა ბავშვი გვყავს, ერთი წლის. მორიგეობით დავდიოდით მიტინგზე. ცხრა აპრილს

ლამის ორ საათზე დავბრუნდი და მეუღლე გავგზავნე. ბავშვის წაყვანაც გვინდოდა, მაგრამ ცოდოა, არ გააღვიძოო. წავალ, დავხედავ და დავბრუნდებიო, ამ უბედურმა. იმ საშინელ წუთებში პიონერთა სასახლის ლობესთან მდგარა.

. . .

„1989 წლის ცხრა აპრილს მიტინგის დარბევისას სასანგრე ნიჩბების და ხელკეტების გარდა შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებმა მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ გამოიყენეს ხუთი სახეობის ქიმიური იარაღი. მათგან ოთხი უკვე გაშიფრულია. მეხუთეს – ფსიქიკაზე ხანგრძლივი ზემოქმედების შესამის სახელწოდებას, გულმოდგინედ მალავენ არმიის წარმომადგენლები.

ოფიციალურად არა ომის მდგომარეობაში, ხალხის დასაცავად მონოდებულ ჯარისკაცთაგან საკუთარი ხალხის გონებრივ-ფიზიკური განადგურებისთვის მრისხანე ქიმიური იარაღის გამოყენება ლამის უპრეცედენტოა მსოფლიოში.

გამომდინარე ზემოთთქმულიდან საექსპერტო კომისია ბრალს სდებს...“

გიორგი მესაბლიშვილი წერდა საექსპერტო კომისიის დასკვნას. წერდა ხელაკანკალებული, ტუჩებმოკუმული, ცრემლგამშრალი.





## „დაშუკარით!..“

არ ვაპირებდი გამოსვლას ამ სამგლოვიარო მიტინგზე. ვფიქრობდი, სხვა დროსა და სხვაგან მეთქვა თქვენთვის ჩემი სათქმელი, მაგრამ გადავწყვიტე დღეს გამოვსულიყავ ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი, გლოვას ძალიან ხომ არ გადავყევ-ვით, და მეორეც, ბრძოლის ნაცვლად სხვათათვის თავის შეცოდების პოლიტიკას ხომ არ ვადგევართ.

მაპატიეთ, ვლელავ და მთლად დალაგებულად ვერ ვილაპარაკებ, დალაგებულად, როცა არ ვლელავ, მაშინაც ველ ვლაპარაკობ.

გავიდა ორმოცი დღე, მალე თიბათვეც დაინყება, ჩვენ კი ვერა და ვერ გამოვედით გლოვა-ზაფრის განწყობილებიდან. განა იმას ვამბობ, რამე გადავივიწყოთ და გულიდან ამოვი-ლოთ-მეთქი. ეგ, კიდევ რომ მოვინდომოთ, არ გამოვა, მაგრამ მე გაუთავებელი ტირილი და თავში ცემა მომწყინდა და არა მარტო მომწყინდა, მაფიქრებს, უფრო ზუსტად რომ ვთქვა – მალონებს ჩვენი ხვალინდელი მოძრაობისთვის. რაღაც არ მაგონდება ჩვენი ისტორიიდან მოუშუშებელი გლოვის მაგ-ალითები. როდის შევბლაოდით მსოფლიოს, ყიზილბაშებმა ამდენი ქართველი დაგვიხოცეს, ვაი ჩვენს დღეს უბედურსო? ჩვენმა წინაპარმა კარგად იცოდა, რომ მისთვის თავს არვინ გამოიდებდა. მარტო რჩებოდა თავის ქირთან, ტუჩებმოკუ-მული და მუშტმეკრული. სხვას არავის უჩვენებდა ცრემლს. გულში ზრდიდა სურვილს მტრისთვის სამაგიეროს გადახდი-სას. ასეთი იყო ქართველი.

სხვას რას ველოდით? მტერი იმის მტერია, რომ როგორც შეუძლიან, ზიანი მოგაყენოს. ჩვენ კი, თუ რამე შეგვიძლია, უნდა ვაზღვევინოთ, უნდა ვანანოთ მომხვედურს მოხტომა.

მტერს ის უნდა, საქართველო ერთ დიდ სამგლოვიარო სახლად რომ გადაიქცეს. ნუთუ ამ ორმა თვემ ვერ დაგვარწმუნა, რომ მსოფლიოს დიდ სახელმწიფოებს ჩვენი პანანკინტელა ქვეყანა იმად არ უღირთ, რომ რუსთხელმწიფესთან ურთიერთობა გაიფუჭონ. ყველამ ყველაფერი მშვენივრად გაიგო, სიტყვით ზოგმა გვითანაგრძნო კიდეც და მეტი არაფერი. სხვა იმედი არც გვქონდა, ყველას თავისი თავი უჭირს დღეს.

არც გარდაცვლილებს გაეხარდებათ იმ ქვეყნად, ჩვენი თავზე ნაცრის ნაყრა და უთავბოლო ტირილი. ჩვენი მთავარი საქმე ახლა ის კი არ არის, დამნაშავე გარეწრები გაასამართლოს მთავრობამ, ან მკვლელ ოფიცერს თითო ვარსკვლავი ჩამოაძროს სამხრეებიდან. ჩვენი მთავარი საქმეა, აპრილის ბრძოლა ბოლომდე მივიყვანოთ. იმ ოცნებას შევასხათ ხორცი, რისთვისაც ჩვენმა დებმა და შვილებმა სისხლი დაღვარეს.

დამიჯერეთ, მეგობრებო, რა კარგადაც უნდა გამოიძიონ საქმე, ან რა მკაცრადაც უნდა დასაჯონ მკვლელები, ეგ ჩვენთვის ნუგეში ვერ იქნება. იქნებ პირიქით, ცუდად იმოქმედოს ჩვენს მოძრაობაზე: ჩვენს რიგებში მყოფი მოჭოჭმანენი იტყვიან, ხომ ჭამა პური სამართალმა, რაღა გვინდა მეტეო, ხოლო სამხედრო ხელისუფალნი თითს დაგვიქნევენ; ხომ დაისაჯნენ დამნაშავენი, ახლა მაინც დაწყნარდით, თუ ზურგი არ გექავებათ და ცუდ ფეხზე თუ არა ხართ ამდგარნიო.

ჩვენ ცხრა აპრილის სისხლი უნდა მივიღოთ, როგორც ბუნებრივი შედეგი ჩვენი ბრძოლისა, ყველამ უნდა შევიგნოთ, რომ თავისუფლება უბრძოლველად არ მოდის. ახლა მომავალი ბრძოლის ფორმებზე უნდა ვიფიქროთ.

გაიხსენეთ თავისუფლებისთვის მებრძოლი ქვეყნების გაკვეთილები. რა საშუალებებით იბრძოდა ავღანეთი დამპყრობელთა წინააღმდეგ? ამოჩემებული ჰქონდა შიმშილობა და მეტი არაფერი? რვა წელიწადი დღე და ღამ თვალმოუხუჭა-

ვად, დაუძინებლად ებრძოდა დამპყრობლებს და არც ერთხელ შიმშილობა არ გამოუცხადებია. კი, შიმშილობა პოლიტიკური ბრძოლის ერთი ფორმაა, მაგრამ ისე გავცვივით ეს ფორმა, იმდენჯერ გავიმეორეთ, რომ ხელისუფალნი მივაჩვიეთ უკვე ჩვენს შიმშილობებს და დარწმუნებული ვარ, ჩვენი ბრძოლა ჭირვეული ადამიანების გაუაზრებელ აქციად ეჩვენებათ. მტერს ის უნდა, თუ ერთ ადგილზე შეკრებილს და შიმშილისგან ღონემიხდილს, არაქათგამოცლილს გვიხილავს.

თავისუფლებისთვის ბრძოლის მდიდარი არსენალიდან ყველა საშუალება უნდა გამოვიყენოთ. მაშინ ვიქნებით ჭკვიანი და ნამდვილი მებრძოლები. შიმშილობამ თავისი საქმე გააკეთა, ახლა სხვა გზებით, სხვა მხრიდან, სხვანაირად შევუტით.

იმპერიის ტახტი რომ ირყევა, ამას დღეს მისი ერთგული დამქაშებიც მშვენივრად გრძნობენ. თავისუფლების ნანატრი ცისკარი უკვე მოადგა საქართველოს მაღალ მთებს. ახლა ბოლომდე ბრძოლა, არდაცხრომა, გრძნობა-გონების ჰარმონიული შეთანწყობით მოქმედებაა საჭირო.

ტყუილად ელის ვინმე, რომ მისი ავბედითი ღონისძიებების შედეგად ხვალინდელ ბარიკადებზე შემკრთალ-დაბეჩავებულ ქართველს იხილავს.

შიშის გრძნობა უცხოა იმ ერისთვის, რომლის ილაჯგანყვეტილი წარმომადგენელიც ჯოხით დააცხრა მარიონეტ მკვლელთა ჯავშნოსან მანქანებს. შიშის გრძნობა უცხოა იმ ერისთვის, რომელმაც მოახლოებული სიკვდილის ჟამს უსინათლო გოგონათა ყელიდან თმაბენვის ამბურძგლავი, გულისმომკვლელი სიმღერა-ყივილი მოისმინა:

„დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს!“



## კაცი ჯორჯაძის ქუჩიდან

უცნაურ კაცად მოგეჩვენები, ვიცი, და უფრო უცნაური ის მიზეზი იქნება შენთვის, რამაც ამ შუალამისას აქ მომიყვანა. ხუთჯერ დავრეკე, სანამ მოვიდოდი, მაგრამ ქალბატონი მპასუხოვდა; ალბათ მეუღლე იყო, არ არის ბატონო შინ, ნუხელის არ მოსულაო. რასაკვირველია, შენი საქმეების გადამკიდე, ხანდახან, ალბათ, ღამესაც აღარ ათევ სახლში. მერე გადავწყვიტე მისამართი გამეგო და პირდაპირ მოვსულიყავი. გავიგე, ორი ბიჭი გყოლია, ღმერთმა გაგიზარდოს.

ახლა რაშია საქმე: ამ კონვერტში ათასი მანათი და გასაღები. ჩემი მისამართიც შიგნითაა. ჯორჯაძის აღმართი, ნომერი შვიდი. საკუთარი სახლია, სამოთახიანი. დიდი გარემონტებული და განყოფილი არაა, მაგრამ ისეა, რომ შიგნით ცხოვრება შეიძლება. შენ გიტოვებ საჩუქრად ამას, ყველაფერს და მე მივდივარ თბილისიდან, შენ, როგორც გინდა, ისე მოიხმარე. გინდა გქონდეს ისე, დასამალად ხანდახან, ან რაღაცა თათბირის ჩასატარებლად, გინდა მიეცი ვინმეს უბინაოს, ასე, შენსავით ყოჩაღ ბიჭს.

მე მივდივარ ახალქალაქში. იქ, სოფელ კოთელიაში მამაპაპეული ძველთაძველი სახლი მიდგას. ამ ორი თვის წინათ ვიყავი და დანგრეული არაა ჯერ. დარჩენილი წლები იქ, ჩემს კარმიდამოში უნდა გავატარო. ჩამოვალ, თუ ცოცხალი ვიქენი, ხუთ-ექვს თვეში და, როგორც შენ მეტყვი, ისე ვიზამ, გინდა, შენ გაგიფორმებ ნაჩუქრობით იმ სახლს, გინდა – სხვას, ვისაც შენ მეტყვი.

ორმოცდაათხში ჩაგვასახლეს თერჯოლიდან ჩვენ, კოთელიაში. თხუთმეტი წლის ბიჭი ვიყავი მაშინ. სკოლა ახალქალაქში (ერთადერთი ქართული სკოლა იყო) დავამთავრე. ვიმუშავე ცოტა ხანს სოფელში და ორმოცდაათხმეც წელს თბილისში გადმოვბარგდი. ერთი ქალიშვილი მყავს. სლოვაკიაშია გათხოვილი. ეგ იყო, ალბათ, მისი იღბალი. მეუღლე სამი წლის წინ

კიბოთი გარდამეცვალა. ესაა სულ. ა, ბატონო გასაღები და ფული. მექონდა ორი კაპიკი მოგროვილი, თანხას მეტს გავიღებდი, მაგრამ თან მიმაქვს ახალქალაქში. იქ მკაცრი ზამთარი იცის, რალაც უნდა გავაკეთო, შეშა უნდა მოვიმარაგო, სახლიც, ცოტა მაინც, უნდა შევაკეთო, ადამიანს რომ დაედგომებოდეს შიგ.

ახლა კარგად დამიგდე ყური. თვალებზე გატყობ, აღარ გჯერა ჩემი. ხომ გითხარი, უცნაურ კაცად მოგეჩვენები-მეთქი.

რასაც მე ვაკეთებ, ვიცი, ბევრს არაფერს ნიშნავს, მაგრამ რაც შემიძლია, იმით მინდა შევეწიო საქართველოს გადარჩენას. ესეც რომ არ გავაკეთო, ამ ისედაც ბოლმით გასიებულ გულს საფლავში ველარ ჩავატევ.

ბევრი ვიკითხ-ვარკვიე, მივდექ-მოვდექი, მაგრამ ბოლოს იმ დასკვნამდე მივედი, რომ ყველაზე სწორ გზას თქვენ ადგიხართ. თქვენ გამოაღვიძეთ საქართველო და თქვენ აფხიზლებთ ახლაც ყოველდღე თქვენი მიტინგებით და დროშების ფრიალით.

რა იყო, აბა, ჩემი ცხოვრება. რა გავაკეთე მე ქვეყნისთვის? მოტყუებული, გაბითურებული თაობა ვართ, მეტი არაფერი. ვის ჰქონდა თქვენოდენა გაბედულება და ვაჟკაცობა. პიონერის ყელსახვევს რომ გვიკეთებდნენ, იქედანვე გვზრდიდნენ მონებად და მორჩილ ახალგაზრდებად.

დამლალა ამ ბოლო დროსაც გაზეთიდან გაზეთამდე ცხოვრებამ. სოფელში იმიტომ მივდივარ, რომ გაზეთს მოვშორდე, ტელევიზორის პატიმრად აღარ ვიგრძნო თავი, ცოტა ხანს მაინც ჩემს თავთან დავრჩე და ვიფიქრო.

ამ ბოლო კვირებმა მაინც მთლად გადამრია. ჩემმა უმწეობამ თვითმკვლელობამდე კინალამ მიმიყვანა, მაგრამ თავის მოკვლისთვისაც არ მეყო ვაჟკაცობა.

ჩემნაირი არაფრის მაქნისებითაა ქვეყანა სავსე.

რა ქვა გვისვრია ჩვენი თავისთვის, როგორ დაგვიღუპია საქართველო ამ სამოცდაათი წლის მანძილზე. მივჩვევივართ ყოველგვარ სიგლახეს, გადავყოლილვართ ჭამა-სმას და ფულის კეთებას, მთავარი კი, რითაც ქართველი ქართველობდა, გულიდან ამოგვიღია.

რა ამბავია, სადაა ქართველი, სადაა ის ქუდზე კაცი, სამ-შობლოს თითო მტკაველი მინისტვის ბრძოლაში თვალს რომ არ დაახამხამებდა?

გაგვიღია ყველა ჭიშკარი, შემოგვიშვია ყველა გადამთიელი, ვის გადარეკვასაც ქართველმა კაცმა სიცოცხლე შესწირა ათას-წლეულების მანძილზე, წაგვიშლია ყველა საზღვარი და ახლა, როცა დაღუპვის, გაქრობის ზღურბლთან დავდექით, ახლა გამოვიფხიკეთ თითქოს ყურები, მაგრამ გამოვიფხიკეთ კი ნამ-დვილად?

კარგი დროსია თითზე კბენა, მე და ჩემმა ღმერთმა. ხომ ხე-დავთ, რას მოვესწარით, ჩვენს მიწაზე, უბეში შეფარებული სტ-უმრები ტყვიას გვესვრიან, მოგვწყინდით თქვენ, ქართველები, დაიხურეთ ქუდი და წაშავდით აქედანაო.

ხელისუფლება კვლავ ძველებურად „კეთილგონიერები-სკენ და ერთა ძმობისკენ“ მოგვიწოდებს. არ გენწყინოს და ზოგი „ფრონტიელიც“ დაცვედნებისკენ და დამორჩილებისკენ გვეძახის. გუშინნინ გულზე გავსკდი: ტელევიზორში ისხდნენ მშვენივრად ერის სახელით მოლაპარაკენი და ჭუკჭუკებდნენ; ჩვენ ხომ ბიბლიის მიმდევარი ერი ვართო, ქრისტემ ხომ გვას-წავლაო, ერთ ლოყაში რომ შემოგვკრან, მეორე მიუშვირეო. მართალია, შეეშალათ სტუმრებს, მაგრამ ჩვენ სულგრძელობა გამოვიჩინოთო.

გინახავს, გაგიგონია ასეთი რამ ქვეყანაზე? გადამთიელი წიგნით ხელში მჯდომარეს თოფ-იარაღით მოგვიხტა და ჩვენს სისხლი გადაივლო ხელებზე, ახლა, როცა დაგვხოცა და დაგვა-სახიჩრა, შეეშინდა, როგორ გავუბედე სამმილიონახევარ კაცს თოფის სროლაო და თავს იკატუნებს, შევრიგდეთო, გეუბნება. რატომ გთხოვს, იცი, შერიგებას? რომ მომაგრდეს, შენს მი-წაზე ფეხი კარგად მოიდგას და მერე ისევ გიხელთოს დრო ყე-ლის გამოსაჭრელად. ვის ვაპატიო და ვის ველაპარაკო ბიბლიის ენით? იმას, ვინც დედამინის ზურგზე თავისი უკულტურობითა ცნობილი და თავის ენაზე პირველი ლექსი ამ სამოცდაათი წლის წინ დაწერა?

ამას თავი დავანებოთ, რა პირით მეუბნება მორჩილი ცვე-  
დანი, გაჩერდიო მე, სიტყვაზე, ვამბობ, შვილმოკლულ კაცს? იმ  
ბიჭების მამას, უმოწყალოდ რომ დახოცეს მკვლელებმა, მშვი-  
დად უნდა ურჩიო: რა მოხდა, ჩათვალე რომ არც გყოლია შენი  
ბიჭები, შენ ხომ ინტერნაციონალისტი ხარ, შენი ინტერნაციო-  
ნალური ვალი მოიგონეო, ასე უნდა უთხრა?

ვუყურებ და, რაც დრო გადის, თანდათან ვრწმუნდები, რომ  
ამათ ხელში ჩვენი საშველი არ იქნება.

რისთვის გვქონდა აბა, გეკითხები მე შენ, ეს ჩვენი ისტო-  
რია, ეს ჩვენი „ხელი ხმალს იკარ“ და რისთვის გვყავდა ამდენი  
აღმაშენებლები და ცოტნე დადიანები, თუ არავის და არაფერს  
გავიხსენებდით ახლა ჩვენი ეროვნული კატასტროფის წინად-  
ღეს?

თქვენს მეტი არავის იმედი არა მაქვს. არავინ ხელს არ გაან-  
ძრევს თქვენი და თქვენისთანების გარდა, კარგად ვხედავ მე.

გულზე ქონი მორევია ქართველს, ლაჩრობაში გადასულ  
გულჩვილობას შეუპყრია მისი არსებობა, ყვითელ ემშაკს  
დაუმონებია მისი გონება. რკინის კეტით მიწის დაცვა კი არა,  
გადამთიელის მიერ უკანონოდ მიტაცებულ მიწაზე უკანონოდ  
აშენებული სახლის დამნგრევი ვერ ვიპოვეთ მთელს საქარ-  
თველოში. ცხრა ინსტანცია დაადგენს: აღარ გამოეყოს სტუმარს  
მიწის ნაკვეთი, ჩვენ ჩვენი მიწა აღარ გვყოფნისო, მაგრამ გაიხე-  
დავ და წამოჭიმავს ერთ ღამეში გადამთიელი სახლს. ატეხავ  
ბლავილს. – არიქა, არიქაო, მაგრამ ვინაა პატრონი, ერთხელ  
და სამუდამოდ გაუნირავთ ქვეყანა გადამთიელთა სათარეშოდ.

ნურვინ ნუ დაიჩემებს ახლა თევდორე მღვდლობას. ჩემი  
თაობიდან ერთი ორი კაცის ღალადი და შემართება ქვეყანას  
ვერ უშველის. ახლა საქმეა საჭირო. საქმის გაკეთება კი არავის  
უნდა, ისე ვატყობ მე.

არადა, საქართველო ახლა, ამ თითზე ჩამოსათვლელ წლებ-  
ში თუ არ გაინმინდა, მერე აღარაფერი გვიშველის. სულ რაღაც  
ას წელიწადში დამთავრდება ჩვენი ისტორია.

რომ გითხრათ, თქვენ შეუმცდარი ბიჭები ხართ, თარაზოზე

გაქვთ გაზომილი ყველაფერი-მეთქი, ტყუილი იქნება. თქვენც ბევრჯერ შეგეშალათ და ახლაც ბევრჯერ გემლებათ. არ შეიძლება, რას ეძახიან? მაქსიმალისტურად ცხოვრება პოლიტიკაში. ტურა-მგელი რომ დაგესვა, დათვსაც კი უნდა დაუზავდე ხანდახან. მაგრამ ამდენი ჭკუა და გამოცდილება ჯერ თქვენ არა გაქვთ და, ალბათ, დროთა განმავლობაში შეიძენთ.

ერთი მომწონს თქვენი: შეუპოვრობა და სითამამე. ესაა ყველაფერი რომ იცოდეთ. „მოძრაობა და მოძრაობაო“, სულკურთხეული ილია რომ ამბობდა, ჭეშმარიტებაა.

მიდით, იმოდრავეთ, მიანექით, იხმაურეთ, აჟღერიალეთ ძველი და ახალი საჭურველი, აუქმით საქართველოს თავზე მორიალე ყვავებს. ხომ ხედავთ, ჩვენ საძულველი დროის მიერ მომდუნებ-მომჩვარავი ნემსი გვაქვს გაკეთებული, გამობოთავების ბანგი გვაქვს დალეული და დიდად ვერაფრით გეხმარებით ბრძოლაში.

ვიფიქრე, ვიფიქრე და დავრწმუნდი; ჩვენ, ბებრებმა, ყველაფერი თქვენს გასამაგრებლად უნდა გავაკეთოთ. ვისაც რა შეგვიძლია, უნდა გავიღოთ. არ არის არა, თქვენს გარდა, საქართველოში ახლა სხვა ძალა, რომელიც ქვეყანას გადაარჩენს.

ყველაზე მძიმე დრო ჩვენი ისტორიისა ახლა დგას, იცოდეთ. ამაზე მეტად ჩვენ აღარ გავგიჭირდება.

თქვენ უნდა გვიშველოთ, შვილებო!





## დიხამინჯია

„ყველაფერი შესაძლებელია იქ, საცა  
დავთრები დაკარგულია, საცა თავი და  
ბოლო ველარავის მიუგნია“.

ილია

სამი თვე შესრულდა, რაც ბიკენტი დიხამინჯიას შვილი  
მოუკლეს.

ოცდახუთი წლის ვაჟკაცს სასწრაფო დახმარების მანქა-  
ნის მძღოლს, გამოძახებაზე მიმავალს ვილაცამ ესროლა.

ექიმების გარჯა მკერდში დაჭრილს სიცოცხლის გადასარ-  
ჩენად, ამაო აღმოჩნდა.

სასიკვდილო სარეცელზე მწოლიარე ბუდე დიხამინჯიას  
უკანასკნელი სიტყვები იყო:

„ვინ მესროლა, რა დავუშავე?“

მილიციამ მკვლელს ჯერჯერობით ვერ მიაკვლია.

სანამ შვილს მინას მიაბარებდა, ბიკენტი დასაბმელს  
ჰგავდა. ბრდღვინავდა, კბილებს აღრჭიალებდა, ქუჩისკენ  
ინევდა: „მთელს მაგათ ჯილაგს მოვსპობ, დედა-ბუდიანად  
გავანადგურებო“.

დასაფლავების მეორე დღესვე ენით უთქმელი გარდა-  
ტეხა მოხდა მის ფსიქიკაში. ერთბაშად მოეშვა. თითქოსდა  
სხვა, უფრო დიდი საზრუნავი გაუჩნდა, ვიდრე შურისძიება  
იყო. შურისძიება გულიდან წუთითაც არ ამოულია, მაგრამ  
საფლავის მოვლა-გალამაზებამ გაიტაცა. საფლავის შემორ-  
აგვა-შემოკეთებას რომ მორჩა, კვლავ აბორგდა მის სულში  
შურისგების რისხვა.

ყოველ მეორე დღეს გამომძიებელს აკითხავდა და წყნ-  
არად, დაჯერებულად ეუბნებოდა: „არ უნდა გაგიჭირდეთ

თქვენ ჩემი შვილის მკვლელის მოძებნა. არ არის ახლა ის დრო. ნუ ამალებინებთ თავზე ხელს. ნუ დამალვრევენებთ უდანაშაულო ხალხის სისხლს! ხომ იცით, სანამ ჩემს ბუდუიას მის მკვლელს არ მოვუნვენ გვერდით, არ მოვისვენებ. ცოტა ხანს მოგიცდით კიდეც და, თუ არაფერი გამოვიდა, მე თვითონ გავიჩენ სამართალს. შევჯდები ხეზე და ათ კაცს მაინც გავგზავნი იმ ქვეყნად მაგათი ჯიშისას და ჯილაგისას. რავა უნდა სხვისი შვილის მოკვლა, მერე მიყურონ მაგათ“!

დღეს კი, 1989 წლის 19 სექტემბერს შვილის მკვლელი თვითონ გამოეცხადა ბიკენტის.

სხედან ახლა ისინი ერთმანეთის გვერდით. ჩექმიანი, წითური ბიჭი, ოცდაათისაც არ იქნება, ეს ესაა ლობიდან გამომობტა, პირდაპირ ბიკენტისკენ წამოვიდა, ბიკენტი დიხამინჯია ხომ თქვენ ბრძანდებითო, ჰკითხა. ხელი არ ჩამოურთმე-ვია, თუ შეიძლება სიტყვა მაქვს თქვენთანო. შვილის საფლავთან სახელდახელო ძელსკამზე ჩამომჯდარმა ბიკენტიმ განზე გაიჩოჩა და მოსულს ადგილი დაუთმო. სტუმარმა ჯერ იუარა. მერე დაჯდა. ხმა უკანკალებს, აშკარად ეტყობა, რომ ღელავს.

ბიკენტის მისკენ ერთხელს მეტად არ გაუხედავს. წელში გამართული ზის და პირდაპირ ვილაცის საფლავზე შადრევანივით ამოფრქვეულ კიპარისს შესცქერის.

– მეტი აღარ შემიძლია ბატონო. ერთი კვირაა, რაც გადავწყვიტე ჩემი ფეხით მოვსულიყავი, მაგრამ დღემდე ვერ მოვედი, ვერ გავბედე. მოვდივარ აქ, გათვალისწინებთ, გიყურებთ. მერე ცრემლი მომერევა, ვცდილობ მოვერიო ჩემს თავს, მაგრამ სუსტი ყოფილა კაცი. ახლა დავხუჭე თვალები და მაჯაზე ვიკბინე. მოვედი და თქვენი ნებაა, რასაც თქვენ გადამინყვეთ ახლა, ამ წუთში, ის იქნება ჩემი საბოლოო განაჩენი.

ჯიბიდან „გეკოს“ სისტემის რევილვერი ამოიღო და ბიკენტის მარჯვენა მხარეს დაუდო.

– შვიდი ტყვიაა ამ ნაგანში. შვიდივე ყურისძირში რომ დამახალოთ, თვალს არ დავახამხამებ, ხელს არ გავანძრევ. სამი თვე გავიდა. დამალვით არ დავმალულვარ, მაგრამ ვატყობ, თქვენი მილიცია ჩემი დამჭერი არ არი. მე მგონია, არც უნდათ მკვლელების აღმოჩენა. შეიძლება დავალება აქვთ ასეთი. ვერ გეტყვით ვერაფერს.

რომ გითხრათ, ვიცოდი ვის ვკლავდი-მეთქი, ტყუილი იქნება. ერთი რამ კი მქონდა გულში ამოჭრილი – ქართველი უნდა მომეკლა, სულ ერთი იყო, ვინ იქნებოდა.

ვერაფრით ვერ ავხსნი ახლა, რა მჭირდა მაშინ. იმ დღეებში ნამდვილად სხვა კაცი ვიყავი. ხვადაგო, რომ იტყვიან. ხვადაგზე უარესი ყოფილა კაცი. ჩემი გადარევა თუ ვინმეს შეეძლო, არ მეგონა. რა ბანგი გვასვეს, რა ჯადო-თილისმამ შეგვაქანა, ვერ გეტყვით. ამის გაგებას ვერც ვერვინ შეძლებს და ნურც ნურვინ ეცდება.

მე უფრო ის მინდა გითხრათ, რომ ჩემთვის მთელი ბრძოლა ჩემი თოფის გასროლის პირველივე ნუთში დამთავრდა. ამსიგრძე კაცი რომ ჩამოიყვანეს კაბინიდან ექიმებმა და იქვე, გზისპირას ბალახზე რომ დაასვენეს, ისე გავფუჭდი, თავის მოკვლა გადავწყვიტე, მაგრამ ვერ შევძელი.

მერე გავიგე, რომ დიხამინჯია იყო ჩემი მსხვერპლი და ჩემი სიგლახე. როგორ არ გითხრათ, დასაფლავებაზეც ვიყავი.

ორი შვილის მამა ვარ. დანახვა აღარ მინდა არც-ერთის. რა მამა ვარ-მეთქი, – ჩემს თავს ვეუბნები, – სხვისი შვილის მოკვლა რომ შემძლებია-მეთქი!

ასეა ჩემი საქმე. ყელი მიშრება ახლა მე და მეტი ლაპარაკი აღარ შემიძლია. ძალიან გთხოვ, ბატონო, არ შემეცოდო! გინდა დამახალე ტყვია კისერში, გინდა ჩამაბი ბანარი და შენ თვითონ მიმიყვანე მილიციაში.

ამით უნდა დამთავრდეს ყველაფერი უნდა დავისვენო ან მკვდარმა, ან ცოცხალმა. ესაა ჩემი სიტყვა.

ბიკენტის ხელები გაუცივდა. ყელში ბურთივით რაღაც მოაწვა, სიგარეტი თითების მოწვამდე მოსწია და თავი ჩაქინდრა.

კარგა ხანს იჯდა.

გვერდით მისი შვილის მკვლელის გახშირებული სუნთქვა ესმოდა.

ადგა და გააბიჯა ისე, რომ მკვლელისთვის არც შეუხედავს, რომ ხვალ არ შეხვედროდა და არ ეცნო.

არეული ნაბიჯით მიიწეოდა სასაფლაოს გასასვლელისკენ ბიკენტი დიხამინჯია.



## საიქიოს თბილი წვიმა

საიქიოში ზეთისხილის ბალებს შორის მიმოკარგული, ლოტოსის ფოთლებით გადახურული სახლები მწვანებალახიანი გზის გაღმა-გამოღმა ჩარიგებულან.

გზაზე მწვანე ბალახი ნუ გაგაკვირვებთ. იმქვეყნად ხომ ტრანსპორტი არ დადის. რაც შეეხება ფეხით მოსიარულეებს, საერთოდ, მიცვალებულები უმეტეს დროს ფართო აივნებზე ატარებენ. ბანქოს თამაშით იქცევენ თავს, ან საიქიოს მდიდარი ბიბლიოთეკიდან გამოტანილ წიგნებს კითხულობენ.

რადიო-ტელევიზია, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, იმქვეყნად საერთოდ უარყოფილია.

„ლელოს“ ფორმატის პატარა გაზეთი „საიქიოს ხმა“ კვირაში ერთხელ გამოდის. იგი საიქიოს ახალ მკვიდრთა გრძელ, მოსაწყენ სიას აქვეყნებს და თუ რაიმე წაიკითხება, ეს გახლავთ ბჟეჟინსკის კომისიის სხდომათა ოქმები. ეს კომისია ჯოჯოხეთის მცხოვრებთა საჩივრებს განიხილავს.

დიდი მიხვედრა არ უნდა იმ ამბავს, რომ ჯოჯოხეთის მკვიდრნი წამდაუნუმ ჩივიან: შეცდომა იქნა დაშვებული, კუპრის ქვეყანაში სრულიად დაუმსახურებლად მოგვაქციესო. თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგი მათგანი მართლაც უბრალოა და ვილას დავუმალო, ბჟეჟინსკის კომპეტენტური კომისია ენერგიულად ცდილობს, სამართალმა პური სჭამოს იმ ქვეყანაზე.

ერთი სიტყვით, საიქიოში მხატვრული ლიტერატურა დიდ პატივშია.

მიცვალებულები, სიცოცხლეში თავიანთი აბურდული საქმეების გამო წიგნისთვის რომ ვერ იცლიდნენ, ახლა ხშირად გადაულაპარაკებენ ერთმანეთს: რა საოცარი, რა მომხიბლავი სამყარო არსებულა ჩვენ გვერდით, ბიბლიოთეკათა სარკოფაგები, თურმე, გენიოს მწერალთა რა გრძნეულ სკივრებს

გვთავაზობდნენ, გვემოგზაურა მათთან ერთად ადამიანთა სულის ლაბირინთებში, სასაცილოც კია გასახსენებლად, რა სისულელეებით ვიყავით დატვირთული გარდაცვალებამდეო.

საიქიო, უფრო იოლად რომ მიგახვედროთ, მთავრობის აგარაკს წააგავს, ოღონდ მიცვალებულნი მყუდრო ვილებში ცალკე თითო-თითოდ ცხოვრობენ.

სიდედრები, ოჯახის სხვა გარდაცვლილი წევრები და, თქვენ წარმოიდგინეთ, დამლაგებელი ქალებიც კი არსად ჩანან.

სამოთხეში როგორ არის, ვერ გეტყვით და აქ, საიქიოში, ნამდვილად ასეა.

დამავინყდა თავიდანვე მეთქვა, რომ მკვდართა საუფლო სამი განყოფილებისგან შედგება: ჯოჯოხეთი, საკუთრივ საიქიო და სამოთხე. საუკუნეების განმავლობაში, როგორც საღვთო წიგნებიდან იცით, მხოლოდ ორი განყოფილება არსებობდა. საკუთრივ საიქიო 1953 წლიდან გაიხსნა.

კარგა ხანს საიქიოს მკვიდრი მხოლოდ ერთი კაცი გახლდათ.

ახლა საიქიო იმქვეყნად საკმაოდ მჭიდროდ დასახლებულ რეგიონად ითვლება. თავიანთი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე ადამიანები იმდენი ცუდლუტობის ჩადენას ასწრებენ, რომ ბჟეჟინსკის კომისიას თავსატეხი უჩნდება: გარდაიცვალა კაცი. რა თქმა უნდა, სამოთხეში განაწილებაზე ლაპარაკი ზედმეტია, მაგრამ მისი მოქალაქეობრივი პროფილი იმდენ ნათელ წერტილს შეიცავს, რომ საჯოჯოხეთოდაც არ გაიმეტება. ჰოდა, ასეთებს საიქიოს მუდმივ ჩაწერას უფორმებენ და საიქიოს თანაცხოვრების წესებს გაცნობილთ, ყოველ შემთხვევაში, ხელწერილსაც ჩამოართმევენ ხოლმე, რომ ამქვეყნიური ვნებათა ღელვანი და კერძო ინტრიგები გულში არ გაივლონ, თორემ ბჟეჟინსკის სამეულის მიერ პირველი შემჩნევისთანავე ჯოჯოხეთს იქნებიან გამწესებულნი.

საიქიოს უპირველესი, ძირძველი მკვიდრი – იოსებ სტალინი დილიდანვე ზეთისხილის ხეებს ძირს უთოხნიდა.

ხანდახან ლობეზე ორივე ხელით და ყბით ჩამოყრდნობილ მეზობელს გაეხმიანებოდა იმგვარი ხუმრობით, უფროსები რომ ბავშვებს ეხუმრებინან.

ხუმრობაში რთულადგასაგები რომ არაფერია და მაკრატლით ყურის მოჭრის და ტომრიანი ძიას ჩამოვლის მსგავსი პასაჟი რომ იქცევს ყურადღებას და მეტი არაფერი.

სტალინის მეზობელი – ბრეჟნევი თავს ასწევდა და როხროხა ხმით იცინოდა. მერე ბამბუკის ლობეს ისევ ჩამოადებდა მოშვებულ ყბას და სტალინს სიყვარულით შეაჩერებოდა.

უყვარსო, ვერ იტყოდით, მაგრამ ბრეჟნევს სტალინი ამკარად არ სძულდა.

მონუსხულივითაც კი ხშირად უსმენდა კავკასიური აქცენტით მოსაუბრე ამ კოხტა მოხუცს, რომელსაც ეზოში ყოველთვის ყველაფერი სანიმუშოდ მოვლილ-დანკრიალებული ჰქონდა. ბამბუკის ლობე შემთხვევით არ მიხსენებია. საიქიოში ერთადერთი ეზოა შემოღობილი და იგი სწორედ სტალინისა გახლავთ.

რატომ დაუშვა კომისიამ ეს ერთადერთი გამონაკლისი, ვერ გეტყვით. სტალინმა ჩამოსვლისთანავე შემოღობა ეზო, მიუხედავად იმისა, რომ კარგა ხანს საიქიოს ერთადერთი მცხოვრები იყო. ამბობენ, ღმერთს ლობის ამბავი რომ მოახსენეს, გაელიმა და თავი გადააქნიაო. ეტყობა, ღმერთსაც არ მიუღია ენერგიული ზომები სტალინის ლობის წინააღმდეგ, თორემ იმ ქვეყნის ახირებული მკვიდრის პრეტენზიას დიდი დღე არ ეწერა. სტალინის ჯიუტი ხასიათი იცოდა რა, ღმერთმა, ჩანს, ხელი ჩაიქნია – სხვა არაფერი მოიმოქმედოს და ჰქონდეს ეს ლობე, რაკი ასე ძალიან უნდა, რა ვქნა ახლაო.

აივნის კედელზე დაკიდებული ჯაჭვ-გირებიანი კედლის საათიდან გუგული გამოხტა და სამჯერ დაჰკრა ნისკარტი ბზის ფირფიტას.

„რა მალე გასულა დრო, ჯერ თორმეტიც არ მეგონა და

სამი გამხდარაო“, სტალინმა თოხი ლობეს მიაყუდა, თეთრი კიტელის საყელო შეიხსნა, ზეთისხილის ტოტიდან ტილოს სახოცი ჩამოხსნა, ყელ-კისერში ამოისვა, და, არ დამგრილოსო, დაცვარული შუბლი წაიკრა. ახლა უფრო დაემსგავსა ლი-ახვის ნაპირას დაბადებულ მის წინაპარს, საუკუნეების განმავლობაში მინას რომ ებრძოდა და სარჩო-საბადებელი ოდენ ჭაპან-წყვეტით მოჰყავდა.

ბრეჟნევს გასძახა: „ლეო, როცა მოიცალო, წყალი მოუშვი და მორწყე, თუ კაცი ხარ, ფესვებს ბელტი არ შეახმეს. აივანზე ვიქნები, ცოტა ნელს გაგმართავ, თვალი მოჭყუტა და დაუმატა: – ასი გრამი ჩემზე იქნება“.

– არ შეიძლება დაღევა ჩემთვის, – ყრუდ ჩაილაპარაკა ბრეჟნევმა და ზემოთკენ, წყლის მოსაშვებად აუყვა ბილიკს.

ასე ამბობდა იგი ყოველთვის, როცა სასმელს შესთავაზებდნენ, მაგრამ მაინც სვამდა.

მით უმეტეს, სტალინის ორნახადზე ვერ იტყოდა უარს. იცოდა, სტალინს ყოველთვის მშვენიერი სასმელი ჰქონდა.

თვით მასპინძელი ღვინოს პირს არ აკარებდა, მაგრამ სტუმრებისთვის ყოველთვის ჰქონდა ჭაჭის თეთრჯაჭვა არაყი და ყვარლური, მელანივით ქინძმარაული.

ის იყო სტალინი აივანზე შემოდგა და, სანამ ჯიბიდან თუთუნის ქისას ამოიღებდა, ქორული მზერა მოავლო სოფელს, რომ ქუჩაში ვილაცას ჰკიდა თვალი და ჩიბუხის განყოფა გადაიფიქრა.

უცნობი ისედაც ნელა მიაბიჯებდა და სტალინის ჭიშკართან აშკარად აითრია ფეხი. ერთი-ორჯერ ეზოშიც გადმოიხედა.

– ამხანაგო, – სტალინმა სახოცი მოიხადა და როგორც იყო, დაკეცილ-კალაპოტიმცემული, ისე მიაგდო ტახტზე. ამოვბრუნდები და ისევ დავიხურავო.

უცნობი შედგა, მოიხედა, ჭიშკრისკენ წამოსულ მასპინძელს გაუღიმა და სახელურს მიწვდა. აშკარად ეტყობოდა, რომ მორცხვობდა.



სტალინმა ვერ იცნო მიცვალებული და დაასკვნა, რომ იგი სამი საათის მატარებელს უნდა ჩამოჰყოლოდა.

საიქიოს ახალი მკვიდრი რომ იყო, ფერმკრთალ სახეზე, გაცრეცილ ტუჩებზე და მოშვებულ თვალ უპეებზე ეტყობოდა.

ორმოცდაათი წლისაც არ იქნებოდა ახალმოსული, მაგრამ ისე დაჭმუჭვნილი და მოჩვარული უპეები ჰქონდა, რომ სტალინმა გაიფიქრა: სწრაფად რომ დაიხაროს, ან გაიქცეს, შეიძლება თვალები ბუდეებიდან გადმოუცვივდესო.

სტალინს უნდოდა ეკითხა, აქეთ როგორ მოხვდითო, რადგანაც საიქიოს ამ კუთხეში ახალ მიცვალებულებს უადგილობის გამო აღარ ასახლებდნენ, მაგრამ სტუმარმა კითხვის მიცემა როდი დააცალა.

– აქეთ გამომანანილეს. საიქიოს ოცდაჩვიდმეტ ნომერში. ადგილი განთავისუფლდაო მიქელ-გაბრიელმა. რომელიღაც მარშალი კომისიას ჯოჯოხეთში გაუგზავნია. ამკარად გამიმართლა. თქვენ მეზობლად ცხოვრება ჩემთვის დიდი ბედნიერებაა – სტუმარი ისე მონინებით შესცქეროდა, რომ ამკარა იყო, მან წელან ეზოში გადახედვისთანავე იცნო სტალინი.

– რა მოგახსენოთ, საერთოდ, აქეთ ყველგან ერთნაირი პირობებია.

– პირობები, კი, რასაკვირველია, – ენად გაიკრიფა ახალმიცვალებული, – მაგრამ ხომ დიდი მნიშვნელობა აქვს, ვისთან იმეზობლებ, ვის შეხედავ და მიესალმები ყოველდღე.

სტალინს პასუხი არ მიუცია. გონება დაძაბა, რათა გამოეცნო, ვინ გაიწვია ბჟეჟინსკის კომისიამ საიქიოდან, წარსულის დანაშაული ამოუწიეს, თუ, უბრალოდ, ამ ახალი მკვიდრისთვის ადგილი დაჭირდათ. გარდა ამისა, სტალინს ცნობისმოყვარეობა კლავდა, გაეგო, რამ იმსხვერპლა ეს ახალგაზრდა კაცი, მაგრამ არ უკითხავს.

საიქიოში შეკითხვა სიკვდილის მიზეზის შესახებ მიღებული არ არის. თუ მიცვალებულმა არ გიამბოთ, თქვენ მაინც-დამაინც ნუ ჩააჭიჭინდებით, გინდა თუ არა მითხარო.

საერთოდ, ადამიანებს, გარდა ისეთი პრესტიჟული დაავადებებისა, როგორც გახლავთ სისხლის განყალბება, ინფარქტი და კიბო, ასეთივე წარმატებით ჰკლავს მთელი რიგი არასერიოზული სნეულებანი, მაგალითად: მოუვლელი თიაქარი, გამრუდებული კუდუსუნი, და თქვენ წარმოიდგინეთ, ექიმბაშისგან მიმწვარი, გალიზიანებული მეჭეჭიც კი იმგვარ საჩოთირო ადგილზე, მარტო სამედიცინო ნიგნებში რომ შეიძლება მითითება.

მასპინძელმა შემოიპატიჟა ახალუბნელი, აივანზე აუძღვა, დაწულ თეთრ სკამზე დასვა, თვითონ წინ დაუჯდა, თითებგაყრილი ხელები მარცხენა მუხლს შემოაჭდო და ისე შეხედა, როგორც მონატრული მამა შეაჩერდება დიდი ხნის უნახავ შვილს, რომელმაც არა მარტო იმით გაახარა, რომ მოხუცი გაიხსენა, ქვეყნის ამბებსაც უამბობს.

- რა ხდება იქ, ზევით? - ყრუ ხმით ჰკითხა სტალინმა.
- მშვიდობაა.

სტალინს გაელიმა. ეგ იყო ყველაზე სასიამოვნო რამ, რაც ახალ მიცვალებულს შეეძლო ეთქვა მისთვის. იშვიათზე იშვიათად ხვდებოდა წუთისოფლის ახალ სტუმარს საიქიოში და პირველ რიგში რისი გაგებაც აინტერესებდა, სწორედ რომ მშვიდობის ბედი იყო. „თითქოს ჩემს გულში იჯდა, ეგ დალოცვილიო“, გაიფიქრა ახლაც.

ცოტა ხანს უბრად ისხდნენ. სტუმარი ხმის ამოლებას ვერ ბედავდა.

- მლანძღავენ? - მოულოდნელად ჰკითხა მოხუცმა და თვალი თვალში გაუყარა.

- საკმაოდ, - უცნობმა განზე გაიხედა. მის წინ სხვა მიცვალებული რომ მჯდარიყო, შეიძლებოდა, დაემალა სიმართლე, მაგრამ სტალინის მოტყუება ვერ გაბედა.

- როგორ გავიგო, „საკმაოდ“?

- ისე ენერგიულად გლანძღავენ გაზეთებში, რომ პირადად ჩემს აზრს მოგახსენებთ, მოსაწყენიც კი გახდა თქვენი კრიტიკის კითხვა და მოსმენა.

– ეგ რომ თქვენი პირადი აზრი არ იყოს, მეწყინებოდა. რაკი გაშლილი ფრონტით მლანძღავენ, ეს იმას ნიშნავს, რომ ბევრს ვაინტერესებ, ვახსოვარ, ანგარიშს მინევენ. მე კარგა ხნის მკვდარი ვარ იმისთვის, რომ დღეს ასე გულიანად მიგონებდნენ. ასე რომ, რაც უფრო გვიან მოსწყინდებათ ჩემი გაკრიტიკება, მით უკეთესია.

სტუმარმა ვერ გაიგო, რას გულისხმობდა სტალინი და ეს ვერგაგება სახეზე აშკარად შეეცყო.

– თითქოს ერთბაშად გაახსენდით. თავს გესხმიან, როგორც სახელმწიფო დამნაშავეს, რომელიც სიცოცხლეში გაუსხლტათ ხელიდან და სათანადოდ ვერ შეაჩვენეს.

– იქნებ მართალნიც არიან. ჩემი შეცდომის ქარავანს ჩემზე უკეთ არავინ იცნობს. რატომ შეიძლებოდა შეუმცდარი ვყოფილიყავ, რაო, მე – გორელი მეჩექმის შვილი, ბურბონების სასახლეში ვეზიარე პოლიტიკურ დელიკატურობას თუ, დუნედ, თვითდინებით მცხოვრები სახელმწიფოს სათავეში მომიწია ყოფნამ? მე რომ ისტორიის საჭესთან დავდექი, წინ მხოლოდ მრუმე ბურუსი და საშიში ფიორდები ჩანდა, მეტი არაფერი.

– საქმე ის არის, რომ სოციალიზმის ცუდად აშენებას და მთელ რიგ ეკონომიკურ-პოლიტიკურ წარუმატებლობებს თქვენ გაბრალებენ.

– გასაგებია, სწორედ ეგ არის მიზეზი. სისტემაში ჩადებული უხერხულობანი ვიღაცით უნდა ახსნან. ვიღაცას უნდა დააბრალონ, სწორადაც იქცევიან, იქნებ ჩემი ხაზის უარყოფით, ახალ, უკეთეს გზას ეწიონ.

– მაგრამ თქვენ ხომ ოცდათხუთმეტი წლის წინათ გარდაიცვალეთ.

– ჰო, ეგ კი ქმნის, ცოტა არ იყოს, წინააღმდეგობას გაუკულმართებული სოციალიზმის ჩემთვის გადმობრალებაში. დიდი დრო ჰქონდათ იმისათვის, რომ თუ რაიმეს გამომსწორებლები იყვნენ, გამოესწორებინათ. ჩემს „მემკვიდრებს“ როგორ იხსენიებენ?

– არც იმათ ადგათ კარგი დღე. განსაკუთრებით ნიკიტას და ლიონიას სდებენ ბრალს პოლიტიკურ სიბეცესა და ეკონომიკურ უმეცრობაში. მაგრამ ისინი ჩვეულებრივი მოკვდავნი იყვნენ და განსაკუთრებულ პასუხს თქვენ გთხოვენ. ნუთუ თქვენ, გენიოსმა, ვერ იგრძენით?

– რა?

– რომ საზოგადოებრივი საკუთრების თეორია ქიმერა იყო და ის, რაც ადამიანში ათასობით წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა, ასე ხელისდაკვრით არ აღმოიფხვრებოდა?

– ვიგრძენი, მაგრამ უკვე გვიან იყო. ჩვენ ღრმად და ღონივრად მივტოპავდით ისტორიაში. ვიფიქრე, მუშტით და მახვილით გავამაგრებ-მეთქი სახელმწიფოს. ეგ იყო ჩემი ყველაზე დიდი შეცდომა.

– მაგრამ მსოფლიო ხომ ხედავდა, რომ სახელმწიფო, რომელსაც კონსტიტუციაში დემოკრატიის აყვავება და ადამიანის უფლებათა იდეალური ჰარმონია ეწერა, თანდათანობით დესპოტურ სახელმწიფოდ იქცა და დიდ საპყრობილეს დაემსგავსა.

– მაშინ მსოფლიოს დასანახავად თავის გალამაზება მოდაში არ იყო. მთავარ პრობლემას ერთ ბანაკად შეკვრა და მტერ-მოყვრისთვის პასუხის გაცემა წარმოადგენდა. მაინც რას წერენ, რაო, კონკრეტულად?

– შემთხვევით მოხვდა სახელმწიფოს სათავეშიო.

– მაინც რა შემთხვევა იყოვო? მკითხავები დაეხმარნენ, თუ ლოტოს თამაშის დროს ილბლიანი კოჭი შეხვდაო? იქნებ დავმალე ლენინის ანდერძი? იქნებ თავს მოვახვიე ჩემი კანდიდატურა?

– უფრო შემდგომ პერიოდებს გედავებიან. განუზომელი ძალაუფლება ჩაიგდოო ხელში და თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს ანგარიში გაუსწორაო.

სტალინი წამოდგა. გაიარ-გამოიარა. აივნის ბოძს მიეყრდნო და კარგა ხანს ნაზარეველის ცისფრად განათებულ

მთას შესცქეროდა. მერე, თითქოს გაახსენდა, რომ სტუმარი ჰყავდა, სწრაფად შემობრუნდა და გაბზარული ხმით თქვა:

– იცით, მე რევოლუციონერი ვარ და როცა თბილისის დეპოს მუშებს ხელისუფლების წინააღმდეგ ვამხედრებდი, ფარლალა, მიტოვებულ ქოხმახებში ღამეს ვათევდი, ან ბაქოს მატარებლის სახურავზე უბილეთო მგზავრი სიცივით ვითოშებოდი, ვერც კი წარმოვიდგენდი, ყველაზე ლალი ოცნების დროსაც ვერ გავივლებდი თავში, რომ ოდესმე მსოფლიოში უზარმაზარი სახელმწიფოს გაძლოლა მომიწევდა, გჯერათ თუ არა ჩემი?

– დიახ.

– არც ფსიქოლოგიურად ვიყავი მზად ამისათვის და, როგორც მოგახსენეთ, არც წინაპრულ-ოჯახური ტრადიცია მიწყობდა ხელს. ახლა განსჯა-შეფასება ადვილია. გეცოდინებთ, რომ ძალაუფლების ხელში აღების პირველი დღიდანვე მოუღერა ლენინს მუშტი ყველა ჯურის მტერმა. მე ცერბერივით ვდარაჯობდი რევოლუციის მონაპოვარს, რუსეთის ხან ერთ კუთხეში ვაქრობდი ცეცხლს, ხან მეორეში. წავიდა ლენინი და ქვეყანამ მე მარგუნა მისი ტახტი. დაფიქრდით კარგად, მე – იოსებ სტალინს: როცა მივიხედ-მოვიხედე, ჩემ ირგვლივ, ლენინის შედგენილ კაბინეტში ყველა როდი იყო ისეთი, საბჭოთა ხელისუფლების შაშხანით დაცვას რომ იკისრებდა. რატომ გამორიცხავთ იმის შესაძლებლობასაც, რომ პოლიტიკურ ბრძოლებში გამობრძმედილ, ბლანჟე-პენსნეებიან მარქსისტ-თეორეტიკოსთაგან ბევრს იმთავითვე არ ეპიტნავა ულვაშიანი კაცის აღზევება. სანამ მათ გვერდით ვიბრძოდი და იუმორიანი, აქცენტისანი, საერთო საქმის ერთგული კობა გახლდით, ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ პირველ კაცად არჩევის მეორე დღესვე, რა უბრალო, დემოკრატიული იერიც უნდა მიმელო, მათ თვალეში აუცილებლად გაკრთებოდა შიგადაშიგ ეჭვისა და უნდობლობის ნაპერწკალი. ესეც გჯერათ თუ არა?

– დაუშვით.

– ძალიან გთხოვთ, ნურაფერს „დაუშვებთ“, ფიქრი და ეჭვი მიაყოლეთ ჩემ ნათქვამს და სადაც არ დამეთანხმებით, პირდაპირ მითხარით. ჩემს ცხოვრებაში იყო პერიოდები, როცა ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდ აღარ მეკამათებოდნენ. შეიძლება იმ წლებმა დალი დაასვეს ჩემს საუბარს და კატეგორიული გავხდი. ამიტომ მაპატიეთ.

– სწორედ იმ კატეგორიულობას გიკრიტიკებენ ახლა და იმასაც ამბობენ განდიდების მანიით დაავადდაო.

– ეგ ცალკე საუბრის თემაა. რომ არ დამავიწყდეს, ახლავე გეტყვი: ვერ მომიძებნით ვერც ერთ ფრაზას, ჩემს დამსახურებებს რომ ხაზს ვუსვამდე. სამაგიეროდ ბევრს იპოვით ჩემს ცხოვრებაში იმის მაგალითს, რომ ჩემი მაღალი რანგის კოლეგებიც გამიკიცხავს უადგილო ქება-დიდებისთვის.

თუ ჩემი ქება-დიდების წინააღმდეგ მიმართულ ჩემს ღონისძიებებს გაიხსენებენ, მე მგონი, არ უნდა დამდონ ბრალი ჩემი განდიდებისთვის ხელშეწყობაში. საერთოდ კი, თუნდაც განუზომელი ქებისთვის ჯერ არავინ დაუსჯიათ. საოცარი ამბავია: სიცოცხლეში ჩემი ქება ბევრმა პროფესიად გაიხადა და ზოგი ახლაც კარგ პურს ჭამს ჩემი ძაგებით. დამერწმუნეთ, როგორც პირველნი, ისე მეორენიც, ხელმოცარულ ადამიანებად მიმაჩნდა ყოველთვის და სერიოზულ ლიტერატორებად არასოდეს ჩამითვლია.

გაბელადება-გალმერთების ნიაღვარს რომ ვერ მოვერიე, ჩემი ბრალია? თუ იხსენებენ, ნიადაგ ლენინის მონაფედ რომ ვაცხადებდი თავს, ან საერთოდ, რაც მე ლენინის პატივსაცემად გავაკეთე, თუ რომელიმე პოლიტიკურმა მემკვიდრემ გაუკეთა თავის წინამორბედს?

– აქამდე ეგ, ლენინთან ურთიერთობა, ერთადერთი სფეროა, სადაც კრიმინალი ვერ მოგიძებნეს, მაგრამ ამ ბოლო დროს მაინც გამოჩნრიკეს რამდენიმე საბუთი ლენინთან თქვენი უთანხმოებების; კრუპსკაიას ინციდენტის, საქართველოს ავტონომიის საკითხზე აზრთა სხვადასხვაობის შესახებ.

– შეხედულებათა სხვადასხვაობა მე ყოველთვის ბუნებრივად მიმაჩნდა. ნურც იმას გამოორიცხავთ, რომ ლენინი სიცოცხლის უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მძიმე ავადმყოფი იყო, გეცოდინებათ, რას ნიშნავს ფიზიკურ-ემოციური ტრავმებისგან გამონვეული ნევროზული მდგომარეობა, პერიოდული ფსიქიკური განგაშის მოვლენები. მგონი თემას გადავუხვიეთ, მაგრამ აქვე უნდა გითხრათ, რომ პოლიტიუროში რევოლუციით არასოდეს შევსულვარ და ჩემს პლეადას პირველკაცობისთვის ისე ბანდიტური მეთოდით არ უბრძოლია, ხრუშჩოვმა და ბრეჟნევმა რომ იბრძოლეს.

– ძალიან მშვიდი პოლიტიკური აქციები ხომ არ იყო ტროცკიზმის განადგურება, ან ოცდაჩვიდმეტი წელი?

– ოცდაჩვიდმეტის გახსენება მართლაც რომ შემადრწუნებელია. არ გეგონოთ, რომ იმას, რასაც ახლა გეტყვით, თავის მართლების მიზნით ვამბობდე. თუ იმდროინდელი გაზეთები გადაგითვალეიერებიათ, გეცოდინებათ, რომ პირველმა მე მივეცი უარყოფითი შეფასება ოცდაჩვიდმეტის რეპრესიებს და განკარგულება გავეცი მკაცრად მოეკითხათ უდანამაულო ადამიანების ამნიოკებლებისთვის. თქვენ მართალი ხართ, ბევრი უბრალო მოჰყვა მრუდედ ნაქსოვ ბადეში, მაგრამ მე ვარ, ან მარტო მე ვარ დამნაშავე? თქვენ ერთი წუთით მაინც უშვებთ, რომ მე ვიტყვოდი: რაც შეიძლება მეტი უდანამაულო და ნიჭიერი კაცი დასაჯეთ-მეთქი? სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ისეთი გულქვა როგორ ვიქნებოდი, საკუთარი ცოლისძმა ამომელო გულიდან?

აი, რა მოხდა ოცდაჩვიდმეტში: ოცდაათიანი წლებიდანვე აშკარად შემომიტიეს განაწყენებულმა პირებმა. განაწყენებას ორი მიზეზი ჰქონდა: პოზიციათა სხვადასხვაობა სოციალიზმის მშენებლობის მთელ რიგ საკითხებში და ვერმომთმენა იმისა, რომ სახელმწიფოს პირველ კაცად მე ვითვლებოდი. თითქმის ყოველ პლენუმზე ობსტრუქციას მიწყობდნენ და რაკი თავისუფალ დისკუსიაში ვერ მაჯობეს, აშკარად გადაწყვიტეს ჩემი გადაყენება. პოლიტიუროს ერთი სხდო-

მის ორგანიზება-შეთქმულება და ჩემი ბურღლა არ იქნებოდა მეორე დღეს. განა არ მახსოვდა, რა მანქანებით წავართვით ჩვენ ძალაუფლება დროებით მთავრობას? ისტორიიდან სამარცხვინოდ წასვლა რომ არ მდომებოდა, გასაკვირია? ვცდილობდი, გული გამემაგრებინა, მაგრამ ჩემს თავზე (და მართო ჩემს თავზე კი არა, ჩემი თანამოაზრეების თავზეც) შავი ღრუბელი გროვდებოდა. ვიგრძენი ეს და ზომები მივიღე. ბუხარინს და მის კამპანიას რომ დაესწროთ, ჩვენც ისეთივე ბედი გველოდა. რას იზამ, პოლიტიკური ბრძოლაა. შეთქმულთათვის თავზე ხელი არავის დაუსვამს.

– ვთქვათ, ეგ ოპერაცია ჩატარდა თქვენი პოზიციის გასამაგრებლად, მაგრამ საერთოდ ოცდაჩვიდმეტი წლის გრანდიოზული მასშტაბები რა შუაში იყო?

– ოპოზიციას მომხრეებიც ჰყავდა. ისინი ფაქტობრივად თავის გარეშე იყვნენ დარჩენილნი, მაგრამ იმედს არ კარგავდნენ. ნუთუ მართლა გჯერათ, რომ ოცდაჩვიდმეტი დასჯილთაგან თუნდაც ათი პროცენტი მაინც არ იყო შეთქმული პოლიტიუროს ბოლშევიკური ხაზის წინააღმდეგ? მოდი და გამოარჩიე ორასმილიონიან კაცში ის ათი პროცენტი, ვინც მოახლოებულ ომში თოფს მტრის ნაცვლად შენ შემოგიბრუნებს. ამიტომ ჩემ ნათქვამს, „ხალხის მტრების ფეხქვეშ მიწა უნდა იწვოდეს“-მეთქი, მოჰყვა საშიში ტალღები. ანგარიშსწორების ტრიუმფი დაიწყო, ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ჯგუფები, კარიერისტული ჯოგები, პროფესიონალური მოქიშპენი, ადამიანთმოძულე მოსამართლენი. ამგვარი დაპირისპირებული პოზიციები საზოგადოებაში ყოველთვის არსებობენ, ჩიტისთვის ხელის დაქნევის ანდაზისა არ იყოს, პირველი, თუნდაც სუსტი ბიძგისთანავე იწყებენ ისინი საშიშ აქარიშხლებას. ოცდაჩვიდმეტიც ასე მოხდა.

– თქვენ უკანონობათა შესახებ არაფერი იცოდით?

– ვისი განცხადებაც მომწვდა, საკმარისი იყო ოდნავ მაინც დავრწმუნებულყავ სიმართლეში და ჩემი რეზოლუციებით ასობით პოლიტიკური პატიმარი თავისუფლდებოდა საპატიმ-



როდან. ერთი მხრივ მიხარია, რომ ასე დიდი წარმოდგენა გაქვთ ჩემზე, მეორე მხრივ, მიკვირს, რატომ არ შეიძლებოდა ჩემი მოტყუება? საიდან გაჩნდა რწმენა ჩემი შეუმცდარობის შესახებ? მომიტანეს ტუხაჩევსკის და სხვა თანამდებობის პირთა დაკითხვის ოქმები და საბრალდებო დასკვნები. საქმეები გაიძვერა გამომძიებლებს გარეგნულად მშვენივრად ჰქონდათ გაფორმებული. ტუხაჩევსკი და ასობით სხვანი (მათ შორის ჩემი საიმედო ციურუპაც) თეთრზე შავით აღიარებდნენ, რომ იმპერიალიზმის დაქირავებული ჯაშუშები იყვნენ და საბჭოთა წყობილების დამხობაში ენერგიულად მონაწილეობდნენ. რა მექნა? თქვენ რას იზამდით ჩემ ადგილზე? სახელმწიფოს თავს შეუძლია უთხრას მართლმსაჯულებას: ეს ხუთი „მტერი“ გამითავისუფლე და ეს შვიდი „მტერი“ დასაჯეო?

– გააჩნია, რა მეთოდებით ხდებოდა იმ „აღიარებათა“ მიღწევა.

– მე ვინ მიჩვენებდა იმ მეთოდებს? მე რა დაკითხვებს ვესწრებოდი, თუ პატიმართა საკნებში დავაბიჯებდი? რაც ციხის ჯურღმულებში ხდებოდა, იმათ კისერზე იყოს, ვისაც ციხის სამსახური ებარა. ისიც ხომ გაირკვა, რომ არაერთი სამხედრო, თუ სამოქალაქო პასუხისმგებელი პირის ჯაშუშობა გერმანელთა დივერსიის ნაყოფი იყო და გესტაპოს შემოგზავნილ საბუთებს, ბრმად ენდნენ ეჟოვი და იაგოდა. ეს პროვოკაციაც მე უნდა მცოდნოდა?

– ომმა ამდენი ადამიანი რომ იმსხვერპლა, ესეც სტალინის წინდაუხედაობის ბრალიაო. ცოცხალ ძალას ძალიან ხელგაშლილად ხარჯავდაო.

– აქაც ჩქარობენ ამხანაგი ჟურნალისტები. ომში ჩემი გარჯის შემფასებლად ომის სპეციალისტები, მხედართმთავრები, იმ დროს ჩემს ირგვლივ მოფუსფუსე სამხედრო სპეციალისტები ხომ არიან ცოტათი მაინც უფრო კომპეტენტურები, ვიდრე ისინი, ვინც უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელს არ გამოიკვამიან, ჯიბეში ჟურნალისტის დიპლომი უდევს და ომი მხოლოდ კინოში უნახავს?

– ისინი თავის აზრს წერენ.

– ოლონდაც, მეც მანდა ვარ. ოლონდ ქუდი რომ მექუდემ უნდა შეკეროს, ეს ანდაზა ჯერ არავის გადაუგდია და „თავის აზრს“ ხომ უნდა უფრო გულისყურიანი შემონიშნება? თავისი მასშტაბებით მსოფლიოში ყველაზე დიდი ომის მოგება, როცა საბჭოთა კავშირს ლამის კბილებამდე შეიარაღებული მთელი ევროპა ებრძოდა, ლახტის თამამად ხომ არ გეჩვენებათ? ან, იქნებ ისინი გგონიათ უგუნური და გულუბრყვილო პოლიტიკოსები, ვინც ისტორიამ ჩემ პირისპირ დააყენა? იცით თუ არა თქვენ, რომ მსოფლიოს დიპლომატიურ სკოლებში ჩერჩილისა და რუზველტის შრომებს სახელმძღვანელოდ, ქრესტომათიად ასწავლიან?

– ომისთვისო, სათანადოდ არ მოემზადაო.

– გადახედეთ პოლიტიკოსებს და სამხედრო მთავარბანაკის სხდომის ოქმებს და დარწმუნდებით, რომ მოახლოებული ომისთვის მზადება ჰიტლერის ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე დავიწყე. რაც შეეხება ჩემსავე ნათქვამს, „ჰიტლერი მოულოდნელად, მუხანათურად დაგვესხა-მეთქი“, ბავშვიც კი მიხვდება, რომ ეს ჩვენი ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობისთვის, მტრისადმი ზიზლის გამოსანვევად დამჭირდა. და საერთოდ, ჰიტლერი მართლა ისეთი ხომ არ გგონიათ, კინოებში რომ უჩვენებენ – სისხლისმსმელს, ადამიანის ხორცის მჭამელს და დუჟმორეულს? ჰიტლერი დამთხვეული სრულიადაც არ გახლდათ. მკვირცხლი გონების, უაღრესად ნიჭიერი, ფენომენალური მეხსიერების ავანტიურისტი იყო. ხორცს საერთოდ არ მიირთმევდა, ვეგეტარიანიელი გახლდათ.

– არავის ენდობოდაო, ყველას ეჭვის თვალით უცქეროდაო, სიცოცხლის ბოლო წლები ლამის მარტოხელამ გაატარაო.

– ჰო, ალბათ, პირად ცხოვრებაში უბედური კაცი ვიყავი, მაგრამ მე პირადი ცხოვრება თითქმის არ მქონია. სიბერეში რომ შევდიოდი, მუხლებში ძალა მელეოდა და უფრო და უფრო

მღრღნიდა აზრი, რომ პეტრე პირველის ტახტზე ოცდაათ-წლიან „პარპაშს“ შოვინისტები არ მაპატიებდნენ. ვიცოდი, რა დღეც მელოდა. საქართველოდან ჩემი პოლიტიკური ხაზის გასამაგრებლად და პირდაპირ რომ გითხრათ, ჩემს მცველად განვეულ ბერიასაც კი ვატყობდი თვალეში, რომ „ხაზეინის“ გუშაგის როლი აღარ აკმაყოფილებდა. დიდი ჭკუის პატრონი რომ არ იყო, ჩემი სიკვდილის შემდეგ უფრო დაამტკიცა. არ მინდოდა ჩემს მოწაფეებს და თანამებრძოლებს ბებერი, მიხრწნილი, დაძაბუნებული ვენახეთ (როგორც ჩემი მეზობელი ბრეჟნევი იყო ბოლო წლებში), ამიტომაც განვმარტოვდი და მარტო შევხვდი სიკვდილს. ყველაზე დიდი სიყვარულით გარემოცული ადამიანებიც კი სიკვდილის პირისპირ ბოლოს მარტონი რჩებიან. ენაჭარტალა კაცს ყველაფრის უკუღმა შებრუნება შეუძლია. ენას ძვალი არა აქვს. მაგალითად, ომს და ქვეყანას ჩემი იაკობი დაღუპულ მილიონთა მშობლების სოლიდარობის ნიშნად შევწირე, ზოგმა ეს ნაბიჯი გულქვა მამის ახირებად შეიძლება ჩამითვალოს.

– იცით თუ არა თქვენ, რომ ახლა, როდესაც იქ, ზემოთ, ქვეყნის განახლების ზარს დაჰკრეს და დემოკრატიის აღამი ააფრიალეს, ადამიანებმა ვერა და ვერ მოირგეს გარდაქმნის სიკეთე. რომ ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლდა ქვეყანა თქვენ მიერ დაკანონებული იმპერიული სტილისაგან. ჯერ ვერც თავისუფალი არჩევნები ვისწავლეთ და სიმართლის თქმას მხოლოდ გუშინდელ დღეზე ვახერხებთ?

– ჩემს დისციპლინარულ სტილს ხრუშჩოვმა და ბრეჟნევმა შეუტყეს, მაგრამ რა გამოვიდა? დემოკრატიულობანას მათებური თამაში უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის „ჭკუის სწავლებით“ დაგვირგვინდა, სოციალისტურ ბანაკს უგუნური პოლიტიკით, ლამის, ისეთი ბოძი გამოაცალეს, როგორიც ჩინეთი იყო, ხოლო ამ ბოლო დროს ავღანეთის სამარცხვინო ფურცლებიც მიაკრეს ჩვენს ისტორიას. კიდევ კარგი, ახლა იქ მდგომარეობა სტაბილურდება, ხომ არ ჩამოგითვალოთ „დემოკრატიით“ გაბედნიერებული, სამშობლოდან გაძევ-

ბული მწერლები და გიჟად მონათლული, ეგრეთ წოდებული „სხვაგვარად“ მოაზროვნენი?

– ეგ თქვენს დანაშაულს ვერ აბათილებს.

– კიდევ გიმეორებთ, ის, რასაც თქვენ დანაშაულს უწოდებთ, ჩემი ცხოვრება, ჩემი ბრძოლა იყო. მე თავს არ ვიმართლებ, მაგრამ რა უკეთესობა დაატყვევთ ქვეყანას ჩემი სიკვდილის მერე ამ ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში? რატომ გავიწყდებათ, რომ მე პოლიტიკურ ასპარეზზე ყოფნამ მომიწია წყეული ინტერვენციის, შინაგანი ამბოხების, საშინელი ომის და ომის შემდგომი წლების პერიოდში. ომის მოგება მკაცრი დისციპლინის გარეშე თქვენ შესაძლებლად მიგაჩნიათ? ხოლო რა უყვეს სახელმწიფოს იმათ, ვისაც ორმოცდაათიანი წლებიდან საზვრებგამაგრებული, მშვიდობიანი ქვეყანა დავუტოვე? ძალიან ააყვავეს და გაამდიდრეს? ვილაცას გაზეთში დაუნერია; სტალინის დროს მართალია, საქონელი ყოველ წელს იაფდებოდა და მაღაზიაში ხიზილალაც იყიდებოდა, მაგრამ ეს ყველაფერი მოჩვენებითი იყო. განა ეს სასაცილო არ არის?

– მაინც როგორ შემოივლეთ მუშურ-გლეხური სახელმწიფოს თავმა, რომელსაც „ამხანაგ სოსოს“ გეძახდნენ, მიუკარებლობის და ამპარტავნობის მაღალი გალავანი, რატომ მონყდით მასებს?

– ნუთუ მართლა გჯერათ, რასაც ჩემზე გამწყრალი პირები ჩმახავენ? მე ვიყავი ამპარტავანი კაცი, რომელიც ოროთახიან ბინას არ გავცილებივარ, სადილს ხშირად ჩემი ხელით ვიმზადებდი და მთელი ცხოვრების მანძილზე სამად სამი კიტელი გავცვითე, ხოლო ფეხზე დრაგუნთა პოლკის ოფიცერივით ნიადაგ ჩექმები მეცვა, რომ სამხედრო მზადყოფნაში მეგრძნო თავი. მე მოვწყდი მასებს? ერთი წუთით, მომითმინეთ.

სტალინი ოთახში შევიდა, ფარატინა, გაყვითლებულ-გაცრეცილი ქალაღი გამოიტანა და სტუმარს გაუნოდა – წაიკითხეთ:

სტუმარმა სათვალე გაიკეთა და ხმამაღლა დაიწყო კითხვა:  
„პეტას გაუმარჯოს!

ჩემი დეპუტა, როგორც ჩანს მიგიღია. გიგზავნი ორი ათას მანეთს. მეტი არა მაქვს. ეს ფული ჩემი გონორარია. ჩვენ აქ გონორარს არ ვიღებთ საზოგადოთ, – მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში ვიღებთ ხანდახან. შენი გაჭირვება ჩემთვის განსაკუთრებული შემთხვევაა და ამიტომ ავიღე გონორარი, რომ შენთვის გამოვიყენო. გარდა ამ ფულისა, შენ მოგცემენ სესხათ 3000 მანეთს. მე ვუთხარი ამის შესახებ ბერიას (ამიერკავკასიის საოლქო მდივანია), და იმან სიტყვა მომცა და უეჭველათ აღვასრულებო. მაშ ასე 2000 მანეთი მიიღე. როგორც ჩემი მეგობრული ნობათი და 3000 მანეთი – როგორც სესხი.

იცოცხლე მრავალჟამიერ.

შენი სოსო. 7. XII. – 33 წ.

უცნობმა წერილი დაუბრუნა, სათვალე მოიხსნა და თქვა:  
– საინტერესო ბარათია.

– იცით, რატომ წაგაკითხეთ? ათას ცხრაას ოცდაცამეტ წელს, მე სახელმწიფოს თავმა, რომელსაც, ბუნებრივია, მთელი ხაზინა მემორჩილებოდა თავისი ბანკით და მემკვიდრეობით მიღებული თუ მერე შექცენილი ოქრო-ბრილიანტებით, ჩემს ღარიბ მეგობარს ასე „გავუმართე ხელი“. თქვენ ამპარტავნობაზე ლაპარაკობდით. შეადარეთ ახლა სახელმწიფოს სიმდიდრესთან ხრუშჩოვის და ბნეჟნევის დამოკიდებულება, მათი მილიარდიანი ვიზიტები და ფასდაუდებელი სამკაულების სურვილისამებრ განიავება მათი და მათი „სამეფო ოჯახის“ წევრების მიერ.

– ისიც ხომ ფაქტია, რომ ბოლო წლებში სამხედრო ხარჯებს მოახმარეთ ლამის მთელი სახელმწიფოს დოვლათი და უბრალო ადამიანი გვერდზე მიგრჩათ.

– ჩვენ ერთხელ უკვე ვინწინეთ ცეცხლის წვიმა და ის სამხედრო ხარჯებიც სწორედ უბრალო ადამიანის მშვიდი ძილისთვის იქნა გაღებული. სამხედრო ასიგნობებს მტრული

გარემოცვა გვთავაზობდა და ჩვენს სურვილზე როდი იყო დამოკიდებული. ყოველ შემთხვევაში, მე ვერც იმგვარ სასაზღვრო „ჩათვლემას“ მოვითმენდი, რომ გალიფრებულ გერმანელ ყმანვილს თვითმფრინავი ზედ წითელ მოედანზე დაესვა.

– ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თქვენმა მსოფლიო მოქალაქეობამ რა სიკეთე მოუტანა თქვენს სამშობლოს?

– აი მაგ შეკითხვისა მეშინოდა ყველაზე მეტად. ახლა მე სწორედ ისინი მიხსენებენ აუგად, ვისაც „უფროსი ძმა“ დავარქვი და ვის გაძლიერებასაც სიცოცხლე შევწირე. რაც შეეხება საქართველოს, იგი ჩემი შეხედულებებისა და პოზიციის სიმალლიდან ძალიან პატარა ჩანდა და, სიმართლე გითხრათ, ხანდახან მავინყდებოდა კიდევ. ესეც რომ არა, განა შემეძლო, დამეშვა პრეცედენტი იმისა, რომ ვინმეს ეფიქრა, ქართველია და საქართველოს მეტ ყურადღებას აქცევსო? ჩემი თავისთვის ვერ მიპატიებია, რომ მოკვეთილი ძუძუ – ტაოკლარჯეთი ვერ დავუბრუნე საქართველოს. ომის შემდეგ შერცხვენილი თურქეთი ბატკანივით იდგა ჩემ წინაშე. საქართველოს კუთვნილი ისტორიული ტერიტორიის დაბრუნება ჩემთვის ერთი ხელის გაქნევა იყო. ესეც არ გავაკეთე, მიკერძოება არ დამნამონ-მეთქი. ასე რომ, საქართველოს ყველაზე მეტი საბუთი აქვს მემდუროდეს.

– როგორ ფიქრობთ, სანამ გაგრძელდება თქვენი კიცხვა-თათხვა?

– თავში გითხარით, ეს ცუდი როდია. იქნებ ჩემი გზის გაკრიტიკებაში ახალი, უფრო სწორი გეზი აილოს ქვეყანამ. რაც შეეხება ჩემს ბედს, შემიძლია ვინინასწარმეტყველო: როცა ერთ-ორ წელიწადში ჩემი ლანძღვა აპოგეას მიაღწევს, გაჩნდება მეორე, უფრო ძლიერი ტალღა. „მართლა და მართლა, რას ვერჩით ამ კაცს, თუ რამე შეგვიძლია, ჩვენ მივხედოთ ჩვენს თავსო“. ხალხი, ხომ იცით, ყოველთვის დაჩაგრულის მხარეზეა. ნახავთ. ნაპოლეონის ბედი გაიხსენეთ.

– მაგრამ ნაპოლეონი ფრანგი იყო.

– უსიამოვნო ქარაგმას ნუ მესვრით. ეგ ჩემთვის ძალიან მტკივნეული ფიქრია. იგი გონების კუნჭულში ბჟუტავს ამ ბოლო დროს და, თუმცა ენერგიულად ვცდილობ, დავივიწყო, მაინც შემახსენებს ხოლმე თავს. არა, არა, ეგ მართალი არ შეიძლება იყოს.

– რა ფიქრი?

– ჩემი გაკრიტიკების ერთი მიზეზი და ჩემი მთავარი დანაშაული ის ხომ არ არის-მეთქი, რომ ქართველი ვარ.

ორივენი კარგა ხანს დუმდნენ.

დასავლეთის ნიაგმა დაჰქროლა და წამოწვიმა.

იმ ქვეყნად ჭექა-ქუხილი საერთოდ არ იცის.

ქუჩაში უქოლგოდ მიმავალი ხრუშჩოვი გამოჩნდა. ცალ ხელში ყვითელი სიმინდის ტარო ეჭირა, მეორეში ზონრიანი, უშველებელი ფერადი ბუშტი. აქეთ არც გამოუხედავს. შარვა-ალაკაპინებული, თავანეული, ფეხშიშველა, ღონიერი, ჯიუტი ნაბიჯებით მიიწეოდა.

საიქიოში გვიანი გაზაფხულის თბილი, ჟუჟუნა წვიმა მოდიოდა.



## მეფე

მეფობაზე ნაპოლეონმა ორჯერ თქვა უარი.

ამ ფაქტის შეხსენებით ნოველა იმიტომ დავიწყე, რომ მეფობა იოლი საქმე როდი გახლავთ სამეფო ტახტზე ნაპოლეონმა უარი სწორედ მაშინ თქვა, როცა იგი მეფე უკვე იყო.

ხოლო სანამ რიგითი გრენადერიდან მეფედ კურთხევამდე მიაღწევდა, ნახევარი საფრანგეთი შეანყვიტა ბურბონების წინააღმდეგ ომს.

ნაპოლეონს თავი გავანებოთ და ახლა ის ვთქვათ, რომ უბრალო მოქალაქეთაგან, მეფობას რომ შესთავაზებენ, კატეგორიულ უარს ძალიან ცოტა ამბობს.

შეიძლება ნაპოლეონივით ჯიუტად არ იბრძოლო იმპერატორობისთვის, მაგრამ თუ მოვლენ და გეტყვიან, ჩაიცვი საგარეო ტანსაცმელი, იმანო, ჩვენ, აგერ, ცაცხვის ჩრდილში დაგელოდებით, ამა და ამ ქვეყანაში უნდა წაგიყვანოთ და მეფედ უნდა გაკურთხოთო როგორც ჩანს, ცდუნება ისე დიდია, რომ უარს არ იტყვი.

არც ხუან ჯორჯანელს უთქვამს უარი, კუნძულ საპრასიის მეფობა რომ შესთავაზეს.

ხუანი ესპანეთში ტორეადორებით განთქმულ ქალაქ ბალეროში ცხოვრობდა. ახალგაზდობაში ველოსპორტით იყო გატაცებული, თუმცა სპორტული მიღწევებით დიდად არ გამოირჩეოდა. ბაბალეროს ჩემპიონობას ვერ გასცდა. ოცდაათს რომ გადაშორდა, მოქმედ სპორტსმენობას თავი გაანება და ველოსიპედების გამქირავებელი პუნქტი გახსნა. ორასამდე ველოსიპედი ჰქონდა; მათ შორის – 54 სპორტული და დანარჩენი სატურისტო-სამოყვარულო. ცხოვრობდა საშუალოზე ოდნავ ნაკლებშეძლებული ესპანელის დონეზე. პოლიტიკაში არ ერეოდა. ჰყავდა ბასკი მეუღლე მარიტა და თერთმეტი წლის გოგონა ხუანიტა.



ხუანის გამეფება ასე მოხდა:

კუნძული საპრასია ინდოეთის ოკეანეში, სამხრეთ აფრიკისაგან შვიდი ათასი კილომეტრის დაშორებით, ბრგმას კუნძულებსა და სან ჩორჩიანოს ნახევარკუნძულს შორის მდებარეობს. საპრასიაზე ექვსასი წელი სპარსელები, ასოცდაცხრა წელი თურქები, ხოლო ბოლო ორასი წელი რუსები ბატონობდნენ.

როგორც ყველა კუნძულს, საპრასიასაც სურდა რუსის უღლისაგან გათავისუფლება. დროდადრო საპრასიელები შეთქმულება-აჯანყებას წამოიწყებდნენ რუსეთის იმპერატორის წინააღმდეგ, მაგრამ რუსეთის ჩექმისა ისე ეშინოდათ და გათავისუფლება ისეთი უცხო ხილი იყო მათთვის, რომ, ემანდ ღმერთი არ გაგვიწყრეს და მართლა არ გავთავისუფლდეთო, თვითონვე გასცემდნენ ხოლმე შეთქმულებას და მერე ლექსებს სწერდნენ წართმეულ თავისუფლებაზე, სისხლში ჩამხრჩვალ შეთქმულებაზე და ძელზე გაკრულ შეთქმულების მოთავეებზე.

ამ წინასწარგაყიდულ, ადვილჩასახშობ შეთქმულებებს, რასაკვირველია, ხეირი არ მოჰყვებოდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს რუსეთის იმპერია არ დანგრეულიყო და საპრასიამდე დეპეშას არ მოეღწია: „იმპერიაძე გარდაიცვალა. დღეიდან გამეტებულად თავისუფალი ხართ. თქვენს თავს თვითონვე მიხედეთო“.

უაღვიროდ ცხოვრება ათასწლოვანმონობებსმიჩვეული საპრასიელებისათვის უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე წარმოიდგენდნენ. ჯერ იყო და სახელდახელოდ სახელმწიფო საბჭო შეადგინეს. საბჭოს პირველი შემადგენლობა აქტიურ საპრასიელთაგან სახელდახელოდ ჩამონერეს, მაგრამ გაირკვა, რომ საბჭოში გაცილებით უჭკუო მოქალაქეები მოხვედრილიყვნენ, ვიდრე საბჭოს გარეთ მოიძებნებოდა.

მოდით, არჩევნები ჩავატაროთ, მოიფიქრა ვილაცამ. მართლაცდა, რა სჯობია არჩევნებს, მთელი კულტურული მსოფლიო არჩევნობს ან არჩევნებისთვის ემზადებაო, კვერი დაუკრეს. არჩევნებმა კინალამ დაღუპა საპრასია. სამ

წელიწადში თერთმეტი არჩევნები ჩაატარეს, არჩეული პირი არჩევნებს „სამართლიანს“ უწოდებდა, დანარჩენი ყველა, უკლებლივ, „გაყალბებულს“.

არჩევნების აყალ-მაყალი სამოქალაქო ომში გადაიზარდა, რამაც საპრასიის ხუთმილიონიანი მოსახლეობა სამ მილიონზე დაიყვანა და იმ სამი მილიონიდან ორმილიონიან ცხრაასოთხცმოცდაჩვიმეტიათასს მმართველ ორგანოში – პარლამენტში სურდა მოხვედრა.

რაკილა მიხვდნენ, რომ პარლამენტის წესიერად არჩევა საპრასიაში შეუძლებელი იყო და საპრასია საპარლამენტო რესპუბლიკად ვერ ჩამოყალიბდებოდა, ევროპულგაზეთნაკითხმა საპრასიელებმა ურჩიეს ხალხს, იქნებ საპრეზიდენტო რესპუბლიკაზე შეეჩერდეთო. როგორც იქნა, აირჩიეს პრეზიდენტი, მაგრამ ერთ წელიწადში თვითონვე წაუჭირეს ყელში ხელი, არ მოგვწონხარო. მერე რუსეთიდან გამოიწერეს ქართული გვარტომის პრეზიდენტი, მაგრამ არც ის მოეწონათ. ეროვნული საქმეებისაგან შორს დგას და თანაც „ლეგიტიმური“ (დახეთ, რა წინ წასულა საპრასია) არ არისო.

ბოლოს, კუნძულის გაქრობა-გაჩანაგებას ბევრი რომ აღარაფერი უკლდა, გაახსენდა ერთი ტრადიციული სამეფო გვარის ჩამომავალი ხუან ჯორჯონელი. ჩამოვიყვანოთ ხუანი და მეფედ ვაკურთხოთ. რაც მთავარია, ობიექტური კაცია. არჩევნებში გაუსვრელი და, რაც უფრო მთავარია, სამეფო დინასტიის წარმომადგენელიაო.

სამი საპრასიელი – ბალათერ გარეკილი, ღვთისავარ ვერონელი და შანშე შირაზელი ჩავიდნენ ბაბალეროში. კითხვა-კითხვით მიაგნეს ხუან ჯორჯონელის სართულნახევრიან, მანსარდოსან სახლს და ამოყირავებულ ველოსიპედთან დახრილ ხუანს აუწყეს:

ჩვენ საპრასიიდან გახლავართ. საპრასიელი ერის სათხოვართ გეახელითო.

რაში გავახსენდი კუნძულ საპრასიასო, ველოსიპედისთვის თავი არ გაუნებებია ხუანს.

ხომ იცით, საპრასია თქვენი ისტორიული სამშობლოა. პატარა სათხოვარი გვაქვს და უარს ნუ გვეტყვიო, სტუმრებმა.

ხუანმა იცოდა, რომ მისი წინაპრები საპრასიიდან დაახლოებით სამიათასშვიდასი წლის წინათ ჩამოსახლებულიყვნენ ესპანეთში. გადმოცემით ისიც ჩასწვდენოდა ყურში, რომ ჯორჯონელთა გვარი ერთ დროს საპრასიის სამეფო გვარი იყო. ეს იყო და ეს. ხუანი საპრასიაში არასოდეს ყოფილა. იქაურს არავის იცნობდა. კარგად არც ის იცოდა, სად მდებარეობდა საპრასია, საპრასიულ ენაზე ერთ სიტყვასაც ვერ გეტყოდათ და, საერთოდ, პირველად ხედავდა ცოცხალ საპრასიელს, ისიც ერთს კი არა – სამს.

ხუან ჯორჯონელმა ველოსიპედის თვალი დაატრიალა. მერე ჩვრით ხელები შეინმინდა. იქვე, ეზოში, ძველთაძველი დაშლილი მანქანის სავარძლისკენ მიუთითა სტუმრებს. როცა ოთხივენი ესპანური ცაცხვის ქვეშ ჩამწკრივდნენ, „მალბორო“ დააძრო, სამივეს მიაწოდა, სანთებელა გაატყავს და პირველსა და მეორე ნაფაზს შორის დინჯად ჰკითხა საპრასიელებს:

– რამ შეგანუხათ, ბატონებო?

საუბარი, რასაკვირველია, ესპანურ ენაზე მიმდინარეობდა. კარგი მოესპანურესთვისაც კი ძნელად გასაგები, მიმიკაჟესტნახმარებული, ტვინსამტვრევი და ენის გასატეხი ესპანური სამიდან ერთმა ღვთისავარ ვერონელმა იცოდა.

– ჩვენ ისა... არ გაგიკვირდეთ. გაიგონებდით, საპრასია გათავისუფლდა. მეფობა უნდა გთხოვოთ.

– რისი მეფობა? – ნარბები უფრო ზემოთ აუხტა ხუანს, ვიდრე მოულოდნელობისგან გაკვირვებულ ადამიანებს მოსდით ხოლმე.

– საპრასიის. თქვენ ტახტის ერთადერთი მემკვიდრე ხართ. უარს ნუ გვეტყვიო.

– კი მაგრამ... მე ხომ საპრასიაში არასოდეს ვყოფილვარ... თანაც მე აქ ჩემი ბიზნესი მაქვს, ორას ველოსიპედს ვაქირავებ.

– თქვენ ოღონდ თანხმობა მოგვეცით და ეს ყველაფერი მოგვარდება. საპრასიის მეფე უზრუნველყოფილი, უფრო სწორად, ხელმომართული იქნება. საპრასია ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ქვეყანაა.

– მეფობა მეფობად, მაგრამ მე სხვის ხარჯზე არასოდეს მიცხოვრია. მე... ერთი პატიოსანი ესპანელი ვარ. ველოსიპედების გამქირავებელი პუნქტის გახსნა აქ იოლი არ არის... თანაც მე აქ... როგორც ხედავთ, სახლი მაქვს... იქ... საპრასიაში, სად უნდა ვიცხოვრო... ცოლი მყავს და ქალიშვილი – ხუანიტა.

– თქვენ მეფე იქნებით. ერთმპყრობელი. სასახლეში იცხოვრებთ მეფურად... თქვენი მეუღლე დედოფალი იქნება. თქვენი ქალიშვილი პრინცესა... ესეც არ იყოს, თქვენ სამშობლო გიხმობთ... ტახტი გელოდებათ... სხვა არა იყოს რა, ეს თქვენი პატრიოტული ვალიც არის.

ბოლო სიტყვებმა მაგიურად იმოქმედა, ხუანი დათანხმდა. უხერხულია უარის თქმა, ხალხი ერთსულოვნად მელოდება. ბოლოს და ბოლოს, გამოვცდი, ერთი, რა ბედენაა მეფობაო.

მეორე დღეს ველოსიპედების გამქირავებელი პუნქტი ახალ მენეჯერს ჩააბარა მოგების ოცდაათი პროცენტის უფლებით. სახლი თავის ცოლისძმას დაუტოვა და დარბაისელთა სამეულს საპრასიაში გაჰყვა.

აღარ შეეუდგები იმ აღფრთოვანების გადმოცემას, რაც საპრასიელებმა გამოხატეს, ორმოცსმილწეული, შავუღვაშა კობტადგამართული მეფე თვითმფრინავის ტრაპიდან რომ დაეშვა.

არც მეფედკურთხევის ცერემონიალის აღწერით გადავღლი თქვენს ყურადღებას.

დავინწყებ იმით, რითაც ხუან ჯორჯანელმა დაიწყო, როცა ეიფორიამ გაიარა და კუნძულის მეფის უზარმაზარ კაბინეტში სამეფო საქმიანობას შეუდგა.

მეფეს დილიდანვე მისთვის სრულიად გაუგებარ, საპრასიულ ენაზე შედგენილ ქაღალდებზე ხელს აწერიანდნენ. ქა-

ღალღები ბალათერ გარეკილს შემოჰქონდა მტკიცე ნაბიჯით და მედიდური ღიმილით.

რა არის, რა ქალღლებია, რაზე ვანერ ხელსო, თარჯიმანს ახედავდა მეფე. თარჯიმანი ბალათერს შეავლებდა მზერას, ბალათერი მშვიდად პასუხობდა: არაფერი, მიმდინარე საქმეებია, დანიშვნები და რუსეთის დაბომბვის საწინააღმდეგო ნოტებიო.

ველოსიპედს როგორ უყურებენ საპრასიაშიო, თუ იციან, საერთოდ, ამ კეთილშობილი, უსანვაგო ტრანსპორტის არსებობის შესახებო, ჰკითხა თავის „მარჯვენა ხელს“ (ქალღლებზე ხელმონერების დარგში) ბალათერ გარეკილს მეფემ, როცა ორასოთხმოცდამეშვიდე დანიშვნას ხელი მოაწერა.

არა მარტო იციან, ჩვენთან ველოსიპედი გასული საუკუნის (ე. ი. XX საუკუნის) ათიან წლებში პირდაპირ ჩინეთიდან შემოვიდა. იმ დროს, რასაკვირველია, იგი წოდებანართმეული, მაგრამ სიმდიდრეშერჩენილი (ოქტომბრის რევოლუციამდე) ერთი მუჭა თავადაზნაურობისათვის იყო ხელმისაწვდომი. გლახს ველოსიპედს ვინ აღირსებდა. ჩვენი თავისთვის ვერ გვიპატიებია, რომ დიდ პოეტს ვაჟა-ფშაველას ქართველმა ერმა ერთი ველოსიპედის ფული ვერ შეუგროვა, რათა „გველისმჭამელის“ ავტორი ჩარგლის მთებიდან „ივერიის“ რედაქციამდე ველოსიპედით დაშვებულიყო. მერე რევოლუციამ სისხლისმწოველი მდიდრები, მოგეხსენებათ, ველოსიპედიდან ჩამოსვა და ცნობილი რევოლუციონერი კამო სწორედ ბურჟუაზიისგან წართმეული ველოსიპედით დაიღუპაო. ახლა მთელ (აფხაზეთსა და სამაჩაბლოს თუ გამოვაკლებთ) საქართველოში ველოსიპედი დიდ პატივშია. განსაკუთრებით ქალაქ სამტრედიასა და მის შემოგარენში სარგებლობენ მისი სიკეთით. სამტრედიაში უველოსიპედო კაცს კაცად არ თვლიან და ცოლის შერთვაზეც უარს ეუბნებიან, რაც შეეხება დედაქალაქს, შესანიშნავი ველოტრეკი გვაქვს, სადაც საქალაქო და რესპუბლიკური შეჯიბრებებიც კი იმართებაო.

სახეგაბადრული ისმენდა მეფე ერთგული ვეზირის ამ სიტყვებს. ქალაღდზე ესპანურად რამდენიმე ადგილზე ჩაინიშნა „სამტრედია“. ადგა, კარადა გამოალო, ჯერ სამეფო გვირგვინი დაიხურა, მაგრამ სწრაფადვე მოიხსნა და კარადაში მარჯვნივ, ღრმად შესწია, მერე ესპანეთიდან ჩამოყოლილი, გრძელკეპიანი ჯინსის ქუდი მოიგდო თავზე და ბალათერს სთხოვა: თუ კაცი ხარ, ველოტრეკზე მიმიყვანეო.

მეორე დღეს ჩარჩო-ხელშეკრულების შესათანხმებლად ჩამოსულ სპარსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს მთელი დღე ხუან ჯორჯონელი საპრასიელი ხალხის მაღალ საველოსიპედო კულტურაზე ელაპარაკებოდა. მართალია, მოუვლელია, ალაგ-ალაგ ფიცარნაგი აყრილია და სასწრაფო რემონტს საჭიროებს, მაგრამ ზომა-პარამეტრებით საერთაშორისო სტანდარტებს მისადაგებული ასეთი ველოტრეკი, ჩვენ რომ გვაქვს, მსოფლიოს ბევრ ქვეყანას არ მოეძევაო.

სპარსელს ველოსიპედის პრობლემები, ეტყობოდა, ნაკლებად აღელვებდა, მაგრამ იგი აღმოსავლური დიპლომატიის მომარჯვებით, ღიმილგაუხრელად უქნევდა თავს ველოსიპედისტ მეფეს და შიგადაშიგ ჩარჩო-ხელშეკრულებას შეახსენებდა, თუმცა მინისტრმა მეფე, ხელშეკრულების საკამათო პუნქტებისკენ ვერა და ვერ მიახედა.

მიუხედავად ამისა, საღამოს რვა საათზე ოპერატიულობით და სიზუსტით გამორჩეულმა პირველმა სატელევიზიო არხმა საპრასიას (და ვინ იცის, იქნებ მთელ მსოფლიოსაც) აცნობა, რომ სპარსეთთან ჩარჩო-ხელშეკრულების შესახებ გამართული მოლაპარაკებების მეცხრამეტე რაუნდი ფრიად შედეგიანი აღმოჩნდა.

მეფემ სხვა მრავალთან ერთად საპრასიელი ხალხის ერთი თვისება არ იცოდა – თანამდებობისადმი საპრასიელთა ცუცხლოვანი დამოკიდებულება. დანიშვნებს რომ ხელს აწერდა, იგი ფიქრობდა: სულერთია, მე აქ არავის ვიცნობ, ჩემ ჩამომყვან დარბაისელთა პატიოსნებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არა მაქვს. ბოლოს და ბოლოს ქვეყანა არ დაიქცევა, თუ

ერთმა უცნობმა მინისტრმა ვერ გაამართლა, მოვხსნი და მეორე უცნობ მინისტრს დავნიშნავო.

დანიშვნათა გამოქვეყნების მეორე დღეს ტრადიციების ერთგული სამეულიდან ერთმა – შანშე შირაზელმა ითხოვა აუდიენცია.

ასე როგორ შეიძლებაო, კარებშივე ალაპარაკდა შანშე შირაზელი, თქვენ შეცდომაში შეგიყვანესო. ჩვენ ისედაც უფსკრულის პირას ვიდექით და ახლა, ამ წამიდან შიგ უფსკრულ-წკვარამში მივექანებითო. სამონადირეო ველების მინისტრად ჩქვამელის დანიშვნა როგორ შეიძლებოდა, სახლში ავსტრალიური ავაზა ჰყავს, რომელმაც ამ ექვსი თვის წინათ მისი ბავშვის მათემატიკის მასწავლებელს თითი წააკვნიტაო, რკინა-კავეულის დეპარტამენტის უფროსად ჯგენია ვინ ოჯახდაქცეულმა შემოგთავაზათ, შარშანწინ მაგ ვაჟბატონის საქმეს სახელმწიფო სესხის დაუბრუნებლობის თაობაზე საგანგებო კომისია იძიებდაო. რუნაკადულთა სამინისტრო რომ ჟეჟებელს ჩააბარეთ, შარშან მეორე ცოლს გამოიღო და საყვარელთან გაუფორმებელ ბინაში ისე ცხოვრობს, რომ ის საყვარელი ქმარს არ გაყრია, როგორც წესი და რიგიაო. შალ-ბამბეულის სამინისტროს გირჩიანი როგორ მოუვლის, მაგ საცოდავს კუდუსუნში თმა აქვს ჩაზრდილი და წელიწადში სამუალოდ ასოცდაცხრაჯერ მაინც პროქტოლოგის წინ დგას ოთხზეო...

რომ აღარ გავაგრძელო, სამსაათნახევარი ილაპარაკა შანშე შირაზელმა და მეფე ხუან მეთოთხმეტე ჯორჯონელის საკადრო გამწესებებიდან ქვა-ქვაზე არ დატოვა.

უსმენდა მეფე გაცხარებულ საპრასიელს და თანდათანობით რწმუნდებოდა, რომ გამოუსწორებელი შეცდომა ჩაიდინა, რომ მეფობაზე დათანხმდა, მაგრამ ახლა უკანდახევის და წუნუნის დრო არ იყო.

ხუანმა იმდენი კი იცოდა, რომ სიმართლე არ უნდა ეთქვა და „საკადრო მშვენიერებანი“ მისი წამდვილი ავტორისათვის ბალათერ გარეკილისათვის არ უნდა გადაებრალეებინა.

– ერთი შეკითხვა მაქვს თქვენთან, ბატონო შანშე, – მეფემ ქალაქების გროვა განზე გასწია, – თუ იცით, რომელი ველოსიპედი უფრო ადრე შექმნეს – ერთბორბლიანი, ორბორბლიანი თუ სამბორბლიანი?

შანშემ ოფლი მოინმინდა. მეფეს განამებული მზერა შეავლო და კაბინეტი უხმოდ დატოვა.

\* \* \*

ამ ნოველის ავტორმა კარგად იცის, რომ წიგნს დღეს მკითხველის ის კატეგორია იღებს ხელში, ვისაც სტრიქონებს შორის ამოკითხვის უნარიც აქვს და ფანტაზია იმდენად განვითარებული, რომ ბოლომდე დანვრილებით მოყოლას არა და არ საჭიროებს.

ამიტომაც, გავკადნიერდები და ვთხოვ ჩემს სულგრძელ მკითხველს, თვით წარმოიდგინოს, რა დღე დაადგებოდა საპრასიის მეფეს, სანამ მეფობის მესამე წელს მიხვდებოდა და მთხოვნელთა მიღებაზე საბოლოოდ იტყოდა უარს.

...და ეს მაინც არ არის ნოველის ფინალი.

აი, ფინალიც:

2002 წლის 5 სექტემბერს მსოფლიოს გაზეთების და ტელევიზიის მიერ სენსაციური ცნობა გავრცელდა:

„საპრასიის მეფემ ხუან მეთოთხმეტე ჯორჯონელმა დღეს, თერთმეტ საათზე სტარტი აიღო, რათა ველოსიპედით დედამიწას შემოუაროს.

დედამიწის გარშემო ამჟამად ველოსიპედით ოცდაცხრა პერსონა მოგზაურობს, მაგრამ მათ შორის მეფე მხოლოდ ხუან მეთოთხმეტე ჯორჯონელია.

საპრასიამ გულთბილი გაცილება მოუწყო ველოსიპედისტ მეფეს“.





## საბავშვო ბავშვი

საბავშვო ბავშვის გამგის – ქსენია სხვიტარიძის გამოსვლა მოკლე, მაგრამ სუსხიანი გახლდათ.

– თავს ნუ მოვიტყუებთ, ამხანაგებო... მე ახალი ადამიანი ვარ თქვენს ქარხანაში. წელიწადი არაა, რაც ბავშვის გამგედ ვმუშაობ, მეოთხე თუ მეხუთე კრებას ვესწრები და ერთმანეთის ქების და ტაშისცემის მეტი არაფერი გამიგონია ჯერ. თავს კი ნუ მოვიტყუებთ, ამხანაგებო. ასე არის ეს. სამი წელიწადია შემეფუთავი საამქროს ორი კედელი ვერ ამოგვიყვანია და იმ ორი კედლის მასალით ხუთი სახლი აშენდა ბრონეულაში. ყველა ხედავთ ამას. იცინოდნენ გუშინ მუშები: მელიქიძეს და კაპანაძეს რაში მისცეს პრემია ამ თვეში სულ ორ დღეს იყვნენ სამსახურშიო. ყველაფერი კარგი ვთქვით დღეს აქ, მაგრამ ის რატომ დაგვაგინცდა, ორი ვაგონი უხარისხო პროდუქცია რომ დაგვიბრუნეს უკან გუშინნინ? ჩვენი ოჯახია ეს და უნდა ვთქვათ, სიმართლე არავის უნდა ენცინოს. ასე არის ეს!

ქსენიას ნათქვამს მარმელადის ფაბრიკის საერთო კრების დადგენილებაზე გავლენა არ მოუხდენია. ტაშიც არავის დაუკრავს. არც მხარის დასაჭერად გამოსულა ვინმე და არც წინააღმდეგ. ფაბრიკის დირექტორმა ვასილ ხარაბაძემ საბოლოო სიტყვაში ქსენია არც ახსენა. კრება რომ დამთავრდა და კიბეზე დაეშენენ, დირექტორმა ხელი გამოსდო და ჩურჩულით უთხრა: „კარგია, ძალიან კარგია, ქალბატონო ქსენია, უნდა გავაკრიტიკოთ, აბა რა. ხანდახან უნდა გამოგვაფხიზლოთ!“ „ჩვენი ოჯახია, ბატონო ვასილ, აბა სად უნდა ვთქვათ სიმართლე?“ – შეჰღიმა ქსენიამ.

დირექტორი და საბავშვო ბალის გამგე ამ სიტყვებით დაშორდნენ ერთმანეთს.

ქსენიასთვის რომ გეკითხათ გამოსვლის მიზეზი, დარწმუნებული ვარ, ვერ აგიხსნიდათ. აღარც ახსოვს, როგორ ასწია ხელი და როგორ აღმოჩნდა ტრიბუნაზე. კონკრეტულად არ ვილაპარაკებ, სადღეგრძელოების კრება რომ გამოგვდის, ამას ვიტყვი მარტო და დავჯდებიო. რა უნდოდა? შემფუთავი საამქროს გაფართოება ეჩქარებოდა? კაპანაძის და მელიქიძის ეხარებოდა? ნუნის მოსპობით იყო დაინტერესებული? საბავშვო ბალის გამგეს ეს ყველაფერი რატომ აღარდებდა? იქნებ, მართლა გული შესტკიოდა? ვინ იცის; ქსენია სხვიტარიძის კრიტიკულ სიტყვას, სხვებთან ერთად, ერთი პატარა მიზეზიც ჰქონდა, ჩემი მოკლე მოსაზრებით: ქსენია აქტივისტი ქალი იყო. ახალგაზრდობისას საზოგადოებრივი მუშაკის კარგ ალლოსა და ენერგიას ამჟღავნებდა. მუშაობდა კიდეც სხვადასხვა დროს მეტნაკლებად საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. რიხიანი ლაპარაკი და დაპირებები უყვარდა. ორმოცს რომ მიაღწია, მოულოდნელად გამოუძახეს და მარმელადის ქარხნის საბავშვო ბალის გამგედ დანიშნეს. რომ ვთქვა, ძალიან გაეხარდა-მეთქი, მართალი არ ვიქნები. უფრო მაღალ ადგილს ელოდა, ცოტა გახვანცალდა, მაგრამ დაარწმუნეს, ასეა საჭიროო და ქსენიასაც ხმა აღარ ამოუღია. მეორე წელი იწურება, რაც ბალს ჩაუდგა სათავეში. მტერი არც ამჯერად გააცინა, ძალა და ენერგია არ დაიშურა, ჩვილ ბავშვთა აღზრდის ეს უსათუთესი კერა ფეხზე დააყენა. დაუზარელი ქალი იყო და ყველა კმაყოფილი ჰყავდა. ერთი რამ უღრღნიდა გულს; დრო გადიოდა და დასაწინაურებლად არვინ ეძახდა. ვერავითარ უხერხულობას ვერ ვხედავ ქსენიას სურვილში, ძვირფასო მკითხველო. საზოგადოებრივი მუშაკის კარიერაზე ოცნებობს ქალი, აქვს კიდეც საამისო უნარი და მარიფათი, ერთგულად ემსახურება ქვეყანას და უნდა, რომ ეს გულმოდგინე მეცადინეობა დაუნახონ და დაუფასონ. ამიტომაც,

მე მგონი, ქსენიას დღევანდელ სიტყვას სხვა სიკეთესთან ერთად თავის გამოჩენის სურვილიც ახლდა.

კრების შემდეგ სამი დღეც არ იყო გასული, რომ ქსენია სხვიტარიძის ბაღს რევიზია დაეცა: ადგილკომის თავმჯდომარის მოადგილე, საზვევების სამმართველოს უშტატო რევიზორი და სახალხო კონტროლის კომისიის სამი წევრი. რევიზიამ ორი დღის გულმოდგინე მუშაობის შემდეგ დაადგინა, რომ საბავშვო ბაღის მუშაობაში „მთელი რიგი ნაკლოვანებები შეიმჩნეოდა“. უხარისხოდ ფორმდებოდა და თანამედროვე ვითარებას ოპერატიულად ვერ ასახავდა კედლის გაზეთი. დერეფანში ფანჯრის რაფაზე მტვერი იდო. მიღებული სათამაშოების ერთი ნაწილი გაუხსნელად ენყო მეკუჭნავის ოთახში, ხოლო სასადილოში ორი ქილა ზედმეტი ქლიავის კომპოტი აღმოჩნდა.

კომისიამ ეს ყველაფერი კეთილსინდისიერად ჩამოწერა და საბავშვო ბაღის გამგეს წარუდგინა აქტზე ხელის მოსაწერად.

– შენი არ მიკვირს, შალიკო? – ეუბნებოდა ქსენია ადგილკომის თავმჯდომარის მოადგილეს, – ხელს კი მოვანერ, ყველაფერი სწორია, მაგრამ თავს კი ნუ მოვიტყუებთ, შე კაცო! ეს ვართ სულ? ასე უცებ გადამიხადა ვასო ხარაბაძემ კრებაზე ჩემი გამოსვლის სამაგიერო? კაცი მეგონა. რა ვთქვი, თუ ძმა ხარ, ისეთი? რა იყო ახლა ეს შემონმება? ჭკუა უნდა მასწავლოს? ამნაირი შემონმების მეშინია მე? მე მაგას თვალში ხომ არ ვეპატარავები? რევიზია, თორემ ბავშვებს არ ვპარავდე საჭმელს და სახლში არ მიმქონდეს! კედლის გაზეთით, რომ ჩაგინერიათ, რა უნდა ასახოს, ბიჭო, ოპერატიულად კედლის გაზეთმა? მტვერიო, აბა ნახეთ ბავშვების ოთახები თუ არაა დაკრიალებული, შემოსასვლელში, შე კაი კაცო, ვერ მოასწრო დამლაგებელმა სველი ტილოს გადასმა ამ დილით. შევჭამოთ? სათამაშოებს ყველას ერთად ხომ არ დაუწყნობთ ბავშვებს, შალიკო. ყველა ერთად რომ მივცეთ, არ იცი მაგენის ამბავი?

მეორე დღეს არც ერთი არ ექნებათ. არ დალია ბავშვმა ის ორი ქილა კომპოტი გუმინ და მზარეულს უწყევია. ხომ ხედავ, უკან, სანყოფინი კი არ შეგვიბრუნებია, დღეს მივანვდით სადილზე, თქვენს აქტზე კი არ ვნუხვარ მე, ა, ბატონო ჩემი ხელმონერა, ხუთი კაცი მოხვედით და რაღაც ხომ უნდა დაგენერათ. მე იმას ვდარდობ, რომ ვასო ხარაბაძე არ ყოფილა კაი კაცი. კაი, თუ გინდა გამოვედი და შევცდი, თუ გინდა. ასე უნდა გადამიხადოს? ქალი ვარ მე ბოლოს და ბოლოს, მეტი თავდაჭერა არ მართებს ამხელა ფაბრიკის დირექტორს? მე, საბავშვო ბაღის გამგეს მდევნის? მასე სიმართლით იარე შენ, რავაც მართალი ხარ ჩემთან-თქვა, ასე გადაეცი, ჩემო შალიკო!

შალიკო, ვირთხისთვალეა, ბეჭმრუდე ინჟინერი, ალელდა და ხმას აუნია:

– მე არაფერს არ გადავცემ, ქალბატონო ქსენია. მე არავის ფოსტალიონი არა ვარ აქანა, თუ რამე გაქვს სათქმელი, შენ თვითონ უთხარი. არ დაგიმალავ, კი, დირექტორის განკარგულებით მოხდა ეს შემონიშნება. თქვენი ანგარიში თქვენ გაარკვიეთ ერთმანეთში. მე რა შუაში ვარ! საერთოდ ვინც მე ამ ადგილკომში ამირჩია, იმას დეექცა ოჯახი! რა ჩემი საქმეა. რაც აქ ჩამოვწერეთ, არაფერი არაა ეს, თქვენც კარგად იცით. მართლა, თქვენი თქმის არ იყოს, ვერაფერი ვერ ნახა ამ ხუთმა კაცმაო, ხელცარიელი რომ წავსულიყავით, თქვენთვის არ იქნებოდა კარგი, მაშინ მართლა დაეჭვდებოდნენ რაღაცაში. ამას რა უნდა მოყვეს, არაფერი. თანაც, რაც აქტში წერია, თქვენი ბრალი არც ერთი არ არის, თქვენ უშუალოდ არც ერთი არ გეხებათ. სალაპარაკოდაც არ ღირს, კარგად ბრძანდებოდეთ!

ქსენია სხვიტარიძის განთავისუფლება მეხის გავარდნასავით გაისმა ქალაქ ბრონეულაში. ქალაქში დარხეულ ხმათაგან ჭემმარიტებას ვერაფრით ვერ დაადგენდით. ბრონეულაში ქსენიასაც ჰყავდა თავისი პატივისმცემელი და მით უმეტეს – ვასო ხარაბაძეს. ქსენიას მხარე გულზე მჯილის ცემით გაიძ-

ახოდა, – ეს რა ჩაიდინა მარმელადის ფაბრიკის დირექტორმა, კრიტიკის ჩახშობა ჰქვია, აბა რა ჰქვია, ახლა, მის საქციელსო. ქვეყანა ჩალით კი არაა დახურული, ვინ აპატიებს ქსენიას დაჩაგვრას ხარაბაძესო. ქსენია არც ისე „საწყალია“, ეს ამბავი უბრალოდ ჩაატაროსო. თავგმა რომ კატა გამოთხარა, ისე მოუვიდა დირექტორსო.

ვასო ხარაბაძის მხარე „ამტკიცებდა“: ეგლა აკლია ახლა ამხელა ფაბრიკის დირექტორს, საბავშვო ბაღის გამგე ვერ გაანთავისუფლოსო. ძალიანაც სწორად მოიქცა, გუდა-ნაბადი რომ აუკრა თავისი ფაბრიკიდანო. წინამასწარა არავის უნდა სამსახურში დღესო. ქსენია სხვიტარიძემ პირში წყალი როდი ჩაიგუბა, რკინის ქალამნები ჩაიცვა და სამართლის საძებნელად გასწია. ქვეყანა არ აღმოჩნდა ჩალით დახურული და ვასო ხარაბაძის კაბინეტში იშვიათად როდი იმართებოდა დაახლოებით ამგვარი ხასიათის დიალოგები:

დიალოგი პირველი. 27 სექტემბერი.

– რას გერჩის სხვიტარიძე, ვასო ბატონო?

– მიჩივლა უკვე? ასეც ვიცოდი.

– გიჩივლა რომელია, სასწრაფოდ მიიღეთ ზომებიო, თავმჯდომარეს სწერს.

– რას მერჩის, ჩემო სერგო და ხომ იცი ჩვენებურის ამბავი. რა მართალი მიზეზითაც არ უნდა მოხსნა, გადაამეკიდაო, გაიძახის. აღმასკომმა გამომიგზავნა ბაღის გამგედ. ვერ ივარგა, ვერ იმუშავა, თორემ ვინ მამაძაღლი... თქვენ გამოგზავნილს ხმას გავცემდი მეე? შეუმონმებია კონტროლს და ფაქტის წინაშე დამაყენეს. შენ დაგანერეს საჩივარი? კიდო კაი, ვინმე თავგახურებულს რომ არ ჩაუვარდა ხელში, დამინყებდა გამოკითხვას და გამოძიებას.

დიალოგი მეორე. 5 ოქტომბერი.

– მოდი, შემოდი, ხმაზე კი ვერ გიცანით. ორთოვიძე ბრძანდებით ხომ? ჩამოვრჩი ცხოვრებას. კი აღარ ვიცოდი შენ თუ დაამთავრე და ჩვენს გაზეთში გამოგანაწილეს.

– სხვიტარიძის წერილია შემოსული, ვასილ ბატონო.

– ვიცი, ვიცი, მელაპარაკა რედაქტორი ახლა, ამ წუთას. ა, გენაცვალე, საბუთები. აქა მაქვს ყველაფერი, ისეთ რამეს გავაკეთებდი ახლა მე, რომ ხელისმოსაჭიდი ჰქონოდა რამე? არ ივარგა, არ გამოდგა ბალის გამგედ და ჩემი ბრალია? მოკლედ, საყვედურსაც აღარავინ კადრულობს დღეს. შეიძლება ასე მუშაობა? თუ ვერ მუშაობს, რატომ არ ხსნითო, გვეუბნებიან. მოვხსნით და ასეთ დღეში ვართ. აცდენს ქვეყანას და სისხლს უშრობს ხალხს. რას შვრება მამაშენი, პავლე, ხომ არ დაბერდა? შენ ეგებ არც კი იცი და ჩვენ ნათესავებადაც ვერგებით ერთმანეთს. მამაჩემს პირველი ცოლი კვარაკვახიძის ქალი ჰყავდა...

დიალოგი მესამე. 25 ოქტომბერი.

– მადლობა ღმერთს, რომ ჩამოგიცდა ფეხი, ჩემო სოსო. რას მივანერო შენი სტუმრობა? დიდი კაცი ხარ დღეს.

– ცუდადაა შენი საქმე. ერთი ფაქტი უნდა შევამოწმო. რას შვრები, რავა ხართ?

– სხვიტარიძის საქმეზე იქნები. აშენდა მაგის ოჯახი. სხვა ვინ მაღირსებდა შენს ნახვას! რაც დავამთავრეთ, ასე პირისპირ აღარ შევხვედრივართ ერთმანეთს. სირცხვილი არაა მერე ეს, სოსო? ერთ სისტემაში მაინც არ ვმუშაობდეთ.

– ოთხჯერ იყო მმართველთან, ეს ოჯახქორი. შეისწავლეთო, დაგვავალა. ვთქვი, მე თვითონ ნავალ, თანაც, ვასოს ვნახავ და ერთად ორ კურდღელს დავიჭერ-მეთქი, ნანული ხომ კარგადაა, ბავშვი რამდენი გყავთ?..

დიალოგი მეოთხე. 13 ნოემბერი.

– მობრძანდით, მობრძანდით. კაკაურიძე, რასაკვირველია. მითხრეს, დამირეკეს, დაბრძანდით. რა ამბავია თქვენკენ?

– სხვიტარიძის საჩივარი უნდა შევამოწმო!

– აღარ შემიძლია, ბატონო. ნორმალური მუშაობის პირობები არ გამაჩნია. გადამიყოლა ამ სხვიტარიძის საქმემ. აქ არის ყველაფერი. ეს საქმე თქვენ ზემოთაც იცინა. არ

დაუტოვებია ინსტანცია, მიკვირდა, თქვენგან რომ აქამდე არავინ მოვიდა. ინტრიგანი ქალია, მახეზლარა. ვინმემ არ უნდა დაუდოს ზღვარი მაგის ხლინის ზევით და ქვევით? მოვხსენით სამართლიანად და მაინცდამაინც ჩემს ადგილზე დამაბრუნეთო. სამართალი აღარაა ქვეყანაზე? ყველა ჩემ მხარეს როგორაა! ეს საქმე იკვლია, ბატონო, აღმასკომმა, ტრესტმა, სამმართველომ, რედაქციამ, მილიციამ, სასამართლომ. ა, აქ არის დასკვნები. ჩვენი ფაბრიკის დირექციის გადაწყვეტილება ყველამ ძალაში დატოვა. აი, აქ არის ყველაფერი და თუ არ შენუხდებით, გულდასმით გადახედეთ. ამ დილით ჩამობრძანდით? სად გაჩერდით, რომელ სასტუმროში? ჯერ არსად? ღმერთო კი მომკალი, დავრეკავ ახლავე. ჯერ ნასაუზმევიც არ იქნებით.

დანარჩენ ექვს დიალოგს შეგნებულად გამოვტოვებთ, რადგანაც შინაარსობრივად ახალს თითქმის არაფერს შეიცავენ. მოვიტანთ მხოლოდ ვასო ხარაბაძისა და მისი მოადგილის ერთ საუბარს (ეს საუბარიც იმიტომ მოგვაქვს, რომ ახსნა ეძლევა ჩვენი ნოველის ფინალს, რომელიც საქმეში ჩაუხედავ კრიტიკოსს, შეიძლება, დაუჯერებლადაც კი მოეჩვენოს).

სალამოს შვიდი საათია.

ვასო ხარაბაძე ფანჯარასთან დგას და თავის კეაბინეტიდან ქუჩას გაჰყურებს. ტროლეიბუსის გაჩერებასთან, როგორც ყოველთვის, ჯგლერთაა. დაუკაკუნებლად შემოდის მოადგილე. ქერეფცუა ნვერ-ულვაში სახეზე მოსდებია, კენგურუსავით ყუნცულით მოაბიჯებს და ალაგ-ალაგ შერჩენილ წამწამებს ჯლიბიანივით ახამხამებს.

– არ გაჩერდება-თქვა, ხომ ვთქვი, სხვიტარიძის ქალი, მე.

– ახალია რამე? – ფანჯარას თვალს არა შორებს ვასო ხარაბაძე.

– კიდევ შეუტანია სამმართველოში საჩივარი.

– მაგათი ბრალიცაა, უთხრან ერთხელ და სამუდამოდ, გაჩერდით, თვარა დაგიჭერთო.

– მაგას ვინ ეტყვის. ჩივილის უფლება ყველას აქვს. თანაც, შენ ხომ იცი, ქსენია მთლად უპატრონოც არ გეგონოს, წამქუსქუსებელიც ბევრი ჰყავს.

– მოკლედ, აღარ ყოფილა, აბა, საშველი და ქსენიას მსხვერპლი ვყოფილვართ ყველანი!

– ერთს ვიტყვი მე...

და ვასო ხარაბაძის მოადგილე ერთს ამბობს.

\* \* \*

აპრილის ერთი ტურაქორწილა დილა იყო.

ჯერ წამოწვიმა, მერე მზემ გამოიხედა და თითქოს გადაიფიქრაო, ისევ ღრუბლებში შეჰყო თავი.

მარმელადის ფაბრიკის საბავშვო ბაღის კართან ღამის დარაჯი ეზეკია დარახველიძე იდგა და აჟივლებული ბავშვების დედებს დაუზარებლად განუმარტავდა:

– აღარაა ბაღი, ბატონო. დეიხურა ბაღი. სხვაგან უნდა წეიყვანოთ ბავშვები. რა ვიცი მე... სადაც თქვენ გაგეხარდებათ. ბაღის მეტი რაა ბროწეულაში. ბრძანება მოვიდა, აღარ ჭირდება მარმელადის ფაბრიკას საბავშვო ბაღიო. დირექციამ დაადგინა, ვერ ამართლებს ბაღიო, რა ვიცი მე. არ გროვდება ბავშვებიო. ერთი სიტყვით, ასეა, რავარცაა! ჩემთვის არ უკითხავთ არაფერი. იმგენმა უკეთესად არ იციან თავისი საქმე?!





## ბავლენათა ბალავანში

ბუნებრივია, აქ მოთხრობილი ამბავი მკითხველს არაბუნებრივად მოეჩვენება. ამიტომ ბუნდოვანების თავიდან ასაცილებლად ერთ ისტორიულ ფაქტს მოვიშველიებთ.

ეს იყო დამწყები პოეტის პირველი გამოცხადება ახალგაზრდა მწერალთა წრეში.

– ბავშვური ლექსებია – უთხრა მას მაშინ.

– პლატონი ხომ ამბობს ყოველგვარი ხელოვნება ბავშვური თამაშით იწყებაო? – სერიოზულად იკითხა დამწყებმა პოეტმა.

ახალგაზრდა კრიტიკოსს არ გალიმებია, მაგრამ დაუშვა პირველი დიდი შეცდომა და უთხრა:

– ნადით; მეტი იფიქრეთ, მეტი იმუშავეთ, მეტი იკითხეთ; თქვენ შეძლებთ კარგი ლექსი დაწეროთ.

იგი არ წავიდა, არც მეტი იფიქრა, არც მეტი იმუშავა, არც მეტი იკითხა, მაგრამ ახალგაზრდა მწერალთა წრემ დაუშვა მეორე დიდი შეცდომა და დამწყები პოეტი ქიტო, ახალგაზრდა პოეტ ქიტესად მოინათლა.

ამის შემდეგ დიდი დრო არ გასულა.

ახალგაზრდა პოეტი იმდენად უჩვეულო ლექსებს წერდა, რომ ახალგაზრდა კრიტიკოსებს ჩვეულებად ექცათ არაფერზე ლაპარაკი მისი ლექსების გარშემო. ახალგაზრდა მწერალთა წრე სიამოვნებით ხვდებოდა ქიტესას ლექსების ყოველ გარჩევას, რადგანაც კაცმა რომ თქვას, აქ დიდი სარჩევი არაფერი იყო და თუ ახალგაზრდა პოეტს ხშირად ჰქონდა უაღრესად პრეტენციოზული სტრიქონები (როგორცაა: „ბულბულო უთხარი შენს მგოსანს, რამდენად აფასებ ერთ კოცნას“... ან „როცა იქნება ქვად იქცევა ჩანგი პოეტის და ზეცას შუბლზე

შევეხები დიდების ძეგლად“... ან კიდევ „ანთებიან ვარსკვლავნი, მთვარის მახლობლად ღამე, ჩამომძახიან, მგოსანო დაგვინერეო რამე...“), სამაგიეროდ იგი ოლიმპიური სიმშვიდით ხვდებოდა ყველაზე ენაკვიმატი კრიტიკოსის გამოხდომასაც, როცა კრიტიკოსი თითქოს სხვათა შორის იტყოდა, – მწერლობამ ბევრს მოჭრა თავი და პირიქით.

ქიტესა ასაკითაც ისე ახალგაზრდა იყო, რომ ჯერ არც ერთი ავტობიოგრაფია არ დაენერა და თუ კითხულობდა რამეს, ეს იყო მერვე-მეცხრე კლასის მშობლიური ლიტერატურის სახელმძღვანელო და მეთათე კლასის ლიტერატურის ქრესტომათიის მოკლე კურსი გახანგრძლივებული დღის ჯგუფებისათვის.

ამბავი კი იწყება იქ, სადაც უნდა დამთავრებულიყო.

ერთხელ სრულიად ახალმა კრიტიკოსმა, ახალდანწყებულ წრის სხდომაზე, ქიტესას ახალი ლექსები მოითხოვა. ამბობენ ამ ახალ კრიტიკოსს ქიტესასადმი არავითარი ინტერესი არ გააჩნდა, მას საკუთარი ინტერესები ამოძრავებდაო.

და ორატორმა ტორი შემართა.

– ჩვენ აქამდე თვალს ვხუჭავდით, როცა გვეძინა. ხედავთ, როგორ შემოგვპარვია ბუნდოვანების ბურუსიდან აბსტრაქციონიზმი, მოდერნიზმი, სიმბოლიზმი, მოფუტურიზმი ნატურალიზმი, მონატურალიზმი სინდიკალიზმი, მოპესიმიზმი ოპტიმიზმი და სხვ. და სხვ.!

– საქმეზე! – დაიძახა მთვლემარე ახალგაზრდა პოეტმა. სხვათა შორის, ეს ახალგაზრდა წრის სხდომებზე ერთადერთ რეპლიკას ისროდა და ეს იყო „საქმეზე“ (მიუხედავად იმისა, იყო თუ არა საქმეზე ლაპარაკი).

და ორატორი საქმეზე გადავიდა.

– ჩვენ, ჩვენს რიგებში უნდა ვეძიოთ ეს ყოვლად მავნე გავლენები და ასეთივე იარაღით ვებრძოლოთ მას.

– რა უნდა ვეძებოთ? – თავი წამოყო დაუცხრომლად მაძიებელი სულის პატრონმა ახალგაზრდა შემოქმედმა.

– მოდერნიზმი, როგორც მავნე მიმდინარეობა.  
– როგორც რაი? – იკითხა მთვლემარემ და სანამ პასუხს მიიღებდა ძილი მოერია.

ორატორი განაგრძობს:

– ქიტესა ერთ ლექსში წერს:

„წვიმა წვიმს, სველია

ქუჩები, ხეები

სხვა მცენარეებიც რასაკვირველია“.

– ძველია! – დაიძახა ვილაცამ, – დაანებეთ ამ წვიმას თავი, წვიმა ბევრ პოეტს აქვს ნახმარი.

წვიმაზე ახალს ველარაფერს იტყვი.

– გახსოვს რა კარგად თქვა ერთმა: „უეცრად წვიმა წამოვიდა“...

– როგორ არ მახსოვს.

– იქ სხვა წვიმაზეა ლაპარაკი.

– წვიმა სხვადასხვაა ყოველთვის.

– წვიმა ერთია.

– წვიმა წვიმაა.

– არაფერიც!

ორატორმა ისევ შემართა ტორი.

– დაუკვირდით ამ სტრიქონებს, ხომ ბავშვიც მიხვდება რომ აქ ჯეფერსი და ელიოტი შემოპარულან?

– როგორ ჯეფერსისა და ელიოტის გარდა სხვა ვერ შეამჩნევდა, რომ წვიმის დროს სველია ქუჩები, ხეები?! – გაიფიქრა ქიტესამ და ობიექტურ რეალობაში დაეჭვებულმა ფანჯარაში გაყო თავი. ქუჩაში ჩვეულებრივად წვიმდა. სველ ქუჩაზე დინჯად იდგნენ სველი ჭადრები და, რასაკვირველია, სხვა მცენარეებიც.

სხვებმაც გაიფიქრეს, მაგრამ შედარებით უმნიშვნელო აზრები, რისი ხმამაღლა გამოთქმაც არ ღირდა (ოჰ, ეს ფიქრი, ფიქრი).

– ქიტესას არ ეპატიება რომ საგნებს და მოვლენებს სხვისი ფანჯრებიდან ხედავს. მას ეტყობა, კარგად შეუსწავლია თანამედროვე ფილოსოფიის მარჯვენა და მარცხენა მიმდინარეობანი, ბულვარული პოეზია, ბევრი წაუკითხავს ათასგვარი „იზმების“ შესახებ, თითქმის ზეპირად შეუსწავლია რემბოს, ბოდლერის, დიკინსონის, რობინსონის, სენტბერგის, ფროსტის, ჯეფერსის და ელიოტის ლექსები და ნებით თუ უნებლიეთ მათი გავლენის ტყვეობაში მოქცეულა.

– აფსუს!

– თავს რით გაიმართლებს?

– სირცხვილო?!

– ჰმ... ჰმ... – ნაილულულა ქიტესამ და აბსტრაქციონიზმისადმი პროტესტის ნიშნად ფანჯარა მიხურა, თუმცა სულ არ იყო გამჭოლი ქარი.

არც ამის შემდეგ გასულა დიდი დრო.

დარბის ახლა ქიტესა სამკითხველოდან ბიბლიოთეკაში, ევედრება ყველას, სურს ერთხელ მაინც წაიკითხოს ის გაუგონარი პოეტები, ვისი გავლენა და სულიერი ნათესაობაც ასე ჭარბად აღმოჩნდა მის შემოქმედებაში.

აქამდე კი, თუ კითხულობდა რამეს, ეს იყო მერვე-მეცხრე კლასის მშობლიური ლიტერატურის სახელმძღვანელო და მეათე კლასის ლიტერატურის ქრესტომათიის მოკლე კურსი გახანგრძლივებული დღის ჯგუფებისათვის.



## შიზნიდან ბატეხილი ცინხა

ის გამგე იყო, მე მოადგილე.

რესტორანს „ვერ გამექცევი“ ერქვა.

ზემოდან ყოველთვის გვეუბნებოდნენ, – მომხმარებელს კარგად აჭამეთო, ჩვენ რაც შეიძლებოდა „ვაჭმევდით“ და საჩივრის ნიგნის ყოველ დახვევაზე ვსვამდით „უმფროსების“ სადღეგრძელოს.

არც ჩვენი თავი დაგვეწყინია. ვცხოვრობდით ისე როგორც გვეკუთვნოდა კი არა, ისე როგორც გვინდოდა. გვყავდა საკუთარი მანქანები, გვექონდა სავსე ოჯახი და სტუმრის სურვილით აღუვსებელი გული, – მხოლოდ თავები გვექონდა ცარიელი ზესტაფონიდან ჭიათურისაკენ მიმავალი საბარგო მატარებლის ვაგონებივით.

მალე ამხანაგობით სახლი ავაშენეთ და მეგობრულად შევსახლდით შიგ, მე პირველ სართულზე, ის – მეორეზე (როგორც წესი).

ჩვენი გულები ხომ ისედაც ახლოს იყვნენ და ტერიტორიულად დაახლოებამ ერთად მუშაობის მეტი გასაქანი მოგვცა. შეგვეძლო რესტორნის მუშაობაში წამოჭრილი ზოგიერთი სახელდახელო საკითხი ხელად გადაგვეწყვიტა მეუღლეების სასარგებლოდ.

ერთხელ, ჩემს ბუთხუზა ბიჭს გამგის გოგონამ, აივნიდან ენა გამოუყო. როდი დაიბნა ბუთხუზა. პირი საჩვენებელი თითებით გაქაჩ-გამოქაჩა, თვალები დააელამა და ისეთი სახე მიიღო, შევარცხვინე ყველა გამოჩენილი კომპრაჩიკოსის ნახელავი.

გამგის გოგონამაც სცადა მიეხაძა მისთვის, და რომ არ გამოუვიდა, საშინელი ღრიალი მორთო, არ ვიცი შიშისა თუ სიბრაზისაგან.

რა ვიცოდი, რომ მისი ტირილით ღმერთმა ჩვენი ბედ-ნიერების დამთავრების ზარი დარეკა.

– უი! რა მოგივიდა შვილო, ქვა გესროლეს?! წყალი შე-გასხეს? შეგაშინეს?“ დაჭრილი ხარ?! – გამოქოთქოთდა შეშინებული დედამისი.

ბავშვი თანხმობის ნიშნად ყველაფერზე თავს უქნევდა და თან აივანზე გამოსულ მე და ჩემს ცოლს გვათითებდა.

– რაა ბოლოს და ბოლოს, თუ სულელია ეგ ბავშვი, დააბით სახლში, ხომ ხედავთ შვილს მიკლავს!

– დასაბმელი შენი უდღეური გოგოა! – არ შეარჩინა ჩემმა მეუღლემ.

– არიქა, სევერიან! გამოდი გარეთ, დაგვხოცეს! – იყვირა გამგის ცოლმა და თავის გოგონას ისე მაგრად უჩქმიტა, რომ ბავშვი ხელმეორედ გადაფიჩინდა.

ეს ნაცადი ნომერი მეც გავიმეორე, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ჩემმა ბუთხუზამ ხმა არ ამოიღო.

თუ თვით არ გამოუცდია, ვის არ უნახავს ორი მეზობელი ქალის მრისხანებით საგვს დუეტი და მეც მისი გადმოცემით თავს არ შეგანყენთ. ვიტყვი მხოლოდ, რომ ამ დღიდან ჩვენმა მეუღლეებმა სამუდამოდ შეწყვიტეს ერთმანეთთან ყოველ-გვარი მეგობრული კავშირ-ურთიერთობა.

ცოლები რისი ცოლები არიან თუ არ წაიკიდნენ, და ჩვენც გულთან არ მიგვექონდა ეს ადგილობრივი მნიშვნელობის ინციდენტი, სანამ ერთ დღეს არ გამოგვიძახეს იქ, სადაც ვაჭრობის დარგის ყველა მუშაკს სიკვდილივით ეშინია გა-მოცხადება.

– როგორ იყო ამხანაგო სევერიან, ამას, ამას და ამეებს ზედმეტ ფასებში რომ აყიდვინებდი? როგორ იყო, რესტორანი საკუთარი მომარაგების პუნქტად რომ გაიხადე? როგორ იყო, ასე მცირე ხელფასით ერთ წელიწადში სახლი რომ წამოჭიმე და მანქანა შეიძინე?

მამხილებელი წერილი საქმის ისეთი ცოდნითა და

ფაქტების სიზუსტით იყო დანერვილი, რომ: – მისი გამგედ ყოფნის ნუთები უკვე დათვლილია და ჩემს თავს მაინც ვუშველი-მეთქი, გავიფიქრე.

– რა ღმერთი გაგინყრა, ბიჭო? ნუთუ შენ ხარ ყოველივე ამის მომქმედი? არ გრცხვენია? – გავიოცე მე და ცივწყალ-გადასხმულივით გამაჟრჟოლა, როცა წერილზე ჩემი მეუღლის ხელმოწერა შევნიშნე.

– გიკვირთ, ამხანაგო მოადგილევ? ის რატომ არ გიკვირთ, თქვენი მეუღლე მკითხავენთან რომ მეგობრობს? მევახშეობას რომ ეწვევით, ბავშვი ქრთამებით რომ გადაგყავთ კლასიდან კლასში და მეზობლებს მოსვენებას არ აძლევთ? – ამ სიტყვებთან ერთად გამგის მეუღლის ნაწერი დამიდევს წინ.

ამით დამთავრდა ჩვენი ავთანდილ-შერმადინობა...

რაც სასჯელი მოვიხადეთ ერთმანეთი ჭრელი გველივით შეგვეჯავრდა. ვილანძღებით, ქვას ვისვრით, ენას ვუყოფთ. – სხვასთან კი ჩემდათავად მაინც არ ვაძაგებ. მოგეხსენებათ მოხსნილი და მკვდარი კაცის ძაგება ერთნაირი მიქარვაა.

გუშინ ჩვენი მეუღლეები მთელი სამი საათი ბჭობდნენ თუ როგორ შეგვარიგონ. ახლა ისინი მხიარულად უცინიან ერთმანეთს და ბაზარშიც (თუმცა ეს უკვე იშვიათად ხდება), ერთად დადიან.

უცნაურია ადამიანის გული საერთოდ, და ქალისა განსაკუთრებით.



## არაჩემია და სანერი ქალღმერთი

„– გამარჯობა მისა, მონინავე ბრიგადირო, სასოფლო-სამეურნეო გამოფენის და რაციონალიზატორთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილევ, სკოლის დამთავრების შემდეგ პირდაპირ რომ მოხვედი წარმოებაში, რასა იქ, როგორა ხარ?

– არა მიშავს, მაგრამ რა ჩემზე ნაკლები ხარ. მონინავე ჩაის მკრეფავო, რომელსაც ოთხასი შრომადლე გაქვს გამომუშავებული და კრებებზე ყოველთვის მდივნად გასახელებენ, შენ როგორა ხარ?“

*ნანყვეტი პიესიდან, „ფერადი სოფელი“*

როგორ წერდა, რამდენი ღამე გაათენა თეთრად, სხვამ ურჩია პიესა დაენერა, თუ თვითონ დაუფჯდა ჭკუაში, ჯერ თემა და სიუჟეტი მოიფიქრა და მერე დაწერა, თუ პირიქით, – ეს საკითხები მომავალმა თაობამ გაარკვიოს.

დავინწყოთ იქედან, რომ ერთ დღეს თეატრის დირექტორის კაბინეტის კარები შეაღო და ნაბეჭდი თაბახების საკმაოდ მოზრდილი გროვა გაუფინა მაგიდაზე.

– ვინ ბრძანდებით?

– კოლმეურნეობა „ნინსვლის“ სილოსის დამზადების ინსპექტორის მოადგილე. გულდიდ არაჩემია გახლავართ, სამი შვილი მყავს, ერთი ცოლი და ამასთან ერთად კოლმეურნეობის კედლის გაზეთშიც ვმუშაობ შეთავსებით, საკუთარ კორესპონდენტად.

– რა გაგჭირვებიათ?

– გაჭირვება, ექიმი და სასამართლო არ მოცილდეს ვინც ჩვენი თეატრისათვის, თქვენი ცოლშვილისათვის და ჩემთვის ცუდი ისურვოს.

– მაღლობას მოგახსენებთ, მაგრამ გთხოვთ პირდაპირ საქმეზე გადახვიდეთ.



– რისი მადლობა, მე თქვენთვის კი არ მიცია პატივი, ხალხს ვეცი, ხალხს ვეკუთვნი და ხალხი დამიფასებს.

– რა გააკეთეთ ასეთი?

– გულზე მომხვდა თქვენი ჩივილი, თქვენი წუნწუნი, შემებრალეთ, შემეცოდეთ, სპეციალურად შვებულება ავიღე, თანამედროვე თემაზე ხუთმოქმედებიანი პიესა დავწერე და აჰა, მზე ამოვიდა, იცეკვეთ და გაიხარეთ, ჯერ მარტო სათაური რადა ღირს, „ფერადი სოფელი“.

– ეს რა მხსნელი ანგელოზი მომეველინაო – თქვა დირექტორმა და ეპოქის მაჯისცემის ამსახველ პიესას ხარბად დაუწყო კითხვა.

– ამ სეზონში უნდა დაიდგას აუცილებლად! გულდასმით წაიკითხეთ, სხვათა შორის მე უპატრონო არ გეგონოთ, ჩემი ბიძაშვილია ის, იქ რომ დიდი ის არის, იმაში ამ საქმეზე მუშაობსო – სხვათა შორის თქვა გულდიდმა და კარი გაიხურა.

შემდეგ ის იყო დირექტორმა წაიკითხა და გაკვირვებული დარჩა. რეჟისორმა წაიკითხა და ისიც გაკვირვებული დარჩა, სადადგმო ნაწილის გამგემ წაიკითხა და... არ ვარგაო ერთხმად აღიარეს.

წამოიღო, ატარა, ატარა და ბოლოს მწერალთა კავშირში მიიტანა. იქაც ახედ-დახედეს და:

– რა გაგჭირვებიათო?

– წვითა და დაგვით ნაწერი პიესა დამიწუნეს, წაიკითხეთ და ერთი მაგათ თქვენებური სერიი უჩვენეთ, ავის და კარგის გარჩევა რომ არ იციან. ისე, სხვათა შორის არც მე ვარ უპატრონო, ჩემი...

წაიკითხეს და უთხრეს:

– ეს პიესა თქვენი არ არის.

– არა, ჩემია. – თქვა არაჩემიამ და იუპიტერის ქანდაკების გამომეტყველება მიიღო.

– თქვენ ასეთ პიესას ვერ დაწერდით.

– ვითომ რატომაო?

- თქვენ ათასჯერ უკეთესის დაწერა შეგიძლიათ.
- მაგაში მართალი ბრძანდებით, მაგრამ რაც დაწვერე, ესეც ხომ დიდი მიღწევაა. ხელწამოსაკრავი ხომ არ არის?
- ხელწამოსაკრავი არის, მაგრამ გადასაგდები როდია. ეს პირველი პიესაა, ერთი ხუთი კიდევ დაწერეთ და შემდეგ ალბათ დაგიდგამენ.
- ჯერ ეს დამიდგან, შეღავათი გამიწიონ და უკეთესს მერე დაწერ.
- კარგი პიესის დასაწერად ძიება და პოვნაა საჭირო. - ცოტა არ იყოს განყრა გამოცდილი დრამატურგი.
- რა ვეძებო, რაც არ მექონია და არც დამიკარგავს?!
- არ დაგიკარგავს, მაგრამ სხვისი დაკარგული უნდა იპოვო.
- და არაჩემიაც ეძიებს, ეძიებს და... ჰოი უსამართლობავ, მოგიპარავსო - ეუბნებიან.
- არ მომიპარავს, მიპოვნიაო - თავს იმართლებს გულდი.
- ასე გადიან დღეები, თვეები.
- იმ სოფლის მაღაზიაში დეფიციტად მაცივართან ერთად სანერი ქალაქშიც გამოცხადდა.
- სილოსი? თუმცა სილოსს ვინღა იკითხავს.
- ეჰ, ძმაო არაჩემიავ, შენი ცოდო იყოს შენს კისერზე და მერე იმის კისერზე, ვინც ასე ანგარიშმიუცემლად ჩაგანვეთა - უკეთესის დაწერა შეგიძლიათ.



## სასარბებლო ნაშრომი

### (პაროდია-რეცენზია)

გამომცემლობამ საშვილიშვილო საქმე გააკეთა. წიგნის ბაზარზე უკვე გამოვიდა და მკითხველმა გულთბილად მიიღო ა. ჩალიჩაძის სქელტანიანი მონოგრაფიული ნაშრომი – „ხალხური ლექსის „მკვეხარას“ სწავლება მე-3 კლასში“.

წიგნს, რომელიც 240 გვერდს შეიცავს, დართული აქვს ავტორის ვრცელი წინასიტყვაობა. წინასიტყვაობაში ა. ჩალიჩაძე წერს: „წინამდებარე სახელმძღვანელო ამ დიდმნიშვნელოვან საკითხზე მონოგრაფიული შრომის შექმნის პირველი ცდაა და, რა თქმა უნდა, ხარვეზებისაგან ვერ იქნება თავისუფალი. თანაც, ძნელია ასეთ მცირე მოცულობის წიგნში ამომწურავად ჩაატოო მთელი მეთოდური მითითებანი, რაც ამ უკვდავი ლექსის ირგვლივ შეიძლება თქვას კაცმა“.

შრომაზე მუშაობისას ძირფესვიანად შევისწავლეთ „მკვეხარასადმი“ მიძღვნილი კრიტიკული და მხატვრული ლიტერატურა, სხვადასხვა სახის დოკუმენტები, რომლებიც გამოქვეყნებულია ან ინახება მუზეუმებსა და არქივებში...

წიგნის დაწერამდე დავესწარი ოთხასზე მეტ გაკვეთილს, გავითვალისწინე რესპუბლიკის მოწინავე მასწავლებლების მიერ დაგროვილი მდიდარი გამოცდილება. წიგნში ძირითადად განზოგადებულია საკუთარი გამოცდილება (მასწავლებლად ვმუშაობდი 2 თვე).

ნაშრომი სულ ოთხი თავისაგან შედგება.

პირველ თავში „მკვეხარას“ შექმნის თარიღი და მისი კრიტიკულ-ისტორიული ანალიზი“, ავტორი ლექსის დაწერის პერიოდს მესამე ათასწლეულს უკავშირებს: მოჰყავს რა „მკვეხარას“ სრული ტექსტი;

– აქეთ გორასა ნიხლსა ვკრავ,  
იქეთ გორასა ძვრას ვუზამ,  
ადიდებულსა დიდ მტკვარსა,  
დავაყენებ და ყლაპს ვუზამ“.

იგი მხატვრული ანალიზის შესანიშნავი უნარით მიმოიხილავს ლექსის ღირსება-ნაკლოვანებებს.

მე-2 თავში „მკვებარას“ შექმნის ადგილი, ა. ჩალიჩაძე ამტკიცებს, რომ ლექსი შექმნილია მტკვრის სანაპიროზე. „თუმცა, ეჭვს იწვევს ერთი ვარიანტი, აღმოჩენილი ჩემს მიერ დასავლეთ საქართველოში მოგზაურობის დროს, სადაც წერილი: „ადიდებულსა, მდინარეს, დავაყენებ და ყლაპს ვუზამ“-ო.

შემდეგ ა. ჩალიჩაძეს მოჰყავს კითხვები, რომლებიც მასწავლებელმა ლექსის ირგვლივ უნდა დასვას (იქვე მოცემულია პასუხებიც): 1. ბავშვებო, ვის მიუძღვნა ხალხმა ეს ლექსი? მკვებარას. 2. როგორ ადამიანს ჰქვია მკვებარა? – რომელიც ადიდებულსა მდინარეს დააყენებს და ყლაპს უზამს. 3. ვინ არის მკვებარა? ( მოსწავლეებს ევალებათ დაასახელონ კონკრეტული მაგალითი).

ნაშრომის მესამე თავი დასათაურებულია – „მკვებარას“ პარალელიზმები სხვა მწერალთა შემოქმედებაში“, ხოლო მე-4 თავს ჰქვია „მკვებარა“ და თანამედროვე ტექნიკის მიღწევები“.

კარგი იქნებოდა ნიგნს თან დართოდა ა. ჩალიჩაძის ფოტოსურათი და მოკლე ბიოგრაფია, გამომცემლობას უნდა ვუსაყვედუროთ ნაშრომის ასეთი მცირე ტირაჟით (40000) გამოცემა.

ერთი სიტყვით, ა. ჩალიჩაძის ზემოხსენებული სახელმძღვანელო ჩვენი სასწავლო-პედაგოგიურ-მეთოდური ლიტერატურის მნიშვნელოვანი შენაძენია.



## როგორ გავხდი პოეტი

მათემატიკის მასწავლებელი გავიდა თუ არა, ეზოში გაცვენამდე კარი გაიღო და ჩვენი დამრიგებელი, მშობლიური ლიტერატურის, საკონტროლო ნერის და საშინაო დავალების მასწავლებელი, ფაცია შემოვიდა.

დამრიგებელმა კლასს თვალი გადაავლო და მზერა ჩემზე შეაჩერა.

ჯიბიდან ხელები ამოვიღე და უხალისოდ წამოვდექი.

„ნეტავი რა უნდა ჩემგან? არაფერი დამიშავებია, ორიანი არ მიმიღია, გაკვეთილებზე წყნარად ვზივარ და საერთოდ არცთუ ისე ცუდ მოსწავლედ ვითვლები. მაშ, რისთვის? რისთვის შემომყურებ ასე გამომცდელად, პატივცემულო მასწავლებლო?“ – გავიფიქრე შემკრთალმა.

– ბეშკენაძე, შაბათს საზეიმო საღამო გვაქვს და ჩვენი ქალაქისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი უნდა წაიკითხო.

შუბლზე მიძვებად დაყრილი ცივი ოფლი უცებ შემაშრა.

კლასმა ამოიოხრა. ოცდაცხრა თავი ერთდროულად ჩემკენ მობრუნდა და ორმოცდათვრამეტი თვალი ისე გაოცებით შემომაჩერდა, თითქოს პირველად მხედავენო.

– როდის შეგიძლია მოიტანო ლექსი? – გამომაფხიზლა მასწავლებლის ნათქვამმა.

– მე... მე... – ვლულლულებ გაუგებრად და არ ვიცი, რა ვუპასუხო.

წინათაც გამეგონა, რომ ლექსის წერა არაპოეტებსაც შეუძლიათ და წერენ კიდეცო, მაგრამ თუ ვინმე ამას მე დამავალებდა, ვერ წარმოვიდგენდი. რაკი დამავალეს ალბათ შემიძლია. ჰოდა, კიდევაც ვცდი...

ხვალ-მეთქი, წამოვილულულე ამაყად თავდახრილმა და დაეჯექი.

იმ დღეს გაკვეთილები არ მომიმზადებია. მთელი დღე ვიფიქრე, მთელი ღამე ვინვალე და როგორც იქნა დავალეხა შევასრულე.

დილით კი შავად დაწერილი ლექსი სწრაფად გადავათეთრე და ჩემი პირველი და ახლადდაბადებული ნამოღვაწარი სკოლის გზას გავუყენე.

ფაცია მასწავლებელმა მომიწონა ნაშრომი.

ორი დღის შემდეგ ხალხით გაჭედულ დარბაზში, სადაც მეზობელ-ნათესავების გარდა, მამაჩემის უფროსი და უახლოესი თანამშრომლებიც იყვნენ, საზეიმოდ გამოაცხადეს: „მე-5 კლასის ფრიადოსანი მოსწავლე ცეკვიტო ბეშკენაძე წაიკითხავს ჩვენი ქალაქისადმი მიძღვნილ საკუთარ ლექსსო“.

თმები და ქამარი გავისწორე. სცენაზე გავედი, გულისჯიბიდან ოთხად დაკეცილი ფურცელი ამოვიღე, თვალები დავხუჭე და დავინყე:

საყვარელო ქუთაისო,  
ხარ სიმდიდრით ცნობილი,  
რომელ ქალაქში არ დაჰქრის  
შენი ავტომობილი.  
ლამაზი ხარ ქუთაისო,  
ნიავევით ცელქი ხარ,  
საქართველოს სამრეწველო  
ინდუსტრიის ცენტრი ხარ.  
ვინ არ გაქოს ქუთაისო,  
მრავალ დროის მონამეც,  
საქართველოს დედაქალაქ  
შენ თბილისის მონაფეც.  
შენს ნაცრისფერ ქვაფენილზე  
ამოსულა ვარდები,  
ყამირზეც კი გაემგზავრა  
შენი ახალგაზრდები.

მე მგოსანი რაკი მქვია,  
შეგისრულებ დანაბარებს,  
ერთ ლექსს კიდევ მოგიხერხებ  
თუ ფაცია დამავალებს!

არ მახსოვს სცენიდან ფეხით ჩამოვედი თუ ხელით ჩამო-  
მიყვანეს. დედის მკერდში თავჩარგულს კარგა ხანს მესმო-  
და ტაშის გრიალი და აღტაცების ოვაციები. საზოგადოება  
ფეხზე დამდგარი მოითხოვდა ჩემს მეორედ გამოსვლას.

არ დავაყოვნე, კვლავ სცენაზე გავედი, როგორც დედამ  
მასწავლა, თავი სამჯერ დავხარ-ავწიე და ისევ ადგილს და-  
ვუბრუნდი.

– ყოჩაღ, ცქვიტო!

– ბატონო, ბოვში ამისთანა უნდა!

– იღბალი უნდა ყველაფერს.

– პოეტია ნამდვილად, კოჭებზე ეტყობა.

– კი, შენ არ მომიკვდე.

– თქვენ რას იტყვით ემელიანოვიჩ? – ეკითხება მამა თავის უფროსს.

– ჰმ, ჰმ, არა უშავდა, სხვა საგნებში როგორია?

– არა, ნამდვილმა ნიჭმა ალბად უცებ იცის ამოხეთქვა, თუ არა, ლექსი დასაწერად კი არა, წასაკითხავად ეზარებოდა, დედა ენაცვალოს – უყვება მეზობლის ქალებს დედაჩემი. – მოვიდა სახლში იმ დღეს, საჭმელი არ უჭამია. დედა, ქართულის მასწავლებელმა ლექსი დამავალა და რა დავწერო არ ვიცო. დაანებე, შვილო თავი, თუ ასე გულით უნდა, თვითონ დაწეროს-მეთქი. არა, დედაო მითხრა, ხვალ რომ ლექსი არ მიუუტანო გაკვეთილებზე არ დამიშვებსო, დაჯდა თავის ოთახში, მთელი ღამე იწვალა, იბუტბუტა და მეორე დღეს ასეთი ლექსი გააშანშალა, ენაცვალოს დედა!

მამამ ღიმილნარევი მრისხანებით თვალეები დაუბრიალა დედას და ანიშნა – შინ წავიდეთო.

ჩემთვის ნამდვილი სალამო და ზეიმი მერე დაიწყო.

მგონი მეათეჯერ მადლეგრძელებენ. გუგუნებს მრავალ-  
ჯამიერი, დილამდე ისმება და არ ილევა ბემკენაძეების ოჯახ-  
ში ახალდაბადებული პოეტის სადლეგრძელო.

ამბობენ, რომ მე ცის დანიშნული და გამოგზავნილი ვარ,  
ამბობენ, რომ ერთ დღეს დიდი მუზა მესტუმრება და თუ  
მაგრად არ დავუხვდი, თავზე ცეცხლს მომიკიდებს. ამბობენ,  
რომ სოსო ბუხაიძემაც მოწაფეობის დროს დაიწყო წერა და  
მისურვებენ (მისურვებენ კი არა, მავალებენ), ჩვენი ქუჩის,  
სკოლის და ჩვენი ოჯახის სახელი ალალი გულიდან ამოხ-  
ეთქილი სტრიქონებით შორს გავტყორცნო და გავაჯირითო.

მას შემდეგ ვწერ...





## მოხილული კრიტიკის ქარცეცხლში

მან ფრთხილად გაშალა რვეული და მოკრძალებით დაინცო:

„გენიავ, შენ თუ არ მიმატოვებ,  
შიშს ვერ აღმიძრავს გულში გრიგალი  
და ვერცა წვიმა.  
გენიავ, შენ თუ არ მიმატოვებ,  
წვიმიან ღრუბლებს,  
ქარსა და ქუხილს  
შევეგებები ლალი სიმღერით,  
როგორც ტოროლა ცაში მფრინავი“.

წუთით შეჩერდა, ღრმად ამოისუნთქა, შთაგონებული თვალეზი მიმოავლო იქ მყოფთ და, როდესაც კვლავ დაიხარა კითხვის გასაგრძელებლად, უკვე გვიან იყო. ზოგიერთი მოკამათე მონოდების სიმალღეზე აღმოჩნდა.

I მოკამათე: „...და ბოლოს ახალგაზრდა პოეტს უნდა ესმოდეს, რომ შიშის აღძვრა წვიმას არ შეუძლია. წვიმას ინვეეს ჭექა-ქუხილი, ჭექა-ქუხილსავე შეუძლია გამოიწვიოს შიშის გრძნობა. ვფიქრობ, მომავალ ნაწარმოებში ავტორმა ეს შეცდომები უნდა გამოასწოროს“.

II მოკამათე: „...უცნაურია აგრეთვე პოემის ავტორის ინდივიდუალისტური რწმენა პოეტური შთაგონების ძალისადმი. „გენიავ, შენ თუ არ მიმატოვებ“, რატომ ჰგონია ახალგაზრდა შემოქმედს, რომ მისი პოეტური ძალა გენიავა? და, თუ ჰგონია, რად ეშინია მიტოვების? სად ჩანს აქ პოეტური თვითდარწმუნება, რომელიც ასე გამოკვეთილად ახასიათებლათ პუშკინს და გოეთეს, შექსპირს და მოლიერს?“

III მოკამათე: „...აქ წაკითხული სტრიქონები არის აგრეთვე ნატურალიზმამდე დაყვანილი სქემატიზმიც. მხატვრულ ალ-ლოსთან ერთად პოეტს ზოგჯერ სიმართლის გრძნობაც და-ლატობს. ნუთუ დღემდე არ იცის მან, რომ ტოროლა წვი-მაში, ქარში და ქარიშხალში საერთოდ არ დაფრინავს და მით უმეტეს ლალი სიმღერით?!..

პოემის ავტორმა შუბლზე მძივებად დაყრილი ცივი ოფლი მოინმინდა, თავი დახარა და ხმადაბლა წარმოთქვა: – გოეთე, „მგზავრის სიმღერა ქარიშხალში“.

მოკამათეებმა გაოცებისაგან თავები ჩაქინდრეს, რომ ნუ-თით შეესვენათ და ახალი ძალით შეეციათ მოურიდებელი ავტორისათვის.

ამბობენ ამ დღის შემდეგ ახალგაზრდა მწერალს თავისი ნაწარმოებებისათვის ეპიგრაფი არასოდეს ნაუმიძღვარებიაო.

ზოგი იმასაც ამბობს, წერას საერთოდ თავი დაანებაო.

პირველი უფრო სარწმუნოა.



## შეშინდა

ავტობუსში ერთმა მგზავრმა კონდუქტორს მტაცებელი უწოდა (ამ სიტყვის გადატანითი მნიშვნელობით). არ იქნება ინტერესსმოკლებული, რა პასუხი გასცა კონდუქტორმა, მაგრამ უმჯობესია, ყური დავეუგდოთ, როგორ ვინყებთ საუბარს მე და ჩემ გვერდით მჯდომი ჩასუქებული მამაკაცი.

– ადამიანს რომ შუბლი გაუსქელდება, იმაზე საშიში არაფერი ყოფილა.

– ადამიანს შუბლი რომ უსქელდება, თურმე, ჯიბეც უსქელდება და პირიქით.

– ეჰ, როგორ დაკარგეს სირცხვილი.

– აბა, აბა!

– ეჰ, როგორ არ რცხვენია ზოგიერთს.

– აბა, აბა, რა აჩხუბებს ორ კაპიკზე!

– კონდუქტორი რა სინდისით ართმევს ორ კაპიკს?!

(მხოლოდ აქ დაცილდა ჩვენი თვალსაზრისი ერთმანეთს).

საუბარს შევეყვით, განვსაჯეთ, ავწონ-დავწონეთ და „ვაი სირცხვილო, სადღა არის შენი სინითლე“ – თქვა ჩემმა თანამგზავრმა ცრემლების წმენდით.

– ეგ რა გასაკვირია, თქვენ უნდა ნახოთ, ჩემს სამსახურში რა ამბები ხდება – დავინყე მე.

– რა?

– ცოტა გრძელი ისტორიაა, ბოლო გაჩერებამდე მობრძანდებით?

– დიახ.

– ამ ორი წლის წინათ გამგედ დავგინიშნეს ერთი გაუთლელი და გაუზრდელი კაცი.

– მერე?

– დაგვინიშნეს გამგედ და რას ვიზამდით, – პატიოსნად ვიმუშაოთ, არც თქვენ ჭამოთ და ნურც მე მაჭმევთო, – გვითხრა მოსვლისთანავე. ერთი წლის შემდეგ – თქვენც ჭამეთ და მეც მაჭამეთო, – გადააკეთა ნათქვამი, ხოლო ამ ბოლო დროს – თქვენ ნუ ჭამთ, მარტო მე მაჭამეთო.

– ეს რა თქმა უნდა, არ მოგენონებოდათ.

– ჰოდა, ზოგიერთებმა გადაწყვიტეთ გამგის თავიდან მოშორება. ყოველ მეორე დღეს ვუჩიოდით, ვაგზავნიდით ანონიმურ წერილებს, სადაც ადგილია და, ბოლოს და ბოლოს დაადგა საშველი.

– მოხსნეს?

– სხვა ადგილზე გადაიყვანეს. თუმცა, სულ ერთია, ჩვენ ხომ მოგვაცილეს. საქმე ახალი გამგის არჩევაზე მიდგა. ჩვენ თორმეტივეს გვინდოდა გამგის მოადგილე ფუტკარაძე აერჩიათ, მაგრამ ერთ ვინმეს უნდოდა, რომ ერთი ვინმე დაენიშნა. რატომ? ფუტკარაძე კაცი არ იყო? მაგრამ საკმარისი როდია, კაცი იყო, მთავარია კაცი გყავდეს.

– და სხვა დანიშნეს?

– ჰო, სხვა დაუნიშნავთ. გავიგეთ, ისიც პირველ გამგესავით თალლითი, გაიძვერა და კაი ძერა ყოფილა. ისიც პირველ გამგესავით გამოუგდიათ სამსახურიდან და ახლა ჩვენ დაგვინიშნეს.

– ისე, როგორი კაცია?

– ჯერ არ გვინახავს, დღეს უნდა მობრძანდეს, როგორიც არ უნდა იყოს, ჩვენ თორმეტივეს მტკიცედ გვაქვს გადანიშნული ფუტკარაძის ხელმძღვანელობით დღეიდანვე შევუდგეთ საქმეს.

– რა საქმეს?

– ორი კვირაში ისე უნდა მოუწყოთ საქმე, რომ ან პირდაპირ ციხეში გადაიყვანონ და ან სხვა რომელიმე უკეთეს ადგილზე.

– იქნებ?..

– რა იქნებ? მისი ბედი უკვე გადაწყვეტილია.  
ავტობუსი უკანასკნელ გაჩერებაზე გაჩერდა.

– უკაცრავად, სად მუშაობთ თქვენ?

მე ვუთხარი სადაც ვმუშაობ და ავტობუსის ფანჯრიდან დავანახვე კიდეც.

– ეს ბოლო გაჩერებაა, არ ჩამობრძანდებით? – შევე-  
კითხე.

– არა, უკან უნდა გავბრუნდე საჩქარო საქმეზე.

გაოცების ნიშნად მხრები ავიჩიჩე, მეორე დღეს ამბავი  
მოგვივიდა.

– ჩვენს ახალ გამგეს უარი უთქვამს სამუშაოზე და ახლა  
სხვა ახალ გამგეს დაგინიშნავთო.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ერთმა მგზავრმა კონ-  
დუქტორს მტაცებელი უწოდა.



## მონადირის ნაამბობი

მეც მონადირე გახლავართ. მონადირე ნადირობის დღევანდელი გაგებით. ე. ი. მარტო ნადირებზე როდი ვნადირობ. ვნადირობ კურდღლის ბაჭიებზე, მწყერზე და ზოგჯერ სანადირო ადგილებში ადრეულად შემოსულ ქყინტ სიმინდზედაც კი.

კვირა დილით, მემანვნის პირველ ყვირილზე (ამ დროს მამლები მესამედ ყვირიან), გადავიკიდებ ჩემს ძველ „ზაუერს“, ავიყოლიებ ყურმას და სამივენი გაუწყვებით თავგადასავლებითა და ფათერაკებით სავსე გზას. იმედი რომ არ მქონდეს, – აი, დღეს მაინც არ დავბრუნდები ხელცარიელი, დაღლილ ფეხებთან ერთად დღეს მაინც მოვათრევ რქებგადაგდებულს და ქვეყანას გავაკვირვებ-მეთქი, – სიმართლე გითხრათ არ შევინუხებდი თავს.

წავიდა ის დრო, როცა კლდის თავზე ჯიხვი გადმოდგებოდა და მშვიდად გადმოჰყურებდა მთა-ბარს. ამ დროს შვიდნი ძმანი შვიდ-შვიდჯერ მოზიდავდნენ მშვილდს, ე. ი. ორმოცდაცხრა ისარი გაიშხუილებდა ჯიხვის ყურებთან უშედეგოდ.

ჯიხვი კი იდგა და ელოდა. თითქოს შვიდნი ძმანი რკინისწვერიან ისრებს კი არა, თექვით დატენილ „ტულის“ ვაზნებს ესროდნენ.

ბოლოს დარბაისლურად გაიღიმებდა და ბერი პაპას მიერ ნატყორცნ ისარს კმაყოფილად შეუშვერდა შუბლს, რათა კლდის თავზე რქით გადმოკიდებული მარჯვენადალოცვილს შინ წაელო და შუაცეცხლზე მწვადებად აეშიშხინებინა.

დიახ, ის დრო წავიდა, ჯიხვზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია და დღეს კურდღელი რომ კურდღელია, თუ ძაღლმა სადმე წამოაგდო, ისე სწრაფად გარბის ის კურთხეულიშვილი, რომ თოფის გამართვას, დამიზნებას და სროლას კი არა, დაკ-

ვირვებასაც ვერ მოასწრებ კარგად, – შველი არ იყოს და მონკავშირის ნიგნაკთან ერთად ცოლშვილიც არ დაველუპოვო.

ამასობაში კი კურდღელი ტუცავს თავს ნაკრძალ ზონაში და იქედან ნიშნისმოგებით გაჯავრებს – ბიჭი ხარ და მესრო-ლეო. შემდეგ ირონიულად ზურგს შეგაქცევს და გამარჯვებულად, ყვარყვარეს ნაბიჯებით შეერევა მწვანეს.

მწყერი, ეს ჭკუამოკლე და ხორცმრავალი ფრინველიც ისე გაეშმაკდა, ნაბულზე ოთხი ძალი ერთად რომ დააცხრეს თავზე, წამოფრენის მაგივრად ჩირგვებში სირბილს მოჰყვება და მანამ ირბენს, სანამ გასავათებული ძალი ენას გადმოაგდებს და მონადირეს მოუბრუნდება: – დავიღალე, მეტი აღარ შემიძლია, ახლა შენ სდიეო.

სანადირო ხორციულის ასე გათვითცნობიერება, მაინც არ არის მიზეზი იმისა, რომ, გადავწყვიტე ერთხელ და სამუდამოდ გავანებო თავი ნადირობას.

აი მიზეზი.

ამას წინათ, ერთი უწვრთნელი მწყერი წამომიფრინდა. ძაღლმა შეჰყეფა და ისეთი თვალებით შემომხედა, ამოვიკითხე: თუ ესეც გაუშვი, შენი ჭკუის იყოს აწი შენთან წამომსვლელიო. იგრიალა ჩემმა თოფმა, იქუხა მეორემ, მესამემ, მეოთხემ და მწყერის ჩამოვარდნის შემდეგაც სამჯერ გაიშხეილა ჰაერში დაგვიანებულმა საფანტმა. მე და ძაღლი სირბილით გავემართეთ იმ ადგილისაკენ სადაც ჩემი ტყვიით განგმირული მწყერი გვეგულეობდა.

– გამარჯობათ?!

ჩემი ნანადირევის ირგვლივ შემოჯარულმა რვა მონადირემ ერთდროულად მიპასუხა სალამზე.

– ეს ერთი და სხვა ათასი! – თქვა მათ შორის ყველაზე მაღალმა და მწყერს სანადირო ჩანთის მარყუჟში თავი გააყრევინა.

– არ გაბედო, პირველი მე ვესროლე და მე ჩამოვაგდე!! –

იქუხა მეორემ და ჩახმახივით წამოიმართა.

– სიმართლე თუ გინდათ, მე მოვკალი, ძველი მონადირე ვარ და არ მახსოვს ჩემი ნასროლი მიზანს აცდენოდეს.

– ნუ დამლუპავთ, ნუ წამართმევთ ჩემს პირველ ნანადირევს... – განწირულის ხმით თქვა ერთმა და თოფის ლულა შუბლზე მიიბჯინა.

– რას ჩადიხართ, გონს მოდით! ხომ ხედავთ მწყერს მკერდის მარჯვენა მეოთხედი აქვს დაზიანებული, მარჯვენა მხრიდან კი მე ვესროლე.

– შენი გასროლით მხოლოდ დაიჭრა და რომ ვარდებოდა, ჩემმა ტყვიამ მოუღო ბოლო; გაუშვი ხელი!

– ცოცხალი თავით არ დაგანებებთ!

– მე შენ გიჩვენებ!

– შენ იმას უჩვენე!

– მე შოფერი ვარ!

– ჩემი ძმა ავტონისპექტორია!

– მე ყაჩალი ვარ!

– მე მილიციონერი!

– მე ლექტორი ვარ!

– ჩემი ბიჭი აბითურიენტია!

– მე ცეცხლი ვარ!

– მე ნავთი!

შეიქმნა ერთი განევ-გამონევა, „გამიშვით და გამაკავეთ“. მე და ყურშამ ცოტა ვაცადეთ და როცა ჩხუბი უმაღლეს სტადიაში შევიდა, ჰაერში ორჯერ გავისროლე. ყველანი დანყნარდნენ. მტვერი გაიფანტა. შემთხვევის ადგილზე. თავფეხნანყვეტილი მწყერი ეგდო, ხოლო ბუმბულს კი ჯერ ისევ არწევდა მოჩხუბართა ფეხებიდან ატეხილი ნიავი.

როცა ყველანი დაიშალნენ და ნავიდ-წამოვიდნენ (რათა, როგორც მათი სიტყვებიდან შევიტყვე, თუ სადმე შეხვდებოდნენ ერთმანეთისათვის სერი ეჩვენებინათ) მეც დავაპირე



წამოსვლა, რომ მოხუცის გაბზარულმა ხმამ მომაბრუნა.

– შვილო, თხუთმეტი წუთის წინათ ზუსტად ამ ადგილზე მწყერი ჩამოვაგდე, ხომ არ გინახავთ?

– არ ვიცი ბაბუ, მგონი მანდ უნდა იყოს.

– დახე, როგორ დაუგლეჯიათ წყეულ ძაღლებს – თქვა მან და ნანადირევი ნაწილ-ნაწილად ჩაალაგა ჩანთაში.

უკან დაბრუნებისას უთვალავჯერ შემხვდნენ მონადირეთა ოცეულები. ოცეულს წინ ერთი ალბათ გამოცდილი მონადირე მოუძლოდა. ამ უკანასკნელს ბაირალივით ეჭირა გულთან ერთადერთი ძაღლი. მონადირეებთან ერთად მონადირეებზე მონადირენიც გამრავლებულან. ხუთჯერ შემაჩერეს გზაში. ხუთჯერ გამისინჯეს თოფი და სანადირო ჩანთა. ხელმოცარული და დამწყებ მონადირეთა ბრმა ტყვიას შემთხვევით გადარჩენილი, დაღრეჯილი, დავბრუნდი შინ.

აი, რატომ გადავწყვიტე თავი გავანებო ნადირობას.



## მთვარე და სიყვარული

ეს ყველაფერი ძალიან უბრალოა საკითხავად.

ცხოვრებაში კი არ იყო ასე უბრალო...

ეზოდან გამოსვლისას პირველად მთვარე შევნიშნე.

მთვარე თეთრი ქათამივით მეზობლის ღობეზე შემოსკ-  
უპულიყო და თვლემდა. თვლემდა მთვარე, მაგრამ არ თვ-  
ლემდა ეროსი და ჩემი სიყვარული. ახლაც შემხვდა, როგორც  
ყოველთვის.

დავფიქრდი... გადავწყვიტე... გავბედე და რამდენიმე ნახ-  
ტომით ისევ დავეწიე.

– გამარჯობათ!

– გაგიმარჯოთ?!

– მგონი ვერ მიცანით.

– დიახ, მაგრამ არა, დაიცათ... იცით, რა ძალიან ნაცნობი  
სახე გაქვთ...

– როგორ ვერ მიცანით, გახსოვთ? ამ ორი კვირის წინ სა-  
ჯარო ბიბლიოთეკაში რომ ბრძანდებოდით? თქვენ უკან მეო-  
რე მაგიდაზე სამი ყმანვილი იჯდა. მათ გვერდით ვილაც სათ-  
ვალეებიანი კაცი, ხოლო იმ კაცის უკან... აბა, თუ გახსოვთ?!

– მგონი თქვენ, არა?

გამეხარდა, რომ გავახსენდი.

– დიახ. მე სულ თქვენკენ მეჭირა თვალი, თქვენ კი სულ  
არ იხედებოდით ჩემკენ. როცა წაბრძანდით, მივედი და,  
თქვენ რომ წიგნს კითხულობდით, „ბაირონს“, ის წიგნი ბო-  
ლომდე წავიკითხე... შემდეგ...

– ჰოდა, მერე ახლა რა გნებავთ?

– ერთი სიტყვით იმ დღის შემდეგ შემიყვარდით და თქვენ  
ვერ მამჩნევთ, თორემ ეს ოცი დღეა ყოველთვის ამ ადგილზე

გხვდებით. მე თქვენი სახლიც ვიცი და თქვენი მეზობლის ჭკვიანი და ერთგული ძაღლიც.

თვალები აუცრემლდა.

– იცით რა, ამ საკითხის გადანყვეტა აგრე იოლად არ შეიძლება. დედას დავეკითხები.

არ ვიცი, დედას დაეკითხა თუ არა, ეს კია, ამის შემდეგ ჩვენ ყოველდღე, უფრო სწორად, ყოველ საღამოს ვხვდებოდით ერთმანეთს.

ერთად ვუსმენდით დაღამების ტკბილ სიმფონიას.

სადღაც ჭალაში ბუღბული ვარდს შეჰყეფდა, მეზობლის თავანუელი ძაღლი კი ცრემლიანი თვალებით მთვარეს უგალობდა.

და, როცა ღამით ხელგადახვეულნი შინისაკენ მივაბიჯებდით – მთვარე დედამინას ღიმილით დასცქეროდა და ახალი კოსმოსური რაკეტის მოლოდინში გამომწვევად იღიმებოდა.

შეუმჩნევლად გაგვეპარა დრო...

ქორწილი.

ადამიანთა ბედნიერების ყველაზე ღამაში დემონსტრაცია. სიყვარულის სანუკვარი და სასურველი გვირგვინი.

პატარძალი თავდახრილი იღიმება. ჩემი მზერა კი გაცდა მაყრიონთა გარუჯულ სახეებს, სარკმლიდან ღამპიონის შუქის ნიაღვართან ერთად გაიჭრა და თვალისდახამხამებაში მთვარეს დაადგა. მთვარეს, შავი ლაქებით დატვიფრულს.

მთვარეს, თამადას სიტყვებით, მზესთან პირნათლად და პატიოსნად შებერებულს.

ხარჯიხვის რქებში გაჩრილი მთვარე საცეკვაო დაირასავით ხმაურობდა. ასე დამთავრდა პირველი ეტაპი ჩემი სიყვარულისა...

– სადა ხარ აქამდე? თვალები გამომიღამდა ოთხ კედელში ჯდომით. ვერ მოუვლი ამ შენს ჩიყვიან ბავშვს? თუ მარტო მე მეკუთვნის? ღმერთო, რა უბედური ვარ, რა ქვა გავტყეხე ასეთი. ქმარი კი არა, დათვი ხარ, დათვი!

– ქალო კრებ...

– არ გამაგონო!

სპარსული იატაგანივით ეკიდა ცაზე მოთმინებადაკარგული ნალევი მთვარე.

– არ დაგანინაურეს, არ მოგიმატეს ხელფასი. კაცი ხარ შენ?! მარტო ქუდის სატარებლად გაბია ამოდენა თავი?!

დიახ, იყო ასეთი შემთხვევაც და...

მთვარე ოქროს აბაზიანივით გაჩხირულიყო ცის კაბადონზე მიმოზნეულ ვარსკვლავებს შორის.

ახლა ისევ იმ ქუჩაზე მოვაბიჯებ, სადაც ხუთი წლის წინათ შევხვდი და გულის კანკალით საჯარო ბიბლიოთეკა მოვაგონე. აქ ყველაფერი ისევ ისეა, როგორც იყო, მხოლოდ ერთი განსხვავებით.

მთვარე არსად ჩანს.



## ვაცალოთ ილოს მუშაობა

მე მისი ბავშვობაც კარგად მახსოვს და სიყმაწვილაც.

ერთი უწყინარი ბიჭი იყო ილო, სხვებივით უყვარდა წიგნების ქამარში გარჭობა, რიკტაფელას თამაში და მეზობელი ქვრივის ვენახში გადაპარვა.

სხვებივით ერჩინა წიგნებს ბურთი და სხვებივით ხშირად გამოთქვამდა საყვედურს: გაკვეთილები უსაშველოდ გრძელია და შესვენებები ძალიან მოკლეო.

ეს იყო და ეს, სხვა რაიმე განსაკუთრებული მე მისთვის არასოდეს შემიმჩნევია.

მამა ჰყავდა და ყოველთვის ჩუმად დადიოდა მეთევზე-სავით. ვერც ცხონებულ ბაბუამისზე იტყოდით, მოსიარულე მუზეუმიაო.

როცა სკოლა დაამთავრა, მომავალზე ბევრი არ უყოყმანია: ორ წელიწადს სოფლის ფერმაში ვიმუშავებ, მოვემზადები და დაუსწრებლად ვისწავლიო.

ფერმაში ღორები ჩააბარეს გასასუქებლად. უვლიდა, მწყემსავდა, თავის ღროზე აპურებდა. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ იგი სხვებთან შედარებით ახალგაზრდა და დაუზარელი მელორე იყო.

ღორები კი სუქდებოდნენ და სუქდებოდნენ.

\* \* \*

უნივერსიტეტი დავამთავრე, სამუშაოდ თბილისის ერთ-ერთი გაზეთის რედაქციაში დამტოვეს და წერილის დასაწერად სოფელში გამგზავნეს:

– განსაკუთრებით სიმნიფის ატესტატით პირდაპირ კოლ-

მეურნეობაში მისულებზე გაამახვილე ყურადღებაო, დამავალა რედაქტორმა.

ფოტოაპარატმომარჯვებულმა ფერმაში მივირბინე და პირდაპირ ილოს მივვარდი.

– გამარჯობა ილო!

– გაგიმარჯოს! – სიხარულით გადამეხვია ილო, მერე სწრაფად გამიშვა ხელი და ღორებს გამოენთო.

– ილო, შენზე გაზეთში უნდა დავწერო – მივაგებე დაბრუნებულს.

ილომ წარბები შეიკრა.

– რატომ უნდა დანერო? დედას ვფიცავ „მიხას“ ჭიშკარში მოჰყვა ფეხი მე არ მომიტეხია, ხოლო რა ჩემი ბრალია თუ „დარიკომ“ ოთხ გოჭზე მეტი ვერ შობა? – გულმოსულად მომაყარა მან.

ძლივს დავუმტკიცე, რომ მასზე მხოლოდ კარგის დანერას ვაპირებდი.

– რა უნდა დანერო?.. მე რას ვაკეთებ... კარგი ერთი თუ ძმა ხარ – სიტყვას სიტყვაზე ძლივს აბამდა ილო და მორცხვად ილიმებოდა.

– რა მეთოდით ასუქებ ღორებს: – მივაგებე წინასწარ-მომზადებული კითხვა და რადგანაც მისგან მაინცდამაინც ხელმოსაკიდი და საინტერესო პასუხი ვერ მივიღე, ისევ მე გამოვიგონე ღორების გასუქების ახალი მეთოდი.

სოფლის ცხოვრებაზე დანერილ ვრცელ ნარკვევში ერთი აბზაცი ილოსაც დაეთმო.

ღორები კი სუქდებოდნენ და სუქდებოდნენ.

\* \* \*

ორი წლის შემდეგ ისევ მომიხდა სოფელში ჩასვლა.

ამ ხნის განმავლობაში სადაც კი გზა მიდის, თითქმის ყველა სოფელი შემოვიარე და ახლა განრიგით ისევ ჩემს სოფელს ერგო გაზეთში გამოქვეყნება.

ისევ ფერმას მივაშურე.

თითით რომ არ ეჩვენებინათ, ვერ ვიცნობდი ილოს. იგი საგარეოდ გამონყობილი, სუფთად გაპარსული, ლამაზ სამკუთხედად განასკვული ყელსახვევით ყელდამშვენებული ფერმის გამგეს ესაუბრებოდა.

ვერ ვიტყვი, რომ ძალიან ესიამოვნა ჩემი დანახვა.

– როგორ ხარ, ილო? როგორ არის შენი ღორები? – ვკითხე.

– ამან უკეთ იცის, – მიმითითა ფერმის გამგეზე.

– როგორ, შენ აღარ მუშაობ ფერმაში?

– კი, მაგრამ ვინ აცლის მუშაობას, – ალაპარაკდა ფერმის გამგე – გუშინ ჩამოვიდა რაიონიდან შრომის ახალგაზრდა ენთუზიასტების შეკრება იყო და ხვალ თბილისში მიდის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე. ხოლო იქედან ჩამოსვლის შემდეგ, ალბათ მოსკოვში მოუნევს გაფრენა. რაღაც ორი დღით შემოივლის მშობლიურ ფერმაში და მაშინაც ჩასაფრებული ხართ კორესპონდენტები. დღეში ათი უღებს სურათს და აძლევს შეკითხვებს. ყოველ მეორე გაზეთში მაგისი სურათია გამოჭიმული. ილოს გამოველაპარაკე.

– ბავშვობიდანვე მიზიდავდა ფერმაში მუშაობა. ამიტომაც სკოლის დამთავრების შემდეგ... – სხაპასხუპით ამბობს იგი და უკვირს რომ ხელში სანერკალამი არ მიჭირავს და მის ნათქვამს გამაღებით არ ვინერ. საიდან არ დავინყე, რა არ მოვიფიქრე, რა არ ვკითხე, მაგრამ მაინც ვერ ვესაუბრე გულახდილად. იგი, თითქოს რეპროდუქტორთან დგასო, თავის მომავალ გეგმებზე მიაბობს და მიმტკიცებს, რომ ბავშვობიდანვე იზიდავდა ფერმაში მუშაობა.

ქუდი დავიხურე და უკან წამოსვლისას უბის წიგნაკში მხოლოდ ერთი წინადადება ჩავინერე: „ვაცალოთ ილოს მუშაობა“.



## იქნებ თქვენც გაბეცინოთ?!

მე ახლა იმ „ბედნიერთა“ სიაში ვწერივარ, ვისთვისაც ოჯახი სხვათა შორის დანაიდების ქვევრიც არის.

მართალია, ჯერ კიდევ სტუდენტობაში არ მიტაცებდა პოლიტეკონომია თავისი „ფულის ფუნქციებითა“ და „საქონლით“, მაგრამ არასოდეს მითქვამს უარი სინდისზე, რადგანაც ეს უკანასკნელი კაი საქონელია.

დიდმა ბედნიერებამ კაცის გამოყვეყნებაც იცის თურმე. დიახ, დღეს ჩემს სახელს ატარებს ოთხთვლიანი ბედაური, ლურჯთვალეა მანქანა, რომელსაც მოყვრების გასახარად და მტრების გულგასახეთქად მე ვატარებ.

მეზობლები როგორ გავამტყუნო, კარგა ხანს თვითონ ჩემთვისაც დაუჯერებელი იყო იმ ყოვლისშემძლე ოცდაათ-კაპიკიანი ლატარიის ბილეთის მიერ ჩადენილი სასწაული, რომელიც თურმე, მეუღლეს დიდი ჩხუბითა და დავიდარაბით დაუმატეს სამ კოლოფ ასანთზე.

ასე გავხდი „ვოლგის“ მფლობელი (აქ. მეპატრონის გაგებთ). ეს მუხრუჭკურთხეული ისეთი ჭირვეულია და იმდენ საწვავს ყლაპავს, რომ ბენზინის ფარდულისაკენ მიმავალს ხშირად ეჭვი მეპარება, მე ვხმარობ მანქანას, თუ მანქანა მე.

ერთ მშვენიერ დღეს საბურავებმა საწყალობლად დააღეს ხახა, გაცვეთილი, ტუჩებით უკანასკნელად ამოისუნთქეს და მუშაობაზე უარი განმიცხადეს.

აქეთ ვეცი, იქით ვეცი, მაგრამ ყველგან ნაცემი დავრჩი. მოგეხსენებათ ხელფასზე მცხოვრები კაცისათვის ვარსკვლავები უფრო მისაწვდომია, ვიდრე ცხრა ქორვაჭრის ხელში გავლილი და ცხრაჯერ ფასმომატებული ახალი საბურავები.



ჩემს „ვოლგას“ და ჩემს მხიარულებას ორკილომეტრიანი სიმღერადა დაგვრჩენოდა (გედის სიმღერად წოდებული), რომ ისევ მეუღლემ გვიხსნა გასაჭირისაგან.

და აილო ერთმა ტელეფონის ყურმილი.

ქალაქს შემაერთეთო.

შეაერთეს.

მომარაგების უფროსი მომეცითო.

მისცეს.

ჩემი ბიძაშვილი თავისი ფეხით მოვა და „ვოლგის“ საბურავები თქვენი ხელით უშოვეთო.

... ჩემი ყურით გავიგონე, როგორ მოახსენა მეორემ მადლობა პირველს დაფასებისათვის.

\* \* \*

მივედი.

მდივანმა გზა შემიკრა.

ჩემი ვინაობა მოვახსენე.

ხელი მკრა.

ჩემი გამომგზავნელის ვინაობა მოვახსენე.

ორივე კარი ფართოდ გამიღო და აკომპანემენტით შემიძღვა კაბინეტში.

მდივნის გაბადრული სახის კარნახით ყოვლისმომხვედრმა „უმფროსმა“ საპარადო იერი მიიღო და სკამი შემომთავაზა.

– მაგაზე როგორ განწყენინებთ. პირდაპირ ჩემთან მობრძანებულებით. სახლში ხომ კარგად?.. კარგად იყავით. ყოველშემთხვევისათვის განცხადება დაგვიწერეთ. რომ საქმეში ჩავაკრათ... ხომ იცით, ფორმალობაა. თან ნაიღებთ, თუ შინ გამოგიგზავნოთ?

განცხადება სწრაფად დავწერე და თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ მხარზე ახალთახალი საბურავებგადაკიდებული ღიღინით მოვაბიჯებდი შინისაკენ.

\* \* \*

– აქ არც ახალია რამე და არც გაუგონარი. აღარ იტყვით, რისთვის დაინერა თქვენი ფელეტონი? – მკითხავს მოთმინებადაკარგული მკითხველი.

მოგახსენებთ.

ზუსტად ერთი კვირის შემდეგ, რაც მანქანა ახალ საიმედო თვლებზე დავაყენე და ყოველ დილით გულმხურვალედ ვილოცებოდი, ჩემი დამფასებლის მისამართით, ფოსტალიონმა წერილი მომანოდა.

გავხსენი და როცა წავიკითხე ისტერიული ხარხარი ამიტყდა.

აი, რა ეწერა იმ წერილში: „განვიხილეთ თქვენი განცხადება. თქვენს თხოვნას, სამწუხაროდ ვერ ვაკმაყოფილებთ საბურავების უქონლობის გამო“!

წერილს სწორედ ის ყოვლისმომხვედრი უფროსი აწერდა ხელს, რომელმაც საბურავები მაშინვე მიწყალობა, განცხადება კი „ყოველ შემთხვევისათვის“, მხოლოდ საქმეში ჩასაკრავად დამაწერინა.



## მრისხანე სიცილი

ისე თამამად შემოალო კარი და შემოაბიჯა, გეგონებოდათ მთელი სიცოცხლე ჩვენთან, რედაქციაში გაუტარებიაო. სათითაოდ ჩამოგვიარა, ხელი ჩამოგვართვა, ოჯახიანად მოგვიკითხა და ერთ-ერთ ლიტმუშაკს მიუბრუნდა.

ოდისევს ისე არ გაეხარებოდა პოლიფემის მღვიმიდან გამოსვლა, როგორც მე საკუთარი კაბინეტიდან, მაგრამ არ დამცალდა. მხოლოდ მარცხენა ფეხის ქუსლიდა მქონდა დარჩენილი ოთახში, ჩემი სახელი რომ გავიგონე. გველნაკბენივით შემოვტრიალდი. ახალშემოსულს ჩემზე უთითებდნენ.

რა გაეწყობა, ბრაზით გადავხედე სამაგიეროს გადამხდელებს და მაგიდას დავუბრუნდი.

სტუმარი ზეიმური ნაბიჯით მიახლოვდება.

– წაიკითხეთ? – მეკითხება იგი.

– რა? – ვეკითხები მე.

– ჩემი ფელეტონი. რა თქმა უნდა წაიკითხავდით. ამ ნომრისათვის ხომ მოესწრება? ჩასასწორებელი ხომ არაფერია? გმადლობთ. ყველგან ასე ყურადღებით უნდა გვექცეოდნენ. რომელ გვერდზე იქნება? – სულმოუთქმელად მომაყარა მან.

ჩემი მტერი ჩავარდეს ასეთ უხერხულ მდგომარეობაში! ტრადიციული „თქვენი ფელეტონი დასაბეჭდად არ გამოდგება“ შექმნილ სიტუაციაში უკვე ნაგვიანევია. ხომ წახდა კაცი? ხომ დაეშვა უიმედობის ქაობში?

– თქვენი ფელეტონი კარგია, მაგრამ აჯობებდა უფრო აქტუალურ თემაზე ყოფილიყო.

არ მოელოდა.

– ესე იგი..

– ესე იგი... თუმცა პირადად მე ძალიან მომწონს, მაგრამ ვფიქრობ კოლეგიის სხდომაზე დაინუნებენ, – სწრაფად ვიპოვე გამოსავალი და ჩემი პასუხი მევე მესიამოვნა.

– ეს როგორ?.. მგონი გეშლებათ, მგონი არც კი წაგიკითხავთ! მომეცით, მე თვითონ წაგიკითხავთ და ვნახოთ მოგეწონებათ თუ არა.

ხელნაწერი გამომართვა, უკმაყოფილო თვალები ჩემსკენ გამოაპარა და გამოთქმით დაიწყო კითხვა.

– „ბებიის ქელეხში“. ეპიგრაფი ხომ კარგი მოძებნილია? მომისმინეთ:

„ახალგაზრდისთვის არ არის  
ცოდვა  
ახალგაზრდული ალი და  
ბოდვა...“

მხატვრის სტილს დაუკვირდით და მსოფლმხედველობით დიაპაზონს.

კითხულობს, ვუსმენ:

– „აი, სანახავი სწორედ ის იყო.

პირდაღებული და თვალეზრაცვენილი ბებია ოლიმპიური სიმშვიდით ხვდებოდა სიკვდილს.

მეზობლის ქვრივი მელანო ცრემლებად იღვრებოდა.

ასეთია ცხოვრება. სიცოცხლეში ჩხუბსა და წყევლა-კრულვას არ აკლებდა ბებიას. თხები ყოველთვის დაბორკილი გვყავდა და ქათმებს მძიმე უფლისაგან წყალი ველარ დაეღლიათ.

ახლა კი...

მეზობლის ქვრივი მელანოც ცრემლებად იღვრებოდა.

დასაფლავების დღეს მთელი სოფელი აქ იყო ქალიან-კაციანად.

ზოგი წერილს ატანდა ბებიას. ზოგი თავის მიცვალებულებთან მოკითხვას აბარებდა და ზოგი ყურში ჩასჩურჩუ-

ლებდა „გოგო, საიქიოში ბინას რომ მოგცემენ, ერთი ოთახი ჩემთვისაც აიღე, მეც მალე ჩამოვალო“.

აქ კი თავი ველარ შევიკავე და მწარედ გამელიმა.

– გაილიმეო? – ნაწერი გვერდზე გადადო და ისე ოსტატურად გადაიხარხარა, შევარცხვინე მასთან ყველა უნიჭო მსახიობი.

– ხომ გეუბნებოდით, მოგეწონებათ-მეთქი? ჯერ სადა ხართ, ფელეტონს გაგება უნდა, გაგება!

ისევ მოალო პირი და ომახიანმა ხარხარმა მეზობელი კაბინეტის ფანჯრები შეაზანზარა.

კითხულობს და იცინის. წუთით შეჩერდება, წინადადებას გაიმეორებს, დედააზრს უბრალო სიტყვებით ამიხსნის და კვლავ მადიანად განაგრძობს სიცილს.

არ ვიცი, შემეცოდა თუ შემრცხვა ჩემი პირქუშობის, ეს კია ფელეტონის მეორე ნახევრის კითხვის დროს მეც მონდომებულად ავხარხარდი და მგონი გადავაჭარბე კიდევ ავტორს.

– ახლა კი კარგად ბრძანდებოდეთ, დრო არა მაქვს, ახალ ფელეტონზე ვმუშაობ. მგონი უკვე აღარაფერი შეუშლის ხელს ჩემი ფელეტონის გამოქვეყნებას. გთხოვთ ამ ნომერში იყოს აუცილებლად, ხომ იცით გადადებული საქმისა, – მითხრა სახეგაბადრულმა კითხვის დამთავრების შემდეგ.

მხარზე ხელი დამადო, კარებამდე მიმაცილებინა თავი. გამომშვიდობებისას ძმურად გადამეხვია. კიდევ მეტიც, სიბრაზისაგან თმის წვერები გამინითლდა, არარსებულ, მომავალ ცოლ-შვილთან მოკითხვა რომ დამაბარა, მაგრამ მოვითმინე და ბოლომდე სახეზე ღიმილი არ მომშორებია.

რა პასუხი გავცე მეორედ მოსვლის დროს?



## საბავშვო ნაწარმოები

თემური ამოიხსრა, ახალი საბავშვო მოთხრობების წიგნი გვერდზე გადადო, მუდარით სავსე თვალეები ჩემკენ გამოაპარა და ისევ რემარკს დაუბრუნდა.

– დაამთავრე?

– დიახ!

– ასე მალე?

– ჰო.

– მაშ, მოდი და რომელიმე მოთხრობის შინაარსი მიაჩხე.

თემური მიახლოვდება „საბავშვო მოთხრობებს“ მაგიდაზე მიდებს და მისგან პირველად მესმის:

– ვერაფერი გავიგე.

როგორ, ჩემმა შვილმა, რომელმაც „დიონისოს ღიმილიც“ კი მშვენივრად მიაჩხო, საბავშვო მოთხრობის შინაარსი ვერ გაიგო?

– შვილო, ავად ხომ არა ხარ?

– არა.

ცოტა არ იყოს, გავბრაზდი.

– ვერ გაიგე, ვერ გაიგე იმიტომ, რომ გულდასმით არ წაგიკითხავს. აქაოდა, საბავშვო მწერალიაო. დიახ, დღეიდან შენ სულ საბავშვო ნაწარმოებები უნდა იკითხო, გესმის?

თემური თავს მიქნევს და თაროზე მარკ ტვენს ათვალიერებს.

– და შენ მაინც ამბობ ვერაფერი გავიგეო, არა?! აბა მოდი, ერთად წავიკითხოთ და ვნახოთ, გავიგებთ თუ არა.

შემდეგ სათვალეს ვისწორებ, თემურის გვერდით ვისვამ და „საბავშვო მოთხრობების“ მესამე გვერდიდან ვიწყებ კითხვას.

## „ორი მეგობარი“

„ხომალდში არ ჩაალაგო ყველაფერი  
რაც გაქვს“.

ჰესიოდე

ვანო და ნიკო განუყრელი მეგობრები არიან. ეს კი უბრალო ენით ნიშნავს: ისინი ერთად მიდიან სკოლაში, ერთ მერხზე სხედან (ე. ი. ერთად ესწრებიან გაკვეთილებს), ერთად ბრუნდებიან შინ, ერთად ამზადებენ გაკვეთილებს და ერთმანეთს ყოველთვის ეხმარებიან საოჯახო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ვანო და ნიკო არასოდეს ჩხუბობენ, არ ცელქობენ და ამხანაგებში დიდი სიყვარულით და ნდობით სარგებლობენ.

გუშინნინ რუსულის გაკვეთილზე მასწავლებელმა ნიკო გაიძახა. ნიკოს გაკვეთილი მომზადებული ჰქონდა, მაგრამ ერთ ადგილზე ცოტა დაავიწყდა და შეჩერდა, ვანოს გადახედა და ფეხით ანიშნა მიკარნახეო.

ვანომ არ უკარნახა.

ნიკომ სამიანი მიიღო და შესვენებაზე მეგობარს უსაყვედურა.

– არ გრცხვენია, ნიკო? ეს ხომ დათვური სამსახური იქნებოდა! – მიუგო ვანომ და წითელ ყელსახვევზე დაიხედა.

– უი, მართლა, სულ დამავიწყდა! ყოჩაღ, ვანო, მეგობარიც ასეთი უნდა, კარგად მოიქეცი, რომ არ მიკარნახე, – უთხრა კმაყოფილმა ნიკომ.

... აი, ახლა დილაა, მაისის მშვენიერი დილა. მზე ზეციდან ღიმილით იხედება. ხეებს თეთრი ტანსაცმელი ეს-ეს არის გაუხდიათ და მწვანედ შემოსილან. კარგი სანახავია ამჟამად ბუნება.

შემოდგომაზე კი... შიშველ-ტიტველნი საცოდავად რომ დგანან და კბილების კანკანით ეგებებიან მრისხანე ზამთარს... მაშინ არ არის კარგი სანახავი.

ზამთარში თოვლი მოდის.

თოვლი თეთრია. ზუსტად ისეთი ფერისაა, დედა რომ საბანს დაგვახურავს და ჩვენ იმ საბანს ზოგჯერ იატაკზე რომ გადმოვავდებთ, თეთრი სარჩულით გულალმა გადაბრუნებულს.

ჩემს ფანჯარასთან ასფალტს ამჟამად რუხი ფერი დაჰკრავს, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, ზამთარში თოვლისაგან ისიც კი თეთრდება.

ეს ზამთარში.

წელიწადს სულ ოთხი დრო აქვს. გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი.

ახლა კი მშვენიერი გაზაფხულის დილაა.

ვანო და ნიკო „პადიუზიდან“ გამოდიან და ხალისით მიჰყვებიან სოფლის დაკლაკნილ შარაგზას, რომელიც სკოლისაკენ მიდის.

ვანო და ნიკო საუბრობენ.

– ვანო, როცა გავიზრდები, მე მფრინავი მინდა გავხდე. რა ჯობია ჰაერში იქროლო არწივივით, ლაჟვარდებს სერავდე, მალლიდან დაჰყურებდე ქვეყანას, სახლებს, ადამიანებს!

– ჩემი ოცნება კი ტრაქტორისტობაა. რა სჯობია, ბიჭო, რკინის საჭესთან იჯდე, ტრაქტორის მონოტონურ გუგუნს ყურს უგდებდე, ბელტი ბელტზე გადმოაწვინო და დოვლათიანი მოსავლით ასახელო ჩვენი ქვეყანა.

– ერთი სიტყვით ჩვენს ქვეყანაში ყველა პროფესია სასახელო და საამაყოა.

– ოღონდაც, ძმაო, ოღონდაც.

– ვანო, დღეს ფეხბურთი არ ვითამაშოთ?!

– სად მცალია, კაცო, დრო არა მაქვს, რაზმის შეკრებისათვის მოხსენება მაქვს დასაწერი ჩვენი რგოლის მუშაობის შესახებ.

– თევზაძემ დაგავალა?

– ჰო.

– შეგვიკლა ხელში პირდაპირ ამდენმა კრებებმა.



– იცი? გუშინ რაზმის საბჭოს სხდომაზე შავგულიძეს შავი დღე დააყარეს – ცუდად მუშაობ, ბიუროკრატი ხარ, მთელი რიგი ორგანიზაციული საკითხები გადაუჭრელი გაქვს და გეგმებსა და ოქმებს მხოლოდ ფორმალურად ადგენო.

– არა უშავს რა, ჩემო ვანო! ხომ გაგიგია ხალხური ნათქვამი: „რაცა ვის რა ბედმა მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდესო“ ჩვენ თუ ვმუშაობთ, ძალიან კი გვიფასებენ შვილოსა.

– კედლის გაზეთისათვის თან პატარა წერილი მიმაქვს. იქნებ ამ ნომერში მომიხერხოს ვაშაძემ.

– კაცო, მე მაგათი ვერ გავიგე. მიიტან წერილს, უფრო კონკრეტული უნდა იყოს, ძალიან ზოგადიაო, მეორეს მიიტან, უფრო ზოგადი უნდა იყოს, ძალიან კონკრეტულიაო... ერთი სიტყვით...

– ერთი სიტყვით, ჩვენი კედლის გაზეთის რედაქციაში ნაცნობობა და ნათესაობა წყვეტს ყველაფერს.

ამასობაში ყმანვილები სკოლას უახლოვდებიან, იწყება ორმოცდახუთწუთიანი გაკვეთილი, რომელიც ზოგჯერ მთელი საუკუნე გრძელდება და ხუთწუთიანი შესვენება, რომელიც თვალის დახამხამებაში თავდება.

\* \* \*

და აი, ორ საათსა და ოცდაათ წუთზე ვანო და ნიკო შინ ბრუნდებიან.

– ნახვამდის, ნიკო! სახლში მიმეჩქარება, ხვალისათვის დღის რეჟიმი არ შემიდგენია.

– ნაკვეთზე სამუშაოდ არ წავიდეთ? ხომ გაიგონე, დიდის ამბით რომ დაგვავალა თევზაძემ, ათ დღეში უნდა გათოხნოთო. არ ღირს მაგისტრის საყვედურის მიღება.

– ჰო... მართლა.

– ჰოდა, წავიდეთ ახლავე, ცოტა დღეს წავიმუშაოთ, ცოტა ხვალ, ხომ მოგეხსენება „პნკენა-პნკენაში მეზობლის ქალიშვილს შვილი შეეძინაო“.

და ყმანვილები მიდიან.

მიდიან კომუნიზმის მშენებლობის ერთ პატარა უბანზე, თავიანთი მცირე წვლილის შესატანად.

დიახ, მათ კარგად იციან ძველი რომაული ანდაზა – „უბი პიგრიცია იბი ინოპია (სადაც სიზარმაცეა, იქ სიღარიბეა)“.

\* \* \*

დავამთავრე.

– დანარჩენ მოთხრობებშიც სხვა სიტყვებით ზუსტად ეს ამბავია! – წამოსცდა თემურს და ჩემს მრისხანე მზერას რომ წააწყდა, ენა მოიკვნითა.

ოთახში სიჩუმეა.

ვზივართ ახლა მე და თემური და ვფიქრობთ.

ვფიქრობთ და სიჩუმის დარღვევის ორივეს გვეშინია. თემური შიშობს სხვა მოთხრობის კითხვა არ დავინყო, მე ვშიშობ არ მკითხოს ნაკითხულის შინაარსი.

– ვახშმობის დროა! – ისევ ჩემმა მეუღლემ გვიხსნა გასაჭირისაგან.



## „უსაქმოდ ნუ გაჩერდებით!“

გვჭირდებოდა საშრობი, საშლელი და ერთადერთი ფურცელი სანერი ქალაღდი.

ეს ყოველივე ბლომად აღმოჩნდა ჩვენი დაწესებულების სანყობში, მაგრამ სანყობში სანყობის გამგეც დაგვხვდა და სრულიად სერიოზულად განაცხადა:

– მე თქვენ არ გიცნობთ.

– საერთოდ, თუ ამ კონკრეტულ მომენტში? – სერიოზულადვე ვკითხეთ ჩვენ.

სანყობის გამგემ პასუხის ღირსად არ ჩავვთვალა, მაგრამ ჩვენ შეურაცხყოფილად მაშინაც კი არ გვიგრძენია თავი, როცა მან კედელზე მიგვითითა. კედელზე დიდი, მრისხანე ასოებით ეწერა: „უსაქმოდ ნუ გაჩერდებით“.

– გვჭირდება საშრობი, საშლელი და...

სანყობის გამგემ უხმოდ გამოგვინოდა ერთის ნაცვლად სამი ფურცელი ქალაღდი, მაგრამ თეთრი, დაუწერელი კი არა, დაბეჭდილი და შავი ხაზებით აჭრელებული.

– შეავსეთ, თქვენს უფროსს ხელი მოაწერინეთ, მერე ჩემს უფროსს მოაწერინეთ ხელი. ყოველივე დღეს თუ მოასწარით, მომიტანეთ და ხვალ მიიღებთ საშრობს, საშლელს და ერთ ფურცელ თეთრ, დაუწერელ ქალაღდს.

ჩვენ წამოვედით და შევსება დავინწყეთ.

მოგეხსენებათ ყოველ დაწყებას ახლავს სიძნელე და რადგანაც სამ ანკეტაზე ცალ-ცალკე უნდა გაგვეცა პასუხი საკმაოდ მრავალკუთხოვანი შეკითხვებისათვის: (... რა გვჭირდებოდა, რამდენი? რისთვის გვინდოდა ამდენი? ვინ ვი-

ყავით, რას ვშვრებოდით და რა ხალხი დავრჩებოდით?) ამიტომ სულ არ გაგვკვირვებია, როცა მესამე ანკეტის შევსებისას სამი დიდი შეცდომა დაფუშვით.

ჯერ მოვძებნეთ საშრობი.

ვიარეთ, ვიარეთ და სანყოფის კეთილ გამგეს მივადექით.

სანყოფის გამგემ საკუთარი საშრობი გვათხოვა და სამართლიანად გვათხოვა უკან დაგვებრუნებინა.

მერე შეცდომის ამოსაშლელად დაგვჭირდა საშლელი.

ვიარეთ, ვიარეთ და ზომაზე მეტად შეფერთხილნი შევცურდით ჩვენი უფროსის მდივნის კაბინეტში.

მდივანმა სარკეს წუთით მოარიდა თვალი და მდივნურად გამოგვკითხა; ბევრი გვქონდა თუ არა წასაშლელი, რად ვაგვიანებდით ცოლის შერთვას და ა. შ. მერე საკუთარი საშლელი გვათხოვა და მკაცრად გაგვაფრთხილა, რათა ზომაზე მეტად არ გაგვეცვითა.

ბოლოს თვით ანკეტამ დაისაჭიროვა გამოცვლა: ხომ ხედავთ გვერდებში სინათლემ გამატანაო.

დაველრიჯეთ სანყოფის გამგეს.

„მან სულგრძელმან“ დაგვიმატა კიდევ ერთი ანკეტა და თან გვირჩია: – ჯერ წერა ისწავლეთ და სანერი ქალაქი მერე მოითხოვეთო.

როგორც იქნა ყველაფერი მოგვარდა.

მოანერა ხელი ჩვენმა უფროსმა და რალაც წაგვიშალა თავისივე საშლელით.

მოანერა ხელი სანყოფის გამგის უფროსმა და დააშრო ნანერი ახალთახალი საშრობით.

მოვუტანეთ ქალაქი სანყოფის გამგეს და ყველამ ერთდროულად საათზე დავიხედეთ.

ხვალ მივიღებთ საშრობს, საშლელს და ერთადერთ ქალაქის ფურცელს.

კაცის გული კი უფრო მეტს უძლებს.

– სინამდვილეში ხომ არაფერი მომხდარა? ერთნი გულ-  
მოდგინედ, პრინციპულად ასრულებდნენ თავიანთ სამსახ-  
ურებრივ მოვალეობას, მეორენი კი მორჩილებით ვაკეთებ-  
დით მიჩენილ საქმეს – გაიფიქრა ვილაცამ ჩვენ შორის.

– ჰოდა, გული იქეთ იყოს – ჩაილაპარაკა სანყობის გამ-  
გემ და ვალიდოლი გადაყლაპა.

მაგრამ გული იქეთ არ არის, გული აქეთაა.



## არამოდერნიზებული ნოველები

### პატიების მსხვერპლი

მან ერთხელ, საბავშვო ბაღში ყოფნისას, ხბოს უთო გადააყლაპა.

აპატიეს, ბაღლობით მოუვიდაო.

ერთხელ კატას ცეცხლი წაუკიდა და ოთხი მეზობლის საბძელი გადანვა.

აპატიეს, ბავშვია, ჭკუას იშოვისო.

ერთხელ ანატომიის მასწავლებელს ფანჯრიდან მწვანედ შეღებილი თავის ქალა შეუგდო და ჭკუიდან შეშალა.

აპატიეს, ყმანვილია, ხუმრობა ვერ მოზომაო.

ერთხელ სახელმწიფო ტრაქტორს მამამისის „ემადინი“ დააჯახა.

აპატიეს, ახალგაზრდაა, სისხლი უდუღსო.

ერთხელ თავის წიგნში, ოთხას გვერდზე, ამტკიცა, ადამიანი შაშვი არ არისო.

აპატიეს, ახალგაზრდა მეცნიერს გაქანებას ნუ ჩაუვხშობ-თო.

იგი ახლა პროფესორია და ავტობუსის გაჩერებებთან ბელურებს ითვლის.

შეჰყურებენ და ამბობენ: რა ვუყოთ, მოხუცდა, ბავშვი ხომ აღარ არის, მაგის ასაკში სხვა უარესს იზამსო.



## მუშუ

მართალია, ქალბატონმა იგი სოფლიდან ჩამოიყვანა, მაგრამ დაბადებითვე მუნჯი სრულებითაც არ იყო, მერე დამუნჯდა. თანაც, სანამ დამუნჯდებოდა, ქალბატონს ცოლს ეძახდა, მერე კი სიამოვნებით დაუძახებდა გველეშაპს, მაგრამ მუნჯი იყო. თანდათანობით შეეჩვია თავის მდგომარეობას და დაემსგავსა დინჯ, მამალ ბატს, რომელსაც მხოლოდ იმიტომ არ ეკითხებიან ქკუას, რომ ბატია და ჰგონიათ, სასიკეთოს არაფერს იტყვის.

ქალბატონი, რომელთანაც ის ქმრად მუშაობდა, მეტისმეტად ანჩხლი და აუტანელი ვინმე იყო და თუმცა მარცხენა ლოყაზე ხალი ჰქონდა, თავი მაინც უჭკვიანეს არსებად წარმოედგინა.

მუნჯი კი სრულებითაც არ იყო დაძონძილი სულის პატრონი და, როგორც ყველა მუნჯი, უთქმელადაც ბევრ რამეს ხვდებოდა.

ერთხელ, მონკავშირის კონკურსზე, თოფის სამაგალითოდ მოვლისათვის, ლეკვი აჩუქეს. ლეკვს გამოხედვაში ეტყობოდა, რომ წმინდა სისხლის გერმანული სეტერი იყო. მუნჯს ძალიან უყვარდა თავისი ლეკვი და რაკი წმინდა სისხლის გერმანული სეტერი იყო, მუმუ უწოდა. თუმცა, წმინდა სისხლის გერმანული სეტერიც რომ არ ყოფილიყო, მაინც მუმუს დაარქმევდა, რადგანაც მუნჯები ყველა ძალღს მუმუს ეძახიან.

ქალბატონი დარწმუნდა, რომ მუნჯს მუმუ ცოლზე მეტად უყვარდა და მაშინვე აითვალწუნა უდანაშაულო ლეკვი. მას ეჩვენებოდა, რომ მუმუს ძალიან უხეში ბენვი და უშინაარსო თვალეები ჰქონდა, რომ უზომო ჭამა იცოდა და მთქნარები-

სას პირს ძალიან დიდზე ალებდა. ამიტომაც ერთხელ ქალბატონმა სამსახურიდან დაბრუნებულ მუნჯს კატეგორიულად განუცხადა:

– ან მე უნდა ვიყო აქ, ან შენი უჯიშო ძალლი!

ამის გაგონებაზე მუნჯმა ენაზე მომდგარი სააღერსო სიტყვები გადაყლაპა, ხელი ჩაიქნია და თავის ოთახში შევიდა. მეორე დღეს საერთო სამზარეულოში ლაპარაკობდნენ, მუნჯი მთელ ღამეს ოხრავდაო. დიახ, მუნჯმა იფიქრა, იფიქრა და გადაწყვიტა. – თუკი გადაწყვიტა, შეასრულებს კიდევ! – ამბობდნენ მეზობლები და მეზობლები ამჯერად მართალნი იყვნენ.

მეორე დღით წყალს აღმა მიაპობდა ნავი. ნავზე ორი სულიერი არსება იყო. ერთი მათგანი ღონივრად უსვამდა ნიჩბებს, მეორე კი კუმტად დაჰყურებდა წყალს. მერე პირველმა ნიჩბებს ხელი უშვა, მეორეს კისერში ორი მოზრდილი რიყის ქვა ჩააბა, ასწია, თვალები დახუჭა და ხელები გაუშვა... პირველი მუნჯი იყო და არ გაუგონია ნკმუტუნის მსგავსი შეკვივლება, არც წყლის შხაპუნი გაუგონია. მან მხოლოდ დაინახა, როგორ გარბოდნენ ნაპირისაკენ ზომაზე უფრო ფართო წრეები.

\* \* \*

ერთი საათის შემდეგ შინისაკენ მიაბიჯებდა სახეგანათებული მამაკაცი. იგი ნაცნობებს ღიმილით ესალმებოდა, უცნობებს კი მხოლოდ უღიმოდა. მამაკაცს უხაროდა, რომ დღეიდან მუნჯი აღარ იყო, რომ შინ ელოდებოდა მუმუ – წმინდა სისხლის გერმანული სეტერი.





## ქვის ლურსმანი

ეს იყო ათი ათასი წლის წინათ. კაცმა გამოიგონა ქვის ლურსმანი და არაფერი უთქვამს. მერე მოვიდა მეორე კაცი და დაწერა წერილი: ათი ათასი წლის წინათ ამა და ამ კაცმა ქვის ლურსმანი გამოიგონაო.

მერე მოვიდა მესამე კაცი და დაწერა წერილი: ათი ათასი წლის წინათ რომ კაცმა ქვის ლურსმანი გამოიგონა, მეორე კაცმა მასზე ასეთი წერილი დაწერაო.

მერე მოვიდა მეოთხე კაცი და დაწერა წიგნი: ათი ათასი წლის წინათ რომ კაცმა ქვის ლურსმანი გამოიგონა და მეორე კაცმა რომ მასზე წერილი დაწერა, მესამე კაცმა იმ მეორე კაცზე ასეთი გამოკვლევა დაწერაო.

მერე მოვიდა მეხუთე და დაწერა სადისერტაციო ნაშრომი: ათი ათასი წლის წინათ რომ კაცმა ქვის ლურსმანი გამოიგონა და მეორე კაცმა რომ იმაზე წერილი დაწერა, ხოლო მესამე კაცმა რომ მეორე კაცზე დაწერა გამოკვლევა, მეოთხე კაცმა იმ მესამე კაცზე ასეთი წიგნი დაწერაო.

მერე მეექვსე კაცი დაწერს ნაშრომს იმ მეხუთე კაცზე...

იმ კაცმა კი, იმ პირველმა კაცმა, ათი ათასი წლის წინათ გამოიგონა ქვის ლურსმანი და არაფერი უთქვამს.



## ახია ჩემზე!

დიდი ხნის წინათ მან დაბეჭდა პირველი სუსტი ლექსი სოფლის შუკაზე, რომელშიც ამტკიცებდა მე ერთი უბრალო ბიჭი ვარო.

მე დავუშვი პირველი შეცდომა და არაფერი ვთქვი.

მერე მან დაბეჭდა მეორე უსუსური ლექსი სოფლის ნახირზე, რომელშიც ამტკიცებდა, მე ერთი უბრალო ბიჭი ვარ, მაგრამ ცხოველთა ენა მესმისო.

მე დავუშვი მეორე შეცდომა და არაფერი ვთქვი.

მერე მან დაბეჭდა მესამე საცოდავი ლექსი სოფლის ბატებზე, რომელშიც ამტკიცებდა, მე ერთი უბრალო ბიჭი ვარ, მაგრამ ცხოველთა და ფრინველთა ენა მესმისო.

მე დავუშვი მესამე შეცდომა და არაფერი ვთქვი.

მერე მან დაბეჭდა მეოთხე უმწეო ლექსი მთვარეზე, რომელშიც ამტკიცებდა, მე მხოლოდ პატარა პოეტი გახლავარო.

მე დავუშვი მეოთხე დიდი შეცდომა და არაფერი ვთქვი.

მერე მან დაბეჭდა მეხუთე საშინელი ლექსი ცაზე, რომელშიც ამტკიცებდა, ცამ მგოსნობა დამავალაო.

მე გავცოფდი და გადავწყვიტე ყველა ჩემი წინანდელი შეცდომის გამოსწორება, მაგრამ უკვე გვიან არის: იგი რედაქტორია, არ დამიბეჭდავს!



## კონტროლი

ამბერკიმ ვალდებულება აიღო, თავის ჩარხთან დადგა და აღებული ვალდებულების განაღდებას შეუდგა.

ერთ ადგილას იფიქრეს, ამბერკიმ ვალდებულება კი აიღო, მაგრამ როგორ ასრულებს, ნეტავიო.

გამოყვეს ამბერკის მუშაობის შემმოწმებელი კომისია.

მეორე ადგილას იფიქრეს, ამბერკის მუშაობის შემმოწმებელი კომისია რას აკეთებს, ნეტავიო.

გამოყვეს ამბერკის მუშაობის შემმოწმებელი კომისიის შემმოწმებელი კომისია.

მესამე ადგილას იფიქრეს, ეს ორი კომისია რომ გამოვყავით რას აკეთებენ, ნეტავიო.

გამოყვეს ამბერკის მუშაობის შემმოწმებელი კომისიის მუშაობის შედეგების შემაჯამებელი კომისია.

ერთ მშვენიერ დღეს ეს სამი კომისია წამმოზომებით, კომპასით, დაფდაფებით, ტრანსპარანტებითა და ფოტოაპარატებით შეიარაღებული მიადგა ამბერკის სამუშაო ადგილს.

ჩარხზე ქალაღდის ნახევი იყო გაკრული, ზედ გაკრული ხელით ეწერა: „გამგზავნეს საკონტროლო კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, არ ვიცვი, როდის დავბრუნდები. ამბერკი“.



## მეხუთე გზა

– ტელეფონის დადგმის ხუთი გზა არსებობს!

ყურშეხვეულმა, ულამაზო კაცმა თითებზე ბუტბუტით რალაც გადაითვალა, მლოცველივით მაღლა აიხედა, ერთიმეორის მიყოლებით მოკეცა ოთხი თითი და მოსაუბრეს გახედა:

– მეხუთე რომელია?

მოსაუბრე პირხმელი, შეუხედავი კაცი იყო, თავზე ქილოფის ქუდი არ ეხურა.

– მეხუთე ყველაზე უხიფათო და უნაღდესი გზაა.

– მასწავლე, თუ ძმა ხარ!

შეუხედავმა თავი გააქნია.

– ვერ გენდობი! შენ მერე სხვას ასწავლი და ქვეყანა გაიგებს!

ულამაზომ ჯერ თვალებზე მიიფარა ხელები და მერე შეხვეულ ყურებზე, რითაც მოსაუბრეს ალუთქვა, ბრმა და ყრუ ვარო.

– ჩემი მეზობელი დიდ საქმეზე მუშაობდა. მე პატარა საქმეზე ვიყავი. დიდ ადგილზე მომუშავეს დაუდგეს ტელეფონი. მე – არა. ვიფიქრე, ვიფიქრე და, აი, რა მოვიფიქრე: შევდივარ ყოველ საათსა და თვრამეტ წუთში მეზობელთან, ვითომ დასარეკი მაქვს სადმე. მეზობელი ასეთ თხოვნაზე უარს ვერ მეტყვის. ვრეკავ ნებისმიერ ნომრებზე. ვლაპარაკობ ყასიდად, ხან ვყვირი, ხან ვიცინი. მეზობელი, თავისი ოჯახიანად, პირდაღებული შემომყურებს. ასე გაგრძელდა ორი კვირა და სამი დღე. ერთ დღეს მეზობელი მეუბნება, როგორაა, სანდრო, შენი ტელეფონის საქმეო. ვინ დამიდგამს, ბატონო, მე ტელეფონს-მეთქი. რატომ, კაცო, – გაეცინა, – შენ გჭირდ-

ება, თუ ვინმეს ჭირდება ტელეფონიო. მოდი ხვალ ჩემთან, სამსახურში, და მოგიხერხებ რამესო. ნუ შენუხდებით-მეთქი. განგებ ერთხელ კიდევ დავრეკე და ვითომ ყურმილში ვინმე რამეს მეუბნებოდა, გაბმული ხარხარი დავინწყე. მოდი ხვალ უსათუოდო, შემეხვენა. აჰა, გაჭრა ჩემმა ხერხმა-მეთქი, ვიფიქრე, მაინც არ მივსულვარ. მესამე კვირის თავზე ტელეფონი დამიდგეს და იმნუთშივე ჩამირთეს.

ყურშეხვეულს, ეტყობა, ეს ხერხი ძალიან მოეწონა, ხელე-ბი გადააჯვარედინა და ცას ამოხვრით შეხედა. მერე თვა-ლები დახუჭა და ტელეფონგანაღებული კაცივით გაიღიმა.

– მაგრამ აქაც დიდი ზომიერებაა საჭირო. ეს გზა, თავისთავად, უნაკლოა, მაგრამ სიტუაციას უნდა დაუკვირდე, თორემ, როგორც ჩემს სიძეს დაემართა, ისე დაგემართება.

– რა დაემართა?

– რომ მოვუყევი ეს ამბავი, ჭკუაში დაუჯდა. მაცივარი არა მაქვს, ეგება, მეშველოს რამეო. ამოირჩია მსხვერპლად ერთი მეზობელი და წამდაუნუმ შეჰქონდა მასთან მაცივარში შესანახად ცარიელი ქოთანის, ქვიჯა და ქვასანაყი. ერთხელ გაზეთში გახვეული „შიბლეტებიც“ შეიტანა. ფიქრობდა, ილ-აჯი გაუნყდება მეზობელს და მაცივარს მიყიდისო.

– მერე, უყიდა?

– არა, მეზობელმა თავისი მაცივარი გაყიდა და ახლა ტელევიზორის საყურებლად მთელი თავისი ცოლ-შვილ-სიდ-ედრიანად, ყოველ საღამოს, ჩემს სიძესთან დადის.



## დანერე ჩემზე!

რედაქციაში არის კრიტიკის განყოფილება. კრიტიკის განყოფილებას ჰყავს თავისი გამგე. კრიტიკის განყოფილების გამგე პროზაიკოსია. კრიტიკის განყოფილების გამგესთან შედის კრიტიკოსი. კრიტიკოსს არავინ ჰყავს.

– მე მინდა, დავწერო რეცენზია!

– რეცენზია არსებობს ბრჭყალებში და ბრჭყალების გარეშე!

– მე მინდა, დავწერო კრიტიკული რეცენზია!

– მაინც?

– მე მინდა, არ შევიცოდო, არ მოვეფერო, გული არ გავუკეთო, პირდაპირ ვუთხრა, რასაც ვფიქრობ და წერაზე ხელი ავაღებინო!

– კი მაგრამ, ვის?

– თუნდაც, ა, იმ მეორე სათვალთანს.

– მეორე სათვალთანზე ვერ დავბეჭდავთ, არ ღირს! ბელურას ზარბაზანს არ ესვრიან!

– მაშინ მესამე კისრიანზე დავწერ!

– მესამე კისრიანზე ვერ დავბეჭდავთ, არ ღირს! მალე სამოცი უსრულდება!

– აბა, პირველ ხალიანზე დავწერ!

– პირველ ხალიანზე ვერ დავბეჭდავთ, არ ღირს! რაც უნდა იყოს, ქალია!

– ესე იგი, მაშინ იმ მეოთხე კეხიანზე დავწერ!

– იმ მეოთხე კეხიანზე ვერ დავბეჭდავთ, არ ღირს! ახალბედაა, ეწყინება!

– აბა, მეხუთე ლანჩიანი?

– მოხუცდა, ორი პარასკევი დარჩენია!

– მეექვსე ყურებიანი?

– ცოდოა, მგონი ხსნიან!

– მეშვიდე ცხვირიანი?!

– გაგიჟდი?! აგვიფეთქებს აქაურობას!

იდევბისაგან დაცლილმა კრიტიკოსმა განყოფილების გამგეს უკიდურესად დეკადენტური თვალებით შეხედა და ტირილით ჰკითხა:

– რა ვქნა, აბა?

განყოფილების გამგეც ხომ ადამიანი იყო? მან, თავის მხრივ, თანაგრძნობის თვალები მიანათა კრიტიკოსს და ეპიტაფიასავით ამოიკვნესა:

– დანერე ჩემზე! რა გიყო, აბა!



## ოპონენტი

სამი წლის საშრომი სამ თვეში გააკეთა, გადააბეჭდვინა, ყდაში ჩაასმევინა და ნაშრომი უწოდა, რადგანაც მართლა ნაშრომი იყო.

თუ რაიმეს სჭირდება დაცვა, სწორედ მის ნაშრომს სჭირდებოდა და უმორჩილესად ითხოვა, როგორც სხვა ნაშრომებს აძლევდნენ, ისე მისი ნაშრომისთვისაც მიეცათ მსვლელობა.

მისცეს მსვლელობა.

აქ ერთხელ კიდევ გავიხსენოთ, რომ კაცმა სამი წლის საშრომი სამ თვეში შეასრულა, გადააბეჭდვინა, ყდაში ჩაასმევინა და ნაშრომი უწოდა, რადგანაც მართლა ნაშრომი იყო.

აპრობაცია არ დაუგვიანეს: ხუთი წლისთავზე ნაშრომი უკვე მზად იყო ოპონენტებისათვის გადასაცემად.

პირველი ოპონენტი, სამი თვით, სათევზაოდ იყო წასული.

მეორე ოპონენტი, სამი თვით, არტეზიულ ჭაში იყო ჩასული – ბაბუამისის სურათს ეძებდა.

მესამე ოპონენტი, სამი თვეა, მთვარეზე იჯდა და დედამამალ ვარსკვლავებს არჩევდა.

სამი თვის შემდეგ სამივე ოპონენტი მზად იყო, მათ სიამოვნებით მიიღეს დისერტაცია და ასევე სიამოვნებით გამოთქვეს მისი ნაკითხვის სურვილი.

გავიდა ერთი წელი.

გავიდა მეორე წელი.

გავიდა მესამე წელი.

ქალაქის ეკონომიის მიზნით, სათითაოდ ნუ ჩამოვყვებით, ერთბაშად ვუყაროთ კენჭი ათ წელიწადს.

ათი წლის შემდეგ დისერტანტმა ზედმინევნით იცოდა, რომ მისი ოპონენტები დგებოდნენ შვიდ საათზე, რომ ისი-



ნი მძიმე სათვალეს ატარებდნენ და ჭრელი, აზიური ქუდე-  
ბი სანოლშიც კი ეხურათ. დიდი გატაცებით თამაშობდნენ  
ჩოგბურთს და მთელი დღე ენაგადმოგდებულნი ირბენდნენ  
თბილისურ კალოშზე ახალი ანეკდოტის საშოვნელად, ჩინებ-  
ულად მართავდნენ მანქანას, საუბრის დროს ქალს წარბებ-  
შუა უცქეროდნენ და ჭირივით ეჯავრებოდათ კითხვა.

ათი წლისთავზე, მოთმინებიდან გამოსულმა კაცმა,  
რომელსაც გაგიჟებამდე სულ რაღაც ერთი წელიწადი დარ-  
ჩენოდა, დაწერა მეორე დისერტაცია და სამ თვეში მოახერხა  
მისი დაცვა.

ერთი წლის შემდეგ მან უკვე სადოქტორო დისერტაცია  
გაამზადა და კვლავ სამ თვეში მოახერხა მისი დაცვა.

...და, როცა მას, მსოფლიოს თითქმის ყველა აკადემიის  
საპატიო და ნამდვილ წევრს, ყველა სახელობის პრემიების  
ლაურეატს, მეცნიერების პატრიარქად წოდებულს, ერთ მშ-  
ვენიერ დღეს, პირველმა ოპონენტმა პირველი დისერტაციის  
პირველი უარყოფითი რეცენზია წარმოუდგინა, მეცნიერი  
ჭკუაზე შეირყა...

ახლა, თავისივე გამოგონილი ბანრით, სანოლის ფეხზეა  
მიბმული და ამბობს, რომ იგი კაცი კი არა, საათია, რო-  
მელიც უნდა მომართონ, თორემ გაჩერდება, კაცი კი არა,  
ხეა, რომელიც კორკიმელს ისხამს, მაშინ, როცა რკოს უნდა  
ისხამდეს!..



## კბილი

კაცს კბილი ასტკივდა.

კბილის ექიმმა სამი საათი ალოდინა და ბოლოს განუცხადა: სამუშაო საათები დამთავრდა და არასამუშაო საათებში ხომ ვერ მიგიღებო.

მტკივანი კბილისათვის სულერთი იყო სამუშაო და არასამუშაო საათები. იგი ერთგულად განაგრძობდა თავის საქმეს – კაცს სიმწრის ცრემლებს აღვრევინებდა.

კაცს უგულო კბილის ექიმი შეეცოდა და გული ეტკინა.

მეორე დღეს კბილის ექიმმა მიიღო კაცი, მაგრამ ბურღვაში ძალიან გაერთო და ავადმყოფი კბილი თავისი ორი მეზობლიანად, ხელში შემოეფშვნა.

მართალია, ავადმყოფი კბილი უკვე აღარ არსებობდა, მაგრამ ფესოში ჯერ კიდევ ცოცხლობდა განერვიულებული ნერვი და კაცს სიმწრის ცრემლებს აღვრევინებდა. კბილის ექიმი, რაც შეეძლო, მგრძნობიარედ განიცდიდა ამ ამბავს.

კაცს კბილის ექიმი შეეცოდა და გული ეტკინა.

მესამე დღეს კბილის ექიმი ექსკურსიაზე წაიყვანეს.

კაცს შეეცოდა ექსკურსიაზე ძალით წაყვანილი კბილის ექიმი და გული ეტკინა.

მეოთხე დღეს კბილის ექიმმა კაცს პირში კარგად ალესილი ვერცხლისფერი ფოლადი ჩაუდო და მანამ აჭერდა ხელს, სანამ ფოლადმა ნიკაპქვეშ არ გამოყო თავი.

კაცს შეეცოდა თავისი თავი და კიდევ ეტკინა გული.

მეხუთე დღეს კაცი გულის ტკივილით გარდაიცვალა.

კბილი? ვილას ახსოვდა კბილი მაშინ, როცა კაცი გულის ტკივილით უეცრად გარდაიცვალა!..



## გამთელება

კაცი იყო მთლიანი.

შტატი ჰქონდა ნახევარი.

ნახევარშტატიანი მთლიანი კაცი აკეთებდა ხუთნახევარი კაცის საქმეს: საზოგადოებრივ სანყისებზე კითხულობდა ლექციებს, თხრიდა ორმოებს, იყო ხულიგანთმომთვინიერებელთა რაზმის წევრი, მონაწილეობდა მასობრივ გადარბენაში, დევიზით – „შენმა ქვეყანამ გაქცევა რომ მოგთხოვოს!“ მთლიანად უყურებდა ტელევიზიის გადაცემებს მეჩხერიანობის აღმოფხვრის საკითხებზე, მთელ თავისუფალ დროს ანდომებდა პლაკატისათვის ტექსტების შეთხზვას და, ხანდახან, მორიდებულად იკითხავდა, როდის გამამთელებთო.

ყველანი ხედავდნენ, რომ კაცი იყო მთლიანი, მაგრამ ოფიციალურად მის გამთელებაზე ცოტას ფიქრობდნენ.

დრო მთლიანად გადიოდა.

მთლიან კაცს ჯერ გული გაუტყდა, მერე თმები გაცვივდა, მერე თვალები გაუცვდა, სამი ინფარქტი მთლიანად გადაიტანა.

გამთელების მოლოდინში განახევრდა კაცი!

როდესაც განახევრებული კაცი დაინახეს, მაშინვე დღის წესრიგში დააყენეს მისი გამთელება, მაგრამ ნახევარი კაცის მთელ შტატზე ყოფნა უხერხულად მიიჩნიეს...

კაცმა რომ თქვას, იმ კაცს უკვე აღარც სჭირდებოდა გამთელება. იგი გულმოკლული დასტიროდა წლების განმავლობაში იმედების ჭამისგან ძვლებადქცეულ თავის მეორე ნახევარს.



## ამერიკული იბავი

ჯექმა საამხანაგო ბალიდან სამი ტონა თურაშაული მოიპარა და ჯონის სარდაფში დამალა.

მეორე დღეს გაზეთები გაჰყვიროდნენ: „ჯექმა საამხანაგო ფირმის ბალიდან სამი ტონა თურაშაული მოიპარა და ჯონის სარდაფში დამალა!“

მესამე დღეს ჯონის სარდაფს სამი პოლიციელი მიადგა, სამ ტონა თურაშაულს კონფისკაცია უყვეს და ჯექს ურჩიეს, თავისი ფეხით წასულიყო უახლოეს საპატიმროში.

მეოთხე დღეს გაზეთები გაჰყვიროდნენ: „დღეს ჯონის სარდაფს პოლიციელის ფორმაში გადაცმული სამი განგსტერი მიადგა, სამი ტონა ვაშლი გაიტაცეს და ჯექს ურჩიეს, თავისი ფეხით წასულიყო უახლოეს საპატიმროში“.

მთელი შტატის შტატიანი და უშტატო გამომძიებლები ფეხზე დადგნენ. ამუშავდნენ კლდეგამტარი რენტგენები და მზისძალიანი პროუექტორები. საქმე მიეცა კრიმინალისტიკას. რვასათიანი უძილო ძებნის შემდეგ სამმა მამაცმა გამომძიებელმა ხელჩართულ ბრძოლაში შეიპყრო სამი განგსტერი (რომლებმაც ვაშლი გაიტაცეს ჯონის სარდაფიდან).

მეხუთე დღეს გაზეთები გაჰყვიროდნენ: „გუშინ გამომძიებელთა ფორმაში გამოწყობილი სამი ბანდიტი თავს დაესხა პოლიციელთა ფორმაში გამოწყობილ სამ განგსტერს და სამი ტონა თურაშაული გაიტაცა. ცრუგამომძიებელთა ძებნა, ჯერჯერობით, უშედეგოა!“

ასე რომ, შორს შესტოპა ჯექის მიერ საამხანაგო ფირმის ბალიდან მოპარულმა და ჯონის სარდაფში შენახულმა სამმა ტონა ვაშლმა.



## ტელევიზორი

არაფრისმთქმელი სითეთრე... არაფრისმთქმელი სითეთრე... არაფრისმთქმელი სითეთრე...

– მოიცა, გახურდეს!

აცეკვებული ქანდაკები, აცეკვებული პრეზიდენტი, აცეკვებული სტადიონი, აცეკვებული სკამი...

– მოდი, ბიჭო, გაასწორე!

შუაზე გაჭრილი ბურთი, შუაზე გაჩეხილი მსაჯი, მეხდაცემული კარები...

– მიდი, გოგო, გაასწორე!

ღრუბლებადქცეული ტრიბუნები, წვიმადქცეული სინათლე, მთვარედქცეული ბურთი, თევზებადქცეული ფეხბურთელები...

– მიდი, ქალო, გაასწორე!

მთელი ოჯახი ფეხზე დგას: ბიჭი ტრასფორმატორს დეჭავს, გოგო ამპერიმეტრს უკირკიტებს, ცოლი, ანტენით ხელში, კედელზე ადის...

სამი ეუსებო ეჯახება სამ პელეს და სამ ბურთს ართმევს. დამტვრეული სამი პელე დგება და სამ ხელს ართმევს ერთ ეუსებოს...

ნერვები! ნერვები!..

არაფრისმთქმელი სითეთრე, აცეკვებული ღრუბლები, ზღვები, უდაბნო, უკუნეთი, შუაზე გაჩეხილი მსაჯი, ბურთისხელა სტადიონი, სტადიონისხელა ბურთი, ხუთი ბურთი, ხუთი პელე... სამი ბურთი, სამი პელე... ერთი ბურთი, ერთი პელე...

– კიდევ გაუტანიათ!

– როდის?

- აფსუს!
  - ეს რაღაა?
  - ვერ კითხულობ? „სარელო ხაზზე შეფერხებაა!“
  - როგორ მოხდა?!
- სარელო ხაზზე შეფერხება დიდხანს გრძელდება.
- დამთავრებულა.
  - ანგარიში?
  - ხვალ ვნახავთ გაზეთში!

\* \* \*

ინყება სხვა გადაცემა.

ვიღაც ლაპარაკობს, რომ ცუდ ღილს კარგი ღილი სჯობს, ცუდ აგურს – კარგი აგური, ულამაზო ქალს – ლამაზი ქალი, მოღუნულ ლურსმანს – სწორი ლურსმანი, უკულტურო კაცს - კულტურული კაცი!..

გამოსახულება ბრწყინვალეა, ხმა – ნორმალური!



## იბეჭდება მკითხველთა თხოვნით

### უცნაური

ეს იყო ოთხმოცი ათასი წლის წინათ.

ადამისა და ევას ცოდვილი ძვლები დიდი ხანია განისვენებდნენ ჯოჯოხეთის მესამე განყოფილების საძვალეში, ხოლო ღმერთს თავისი თავისთვის ჯერაც ვერ ეპატიებინა აყალო მიწისაგან თავის გასართობად პატარა, სასაცილო არსების გაკეთება. არსებისა, რომელსაც შემდეგ, ღმერთის დაუკითხავად, მაიმუნი უწოდეს.

მაიმუნებს უკვე კარგა ხანია შესცივნოდათ; ჩამოსულიყვნენ მიწაზე, დაეწყოთ ამართული სიარული, მოეძებნათ გამოქვაბულები, ესწავლათ ქვის იარაღის კეთება და მათს უზარმაზარ თავებში კარგა ხანია დანყებულყო დღემდე დაუმთავრებელი პროცესი ტვინის დანაოჭებისა. ტვინისა, ღმერთის მიერ შექმნილი მაიმუნის თავში მხოლოდ ერთადერთი ნაოჭი რომ გასდევდა (რომელსაც შემდეგ მეცნიერებმა გარეგანი გალიზიანების ცენტრო უწოდეს).

ადამის ბობოქარი შთამომავლობა ჯერაც არ ატარებდა უმამაცესი პაპის სახელოვან გვარს – ადამიანი.

...გამოქვაბულში მაშინაც ბნელოდა. ერთი გამოქვაბულის წინ უზარმაზარ ქვაზე ვიღაცას გაკრული ხელით ლურსმულ ენაზე გარკვევით ამოეკვეთა: „მარტორქაულის ტომი, მესამე კვარტალი, მეშვიდე კორპუსი, ბინა თოთხმეტი“. იქვე, გარეთ, ქვის ნაჯახი ეკიდა და ნაჯახზეც წარწერა იყო: „გამოქვაბული დაკავებულია, ვცხოვრობთ!“ ნაჯახის ქვემოთ, ქვის სარზე, თავის ქალა ჩამოეცვათ გადაჯვარედინებული ძვლებით. დაახლოებით ხუთი მეტრიდან, ეს თავის ქალა და ძვლები, ზუსტად ისეთ ანსამბლს ჰქმნიდნენ, როგორსაც დღეს მაღალი ძაბვის სვეტებზე მიკრული ნახატი-ფირფიტები წარწერით – „ხელი არ ახლოთ, სასიკვდილოა!“

მარტორქაულის მეუღლემ (ამ სიტყვას მაშინ დღევანდელზე უფრო ფართო გაგება ჰქონდა) ოთხივე აბეზარი ბავშვი ქვის სანოლის თავზე თავთავიანთი კუდებით მიაბა, მერე ჩამქრალ ღაღარში ჩაჯდა და ფიქრს მიეცა. რას ფიქრობდა იგი? ყველაზე კარგად შემონახული სამარხებიც კი არაფერს ამბობენ ამის შესახებ.

მარტორქაულის ტომს საკმაოდ დიდი კლდე ეჭირა, მაგრამ ეს კლდე მაინც ვერ აკმაყოფილებდა გამრავლებული ტომის წევრთა გაზრდილ მოთხოვნილებას. აი, მაგალითად, ჩვენი ნაცნობი გამოქვაბულის კედლები მეზობელი ბინებისაგან მხოლოდ რქიანი ბეჭემოთის ფარღალა ტყავებით იყო გამოყოფილი და საკმაოდ გარკვევით ისმოდა, თუ როგორ სცემდა მეზობელი თავის ცოლს, თუ როგორ ღრიალებდნენ ზედა სართულის ბინადარნი, რომელთაც, ალბათ, ბავშვის დღეობა ჰქონდათ.

გამოქვაბულთან ვიღაცამ ბოხი ხმით ჩაახველა. ცოლმა ხველებაზე იცნო ქმარი და ძალიან გაეხარდა მისი დაბრუნება.

მარტორქაული უგუნებოდ იყო. ჰქონდა კიდეც მიზეზი: დღევანდელ ნადირობას თითქმის უშედეგოდ ჩაევლო. ტომის განთქმულ მონადირეებს დღეს, სამი მამონტის, რვა დინოზავრისა და ოცი სპილოს მსგავსი კურდღლის მეტი, ვერაფერი მოეკლათ. თანაც, დაბრუნებისას, ვეფხვების ჯოგს წაწყდომოდნენ და თვით მარტორქაულს მხოლოდ ოთხი ხვადი ვეფხვი შემოხრჩობოდა ხელში.

– რა დღეა დღეს? – იკითხა მარტორქაულმა.

ცოლმა გაკვირვებით შეხედა ქმარს და ყრუდ უპასუხა:

– მთვარის დღე.

მარტორქაულმა ნაცარში ნახევარმთვარის მსგავსი კაჟი მოძებნა და კედლის ქვის კალენდარზე ჩამოკიდა.

ისევ ახმაურდა სიჩუმე.

მცვივანო, თქვა ცოლმა.



რა ჩემი ბრალიაო, შენუხდა ქმარი და ჩამქრალ ლადარში მამონტის ეშვით რაღაც მოხაზა.

ცეცხლი მაინც გვექონდესო, ანუწუნდა ცოლი.

რა ვქნა, მთელი დღე ტყეში გავატარე, მაგრამ, ჩემ ჯინ-აზე, არც ერთ ხეს არ დაეცა მეხი. ცეცხლს ამ ქვების ხახუნით ხომ ვერ გავაჩენო, თქვა მარტორქაულმა, ქვის იარაღი მოიხსნა და დასასვენებლად ნაცარში ჩაანყო.

ეს საუბარი რომ ათი ათასი წლით უფრო გვიან შემდგარიყო, მარტორქაულს უკვე ეცოდინებოდა, რომ ცეცხლის მოპოვება ქვების ხახუნითაც შეიძლება.

– მაჭმევ რამეს?

ცოლმა კუთხეში აყუდებული მამონტის სისხლშემხმარი ბარკალი ძლივძლივობით დაძრა ადგილიდან და ქმარს მუხლებზე დაუდო.

მარტორქაული ჭამას შეუდგა. პირველსავე ლუკმაზე იგი უსიამოვნოდ დაიღრიჯა და მამონტის ხორცი გვერდზე მოისროლა.

– რაა, ქალო, ეს? მწვადი ვჭამო მთელი დღის ნანანწალევმა კაცმა?!

– რა გაყვირებს, შე გადარეულო?! ცოტა ხანს მწვანილზე გავედი და ბავშვებს ცეცხლთან მოუჩორჩებიათ, მეორე მხარეზე ხომ არის უმი!

ქმარმა ისევ დაავლო ხელი მამონტის ბარკალს. ბარკალს მეორე მხარეზე ოდნავადაც არ შეჰხებოდა ცეცხლის ალი.

– როდინდელი ხორცია ეს? – იკითხა მარტორქაულმა ცოტა ხნის შემდეგ და ღრძილებში მაჯისსიმსხო კაჟის ლურსმანი გაირჭო.

– რა ვიცი. ალბათ, გუშინდელი იქნება.

– ახალი ხორცი ვერ გამოართვი?! (ახალი ხორცი მაშინ მხოლოდ იმ დღის ნანადირევს ერქვა).

– ამასაც ძლივს მივუსწარი. თუ გინდა, წაიღე, თუ არადა, ვინ გეხვენებაო, ასე მითხრა მხეცაძემ.

– ყინულში მაინც შეენახათ ამ ბიზონის არჩივებს! – ჩაილაპარაკა მარტორქაულმა და კიდევ ისეთი რამ თქვა თავისი ტომის მესვეურთა მისამართით, რომ გამეორება იმ ეპოქაშიც უხერხული იყო.

გამოქვაბულს მთვარის შუქი მოადგა.

მთვარე მაშინ კოსმოსური ხომალდიდან გადაღებული მთვარის მეორე მხარის სურათს ჰგავდა.

უგუნებობა! ჰქონდა მაშინ ადამიანს უნარი, დაავადებულიყო ამ საშიში სენით? თურმე ჰქონდა.

– მომწყინდა ყველაფერი! – განაგრძობდა მარტორქაული, – ამდენმა დაპირებებმა სული ამომართვეს. როდის გამოვალთ ამ ნესტიანი ბინიდან?! რა გახდა ჩემთვის ერთი იზოლირებული გამოქვაბული?!

– მარტორქაულის უხუცესებმა, ტომის ბელადის არჩევინას, ერთმანეთი კინალამ დახოცეს. ახლა კი სხედან თბილ გამოქვაბულებში და ჩვენი ნანადირევი ჩვენვე ვერ გაგვიყვია.

– ჩუმად, არვინ გვისმენდეს! – თქვა ცოლმა და გარეთ გაიხედა.

მარტორქაულს სული აუდუღდა.

– ტომში ათასი ვიგინდარა და მაიმუნია. უნდა გამოვეყოთ! მე ჩემი ოჯახი მინდა მქონდეს, გესმის?!

– რაო? ნაჯახი გინდა?

– ოჯახი! იცი, რა არის ოჯახი? აი, შენ მამონტოკიდან განა იმიტომ მოგიტაცე, რომ ყველას ემორჩილებოდე, ყველას ემსახურო?!

– ოჯახი... ჩემი... არ მესმის! – მხრები აიჩეჩა ცოლმა.

მაშინ თვით მარტორქაულმაც არ იცოდა, რა იყო ოჯახი. ღმერთი კი, გაკვირვებული ღმერთი, ახალი სიტყვის დაბადებას ინიშნავდა კაცობრიობის უშველებელ ლექსიკონში.

– დავიძინოთ! – თქვა ცოლმა.

– შენ დაისვენე! მე კი, აი, ის ფელეტონი უნდა შევა-მოკლო, გუშინ რედაქციიდან უკან რომ გამომატანეს! –

თქვა მარტორქაულმა, ქვის ნაჯახი აიღო და გამოქვაბულის კუთხეში დანყობილი უზარმაზარი ლოდებისაკენ წავიდა.

შუალამე იყო.

...მარტორქაულის ტომი ძილს მისცემოდა. მხოლოდ ერთ გამოქვაბულს ანათებდა ახალი მთვარე.

გამოქვაბულიდან კანტიკუნტად მოისმოდა ქვის ნაჯახის კაკუნი.



## გუნება

იჯდა იგი ჩემ გვერდით და მზესუმზირას არ აკნატუნებდა. თამაშის დანყებას ცოტალა აკლდა. ფეხბურთელები მოთელვას ამთავრებდნენ. ვათვალთვლებდი ჩემი მეზობლის განიერ პროფილს, ლაჟღაჟა ლოყებს, თვინიერ ძარღვებს კოტიტა თითებზე და, რატომღაც, ვფიქრობდი, რომ იგი იყო ვინრო გაქანების გულშემატკივარი და ღვინის ქარხანაში მუშაობდა დეგუსტატორად.

– რას იტყვით?! – ისე ჩვეულებრივად მკითხა მან, თითქოს დიდი ხნის წინ დანყებულ საუბარს განვაგრძობდით.

გაოცებით გავუღიმიე. მსურდა მეგრძნობინებინა, რომ პროგნოზები მეჯავრება, რომ მშვენიერი ამინდია და ჩვენებმა უთუოდ უნდა მოიგონ.

ის-ის იყო, მსაჯმა გუნდებს მოუხმო, რომ ჩემმა მეზობელმა მაჯაზე წაივლო ხელი და გულისტკივილით მითხრა:

– გული მტკივა... ფაქტობრივად ინფარქტი მაქვს!

მე ერთხელ კიდევ შევავლე თვალი მის დაცვარულ შუბლს, ლაბაბიან ნიკაპს და დავუჯერე. დიახ, ასეთებს გული ხშირად ტკივთ.

თამაში დაიწყო. „მელვინე“ ერთბაშად გამოცოცხლდა. როცა ჩვენები უტევენ, იგი სიხარულისაგან ზმუოდა და ისე ირხეოდა, თითქოს მოთამაშეთა ფეხებში გაბნეულ ბურთს უბერავსო სულს მოწინააღმდეგის კარისაკენ. როცა ბურთი ჩვენი კარისაკენ იზამდა პირს, „მელვინე“ საცოდავად წუნუნებდა, მაჯაზე ხელს მიჭერდა და მთხოვდა, მემუდარებოდა, ბურთისათვის მიმართულება შემეცვალა.

მხარზე კი არეულად მიკაკუნებდა მისი მშფოთვარე გული. პირველი ბურთი ჩვენებმა გაიტანეს.

არ დამინახავს ჩემი მეზობლის გახარებული სახე, რადგანაც გულმოდგინედ ვცდილობდი, თავი დამეცვა მისი მძიმე ხელებისაგან, ასე გამეტებულად რომ მცემდა. როცა ჩემს ყურებს ხმათა გარჩევის უნარი დაუბრუნდა, მე გავიგონე, რომ „მელვინე“ იცინოდა დედამინაზე უბედნიერესი კაცის სიცილით.

შესვენების დროს ჩემი მეზობლის მხარზე, ნებართვის გარეშე, მოკალათდა ცამეტი-ცხრამეტიოდე წლის ყმანვილი. შევხედე მის დაუფარცხნელ ქოჩორს, გაუბედავ ბუსუსებს მოშავო, თამამ სახეზე და ვერავინ დამარწმუნებდა, რომ ეს ბიჭი არ ეკუთვნის უბილეთოთა იმ მამაც არმიას, რომელთაც არა და არ ეშინიათ მალალი, ეკლიანი ღობის და, თუნდაც, იმ ღობის მიღმა მდგარი მკაცრი მილიციელის.

„მელვინემ“ ერთი კი შეათამაშა მხარი, მერე ბიჭს ახედა და რა შეატყო, რომ იგი მორცხვად იშმუშნებოდა, დაუყვავა:

– იყავი, ბიძია, თუ კარგად ზიხარ! ხელს არ მიშლი! ხომ ხედავ, ვიგებთ! უბილეთო ხარ, ხომ?

– ვხადნოი! – იცრუა ბიჭმა.

– რა ვუყოთ მერე! სხვა თამაშზე ნამდვილ ბილეთს იშოვი! კარგი ბიჭი ჩანხარ შენ, აქეთ გადმოდევი ფეხი, ა, ასე ბიძია!

„მელვინემ“ ხელი შეაშველა ყმანვილს და კისერზე ისე კეთილსინდისიერად დაისვა, როგორც ყოჩალი პაპები ისვამენ „აჩუ-აჩუს“ თამაშით განებივრებულ შვილიშვილებს.

ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ ადამიანი მგელი არ არის; ადამიანი ადამიანია!

მეორე ნახევრის პირველ წუთებში მოწინააღმდეგემ შეძლო ჩვენი კარის აღება! – ანგარიში გათანაბრდა!..

ჩემი მეზობელი ერთბაშად გაქვავდა. უაზროდ მიჩერებოდა რომელიღაც წერტილს, შორს, სადღაც, ტრიბუნებს ზემოთ. არაფერს ამბობდა და ველარც კი ვგრძნობდი მის გულისცემას.

– რა სივინროვია! – ჩავილაპარაკე, რათა გამეგო, იყო თუ არა ცოცხალი საერთოდ.

თითქოს ჩემს სიტყვას ელოდაო, ამღვრეული თვალებით ახედა ბეჭებზე გასულ უბილეთოს და შეუღრინა:

– ჩადი ძირს! თავზე დაგისვამ, შენი თავის ხეთქვამ!

ბიჭი წამოდგა, მაგრამ მოედნისათვის თვალი არ მოუცილებია.

„მელვინე“, თითქოს შარზეაო, არ მოეშვა:

– წადი აქედან! იმასაც გავიგებ, ვინ შემოგიშვა უბილეთოდ! აგახევ ყურებს, შე მამაძაღლო, შე! შენისთანებია, სახლებს რომ ძარცვავენ, მატარებლებს რომ აჩერებენ, ავტობუსში ბილეთს რომ არ ყიდულობენ! მე შენ გიჩვენებ, როგორ უნდა კისერზე დაჯდომა!

შეშინებული უბილეთო წავიდა და ათიოდე მეტრის იქით სვეტს მოეფარა.

„მელვინე“ კიდევ კარგა ხანს ილანძღებოდა – ხან მისამართით, ხან უმისამართოდ.

ამასობაში ჩვენებმა გაიტანეს გადამწყვეტი ბურთი და თამაშიც დამთავრდა!

მოვიგეთ!

...ათიოდე წუთის შემდეგ სტადიონის ვიწრო კარებში, სამოცი ათას მაყურებელთან ერთად, ორი კაციც გადიოდა. ლოყებლაყლაყა ღიპიან გულშემატკივარს ხელი გადაეხვია შავტუხა ბიჭისათვის და მხიარულად ესაუბრებოდა.



## კაცი

ბაზარს ბაზარი იმიტომ ჰქვია, რომ ყველამ ერთად იყაყანოს და აზრი გამოთქვას კერკეცა ნიგოზზე, თეთრ ბოლოკზე და წითლად აბრდღვიალებულ ინდაურზე. ინდაურზე, რომელიც სახით საოცრად წააგავს ლოს და ამ დროს არავითარი საერთო არა აქვს ალკოჰოლთან.

ბაზარი ხშირად ბაზრის გარეთაც იმართება, მაშინ მოთმინებიდან გამოსული კრების თავმჯდომარე შუა თითს აჭერს ზარს და აწრიალებულ ხალხს ეკითხება: „რა ბაზარია?!“ ნამდვილ ბაზარში კი არასოდეს არავის მოუთხოვია, დაწყნარდითო, თორემ მაშინვე გიჟად გამოაცხადებდნენ.

ნამდვილ ბაზარში, გრძელ დახლთან, ტიკჭორების გვერდით, მოკრძალებით დგას კაცი და ჰყიდის ღვინოს. მან, ალბათ, არ იცის რომ ძალიან ადრე ყიას ედ-დინ აბუ-ლ-ფათჰომარ იბნ იბრაჰიმ ხაიამ ნიშაბურმა თქვა:

„ისინი, ღვინოს გასაყიდად რომ იმეტებენ,

ვერ გამიგია, ღვინოზე კარგს რას იყიდნიან?!“

ალბათ, მხოლოდ ბაზარში შეიძლება კაცი სიჩუმით ყველასაგან გამოირჩეოდეს. სხვაგან ყოველთვის ხმაურით გამოირჩევიან, და ის კაცი, გრძელ დახლთან, ტიკჭორების გვერდით რომ დგას და ღვინოს ყიდის, ჩუმადაა. საკვირველია, რომ იგი არ აქებს თავის ღვინოს, არც მუშტარს მოუხმობს მომხიბვლელი ჰიპერბოლებით. ეტყობა, სულ არ ადარდებს, რომ ბაზარს მალე დაკეტავენ, ხოლო თვითონ ძალიან ცოტა ღვინო გაყიდა.

ამ ჩუმ კაცს უახლოვდება მეორე კაცი. მეორე კაცს საყელო აუნევია, ხელები ჯიბეში ჩაუნყვია და წარბებზე ჩამოფხატული ჭრელი ქუდიდან დიდი, წითელი ცხვირი მოუ-

ჩანს. ამ კაცს სულ არ აღონებს, რომ დიდი ცხვირი აქვს. ამ კაცს ცხვირის წითელი ფერი აფიქრებს მხოლოდ. და კიდევ ის აფიქრებს, რაც ძალიან იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება ცხოვრებაში: ზოგჯერ კაცს ღვინო გწყურია და ფული არა გაქვს. იგი თვალს არ აშორებს ტიკჭორას, რადგანაც ქუდის წინაფრის არაჩვეულებრივი სიგანის გამო მაღლა ვერასოდეს აიხედავს.

– ჰყიდი? – ხმადაბლა ეკითხება დიდი, წითელი ცხვირის პატრონი ღვინის პატრონს.

ღვინის პატრონი თავს უქნევს და ცხვირის პატრონი თვალს რომ მოაშორებდეს ტიკჭორას, დაინახავდა, რომ ღვინის პატრონი თავს უქნევს.

– კარგი ღვინოა?!

– რა ვიცი, მე მომწონს!

– გაკეთებული ხომ არ არის?

– გაკეთებულიც არის და მოტანილიცა!

– მე გეკითხებით, ნაშაქრი ხომ არ არის-მეთქი!

– რას ამბობ, კაცო?! – და ღვინის გამყიდველი არ იფიცებს თავის შვილებს, არც იმას ამბობს, ეს მარჯვენა შემახმეს, თუ ამ ღვინოში ერთი გრამი შაქარი შემერიოსო. ეს ყველაფერი ეჭვს ბადებს მყიდველის გულში. ამასობაში მეღვინემ შავი, სქელი ღვინით ჭიქა გაავსო და გაუწოდა. მუშტარმა გემო გაუსინჯა ღვინოს, ცოტა ხანს დაფიქრდა და სულმოუთქმელად გადაჰკრა.

ორივენი ჩუმად არიან.

ღვინის გამყიდველი სწრაფად ავსებს მეორე ჭიქას.

– აბა, ერთი ჭიქით ღვინოს რას გაუგებ! გადაჰკარ ესეცა!

მუშტარი ჭიქას დასწვდა, სინათლეზე გახედა და მეორე ჭიქა რომ დალია, წითლად შეღებულ უღვაშებზე ხელი შეინმინდა.

– მაგარი არ უნდა იყოს, – თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა მან.



– აბა, ერთიც დამილიე და ნახავ, მაგარია თუ არა!  
ღვინის მყიდველმა გადაჰკრა მესამე ჭიქაც და ისევ ჩუმად არის.

– ცოტა ხანს ამეებს მიმიხედე, მწნილი და პური მოვიტანო!.. ნაშაქრიო?! ჰაი, დედასა! – ამბობს მეღვინე და დამღუღრულივით გარბის.

მუშტარი ფიქრებს ჩაუღრმავდა. შევცქერი და დედას ვფიცავარ, არ ვიცი, რაზე ფიქრობს. მე, საერთოდ, ვერაფერი გავუგე ამ მუშტარს.

მერე ღვინის გამყიდველი ბრუნდება და ელვის სისწრაფით იცლება ჭიქები...

როცა მუშტარი მეათეჯერ დაწვდა მწნილს და ნასვლა დააპირა, მეღვინემ სახელოში ჩასჭიდა და შეეხვეწა:

– შე კაი კაცო, გულნატკენს ნუ დამტოვებ, ღვინოს ბოლომდე უნდა მიჰყვე, რომ გაიგო, კარგია თუ ცუდი!

მუშტარმა ოთხი ჭიქა კიდევ დალია. მერე, როგორც იქნა, მოაშორა ტიკჭორას თვალი, ქუდი შუბლს ზემოთ აიწია, უკან ბარბაცით გადადგა ორიოდ ნაბიჯი და მეღვინეს მთვრალი კაცის ღიმილით შეაგება:

– კარგი ღვინოა!

მეღვინე სწრაფად მოსწყდა ადგილს, მუშტარს მივარდა, სიხარულისაგან ათრთოლებულმა, გულში ჩაიკრა, ზედ უშველებელ წითელ ცხვირზე აკოცა და უთხრა:

– აგაშენა ღმერთმა!

მუშტარმა ისევ ჩაიწყო ჯიბეში ხელები, ისევ ჩამოიწია ცხვირზე ქუდი, ღვინის გამყიდველს გამოემშვიდობა და გასასვლელისაკენ ფეხებს ხელებიც მიახმარა.

ღვინის გამყიდველი ღიმილით შესცქეროდა მიმავალს. იგი უსაზღვროდ, უსაზღვროდ ბედნიერი იყო.



## პირუტყვი

ღრუბლიანი ცის ქვეშ, ქარიან ფერდობზე, ძროხა ბალახობდა.

ბალახი იყო გვიანი შემოდგომის, ძროხა – ფერმის.

ძროხას შესცივდა და მოეჩვენა, რომ ბალახს ჩალის გემო ჰქონდა; მან ყინვისგან აკანკალებული ჰაერი მძიმედ ჩაისუნთქა და თავქვე დაეშვა.

ნანვიმარ ფერდობს ღრმად აჩნდებოდა უნალო საქონლის ნაკვალევი.

ძროხამ ორსართულიან შენობაზე მიდგმული ოთხსართულიანი კიბის ყველა საფეხური ადამიანზე უფრო სწრაფად აიარა და კოლმეურნეობის ფერმის გამგის კარი რქებით შეაღო.

– რა მქვია მე? – ზმუილით ჰკითხა მან ფერმის გამგეს.

ფერმის გამგეს არ გაჰკვირვებია მისი შეკითხვა.

– მსხვილი რქიანი პირუტყვი.

– ვარ თუ არა საქონელი?!

– კი, ბატონო, საქონელი ბრძანდები! – შემკრთალი ღიმილით დაეთანხმა გამგე და შიშით შეათვალიერა ძროხის ნვეტიანი და ღონიერი რქები. გამგეს მოეჩვენა, რომ ის რქები სრულებით არ ჰგავდნენ ყანნებს.

... ფერმის გამგემ და ფერმის ძროხამ იმ დღეს ძალიან დიდხანს ისაუბრეს.

ამბავი კი მეორე დღეს დაინყო:

კოლმეურნეობის თავმჯდომარის კაბინეტში უხმოდ ისხდნენ და სარკმლიდან გაჰყურებდნენ მოახლოებულ ზამთარს.

რამ დაგამუნჯათო, იკითხა თავმჯდომარემ.

მართლაც და, რა ჩუმად ვზივართო, კვერი დაუკრა მოადგილე.

ქვემოდან რაიმე წინადადება ხომ არ არისო, კვლავ იკითხა თავმჯდომარემ.

ფერმის გამგე, სხვა შემთხვევაში, დუმილს არჩევდა, მაგრამ მან ერთხელ კიდევ გაიხსენა ორი ბასრი რქა მომთხოვნი ძროხის მრისხანე შუბლზე და ამოილაპარაკა:

– ფერმის საქონელი საზამთრო სადგომებს მოითხოვს!..

კოლმეურნეობის გამგეობის სხდომაზე ცხოველი, შემოქმედებითი კამათი გაიმართა.

კამათის დასასრულს გამგეობა გადაიღალა, ბევრმა საკუთარი აზრი უკანვე დაიბრუნა და საბოლოოდ ერთმანეთის პირისპირ დადგა ორი პოზიცია:

„ფერმის საქონელს სჭირდება საზამთრო ბინა!“ – ასე აყალიბებდა თავის აზრს კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

„აუცილებლად სჭირდება!“ – ასეთ ფორმულირებას აწვებოდა თავმჯდომარის მოადგილე. მოადგილეს ფერმის გამგეც უჭერდა მხარს ოდნავ შეცვლილი ფორმულირებით: „უბინაოდ საქონელი დაილუპება!“

კამათი, ალბათ, კიდევ დიდხანს გასტანდა, რომ ვილაცას არ ეთქვა:

– საკითხი ღიად დარჩეს, სხვებსაც მოვეთათბიროთ!

... და, აი, გაჩაღდა მოძრაობა ცხოვრების მიერ დღის წესრიგში დაყენებული ამ რთული საკითხის განსახილველად.

საკოლმეურნეო კედლის გაზეთები სისტემატურად ბეჭდავენ გამომხაურებებს სათაურებით – „საზამთრო სადგომების მისადგომებზე“, „უბინაობას სჯობს ბინიანობა“, „ზამთარში თოვლი მოდის“ და ა. შ. „პირუტყვი პირუტყვია“ – ამ სათაურით გამოქვეყნდა კედლის გაზეთის რედაქტორის მოწინავე სტატია, რომელშიც ავტორი გულდასმით ამტკიცებდა, ძროხას ფრთები არა აქვს და, ამ უბრალო მიზეზის გამო, თბილ ქვეყნებში ვერ გაფრინდებაო. ადგილობრივი გაქანების პოეტებმა შექმნეს ლექსების ციკლი „უსახლკაროს“

მოტივებზე, ხოლო სოფლის ვეტექიმი გამოვიდა მეთოდური წერილით – „საქონლის გრიპიანობის შესახებ“.

„პროჟექტორმა“ მოაწყო რეიდების სერია დევიზით – „პირუტყვის საზამთრო გამოცდილების შუქზე“.

ერთი სიტყვით, ნიადაგი თითქმის მზად იყო ცხოველთა საბინაო მშენებლობის კომპანიის გასაშლელად.

ქალაქიდან სპეციალურად გამოწერილმა ლექტორმა ნაიკითხა ლექცია – „მეფისდროინდელი პირუტყვის გამოზამთრების ნაკლოვანებათა გენეზისის შესახებ“ და, ყოველივე ამის შემდეგ, დაინიშნა კოლმეურნეთა საერთო კრება.

აქტივისტები სამ დღეს მუშაობდნენ ღონისძიების პროექტზე.

კრებას ესწრებოდნენ სოფლის ჩირაღდნები, სიმწიფის ატესტატით პირდაპირ ფერმაში მოსული ყოჩაღი ბიჭები, მონინავე მწყემსები, გამოსწორებული ყოფილი მეჩრდილიები, გამოუსწორებელი ზარმაცები (თვითონვე რომ დაუკარგავთ საკუთარი თავის იმედი). კრებას ისინიც კი ესწრებოდნენ. კოლმეურნეობის მინდვრებში მხოლოდ მოსავლის აღების დროს რომ გამოჩნდებიან და ისიც ღამით.

კრებამ მიიღო დადგენილება და გამოჰყო კომისია, რომელსაც პირუტყვთა საზამთრო სადგომებისათვის ადგილი უნდა შეერჩია.

კრებამ გამოჰყო მეორე კომისიაც, რომელსაც უნდა შეემონებინა პირველი კომისიის მიერ შერჩეული ადგილის ვარგისიანობა.

კრებამ გამოჰყო მესამე კომისიაც, რომელსაც თვალყური უნდა ედევნებინა პირველი და მეორე კომისიების მუშაობისათვის.

კრებამ გამოცდილი კადრების უკმარობის გამო დროებით შეაჩერა მეოთხე კომისიის შექმნა...

პირველი კომისია შეუდგა მუშაობას და ზამთარიც მოვიდა, მეორე კომისიამ შუა ზამთარში ჩაიბარა საქმეები, ხოლო

როდესაც მესამე კომისიამ საზამთრო სადგომების ასაშენებელი ადგილი დააზუსტა, ზამთარი უკვე თეთრ კალთებს იკეცავდა.

გაზაფხულდაო, ჩაილაპარაკა ვილაცამ კოლმეურნეობის თავმჯდომარის კაბინეტში.

კამათი არ ამტყდარა.

– საზამთრო ბინის ნაცვლად ძროხას საზაფხულო ბინა ავუშენოთო, – შემოიტანა წინადადება თავმჯდომარის მოადგილემ.

მაგრამ ძროხას უკვე აღარ სჭირდებოდა არც საზამთრო და არც საზაფხულო სადგომი.

ფერმის ღობეზე გადაკიდებული მისი უშველებელი ტყავი გაფრთხილებას ჰგავდა.



## ბაზეთური სუმრობა

მშრომელმა გაზეთს წერილი გამოუგზავნა: „ვანუას სახლს ცეცხლი უჩნდებოდა. ამ დროს იქ გაჩნდა ზაქრუა და ვანუა გააფრთხილა, შენს სახლს ცეცხლი უჩნდებაო. მ ნ ყ ე რ კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ტ ი“.

გაზეთმა მიიღო მშრომელის წერილი და ასე გადააკეთა: „მშვენიერი საღამო იყო. ჩამავალი მზის სხივები აღმაცერად ეცემოდნენ მაღალ-მაღალი ალვებისა და ბლის კენწეროებს. წველას დანატრებული საკოლმეურნეო ნახირი შინ ბრუნდებოდა. გრილი სიო გულმოსულად ჩაუვლიდა საკარმიდამო ნაკვეთებს, ხოლო საკოლმეურნეოებს ეალერსებოდა, ეფერებოდა, თავზე ხელს უსვამდა, ჰკოცნიდა. მკერდსავსედ გამოიყურებოდა ანგამოსწორებული მაკვარანცხიანთ გიჟუას ჩამორთმეული ეზო. ვერცხლისფრად განათებულ ასფალტზე, ფანდურებით ხელში, კლუბისაკენ მხნედ მიაბიჯებდნენ მარად ახალგაზრდა, დაუბერებელი, ჩვენი სახელი და დიდება ქალ-ვაჟები, მათ შორის იყვნენ სტახანოველები და გაგანოველები, ყამირელები და ზაგლადელები, შუქურები და ჩირაღდნები. დიახ, შენიღბული მტრის გულგასახეთქად შინაარსიანად ისვენებდა დღიური შრომით დაღლილი სოფელი.“

და ამ მშვენიერ საღამოს, როცა ჩამავალი მზის სხივები აღმაცერად ეცემოდნენ მაღალ-მაღალი ალვებისა და ბლის კენწეროებს, როცა წველას დანატრებული საკოლმეურნეო ნახირი შინ ბრუნდებოდა, როცა მკერდსავსედ გამოიყურებოდა ანგამოსწორებული მაკვარანცხიანთ გიჟუას ჩამორთმეული ეზო, როცა ვერცხლისფრად განათებულ ასფალტზე ფანდურებით ხელში მხნედ მიაბიჯებდნენ მარად ახალგაზრდა, დაუბერებელი ჩვენი სახელი და დიდება ქალ-ვაჟები,

როცა შენიღბული მტრის გულსახეთქად დიახაც შინაარსიანად ისვენებდა დღიური შრომით დაღლილი სოფელი, უეცრად, ჩვენს იდეოლოგიურ მოწინააღმდეგეთა გულგასახარად, ვანუას სახლს ცეცხლი გაუჩნდა. „ვანუა ინვებაო!“ – იხუვლა მძინარე სოფელმა და ვანუას ცეცხლგაჩენილ სახლისაკენ დაიძრა დოქებითა და ნიჩბებით ხელში!.. გამორბოდნენ შუკებიდან და ეზოებიდან, ახტებოდნენ 1,75-მეტრიან ლობეებს და ექვსმეტრიან თხრილებს, გამორბოდნენ ნახევრადმძინარენი და მძინარენი, ჩაცმულნი და ჩაუცმელნი, ავადმყოფნი და ნაავადმყოფარნი. ცეცხლი კი, ეს შეუგნებელი, ბრმა სტიქია, მალლა ინევდა. კომკავშირულმა პროჟექტორმა დაწვის პროცესში მყოფ ვანუას სახლს პროჟექტორი მიუშვირა, რედკოლეგიამ სახელდახელოდ გამოსცა „ელვა“. მშრომელებმა კი (აი, დოქებითა და ნიჩბებით რომ გამორბოდნენ და 1,75-მეტრიან ლობეებსა და ექვსმეტრიან თხრილებს რომ ახტებოდნენ) აიძულეს ხანძარი, უკან დაეხია. ცეცხლი მაინც ლოკავდა შავად განათებულ ზეცას. ამ დროს საიდანღაც გაჩნდა ზაქრუა და უძლიერესი ნახტომით ცეცხლში შევარდა...

ზაქრუა სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებულია ქების სიგელით – „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“.

გაკვირვებულმა მშრომელმა მალე გაზეთში მეორე წერილი გამოგზავნა: „ძვირფასო რედაქცია! ჩემს მეზობლად ცხოვრობს სანდრუა. სანდრუა უცნაური კაცია. მას შეუძლია, ორივე ხელით ერთდროულად წეროს და ხატოს, შეუძლია, ცალი თვალით იცინოს და ცალით იტიროს. სანდრუა გვიმრით იკვებება. სანდრუას შეუძლია, კაცი შუაზე გახერხოს და მერე გაამთელოს. ჭამის დროს სანდრუა არასოდეს ხმარობს ჩანგალს. სანდრუა ხელმოუკიდებლად ადის ტელეგრაფის ბოძებზე და მავთულებზე მონყენილი სახით დადის. სანდრუა ოცი დღე ძლებს თავდაღმა დაკიდული. იგი ჰაერში, თვითმფრინავის გარეშე, თვითმფრინავის სისწრაფით დაფრინავს. სანდრუას შეუძლია, გაფრენილ შევარდენს დაეწიოს და მდი-

ნარე აღმა აღინოს. ამის გამო სანდრუა ყოველდღიურ დავა-  
ლებას დიდი გადაჭარბებით ვერ ასრულებს. მ ნ ყ ე რ კ ო რ  
ე ს პ ო ნ დ ე ნ ტ ი“.

გაზეთმა მიიღო მშრომელის მეორე წერილი და იგი ასე-  
თი სახით გამოაქვეყნა: „სოფელში მცხოვრებ სანდროს, რო-  
მელიც ყოველდღიურ დავალებას ვერ ასრულებს, ჩანგალი  
არასოდეს უხმარია“.

მწყერკორესპონდენტს სხვა წერილი არ გამოუგზავნია.





## სენტიმენტალური სიმართლე

ისინი საზოგადოებრივი თავშეყრის ერთ მიტოვებულ ადგილას ისხდნენ და უცერემონიოდ ჩამავალ მზეს შეჰყურებდნენ. ვაჟი ამ წუთზე მთელი ცხოვრება ოცნებობდა. ქალს კი ამ წუთზე არასოდეს უოცნებია (ქალს ისედაც ბევრი რამ ჰქონდა საოცნებო). კაცს წლების განმავლობაში ენერგიულად უყვარდა ეს ქალი და, როგორც იქნა, დაიმარტოხელა. ქალს კი სრულებით არ უყვარდა ვაჟი, რადგან მან იცოდა, რომ ვაჟს წლების განმავლობაში უყვარდა იგი აუჩქარებლად, მოთმინებით, გარეგანი გამოვლინების გარეშე. ქალი, ყოველ შემთხვევისათვის, ჩუმად იყო და ვაჟს სიყვარულის გამომჟღავნების ყოველგვარ პირობებს უქმნიდა. ვაჟი აგვიანებდა.

– რა მშვენიერი საღამოა! – თქვა ქალმა.

– მე კი ვფიქრობ, სრულია ჩვეულებრივი საღამოა! – თქვა ვაჟმა.

ვაჟი მართალი იყო.

– ამაღამ განვიმდება! – თქვა ქალმა.

– ამაღამ არ განვიმდება, ღრუბლები მაღლა იწვევენ და ზენა ქარი უბერავს! – თქვა ვაჟმა.

ვაჟი მართალი იყო.

– რა წითელია აღმოსავლეთი! – თქვა ქალმა.

– თქვენ ცდებით! ეგ აღმოსავლეთი კი არა, სამხრეთია, თანაც წითელი კი არ არის, ქარვისფერია! – თქვა ვაჟმა.

ვაჟი მართალი იყო.

– ამაღამ მთვარე არ ამოვა! – თქვა ქალმა.

– მთვარე ყოველთვის ამოდის, ოღონდ, ზოგჯერ, ღრუბლები ფარავენ! – თქვა ვაჟმა.

ვაჟი მართალი იყო.

– რა იდუმალი შრიალი იცის ამ ცაცხვმა! – თქვა ქალმა.

– ეგ ცაცხვი არ არის, მუხაა! – თქვა ვაჟმა და თავისი სიმართლე ნივთიერი მტკიცებით რომ გაემაგრებინა, ბალახებში ხიდან ჩამოცვენილი რკო აკრიფა და ქალს გაუნოდა.

– ნახე, მერცხლები მიფრინავენ! – თქვა ქალმა.

– ისინი მერცხლები არ არიან, მერცხლების უკანასკნელი ეშელონი თორმეტ აგვისტოს მიფრინავს, ახლა კი ოქტომბერია! – თქვა ვაჟმა.

ვაჟი მართალი იყო.

– ცა მონმენდილია და თითქოს წვიმს, მხრები დამისველდა! – თქვა ქალმა.

– ეგ წვიმა არ არის, ნამია! – თქვა ვაჟმა.

ვაჟი ამჯერადაც მართალი იყო.

ქალს მეტი არაფერი უთქვამს, ვაჟიც, რა თქმა უნდა, ჩუმად იყო, რადგანაც ქალი არაფერს ამბობდა.

უეცრად ქალი აქვითინდა. იგი დასტიროდა დაკარგულ იმედებს და დატანჯულ სალამოს. გაუმხელელ სიყვარულს დასტიროდა იგი და მთელი ქვეყნის საყვედურს აგროვებდა ამ საცოდავი ვაჟის თავზე.

მერედა, ეს არის საქმე? ვაჟი ხომ ყველაფერში მართალი იყო?!



## ჰაერი

„დიდი სამყაროს პარალელურად, რომელშიც დიდი ადამიანები და დიდი საგნები არსებობენ, არის პატარა სამყაროც, პატარა ადამიანებითა და პატარა საგნებით“.

ილფი და პეტროვი, ოქროს კერპი“.

საღამოობით ფანჯრის გაღების საშუალება ყველას არა აქვს. ზოგს გაცივების ეშინია, ზოგს მინის გატეხვის, ზოგს მეზობელი არ აძლევს ნებას, ზოგიერთის ძველ ბინას ფანჯარა, საერთოდ, არ გააჩნია.

ჩემს ოთახს ოთხი კედელი აქვს და – არც ერთი ფანჯარა. როგორც ეტყობა, თავიდან ჩემი ოთახი არ იყო გათვალისწინებული ისეთ ოთახად, რომელსაც შეიძლება ფანჯარა ჰქონდეს.

ამიტომ, თანდაყოლილი ინსტინქტის ხათრით (რომელიც საღამოობით ფანჯარაზე გადმოდგომას გვიკარნახებს) მე გადავწყვიტე შევიძინო ფანჯრის ჩარჩო და დავაყენო კედლის ადგილას, ხოლო კედელი, ფანჯრის ჩარჩოს ადგილას, გამოვანგრიო.

ჩემი ფანჯარა არავის ავნებს. იგი ჩემს პატარა ოთახში შემოიტანს ქუჩის ხმაურს და დიდი ქალაქის გადაღლილ ჰაერს.

\* \* \*

- ეს რა არის? – მკითხა სახლმმართველმა.
- ფანჯრის ჩარჩო!
- რომელი ფანჯრის?
- პირველის!

– კი მაგრამ, რატომ იყიდე მაინცდამაინც ფანჯრის ჩარჩო და არ იყიდე, ვთქვათ, ურმის თვალი ან რკინიგზის რელსი?

– ყველაფერს ერთბაშად ხომ არ შევიძენ?!

– მაინც ვის უნდა წაუღო ფანჯრის ჩარჩო?

– მეგობარს, დაბადების დღეზე უნდა მივართვა!

– რომელ მეგობარს?

– მეორეს.

– არა, მართლა?

– ეს ფანჯრის ჩარჩო სამუდამოდ ჩემთან დარჩება და თავის პირდაპირ დანიშნულებას შეასრულებს.

– დარწმუნებული ხარ?

– სავსებით.

– მე მგონი, ადამიანს ფანჯრის ჩარჩო ორ შემთხვევაში სჭირდება – პირველი: მას უნდა ჰქონდეს ფანჯარა, ძველი, გაცვეთილი ჩარჩოთი, რომელიც გამოცვლას მოითხოვს, ან უნდა ჰქონდეს ფანჯარა ჩარჩოს გარეშე.

– სწორია! მე, რა თქმა უნდა, არ ვეკუთვნი იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებიც ფანჯრის ჩარჩოს ჭამენ ან ლოგინში იწვენენ. მე პატიოსანი კაცი ვარ. გამოვანგრევ ამ კედელს და, ამ კედლის ადგილას, ჩავსვამ ამ ფანჯრის ჩარჩოს.

– რას გამოანგრევ?

– კედელს!

– რას ჩავსვამ?

– ჩარჩოს!

– რომელ ჩარჩოს?

– ამ ჩარჩოს!

– რომელ კედელში?

– ამ კედელში!

– მერე? თანხმობა?

– რისი თანხმობა, კედლის თუ ჩარჩოსი?

– მეზობლის!

– რომელი მეზობლის?

– რომელიც შენ პირდაპირ ცხოვრობს!

ჩემ პირდაპირ კოლია იოსელიანი ცხოვრობს. კოლია ურიგო კაცი არ უნდა იყოს.

ჩემი ფანჯარა კი არავის ავნიებს. იგი ჩემს პატარა ოთახში შემოიტანს ქუჩის ხმაურსა და დიდი ქალაქის გადაღლილ ჰაერს.

\* \* \*

„მე, ქვემორე ამისა ხელის მომწერი, ბეჟან იოსელიანი, ოჯახის მთელი შემადგენლობით, თანახმა ვარ, რათა ჩემ პირდაპირ მცხოვრებმა, მოქალაქე ს. ბუხაიძემ გამოჭრას ფანჯარა თავის კუთვნილ კედელში, რასაც ვადასტურებ...“

კოლია იოსელიანს ხელის მოსაწერი ადგილი დაუჭოვე და სწორედ მკვდარი საათის დამთავრების შემდეგ მივაღეძე.

– შეიძლება?

– მობრძანდით!

– შინ არ მცალია! თუ შეიძლება, ხელი მომიწერეთ!

– მობრძანდით!

– არ მცალია, ხელი მომიწერეთ!

– კაცო, შემოდი, პატარა ყელი გავისველოთ!

– არ ვსვამ, ხელის მონერა მინდა!

– ნუ დაღევ, შემოდი, ვილაპარაკოთ!

– არ მცალია, ხელია მოსაწერი!

– ბორჯომი მაინც დავლიოთ!

– არ ღირს. ხელია მოსაწერი!

– კი მაგრამ, მემდური, შე კაცო?

– არ გემდურით!

– აბა, მეზობელთან არ შეისვლება?

– როგორ არ შეისვლება.

– ჰოდა, თუ შეისვლება, რა ვალი მაქვს შენი ამისთანა იქნებ, არ მკადრულობ?

– როგორ არ გკადრულობთ!

- გეხვეწო ახლა, ვითომ, შენი ჭკუით?
- რა გაქვთ შესახვეწი!..
- აბა, ღმერთო კი მომკალი...
- რა მოგივიდათ?
- მე არაფერი არა მომსვლია, თქვენ რა მოგივიდათ?
- სიცხეა ცოტა და...
- მარტო ჩემთვის არ არის სიცხე, შენთვისაცაა და, საერთოდ, არ უნდა მკადრო ამხელა კაცს, არ მეკუთვნის შენგანი!..
- მე საქმეზე მოვედი!
- საქმეზე დავდივართ ყველა!
- რა თქმაა ახლა ეგ, ვითომ?
- რა იყო?
- აბა, რა ლაპარაკია, ვითომ?
- რა რა ლაპარაკია?! შენ ხომ არაფერი გელანდება?!
- რატომ მიყურებთ ასე?
- შენ სხვანაირად მიყურებ, ვითომ?
- ასე იყოს?
- როგორც გინდა!
- რას მეჩხუბები, შენ, ხომ არაფერი გიკვირს?!
- მე მიკვირს, ვითომ?!

ჩვენ ვდუმვართ და მოწყენილი სახეებით შევყურებთ ერთმანეთს. ჩვენს ცხვირებს შორის მანძილი თანდათან პატარავდება. მე მის თვალებში ვხედავ ჩემს გაბრაზებულ თვალებს, მინდა მოვკიდო საყელოში ხელი, შევანჯღრიო და ყურზე ვუკბინო. ანალოგიურად ფიქრობს ისიც ჩემზე. ნამდვილ ჩხუბს ყოველთვის ერთი ლოგიკა აქვს მოპირდაპირე მხარეთათვის.

- მომიწერეთ ხელი!
- რაზე მოგიწერო?
- კედელი უნდა გამოვანჯრიო!
- მერე?
- ფანჯარა უნდა გამოვჭრა!

- ბატონო?!
  - შენს მხარეზე მინდა გავაკეთო!
  - და გიყურო ყოველ დილით, ხომ?
  - ვინ გაძალებს?!
  - კარგი მეზობლისთვის კაცი წყალში ჩადგება!
  - მე თავს არ გაყვარებ. მე სუნთქვა მინდა!
  - ისუნთქე, მერე!
  - ფანჯარა მინდა!
  - მეც ბევრი რამ მინდა, მარა სადაა?!
  - ესე იგი, არ მიწერთ ხელს?
  - შენც არ მომიკვდე!
  - რა მეზობელი ხარ?!.
  - რა კაციც შენ ხარ!
  - შენისთანა მეზობელს გამარჯობა კი არ უნდა უთხრა, ბომბი უნდა დაუდო კიბის ქვეშ!
  - შენისთანა მეზობელს ფანჯარა კი არა, კარიც უნდა ამოუშენო როცა სძინავს!
- მე კიბეზე დავეშვი და მთელი ღამე საშინელ სიზმრებს ვხედავდი.

\* \* \*

გავიდა ერთი თვე.

\* \* \*

„მე, ქვემორე ამისა ხელის მომწერი, ბეჟან იოსელიანი, ოჯახის მთელი შემადგენლობით, ვკისრულობ ვალდებულებას, რათა ჩემს პირდაპირ მცხოვრებ ადამიანს – ს. ბუხაიძეს საჩუქრად გადავცე მთელი ჩემი უძრავ-მოძრავი ქონება და მე თვითონ საცხოვრებლად გადავიდე მის ერთოთახიან, უფანჯრო ბინაში. ამასთან ერთად, პირობას ვდებ, მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრების განმავლობაში ზემოაღნიშნულ ს.

ბუნაიძეს ერთგულად ვემსახურო: გავეგზავნო „ბორჯომზე“, გავუპრიალო იატაკი, მის მაგივრად დავესწრო ყველა კრებას და, თუ მოისურვებს, თავდაღმა ვიარო, თუ დამავალეებს, მინა ვჭამო და ჭერზე ჭალად დავეკიდო, რასაც ვადასტურებ...”

ბეჟან იოსელიანს ხელისმოსანერი ადგილი დაუტოვე, ნაწერი გადავათეთრე და სწორედ მკვდარი საათის წინ მივაღექი.

– გამარჯობა, ბეჟან!

ბეჟანმა კარები გამოალო და შეეტყო, იხანა. კიდევ წამიც და ზურგს მიჩვენებდა, მაგრამ კარებში ფეხი დაუფხვედრე და დაველრიჯე:

– რა იყო, შე კაცო?! მეზობელი ვარ, შემომიშვი სახლში!

– მობრძანდი!

შევედი და დივანი მოვძებნე.

– ცხელა დღეს.

– ცხელა. – ჩაილაპარაკა ბეჟანმა და გამომცდელი მზეერა ერთხელ კიდევ მესროლა.

– სხვა, ხომ კარგად?

– კარგად.

– ბავშვები როგორ სწავლობენ?

– რა ვიცი, სწავლობენ.

– უფროსი რომელშია ახლა?

– მეშვიდეში.

– უმცროსი?

– მეოთხეში.

– ქალბატონი ჟენია კარგადაა?

– რა უჭირს.

– იმ დღეს ვხედავდი, ბაზრიდან მოდიოდა.

– ჰოო...

– ვერ მოვიცალე ერთი. მინდა შემოვლა ყოველ საღამოს, ვილაპარაკოთ! გაგიგონია? აწი უნდა დავთქვა, ყოველდღე მოგაკითხავთ, გავიგებ, რას შვრებით, როგორა ხართ; ეგება, უჭირს მეზობელს რამე!



- სწორია, მეზობლები ვართ.
- შენ სახლში ხარ დღეს მთელი დღე?
- ახლა მოვედი სამსახურიდან.
- დაღლილი იქნები.
- კი, დაღლილი ვარ.
- მეც ვიღლები ძალიან. მართალია, რომ ამბობენ?
- რას?

- დელფინი ადამიანზე უფრო გულისხმიერი და უფრო ალღოიანი...

ბეჟანი გაჩუმდა, ეტყობა, რთული რალაც ვთქვი. მან საყელო გაიხსნა და ნიკაპს დაუნყო წვალემა, მე სავარძლიდან დივანზე გადავინაცვლე.

- სულ მინდოდა მეკითხა და ვერ მოვიცალე. შენ თვითონ რავა ხარ?

- რა მიჭირს.
- ხომ არაფერს უჩივი?
- არა.
- გული არ განუხებს?
- მანუხებს ხანდახან.
- გული ახლა ყველას ანუხებს.
- ა? ჰო!

ბეჟანს მთქნარება აუტყდა და წამდაუნუმ საათს დასცქერის.

- ბეჟან!
- ბატონო!
- თავს მოუარე იცოდე! აღარ სვამ?
- ვსვამ ხანდახან.

ორივენი გაჩუმდით. გადის დრო და ვერასოდეს ვერავინ ვერ გაიგებს, რაზე ვფიქრობთ ახლა.

- ბეჟან!
- ჰო!
- ეს შპალერი გერმანულია?
- მგონი.

– ვის გააკეთებინეთ?

– რა ვიცი...

ბეჟანს სიბრაზისაგან ცხვირის მარცხენა ნესტო უცახ-  
ცახებს.

– დამალევინებ რამეს? – ვეკითხები.

\* \* \*

ჩვენ ვსვამთ. ვსვამთ პატარა ჭიქებით და ვლაპარაკობთ ყველაფერზე დანვრილებით. მე საოცრად ცნობისმოყვარე მეზობელი ვჩანვარ. ვლაპარაკობთ ამინდზე, ვლაპარაკობთ ლატარიის ბილეთებზე, ვლაპარაკობთ თევზსაჭერ გემზე, ვლაპარაკობთ წვიმაზე, სიკვდილზე, ფულზე...

ხუთი საათი გავიდა. ბეჟანი ფიქრობს ჩემს წასვლაზე, მე არ ვფიქრობ. ჯიბიდან ქალაქის ვიდეო და ისევ ვინახავ.

– ეს რა ქალაქია?

– არაფერი, ისე.

– მაინც?

– არაფერი, შე კაცო!

– კარგია კარგი მეზობელი!..

– კარგ მეზობელს არაფერი ნამჯობარა!

– ასე არ ჯობია? შემოხვალ, ვილაპარაკებთ, გავერთობით!

– რა თქმა უნდა. მიკვირს, აქამდე როგორ ვერ მოვიფიქრე!

– ჯერ ახალგაზრდა კაცი ხარ!

– ომში ნამყოფი ხართ, ბეჟან ბატონო?

– კი!

– მომიყევით რამე!

– კი, კაცო, მოყოლას მოვასწრებთ!

– მართლაც რო მოვასწრებთ, ჯერ ხომ არ ვკვდებით?!

– არა, ჯერ არა!

– ბავშვები როგორ სწავლობენ?

– რა ვიცი, სწავლობენ.

– უფროსი რომელშია ახლა?

- მეშვიდეში!
- უმცროსი?
- მეოთხეში!
- ქალბატონი ჟენია კარგადაა?
- რა უჭირს.
- კარგია კარგი მეზობელი!
- არ უნდა ლაპარაკი! რა ქალაღდი იყო, წელან რომ გეჭი-  
რა?

- არაფერი, ისე!..
- მაინც?
- არაფერი, შე კაცო, მაგისტვის მეზობელს როგორ  
შეევანუხებ?!

- რა შენუხებაა!
- ხელმოსანერი იყო პატარა, მაგრამ სხვა დროს იყოს!
- რატომ იყოს სხვა დროს?
- ახლა სად გვცალია მაგისტვის. ვიმუხაიფოთ ცოტა ხანს!
- ჩვენს მეზობლობას გაუმარჯოს!
- ჩვენს სიამტკბილობას გაუმარჯოს!
- ცეცხლს გაუმარჯოს უნავთოდ!
- შენ გაგიმარჯოს!
- იცოცხლე!..
- წელან ქალაღდი გეჭირა!..
- არა უშავს, სხვა დროს იყოს. ხვალაც შემოვალ, ხომ არ  
ვკვდებით ჯერ?

- არა, არ ვკვდებით, მარა, მომეცი აგერ!
  - იყოს, ხვალ იყოს. ხელმოსანერია პატარა!
  - რატომ ხვალ, შე კაცო, მეზობლები არ ვართ?
  - მეზობლის გულისთვის კაცი წყალში ჩადგება!
  - ნამდვილია, ა? ჰა, ბატონო!
- ბეჟანმა ელვისსისწრაფით მოანერა ხელი.
- ნაგეკითხათ, ბეჟან ბატონო!
  - რა ნაკითხვა უნდა, შე კაცო, მეზობლები ვართ!

- იცოცხლე!
- კარგად, სულ კარგად! ამოვალ ხვალაც!
- ამოდი, ვილაპარაკოთ!

\* \* \*

ჩემს უფანჯრო ოთახში მაგიდაზე დევს ბეჟან იოსელიანის ხელმოწერილი ქაღალდი. იგი თავის უძრავ-მოძრავ ქონებას მიძღვნის და თან ვალდებულებას ღებულობს: გამეგზავნოს „ბორჯომზე“, გამიპრილოს იატაკი, ჩემს მაგივრად დაესწროს კრებებს და, თუ საჭირო გახდა, ჭერზე თავდაღმადაკიდებულმა ჭალის მაგივრობა გასწიოს.

მე ვკითხულობ ამ ხელწერილს და ვფიქრობ ადამიანთა შორის იმ საოცრად მარტივ ურთიერთობაზე, რომელსაც ზოგჯერ ხელოვნურად ვართულებთ და ვაბუნდოვანებთ.

თქვენ კარგი კაცი ბრძანდებით! მე თქვენ მიყვარხართ, ბეჟან ბატონო!

...და მაინც, ჩემი ფანჯარა არავის ავნებდა, იგი ჩემს პატარა ოთახში შემოიჭანდა ქუჩის ხმაურსა და დიდი ქალაქის გადაღლილ ჰაერს.



## ნახევარი კაცი

„არა ეკალთაგან შეჰკრიბიან ლელვნი, არცა  
მაყვალთაგან მოისთვლიან ყურძენი“ ...

სახარება

– კაცი კაცს რკინიგზას აჩუქებს და, გაგანია სიცხეში, ქლიავზე აეგზავნება! მე ისეთს არაფერს გთხოვ, უარს ნუ მეტყვი!..

– რა გინდა?

– ჭკვიანი კაცი ჩანხარ, მეგობრები ვიყოთ!

ჩვენი მაგიდები ერთმანეთს შესცქერიან. სამსახურში იგი ახალი კაცია, მე – ძველი. მეგობრობაზე უარს როგორ ვეტყვი? კაცი კაცს რკინიგზას აჩუქებს და, გაგანია სიცხეში, „ბორჯომზე“ გაეგზავნება...

\* \* \*

პირველი დღე:

– კლიმენტი!

– ა?

– სახლს მინგრევენ და მეუბნებიან, თუ გინდა სამოთახიან ბინას მოგცემთ ცენტრში და თუ გინდა, ერთოთახიან ბინას მოგცემთ შორსო! როგორ მოვიქცე?

– მაგას მოფიქრება უნდა!

– მომიფიქრე ერთი, თუ კაცი ხარ!..

– კლიმენტი!

– ა?

– ჩემს სიდედრს თმის ძირები უთეთრდება და მარჯვენა ხელზე ფრჩხილები ეზრდება. ვის მივუყვანო?

– მაგას გაგება უნდა!..

– გამიგე ერთი, თუ კაცი ხარ!..

– კლიმენტი!

– ა?

– ებოში ბჟოლა მიდგას, ბჟოლას ზოგი ფოთოლი დიდი აქვს და ზოგი – პატარა, როგორ მოვიქცე?

– მაგას გარკვევა უნდა!

– გამირკვიე ერთი, თუ კაცი ხარ!..

– კლიმენტი!

– ა?

– ჩემს უფროს გოგოს ხშირად მაღალი ბიჭი მოაცილებს. ვეუბნები ჩემს უფროს გოგოს, ხშირად მაღალი ბიჭი მოგაც-  
ილებს-მეთქი და, გეჩვენებო. როგორ მოვიქცე?

– მაგას დაზუსტება უნდა!

– დამიზუსტე ერთი, თუ კაცი ხარ!..

– კლიმენტი!

– ა?

– მეზობლის ძაღლმა ჩემს ძაღლს ნიკაპი მოაჭამა. მინ-  
და, ვიცოდე, რომელმა ძაღლმა მოაჭამა, თუნდაც რომელი  
მეზობლის ძაღლმა მოაჭამა ჩემს ძაღლს ნიკაპი!

– მაგას მოძებნა უნდა!

– მომიძებნე ერთი, თუ კაცი ხარ!..

– კლიმენტი!

– ა?

– ცაზე რამდენი ვარსკვლავია?

– მაგას დათვლა უნდა!

– დამითვალე ერთი, თუ კაცი ხარ!

\* \* \*

ამალამ, ოთხი საათის შემდეგ, ჩემსავე სარეცელში მკვ-  
დარს მიხილავენ!..

ჯერ ისევ თბილ ხელებში მექნება ქალაქის კეთილმონყო-  
ბის გეგმა, სამედიცინო ენციკლოპედია, პოპულარული ბი-  
ოლოგიური ბროშურა, მიკროსკოპი, დეტექტური რომანი და  
ტელესკოპი.

ჩემს დასაფლავებაზე ყველა კარგი კაცი მოვა და ბევრ,  
ძალიან ბევრ ყვავილს მომიტანენ.

ჩემს სიკვდილს ვერავის დააბრალებენ!..



## ქალბატონი დასაქმების სამინისტროდან

ქუთაისის ახალი სტადიონი რომ გაიხსნა, სწორედ იმ წელს დავამთავრე ფიზიკულტურის ინსტიტუტის მძლეოსნობის ფაკულტეტი.

რექტორმა სახელმწიფო გამოცდების ჩაბარებისთანავე განაწილებს ფურცელი გადმომცა და მითხრა: ბედი აღჩუზე დაგიჯდა, გავარდი ახლავე, როგორც ვიცი, მძლეოსნობის მწვრთნელი ჯერ არ აუყვანიათ, მიდი ჩემი სახელით, გივი ხეცურიანთან (ქუთაისის ფიზიკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე იყო) და შეუდექი მუშაობასო.

პირველივე მატარებელს გამოვყევი.

რა დამავიწყებს, ტყემლის ყვავილობა ბოლო დღეებს ითვლიდა და ქარი ყვავილთა ფურცლებს ფანტელებივით ატრიალებდა.

გივი ხეცურიანი მაღალი, ჭაღარათმაგადასლექილი რიხხმიანი კაცი ღიმილით შემხვდა.

ასე პატარა ბიჭმა როდის მოასწარი ინსტიტუტის დამთავრებაო, სადაური კაცი ხარო. იქვე ვცხოვრობ, ბატონო, ახალ სტადიონთან, ნინოშვილის მერვე შესახვევში-მეთქი.

აბა, შენთვის გაგვიხსნია ეს სტადიონიო, ტელეფონს დანვდა და...

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ოცდახუთი წელი მოვათიე ქუთაისში ჯერ უმცროს მწვრთნელად, მერე მწვრთნელად და ბოლოს უფროს მწვრთნელად.

მძლეოსნობა საქართველოში დიდად პოპულარული სპორტია-მეთქი, რომ გითხრა, არ ვიქნები მართალი, მაგრამ პერსპექტიული და უპერსპექტივო მონაფეები ყოველთვის მყავდა.

მართალია, მსოფლიოს და ოლიმპიური ჩემპიონები არ გამიზრდია, მაგრამ მართონულ სიარულში სამი ბრინჯაოს მედალოსანი მყავდა, სამმაგ ხტომაში ერთი რესპუბლიკის ჩემპიონი და ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის ოლიმპი-ადაზე თარჯრბენში (400 მეტრი) ჩემმა გუნდმა საპატიო მე-ექვსე ადგილი დაიმსახურა.

ორმოცდარვა წლის ვიყავი მეტის არა, პრეზიდენტმა თავისი მშობლების გარდა უფროსი თაობის უკლებლივ ყველა წარმომადგენელს უნდობლობა (ზიზლი კინალამ წამომცდა) რომ გამოუცხადა.

დღლით, სამსახურში მისულს, სტადიონის მნემ თითბრის სასტვენი, წამმზომი, სამი ალუმინის ჭოკი და ერთი ბირთვი ხელწერილით ჩამომართვა და გამომიცხადა: თავისუფალი ხარ, დღეიდან ჩვენთან აღარ მუშაობო.

შევევარდი დირექტორთან ცხვირყურებიანად გათეთრებული, ბრძანებაში კონკურსის ვერ გავლა ჩაგინწერე, სინამდვილეში კი მონიე ყური და გეტყვიო.

მივწიე ყური.

ხანდაზმულობის გამო ხარ გათავისუფლებულიო.

ჯერ ერთი, სად იყო კონკურსი და მეორეც, რა ხანდაზმული მე მნახეთ, მარჯვენა ხელით რგოლზე აჭიმვას ვაკეთებ და ქალაქის ჩემპიონს მიშა დავითაშვილს ახლაც ვუგებ მართონულ სიარულში-მეთქი. თუ გინდათ, „პერიოდს მივცემ“ ოც მეტროს-მეთქი.

წამოდგა დირექტორი, მოვიდა, მხრებზე ჩამავლო ხელები, აბა, თვალეებში შემომხედეო, მითხრა, მე გაგათავისუფლებდი შენო? შეიძლება, ხვალ მეც არ ვიყო ამ ადგილას, მაგრამ იცოდე, ყველაფერი იმისგან (კედელზე პრეზიდენტის სურათისკენ გაიხედა) მოდისო. მწარედ არ გამლიმებია.

ამ ამბიდან ოცდაათი წელი გავიდა.

სამსახურიდან გამოძევების მეორე დღიდანვე მტკიცედ გადავწყვიტე ბედს არ შევრიგებოდი.



ჯერ სასამართლოთი დავინყე. თურმე რისი სასამართლო, რომელი სასამართლო, სადღაა სასამართლო, ჩემი საჩივრის განხილვას თითო მოსამართლე წელიწადნახევარს მაინც უნდებოდა და ბოლოს ყველას ერთნაირად ულმობელი განაჩენი გამოჰქონდა: „უარი ეთქვას.“

ბოლოს ერთმა ღვთიან-მადლიანმა ადვოკატმა განზე გამიხმო და მითხრა: დაანებე სასამართლოების კიბეებზე ღოღილს თავი ამათთან შენ ვერაფერს მიაღწევ, იქნებ სხვაგან, სადმე, მოძებნო სამსახურიო.

დავდივარ ტექნიკუმ-ტექნიკუმ, სტადიონ-სტადიონ, სკოლა-სკოლა, პირველ დღეს ყველა ხელგამლით, სიყვარულით მხვდება. შენი გამოცდილების კაცს უარს როგორ ვეტყვიო.

მეორე დღეს განცხადებით და ანკეტით, რომ მივადგები, დირექტორები გულდაგულ მემალეებიან, ადამიანური რესურსების (რატომ ღმერთი არ გაიცინებს) სამსახურის უფროსები კი გულწრფელად მიცხადებენ: არ გეწყინოთ და ვერ მიგიღებთ, თურმე პრეზიდენტის შავ სიაში ყოფილხართო.

ოცდაათი წელი გავიდა-მეთქი, ზემოთ მოგახსენე, ამ წანწალბრძოლაში და თხოვნალრეჭაში.

ახლა უკვე მართლა ხანდაზმული ვარ, ხანდაზმული კი არა, ბებერი ვარ სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით.

კიბეზე ასვლა მიჭირს, შარვლის ჩაცმის დროს ხშირად მარჯვენა ფეხს შარვლის მარცხენა ტოტში ვყოფ, კარადას რომ გამოვადებ, კარგა ხანს ვფიქრობ შაქრისთვის გამოვადე, თუ ერთჯერადი „მარიამჩაისთვის“,

ექიმმა მეხსიერების დაქვეითების დიაგნოზი დამისვა და გულის გასამაგრებლად დამიყვავა –ასაკობრივიაო.

ასე მგონია, ჩემზე დაწერა ჯანსუღმა ეს მშენიერი ლექსი:  
წამალს რომ დავლევე, იმ წამს  
უხერხულობას განვიცდი,  
რომ დამავინყდა, მახსოვს,  
რა დამავინყდა, არ ვიცი.

ახლახან (თვე და რიცხვი დამავიწყდა) შინ მესტუმრა ნაციონალების მაისურიანი სიმპათიური ქალი.

მეო დასაქმების სამინისტროდან ვარო. ვიცით რომ თქვენ სახელგანთქმული მწვრთნელი ბრძანდებითო, ისიც ვიცით, რომ ამ ოცდაათი წლის წინათ სტადიონიდან პოლიტიკური პოზიციის გამო გამოგაძევესო. ახლა ჩვენი სამინისტრო უკლებლივ ყველას თქვენს ბედში მყოფს, შრომით მონყობას ვპირდებით. უმორჩილესად გთხოვთ, არ დაიზაროთ და ჩამანერინოთ, სად და რა თანამდებობაზე გსურთ მუშაობის დანყებაო.

ამ, მისდაუნებურად მატყუარადქცეულ ქალს რას ვერჩოდი, მაგრამ „ნაციონალთა“ ამ უტიფრობამ ხუმრობის ხასიათზე დამაყენა.

კეთილი და პატიოსანი-მეთქი, ოთხი სავარაუდო ადგილი მეგულება და, თუ ერთ ადგილზე მაინც დამნიშნავთ, ფრიად დაგიმადლებთ-მეთქი.

კალამი მოიმარჯვა და ყურადღებად იქცა.

პირველი: ახალგაზრდობაში პარაშუტით მხტომელი გახლდით, ეს საქმე (პარაშუტით ხტომა) მეხერხება ძალიან და იქნებ გამამწესოს ჩვენმა ხელისუფლებამ საპარაშუტო სკოლაში მწვრთნელ-ინსტრუქტორად-მეთქი.

მეორე: მთელი ცხოვრება სირაქლემის მოშენებაზე ვოცნებობდი, ამისათვის სპეციალურად ავსტრალიაში მესირაქლემეობის კურსებიც კი გავიარე, მაგრამ საბჭოთა ეპოქაში უსახსრობის გამო ჩემს ოცნებას ფრთები ვერ შევასხი. ახლა, როგორც ვიცი, სააკაშვილი სირაქლემას ფერმის გახსნას აპირებს, გთხოვთ, იმ ფერმაში მეკვერცხედ დამნიშნოთ-მეთქი.

მეკვერცხე რას ნიშნავსო, მკითხა.

მზის სინათლეზე რომ გავხედავ სირაქლემას კვერცხს, უშეცდომოდ ვხვდები, რომელია ნამამლი და რომელი არამეთქი.

გულდასმით იწერს ყველაფერს.

მესამე: ფოსტაში მინდა ვიმუშაო მოენედ-მეთქი.

წამით შეყოვნდა.

თავი ასწია.

როგორ, თქვენ ამ ხნის კაცი ენის მიმტან-მომტანად იმუშავებთო?

ვერ გამოიგეთ, მოენეობა ფოსტაში სრულიად სხვა საქმეა. დღეში ოთხი საათი (ნახევარ შტატზე) ენა მექნება გამოყოფილი და ფოსტის თანამშრომლები საფოსტო გზავნილების მარკებს ჩემს ენაზე დაასველებენ, რომ კონვერტს ადვილად დაენეპოს-მეთქი.

მეოთხე: თუ ზემოთ ჩამოთვლილი სამი სურვილის შესრულება გაგიჭირდებათ, მაშინ ოპერის თეატრში დამნიშნონ კულისების გამგედ-მეთქი.

კულისების გამგეს რა ევალეზაო, მკითხა.

კულისების გამგეობა, კაცმა რომ თქვას, მაინცდამაინც ინტელექტუალური სამსახური არ გახლავთ, მაგრამ ცოტა არ იყოს, სახალისო საქმეა-მეთქი.

კულისების გამგე სპექტაკლის ნორმალურ მსვლელობას უზრუნველყოფს; მაგალითად, მესამე ზარის შემდეგ კულისებში ჭორაობით გართულ ბალერინებს (ვთქვათ ბალეტი „გედების ტბა“ მიდის) ტაკუნებზე ხელის ალერსიანი მიტკაპუნებით მოუწოდებს: „აბა, ჩქარა, მესამე ზარია, ნუ აგვიანებთ, შედით სცენაზე-მეთქი“.

რამდენადაც ვახერხებდი, სერიოზულად ველაპარაკებოდი დასაქმების სამინისტროს წარმომადგენელს ჩემი სასამსახურო სურვილ-პრეტენზიების შესახებ, მაგრამ სასაცილო ის იყო, რომ ჩემს სტუმარს ერთხელაც არ გალიმებია.

ჩაინერა ეს ყველაფერი, დახმარება აღმითქვა და დამემშვიდობა.

გავიდა ასე, დაახლოებით თვე-ნახევარი.

სალამოსპირია.

კონინდარში ტაბურეტზე ვზივარ და მტრედებს გამხმარ პურის ნატეხს ვუფჩხვნი.

კარგა ხანია მივეჩვიე იმ აზრს, რომ მე, ღვთისგან და კაცისგან მივიწყებულს, ოდენ მტრედები არ მივიწყებენ.

მზე სადაცაა ხვამლს მიეფარება.

– პატივცემულო!

ჭიშკართან ქალი დგას.

– შემობრძანდით! ღიაა ჭიშკარი!

შემოვიდა.

მაშინვე ვიცანი – ქალბატონი დასაქმების სამინისტოდან.

გაკეთდა თქვენი საქმე, როგორც იქნაო, ბოდიშს გიხდით, რომ ამდენ ხანს გალოდინეთო. დღეს დაადო სამმართველოს უფროსმა თქვენს თხოვნას რეზოლუციასო.

დიდი მადლობა-მეთქი, ქალბატონო, მე, სიმართლე გითხრათ, გეხუმრეთ მაშინ. რაღა დროს ჩემი პარაშუტით ხტომაა, ან რა მიგავს იმ კაცს, პეპელა-ჰალსტუხით და ფრაკით ოპერის თეატრის კულისებში რომ წინდაუკან ივლის-მეთქი.

ქალი გაოგნდა. გაფითრდა, ლამაზ ლოყებზე ჩამოშლილი ფერფლისფერი თმა ყურებზე გადაინია.

არ დამღუპოთ, ბატონოვო, – ძლივს ამოილაპარაკა, – მეო, ლტოლვილი გახლავართო, ძლივს ვიშოვე ეს ადგილიო. თქვენ რომ ახლა უარი მითხრათ, სამსახურიდან გამაგდებენ და ქმარ-შვილი შიმშილით დამეხოცებაო.

რა ვქნა ახლა. რა წყალს ვეცე, რა შარში ჩავიგდე თავი.

იმდენად ალაღად გულწრფელად მეუბნებოდა ამას ჩემი სტუმარი, რომ სიმწრისგან მოხრილ საჩვენებელ თითზე ვიკბინე.

... ორი კვირაა ოპერის თეატრში კულისების გამგედ ვმუშაობ.

26.IX.2012 წ.



## ბემოვნება

ვილაცას უთქვამს გემოვნებაზე არ დავობენო.

მე კი მგონია, თუ რამეზე შეიძლება იდავოს კაცმა, ისევ და ისევ გემოვნებაზე.

იგი ახლაც ჩემი მეგობარია.

ერთი კვირა ვემალე, მეგობართან საუბარს, გავურბოდი დამნაშავესავით ვწითლდებოდი მის წინაშე და წარბებს ოწინარივით ვაქანავებდი, მაგრამ არაფერი გამივიდა.

შემხვდა იგი ქუჩაში და მითხრა:

- გადასარევი პიჯაკი ჩავიგდე ხელში!
- მართლა? – გავიხარე მე – თუ ძმა ხარ მიჩვენე.
- წამოდი.

... პიჯაკი არ მომეწონა, იგი მეტად ულამაზოა და საკმაოდ ძველმოდური.

– ა? –ამაყად მეკითხება იგი, პიჯაკს ძვირფასი ნადავლივით მიჩვენებს.

მე მომაგონდა რომ გემოვნებაზე არ დავობენ და გულთბილად ვუთხარი:

- გადასარევი პიჯაკია.
- ხომ გეუბნებოდი.
- აბა შენ იცი როგორ მოუვლი, ასეთი პიჯაკი მარტო დღეობებზე და ადგილკომების კრებებზე უნდა ჩაიცვა.

მან ბედნიერი ხარის თვალებით შემომხედა და მითხრა ისე, როგორც ნამდვილი მეგობარი ეტყვის ნამდვილ მეგობარს.

– გინდა გქონდეს ასეთი პიჯაკი?

მე უნდა მეპასუხა რომ უკვე მაქვს ერთი პიჯაკი, რომ ორივეს ერთნაირი პიჯაკის ტარება ინტერნეტის მოსწავლეებს დაგვამგვანებს, რომ მე მგონი ასეთი ფერი ყურის ბიბი-

ლოებზე არ მომიხდება და ა. შ.

მაგრამ მე დაფუშვი მიუტევებელი შეცდომა და ვთქვი:

– მინდა რომელია.

ჩემს ამ ნათქვამს მოჰყვა ჩემი მეგობრის აბსოლუტურად ბუნებრივი და ლოგიკური წინადადება:

– მაშ წადი და იყიდე, თორემ გათავდება.

– დღეს ველარ მოვასწრებ.

– გაიქეცი მიასწრებ.

მე ელვისისწრაფით გამოვვარდი და მოსახვევთან მთელი ორი საათი ხელით მეჭირა ამოვარდნამდე მისული გული.

... მეორე დღეს მოვიდა:

– რა ქენი იყიდე?

– ვერ მოვუსწარი.

– აბა გავარდი ახლავე!

გავვარდი და ოთხსაათიანი ვიზიტი დავურტყი ნათესავს.

... მესამე დღეს ისევ მოვიდა.

– იყიდე?

– ფული აღარ მეყო.

– ვერ თქვი აქამდე? მე გასესხებ.

პიჯაკის ფული მასესხა და წავიდა.

... მეოთხე დღესაც მოვიდა.

– იყიდე?

– რა?

– პიჯაკი?

–ა, ჩემი ზომისა აღარ იყო, გაყიდულა, – შენ როგორ ხარ? – ვიცრუე და სულ არ გავწითლებულვარ.

– ეჰ – ხელი ჩაიქნია და წავიდა.

... მეხუთე დღეს ისევ მოვიდა.

– წამოდი ჩქარა!

– რა მოხდა?

– მთელი ქალაქი შემოვიარე და როგორც იქნა მივაკვლიე, ზუსტად ისეთია, შენი ზომისა.

მე უნდა მეყვირა რომ არ მომწონს ეს საშინელი პიჯაკი, რომ იგი ძველმოდურია და ღილები თიხის ჯამებს მიუგავს, რომ...

მაგრამ მე დამორჩილებული ბედაურივით მივყვები მეგობარს ქუჩაში და თვალები ცრემლით მევსება..

... ოცდახუთი წელია ჩემს კარადაში ხელუხლებლად კიდია. ჩუქებითაც ვერავის ვაჩუქე, ხელი არავინ მოკიდა. ჩრჩილიც არ ეკარება.



## უბრალოდ, ფილოსოფიის ბარეშე

ცოლის შერთვას რა დიდი ფილოსოფია უნდა, იცი, როგორ გამოუცხადა სიყვარული ჩემმა დეიდაშვილმა თომიამ თავის საცოლეს? მოკლედ გიამბობ. თომია დაწყებითის დირექტორი იყო და იმ სკოლაში ბიბლიოთეკარად გაამწესეს ნუნუ. გახედა-გამოხედა თომიამ და მოუვიდა თვალში. თუ არ ვიჩქარე, ვილაცა წამართმევსო და დოუძახა თურმე თომიამ, ჩემმა დეიდაშვილმა, იმ გოგოს თავის კაბინეტში. შევიდა დირექტორთან, რასაკვირველია, ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკარად მუშაობა ნუნუს ექვსი თვის დაწყებული ჰქონდა. იქვე, გორისიდან გახლავს. ე, ჩემი დეიდაშვილი ქე გითხარი, გეოგრაფიული დაამთავრა ქუთაისში. დაწყებითი სკოლის დირექტორი იყო მაშინ, უცოლო, რასაკვირველია. ახლა საშუალოდ გადააკეთეს ის სკოლა და ორივე ისევ ისე მუშაობენ. ქმარი დირექტორია, ცოლი – ბიბლიოთეკარი. ჰოდა, რალა გავაგრძელო, მაშინდელ ამბავს ვყვები, მოსწონს დირექტორს ეს მარწყვივით გოგო – ბიბლიოთეკარი, მაგრამ არ გინდა თანამშრომელს უთხრა ცოლად გამომყვიო? უარი რომ გითხრას? ხომ შერცხვი კაცი, ხო დაკარგე ავტორიტეტი? არადა დროც არ ითმენს, სტაცებს ვილაცა ამ კაი გოგოს ხელს და ქე დაისვამს სახლში, მოკლეთ, ასეთი გამოსავალი იპოვა თომიამ; ჭკუა და მოხერხება ნახე ადამიანიშვილის: დროა ანი, უნდა გაგათხოვოთ, ნუნუ შენო, ეუბნება დირექტორი, განითლდა ბიბლიოთეკარი, ჩალუნა თავი, თომიას დირექტორი ჰქვია, თორემ რვა წლითაა ნუნუზე უფროსი, მეტი კი არა, ოცდაათის იყო მაშინ და ოცდაორის ნუნუ. – საქმროც შერჩეული გვყავს უკვე; თუ შენი თანხობაც იქნებაო, მიაყოლა თომიამ, – რატომ ნუხდები, პატივცემულო დირექტორო, ქვემიდან გამოხედა ლოყებატკეცილმა გოგომ, – რა შენუხებაა, ეს ჩემი მოვალეობააო, იღიმება დირექტორი, – ძალიან კაი ბიჭია, სერიოზული, წყნარი და, რაც მთავარია,



უყვარხარ ძალიანო. – ვინაა მაინც არ მეტყვიითო?– ინტერესით სულს ლევს ნუნუ. – ჯერ პირობა უნდა მომცე, რომ გაყვები და მერე გეტყვიო, – ასე უნახავად როგორ შეიძლება, წყალში თევზი ვინ დააფასაო, არ დაიბნა თურმე გოგო. – ხომ იცი, დირექტორი ცუდ ვინმეს არ გირჩევს, ამშვიდებს თომია, – ეგ ისეთი საქმეა ბატონო, რომ ხათრით წაყოლა რავა იქნება, მეც ხომ უნდა მომენწონოსო ძნელი მოსათოკავია ნუნუ. – აბა გეტყვი რანაირია და, თუ დაგიჯდა ჭკუაში, მითხარი, თუ არა და აღარ შევანუნებ იმ კაცს თავის გზას ენვეაო, ეშმაკები უსხედან თვალუბში დირექტორს. ნუნუ სმენად იქცა. – შინაარსში და კაცობაში ეჭვი არ შეგეპაროს, უნდა მენდო, ამ მხრივ მე ვარ პასუხისმგებელი, დაინყო თომიამ, ნუნუმ თავი დაუქნია, რა გაენყობაო. – ახლა გარეგნობა ვთქვათ, ასე ჩემი სიმაღლის რომ იყოს? დირექტორი წამოდგა და გაიარ-გამოიარა, ამ ორმეტრიანმა, მთასავით კაცმა ცოტა არ იყოს დააფრთხო ნუნუ, მაგრამ გული გაიმაგრა; – იყოს, რა უჭირსო. – ასე ჩემსავით მოუხეშავი რომ იყოს და ორმოცდაცხრა ნომერი ფეხი ჰქონდეს? – თქვენ მოუხეშავი როდის ხართ, პირიქით, თავი ჩალუნა ბიბლიოთეკარმა. – შეხედე, ასე ჩემსავით შავი წარბები და ნაჯახით ცხვირი რომ ჰქონდეს? – რა უჭირს, ცხვირის სიდიდით კაცი ვის დაუნუნია, გათამამდა ნუნუ, – მთავარია რა მოხელეა, რისი მაქნისიაო? – პედაგოგი რომ იყოს განყოფი? დირექტორი ფანჯარას მიადგა. – რომელია თქვენ სიმაღლე უცოლო პედაგოგი ამ ახლომახლო სოფელში? – კითხვა შეუბრუნა ეშმაკმა გოგომ. – ჯერ მე ვიძლევი შეკითხვებს და მიპასუხე. მოკლედ, ძალიან მგავს ის კაცი მე ყველაფრით, ისე მგავს, მეტი რომ არ შეიძლება. პირდაპირ მითხარი, ასე ჩემნაირ კაცს, გაყვები ცოლად რომ რამე იყოს? ნუნუმ კარგა ხანს უყურა თურმე თავისი ფეხსაცმლის წვერებს, „რა გაქვს დასანუნო“, მერე ერთბაშად მიახალა და გაიქცა. ცხოვრობენ ახლა მერჯევში ერთად და ტკბილად. სამი შვილი ჰყავთ, ისე ლამაზად ყვებიან ამ ამბავს სუფრაზე, გაგებარდება. ა. ხალხი!



## შრავატრიოტის ჩივილი

მივიტანე აკადემიაში ჩემი რვეულები და, კი არ დამიმა-  
ლავს, პირდაპირ ვუთხარიყენ; ა, ბატონო არაფერი არ მინდა  
მე, ჩამოყევით ახლა თქვენ გლობუსს და შეადარეთ ქართული  
სხვა ენებსთქვა. მე შევადარე ჩინურს და დავამტკიცე, რომ  
ჩვენგან მიუთვისებიათ ენა ჩინელებს-მეთქი. სასაცილოდ არ  
ეყოთ. ჩინურის სპეციალისტი ჩვენ არ გვყავს და ვერ შევ-  
ძლებთ თქვენი აღმოჩენილის დადასტურებასო, არაფერი და-  
დასტურება მე არ მინდა, მე, რავა, ხარისხს კი არ გთხოვთ  
აქნათქვა, მე ვუთხარიყენ. ხარისხიც თქვენ გქონდეთ და  
ჩინ-ტემლაკებიც, რა სპეციალისტი უნდა, აგერაა ლექსიკონი  
და შეადარეთ ენა – ენას-მეთქი. გადავდე თავი და მე შევები,  
მარტოკაცი, ამ საქმეს. ჰინდურის და ქართულის იგივეობის  
დამტკიცება სულ არ გამჭირვებია, სპარსული და არაბულიც  
ისე მომყვნენ ხელში. წელიწადნახევარში საბოლოოდ და-  
ვამტკიცე, რომ სპარსელები და არაბები ჩვენს ენას დაეპა-  
ტრონენ იმ უბედურ დროში. დაპყრობილი რომ ვყავდით, –  
კი მარა, მანამდე არ ჰქონდათ, ვითომ, თავისი ენაო? იკითხავ  
შენ. ექნებოდათ ალბათ, რავიცი, რავა არ ექნებოდათ, რაღაც  
უბრალო, საყველპურო ენა, მარამ ეს გაფერილ-გაკრიალე-  
ბული ქართული რომ ნახეს, სტაცეს ხელი და გაითავისეს.  
რავა არ იზამდნენ. არ იკადრებდნენ, შერცხვებოდათ? ცოტა  
არ იყოს, აქეთა ენებმა გამანვალა. ხომ ლათინურის ძირზეა  
ყველა დამყნილი, მაგრამ მუშაობა ხომ უნდოდა? თუ საბ-  
უთები ხელში არა გაქვს, ისე, ავყიად კი ვერ იტყვი ფრანგუ-  
ლი და ქართული ერთი და იგივეაო. ხალხია ისინიც, ყველასა  
აქვს თვალი, ჩოუჯდება ისიც იქედან და დაგიმტკიცებს, არაა  
ჩემო პიმენ, ერთი და იგივე, რას მატყუებ, ეს დარბაისელი

კაცი, შენო. მულამს მივაგენი და გამიადვილდა საქმე: სიტყვის ძირებს დაეუწყე ძებნა. სიტყვის შუაში ერთ-ორ ასოს სტაცებ ხელს და ჩამოურბენ ამ სლავურ ენებს, ხელით ჩამოყრი ჩოთქზე ყველას. ძირები ისე ემთხვევა, რომ შენი მონონებული. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ცხრა წელიწადში მოვათავე მთავარი საქმე – ენების შედარება. ახლა ანბანის ჯერი დადგა. რაც მე ანბანზე ვიმუშავე, რაც მე შრომა გავენიე, ენით არ აინერება. ჯერ ასოები იმდენი ვხატე და იმდენი ალბომი შევადგინე, ხუთი ვირი ვერ აიკიდებს. ჰაი ფინიკიური, ჰაი ბერძნული, ჰაი ბასკური, ჰაი ლათინური და ბოლოს, როგორც იქნა, გამოანათა, გავტეხე წელში. მსოფლიოს ერთი ანბანი ჰქონია, ბატონო, მარტო კალიგრაფიაშია განსხვავება და რომელია ის ერთი ანბანი თუ იცი? ქართული რასაკვირველია. თუ ჩაუკვირდები არ არსებობს დედამიწაზე დამწერლობა, რომ ქართულით არ წაიკითხო. პატარა საქმეა ეეს? მე რა სასწაული კი არ მომიგონია და ციდან კი არ ჩამომიტანია, ჩემო ბატონო, რაც სინამდვილეა, ის აღვნიშნე, უბრალოდ აი, რა დავამტკიცე: ამ დედამიწაზე ყველა ენის ძირი ქართულია და ყველა დამწერლობა ქართულიდანაა წაღებული. ზოგმა მოიპარა, ალბათ, და ზოგს, შეიძლება, ჩვენ მივეცით, ახლა ამის გამოძიება ძნელია და რაც დრო გადის უფრო და უფრო გაჭირდება.

ა, ამის ჩამდენი კაცი ვარ მე და, გითხარი იმისი არ იყოს, დამიჯერა ვინმემ? დაბეჭდვა ხომ უნდა ამას ყველაფერს, ხომ უნდა გაიგოს ქვეყანამ? სარეცენზიოდ რედაქციიდან იმას უგზავნიან, ვისთანაც გუშინნინ ვიყავი და ჩემი აღმოჩენით სახეგახარებულმა ეს ამხელა ამბავი გულუბრყვილო თამაშად მომინათლა. ხეირს დაგაყრის ამნაირი კაცი? ადგები მერე და რომელიმე პატარა გაზეთის რედაქტორს შეაცოდებ თავს. ააგუზგუზებ იმ ღვთიან-მადლიანს და დააბეჭდვინებ პატარა ნაწყვეტს. ხარ გახარებული, გგონია ცაზე ხელი მიგიწვდება, ხვალღიდან მსოფლიო ილაპარაკებს შენს აღმოჩენაზეთქ-

ვა, მაგრამ გაგიგონია? გამოხვლიკინდება აგერ ჩიტირეკია „მეცნიერი“ თავის გამოჩენის ჭია რომ უხიციანებს ტვინში, გამოაცხოვოს პასკვილს და მე შენ გეტყვი, არ დაუბეჭდავენ. კაცმა ოლონდ კაცი აგინოს და გულში ჩაიხუტებენ, ტრიბუნას ვინ დოუკავებს. – ხელმჩატე რედაქტორმაო, იტყვის ჩემი ჭკუის მასწავლებელი – ეს რა სისულელე დაბეჭდაო. მოცლილი კაცის და მახათის ამბავს გავს კვიჭინაძის საქმიანობაო. ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს მაგისი ნამოძღვრალიო, ამოგიძუებენ კუდს იმ პატარა გაზეთიდანაც და ატარე მერე ქუჩა-ქუჩა ე შენი აღმოჩენა. ბევრჯერ გამიკეთეს ასე და, ბოლოს და ბოლოს, ამევსო მოთმინების ფიალა. მე ვთქვი: რალაზე ვიძირმნარო ცხოვრება, ამ აღმოჩენას ხომ ყავლი არ გაუდის მედოს სახლში და როცა იქნება თვითონ მომაკითხავენ-მეთქი. დავანებე თავი ენათმეცნიერებას და ეს მესამე ნელია ჩავუჯექი არქივს.

არქივი ქე მაინცაა ისეთი საქმე, რომ დამტიცება კი არა თვალის შევლება უნდა, მეტი არაფერი. თუ რამეს იპოვი, გადააღებინებ ფოტოასლს და ა, ბატონო, მეტი არ გინდა არაფერი. სასწაულია არქივი-მეთქი, ასეა ეს. დახედე ამ სურათს? გაგიჭირდება ცნობა. თუმცა, შეიძლება, შევედურ ენციკლოპედიაში გინახავს, მოულოდნელი არაფერია. ეს გახლავს შევდების ცნობილი მეფე დიდოსი.

დააკვირდი ახლა კარგად და მერე, მოიცა, ა, ამ სურათს დახედე. შეადარე ორივე ერთმანეთს, აგერაა, არ გარბიან არსად. ეს არის, ჩემო ბატონო, დიდოსი და ეს მორე – ჩვენი მეფეა, დემეტრე მეშვიდე, გაჭრილი ვაშლივით არ ჰგვანან ერთმანეთს? არა, არა, ხათრის გულისათვის ნუ დამეთანხმები. კარგად დააკვირდი და მითხარი, უღვაშების მოყვანილობა ნახე, არი ერთნაირი? ცხვირი ნახე? თვალეების გამომეტყველება ნახე, რავა იბღვირება ორივე, ხომ ხედავ, ახლა შუბლს დახედე: სწორი შუბლი, ქართული აქვს თუ არა ორივეს? მეტი რალა გინდა, შე კაი კაცო, გაჭრილი ვაშლივით

ჰგვანან ერთმანეთს. ემგვანება მამა, შვილს, აბა რა იქნება.

აბა, მე ხვარ გამომეგვანება, შე კაცო, ა, ეს იცის არქივმა. მეც არ დაფუჯერე თვალეზს პირველად რო ვნახე, მარა მერე და მერე რომ ჩავერიე და არ შევეშვი, გამიხსნა ისტორიამ ფანჯარა და გამანდო საიდუმლო. ნასული საქმეა, რატომ უნდა ენყინოთ შვედებს და რაში იყო, იცი, საქმე? იმ წლებში, როცა დიდოსი დაიბადა, დემეტრე ოცდაექვი წლის ქართველი მეფე, შვედეთში იყო ნასული გემის შენების ოსტატობის შესანავლად. რალა მეფე ნავიდა, სხვა ვერ გაგზავნა ამნაირ პატარა საქმეზო? შენ მკითხავ და მართალიც იქნები, ვერ გეტყვი. პასუხს. შეიძლება არ ენდო სხვას, ანდა, შეიძლება სხვა საქმეც ჰქონდა შვედებთან. რას გოუგებ ადამიანიშვილს. ჩევიდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, ეს გამოწკეპილი ბატონიშვილი შვედეთში და, თვალი ჭამს და თვალი სვამსო, ხომ გაგიგონია, ქე მეწონა დედოფალს. მე შენ გეტყვი მიხვრა-მოხვრა შეეშლებოდა დემეტრე მეშვიდეს, ზრდილობა და სიტყვა-პასუხი, გაუტინა იმან, გამოუტინა ამანაც. ოცდაექვსი წლის ბიჭია, რაზე გეიდებს თავპაიჯს, მით უმეტეს ოჯახობა ეგერაა, შორს, ცხრა მთას გადაღმა, ნადარბაზევში. შვედების მეფე ხანშიშესული ყოფილა მაშინ და მაინცდამაინც არც ქე კითხულობდა თურმე: სადაა ჩემი დედოფალი, ვახშამზე რატომ დააგვიანაო, რატომ უნდა ენყინოთ შვედებს, ისტორია ისტორიაა, ჩემო იმანო. რალა ბევრი გავაგრძელო, ქე წეეშმაკეს დემეტრემ და შვედების დედოფალმა იქანა და ა, ბატონო დიდოსი შვედების განთქმული მეფე, ხომ შენი გასახარებული თვალეზით ხედავ – ალიკვალი მამამისია, სიკვდილის წინ ამოულო თურმე დედოფალმა თავის შვილს პატარა სურათი, აჩვენა და უთხრა: ამისი შვილი ხარო დედიკონა, შენო. ესაა მამაშენი, საქართველოს მეფეა, დემეტრე ჰქვია სახელადო. ამის საქვეყნოდ გამოცხადება არც შენთვისაა კარგი და მე ხომ საფლავში თავი მომეჭრება. ისე მაინც იცოდე, გულში გქონდეს მამაშენის სიყვარულიო. რავა ფიქრობ, არ ამაცობ-

და დიდოსი თავისი ქართული წარმოშობით? ამაყოფა და მერე როგორ. მამამისის ხათრით რა თქვა იცი? დასავლეთში მე ვარ და აღმოსავლეთში დემეტრე მეშვიდეაო. რომ მოუვიდა ეს ამბავი მოხუცებულ დემეტრეს, ცრემლები წასკდა, თურმე, მარა არ შეიმჩნია, ყველაფერი ქე გაახსენდა მარა თავს ხომ არ გასცემდა. რომ ეთქვა: დიდოსი შვილია ჩემიო, ჯერ ერთი დედოფალს ეწყინებოდა: მე ამ საქმეზე გაგიშვი შენ იქანაო? მერე მეფის ავტორიტეტს შელახავდა, ქალების მოყვარული მეფის სახელი უნდოდა დემეტრეს? და მესამეც, რომ ეთქვა, ბევრი არც კი დაუჯერებდა, ჩვენი ხალხის ამბავი არ იცი?

ასეა და ამგვარად, მირჩა და მირჩა ეს ამბავი და ა, ბატონო მე ვიპოვე და აღმოავაჩინე, რანაირად მივაგენი? ჯერ დიდოსის სურათი მომხვდა ხელში, დავაცქერდი, დავაკვირდი, ქართველს რომ ჰგავს უეჭველია, მარა ვის კონკრეტულად? არ გინდა ამის დადგენა?.. ღმერთო, სად მინახავს, სად მინახავს-მეთქი და დავუწყე ქართველი მეფეების სურათებს თვალიერება. ბაგრატ მესამეს არ ჰგავს, გიორგი ბრწყინვალეს არ ჰგავს, დავით აღმაშენებელს ხომ არ ჰგავს და არ ჰგავს... ა, ბატონო, დემეტრე მეშვიდე, დემეტრეა გამოხობებული, მისი ცხვირი, უღვაშები, შუბლი, მხატვარმა რომ მოინდომოს, ვერ დაამგვანებს ასე. სიხარულისაგან კინალამ გული გამისკდა.

აბა, ჩქარა დემეტრეს ასავალ დასავალის დადგენა! სად იყო, სად იმოგზაურა, შვედეთში ნამყოფი რომ იყო ვიცოდი, მარა ხომ შეიძლებოდა, ჩვენი ბატონიშვილი რომ იქ ჩავიდა, ტახტის მემკვიდრე დიდოსი დაბადებული ყოფილიყო? არა, ჩემო იმანო, საქმეც იმაშია, რომ დემეტრეს ჩასვლიდან მეთერთმეტე თვეს გააგორა ბიჭი დედოფალმა. ზეიმობდა სასახლის კარი, ულოცავდნენ მეფე-დედოფალს ვაჟიშვილის შეძენას და ამ დროს ბავშვის ნამდვილი მამა თავისი მცირე ამალით საქართველოსკენ მოჩიქჩიქობდა, ასე იყო ჩვენი იღბალი მონყობილი და რას იზამ?

გავაშანშალე ფოტოასლი, გამოვაცხვე პატარა წერილი და მეორე დღესვე მივადექი რედაქტორს. რომ მგონია, შეამცი-რებს სხვა რაღაცას და ნომერში გაუშვებს პირდაპირ-მეთქი, შენც არ მომიკვდე, ატრიალა, ატრიალა ხელში, უყურა, ათვა-ლიერა და ჩამომიყოყმანა – კი, მგვანებით გავს, ჩემო პიმენ, ამას ვერვინ უარყოფს, მაგრამ დავფიქრდეთ ცოტა, ღირს ახლა ამის გამოქვეყნება? არ ენყინოს შვედებს, არ გადამ-კიდო ის პატიოსანი ხალხი, თუ ძმა ხარო.

... მესამე თვე გავიდა, ახლაც იქ უდევს მასალა. დღეს-ხვალ, დღეს-ხვალო, მიყოლიებს და მატყუებს. არც უკან მატანს, რომ სხვაგან დავბეჭდო, და ვარ ასე. ზედმეტი სი-ფრთხილე და მორიდება ვიციოთ ხანდახან, თორემ რატომ უნდა ენყინოთ შვედებს, მე შენ გეკითხები? გასული საქმეა, რამდენმა წყალმა ჩაიარა მის შემდეგ და რამდენი ქვა გადაგო-რდა დედამინის ზურგზე, ვინ ართმევს დიდოსს შვედებს? შემოგევლე, იმგენის მეფე იყო და იმგენის ხმალს იქნევდა, ჩვენ რაში გამოგვადგა, მარა ისტორიაა, ეს უპატრონო, სა-ნამ გინდა დააფარო ხელი, დღეს არა, ხვალ მაინც გაიგებენ, რომ დიდოსს, შვედების სახელგანთქმულ მეფეს, ძარღვებში ქართული სისხლი უჩქეფდა და მკერდში ქართული გული უფეთქავდა. ასეა ეს.



## კომპარი

როგორც თქვენ, თითქმის ყველანი, მეც ტელევიზორის კაცი ვარ. ამას წინათ ასეთ გადაცემას შევესწარი – სტუდენტები ხვდებოდნენ პრეზიდენტს, თუ პრეზიდენტი სტუდენტებს, რა მნიშვნელობა აქვს, მოკლედ, შეხვედრა უზენაესი საბჭოს შენობაში მიმდინარეობდა.

ორივე მხარე გულმოსული ჩანდა. ცხარობდნენ სტუდენტებიც, ცხარობდა პრეზიდენტი და მის გასწვრივ მჯდომი მთავრობის წევრები ხომ პირდაპირ იჭაჭებოდნენ ბრაზისაგან.

და მაინც, მიუხედავად ამდენი გაჯავრებული სახისა, დიდებული შეხვედრა იყო, ერთ მხარეს ბევრისმცოდნე და მიმხვედრი, ლამაზი და გაბედული სტუდენტები, მეორე მხარეს მათ მიერვე არჩეული პრეზიდენტი. იყო აჩქარებულობაში, თვითნებობა – სიმკაცრეში, უმეცრებაში, გულუბრყვილობაში, მიამიტობაში, თვალთქცობაში, პირუმტკიცობაში ურთიერთმხილება, მაგრამ იგრძნობოდა, რომ ყველაფერი საქმისათვის, ქვეყნის წინ წაწევისათვის, კეთილი მიზნის მოახლოებისათვის კეთდებოდა და წუთითაც არ გამჩენია უკმყოფილების გრძნობა. ორივე მხარეს თავისი სიმართლისა სჯეროდა და ვატყობდი, როცა სცდებოდნენ, გულწრფელად სცდებოდნენ.

შევცქეროდი ტელევიზორს და სიხარულისაგან ლამის აკეპვითინებულიყავ, რა მშვენიერი ახალგაზრდობა გვყავს. ამათ კი ველარ მოატყუებენ, რა ბედნიერი ვარ, რომ ქართველად გავჩნდი ამ ქვეყანაზე.

დამთავრდა შეხვედრა. შეთანხმებით, როგორც მოსალოდნელი იყო ვერ შეთანხმდნენ, მაგრამ აშკარად ჩანდა,



რომ კიდევ რამდენიმე შეხვედრა და ნანატრი ჰარმონია მიიღ-  
ნოდა მათ შორის, ყოველ შემთხვევაში, ერთი მხარეც რასმე  
ისწავლიდა ამ შეხვედრით და მეორეც.

მერე შვიდიოდეწუთიანი მულტფილმი შემოგვთავაზა  
ჩვენმა სამკაცრიანმა ტელევიზიამ და რაკი ჯიუტად არ მოვ-  
შორდით ტელევიზორს, უზენაესი საბჭოს შენობის წინ მთა-  
ვარი საინფორმაციო მიტინგი ჩაგვირთეს.

რესპუბლიკის კანონიერმა თავკაცმა მრავალათასიან  
მიტინგს ახარა: უკრაინამ უკვე გვცნო, უკრაინამ გვაღიარა,  
გილოცავთ ყველას, ახლა ცოტა ხნით უნდა დაგტოვოთ, კონ-  
სულტაციები მაქვსო, ბოდიში მოიხადა და წავიდა.

გაიმართა ზეიმი.

ღმერთო ჩემო, რა საშინელი სანახაობა იყო.

უნიჭო ლექსების კითხვა, სახელდახელო სიმღერები, (ერთ  
მიკროფონთან მეორე ხმები პირველზე და ბანებზე უფრო  
ახლოს რომ დგანან და მარტო მეორე ხმა რომ ისმის. გუ-  
ლისამაჩუყებელი, ყალბპროვინციული სიტყვები ინტელიგენ-  
ტობადაბრალებული ადამიანების ბაგეთაგან).



## გალაკტიონი რა შუაში იყო

გალაკტიონის დაბადების ასი წლისთავის იუბილეს გადახდა სხვა უფრო მნიშვნელოვანი საკითხებით დაკავებულ მწერალთა კავშირს გადაავინწყდა და „ლურჯა ცხენების“ ავტორის თაყვანისმცემლებმა გადავწყვიტეთ უნივერსიტეტში გადაგვეხადა დიდი პოეტის იუბილე.

ორგანიზაციული საკითხები მე დამევალა.

დავიდე იმ მწერალთა კავშირის ცნობარი და დავიწყე რეკვა.

ბევრი მწერალი სიამოვნებით და მადლობით იღებდა ჩვენს თხოვნას ანტურაჟზეც ზრუნავდა (სხვა ვინ გყავთ მონვეული), რამდენიმე ჩემმა კოლეგამ შიშგარეული სიფრთხილე გამოიჩინა (ძალიან მინდა მოსვლა, მაგრამ ვაითუ თავმჯდომარე გამიჯავრდეს, ხელფასს მაძლევს და მომხსნის, დავიღუპებიო). ზოგს იმთავითვე ჰქონდა გადაწყვეტილი, არ მოსულიყო, მაგრამ „ჯანმრთელობის მოულოდნელი გაუარესების ალიბი რომ შეენარჩუნებინა მაშინვე დათანხმდა: მოვალ, აბა, რას ვიზამო.

გალაკტიონის თანამედროვე ერთ ღვანლმოსილ პოეტს – ბატონ ბესარიონს დაუფრეკე: ასე და ასე მეთქი, 5 დეკემბერს გალაკტიონის იუბილეს ვმართავთ და უნდა დაგვამშვენო-მეთქი.

შენ აგაშენა ღმერთმა, რომ გაგახსენდიო, ეს რა მშვენივრად მოგიფიქრებიათო, მოვალ, აბა, რას ვიზამო, მოვალ და სიტყვასაც ვიტყვიო, მაგრამ ერთ რამეს გეტყვი და კარგად დაფიქრდი, ღირს თუ არა ჩემი მონვევაო: სამწუხაროდ, მწერალი იოანე მინჩხი ვერ მიტანს მეო. ბევრჯერ ვცადე შერიგება, მაგრამ ჭირივით ვძულვარ ამ კაცს და რა ვქნა მეო, სადაც დამინახავს

დარბაზში, სუფრაზე, წამოხტება და გარბის იმ ადგილიდანო. ისე, თუ სიმართლე გინდა, ჩემზე მეტი დამსახურება იოანე მინჩხს მიუძღვის გალაკტიონის წინაშე წიგნიც გაულამაზა და ლექსებიც დიდებული დაუენრაო, ამიტომ საქმისათვის ასე სჯობია, ვითომ ჩემთვის არაფერი გითქვამს, მინჩხი დაპატი-  
ჟეთ და ის მოიყვანეთ მე ტელევიზორთან მივჯდები და იქიდან გიყურებთ, ასეთი ყოფილა ჩემი ბედით.

რას ბრძანებთ, ბატონო, თქვენი ერთმანეთში უმძრახობა რა მოსატანია, გალაკტიონის სიყვარულმა უნდა გაგვაერთიანოს. თქვენ თქვენი ადგილი გაქვთ პრეზიდენტში, იმას თავისი-მეთქი.

მე ბატონო, არ გავურბივარ მასთან ერთად ჯდომას, ან გამოსვლას, თვითონ გაურბისო, მოვალ, მაგრამ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდებით, თანაც, გალაკტიონის იუბილეზე მე თუ არ ვიქნები, ქვეყანა არ დაიქცევა, იოანე მინჩხის არყოფნა კი ძალიან დაგაკლდებათო.

გადავწყვიტე, პატარა ეშმაკობისთვის მიმემართა:

დავურეკავ ბატონ იოანეს და თუ მკითხა ბესარიონზე, ვეტყვი, რომ არ მოგვინვევია-მეთქი.

დავურეკე: ვიცი რაზეც მირეკავ, ძალიან მიყვარხარ, დიდ პატივს გცემ, რაც შეეხება გალაკტიონს, შენ კარგად იცი, ჩემთვის რა არის, მაგრამ მაგ საღამოზე ვერ მოვალ და, თუ ძმა ხარ, არ გენყინოსო.

რატომ-მეთქი, ბატონო იოანე, რატომ და ჩემამდე ხმა მოვიდა, რომ ბესარიონი მოგინვევიათ, ჩვენი ცხვრები კარგა ხანია, ერთად ვერა სძოვენ. ტყვილად გუნება უნდა მომეშხამოს და საღამო ჩაგამწაროთო.

არ მოგვინვევია-მეთქი ვიცრუე.

არაო, ნამდვილად ვიცი, მონვეული გყავთო.

არადა, რომ იცოდეთ, რა დიდებული პოეტი და კაცური კაცია, რომ იცოდეთ მართლაც, როგორ დააკლდა გალაკტიონის იუბილეს.

არც არაფერი დამიმატებია და არც არაფერი გამომიკლია, გიამბე შეულამაზებლად, ახლა თქვენ თვითონ განსაჯეთ, რომელი იყო მართალი მათ შორის.

ისე, ჩვენ შორის დარჩეს და გალაკტიონი მაინც გალაკტიონია. იმ სალამოს გალაკტიონმა აუხსნელი მიზეზის გამო, ორად გაყოფილი დარბაზი ერთ მუშტად შეკრა ჭეშმარიტად თავისუფალი, დემოკრატიული, საქართველოსათვის ბრძოლაში.



## „ბთხოვთ გამაპრიტიკოთ“

რედაქტორად რომ დამნიშნეს, ორი რამ გადავწყვიტე: ობიექტური რედაქტორი ვყოფილიყავი და კარგი ჟურნალი გამომეცა.

მრცხვენია თქმა, მაგრამ ვერც ერთს ვახერხებ და ვერც მეორეს.

ვთხოვე წერილი ერთ კრიტიკოსს.

არათუ ახლა არ ვწერ, მომავალშიც ვერაფერს დავწერო. რატომ-მეთქი.

ჯერ რაც დავწერე, იმისი რა მაღლობელი ხართო.

დავურეკე მეორეს.

საიდან მირეკავო?

კაბინეტიდან-მეთქი.

არის მანდ ვინმე შენ გარდაო?

არა-მეთქი.

ჯერ ერთი, რაღა იმას დაურეკე პირველად და არა მეო. მეორეჯერ როდის იყო იმის გვერდით მე ვიბეჭდებდიო. საერთოდ, გაარკვიე ვის მხარეს ხარ, თუ იმის მხარეს ხარ, იმასთან იყავი, თუ ჩვენ მხარეს ხარ, ჩვენთანო.

ჩემთვის რომ ვიყო მარტო, ჩემს სინდისთან და სიმართლესთან არ შეიძლება-მეთქი?

როგორც გენებოს, მაგრამ რომ გაგიჭირდება, ვინმემ ხომ უნდა დაგიცვასო.

ვერც ერთ ჯგუფურ გვირგვინში ვერ გავიმეტე შესატენად თავი და ვარ ახლა უდაჯგუფებოდ და უპატრონოდ.

მტრების რიცხვი ასტრონომიულად მეზრდება.

გავაკრიტიკებ ვინმეს, პირად ანგარიშს მისწორებსო, არ გავაკრიტიკებ, ჟურნალი კრიტიკული არ არისო.

ერთი ჯგუფის თავმა დაუბეჭდავ წერილზეც კი მითხრა საყვედური, რალა შენ მოგიტანეს, გატყობენ რომ ჩემი მტერი ხარო.

რა მექნა, გავწირე ერთი მეგობარი, უჩინო მწერალი, შევეხვეწე, დავბეჭდავ შენზე კრიტიკულ წერილს, თორემ მომხსნიან-მეთქი. დიდი ყომანის შემდეგ დამეთანხმა.

გავაკრიტიკე უფრო მაგრად, ვიდრე იმსახურებდა.

ახლა ყველას მისი სახელი აკერია პირზე, მკითხველმა ერთბაშად შეიყვარა, რაკი გააკრიტიკეს, ე. ი. საინტერესოაო. ელვის სისწრაფით გასაღდა მისი წიგნები, მოგვდის გამოსარჩლების წერილები, იმართება დისკუსიები, სადაა მისი სახელობის ნებაყოფლობითი კლუბიც შეიქმნება.

სანამ გავაკრიტიკებდი ერთი ჩრდილში მირჩენილი, დაბალი კლასის მწერალი იყო.

ასე რომ, სულ არ არის გაკრიტიკება ისე საშიში, როგორც ზოგს ეჩვენება.

ვისაც სახელის და მკითხველის თანაგრძნობის მოპოვება სურს, გამოგზავნოს რედაქციაში წერილი: სახელი, გვარი, ნაწარმოები და ორსიტყვიანი თხოვნა: „გთხოვთ შეძლებისამებრ გამაკრიტიკოთ“.

გპირდებით, რომ უახლოეს ნომრებში გავაკრიტიკებთ.



## კრიტიკოსის მონოლოგი

მომენონება წიგნი, დავწერ საქებარ წერილს, მივიტან რედაქციაში და აღმაცერად შემხედავენ, რა ოსპის წვენი დაგიდგა ავტორმა, ასე რომ დათაფლულხარო.

შეკვეც-შემოკვეცავენ, ამოიღებენ თბილ სიტყვებს, ჩაამატებენ გრილ სიტყვებს და დიდი ხნის შემდეგ დაბეჭდავენ.

ჟურნალი რომ გამოვა, ავტორის გარდა ყველა აღმაცერად მიცქერის, რალა მაინცდამაინც ეგ წიგნი მოგეწონა, სხვა კი არ მოგეწონა რა, მამა გიცხონდაო?

ვერც ნაქებ ავტორს ვატყობ დიდ კმაყოფილებას. რაკი ქება გადანყვიტე, შე კაი დედმამიშვილო, მეტი ქება გაგემეტებინა, არ გაძლევდა საშუალებას წიგნი თუ რაო.

არ მომენონება წიგნი, დავწერ განმაქიქებელ წერილს, მივიტან რედაქციაში და აღმაცერად შემხედავენ, რა ქვა გესროლა ასეთი, რა განყენინაო.

დაუძახებენ ავტორს, წააკითხებენ წერილს და თავს უშველო, გააფრთხილებენ.

ავტორი ხმას გაავრცელებს, ვიცოდი რომ არ მომასვენებდა, ბავშვობიდანვე გადაკიდებულა ჩემზეო.

დამიძახებენ რედაქციაში და უფრო აღმაცერად შემხედავენ – არ გრცხვენია? ჩვენ მართლა ობიექტური კაცი გვეგონე, თურმე კლასობრივი ინტერესები გამოქმედებსო.

თავს ვიმართლებ რაც შემიძლია. მომისმენს რედაქტორი, ჩემი სჯერა. მერე ავტორს მოუსმენს და ისიც მართლად ეჩვენება.

ჩემი წერილი არ იბეჭდება, გაკრიტიკებული წიგნის ავტორს კი უკიდევანო ასპარეზი აქვს, ფართო ფრონტით გა-

მიმართოს ომი. ტრიბუნიდან მკენწლავს, პირად საუბარში ირონიით მიხსენიებს, უნიგნურს მეძახის.

ბოლოს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რედაქტორსა და ავტორს შორის შავმა კატამ გაირბინა, ჩემი წერილი იბეჭდება.

ავტორი დაუყოვნებლივ დამახლის მრისხანე პასუხს, რომელშიც ბეც და ღვარძლიან კაცად მნათლავს.

შევბედავ პასუხს, ალმაცერად შემხედავენ, ერთხელ ხომ გააკრიტიკე, ერთხელ იმან გაგაკრიტიკა, ბარი-ბარს ხართო.

ვანაჩრობით ვაღწევ პასუხის დაბეჭდვას.

ავტორი მაშინვე მესვრის „პასუხის პასუხს“, რომელშიც არც მეტი, არც ნაკლები, სულელად მაცხადებს.

წამოვიკნავლებ, პასუხის ნება მომეცით-მეთქი, ალმაცერად შემომხედავენ, ხომ არ გადავყვებით თქვენს კინკლაობას ბოლოს და ბოლოსო.

მე არ ვეკინკლავები, თვითონ მეკინკლავებ-მეთქი, მაგრამ გაგონებაც არ უნდათ, პასუხზე ფიქრსაც მიკრძალავენ.

არა და ახლა მკითხველი მიცქერის ალმაცერად, რაკი პასუხი არ გაეცი, ესე იგი მტყუანი ხარ და საპასუხოც არა გქონდა-რაო.

არ არის ახი თქვენზე, დავანებო კრიტიკოსობას თავი და დავიწყო წყალწყალა ლექსების ან, რაც უფრო იოლია, უთავბოლო, უხასიათო და უსიუჟეტო რომანების წერა?





## პირველი ადგილისათვის

ჩვენ პირველი ადგილისათვის მებრძოლი ქვეყანა ვართ. ისტორიისთვის, თურმე, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს როდის, რაში, რომელ ადგილზე იქნება ქვეყანა.

მსოფლიოს საბუღალტრო-სტატისტიკური სამსახურები გაფაჯიცვებით ანგარიშობენ, დამსახურებისამებრ ანაწილებენ ადგილებს: პირველი ადგილი, მეორე ადგილი, მესამე ადგილი, მეოთხე (საპრიზო) ადგილი, მეხუთე (საჭოჭმანო) ადგილი, მეექვსე (სამწუხარო) ადგილი, მეშვიდე (სავალალო) ადგილი...

ჩვენ, მაგალითად, პირველ ადგილზე ვართ მსოფლიოში ერთ სულზე უმაღლეს დამთავრებულთა რაოდენობით.

პირველ ადგილზე ვართ ერთ სულზე მწერალთა რაოდენობით.

პირველ ადგილზე ვართ ერთ სულ მოსახლეზე ზვავ-მენყერთა რაოდენობით.

პირველ ადგილზე ვართ ერთ კურდღელზე მონადირეთა რაოდენობით.

პირველ ადგილზე ვართ ერთ ლამაზ ქალზე შეყვარებულთა რაოდენობით.

პირველ ადგილზე ვართ ერთ კილოგრამ ყველზე მომხმარებელთა რაოდენობით.

პირველ ადგილზე ვართ თვითმფრინავის ერთ ადგილზე გაყიდულ ბილეთთა რაოდენობით.

პირველ ადგილზე ვართ ერთ მშრომელზე მუქთამჭამელთა რაოდენობით.

ახლა ვიბრძვით პირველი ადგილისათვის ერთ ფსიქიატრზე ავადმყოფთა რაოდენობით.



## ოცდახუთი წლის წინათ

ამ ოცდახუთი წლის წინათ ასპირანტურა დავამთავრე და პირველად დამიძახეს მისაღებ გამოცდებზე. ნაქირავებში ვცხოვრობთ მე და ჩემი ძმა ერთად, ცოლ-შვილი, რასაკვირველია, არა მყავს. რა დაგიმალოთ და გახარებული ვარ, კაცად ჩამთვალეს, მისაღებ გამოცდებს მანდობენ. ვზივარ ოთახში და ველოდები, ვილაც უეჭველად მოვა და დახმარებას მთხოვს. პატარა ამბავია? კაცის მომადლიერება შემიძლია. კაცი კაცითაა ამ ქვეყანაზე. მაშინ დამალობანა არ იყო, ვის დავემალეობდი, ვინ მიცნობდა ქალაქში, ან ჩემს ოცდათხუთმეტ მანეთად ნაქირავებ ოთახს ვინ მოაგნებდა.

ერთიც ვნახოთ, ზარია, მივვარდით ორივე კარებს. ორმეტრიანი სატინისხალათიანი, ვერცხლისბალთებიანქამრიანი კაცი დგას. – კახაძე გვინდა, წარბშეჭმუხვნით მეუბნება. მე ვარ, ბატონო, მობრძნდით, კარები, რაც შეიძლებოდა, ფართოდ გავაღე, ეტყობა, შეგვეშალა, ჩვენ ლექტორ კახაძეს ვეძებთო, გაბრუნებას აპირებს. მე ვარ-მეთქი, დაველრიჯე. მისაღებ გამოცდებში ვმონაწილეობ, თქვენ მე მეძებთ ნამდვილად-მეთქი. შემოვიდა, ეჭვით მიცქერის, ასეთ პირტიტველა გამომცდელს, ჩანს, არ ელოდა, საშვი და პირადობის მოწმობა რომ ვაჩვენე, დამიჯერა, საბუთებს მაგიური ძალა აქვს.

გაზეთში გამოხვეული რომ ეჭირა, ტაბურტზე დადო გამომიცხადა: ბუხუტი მქვიაო, ჩემი შვილი აბარებს იურიდიულზე და ქართულ წერაში უნდა მიშველოთო. მაშინ პაროლობანა არ იყო. სახელი და გვარი ჩავინერე და დახმარება აღვუთქვი, ტაბურტზე მიმითითა, ჩემგან პატარა საჩუქარი მიიღეთო, როგორ გეკადრებათ-მეთქი, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: ცოცხალი თავით უკან არ წავიღებო, მეც გავეჯიუტდი, ვესვრით პინ-პონ-გივით ერთმანეთს „საჩუქარს“ – ამასობაში

ქალღმერთი შემოეხა და გამოჩნდა რაც იყო. ლავსანის ნაჭერი. რაკი ბუხუტი ყელგამოლადრული მეხვეწებოდა, მეც აღარ გავუტეხე ხათრი. მეტრაოცსანტიმეტრიანი ლავსანის თხელი, საზაფხულო საშარვლე აღმოჩნდა. მეტრო მაშინ რვა მანეთი ღირდა, შენ ორი შარვალი გაქვსო, ჩემმა ძმამ და კიდევ რამდენი საშარვლეები გელისო, მოკლედ საშარვლე გამომტყუა და ვალიკო მანჯავიძეს გაურბენინა შესაკერავად.

ბუხუტის ბიჭს მორე დღეს დაუწუნერე ოთხი და მეგონა ყველაფერი დამთავრდა, თურმე სად გძინავს, რა ყულფში გაქვს თავი გაყოფილი.

მესამე დღეს მოვიდა ბუხუტი და გამომიცხადა, ბავშვმა, მართალია, თავისით ოთხი მიიღო, მაგრამ ქართული ზეპირის იმედი არა გვაქვსო და ის საშარვლე უკან უნდა წავიღოვო.

სადაა საშარვლე? შესაკერავად წაიღო ჩემმა სულწასულმა ძმამ. გაგიგებს ამას ბუხუტი?

გამოვიდეს ქართულ ზეპირზე, თავმჯდომარეს ვთხოვ-მეთქი.

დაუწუროქე თავმჯდომარეს და მიიღო ბუხუტის ბიჭმა ზეპირში ხუთიანი.

სამი დღის შემდეგ კვლავ მესტუმრა ბუხუტი. ისტორიას მაინც ვერ ჩააბარებს, ტყუილად რაზე ვინვალოთ, გამოცდები-სთვის თავს ვანებებინებ და მიმაქვს უკან ჩემი ლავსანიო.

შევევედრე, გამოვიდეს ისტორიაზეც, არც ეგრეა საქმე-მეთქი.

ჩემი ჭაპან-წყვეტით და ვაინაჩრობით ისტორიაშიც ხუთი მივალებინე. როგორც მე არ ვიცი ჩინური, ისე არ იცოდა ბუხუტის ბიჭმა ისტორია.

გადის სამი დღე, ბუხუტი კვლავ ჩემს კარებთან დგას.

გერმანულში სუსტია ჩემი ბიჭი, გამოცდაზე გასვლას აზრი არ აქვს დამიბრუნე თუ კაცი ხარ, ჩემი საშარვლე და ჩემს გზას ვენწევო.

სადაა საშარვლე, რა დავაბრუნო, როცა ახალი შარვლით ჩემი ძმა უკვე რუსთაველზე დასეირნობს.

მეცით პატივი, გამოვიდეს გერმანულის გამოცდაზეც-მეთქი. შუალამისას დავადექი თავზე გერმანულის თავმჯდომარეს და მიიღო ბუხუტის ბიჭმა ოთხი.

ამოვისუნთქე, ჩემი ავტორიტეტი გადარჩა და საშარვლესაც არავინ შემომედავება.

დაიწო სწავლა. დამთავრდა პირველი სემესტრი, იანვარია. ზარი კარებში. ტყავის სერთუკიანი, სატინის ხალათიანი ბუხუტი დგას. შემოვიდა და ხვნეშით ჩამოჯდა.

რა მოგივიდათ-მეთქი.

ჯინჯოლავას საგანს ვერ აბარებს ჩემი ბიჭი. უჭირს სწავლა, აქაური ჰაერიც ვერ მოუხდა მაინცდამაინც. ვანებებინებ სწავლას თავს და მიმყავს უკან. ნახე ერთი, თუ კაცი ხარ, ზაფხულში რომ საშარვლე მოგიტანე, არ მინდა აქაურობის არაფერი, დავაბრუნებ მთაში ჩემ შვილს, ძროხებს მაინც მოუვლისო.

ჯინჯოლავას საგანმა როგორ შეგაშინათ. მაინც არ გამოიტანოთ საბუთები. მე ვთხოვ ჯინჯოლავას, არაა ურიგო კაცი, ჩემი დიდი ხათრი აქვს-მეთქი.

უხალისოდ შემომხედა, გცემ ამ ერთხელაც პატივსო.

შეველმერთე ჯინჯოლავას და დაუნერა ბუხუტის ბიჭს ერთი დამხრჩვალს სამიანი.

თავი რომ არ მოგაბეზროთ, წელიწადში ორჯერ მოდიოდა ბუხუტი ჩემთან და თავისი შვილის მაგივრად გამოცდებს მბარებინებდა. ერთი-ორჯერ მაგრად რომ დავუხვდი, დამემუქრა კიდევ. ხვალ განვაცხადებ საშარვლის ამბავს, სადაც საჭიროა, და მეც ჩავჯდები და შენც ჩაგვამო. ეს იყო ლერის თავს გეფიცები, ჩემი პირველი და უკანასკნელი ქრთამი. მაშინ რომ ვუთხარი ჩემს თავს, მისაღებ გამოცდებს არ გავეკარები-მეთქი, ნანას კითხე: ოცდახუთი წელია აგვისტოში თბილისში არავის ვუნახივარ.



## კინომოთხრობა

### მზის მოლოდინში

ალიონია. ცა ნელ-ნელა მტრედისფერდება. მკრთალად იხატებიან გორაკების ჩრდილისფერი კონტურები.

გიტარის წყნარი, სიჩუმისაგან გამოკვეთილი აკომპანიმენტი.

ცის ფონზე, ერთმანეთის მიყოლებით, გაივლიან ზურგზე კალათმოკიდებულ მეჩაიეთა შავი სილუეტები. მათ შორის მამაკაცები და ბავშვებიც არიან. სილუეტები ოდნავ აჩქარებული ნაბიჯით მიდიან.

მერე ერთბაშად ნათდება. გიტარა ჩუმდება.

ჩვენ წინაშე შორს მთაზე შემომდგარი მზე და გორაკებზე შეფენილი ჩაის თვალწარმტაცი პლანტაციები.

ეკრანზე გამოჩნდა ერთადერთი ჩაის ბუჩქი. მის ლორთქო დუყებზე ჯერ კიდევ ბრწყინავს ნამი. ბუჩქს თეთრი მანიკურიანი ხელის მტევანი დანვდა და ნაზად დაუწყო კრეფა. მალე მეორე ხელიც მიეხმარა, ახლა ჩაის ბუჩქზე ნელა მოძრაობს ორი თეთრზე-თეთრი წითელმანიკურიანი ხელის მტევანი.

სურათი თანდათან გვშორდება და საერთო ხედში მოჩანს აბრეშუმის ქრელ კაბაში გამონყოფილი ლამაზი მსახიობი ქალი მზია, რომელიც წელში გამართული, მეტად ყალბი მოძრაობებით აგრძელებს კრეფას. მას მკერდზე შრომის გმირის ვარსკვლავი უბრწყინავს. კალათა თითქმის სავსეა ჩაის ფოთლით. მზიას მოშვილდული ნარბები აქვს და გრძელი, ხელოვნური წამწამები. იქვე ახლოს ჩაის ბუჩქებს უდგანან ერთად შეჯგუფული, ასევე ლამაზად გამონყოფილი, ჭილოფისქუდიანი მკრეფავები.

პლანტაციას უახლოვდებიან ქამარზე საველე ჩანთადაკიდებული კოლმეურნეობის თავმჯდომარე (მოხუცი კომიკი

სანდრო), და საგაზეთოდ გამონყოფილი ახალგაზრდა აგრონომი (მსახიობი ოთარ მესხი).

– სალამი პლანტაციას! – მხიარულად გასძახა სანდრომ მკრეფავეებს. ქალებმა სალამითვე უპასუხეს.

ს ა ნ დ რ ო – ახალი აგრონომი მოგვივიდა ქალებო და აბა თქვენ იცით.

მზიამ შეამჩნია თუ არა მისკენ მომავალნი, კრეფა შეწყვიტა.

ს ა ნ დ რ ო – (ოთარს) გაიცანით ჩვენი სოფლის ჩირალდანი, ერთი ვარსკვლავი მიღებული აქვს და მეორეს ახლა ელის.

მზია თავანუელი ამაყად იღიმება.

აგრონომმა პიჯაკის ჯიბიდან შეუმჩნევლად ამოაცოცა ფოტოსურათი (ეს მზიას ფოტოა), დახედა და მალულად გაეღიმა.  
ო თ ა რ ი – (დინჯი და სიტყვაძვირი ჩანს) სასიმოვნო... დაიღალეთ?

თავაზიანად ეკითხება იგი და მზიას მკერდზე გმირის ვარსკვლავს თვალს არ აცილებს.

მ ზ ი ა – (აღტაცებით) რა დამლლიდა, უკვე ორასი კილოგრამი ჩავაბარე.

ო თ ა რ ი – (მიიხედ-მოიხედა) რა კარგი ყოფილა თქვენი სოფელი.

მ ზ ი ა – (კეკლუცად) ჰო, ვინც აქ ჩამოდის წასვლა აღარ უნდა.

ო თ ა რ ი – (წყნარად) მით უმეტეს თქვენი გაცნობის შემდეგ...

ს ა ნ დ რ ო – (ოთარს) თქვენ როგორც გეტყობათ უცოლო ბრძანდებით?

ო თ ა რ ი – (დაბნეულად) დიას... ჯერჯერობით ვერ მოვიცალე... ხომ მოგეხსენებათ გეგმები, თან ჩაის ახალ ჯიშზე ვმუშაობ...

ს ა ნ დ რ ო – (დაყვავებით) მართალია, ჯერ გეგმა, გეგმა მთავარი.

კადრს გარედან თავშეუკავებელი სიცილი გაისმა.

... და ჩვენ ვხედავთ ერთად შეჯგუფლ სოფლელ გოგონებს. მათ შორის ერთი ლოყანითელი მეჩაიე (ნათელა) კიდევ დიდხანს იკისკისებდა, რომ მის გვერდით მდგომ სანდომიანი სახის ქალიშვილს (ოლენდრა) არ დაეტუქსა.

– შეაჩერეთ! არ ვარგა! – ქუხილივით მოისმის რეჟისორის ხმა და საერთო ხედში ჩვენ ვხედავთ კინოფილმის გადასმლებ ჯგუფს.

რეჟისორი (მიხეილ ბერიძე) – ჩააქრეთ!

ფანრები ნელ-ნელა ჩაქრნენ. სიჩუმე ჩამოვარდა.

მზია, ოთარი და სანდრო ჩაის ბუჩქთან დგანან და დაღლილი, გაოცებული სახით შესცქერიან რეჟისორს.

რეჟისორი – დღეს გადალება არ შედგება!

ყველამ მისკენ მოიხედა.

მემონტაჟე ქალმა კადრების სანომრო დაფა საველე მაგიდაზე დადო.

სანომრო დაფა თანდათან იზრდება, გვიახლოვდება და ეკრანის ჩარჩოს იკავებს. დაფა-ეკრანზე ჩნდება წარწერა:

„ძვირფასო მაყურებლებო, როდესაც კმაყოფილნი თუ უკმაყოფილონი დარბაზს დატოვებთ, მოიგონეთ რომ ფილმი, რომლის გადალებასაც იხილავთ ჯერ არ დაბადებულა, ხოლო რასაც აქ გიამბობთ, ჩვენი კინოექსპედიციის შეუფერავი თავგადასავალია“.

ეკრანზე იწერება ფილმის სახელწოდება „მზის მოლოდინში“ და ავტორთა ტიტრები.

წარწერების დამთავრების შემდეგ მოისმის ხმა:

„ამბავი დაიწყო ასე:

ქალაქი დღისით. სანაპირო ქუჩა. მანქანების შეუწყვეტელი მდინარე. მრავალსართულიანი შენობა.

გემოვნებით მორთული ოთახი, ვიწროფეხებიანი ავეჯით. საწერი მაგიდა. ცარიელი საფერფლე. მაგიდაზე დევს

ქალაქების გროვა. საბეჭდ მანქანას თავფურცელზე ასოები გამოჰყავს:

**„ანთიმოზის ბედნიერება“**  
(კინოსცენარი).

ეს სცენარის ავტორი ბეჭდავს.

ავტორი გივი ვაშაძე, ოცდაათ-ცდათხუთმეტი წლის, საშუალო ტანისაა, ენერგიული გამომეტყველების, მსუბუქად, საშინაოდ ჩაცმული. პაპიროსს აბოლებს და ფიქრობს. ეტყობა უჭირს დაწყება. წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა, გამოაღო.. მოჩანს მანქანებით და ხმაურით სავსე ქალაქი. ყველაფერს ნაცრისფერი ადევს, მხოლოდ მწვანე გაზონებს დადგომია მეეზოვე ქალი რეზინის მილით ხელში და რწყავს.

გივის გაზონები ჩაის ბუჩქებად მოეჩვენა, ხოლო მეეზოვე მეჩაიედ იქცა და კრეფა დაიწყო. გივიმ ფანჯარა სწრაფად მიხურა, თითქოს სათქმელს მიაგნოვო, გამაღებით ბეჭდავს. შეჩერდა... თავი აიღო, გააბოლა. მერე უჯრა გამოსწია. კინომსახიობთა სურათების მთელი დასტა ამოიღო და ელვის სისწრაფით გადაათვალიერა. კინომსახიობების ოთარის, მზიას და სანდროს პორტრეტები აარჩია (ამათ ჩვენ სურათის დასაწყისიდან ვიცნობთ) და მაგიდაზე დადო. ისევ გააბოლა. თამბაქოს უშველებელი ბოლი ოთახის თეთრ კედელზე გაიშალა.

კედლის ბურუსიდან მსახიობ ოთარ კობიძის პორტრეტი გამოიკვეთა. ოთარი კედლიდან მიესალმა ავტორს.

გივი კედელს შესცქერის.

ბოლმა ისევ დაფარა კედლის ეკრანი.

ახლა კედელზე ვხედავთ ოთარს აგრონომ ანთიმოზის როლში. ანთიმოზის სამუშაო ოთახის კედლები მოფენილია გაზეთებიდან და ჟურნალებიდან ამოჭრილ მეჩაიე გმირ ქალთა ფოტოებით. ფოტოებიდან ანთიმოზს მეჩაიეთა მომღიმარი სახეები შესცქერიან, მაგრამ ანთიმოზს არ ელიმება, ახლაც ჟურნალიდან გულმოდგინედ ქრის მზიას პორტრეტს, შრომის გმირის ვარსკვლავით მკერდზე.



მანქანა განაგრძობს ბეჭდვას:

„აგრონომი ანთიმოზი ოცნებობდა აუცილებლად წარჩინებული მეჩაიე შეერთო, ამჯერად ცდუნება დიდი იყო“.

ანთიმოზი მზიას მომღიმარ სურათს დასცქერის. მან დააპირა სურათის კედელზე გაკვრაც, მაგრამ ეტყობა გადაიფიქრა. ფოტო გულის ჯიბეში ჩაიღო.

თამბაქოს ბოლმა ისევ დაფარა კედლის ეკრანი. ბოლში მატარებელმა გაიქროლა.

უკანასკნელი ვაგონიდან გადმოდის ანთიმოზი ჩემოდნით ხელში.

გივიმ ახლა მსახიობ სანდროს ფოტოს დახედა. მოხუცი კომიკი მას კედლის ეკრანიდან მიესალმა.

სანდროს უკვე ბაქანზე ვხედავთ (იგი კოლმეურნეობის თამჯდომარის როლშია). ახლადჩამოსულ აგრონომს მიეგება, იცნო, ხელები გაშალა და გადაეხვია.

კვამლმა ისევ დაფარა ეკრანი კედელზე.

ანთიმოზი და თავმჯდომარე ჩაის პლანტაციაში მოაბიჯებენ. შორს ლარივით გაჭიმულ ჩაის მწკრივებზე, ვხედავთ ერთმანეთის გვერდით მდგომ ჭრელ კაბებიან მკრეფავებს. ანთიმოზი და სანდრო მათკენ მიაბიჯებენ. რაც უფრო უუახლოვდებით, ვარჩევთ მკრეფავთა ლამაზ სახეებს და თანდათან ძლიერდება მათი მხიარული სიმღერა (ეს კადრი რამდენადმე მოგვაგონებს მეჩაიეთა ცხოვრებისადმი მიძღვნილი ზოგიერთი ეგზოტიკური ფილმების ნაცნობ სურათს).

კედლის ეკრანი ისევ დაფარა ბოლმა. კედელზე ამჯერად მსახიობ მზიას სურათი გამოიკვეთა. იგი მხიარული ღიმილით შესცქერის გივისს.

გივი გატაცებით ბეჭდავს. მისი სახე თამბაქოს ბოლში გაეხვია.

კედლის ეკრანზე გამოჩნდა მზია. იგი ჭრელ აბრეშუმის კაბაში, გმირის ვარსკვლავით მკერდზე ჩაის კრეფს და თან სიმღერას ხმას აყოლებს.

აქ განმეორდება დასაწყისი სცენა: აგრონომისა და თავმჯდომარის მოსვლა მზიასთან (უდილოვოდ).

თითები ბეჭდავენ:

„ანტიმოზმა საბედო იპოვა, მაგრამ მისი გულის მოგება არც ისე იოლი იყო“.

ჩაის პლანტაციის გვერდით უზარმაზარი ცაცხვის ხე დგას. ანტიმოზი ხეს უახლოვდება. ხის ჩრდლოში სამი კაცი წამოწოლილა. ბარები გვერდზე მოუგდიათ და თვლემენ. ანტიმოზი თავზე წამოადგა მათ. სამი ზარმაცი ფეხზე არ დგება. აგრონომი აწრიალდა, შეანჯღრია კიდეც ისინი. სამივემ უარის ნიშნად მარჯვენა ხელის მტევანი გაიქნია.

რა ქნას ანტიმოზმა?

უეცრად ჯიბიდან გაზეთი ამოიღო, გაშალა და ცხვირთან მიუტანა წამოწოლილებს. გაზეთის პირველ გვერდზე ჩაის პლანტაციის სურათია, უამრავი მკრეფავებით.

ზარმაცები ჯერ წამოჯდნენ, პირები დააღეს, გამტერებით შეაცქერდნენ გაზეთს. მერე წამოხტნენ. ეცნენ ბარებს და ანტიმოზს გაჰყვნენ.

ანტიმოზი ამ სამი კაცის და სანდროს თანხლებით ჩქარი ნაბიჯით მოარღვევს სოფლის ორღობეს. მის დაძახილზე ჭიშკრებიდან გამორბიან კოლმეურნეები თოხებით, ბარებით, წალდებით, კალათებით და სასხლავეებით.

ეს ხალხმრავალი პროცესია შესევია თვალუნვდენელ ჩაის პლანტაციას. ისინი ჯგუფებად დაყოფილან; ბარავენ, სარეველებს აცლიან, სხლავენ და ზოგს სასუქი შეაქვს, ანტიმოზი ყველას თავს დასტრიალებს, ყველასათვის მაგალითის მიმცემია.

ერთმნკრივად დამდგარი მეჩაიე გოგონები მხიარულად კრეფენ. მზიაც აქ არის.

ქარსაცავის ხეივანში ანტიმოზი გამოჩნდა.

ანტიმოზი შორიდან გასცქერის მომუშავე გოგონებს, ეტყობა მზიას დაეძებს.

გოგონებმა შეამჩნიეს თუ არა აგრონომი, ნელ-ნელა გაიკრიფნენ და მზია მარტო დატოვეს.

ანთიმოზმა ყვავილი მოწყვიტა და გაუბედავი ნაბიჯით მიუახლოვდა გულისსნორს. მზიამ მოიხედა, ანთიმოზმა ყვავილი გაუნოდა. მზიამ ჯერ თითქოს გაილიმა, მაგრამ უეცრად შუბლი შეიკრა, ყვავილი ხელიდან გამოსტაცა და გადაადგო.

ანთიმოზი შენუხდა.

მზიამ თავის ვარსკვლავზე ანიშნა, თითქოს მიახვედრა, რა ჩემი ტოლი ხარო.

საბეჭდ მანქანას კი ქალაღზე გამოჰყავს:

„რა გააკეთა ანთიმოზმა პლანტაციების დედოფლის გულის მოსაგებად“...

დაღონებული ანთიმოზი მაგიდას უზის. შუბლი ხელებით დაუფარავს და მწარე ფიქრებს მისცემია. უეცრად თითქოს გამოსავალი იპოვაო, წამოხტა და მტკიცე გადანწყვეტილებით ოთახი დატოვა.

საგანგაშო მუსიკა.

კოლმეურნეობის კანტორის ეზოში ტრაქტორების გვერდით ჩაის საკრეფ მანქანასთან ანთიმოზს მექანიკოსები შეუკრებია. ერთი გოლიათი მექანიკოსი ჩვრით ხელებს ინმენდს და მხრებს იჩეჩავს. იგი სახელურს დანვდა და ისე ღონივრად დაატრიალა, რომ მანქანა კინალამ გადააყირავა. ძრავი მაინც არ ამუშავდა. უცბად ანთიმოზმა ხელები დაიკაპინა, ძრავის მექანიზმს ჩახედა, მერე ერთი საკისარი შეაბრუნა და მანქანა ამუშავდა. გოლიათი საჭეს მიუჯდა და გახარებული ანთიმოზი მანქანას ჩაის პლანტაციისაკენ გაუძღვა.

ბოლმა ისევ გადაუარა კედლის ეკრანს.

თვალუნვდენელი პლანტაციის კვალში ჩამდგარი ჩაის საკრეფი მანქანა წინ მიიწევს და ჩაის ფოთოლი ყუთში გროვდება.

ანთიმოზის სიხარულს საზღვარი არა აქვს.

ჩაის მიმღებ პუნქტში სასწორთან დგას კმაყოფილი ანთიმოზი.

კალათებიდან, გოდრებიდან, ფუთებიდან... იატაკზე ხვავდება მოკრეფილი ჩაი. ჩაის გორა თანდათანობით ფარავს ანთიმოზს.

მოისმის საქორწილო სიმღერა.

იმერული ოდის ფართო დარბაზში, გრძელი მაგიდის გასწვრივ სხედან მექორწილენი, სანდროს (თამადის) გამყივარი ხმა ჭერს წვდება.

მაგიდის თავში მდგომი ნეფე-დედოფალი (მზია და ანთიმოზი) ბედნიერთა ღიმილით შესცქერიან ერთმანეთს. ორივეს მკერდზე ვარსკვლავები უბრწყინავს.

სტუმრები ღვინით სავსე ჭიქებით ხელში ულოცავენ. ნეფე-დედოფალი მოკრძალებით მადლობას უხდიან და სხდებიან.

გრძელნაწნავეებიან გოგონას ლანგრით ლამაზად მოხატული ჩაიდანნი შემოაქვს და ნეფე-დედოფალს მიაართმევს. ორი ჭიქა მუქად გამჭვირვალე ჩაის წყლით ივსება. შაქრის ნატეხები იძირება ჭიქებში. სტუმრები წითელ ღვინოს მიირთმევენ, ანთიმოზი და მზია კი ტკბილ ჩაის.

ბოლი ფარავს კედლის ეკრანს.

გივი ფურცელს იღებს საბეჭდი მანქანიდან.

მაგიდაზე საფერფლე სავსეა ნამწვავებით.

\* \* \*

დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ლამაზი მთაგორიანი სოფელი.

სოფლის შარაგზაზე მიქრიან მანქანები. წინ მსუბუქი მანქანაა. შემდეგ ავტობუსი, ლიხტვაგენი, ტონვაგები და კინოინვენტარით დატვირთული საბარგო მანქანები.

ისმის საზეიმო, მარშისმაგვარი მუსიკა.

სურათის პირველი ეპიზოდიდან ჩვენთვის ცნობილი 30-40 წლის, ოდნავ საფეთქლებშევერცხლილი რეჟისორი მიხეილ ბერიძე მსუბუქ მანქანაში მძღოლის გვერდით ზის. მანქანას, თვით ფილმის დირექტორი, მსუქანი, მკაცრი გამომეტყველების

ვახტანგი მართავს და გზას გაჰყურებს. უკან სხედან მხატვარი და კინოოპერატორი.

ნანვიმარია. ასფალტი ალაგ-ალაგ ამოგლეჯილი.

ავტობუსში სხედან ჩვენთვის ცნობილი მსახიობები: მზია, სანდრო, ოთარი და კინოექსპედიციის სხვა წევრები.

წინ მიმავალი მსუბუქი მანქანა დაწინაურდა და ავტობუსი კარგა მანძილზე ჩამოიტოვა. იგი დანგრეულ ხიდს მოადგა. ვახტანგი მიძიმედ გადმოვიდა მანქანიდან. ხიდს გახედა, ხელი ჩაიქნია და მდინარის ნაპირს გაუყვა ფონის საძებნელად.

მაღლობ ადგილას ჩაის პლანტაციებთან ახლოს, დგას ორსართულიანი შენობა, წარწერით „კოლმეურნეობა „წინსვლის“ გამგეობა“.

აივანზე ზის თავზე ყაბალახწაკრული მოხუცი ისიდორე (კანტორის დარაჯი) და ჩიბუხს აბოლებს.

კანტორის ეზოს ჭიშკართან მსუბუქი მანქანა გაჩერდა.

აივანზე ამოდიან ილიაში პორთფელამოჩრილი ფილმის დირექტორი ვახტანგი, რეჟისორი, მხატვარი და კინოოპერატორი. ოთხივე მუხლებს ქვემოთ დასველებულია და ტალახში ამოსვრილი.

ვახტანგი – (წარბშეჭმუხვნით) უკაცრავად, ვინ არის აქ პასუხისმგებელი?

ისიდორე – (მშვიდად) მე გახლავართ.

ვახტანგი – თავმჯდომარე ბრძანდებით?

ისიდორე – (წამოდგა) არა, რა იყო, რა მოხდა?

ვახტანგმა არაფერი არ უპასუხა, პორთფელი აივნის სვეტს მიაყუდა, სკამზე ჩამოჯდა, ფეხსაცმელები გაიხადა, გადმოაპირქვა და წყალი გადმოღვარა. სხვებიც იწურავენ შარვლის ტოტებს.

ისიდორემ სხვებიც შეათვალიერა.

ისიდორე – ამ დილაადრიან სად მოასწარით ბანაობა?

ვახტანგი – (გულმოსულად) კიდევ კარგი წყალმა სულ არ წაგვიღო, ჩვენი მანქანიანად იხვებივით ავცურდით...

ხიდი არ არის თქვენს სოფელში?

ისიდორე – (მშვიდად) იყო, მაგრამ ამ ბოლო წვიმამ თან გაიყოლია.

რეჟისორი – (შეშფოთებული) წვიმები აქ ხშირია?

ისიდორე – თუ დაიწყო არ გადაიღებს.

რეჟისორმა პაპიროსის კოლოფი ამოიღო. ისიდორემ მიუპატიჟებლად ხელი გაუწოდა. ერთი პაპიროსი პირში გაირჭო, ორი ყურებზე ჩამოიღო. რეჟისორმა სანთებელით მოუკიდა.

ვახტანგი – (ღიმილით) ჰოდა, საჩვენო ადგილას მოვსულვართ... (ისიდორეს) თავმჯდომარე არ მოვა?

ისიდორე – წავალ დავუძახებ. (მიდის).

ჩაის პლანტაციების გასწვრივ ბილიკზე ახალგაზრდა ქალ-ვაჟი ხელიხელ გაყრილი მოდის. ისინი მხიარულად შესცინიან ერთმანეთს. როცა ახლადტანაყრილ ხეივანს გაუსწორდნენ, ვაჟმა ქალი შეაჩერა, ხელი მოხვია, გაუღიმა და აკოცა.

ვაჟი (წარმოსადეგი, შავგვრემანი, პირქუში სახის, სამუალოზე ცოტა მაღალი, სამუშაო ტანსაცმელში გამონყობილი) – გიხარია?

ქალი (სანდომიანი სახის, ოდნავ გამხდარი, სადად ჩაცმული) – მიხარია.

ვაჟი – რა ბედნიერი ქალი ხარ ხომ?

ქალი – რატომაც არა.

ვაჟი – გიყვარვარ?

ქალი – (თავს დაუქნევს) ოდესმე თუ მითქვამს შენთვის მიყვარხარ-მეთქი.

ვაჟი – არ გითქვამს... ამიტომაც უფრო... (კიდევ გაიწია საკოცნელად)

ქალმა შეაჩერა.

– თავმჯდომარე არ გინახავთ?!

მოისმა ისიდორეს ხმა.

ქალ-ვაჟი შეკრთა.

ვ ა ჟ ი – მეორე ნაკვეთშია... რა იყო ისიდორე?

ისიდორე – სტუმრებია კანტორაში.

გ ო რ ა – ვინ არიან თუ იცი?

ისიდორე – არ ვიცი. (მიდის).

ქალმა ზურგზე გადაგდებული ქილოფის ქუდი დაიხურა, კალათა მოიმარჯვა, ვაჟს გაუღიმა და პლანტაციაში გადაუხვია. ვაჟმა ჩქარი ნაბიჯით განაგრძო გზა.

კანტორის ჭიშკართან რამოდენიმე კოლმეურნე დგას. მათ შორის ერთი, საშუალოხანსგადასული, თავშალმობვეული ქალი აგრაფინა ხშირად გზას გასცქერის.

ა გ რ ა ფ ი ნ ა – დიდი ხანია უცდით?

პ ო რ ფ ი ლ ე – საათზე მეტია.

ა გ რ ა ფ ი ნ ა – აგრონომიც არ გამოჩენილა?..

ა მ ბ ე რ კ ი – (სიცილით) აბა ვის ვუცდით ჩვენ?

აგრაფინას მოჭუტული თვალები უპეებში ცბიერად აწრიალდნენ.

ა გ რ ა ფ ი ნ ა – რაც ცოლი შეერთო ნამეტანი გაზარმაცდა.

გ ო გ ი ა – (გზას გასცქერის) აგერ მოდის.

კანტორის ჭიშკართან მდგომთ ენერგიული ნაბიჯით მიუახლოვდა წინა სცენაში ჩვენთვის ცნობილი ახალგაზრდა ვაჟი.

პ ო რ ფ ი ლ ე – (საყვედურით) სადა ხარ გორა ამდენ ხანს?

გ ო რ ა – საათმა მომატყუა... როგორ არის საქმე?!

ა მ ბ ე რ კ ი – ნერგები მოვიტანეთ და შენ გიცდიან.

გ ო რ ა – აბა წავიდეთ, (აგრაფინას) შენ არ მიდიხარ?

ა გ რ ა ფ ი ნ ა – საქმე მაქვს პატარა თავმჯდომარესთან და დაგენევით.

აგრაფინამ აივანზე უცხო ხალხს მოკრა თუ არა თვალი, მათკენ წავიდა. იგი აივანზე ავიდა და ტანსაცმლის წმენდაში გართულ რეჟისორს, ოპერატორს და ჯგუფის დირექტორს შეუმჩნევლად მიუახლოვდა. მისკენ მიბრუნებულ რეჟისორს ხელი დაუქნია.

რეჟისორი აგრაფინასთან მივიდა.

ა გ რ ა ფ ი ნ ა – (ჩურჩულით) ქალაქიდან ბრძანდებით?

რ ე ჟ ი ს ო რ ი – დიახ.

ა გ რ ა ფ ი ნ ა – რევიზიაზე? (პასუხს არ დაელოდა) მე გეტყვით ბატონო ყველაფერ სიმართლეს. თავმჯდომარე უნდა მოიხსნას, მის ადგილას ის ჩამოსული აგრონომი რომაა, ახლა რო გველაპარაკებოდა, იგი დანიშნეთ... სანყოფის გამგე კლუბის გამგედ ივარგებს და ბულალტერი-ქალი, ბიბლიოთეკარად გადავიყვანოთ.

რ ე ჟ ი ს ო რ ი – მაპატიეთ, მაგრამ ჩვენ სულ სხვა საქმისთვის გეახელით... ასე, რომ გაგვიჭირდება თქვენი დახმარება.

ა გ რ ა ფ ი ნ ა – (გაოცებულ) რა საქმეზე?

რ ე ჟ ი ს ო რ ი – ჩვენ მსახიობები ვართ.

იმედგაცრუებულმა აგრაფინამ ხელი ჩაიქნია და თოფნაკრავივით გაშორდა მათ.

კანტორის ეზოს კი კინოექსპედიციის სხვა მანქანებიც მიადგნენ. ავტობუსიდან გადმოვიდნენ მსახიობები და კინოექსპედიციის სხვა მუშაკები. მზია და ოთარი აივანზე ამოვიდნენ.

კ ო ტ ე – (რეჟისორის ასისტენტი, უცნაურად ჩაცმული, ჭრელ პიჯაკში და ვინროტოტებიან შარვალში, გაურკვეველი წლოვანების) მიხეილ სერგეევიჩ, სად მოვათავსო ხალხი?

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი – კოტე, რამდენჯერ მითქვამს შენთვის, რეჟისორს ასეთი საქმეებით ნუ შეაწუხებ -მეთქი.

რამდენიმე კოლმეურნის თანხლებით (მათ შორისაა ისიდორე) ეზოში შემოვიდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვარლამ ლეჟავა. ეტყობა იგი საქმიანი, ენერგიული კაცია, აივანზე მდგომთ მიესალმა და კაბინეტში შევიდა. მას შეჰყვნენ ვახტანგი, რეჟისორი, მხატვარი და რეჟისორის ასისტენტი – კოტე.

ვ ა რ ლ ა მ ი – დაბრძანდით... რით შემიძლია გემსახუროთ?

კოტეს გარდა ყველანი სხდებიან.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი – (წამოდგა) ჩვენ კინოსტუდიიდან ვართ... გაიცანით, რეჟისორი მიხეილ ბერიძე, მხატვარი... მე კი ჯგუფის დირექტორი გახლავართ.

ვარლამი სათითაოდ ხელს ართმევს.



ვარლამი – ააა! კინოფიკაციიდან ბრძანდებით? ახალი ფილმი ჩამოგვიტანეთ? ძალიან კარგი, დიდი მადლობა.

ვახტანგი – ... კი არ ჩამოვიტანეთ, აქ უნდა გადავილოთ თქვენი დახმარებით.

ვარლამი – აუჰ, რა დავაშავეთ ასეთი?.. (ლიმილით) ჩვენი სოფელი არაფრით არაა განსაკუთრებული...

ვახტანგი – საქმიანი იერით პორთფელიდან სქელტანიანი სცენარი ამოიღო და თავმჯდომარეს წინ დაუდო.

ვახტანგი – აი ჩვენი სცენარი... „ანთიმოზის ბედნიერება“, წაიკითხეთ... გაეცანით...

ვარლამი – (სცენარი ხელში მოსინჯა, ყოყმანით) ამის დრო მაქვს ახლა მე?.. ანთიმოზი ვინ არის?

რეჟისორი – აგრონომი გახლავთ, ფილმი მეჩაიეების ცხოვრებაზე იქნება.

კოტე – (უბის წიგნაკით ხელში, სხარტად) ყოველდღიურად ორმოცდაათი კაცი დაგვჭირდება, ხოლო დიდი სცენები-სათვის ზოგჯერ ორასამდე!

ვარლამი (ჩაფიქრდა) და რას გააკეთებენ ისინი?

კოტე – ითამაშებენ...

ვარლამი – (გაეცინა, უეცრად მოიღუშა) მერე მუშაობა? აჰ, ვერც ერთ კაცს ვერ მოგცემთ. მუშახელი ისედაც გვაკლია... სხვამხრივ დაგეხმარებით.

უეცრად ფანჯრის მინებზე წვიმა ანკაპუნდა.

– წვიმა! – დაიყვირა კოტემ.

ვახტანგი გარეთ გამოიჭრა, დანარჩენებიც გამოჰყვნენ.

უბოში ხალხი მიმოიფანტა, ზოგი კანტორისაკენ გაიქცა და ზოგი აივანზე ამოიჭრა. ზოგმა კი ავტობუსს და ხეებს შეაფარა თავი.

კოკისპირულად წვიმს.

ვახტანგი – (სასონარკვევით) კომედია დამთავრდა.

ვარლამმა უჯრიდან გასაღები ამოიღო.

ვარლამი – ისიდორე! გაუძეხი სტუმრებს კლუბისაკენ.

სამგლოვიარო მუსიკის მსგავსი.

ვახტანგი და ისიდორე კიბეზე ჩადიან.

კინომუშაკები აივნიდან და მანქანებიდან ეზოში გამოვიდნენ და წინ მიმავალთ გაჰყვნენ ქოლგებით, სანვიმრებით და ჩემოდნებით თავდაფარულნი.

მოაჯირზე მთვლემარე ფოტოგრაფმა უეცრად თავი აიღო, ფოტოაპარატი მოიმარჯვა და დაიყვირა:

– ერთი წუთით, სამუშაო მომენტი! –

ყველანი წუთით შედგნენ. ფოტოგრაფმა აპარატი რამოდენიმეჯერ გააჩხაკუნა, პროცესიამ ისევ განაგრძო გზა.

მაღალქუსლიანი ფეხსაცმელებით მიმავალმა მზიამ უცებ შეჰკვივლა, დაიხარა და ხელში ქუსლმოტეხილი ფეხსაცმელი აიღო. მას ოთარი მიეშველა. ოთარის მკლავზე დაყრდნობილი მზია კოჭლობით მიდის.

\* \* \*

კინოექსპედიციის მუშაკები კლუბის საერთო დარბაზში ეწყობიან. შემოაქვთ აპარატურა, ჩემოდნები, საკეც სანოლებს შლიან, კედელზე ლურსმნებს აჭედებენ.

ზოგი გაუხდელად წამოწოლილა, ზოგი გამომრთველს ატრიალებს. მსახიობები უმწეოდ სხედან თავიანთ ჩემოდნებზე. მზია ზურგშექცევით ზის და წინდებს იცვლის. მოხუცი გრიმიორი ზახარ სოლომონიჩი და მისი თანამემწე რეზო ჩემოდნებით და ყუთებით ხელში მობუზულეები დგანან.

ყველგან მოისმის ვახტანგის ბოხი ხმა. მას თითქმის ფეხდაფეხ დასდევს ისიდორე. პერანგისამარა სანდროს სველი ტანსაცმელი ხელში უჭირავს და ბუზღუნებს:

ს ა ნ დ რ ო – (ვახტანგს) ესაა თქვენი პირობა? აქ სად შეგვყარეთ საქონელივით.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი – წუ გეშინიათ, ეს ღამე გავათიოთ და ხვალ ყველას ქარვასლებში მოგანყობთ. (ისიდორეს გრიმიორზე

და მის თანაშემწეზე მიუთითა) თუ კაცი ხარ ესენი შენ-  
თან დამიბინავე. მზია თქვენც გაჰყევით...

მზია – არა, სადაც ყველაა, მეც იქ...

რეკვიზიტორმა დარბაზის ერთ კუთხეში შირმა გაშალა.  
მზია და სხვა ქალი მსახიობები თავიანთი ნივთებითურთ შირ-  
მის უკან გაუჩინარდნენ.

კლუბში ნელ-ნელა ბნელდება.

ისმის ჩუმი ნაღვლიანი სიმღერა.

ოთარი და ოპერატორი ჭადრაკს ჩასჯდომიან.

ოპერატორის ასისტენტს კიბე შემოაქვს და ელექტრონის  
ხაზს ასწორებს. ვახტანგმა გამომრთველი გადაატრიალა და  
დარბაზი განათდა. ვაშამ და ტაშმა იქუხა. ყველანი გამხიარ-  
ულდნენ, სანდრო პირალმა გაიშოტა სანოლზე.

კლუბის კარებში კოლმეურნეობის თავმჯდომარე - ვარ-  
ლამი და აგრონომი – გოჩა გამოჩნდნენ.

ვარლამი – როგორ მოენყვეთ მეგობრებო?

ვახტანგი – (პათეტიკურად) სრული წესრიგია!

მეზობელ ოთახიდან რეჟისორი გამოვიდა.

ვარლამი – (აგრონომი წარუდგინა) ჩვენი აგრონომი...

გოჩა...

რეჟისორი – (ხელს ართმევს) სასიამოვნოა...

ვარლამი – აბა კარგად ბრძანდებოდეთ... ღამე მშვიდო-  
ბისა... მოისვენეთ.

ვარლამი და გოჩა გავიდნენ.

აივანზე გამნათებლები უშველებულ ელექტროფანრებს  
დგამენ.

\* \* \*

მონმენდილი დილა გათენდა.

ისმის მხიარული, სიცოცხლით სავსე მუსიკა.

ნანვიმარია, ხეების ფოთლებზე წყლის წვეთები ბრწყინ-  
ნავენ.

კლუბის ღია კარებიდან სათითაოდ გამოდიან ექსპედიციის წევრები და წყაროსკენ მიდიან.

კლუბისა და კანტორის ეზოში ჩაის ფოთლით სავსე ყუთებით დატვირთული საბარგო მანქანა დგას. მძღოლს ძრავის სარქველი აუხდია და თავჩარგული ჩაჰკირკიტებს, მანქანის ძარას ორთქლი ასდის. ვარლამი თავზე წამოადგა მძღოლს.

ვარლამი – (გულმოსულად) ჯერ არ წასულხარ ძმაო შენ? მძღოლი წელში გაიმართა და პასუხს არ იძლევა.

ვარლამი – რას დამადექი თავზე ძეგლივით?

მძღოლი – ქვეყანა წყალს მიაქვს და ხომ არ გადავფრინდები.

ვარლამი – მოუსვი ახლავე, გაჩერებულია ფაბრიკა!

მძღოლი შეიმშუშნა, უკმაყოფილოდ მიწვდა ძრავის სახელურს და მანქანა აგუგუნდა.

რეჟისორი, მხატვარი, ოპერატორი და კოტე კლუბის აივანზე გამოდიან. მოჩანს მთაგორიანი, ლამაზი იმერული სოფელი, გორაკებზე შეფენილი ჩაის პლანტაციებით.

რეჟისორი – ნახეთ...

ოპერატორმა კადრმზომი მოიმარჯვა და გახედა.

მწვანედ აბიზინებულ გორაკებიდან ზანტად დგება ნისლი და ცას უერთდება.

ოპერატორი – საინტერესოა...

– მიხეილ სერგეევიჩ! ერთი წუთით! –

მოისმა კოტეს ხმა. იგი მინის ჩარჩოიან საპატიო დაფასთან დგას. რეჟისორი და მისი თანმხლებნი დაფასთან მივიდნენ. დაფის შუაგულში ყურადღებას იპყრობს მეჩაიე ქალიშვილის პორტრეტი ორდენით მკერდზე. პორტრეტს წარწერა აქვს: „ოლენდრა თოიძე“.

კოტე – (ლიმილით) აქაური პლანტაციების დედოფალი.

რეჟისორი – ჩვენ დაგვჭირდება ამ ოლენდრების და ორქვიდების დახმარებაც.

კლუბის ეზოს გასწვრივ, ევკალიპტებით დაჩრდილულ გზაზე, მხიარული ჟივილ-ხივილით მოიჩქარიან სამუშაო

ტანსაცმელში ჩაცმული ჭილოფისქუდებიანი ჩაის მკრეფა-  
ვები, კალათებით და ბოხჩებით ხელში. მათ შორისაა შავთ-  
ვალეზა, მოხდენილი ოლეანდრა და ლოყანითელი, მხიარული  
სახის ნათელა.

ცირა – ჩვენ რეჟისორის ასისტენტი ჩაგვისახლეს, კოტე  
ჭქვია.

ნათელა – (ანყვეტინებს) უი, ვიცი, ვიცი, მაღალია, ჭრელ-  
პიჯაკიანი, მწევარივით აცეცებს თვალებს, დედა! რა სა-  
საცილოა.

ცირა – (გულმოსულად) არაფერიც!

ნათელა – შეხედეთ, ეწყინა... გულში ხომ არ ჩაგივარდა  
გოგო?

გოგონებმა გაიცინეს.

თეოდინა – ჩვენთან გრიმიორები ცხოვრობენ... უღვაშე-  
ბით და წვერებით გაავსეს ოთახი... ქიმიურად თმის დახ-  
ვევას დამპირდნენ.

ნათელა – ჩემზეც უთხარი რაა?

ცირა – (ხელი წაავლო თმებში) ამ ცოცხივით თმას რა ქიმია  
უშველის.

გოგონებმა ისევ გადაიკისკისეს.

სიცილი ვარლამის ხმამ დაფარა.

ვარლამი – (კანტორის ჭიშკართან დოინჯშემოყრილი დგას)

– უყურე ამათ, სეირნობის დრო გაქვთ? გადაბერდა  
ფოთოლი...

გოგოები გაჯავრდნენ და ერთად ახმაურდნენ:

– მივდივართ ხომ ხედავ?!  
– რაა ბოლოს და ბოლოს!

– გვაცალე სულის მოთქმა!

– რას გვეჩხუბება ნეტავი!

ვარლამი – ნუ აყაყანდით ერთად. მე ბრიგადირს ვეკითხები.

ოლეანდრა – (მშვიდად) თუ ამინდმა ხელი შეგვიწყო, ჩვენს  
უბანზე დღეს დავამთავრებთ...

გოგონებმა გზა განაგრძეს.

თავმჯდომარემ მისკენ მომავალი კინომუშაკთა ჯგუფი შეამჩნია.

ვარლამი – (მოწინებით) დილა მშვიდობისა, ადრე აბრ-  
ძანებულხართ?

ვახტანგი – თქვენ მაინც ვერ აგასწართ.

რეჟისორი – უკაცრავად, წყლის ნისქვილისაკენ ვერ  
მიგვასწავლით?

ვარლამი – (გაცივანა), ჩვენს სოფელში მარტო ელექტრო-  
ნის ნისქვილია.

მხატვარი – (რეჟისორს) რას ვიზამთ... უნდა ავაშენოთ.

ვახტანგი უკმაყოფილოდ შეიშმუშნა.

თავმჯდომარესთან შარვლისტოტებაკაპინებულმა ბიჭმა  
(გიგლა) მოირბინა.

გიგლა – ვარლამ ბიძია, სასუქი არ მოუტანიათ!

ვარლამმა იქვე მდგომ ისიდორეს დაუძახა:

ვარლამი – ისიდორე, გაჰყევი ერთი ამათ ნისქვილში...  
ბოლიში... ეს გაჩვენებთ ყველაფერს.

ვარლამი გიგლასთან ერთად წავიდა.

ისიდორემ ჯოხი მოიმარჯვა და კინომუშაკთა ჯგუფს  
გაუძღვა.

სოფლის ატალახებულ გზაზე გაიქროლა რეზინის საბურავე-  
ბიანმა ტრაქტორმა და ტალახიანი წყალი ააშხეფა. ბატებმა  
გზიდან ძლივს გადაასწრეს. კინომუშაკები ლობეებს აეკრნენ.

სოფლის გზაზე დილა შეიმჩნევა, ზოგი საქონელს მიერეკე-  
ბა... ზოგი ცხენით მოდის, ურმით... ფეხით. ყველა მიიჩქარის.  
პლანტაცია ნანვიმარზე.

მკრეფავები აქა-იქ მიმოფანტულან და თავთავიანთ ნა-  
კვეთებზე თავაუღებლივ მუშაობენ: ერთ-ერთ მწკრივში ოლე-  
ანდრა დგას. იგი გამალებით კრეფს და ფოთოლს წელზე და-  
კიდებულ კალათში ჰყრის.

სველი კაბა ტანზე შემოჰკვრია, კვალში ჩაგუბებულ წყალს  
გვერდს უვლის და დაკრეფილ ბურქებს უკან იტოვებს.

– ოლენდრა! – მოისმა გოჩას ხმა.

ოლენდრამ თავი აიღო.

ქარსაცავის გასწვრივ ბილიკზე ხესთან გოჩა დაინახა.

გოჩა – მოდი აქ!

ოლენდრა – ნუ გამაცდენ ახლა.

ოლენდრამ კრეფა შეწყვიტა და გოჩასთან მივიდა.

გოჩა – (თავშეკავებით) რა გითხარი ამ დილით... მაინც ნამოხვედი ამ ჟალტამში?

ოლენდრა – (კალათა მოიხსნა და მოლზე დადო) ნუ გეწყინება გოჩა.

გოჩა – არ შეიძლება ნანვიმარზე შენი მუშაობა.

ოლენდრა – ნანვიმარი რა შუაშია.

გოჩა – აბა ეს არის სასიამოვნო?!

ოლენდრას ცალ ფეხზე კალოში გახადა და ტალახიანი წყალი გადმოღვარა.

გოჩა – ნადი ახლა სახლში.

ოლენდრა – (მტკიცედ) ხომ იცი, არ წავალ!

გოჩა – წახვალ!

ოლენდრა – (მშვიდად) არა...

ოლენდრამ კალათა აიღო და წასლა დააპირა, გოჩამ კალათა ხელიდან გამოსტაცა და გადაისროლა.

კალათა გზაზე მიმავალ კინომუშაკთა ჯგუფის წინ დაეცა, ისიდორემ აიღო, გაკვირვებულმა ირგვლივ მიმოიხედა და პლანტაციის მიმართ მივიდა.

რეჟისორი და მისი თანმხლებნი მიჰყვნენ. ისიდორემ ხეს მიყრდნობილი ოლენდრა და ჩქარი ნაბიჯით მიმავალი გოჩა დაინახა. ოლენდრამ არაფერი არ შეიმჩნია, ისიდორეს კალათა გამორთვა და თავჩაქინდრული პლანტაციის მიმართ მივიდა.

რეჟისორი – (ჩუმად ოპერატორს) აქ რაღაც მოხდა.

ოპერატორი – (აუღელვებლად) საინტერესოა...

ისიდორე (რეჟისორს) წავიდეთ! წისქვილი აქეთაა...

ისიდორემ ნაბიჯი გადადგა თუ არა, მის წინ ტვირთაკიდებულმა გიგლამ მოირბინა.

გიგლა – კორესპონდენტი მოდის! ოლეანდრას ნახვა უნდა!  
ისიდორე – (მშვიდად) ნახოს მერე...

აპარატებით შეიარაღებული სათვალისანი კორესპონდენტიც მოახლოვდა. დამხვდურთ თავაზიანად მიესალმა და პლანტაციის შიგნით შეაბიჯა.

ისიდორე – (რეჟისორს) ნამობრძანდით!

ოლეანდრამ შეამჩნია თუ არა სტუმრები, კრეფა შეწყვიტა და სახე შეინმნდა.

– კორესპონდენტი გახლავართ, თქვენთან საუბარი უნდა ჩავიწერო. შეუღწეველი იერით მედიდურად წარუდგა მას მოსული, სამფეხი გაშალა, გიგლას მაგნიტოფონი გამოართვა და ხმის ჩასანერად მოემზადა. უბის წიგნაკში ჩაიხედა.

კორესპონდენტი – (შთაგონებითი ტონით) როგორც ვიცით, თქვენი კომუნისტური შრომის ბრიგადა შეჯიბრებაშია ჩაქველ მეჩაიებთან, რას გვეტყვით ახალს?

ოლეანდრა – (მორცხვად) ჯერჯერობით ვერაფერს... ვმუშაობთ რაც შეგვიძლია... თუ გნებავთ ამხანაგებს დაუვუძახებ.

კორესპონდენტი – (ანწყვეტინებს) არა, არა... მე მხოლოდ თქვენი სიტყვა უნდა ჩავიწერო.

ოლეანდრა – მე... მეტი რა უნდა გითხრათ?..

კორესპონდენტი – მოითმინეთ... (ჩანთიდან მსხვილი ასოებით დაწერილი ქალღმერთი ამოიღო და ქინძისთავით გიგლას მკერდზე მიაბნია)

– წაიკითხეთ! (თითონ კი „კონვასი“ მოიმარჯვა) გთხოვთ.

ოლეანდრა – (ქალღმერთს დასცქერის, თავს უხერხულად გრძნობს) ამის თქმა არ შემეძლია... ხომ გითხარით... ვმუშაობთ, მე მგონი არ შევრცხვებით... თუმცა... (ხმა ჩაუნყდება).

კორესპონდენტი – (გადაღება შეწყვიტა) მშვენიერია!.. კიდევ ერთი კითხვა! როგორც ვიცით თქვენ ახლახან დაქორწინდით... რას გვეტყვით ოჯახურ ბედებზე?

ოლეანდრა მოულოდნელი კითხვით დაიბნა და თავი ჩაქინდრა.



კორესპონდენტი – მაპატიეთ! (ახლა ფოტოაპარატი მოიმარჯვებ) ერთი წუთით... გთხოვთ გაილიმთ!

ოლენდრამ ცრემლი მოინმინდა და უნებლიედ გაელიმა.

კორესპონდენტმა აპარატი გაატკაცუნა.

კორესპონდენტი – გმადლობთ... (აპარატურას სწრაფად ალაგებს)

ოპერატორი კადრმზომში იხედება.

რეჟისორი – (ოპერატორს) აქ გადავიღებთ პირველ სცენას...

(ოლენდრას მიუბრუნდა) თქვენი შეწუხებაც მოგვიხდება.

ოლენდრა გაოცებული შესცქერის მათ.

\* \* \*

სოფლის განაპირა ორღობეში, რომელიც ყანებს კოლმეურნეთა ეზოებიდან ჰყოფს, მოისმის გოჭის ჭყვირილი და აგრაფინას ხმა:

– აცა, შე უპატრონო!

ორღობეში გამოჩნდა აგრაფინა. მას ერთ ხელში პატარა კალათა უჭირავს და მეორეთი მთელი ძალით ექაჩება თოქს. გოჭი ჭირვეულობს.

აგრაფინა – გამოადგი ფეხი შე სამგლე!..

რეჟისორმა ალაგეზე გადმოაბიჯა, შორს მისი თანმხლებნი ჩანან.

აგრაფინამ სტუმარი იცნო.

აგრაფინა – კონცერტი, დღეს გაქვთ?

რეჟისორმა მოიხედა.

რეჟისორი – (ღიმილით) წვიმამ შეგვიშალა ხელი...

აგრაფინა – (რალაც მოისაზრა) მოდით აქეთ...

რეჟისორი მუახლოვდა.

– შეხედე!

რეჟისორმა კობტად შემოლობილ საკარმიდამო ნაკვეთში გადაიხედა, სუფთად გამარგლული, ტანაყრილი სიმინდის ყანა ჩანს.

ა გ რ ა ფ ი ნ ა – ახლა ეს ნახე!

მორღვეულ ღობის იქით დაჩიავებული გაუმარგლავი ყა-  
ნაა. თვალუნვდენელ ფართობზე.

ა გ რ ა ფ ი ნ ა – რომელი ყანა ჯობია თუ იცი?

რეჟისორი უკეთესზე მიუთითებს.

ა გ რ ა ფ ი ნ ა – ჰოდა გამარჯობა შენი, ერთ კაცს აბარია  
ორივე. ის საკარმიდამოა, თავისია. ეს კი საქვეყნოა... მი-  
ტოვებული აქვს უპატრონოდ. ესაა საქმე?..

რეჟისორი გაოცებული შესცქერის ჯერ ყანებს და მერე  
აგრაფინას.

ა გ რ ა ფ ი ნ ა – ჰოდა, რატომ მეჩხუბებიან მე, ავადმყოფ ქალს,  
იმუშავე, მოიკალი თავი და მერე ჩვენ წავიღებთო? (ისევ  
გოჭს გაუნყრა) სად მიხვალ! ამონყდა შენი გამომტანებელი.

რ ე ჟ ი ს ო რ ი – (სიცილით) გოჭი ხომ თქვენია?

ა გ რ ა ფ ი ნ ა – კი აბა, ჭკუაში გვიგებს თავმჯდომარე... ერთ  
ჰექტარ მინაზე სარეკორდო სიმინდი უნდა მოვიყვანო,  
თან ეს გოჭი გავზარდო, გავასუქო და ჩავაბარო უკან.

რ ე ჟ ი ს ო რ ი – ეს მარტო თქვენ თუ...

ა გ რ ა ფ ი ნ ა – ყველამ... ჰოდა ვერ გავიგე ახლა, სიმინდი  
ვთოხნო თუ გოჭს ვუყურო, მარა ვენაცვალე ჩემს ჭკუას,  
არ ვიკლავ თავს, ამ გოჭს მოვუნახავ თავის გზას.

რეჟისორი არ დაინტერესდა რა გზას მოუნახავს აგრაფინა  
გოჭს. ორღობეში გიგლა გამორბის და ხალხს ეძახის.

– პორფილე!

– ამბერკი!

– გოგია!

ღობეს სამი კოლმეურნე მოადგა, თავნაკრულნი, თოხებით  
ხელში.

პ ო რ ფ ი ლ ე – რა გაყვირებს ბიძია?

გ ი გ ლ ა – პატარა ხანს მუშაობას დაანებეთ თავი, წისქვილთ-  
ან მოდით ახლავე, აგიტატორია მოსული.

ა მ ბ ე რ კ ი – სანამ იგი გაზეთს წაიკითხავს, გავთოხნით ამ  
ყანას.

გოგია – (ემმაკური ლიმილით) გვეცი პატივი, ჩაგვწერე დას-  
წრებულად...

გიგლა – არ მოხვალთ თუ?!

პორფილე – (გოგიას) კარგი თქვა უთხარი, ხომ ხედავ  
მომართულია, მოვალთ შეილო, აბა არ მოვალთ?!

გიგლამ გზა განაგრძო, აგრაფინამ შეაჩერა.

აგრაფინა – სად გარბიხარ ბიჭო?

გიგლა – (არ შეჩერდა) შენც წამოდი დედაჩემო!

აგრაფინა – აგიტაცია მაკლია ახლა მე? (გოჭს დახედა).

გიგლამ გაირბინა.

რეჟისორი ხმამაღლა იცინის.

აგრაფინა – (რეჟისორს) შვილია ჩემი... ზარმაცია თუ არა,  
ნიჭი კი აქვს.

რეჟისორი ნავიდა.

აგრაფინამ ხელი ჩაიქნია და წინ გავარდნილი გოჭი ისე  
მაგრად მოქაჩა, რომ საყვირით ააჭყვირა.

ელექტრონის ნისქვილთან ცაცხვების გრძელ ჩრდილში  
ხალხი შეგროვილა: ქალები, მამაკაცები, მოხუცები, ბავშვები.

ნისქვილს თავზე გადმოჰყურებს ცაში ატყორცნილი ძვე-  
ლი ციხესიმაგრე.

ლოდზე გაშლილ გაზეთს დაჰყურებენ კოლმეურნენი, აქვე  
არიან აგიტატორი ისიდორე და რეჟისორიც, გაზეთის ერთ  
გვერდზე ხელამართული ფიდელ კასტროს სურათია წარწერით:  
„თავისუფლება ან სიკვდილი, ჩვენ გავიმარჯვებთ“.

ისიდორე (აგიტატორს) – დავიჯეროთ ახლა ბიძია, ამერი-  
კას ამ კაცის ემინია?

ამბერკი – ატომის ყუმბარამ ჩემო ისიდორე დიდი და პა-  
ტარა არ იცის.

პორფილე – (ანყვეტინებს) ამ ციხეს ხომ უყურებთ? (ყველამ  
ციხეს გახედა) კვერცხით შემოგვაფშვნის ხელში...

ისიდორე – არც მასეა საქმე, გერმანიამ პირველ ომში გაზი

რომ გაუშვა, თვალეები კინალამ დავივსეთ... მერე, ხომ აკრძალეს?

ამბერკი – ბრძენი ხარ, ბრძენი ისიდორე, მაგრამ ვინ გიჯერებს?.. ირგვლივ გადიხარხარეს.

ისიდორე – (სერიოზულად) იმპერიალიზმის ბედი გადანწყვტილია. კი... ომი კი არა მთვარეს ვესროლეთ ჩანგალი და მიწაზე გვინდა ჩამოვილოთ.

გიგლა – რავა კინოსკაცივით ლაპარაკობ ისიდორე ბიძია!.. ირგვლივ ისევ გადიხარხარეს.

რეჟისორს გაელიმა.

ვარლამმა ისიდორეს ბოლო სიტყვებს მოჰკრა ყური და ცაცხვის ქვეშ შეკრებილებს თავზე წამოადგა.

ვარლამი – ისიდორე ნუ მიცდენ ამ ხალხს... (სხვებს მიუბრუნდა)

აბა, ახლა თქვენს საქმეს მიხედეთ.

აგიტატორმა გაზეთი დაკეცა, ხალხი იშლება, რეჟისორი კადრმზომში ციხეს გაჰყურებს.

წყნარი მუსიკა. ციხე სულ ახლოს მოჩანს, ზვიადად შემართული. სალამოვდება, მზის უკანასკნელი სხივიც ჩაქრა. ციხის კედლებს ღამურები გარს უვლიან, ნავარდობენ.

ზევით, ციხის ყველაზე მაღალ ქონგურზე ადამიანის შავი ფიგურა გამოჩნდა. ქონგურზე მდგარი რეჟისორი შორს გაჰყურებს, ჰორიზონტზე! თოვლიანი მთების თეთრად განათებული მწვერვალები აღმართულან. ქვევით ვერცხლისფერი მდინარეებით დასერილ ქალებში და გორაკებზე შეფენილ პლანტაციების და ყანების ირგვლივ სოფლები მიმოფანტულან.

სოფლებში სინათლეები აციმციმდნენ.

რეჟისორმა ხავსიან ქვაზე ჩაიმუხლა. კადრიდან პირდაპირ მაყურებლებს მიმართა:

რეჟისორი – ძვირფასო მაყურებლებო, აქ არ ამოვსულვარ წმინდა ექსკუსიული ინტერესით... არც იმიტომ, რომ სალამოს პეიზაჟები მეჩვენებინა. სოფელში დღეს ბევრი

რამ ვნახეთ და წარმოიდგინეთ, აქ ჩვენი ფილმის ვერც ერთი პერსონაჟი ვერ აღმოვაჩინე. არ ვიცი, შევძლებ თუ არა ფილმის ამ სახით გადაღებას... სოფელში, სადაც დღეს ცის დაპყრობაზე ლაპარაკობენ... მდინარეზე კი ისეთი ხიდი ვერ გაუდვიათ, რომ წყალდიდობას გაუძლოს, სადაც ძველი და მყარი მხოლოდ ეს გალავანმორღვეული ციხეა, ჩვენი კომედიისთვის ცოტა რამ დარჩენილა...

ვნახოთ რას გვიჩვენებს ხვალინდელი დღე (ლიმილით) ხომ გაგიგონიათ წინილას მხოლოდ მაშინ შეუძლია კვერცხზე აზრის გამოთქმა, როცა ნაჭუჭიდან მთლიანად განთავისუფლდება...

\* \* \*

ალიონია...

გიტარა უკრავს ფილმის ლეიტმოტივს.

ცის ფონზე ისევ გაიარეს მეჩაიეთა სილუეტებმა, მათ შორის კინოექსპედიციის მუშაკებიც შეიმჩნევიათ. მოაქვთ აპარატურა.

მერე ერთბაშად ნათდება, მაგრამ ღრუბლიან ცაზე მზე არა ჩანს.

იმერული ოდის აივანზე გოჩა პირსაბანთან დგას და პირსახოცით სახეს იმშრალავს.

ოთახიდან გამოვიდა ოლენდრა, აივნის სვეტზე ჩამოკიდებული კალათა ჩამოიღო და კიბისაკენ გაემართა.

გოჩამ იგი შეამჩნია, პირსახოცი სწრაფად მიაგდო და გამოუდგა.

გოჩა – მიდიხარ მაინც ხომ?

ოლენდრამ არაფერი არ უპასუხა და გზა განაგრძო.

გოჩა – (წინ გადაუდგა) არ გესმის ჩემი?

ოლენდრა – (მშვიდად) გამიშვი...

გოჩა – ჩაიში თუ არ ნახვალ კი...

ოლენდრა (ლიმილით) – კინოს გადაღებაზე დაგვიბარეს...

გოჩა – (გაკვირვებული) ახალი ამბავი... მერე რა უნდა გააკეთო იქ?

ო ლ ე ა ნ დ რ ა – არ ვიცი...

გ ო რ ა (დაფიქრდა) – წადი... მხოლოდ პლანტაციაში არ დაგინახო.

ო ლ ე ა ნ დ რ ა – ნამეტანი ხარ გოჩა.

ოლენდრა მიდის. გოჩა დგას და მიმავალს შესცქერის.

მზემ ღრუბლებიდან გამოანათა.

გადალების ადგილი ჩაის პლანტაციაში, (ოლენდრას ნაკვეთი).

გადამლები ჯგუფი სამუშაოდ ემზადება. ოპერატორის ასისტენტი აპარატს წმენდს. ფირიან კასეტს აპარატში დებენ.

გ რ ი მ ი ო რ ი – ზახარ სოლომონიჩი და მისი ლამაზად თმადვარცხნილი თანაშემწე რეზო საველე მაგიდაზე აღაგებენ პარიკებს და გრიმის ყუთებს.

ოთარი მაგიდას მიუჯდა და გრიმის კეთება დაიწყო. ოპერატორი მონოქრომით ხშირად ცას გაჰყურებს, ოპერატორის ასისტენტი განათებას ხელმძღვანელობს, ფანრები ხან ინთებოიან, ხან ქრებიან.

სტანოლგადაკრულ ფარებს ფანრებს შორის დგამენ. ისიდორე იქვე დაფუსფუსებს, ჯგუფის დირექტორი – ვახტანგი მაგიდასთან ზის, წერს, თან გადალების მომზადებას თვალყურს ადევნებს.

გზის პირად კარავი გაუშლიათ.

რეჟისორი ნერვიულად დააბიჯებს. შეჩერდა. პაპიროსის კოლოფი ამოიღო. კოლოფის გახსნისთანავე მის წინ მიუპატიჟებლად ისიდორე აღმოჩნდა, რამოდენიმე ცალი ამოიღო, ერთი პირში გაირჭო, ორი ყურებზე ჩამოიღო, რეჟისორს გაელიმა და სანთებელით ჯერ ისიდორეს მოუკიდა, მერე თვითონ გააბოლა.

მზე თეთრი ღრუბლების პირბადიდან მკრთალად ანათებს, ირგვლივ პლანტაციაში თავთავიანთ ნაკვეთებზე ჩანან მკრეფავები...

გადაღების ადგილზე ჩქარი ნაბიჯით შემოდინან მზია და მოხუცი კომიკი სანდრო. სანდრო გზადაგზა იხდის პლამს და ქუდს.

ვახტანგი წამოდგა და დაგვიანებულებს გულმოსულად მიმართა:

ვახტანგი – თქვენ სანატორიუმში ხართ?

მზია – (ნიშნის მიგებით) მზე ხომ მაინც არ არის?

ვახტანგი – ცაც რომ ჩამოიქცეს, ადგილზე უნდა იყოთ!..

მზია – (თავისთვის) პირველად მესმის!

გადასაცემლად კარავს მიაშურა.

სანდრო – (კოტეს) გავიკეთო გრიმი?

კოტე – აუცილებლად.

სანდრო – ორი დღეა გრიმში ვარ და არავინ არ მიღებს.

თხუთმეტში თეატრში უნდა ვიყო.

ვახტანგი – (დინჯად) თეატრი დაიცდის.

სანდრო – (გულმოსულად) რაო? ორმოცი წელია თეატრში ვმუშაობ და სანდრო ქვარიანს ჯერ რეპეტიციასაც კი არ დაუგვიანია!

კოტე – (მოფერებით) ნუ ღელავთ ძია სანდრო, მზე გამოვა.

რეჟისორი – (ოპერატორს) რას იტყვით?

ოპერატორი – (მონოქრომით ცას გასცქერის, აუღელვებლად) ცის ფრონტზე ცვლილება არ შეინიშნება... ისევ რძიანია. ნახეთ აგერ-იგერ ბატკნებიც გამოჩნდნენ...

ისიდორემ თავი ასწია და გაკვირვებულმა ცას შეხედა.

რეჟისორი – (ვახტანგს) როგორ მოვიქცეთ?

ვახტანგი – (თავშეკავებული სიბრაზით) რას ვიზამთ...

ჩვენ საბრძოლველად მზადა ვართ... რომ შეიძლებოდეს ფილმის გადაღება მხოლოდ ენთუზიაზმით... ადგილი ხომ თქვენ შეარჩიეთ?!

ამ დროს კარავიდან აბრეშუმის ქრელ კაბაში გამოწყობილი მზია გამოვიდა გმირის ვარსკვლავით მკერდზე. იგი გრიმიორის მაგიდისკენ წავიდა.

რეჟისორი – (მზია შეაჩერა) მოიცათ, მოიცათ... დაგავინყდათ კაბის გამოცვლა?

მზია – (ხვეწნით) მიხეილ სერგეევიჩ... ძალიან გთხოვთ რა...  
მიხდება.

რეჟისორი – აბა გახედეთ, აბრეშუმის კაბაში ვინ კრეფს  
ჩაის?

მზია – (გაფიცხდა) რას გადამეკიდეთ დღეს ყველანი...  
ჰკითხეთ მხატვარს!

მხატვარიც გამოჩნდა.

მხატვარი – მიხეილ სერგეევიჩ... ჩვენ ხომ შევთანხმდით?  
ეს ასეა ჩაფიქრებული... ეპიზოდის განწყობლების მიხედ-  
ვით და...

მზია – (ანწყვეტინებს) თანაც ჩემს თვალებს ეხამება!

მხატვარი – (მზიას) თუმცა... შეიძლება არ ეხამებოდეს.

რეჟისორი – (გადანწყვეტით) კაბის შეცვლა მოგიხდებათ,  
ორდენიც მოიხსენით.

მზია უკმაყოფილოდ შებრუნდა კარავში.

ისიდორემ მხრები აიჩეჩა, დოქს ხელი დაავლო და წყლის  
მოსატანად წავიდა.

რეჟისორი და ოპერატორი კადრს აყენებენ.

ოლეანდრა და ნათელა გადაღებაზე მოვიდნენ, კალათებით  
ხელში შორიახლო დადგნენ, მათ კოტე მიეგება.

წყაროზე ისიდორე დოქს ავსებს, მას თავზე წამოადგნენ  
ვარლამი და გოჩა.

ვარლამი – სადა ხარ ისიდორე, არ ეხმარები კინოს ხალხს?  
ისიდორემ დოქი აავსო.

ისიდორე – რა ჩემი დახმარება უნდათ. მთელი დღეა სხე-  
დან და ცას უყურებენ.

გოჩა – უმზეოდ მაგათ გადაღება არ შეუძლიათ... (წყაროს  
წყალს დაენაფა).

ვარლამი – რას ლაპარაკობ?

ისიდორე – (მცოდნის ტონით) ჰო, ნამდვილად... არ გამო-  
დის სურათი... ახლაც ეგერ შუშაში იჭყიტებიან და ამბო-  
ბენ ცა რძიანია და ბატკნები დადიანო.

ვარლამს და გოჩას გაეცინათ.



ვარლამი – ვერ გაიგონე ალბათ, მაგას როგორ იტყოდნენ.  
ისიდორემ დოქი აილო და წავიდა.

სადად ჩაცმული მზია გრიმიორის მაგიდასთან მივიდა.  
ოთარმა მას ადგილი დაუთმო.

გრიმიორი მზიას მოდურად, მოკლედ შეკრეჭილ თმაში  
გრძელ ნაწნავებს აწნავს.

გრიმიორი – (თანაშემწეს) ნამწამები!

რეზომ ყუთიდან ნამწამები ამოიღო და ფრთხილად მია-  
წოდა. მზია ნამწამებს ინეპებს. რეზოს სარკე უჭირავს.

რეზო – ო, სინიორიტა, რა მომხიბლავი ხარ!

მზია – ცხვირი ხომ არ მიბრწყინავს?

გრიმიორი – ახლავე...

ბამბით პუდრს აყრის.

ისიდორე დოქით ხელში დაბრუნდა.

რეჟისორმა კადრი დააყენა და მზიას მიმართა:

რეჟისორი – თქვენ გიცხოვრიათ სოფელში მზია?

მზია – არასოდეს.

რეჟისორი – (ღრმამნიშვნელოვნად) ცუდია...

მზია – (შეშფოთებით) თქვენ ისე არ გჯერათ ჩემი თითქოს  
ლედი ჰამილტონს ვთამაშობდე.

რეჟისორი – გაგიჭირდებათ.

მზია – (დანანებით) ღმერთო ჩემო, რა სისულელე ჩავიდინე,  
– რომ ამ როლზე დავთანხმდი, ხომ ვგრძნობდი არ შე-  
მეძლო?!

კოტე – (მზიას) დამშვიდდი, მზია.

კოტე მსახიობების ჩაცმულობას ათვალეერებს.

კოტე – (მსახიობებს) აბა კადრში!

ოთარი და სანდრო აპარატის გასწვრივ პლანტაციაში მიდიან.

მზია წამოდგა და უეცრად შეჰკვივლა:

– ვაი!

კოტე – რა მოხდა?

მზიამ ლოყაზე ხელი მოისვა.

მზია – რა საშინლად იკბინებიან აქაური ბუზები!

ოპერატორი – (აუღელვებლად) ბუზებს სხვა პროფესია არ გააჩნიათ.

რეჟისორი – (იცინის) აბა დავინყოთ!

მზია აპარატის წინ ჩაის ბუჩქთან დგება და კრეფაზე ვარჯიშობს.

რეჟისორი – (იქვე მდგომ ოლეანდრას) გთხოვთ დაგვეხმაროთ, უჩვენეთ ჩვენს მსახიობს, როგორ კრეფენ ჩაის. ოლეანდრა მორცხვად ილიმება.

მზია (ცოტა განანყენებული) მიხეილ სერგეევჩი, არ მესმის, ნუთუ თქვენ ფიქრობთ, რომ ფოთლების გლეჯა არ შემიძლია?!

რეჟისორი – ნახეთ მაინც... არც ისე იოლია...

ოლეანდრა მორცხვად უახლოვდება ჩაის ბუჩქს, უჩვენებს როგორ უნდა კრეფა. მისი უბრალო, ლამაზი თითები თითქო კლავიშებს დასთამაშებენო, ყველანი აღტაცებით შეჰყურებენ. ოპერატორი – რიხტერია!

მზია ცდილობს გაიმეოროს, მაგრამ ამაოდ.

რეჟისორი – (ოლეანდრას მორიდებულად) – ოდნავ შეანელეთ.

ეკრანზე ნელა, გამოკვეთილად მოძრაობენ ოლეანდრას ხელები, მზია გულმოდგინედ შესცქერის და თვითონაც იწყებს კრეფას.

ოლეანდრა – (მზიას) დაიხარეთ ცოტა.

მზია იხრება და ცდილობს მიბაძოს. მან ნაწნავები თავზე დაიხვია...

მზია – (ოლეანდრას) ... და თქვენ მთელი დღე ასე მუშაობთ?

ოლეანდრა – უკვე შევეჩვიე... (კალათა მოიმარჯვა და კრეფას მოუჩქარა).

ოპერატორა წამმზომი ჩართო.

ეკრანზე მორიგეობით მოჩანს მზიასა და ოლეანდრას ხელები. ამ ხელების სისწრაფეში, მოქნილობასა და სილამაზეში დიდი კონტრასტია, მუსიკალური აკომპანიმენტიც შესაბამის-

ად იცვლება. ოპერატორი – (ნამმზომს დაჰყურებს) ნუთში 142 მოძრაობას აკეთებს მარჯვენა ხელით და 112-ს მარცხენათი.

მზია ნელში გაიმართა და ხელები ზურგზე შემოიწყო.

მზია – აღარ შემიძლია...

ოპერატორი – (რეჟისორს ჩუმად) მიხეილ სერგეევიჩ, ახლო პლანზე მისი ხელები გადავილოთ...

რეჟისორი – ვინყებთ რეპეტიციას!

ოლენდრა კადრიდან გავიდა და ნათელას გვერდით გაჩერდა.

ოლენდრა – (ნათელას) წავიდეთ.

ნათელა – (ხვეწნით) ვუყუროთ რა, ცოტა ხანს.

ისინი ყურადღებით უცქერიან რეპეტიციის მსვლელობას.

კოტე კადრის მეორე პლანისათვის მეჩაიებს აყენებს.

კადრში მზია ჩაის კრეფს. მისი კალათა სწრაფად ივსება.

ქარსაცავთან გადმოუხვიეს აგრონომმა ანთიმოზმა (ოთარი) და თავმჯდომარემ (მოხუცი კომიკი სანდრო). მზიამ შეამჩნია თუ არა, მისკენ მომავალნი კრეფა შეწყვიტა და ჭილოფის ქუდი გაისწორა. აგრონომი შორიახლო შედგა. თავმჯდომარე მზიას მიუახლოვდა.

სანდრო – მარჯვე ხარ, მარჯვე. დღესაც ყველაზე მეტი მოგიკრეფია.

მზია – (მხიარულად) ძია სანდრო, ახლა ხომ იტყვი, რომ ყველაზე უკეთესი გოგო ვარ მთელ ქვეყანაზე?

სანდრო – (ემმაკური ღიმილით) აჰ, ეს ერთხელ ვთქვი ორმოცი წლის წინ და ის გოგო სახლში დამიჯდა.

რეჟისორი – ასე...

სანდრო ხითხითით გადის კადრიდან.

ზურგზე ხელშემოწყობილი ანთიმოზი დინჯი ნაბიჯით მზიას უახლოვდება, ცხოვრებაში ექსპანსიური ოთარი, ანთიმოზის როლში მოწყენილი და ფლეგმატური ხდება.

ნათელა – (ოლენდრას) იგი აგრონომს თამაშობს.

ოლენდრა – გაჩუმდი!

ანთიმოზი სდუმს. უხერხული პაუზა მზიამ დაარღვია.

მზია – რას გვეტყვი ახალს აგრონომო?

ანთიმოზი პასუხს ვერ ახერხებს.

მზია – მაინც?

ანთიმოზმა უბიდან ყვავილი ამოიღო და მორცხვად გაუნოდა.

მზია – (ყვავილს ართმევს და იცინის) აჰაჰაჰა, ეტყობა დიდხანს ატარეთ უბით... ლამის დამჭკნარა... უფრო ლამაზი ყვავილი ვერ იპოვეთ ჩვენს სოფელში?

ანთიმოზი – (უფრო დარცხვენილი, ლულლულებს) თქვენ... თქვენ ყველაზე უკეთესი ყვავილი ხართ.

უეცრად მზიამ შუბლი შეიკრა და ყვავილი მოისროლა.

მზია – ამხანაგო აგრონომო, უყვავილოდ მითხარით, რა გნებაეთ?!

ანთიმოზი – გრძნობასაც აქვს თავისი გეგმა!

მზიას გაეცინა. რაც უფრო უმატებს სიცილს, ანთიმოზი, მით უფრო იღუშება.

მზია – ნუ მაცდენ თუ კაცი ხარ, დღეს სარეკორდოდ ვმუშაობ!

ანთიმოზი – (მოსწრებულად) სწორედ ამიტომ მომწონხარ!

კადრს გარედან ნათელამ გაიცინა. ოლეანდრამ მუჯღლეგუნი გაკრა. ნათელა თავს ვერ იკავებს. რეჟისორმა შეამჩნია იგი. კოტე ჟესტიით მოიხმო, რაღაც უთხრა და ნათელაზე ანიშნა. კოტემ თავი დაუქნია.

რეჟისორი – განაგრძეთ!

მზია – (ოთარს, გაკაპასებული) როგორ გაბედეთ!.. იცით ვინა ვარ? ხუთასი შრომადღე მაქვს გამომუშავებული და ყოველ მეორე გაზეთში ჩემი სურათია!..

ანთიმოზი – (მტკიცედ) ჩვენც გვექნება გარკვეული წარმატებები... ჩვენც დავწინაურდებით!..

მზია – ვნახოთ!

ანთიმოზი – ვნახოთ!

ანთიმოზი ჩქარი ნაბიჯით გადის კადრიდან.

რეჟისორი - (უკმაყოფილოდ) ყალბია... არაბუნებრივია.

მზია - რა არის ყალბი? ამიხსენით!

რეჟისორი - (მზიას) თქვენს გარეგნობაზე უფრო მეტს ფიქრობთ, ვიდრე სცენის სიმართლეზე.

მზია - (ნაწყენი) დღეს სულ შარზე ხართ... არ მესმის ეს ეპიზოდი, ასე მუშაობა არ შემიძლია (ტირილით) გამანთავისუფლეთ!

ნათელა - უი, ტირის.

ოლენდრა - თურმე ყველაფერი უნდა განიცადოს... ნავიდეთ.

ნათელა და ოლენდრა მიდიან.

რეჟისორი - (მზიას) დაამთავრეთ ტირილი?

მზია ცრემლებს იმშრალეხს.

მზია - არა.

რეჟისორი - მალე დაამთავრეთ და განვაგრძოთ.

მიმავალთ კოტე ნამოენია.

კოტე - (ნათელას) ხვალ ჩაის კრეფა ერთი დღით უნდა გადადოთ. თავმჯდომარეს მოველაპარაკები...

ნათელა - რატომ?

კოტე - უნდა გადაგიღოთ, რეჟისორმა გთხოვათ, პატარა ეპიზოდი.

ნათელა - (გაოცებული) მართლა?

კოტე - დილით გელოდებით.

ნათელა - (სული მოითქვა) უი, დედა! კინოში უნდა ვითამაშოთ?!

(თავშეუკავებლად იცინის).

ოლენდრა - გეყოფა გოგო, გული ამოგივარდება

ნათელა - (კოტეს) აუცილებლად მოვალ!

ნაბიჯს აუჩქარეს, კოტე გამობრუნდა.

ოთარი - (გაბედულად) მიხეილ სერგევიჩ მაპატიეთ, მაგრამ დიალოგებსაც მიხედეთ... ყბები დაგვემტვრა... ცხოვრებაში ასე არ საუბრობენ

რეჟისორი – მეც ეგ მანუხებს.

ამ დროს მზეს ღრუბელი ჩამოეფარა და გადამღები ჯგუფის თავზე უშველებლი ჩრდილი ჩამონვა.

მზია ტირის.

გრიმიორი – (მზრუნველად) ნამნამები არ გამიფუჭო!

ნამნამებს ხსნის, პატარა ჯაგრისით წმენდს და ფრთხილად ინახავს, თან ღიღინებს მელოდიას ოპერიდან „პიკის ქალი“: – „Откуда эти слезы, зачем она?“

ოპერატორი – (დინჯად) აი, ცაც ატირდა. (აპარატს შავი ქსოვილი გადააფარა) ესეც პირველი ცრემლები!. კაპ კაპ, კაპ...

ვახტანგი ქორივით შემოვარდა კადრში, ცას ახედა და ხელები გაშალა.

ვახტანგი – (სასონარკვეთით) დავიღუპეთ, მალე ბაყაყებად გადავიქცევით!

გრიმიორი სწრაფად აგროვებს თავის ნივთებს ყუთებში და მელანქოლიურად ღიღინებს – `О, никогда еще я так не жаждал солнца!..“

წვიმამ მოუხშირა, გაიელვა, დაიჭექა.

ექსპედიციის მუშაკები მიმოიფანტნენ, ზოგმა ხეს შეაფარა თავი, ზოგმა კარავს, ზოგმა ქოლგა გაშალა, გამნათებლები ფარნებს ბრეზენტს აფარებენ.

უშველებლი ხის ქვეშ თავი შეუფარებიათ.

ვახტანგი – იტალიაში უმზეოდ იღებენ.

რეჟისორი – იქ სხვა ამბავია... უღიმღამო ცხოვრება უნდა გვიჩვენონ.

ოპერატორი – (იქედნურად) ჩვენ კი სურათს მზიურ საქართველოზე ვიღებთ.

წვიმის ხმამ დაფარა მათი საუბარი.

ჩაის მკრეფავი ქალები პლანტაციიდან გამორბიან და ქარსაცავებში უჩინარდებიან.

სანდრომ უღვაშები ჩამოიგლიჯა, გრიმიორს მიუგდო, პლაში თავზე მოიხურა და ატალახებულ გზაზე გაიქცა.

გზის პირად ჩაის მანქანას ტვირთავენ. ვარლამი მძლოლს აჩქარებს, აქვეა გოჩაც.

ვარლამი – გაქანდი ახლავე.

მძლოლი – დახრჩობა გინდა ჩემი!? შავ ზღვაში მეძებე თავმჯდომარე!

მანქანა ადგილიდან მოწყდა და წყლის გუბე გაარღვია.

სანვიმრებში გამონყობილი ვარლამი და გოჩა ცაცხვისკენ მიდიან. თან პლანტაციას ათვალიერებენ, მკრეფავები არ ჩანან.

ვახტანგმა შეამჩნია მომავალნი.

ვახტანგი – კოლმეურნეობის ხელმძღვანელობას სალამი! რას იტყვით კარგს, დღეს ბევრი ჩაი მოკრიფეთ?!

ვარლამი – ბევრი კი არა, ნამეტანი ჩამოვრჩით, თუ ასე გაგრძელდა, ფოთოლი შემოგვალპება.

ვახტანგი – (ხუმრობით) ამბობენ ბევრი ჩაის სმა, სახის ფერს აფუჭებსო.

ვარლამი – (ხუმრობითვე)... იმასაც ამბობენ ზოგი კინო-ფილმის ცქერა მავნებელიაო – იცინიან.

ვარლამი – ალბათ წვიმამ თქვენც ხელი შეგიშალათ?..

ვახტანგი – მზის გადამკიდე, გადაღების გეგმას ვერ ვასრულებთ.

ვარლამი – თქვენც გაქვთ გეგმა?

ვახტანგი – აბა!

ვარლამი – ეს კი არ ვიცოდი.

ოთარი კარავიდან გამოვიდა.

ოთარი – (გოჩას) გამარჯობა კოლეგა. მე თქვენთან ბევრი სასაუბრო მაქვს, ჩემს ახალ პროფესიაზე.

გოჩა – (ხელს ართმევს) სიამოვნებით... როცა გნებავთ... (იცნო) ოთარ მესხი ბრძანდებით?

ოთარი – დიას.

გოჩა – თქვენი უკანასკნელი ფილმი რამდენჯერმე ვნახე.  
ოთარი – გმადლობთ.

გოჩა – ბრწყინვალე რაინდიდან, უბრალო აგრონომად  
იქეცით?

ოთარი – ასეთია ჩვენი ბედი.

გოჩა – ამჯერად ალბათ ჩაის ახალი ჯიში გამოგყავთ...

ოთარი – იცით?

გოჩა – რა ცოდნა უნდა.

რეჟისორი – (იცინის) შემდეგ... შემდეგ...

გოჩა – შემდეგ როგორც წესი თავდაპირველად არ გიმარ-  
თლებთ. ხელს გიშლიან. ბოლოს გამარჯვებას ზეიმობთ  
და ცოლს ირთავთ.

ოთარი – სახელდობრ?

გოჩა – ირთავთ სხვის ცოლს, ან სხვის სატრფოს, მხოლოდ  
აუცილებლად შრომის გმირს... დაწინაურებულს...

რეჟისორი იცინის.

ოთარი – თქვენთან კინოხელოვნებაზე საუბარი სახიფათო  
ყოფილა.

გოჩა – (ღიმილით) შეიძლება.

წვიმა შენელდა. ვარლამი ქარსაცავის გასწვრივ მიაბიჯებს,  
ვილაცას დაეძებს, პლანტაციაში არავინ ჩანს.

ვარლამი – ოლეანდრა!

ხეს შეფარებულმა ოლეანდრამ გამოიხედა.

ოლეანდრა – რა იყო ძია ვარლამ?

ვარლამი – სადა ხართ გოგო, მლუპავთ? გადაილო წვიმამ!

ვარლამი ხეს გაუსწორდა და გაკვირვებული დარჩა.

ვარლამი – ეს რა ამბავია?!

ახლადტანაყრილ ნაძვნარს მოფარებული მკვრეფავები  
გამჭვირვალე საწვიმრებს და ჩექმებს ჟრიამულით იცვამენ.

ოლეანდრა – (ხალისიანად) გინდოდათ წვიმაშიც გვემუშა-  
ვა... ჩვენც ვიფიქრეთ ამაზე.



ვარლამს სახე ღიმილმა გაუნათა.

ვარლამმა მოსაზღვრე პლანტაციისკენ გადაუხვია.

საყელოანეული და კაპიშონნახურული მკრეფავები თავთავიანთ ნაკვეთებზე გაიფანტნენ.

ოლენდრამ კალათი მოიმარჯვა და კრეფას შეუდგა. იგი გამალებით კრეფს. წვიმის წვეთები კაპიშონიდან უხვად მოწანწკარებენ. მან ვერც კი შეამჩნია, რომ გორა თავზე წამოადგა.

გორა გულმოსული, წარბშეკრული შეჰყურებს მას. იგი მთვრალია

ოლენდრამ შეამჩნია იგი, გაუღიმა, მაგრამ კრეფა არ შეუწყვეტია.

გორამ ოლენდრას მაჯაში ხელი წაავლო და უხეშად გამოსწია.

გორა – (ხმადაბლა) წამოდი სახლში!..

ოლენდრა – გამიშვი! (მტკიცედ) არ წამოვალ!

გორა – წამოხვალ! (ხელი უფრო მაგრად ჩასჭიდა).

ოლენდრა – სირცხვილია ხალხი გვიყურებს!

გაჯავრებულმა გორამ იგი მთელი ძალით გამოსწია... ოლენდრამ თავი ვერ შეიკავა და ჩაის მწკრივში წაიქცა.

– გორა! – მოისმა ნათელას ხმა (იგი მოშორებით კრეფდა).

ოლენდრა წამოდგა.

ოლენდრა – (გორას, მშვიდად) წადი!

გორა თოფნაკრავივით შემოტრიალდა და ჩქარი ნაბიჯით წავიდა.

ნათელა ოლენდრას მხარზე შეეხო.

ნათელა – რაზე წაიჩხუბეთ?

ოლენდრა – (ცდილობს აღელვება დაფაროს) არაფერი... ისე...

ოლენდრამ შეუმჩნევლად ცრემლი მოიწმინდა და კრეფა განაგრძო.

ოლენდრა გამალებით კრეფს. მის სახეზე მარგალიტივით ბრწყინავენ ნვეთები, ვერ გაარჩევთ ეს ცრემლია თუ წვიმა.

კინოექსპედიციის ნევრები უკვე ნასულან. ცაცხვის ქვეშ დატოვებულ კინოაპარატურასთან ისიდორე ზის და აბოლებს.

ქარსაცავის გასწვრივ რეჟისორი და ოპერატორი მოიჩქარიან, რეჟისორი წუთით შეჩერდა, მოშორებით ოლენდრა თავბრუდამხვევი სისწრაფით კრეფს. შორს სხვა მკრეფავებიც ჩანან. ოლენდრას თავზე არ ახურავს. თმები ჩამოშლია, რეჟისორმა და ოპერატორმა ერთმანეთს გადახედეს. ისინი გააოცა მეჩაიე ქალის შემართებამ.

რ ე ჟ ი ს ო რ ი – ხედავ?

ო პ ე რ ა ტ ო რ ი – ვხედავ.

გზა განაგრძეს.

წვიმა ოდნავ შენელდა. ცრის.

აქა-იქ შეიმჩნევიან საწვიმრებიანი ჩაის ბუჩქზე დახრილი მკრეფავები.

\* \* \*

კოლმეურნეობის კანტორის აივანზე ნერვიულად დააბიჯებს თავპირშეხვეული აგრაფინა. ეტყობა ვილაცხას ელოდება. ვარლამის კაბინეტთან შეჩერდა, მიაყურა, ხელი ჩაიქნია და გაბედულად კარი შეაღო.

ვარლამი მაგიდას უზის, იქვე სხედან რეჟისორი და ვახტანგი, ფანჯარასთან კოტე დგას.

აგრაფინამ კაბინეტში მსხდომთა ყურადღება მიიპყრო.

ა გ რ ა ფ ი ნ ა – შენთან ვარ ვარლამ! დილიდან დაგეძებ!

ვ ა რ ლ ა მ ი – (სტუმრებს) ბოდიში... ერთი წუთით. (აგრაფინას) რა გნებავს პატივცემულო აგრაფინა?

ა გ რ ა ფ ი ნ ა – (სუსტი ხმით) შემხედე ერთი...

ვ ა რ ლ ა მ ი – გიყურებ და გეკითხები, სამუშაოზე რატომ არ გამოდიხარ?

აგრაფინა – ა... კიდევ... ძლივს ვდგავარ ფეხზე, არ გესმის?

ფიზიკურად ვერ ვიმუშავებ... გუშინ ქალაქის ექიმმა მითხრა, გული ოთხი სანტიმეტრით გაქვს დაწეულიო.

ვახტანგი და რეჟისორი იცინიან.

ვარლამი – (თავშეკავებულად) ქალაქში შენ მარტო საექიმოდ არ წასულხარ... ბაზარშიც გნახეს.

აგრაფინა – (სუსტი ხმით) რა მოხდა მერე? რაღაცა ათი კვერცხი გაყვიდე, დაიქცა ქვეყანა? რამდენჯერ მოგიტანე ქალაღდი... სანამ სიკვდილის საბუთს არ მოგიტან არ მომეშვები ხომ?!

ვარლამი – (შემპარავად) გოჭი რომ ჩაგაბარეს რა უყავი?

აგრაფინა – (უეცრად ხმა მოუვიდა და თავსახვევი შემოიხსნა) რა ვუყავი და მინდორში მყავს გაშობილი. ხომ არ გადავყვები ახლა გოჭს ავადმყოფი ქალი?

რეჟისორი – მერე კვება არ უნდა?..

აგრაფინა – გოჭს რა საჭმელი უნდა, თვითონ შოულობს...

ვარლამი – (ღიმილით) იქნებ სახლშიც მოაქვს ნახევარი ვახშმად?!

აგრაფინა – (საუბრის თემა მოსაზრებულად შეცვალა) გოჭი კი არა ოჯახი ინგრევა ეგერ.

ვარლამი – (გაოცებული) რა ოჯახი?

აგრაფინა – გოჩა და ოლენდრა წაკიდებულან.

ვარლამი – რა აქვთ გასაყოფი?

აგრაფინა – რა აქვთ და არ უნდა გენაცვალე თავის ცოლს წელი მოწყვიტოს... პლანტაციიში არ დაგინახოო.

ვარლამი – (სტუმრებს გადახედა) მაგას ჩვენ გავარკვევთ და შენ შენს საქმეს მოუარე.

აგრაფინა – (თავსახვევი გაისწორა, ისევ მისუსტებული ხმით) მივდივარ, აბა და ხვალ თვითონ ექიმს მოგიყვან, ეგება იმას მაინც დაუფერო.

აგრაფინა გავიდა.

ვარლამი – (რეჟისორს) ქალი კი არა ტურაა პირდაპირ! რამდენი დრო წაგვართვა...

რეჟისორი – არა უშავს, ჩვენთვის საინტერესო იყო... გა-  
ნაგრძელეთ.

ვარლამი – ჰო... ნავიკითხე (უჯრიდან სცენარი ამოიღო და  
მაგიდაზე დადო) კარგადაა დაწერილი... მაგრამ...

რეჟისორი – ბრძანეთ...

ვარლამი – ცოტა დაუჯერებელია... ის ანტიმოზი მაგალი-  
თად რატომ მაინცდამაინც გმირ ქალს დაეძებს?

კოტე – (ანწყვეტინებს) ის ახალი ხასიათია!

ვახტანგი – (აჩუმებს) დააცადე...

ვარლამი – თქვენ უკეთ იცით... მაგრამ აგერ ხომ გაიგონ-  
ეთ... ჩვენი აგრონომი პირიქით იქცევა... თუმცა თქვენ  
ხომ ნამდვილი არ გინდათ.

რეჟისორი – როგორ არა, სწორედ ცხოვრებისეულს დავ-  
ეძებთ.

ვარლამი – (დაუჯერებლად) ნამდვილი რა საინტერესოა.

რეჟისორს ეცინება, მაგრამ თავს იკავებს.

რეჟისორი – (ვახტანგს) უდებუშეთ ავტორს... საჩქაროდ  
ჩამოვიდეს.

ვახტანგი – (ნამოდგება, კოტეს) აი ახალი სადარდელი.

ვახტანგი და კოტე გავიდნენ.

რეჟისორი – (ვარლამს ახლოს მიუჯდა) ერთი აზრი  
დამეზადა.

ვარლამმა ყურადღება დაძაბა.

რეჟისორი – აგრონომი სოფელში ჩამოვიდა, იგი მოკრძა-  
ლებული კაცია, ყველას მოსწონს, წარჩინებულსაც და  
უჩინარსაც, ლამაზსაც და ულამაზოსაც, მაგრამ მოუ-  
ლოდნელად უბრალო სოფელს გოგონას შეიყვარებს...  
რას იტყვით?

ვარლამი – (აღტაცებით) ეჰ, თქვენ რაკი ძაფის თავი მომა-  
წოდეთ, ახლა მთელ კოჭას დავახვევ.

სალამოვდება, ვარლამმა მაგიდის ნათურა აანთო.

\* \* \*

ოლეანდრა ოთახში ტახტზე ზის და დაუმთავრებელ საქარგავს დასცქერის. საქარგავზე გოჩას სახეა ამოქარგული. ოლეანდრას ძაფის გორგალი ხელში უჭირავს და სწრაფად ახვევს. საქარგავზე გოჩას სახე თანდათან იშლება. ოლეანდრა წუთით ჩაფიქრდა, მერე საქარგავი სწრაფად დაჭმუჭნა და ღია ჩემოდანში ჩააგდო, წამოდგა, კარადიდან თავისი ტანსაცმელი ჩამოიღო და ჩემოდანში ჩაალაგა. კედლიდან სამხედროფარაჯიანი კაცის გადიდებული სურათი ჩამოხსნა, პლაში მკლავზე გადაიგდო და ჩემოდანი ხელში დაიჭირა. ეზოში ჭიშკარმა გაიჭრიალა. ოლეანდრა შეკრთა. ფანჯარაში გაიხედა. ჭიშკარში ნელი ნაბიჯით გოჩა შემოვიდა. ოლეანდრამ კედელზე დაკიდებული გიტარა ჩამოიღო და უკანა კარებიდან ფეხაკრეფით გავიდა. ჩემოდანი ღობეზე გადაიტანა და სიბნელეს შეერია.

ნათელას ოთახი.

ნათელა გულმოდგინედ კაბას აუთოვებს. მონყენილი ოლეანდრა ტახტზე ზის.

ნათელა – (წუთით შეჩერდა) შერიგდებით აბა რა, იქნება...  
ოლეანდრა – გატეხილი დოქი, რაც უნდა წებო, წყლს ვერ დაიჭერს.

ნათელა – კარგი ერთი... უნდა მოუთმინო, ქმარს კოოპერატივში კი ვერ იყიდი.

ოლეანდრას სახეზე ღიმილმა გადაკრა.

– ნათელა! – მოისმა გოჩას ხმა.

გოგონები შეკრთნენ, ნათელამ უთო გამორთო. ჭიშკართან გოჩა დგას.

– ნათელა! – ისევ ეძახის გოჩა.

პასუხად სახლში სინათლე ჩაქრა.

გოჩა ჭიშკარს მოშორდა.

ლამის სიბნელეში მონმენდილ ცის ფონზე ზვიადად ამართულა ციხის შავი სილუეტი.

ალიონია...

გიტარა უკრავს ფილმის ლეიტმოტივს.

ცის ფონზე ისევ მიდიან მეჩაიეთა სილუეტები. მათ შორის კინოექსპედიციის მუშაკებიც.

ერთბაშად ნათდება, მაგრამ მზე არა ჩანს. იგი დაფარულა, ცის კიდურზე აქოჩრილ თეთრ ღრუბლებში.

პატარა ამწვანებულ მინდორზე თითო-ოროლად გროვდებიან კინოექსპედიციის მუშაკები. ისინი გადაღებისთვის ემზადებიან.

კანტორის წინ გზაზე სამუშაოდ მიიჩქარიან მეჩაიე გოგონები.

გოგონებს აქა-იქ ბიჭებიც შემოუერთდნენ.

შ ა ლ ი კ ო – (ოლენანდრას გაუსწორდა) ვერ ასწავლე იმ არტისტს ჩაის კრეფა?

ო ლ ე ა ნ დ რ ა – (ღიმილით) ჩემი ხელები უნდა გადაიღონ.

შ ა ლ ი კ ო – (ჩურჩულით) გოგოებო, მე პედიკურიც დავუნახე!

ც ი რ ა – რაა ბიჭო, პედიკური?

შ ა ლ ი კ ო – რავა ჩამორჩენილხარ კულტურას? (თავზე კალათი ჩამოაცვია).

გოგონები იცინიან. ცირამ კალათა გადააგდო.

ც ი რ ა – შენსავით ხუთჯერ მაინც არ ჩავჭრილვარ ტექნიკუმში!

გოგონებმა ისევ გაიცინეს.

თ ე ო – (ოლენანდრას) გოჩა დგას ეგერ!

ო ლ ე ა ნ დ რ ა – როგორ არ მინდა შევხვდე...

გზის პირად ხესთან გოჩა პაპიროსს აბოლებს. მეჩაიებმა სალამი მისცეს და წინ ჩაუარეს. გოჩა გზაზე გამოვიდა.

გ ო ჩ ა – ოლენანდრა.

ოლენანდრა გზას განაგრძობს.

ც ი რ ა – (ოლენანდრას) გეძახის გოგო... რას იპრანჭები?..

ოლენანდრა ამხანაგებს ჩამორჩა.

გოჩა მიუახლოვდა.

ოლეანდრა – რა გინდა?

გოჩა – (სიტყვებს ცრის) ეს რა გააკეთე?

ოლეანდრა – სწორად მოვიქეცი, დაგავინყდა? გუშინდელი?

გოჩა – დაბრუნდი სახლში.

ოლეანდრა – (მტკიცედ) არ დავბრუნდები.

გოჩა – რატომ?

ოლეანდრა – (სასონარკვევით) ოჰ ღმერთო ჩემო... მე  
სულ სხვანაირი მეგონე!..

გოჩა – ბრალს მდებ, რომ არ მინდა ჩემი ცოლი მთელი დღე,  
წელში მოხრილი იდგეს?!

ოლეანდრა – უშრომლად ახლა, ყვავილიც არ ხარობს.

გოჩა – (ირონიულად) ჭკუას მასწავლი?.. დამიჯერე... მერე  
გვიან იქნება.

ოლეანდრამ არაფერი არ უპასუხა. შორს მიმავალ გო-  
გონებს გახედა და ჩქარი ნაბიჯით წავიდა.

გოჩამ ხეს ტოტი მოტეხა, დაამტვრია და გადააგდო.

გადაღების ადგილი. ოთარი დ მზია გრიმს იკეთებენ. რე-  
ჟისორი ნერვიულად დააბიჯებს, ოპერატორი ცას გასცქერის,  
მზე ღრუბლების მიღმა ქურდულად იჭყიტება.

– კოტე! – მკაცრად იძახის ვახტანგი. – სანდრო დღესაც  
იგვიანებს?!

კოტე – უკვე სამჯერ გავალვიძე და მეტი რა ვქნა?

ვახტანგი – გაალვიძე მეოთხეჯერაც.

კოტე გარბის.

მზემ ღრუბლებიდან თავი გამოყო და მიდამოს უზარმაზ-  
არი ჩრდილები დაახატა.

გიგლა თავის ეზოში ლობეს ამაგრებს. წალდი ქამარში  
გაურჭვია, ლობეს მიმდგარი აგრაფინა მოპირდაპირე ჭიმკარ-  
ზე ჩამოყრდნობილ ქალს ესაუბრება.

აგრაფინა – აბა, ამისთანა ამბავი მოხდა. ოლეანდრა სახ-  
ლიდან გაქცეულა.

ქალი – უი, უი, უი, უი... მერე როგორ უყვარდათ ერთმანეთი.

გიგლა – არაფერი არ მომხდარა და ნუ გამოაბამ კუდს. ის გოგო თავის გზას ყოველთვის მოძებნის... შენ ეს მითხარი გოჭი რა უყავი!

აგრაფინა – რა ვუყავი და გავყიდე.

გიგლა – რაო!!

აგრაფინა – რა გაყვირებს ბიჭო, არა, სხვისი გოჭის სდევნით ავიშლიდი ნერვებს. შემოდგომაზე ვიყიდი ღორს და ჩავაბარებ.

გიგლა – დედა! რატომ მჭრი თავს... რას ქვია სხვისი?!

უეცრად დედა-შვილის ყურადღება გზაზე მომავალმა მოდურად ჩაცმულმა ქალიშვილმა მიიპყრო.

მაღალი წვრილი ქუსლები. მოკლე „ხაბარდა“, თმა უცნაურად დავარცხნილი. ახლო პლანზე ძლივს ვხვდებით რომ იგი ნათელაა. ცდილობს სიარულშიც კინომსახიობ ქალს, მზიას მიბაძოს.

გაოცებული სოფლელები ღობეებიდან შესცქერიან. შემხვედრნი გაკვირვებული ჩერდებიან.

ნათელამ ისე თავანუულად გაიარა აგრაფინას ჭიშკართან, რომ ვერც კი შეამჩნია ღობეს მომდგარი დედა-შვილი.

აგრაფინა – ისიდორეს გოგო არაა?

გიგლა – ჰო... ნათელაა.

აგრაფინა – რა მოუვიდა ნეტავი?

გიგლა – რა და არსტისტობის ნიჭი აღმოჩენია.

აგრაფინა – (პირჯვარს იწერს) ღმერთო, დეილოცა შენი სახელი...

ნათელა ამაყად მოაბიჯებს.

გზის პირას, ბუჩქებში შეყუყუული ორი ბავშვი ნათელას განცვიფრებული უცქერის.

იმერული გადახურული მაგრამ უკედლო მარანი. ახალ-მოხდილ ჭურთან ისიდორე და სანდრო სხედან. იქვე ხის სკამზე ხაჭაპური და მწნილია.



მოსუცები ცოტა შექეიფებულან.

ისიდორე ხაპით იღებს ანკარა ღვინოს. ჭიქაში ასხამს და სანდროს ანოდებს.

ს ა ნ დ რ ო – შენ დალიე, უფროსი კაცი ხარ...

ი ს ი დ ო რ ე – (თვალი მოჭუტა) ვითომ? მე შენ მგონიხარ უფროსი.

ს ა ნ დ რ ო – (მელოტ თავზე ხელი მოისვა) თმას რა ჭკუა აქვს, მე ასე ვარ, აგერ ორმოცი წელინადა...

ი ს ი დ ო რ ე – რა დაგაბერებს რა, შრომა შენ არ გადგია და ჯაფა.

ს ა ნ დ რ ო – მჩატე ნუ გგონია მსახიობის ტვირთი (სვამს).

ი ს ი დ ო რ ე – (თავისთვის დაისხა) ახლა შენ გაგიმარჯოს... (რალაც გაახსენდა)... რომ დამაჯილდოეს... მეც გადამიღეს კინოში ერთხელ...

ს ა ნ დ რ ო – (ხაჭაპურს მადიანად შეექცევა) მერე?

ი ს ი დ ო რ ე – გადამიღეს მარა, რად გინდა, მე არ მინახავს და... ქალაქში უნახავთ, ძალიანი გგავდაო.

სანდრო იცინის. ისიდორე ისევ ავსებს ჭიქას.

ისიდორე – აბა, გაგიმარჯოს, დალიე...

ს ა ნ დ რ ო – დალიე! შენ უფროსი კაცი ხარ...

ი ს ი დ ო რ ე – კარგი, მე ვიყო უფროსი... ოღონდ სტუმარი ხომ ხარ?

ს ა ნ დ რ ო – (შემთვრალია) გვეყოფა ანი.

ი ს ი დ ო რ ე – დათვერი, არ შეგიძლია თუ?

ს ა ნ დ რ ო – დავბერდი ბატონო, ბავშვი კი აღარ ვარ...

ნათელა გადაღების ადგილს მიუახლოვდა.

ყველამ მისკენ მიიხედა.

რეჟისორმა შეათვალიერა, ვერ იცნო.

მსახიობები სიცილს ძლივს იკავებენ.

რეჟისორმა იცნო და გაეცინა. ახლოს მოვიდა.

რ ე ჟ ი ს ო რ ი – (ლიმილით) ჩვენ გუშინდელ უბრალო გოგონას ველოდით. ვინ გირჩიათ ასე ჩაცმა?

ნათელამ მორცხვად თავი დახარა.

მზიამ ხმამაღლა გაიცინა, ნათელას ხელი მოხვია და აკოცა. ნათელას ცრემლები გადმოცვივდა.

კოტემ მოირბინა.

კოტე – (აქლოშინებული) მიხეილ სერგეევიჩ! სანდრო დაიკარგა!

ნათელა შეამჩნია. ვერ იცნო, გაკვირვებული ათვალიერებს, ნათელა ცრემლს ინმენდს.

ვანტანგი – (კოტეს) გასწი, მოძებნე!

კოტე გარბის, თან უკან იხედება.

მზეს ღრუბელი გადაეფარა.

საკმაოდ შემთვრალი სანდრო ჭიშკართან დგას ხაჭაპურით ხელში.

ეზოდან გამოსვლა უნდა, მაგრამ ძალლი არ უშვებს. რამდენ ნაბიჯსაც გადადგამს, ძალლი შეუყეფს და თვალს არ აშორებს.

სანდრო ქვაზე ჩამოჯდა.

სანდრო – გეყოფა ანი (ხაჭაპური მოუტება და გადაუგდო). აჰა ჭამე!

ძალღმა ხაჭაპური დაყნოსა და პირი არ ახლო.

სანდრო – რა გინდა აბა... ღვინო?

ძალღმა ისევ შეჰყეფა.

ჩაის მიმღებ პუნქტთან დატვირთული მანქანა დგას. მკრეფავებს სათითაოდ შეაქვთ ჩაის ფოთლით სავსე კალათები და ფუთები. ზოგნი კი ცარიელი კალათებით უკან მოდიან. გორჩა მანქანაში ჩაჯდომას აპირებდა, როცა ვარლამმა შეაჩერა.

ვარლამი – სად მიდიხარ?

გორჩა – რაიონში...

ვარლამი – მოდი ერთ ნუთს (მანქანის უკან გაიხმო) რა მოხდა თქვენს შორის?

გორჩა – რაზე მეკითხები?

ვარლამი – შენ კარგად იცი...

გოჩა – (მოიღუშა) ძალიან გთხოვ, ჩემ პირად საქმეში ნუ ჩაერევი.

ვარლამი – (გულმოსულად) შენთვის ჯერ ადრეა ასეთი პირადი საქმეები.

გოჩა – (ანწყვეტინებს) თუ არ მოგწონვარ, თქვი. მე ყველგან ვიშოვი სამუშაოს.

ვარლამი – ჭკუაზე მოდი აგრონომო... წადი ახლა სადაც მიდიხარ და მერე მოგელაპარაკები...

გოჩა სწრაფად შემოტრიალდა და კაბინის კარი მიიჯახუნა. მანქანა დაიძრა, განაწყენებული ვარლამი ჩაის პუნქტში შებრუნდა.

გადაღების ადგილს სანდრო და ისიდორე ღიღინით მოადგნენ. ცდილობენ სიმთვრალე არ შეიმჩნიონ.

უცებ მზემ ღრუბლის საფარიდან თავი გამოყო.

– არიქა მზე! – ყვირის კოტე.

ყველა სწრაფად ამოძრავდა... კოტემ სანდრო გრიმიორის მაგიდისკენ გაიყვანა. გრიმიორმა სწრაფად გაუწოდა წვერულვაში, თვითონ კი მზიას ნამნამებს უკეთებს. სანდრო დაიბნა. წვერებს ულვაშებად ინეპებს და ულვაშებს წვერებად. მას რეზო შველის, ყველა ჩქარობს, ფანრები შიშინით აენტენენ. ოპერატორი კადრში იხედება, მზიამ ჩაის ბუჩქთან მიიბრინა, ისმის კოტეს ხმა: – მოემზადეთ!.. და ამ დროს მზე ისევ გაეხვია ღრუბლების სამოსელში. ყველამ გულდანწყვეტილად დაიკვნესა.

– მზის მოლოდინში კიდევ ერთი რეპეტიცია! – იძლევა ბრძანებას რეჟისორი.

გრიმგაკეთებული სანდრო ხის ქვეშ ჩამოჯდა და თვალები მილულა.

რეჟისორი – დავინყოთ.

მზიამ მოკრეფილი ფოთოლი ფუთიდან კალათში ჩაცალა, ხელით დატენა და კალათის წაღებას აპირებდა, როცა მის წინ ჩემოდნით ხელში საგარეოდ გამონწყობილი ანთიმოზი გამოჩნდა.

მზიამ ქილოფის ქუდი ზურგზე მოიგდო და თმა გაისწორა.

მზია – (ნაზად) საით ანთიმოზ?

ანთიმოზი – (დინჯად) მშვიდობით... მივდივარ.

მზია – სად?

ანთიმოზი – აქ ვერ გამიგეს... ვერ დამაფასეს...

ისიღორე დაძაბული ყურადღებით უსმენს.

მზია – აკი ჩაის ახალი ჯიში უნდა გამოგეყვანათ?

ანთიმოზი – (გაბედულად) თქვენ ჩაის გარდა ძალიან ცოტა გესმით ამ ცხოვრების.

მზია შეიშმუშნა.

რეჟისორი – სანდრო!

ხის ძირში მთვლემარე სანდროს მოესმა თუ არა, რეჟისორის ხმა, მაშინალურად წამოიყვირა:

სანდრო – აბა, აბა საუბრით ერთმანეთს ნუ გააცდენთ! ჯერ გეგმა, გეგმა მთავარი! და კულტურული დასვენება მერე!..

ანთიმოზი – მშვიდობით!

მზია – კი მაგრამ... რატომ ასე მოულოდნელად?

ანთიმოზი – აბა, რამ უნდა შეაყვაროს დღეს კაცს სოფელი?

ანთიმოზი მიდის.

– რამ და მიწამ! – მოისმა ისიღორეს მჭექარე ხმა.

ყველამ ერთბაშად მისკენ მოიხედა.

ისიღორე წელში გასწორდა და გაბრაზებული სახით კადრში შევიდა. საკმაოდ მოკიდებია ღვინო.

– სოფელს გაურბიხარ ბიძია?! – მიმართავს იგი ანთიმოზს, რეჟისორი ახმაურებულ ხალხს და კინოექსპედიციის მუშაკებს ხელით ანიშნებს – გაჩუმდნენ. კოტე უბის წიგნაკს ამოიღებს და გამაღებით იწერს.

ისიღორე განაგრძობს: – მერე ვინ მოუაროს ამ ჩაის? ვინ გაახაროს ყანა? ბევრ შენისთანას აქვს გაქცევაზე თვალნი... შენს ოჯახში სხვისი დაფასება რად გინდა... ღმერ-

თმა არ გინყინოს... მიწის მაღლს გაუფრთხილდი... არ გაგიგონია, მთის ჩიტი მთას შეაკვდაო?!

ისიდორე კადრიდან გამოვიდა და ოფლი მოიწმინდა. აქა-იქ გაუბედავად წამოსროლილი ტაში ოვაციად იქცა. ტაშს რეჟისორიც უკრავს.

უეცრად დაუშვა კოკისპირულმა წვიმამ. ყველაფერი აირია, დაიჭექა. მზიამ ყურებზე ხელი მიიღო და შეშინებულმა ცას ახედა. ყველა გარბის, დიდი, პატარა, ქალი, კაცი. რეჟისორი და ოპერატორი მხარდმხარ მიდიან. ვახტანგმა თავზე გაზეთი გადაიფარა. სანდროს აწვიმს, თავზე ხელს ისვამს და ადგომას არ აპირებს. ისიდორემ შეანჯღრია, ფეხზე წამოაყენა და პლაში მოახურა.

რაიონული ცენტრის რესტორანი ზღვის პირას.

ამაღლებულ ფიცარნაგზე კვარტეტი უკრავს, რომელიღაც ჯაზურ მელოდიას. ფართო ფანჯრებიდან ღრუბლიანი ცა იხედება. მაგიდებთან აქა-იქ მეზღვაურებიც სხედან.

ერთ მაგიდას გოჩა და სამიოდე მთვრალი მეგობარი შემოსხდომია. მაგიდაზე ცარიელი ბოთლების ტყეა. გოჩა ოფიციატს ანგარიშს უსწორებს. მათ ზურგს უკან, კუთხეში მაგიდას უზის მოდურად შეკრეჭილი შავთმიანი ქალი შარვალში. ქალის სახეს ღრმა ფიქრის კვალი დამჩნევია. მის გვერდით სკამზე მოსასხამი და ქალაქდშემოხვეული ნახატი დევს.

გოჩა და მისი მეგობრები ფეხზე დგებიან.

პ ი რ ვ ე ლ ი – აბა, კარგად ვიყოთ!

მ ე ო რ ე – ჩვენს გზას გაუმარჯოს!

მ ე ს ა მ ე – ნუ დავკარგავთ ერთმანეთს!

უკანასკნელი ჭიქები დაცალეს და მიდიან.

გოჩამ უკან დაიხია და უნებლიედ შარვლიანი ქალის გვერდით სკამს წამოედო. სკამიდან სურათი გადმოვარდა. სურათზე ქალის ექსპრესიული გამოსახულებაა, მოდერნისტული მანერით შესრულებული. გოჩამ სურათი აიღო.

გ ო ჩ ა – ბოდიში!..

ქალმა მონყენით გაუღიმა.

გოჩა – თქვენა ხართ?!

ქალი – არა.

გოჩამ სურათი სკამზე ჩამოდო.

ქალი – მოგეწონათ?

გოჩა – უცნაურია და თან საინტერესო...

ქალი – დაბრძანდით.

გოჩა ჩამოჯდა.

ქალმა ნახატი აიღო.

ქალი – „გრძნობის გაფრენა“ ჰქვია.

გოჩამ სურათს შეხედა, გაეღიმა.

გოჩა – თქვენ დახატეთ!

ქალი – არა.

ქალმა კონიაკი დაუსხა, თვითონ უხმოდ მოსვა.

გოჩა გარინდებული უმზერს.

ორკესტრი ნელ საცეკვაო მელოდიას უკრავს.

ქალი – (წამოდგა) ვიცეკვოთ!..

გოჩა უხმოდ დაემორჩილა. სხვა მაგიდებიდანაც წამოიშალნენ. ცეკვავენ.

ქალი – (გოჩას თვალებში შესცქერის) თქვით რამე!

გოჩა – (ღიმილით) გრძნობის გაფრენაზე?

ქალი – თუნდაც...

გოჩა – აქ რამ ჩამოგიყვანათ

ქალი – ძიებამ.

გოჩა – წიაღისეულს ეძებთ?

ქალი – დიახ... მინაში არა... ადამიანის სულში.

გოჩა გაოცებული შესცქერის.

ქალი – ცოლიანი ხართ?

გოჩა – დიახ.

ქალი – სად არის ახლა თქვენი ცოლი?

გოჩა – სოფელში...

ქალი – (ღიმილით) ჩაის კრეფს, თუ წინდას ქსოვს?

სიმთვრალემორეული გოჩა დუმს...  
ქაღი – მე დუმილი მიყვარს... ლამე...  
გოჩა ისევ დუმს.

ქაღი – ნყვდიადში ყველა კატა ერთი ფერისაა.

გოჩა – თქვენ მსახიობი ხართ?

ქაღი – არა... იცით მე თქვენში რალაც ვნახე... (მკერდზე მიყრდნო) დავილაღე...

მუსიკა მინელდა.

ქაღი – დავსხდეთ.

ისინი მაგიდასთან მიდიან. სხდებიან.

ქაღი – (ეგზალტიურად) მე ზვაღი მიყვარს... აღი ზვაღი, რომ ჩაღიქროლებს და ყველაფერს წაგართმევს.

ქაღმა კონიაკით სავსე ჭიქა გაუნოდა.

ქაღი – დაღიეთ.

გოჩამ სწრაფად შესვა.

ქაღი – იცით... რისთვის ჩამოვედი? (გოჩა უსმენს) აქ სპექტაკლს ვამზადებ, გაღიგონიათ ფრანსუაზა საგანის „სალამი სევდავ“?!

გოჩა – არა.

ქაღი – მე თბილისში სპექტაკლი ჩამივარდა... ვერ გაღიგეს... ყველა რომ თავის თავზე მალლა იდგეს... მაშინ მიხვდებოდნენ.

გოჩა ყურადღებით უსმენს.

ქაღი – ნეილონის საუკუნეში ყოველდღიური ყოფის ჩვენება საინტერესო არ არის... მე მინდა ჩავწვდე ადამიანის სულის დემონიურ რეალობას.

ქაღმა პაპიროსი ამოიღო. გოჩამ ასანთით მოუკიდა.

ქაღი – იცით?... აი, იმ რალაცას... გამოუსახველის გამოსახვას... აი იმ რალაცას... ბოდღერი რომ ამბობდა: „დაფიქრების დროს დიდი სფინქსის იერს ტოვებენ“... გაღიგეთ?

გოჩა – (შუბლი მოინმინდა) თითქმის...

ქალი – ჩვენ უსუსურნი ვართ... არსებობის თვისებას უფრო ადრე ვიძენთ, ვიდრე ფიქრისას... ქალმა ისევ დაასხა.

ქალი – მე ვფიქრობ, ჩვენ დრამატურგიიდან დრამატურგია უნდა განვდევნოთ... დალიეთ.

გოჩამ მოსვა.

გოჩა – (ლიმილით) თქვენთან ხელოვნებაზე საუბარი სახიფათოა.

ქალი მოიღუშა. რესტორნის კარებთან საბარგო მანქანა გაჩერდა, შოფერი გადმოვიდა და ფანჯრის მინაში შემოიხედა გოჩამ შეამჩნია და წამოდგა.

გოჩა – ნახვამდის... კიდეც შევხვდებით...

ქალი – (მკვახედ) მე თქვენ არ გიცნობთ?!

გაოგნებული გოჩა წუთით შეჩერდა, მერე სწრაფად მოტრიალდა და გავიდა.

ორკესტრმა ისევ საცეკვაო მელოდია დაიწყო.

გარეთ წვიმს.

\* \* \*

კლუბი. წვიმის ხმა ისმის.

ტახტზე სანდროს გაუხდელად ჩასძინებია. ოთარი და კოტე ჭადრაკს თამაშობენ. რეზო და ოპერატორის ასისტენტი კროსვორდს ჩაჰკირკიტებენ. ფანჯარასთან მზია წიგნს კითხულობს. ზოგი გაზეთს ათვალიერებს.

სანდროს ხანდახან სკამლოგინიდან ფეხი უვარდება. კოტე უსწორებს, ისევ უვარდება... ოთარმა რაღაც მოიფიქრა.. წამოდგა. ქამარი შემოიხსნა და სანდროს ფეხი სკამლოგინზე მიუბა.

რეზო – (ყურნალი ხელში უჭირავს) ძველი რომის ორატორი! რვა ასო!?

ოთარი – (გულმოსულად) ნუ გაანყალე გული... ციცერონი.



რეზო – ზუსტია..

სანდრო ძილში ბუზლუნით ფეხს იქნევს, მერე გვერდს იცვლის.

რეზო – მოულოდნელობა! შვიდი ასო?!

მზია – განგაში!

რეზო – (მოხედა) რას კითხულობთ სინიორიტა?

მზია – სათავგადასავლოა.

ისმის მოახლოებული მანქანის ხმა. კოტემ ფანჯარაში გაიხედა.

კოტე – ოჰო, ავტორი გვესტუმრა! (გარეთ გარბის).

ოთარი – დაიწყება ახლა ალიაქოთი.

კლუბის აივანზე ავტორი (გივი), რეჟისორი და ვახტანგი ამოდიან. გივის ხელჩანთა და საბეჭდი მანქანა უჭირავს. საუბარს განაგრძობენ.

რეჟისორი – ტყუილად მიჯავრდები... შენი ჩამოსვლა აუცილებელი იყო... ძირითადი შესწორება ექსპოზიციას დაჭირდება, მერე თვითონ აზრი წაიყვანს სიუჟეტს.

გივი – უნდა გაიგო, რომ სიუჟეტები და კონფლიქტები ქუჩაში არ ყრია! (უცებ კოტე შენიშნა) ო, გამარჯობათ! (ხელს ართმევს) თავს როგორ გრძნობს ახალი თაობა? (პასუხს, არ დაელოდა, რეჟისორს მიუბრუნდა) რაც შენ მიაძებ ანდაზასავით გაცვეთილია.

რეჟისორი – შენ ვერ გამიგე.

ვახტანგი – სამაგიეროდ მე გავიგე... ეს დიდ, გაუთვალისწინებელ ხარჯებს გამოიწვევს.

გივი – (შეჩერდა) ესეც მართალია მიშა!.. სცენარი უკვე მიღებულია, მოწონებულია... თუმცა მოვიფიქროთ, შენ თუ განყოფილება ეს ჩემთვის წუთის საქმეა.

სამივე ოთახში შევიდა.

კლუბის დიდ დარბაზში კოტე გამოჩნდა.

მზია – (წიგნი დახურა) რატომ ჩამოვიდა?

კოტე – სცენარი უნდა გადააკეთონ.

ოთარი – დაიწყება ახლა... აგრონომიდან ტრაქტორისტად  
გადამაქცევინ.

მზია – (სიცილით) მე შეიძლება მწველავი გავხდე.  
ყველანი იცინიან. სიცილზე სანდრომ გაიღვიძა.

სანდრო – ისევ წვიმს.

ოთარი – მეორედ მოსვლა!

სანდრომ ხელი ჩაიქნია და გვერდი იბრუნა.

რეჟისორის ოთახი. სცენარისტი ელექტროსამართებლით  
პირს იპარსავს, რეჟისორი ნერვიულად დადის. დაობენ:

გივი – შეუძლებელს მოითხოვ... ყველაფრის გადატანა ხომ  
არ შეიძლება ეკრანის თეთრ ტილოზე?!

რეჟისორი – მომისმინე... ჩვენ რა გვაქვს!? ლირიკული  
ანექდოტი ერთ ახირებულ კაცზე. გადავყევით მთავარ  
გმირს და ცხოვრება განზე დაგვრჩა.

ისევ კლუბის საერთო დარბაზში ვართ.

კოტე და ოთარი ჭადრაკს უსხედან. მზია წიგნს კითხუ-  
ლობს. ზოგი წამოწოლილა, მოწყენილობაა. კარები ხმაურით  
გაიღო და ვახტანგი შემოვიდა. ხელში ქალაღი უჭირავს.

ვახტანგი – სალამი ძილის სამეფოს! ობსერვატორია კარგ  
ამინდს გვპირდება!

ოთარი – (გულგრილად) ესე იგი ხვალაც იწვიმებს.

ოპერატორი – (წამოწოლილი) როდის დავაღწევთ თავს  
ამ ჭაობიდან?

მზია – (წიგნი ფანჯარაზე დააგდო, აღმოთებული) ოღონდ  
გამიშვან და ფეხშიშველი ვივლი თბილისამდე.

აივანზე ფეხების ხმა გაისმა. ფანჯარაში გამოჩნდნენ მეჩაიე  
გოგონები. ისინი სანვიმრებს იხდიან და მოაჯირზე ჰკიდებენ.

კოტე – (გახარებული) ჩვენთან სტუმრები არიან!..

ჭადრაკს თავი მიანება და გარეთ გავარდა.

ყველა დაფაცურდა. ვინც წამოწოლილი იყო, წამოჯდა  
ვინც იჯდა წამოდგა. ზოგმა ხალათი გადაიცვა.

ოთარმა კარები გააღო. აივანზე მეჩაიე გოგონები დგანან და მორცხვად იღიმებიან. კოტე და რეზო მათ სანვიმრების გახდაში შველიან.

ოთარი – მობრძანდით! მობრძანდით!

კარებში ჯერ ნათელა გამოჩნდა. მას ხელში ხილით სავსე კალათა უჭირავს. ნათელას მოჰყვენენ: თეოლინა გიტარით ხელში, ოლენდრა ყვავილების თაიგულით, ცირა და სხვები.

ქალიშვილებმა ხილი მაგიდაზე დადეს. მაგიდაზე ვაშლით, მსხლით, ქლიავით... სავსე კალათების ნატურმორტი გაიშალა.

ნათელამ ხალათის ჯიბიდან ლოყანითელი ვაშლი ამოიღო და კოტეს გაუწოდა.

ნათელა – მიირთვით.

კოტე – გმადლობთ!.. (ვაშლი ჩაკბიჩა) თქვენ ხომ ნათელა გქვიათ?

ნათელა – ჰო...

კოტე – თქვენმა შემოსვლამ გული გაგვინათა...

ოთარი – (ფანჯარაში იხედება) წვიმამაც გადაიღო.

ნათელა – (მორცხვად) კარგი ერთი... რანაირები ხართ! ყველას გაეცინა.

კოტე – დაბრძანდით.

გოგონები ჩამოჯდნენ.

შირმიდან ტანსაცმელგამოცვლილი მზია გამოვიდა. იგი მხიარული ღიმილით გოგონებთან მივიდა. ოლენდრა გადაკოცნა. სხვებს მიუალერსა.

ოლენდრამ ყვავილების თაიგული მზიას მიართვა.

ოლენდრა – ეს ჩვენი ბრიგადისაგან.

მზიამ თაიგული გამოართვა, დაყნოსა და მკერდზე მიიკრა. მზია – რა მშვენიერია...

კინომუშაკები ხილს შეექცევიან, ჩასუქებული ვახტანგი მადიანად იკბიჩება. სანდროს ძინავს. ოპერატორის ასისტენტმა მაგნიტოფონი ჩართო.

კოტემ ნათელა საცეკვაოდ გაიწვია. ნათელა ჯერ შეყოყმანდა, მეგობრებს გადახედა, ეშმაკურად გაიღიმა და კოტეს გაყვა. სანდროს გაელვინა, გულმოსულად მოიხედა. უცებ ვერ გაერკვა რა ხდება ირგვლივ, სცადა წამოდგომა, მაგრამ სკამლოგინმა არ აუშვა. ფეხი გაიქნია და მიხვდა რომ მიბმულია, ღრიალი მორთო:

ს ა ნ დ რ ო – (ოთარისკენ გაიწვია) შენ მიკეთებ ამას ხომ?  
(ოთარმა გაოცებულის იერი მიიღო) ამხსენით ჩქარა!

მაგნიტოფონი გამორთეს, ცეკვა შეწყდა, კოტემ სანდროსთან მიიღბინა და ქამარი ახსნა. სანდრო შურდულივით აივანზე გაიჭრა და სახეზე წყალი შეისხა. ოთარის გარდა ყველანი იცინიან, სანდრო მრისხანე სახით შემობრუნდა. სიცილი შეწყდა. სანდრომ შეამჩნია თუ არა სტუმრები, სახე გაებადრა და მათკენ წავიდა.

ს ა ნ დ რ ო – (გოგონებს ხელი მოხვია) ასეთი ლამაზი სტუმრები თუ გვყავდა, რატომ ადრე არ გამაღვიძეთ?..

გოგონები სიცილს ძლივს იკავებენ.

კოტემ დრო იხელთა, ფანჯრიდან გიტარა აიღო და გოგონებს გაუნოდა.

კ ო ტ ე – ძია სანდროს სურს თქვენ იმღეროთ!

ს ა ნ დ რ ო – სიამოვნებით მოგისმენთ...

ნ ა თ ე ლ ა – თქვენი საკადრისი სიმღერა რომ არ ვიცით?..

ო თ ა რ ი – გთხოვთ, გთხოვთ.

ნათელამ კოტეს გიტარა გამოართვა და ოლეანდრას გაუნოდა, ოლეანდრამ ცირას მიაჩეჩა, ცირამ თეოლინას, ბოლოს გიტარა ისევ ოლეანდრას დაუბრუნეს.

ოლეანდრა გიტარას მართავს... უკრავს და გვერდით მჯდომ ნათელას ანიშნებს, ნათელა სიმღერას იწყებს, ოლეანდრა აჰყვება, სიმღერა მეტად ტკბილია და ღირიული.

სიმღერის დროს კინოაპარატი სათითაოდ ამოუვლის კლუბში მყოფთა სახეებს, მერე ეზოში გამოვა და გზაზედაც გაგვახედებს.

კლუბის ეზოს მესერთან აგრაფინა დგას. შორს მომავალ ვარლამს ხელს უქნევს, კლუბისაკენ ანიშნებს.

ვარლამმა მრისხანე სახით კლუბში შემოაბიჯა, მაგრამ მსმენელთა დამტკბარი სახეები რომ დაინახა, კედელს აეკრა და ნაძალადევად გაიღიმა. კლუბში აგრაფინაც შემოიპარა, მას ისიდორეც შემოჰყვა.

რეჟისორი და სცენარის ავტორი სიმღერას ყურადღებით ისმენენ. კარს ალებენ და დარბაზში ფეხაკრეფით შემოდიან.

რეჟისორი – (გივის) რას იტყვით?

გივი – (მომღერლებს თვალს არ აცილებს) მშვენიერია!

სიმღერის იდილია მანქანის გუგუნმა დაარღვია, საბარგო მანქანა კლუბთან გაჩერდა. მანქანიდან მთვრალი გოჩა გადმოვიდა, კარებში ნუთით შეჩერდა, სიმღერას ყური მიუგდო. ოლეანდრას თვალი მოჰკრა. სახე აელენა.

ოლეანდრამ სიმღერა შეწყვიტა.

გოჩამ ბარბაცით ნაბიჯი გადადგა. ეტყობა თავს უფრო იმთვრალეებს.

გოჩა – (დარბაზს თვალი მოავლო) მგონი ხელი შეგიშალეთ ა?.. მე ვხედავ აქ დროს მხიარულად ატარებენ (ოლეანდრას) ოჰ?! შენც აქა ხარ ჩემო პარტიზანო მეუღლე?!  
ოლეანდრა – (წამოდგა) გოჩა გრცხვენოდეს!

გოჩა – მრცხვენოდეს?.. მერედა რა იცით რომ არ მრცხვენია.. ჰაჰაჰა... საკმარისია... მე გამოვსწორდები, მე აღარ დავლევ, მე აღარ... მერე მშვენიერ ზღაპარს შექმნიან გზააბნეული აგრონომის გამოსწორებაზე, ასე არ არის პატივცემულო რეჟისორო?

რეჟისორი – დაწყნარდით...

გოჩა – მე თქვენი ფილმის პერსონაჟი როდი ვარ...

ვარლამი – გოჩა! შენ მთვრალი ხარ, სახლში წამოდი.

გოჩა – ო... არა, მთვრალეები თქვენა ხართ... თქვენ, ყველანი. რად ვერ გაიგეთ, რომ ადამიანები ვართ და არა სიბნელეში დამწყვდეული ხარები... ნითელ ფერზე რომ გიჟდებიან...

რეჟისორი – რა გინდათ თქვამთ?

გოჩა – განა არ ხვდებით? მაგრამ არ გინდათ გაიგოთ!.. ხომ დაინახეთ ჩემი ცოლი, ნვიმაში... ოფლში იწურებოდა, და-კოჟრილი ხელებით ჩაის კრეფდა... თქვენ ერთ სიტყვაც არ გითქვამთ... გინდათ ყველაფერი ლამაზი აჩვენოთ... ან (ჩაიცინა) დემონიურ რეალობას ჩანვდეთ... მეც მინდოდა ჩემი ცოლი ყოველთვის ლამაზი ყოფილიყო, ამ მსახიობივით! (მზიაზე მიუთითებს).

მზიამ სახეზე თითები აიფარა. ოლეანდრას მხრები აუცახცახდა, თვალები აუცრემლდა და გარეთ გავარდა. ნათელა და სხვა გოგონებიც მიჰყვნენ, მზიაც თან გაჰყვა.

აგრაფინამ გოჩას ხელი წაავლო.

აგრაფინა – რატომ გეჭრი ბიჭო თავს?! წამოდი!

ისიდორეს და აგრაფინას გოჩა თითქმის ძალით გაჰყავთ.

ვარლამი – ბოდიში...

რეჟისორი – (ვარლამს) რა მოუვიდა ამ ყმანვილს?..

გივი – ძალიან გთხოვთ, ყველაფერი გვიამბეთ...

რეჟისორი, გივი და ვარლამი კაბინეტში შევიდნენ.

ნათელას სუფრა გაუშლია. მზია ჩაის სვამს. ოლეანდრა ტახტზე მოწყენილი ზის. მის წინ ჩაით სავსე ჭიქა ხელუხლებელია. ნათელა დიასახლისობს.

ნათელა – მოდი გოგო, გაცივდა ჩაი.

ოლეანდრა – არ მინდა.

ნათელამ მზიას კაკლის მურაბა მიაწოდა.

მზია – გმადლობთ...

ნათელამ ოლეანდრასაც გახედა, ნაღვლიანი სახე მიიღო და ხელი ჩაიქნია.

ნათელა – არ ღირს სიცოცხლე... არა, არასოდეს არ გავთხოვდები... მე ყოველთვის ჩიტვივით თავისუფალი უნდა ვიყო.

მზიამ გაიღიმა. ოლეანდრას თანაგრძნობით გადახედა, მერე გვერდით მიუჯდა და ხელი მოხვია.

მზია – ნუ იჯავრებ რა?

ოლენდრამ სტუმარს ხათრი ვერ გაუტეხა და მაგიდასთან დაჯდა.

ნათელა – შენი ბრალიც კია ცოტა. გოგო ვინმე მეტყოდეს სახლში დაჯექი და დაისვენეო, მაგას რა სჯობია.

ოლენდრა – თვითონ არ ვიცი, რა მომდის... რატომ ვარ ასეთი... მოუსვენარი... მეც ხომ მაქვს ჩემი მიზანი... მეც მინდა ყველაფერი გავიგო ამ ქვეყანაზე... ხალხში გავერიო, გოჩას არ ესმის... შინ რა გამაჩერებს?

ნათელამ რადიომიმღები ჩართო და მიქშერს ატრიალებს.

ოთახი გაივსო ათასგვარი ხმებით, საუბრით სხვადასხვა ენაზე... მუსიკით, სადღაც ფეხბურთს გადმოცემენ, სადღაც სპექტაკლის ტრანსლაციაა. ბოლოს ყველა ხმა მუსიკალურმა ფრაზამ დაფარა.

ეს მუსიკალური ფრაზა გოჩას ოთახშიც გადავიდა. ტახტზე ორნი სხედან: გოჩა და აგრაფინა, ისინი აზარტული ტემპით ნარდს თამაშობენ.

მუსიკალურ ფრაზაში საბეჭდი მანქანის კაკუნი შეერია.

მანქანაზე გამალებით ბეჭდავენ თითები, რეჟისორი იქვე ზის და პაპიროსს აბოლებს.

გივი – (უცებ შეჩერდა და რეჟისორს მოუბრუნდა (გამომცდე-ლად) მგონი მსუბუქ კომედიას ვაკეთებთ?..

რეჟისორი – კომედიას და არა ვოდევილს! ახლა ჟანრობრივი დაყოფაც სადავოა...

გივიმ პაპიროსს მოუკიდა.

გივი – როგორ ფიქრობ ოლენდრა ახლა ზის და ტირის?

რეჟისორი – არა... იგი სულ სხვა ბუნების ქალია. ჩვენთვის უცნობი.

გივი – ზოგჯერ გამონაგონი ფაქტზე უფრო ჭკვიანურია.

რეჟისორი – არა... ჩვენ ჯერ კიდევ ვერ განვთავისუფლდით სიუჟეტის ტყვეობიდან. ადამიანის სულში ჩახედვას ვერ დავიწყებთ, გმირის აზრის და განცდების გამოკვლევას.

გ ი ვ ი – (გაიცინა) ააა! ცხოვრების ნაკადი?... ეს ახლა მოდა-  
შია. როგორც გენებოთ, მაგრამ დრამატიზმს ვერსად  
გავექცევით.

რ ე ყ ი ს ო რ ი – მეც ამას ვამბობ... ნამდვილ დრამატიზმს,  
ცხოვრებისეულს.

გივიმ ისევ განაგრძო ბეჭდვა.

საბეჭდი მანქანის ხმაში წყნარი აკომპანიმენტი შემოიჭრა.  
თენდება...

სადლაცა მამალი ყივის.

თითები ისევ ბეჭდავენ...

მკრთალად იხატებიან გორაკების ჩრდილისფერი კონ-  
ტურები.

ცის ფონზე გაიარეს ზურგზე კალათმოკიდებულ მეჩაიე-  
თა აჩრდილებმა.

ვარლამის კაბინეტში ხალხი შეგროვილა. აქ არიან გოჩა,  
ბრიგადირები, გოგია, პორფილე, ამბერკი, გიგლა და სხვები.

ვ ა რ ლ ა მ ი – (გაცხარებული ტონით) ყველა უნდა გამოვიყვა-  
ნოთ! ბებერი და ახალგაზრდა არ ვიცი მე!... თუ აკვნი-  
დან გადმოსულია და ფეხზე დგომა შეუძლია, დღეს უნდა  
დაგვეხმაროს. ამაზე დიდი გასაჭირი არ გვექნება.

პ ო რ ფ ი ლ ე – კი ბატონო მაგრამ... ზოგან რომ წყალია ჩამ-  
დგარი?.. მაგალითად ოლეანდრას ნაკვეთში ნავით თუ  
შეხვალ მოსაკრეფად თორემ...

ვ ა რ ლ ა მ ი – (ანწყვეტინებს) გოჩა თუ კაცი ხარ ახლავე  
ნაიყვანე ხალხი და ის წყალი გადმოუშვით...

გოჩა კუთხეში უხალისოდ დგას.

ვ ა რ ლ ა მ ი – (გოჩას ახედა) ნამთვრალევი კი ხარ, მაგრამ...  
ასე რამ გამოგცვალა?!

სიტყვა ტლფონის ზარმა შეანწყვეტინა. ვარლამმა ყურ-  
მილი აიღო.

ვ ა რ ლ ა მ ი – გისმენთ... თავმჯდომარე ვარ... დიახ! სამ-  
მართველოდან?.. ბრძანეთ... ჩამოვრჩით... მაგრამ ჩვენი



ბრალიც არაა. წვიმას რომ თავი დავანებოთ, მუშახელი დამაკლდა... მთელი ახალგაზრდობა გამოცდებზეა წასული... (ჩაიცივნა) ვიცი დაბრუნდებიან, მაგრამ ჩაი მოიცდის?.. ვეცდებით... მესმის...

ყურმილი დადო და წამოდგა.

ვარლამი – აბა, გავიდეთ ახლა და დავიკაპინოთ ყველამ ხელები!..

ვარლამის კაბინეტი სწრაფად დაცარიელდა.

მოქუფრულ ცაზე, ღრუბლებში ღრმად მიმალული მზე მკრთალად ანათებს.

პლანტაციებში მკრეფავები მოსჩანან.

გადაღების ადგილზე ოპერატორი მონოქრომით ცას შესცქერის. ოპერატორის ასისტენტი აპარატს სწმენდს, სხვა კინომუშაკები უსაქმოდ დაფანტულან.

კოტე ყირაზე დგომამი ვარჯიშობს. მზია გრიმიორთან თმას იწნავს. ვახტანგი საველე მაგიდას მიჯდომია და ქალაღებს არჩევს, უსაქმურობით გაგულისებული სანდრო როლის ტანსაცმელში ჩაცმული, ზურგზე ხელებშემონყობილი დააბიჯებს. რეზო ოთარს გრიმს უკეთებს.

გადაღების ადგილზე მოვიდნენ სცენარის ავტორი გივი, საბეჭდი მანქანით ხელში და რეჟისორი.

გივი – (ჭარბი მზიარულებით) სალამი კინოს ოსტატებს!

ვახტანგი – (წამოდგა) გახლავართ! უსაქმოდ...

ოთარი – ვიძირებით...

მზია – მაგრამ არ ვნებდებით...

გივი – (მზია შენიშნა) ააა... ჩვენი კინოვარსკვლავი აქაც ანათებს!? (ციური კოცნა გაუგზავნა).

მზიამ სიცილით ხელი დაუქნია. ვახტანგი რეჟისორთან მივიდა.

ვახტანგი – მიხეილ სერგეევიჩ! უნდა გავემგზავროთ აქედან...

რეჟისორი – რატომ?

ვახტანგი – ცის აქაურ დისპეჩერს ჩვენი არ ეყურება...

რეჟისორი – (ისიდორეს) რას იტყვით ისიდორე?.. (პაპიროსის ღია კოლოფი გაუნოდა).

ისიდორემ პაპიროსი პირში გაირჭო და ორი ყურებზე ჩამოიღო. რეჟისორმა ცეცხლი მოუკიდა. ისიდორემ გააბოლა.

ისიდორე – (თავმომწონედ) ამინდი იქნება...

ვახტანგი – როდის?

ისიდორე – როცა ძვლები არ შემანუხებებს...

ვახტანგმა ხელები გაასავსავა.

– არა, არა, უნდა წავიდე, ვერაფერი ვერ დამაკავებს!..

მოისმა სანდროს ხმა. იგი ჩქარი ნაბიჯით კადრში შემოვიდა.

სანდრო – კვირას სპექტაკლი მაქვს... სად მცალია თქვენს სათამაშოდ!..

ისიდორე – (სერიოზულად) სათამაშოდ ხარ ჩამოსული, აბა სათოხარში არ მყავხარ. მოითმინე პატარა და გამოვა მზე. აბა სად წავა!..

სანდრომ ისიდორეს ამრეზილად გადახედა, ზურგზე ხელები შემოიწყო და წავიდა.

მოხუცი გრიმიორი მზიას სახეზე ფუნჯით უკანასკნელ ფერს ადებს და ჩვეულებისამებრ ღიღინებს:

„О не буди меня зephyр молодой весны...“

ცაცხვის ქვეშ მაგიდასთან გივი საბეჭდ მანქანას უზის. რეჟისორი იქვე ნაბეჭდს ათვალეერებს.

ქარსაცავ ხეივანში აჩქარებული ნაბიჯით ვარლამი და გიგლა მოდიან. გიგლას ხელში წითელი ქსოვილის დახვეული ნაჭერი მოაქვს. ისინი პლანტაციის მიჯნაზე დაფასთან შეჩერდნენ. გიგლა დაფაზე ლოზუნგს აკრავს. ლოზუნგზე წარწერა:

„ყველა პლანტაციაში! აგვისტო ჩაის კრეფის გადამწყვეტი თვეა“.

დაუცხრომელი ვახტანგი დაფასთან პირველი მივიდა.

ვახტანგი – (ჭარბი თავაზიანობით) რა გიჭირთ რა!.. აყ-

ვაგებული ხართ. ივსება კალათები ჩაის ფოთლით და ხვავდება მწვანე ოქრო.

ვარლამი – (მიუხვდა ხუმრობას) არც თქვენ ინურავთ ოფლს ნამეტანი შრომისაგან.

ვახტანგი – ჩვენი საქმე უფრო სათუთია (ხელით ანიშნა ცაცხვისკენ. გივი და რეჟისორი გადამეტებული ჟესტიკულირებით დაობენ) – ზემთაგონების ღვთაებრივი ცეცხლი!!

ორივენი იცინიან. მათ ირგვლივ სხვა კინომუშაკებიც მოგროვდნენ.

ვარლამი – (მიდის) თქვენთან საუბარს რა ჯობია, მაგრამ ავრალი მაქვს გამოცხადებული. ამ კვირაში თუ არ მოვათავებ ჩაის კრეფა, დავიღუბეთ და ეგ არი... ბოდიში... ვარლამი წინ წასულ გიგლას გამოუდგა.

ვახტანგმა ირგვლივ უსაქმოდ მდგარ კინომუშაკებს გადახედა, რალაც გადანყვეტილება მიიღო და რეჟისორთან მივიდა:

ვახტანგი – მიხეილ სერგეევიჩ! მაინც უსაქმოდ ვართ.. ცოტა მოვეხმაროთ სოფელს.. რას იტყვიან?..

რეჟისორი – ჩინებული აზრია!.. ოღონდ მზე გახსოვდეთ!.. ვახტანგი ხმის ჩამწერ აპარატთან მივიდა, მიკროფონი მოიმარჯვა და თავისი ბოხი ხმით ჩასძახა:

ვახტანგი – ამხანაგებო!.. ვაცხადებთ ლაშქრობას მწვანე ოქროზე, ყველანი პლანტაციიაში!..

კინომუშაკები მხიარულად წამოიძალნენ.

ხშირი წვიმების გამო პლანტაციაში ჩაგუბებულ წყალს კოლმეურნენი წყალსაწრეტ თხრილებს უჭრიან. აქ არიან გოგია, პორფილე, ამბერკი და სხვები.

შარვალაკაპინებული გოჩა ბარით თხრილს ასწორებს. წყალი თანდათან ინურება ქარსაცავის გასწვრივ გათხრილ რუში. ოთარიც თავის კოლეგასთან მოვიდა. კოლმეურნენი წუთით შეჩერდნენ.

ოთარი – კოლეგა!.. მეც გამომიყენეთ...

გორა – (ემმაკურად გახედა) ცოტა დაგვიცადე კოლეგა. მოვიფიქრებთ.

ოთარმა სწრაფად ფეხსაცმელი გაიძრო, შარვალი შეძლებამდე აიკეცა, პორფილეს ბარი გამოართვა და თხრილი სწრაფად გაკვალა. პორფილეს სიამოვნებით ჩაეცინა და თუთუნის გახვევა დაიწყო.

ჩაის პლანტაციამი გახურებული მუშაობაა. კინომუშაკები ეხმარებიან მკრეფავებს, ისინი ყველგან შეინიშნებიან: პლანტაციამი, მიმღებ პუნქტში, მანქანებთან. ჩაის ფოთლით სავსე კალათები მიმღები პუნქტისაკენ მიაქვთ. ირგვლივ საერთო მხიარულებაა.

მიმღებ პუნქტში სასწორთან დგას ვახტანგი და ჩვეულებრივად ბობოქრობს.

გამნათებლები აწონილ და დახარისხებულ ჩაის ფოთოლს ყუთებში ყრიან.

კალთაკეცილმა ნათელამ ჩაის ფოთლით სავსე ფუთა სასწორის ჩანგალზე ჩამოკიდა.

ვახტანგი – (წონის) თვრამეტი! ჩანერეთ...

კოლ. ქალი – პირველი ხარისხი...

ვახტანგი – ბარაქალა გოგო!.. შემდეგი!..

ნათელა იცინის.

ვახტანგი – (წყრომით) რა გაცინებს?

ნათელა – (კაბის კალთა ჩამოუშვა) არაფერი... მიხარია და ვიციანი.

ნათელა სიცილით გარეთ გავარდა.

რეზო და ოპერატორის ასისტენტი ჩაის ფოთლით სავსე ყუთებით მანქანას ტვირთავენ.

პლანტაციამი ოლეანდრა და მზია მხარდამხარ კრეფენ. მათ ერთნაირად აცვიათ და ჭილოფის ქუდები ახურავთ. თუ ყურადღებით დაუყუკირდებით, შევამჩნევთ განსხვავებას მათ მუშაობაში, მაგრამ ახლა მათზე განსაკუთრებით ნუ შევჩერდებით.

აგრაფინას სახლი. ოთახში იატაკზე წითელი ქსოვილია გაშლილი. ჩამუხლულ გიგლას ქსოვილზე ფუნჯით ლოზუნგის ასოები გამოჰყავს:

„მაღალი ტემპი მეჩაიებო! მიღწეულით არ დავეკმაყოფილდეთ!“

იქვე მაგიდასთან, ზის აგრაფინა და ქვიჯაში ნიგოზს ნაყავს, თან შვილს დასცქერის.

ა გ რ ა ფ ი ნ ა – აქვს მაგას ვითომ რამე ძალა?

გ ი გ ლ ა – (ახედა) აბა ტყვილად ვწერ! ამან მთელი ხალხი გამოიყვანა შენს მეტი... ახლა ავრალი გვაქვს.

ა გ რ ა ფ ი ნ ა – (შეაჩერა ნაყვა) რაა ბიჭო ავრალი?

გ ი გ ლ ა – რა და, ყველა ჩაიში უნდა იყოს... კინოს ხალხიც ჩვენ გვეხმარება... ვინც თავს გამოიჩინს, ორმაგ პრემიას აძლევენ.

აგრაფინა შეფიქრიანდა...

ა გ რ ა ფ ი ნ ა – ის ლამაზი ქალიც მუშაობს?

გ ი გ ლ ა – აბა რა!..

ა გ რ ა ფ ი ნ ა – ავად არ ვიყო, მე ვიცი...

გ ი გ ლ ა – (ანყვეტინებს) კარგი ერთი, არაფერი ავად არა ხარ!

ა გ რ ა ფ ი ნ ა – (უჯრიდან ექიმის ცნობას იღებს) აბა რაა ეს? ექიმს შენ ასწავლი!

გ ი გ ლ ა – მაგისტანა ქალაქს დღეში ხუთს ვიშოვი...

ა გ რ ა ფ ი ნ ა – ა... სახლში მყავს მტერი და თავმჯდომარეს რას ვერჩი!..

ისევ განაგრძობს ნაყვას.

მიძღებ პუნქტთან დატვირთული მანქანა დგას. ვარლამი მძღოლს აფრთხილებს:

ვ ა რ ლ ა მ ი – აბა ჩქარა! არ დაიგვიანო თორემ, დაიხუთა ფოთოლი....

მ ძ ლ ო ლ ი – (ჩვეულებრივად გულმოსულია) ახლა შენი ფოთლის გულისთვის ფრენას ვერ ვასწავლი მანქანას!

მანქანა სწრაფად დაძრა და ვებერთელა კვამლი მოიტოვა. კვამლში ცარიელი კალათით მიმავალი ოლეანდრა გამოჩნდა. ვარლამმა დაინახა იგი და წამოეწინა.

ვარლამი – სანამ გინდათ ასე იყოთ? კაცი აფორიაქებული დადის... თავისთავს ვერ ცნობს...

ოლეანდრა – (ნალვლიანად) ძია ვარლამ... ჩემი ბრალია?!

ვარლამი – აბა ვისი?.. სამაგალითო მარტო შრომაში კი არ უნდა იყო!.. საკომედიოდ იხდი საქმეს?.. ხანდახან შენც უნდა მოუთმინო...

ოლეანდრა – მე ბევრი ვითმინე...

ვარლამი – მომავალში რას აპირებ, არ შერიგდებით?..

ოლეანდრა – არ ვიცი... მომავალი სწორად ვერასოდეს ვერ გამოვიცანი...

ოლეანდრა აჩქარებული ნაბიჯით წავიდა. პირზეკითხვაშერჩენილი ვარლამი ადგილზე დარჩა.

ისიღორე, სანდრო და მოხუცი გრიმიორი პლანტაციამი ერთად არიან. გზის პირას ხეზე კალათი ჰკიდია. რიგრიგობით გამოდიან და მუჭში დაგროვილ ფოთოლს კალათში ყრიან. დაღლილი სანდრო ხის ძირას წამოჯდა.

სანდრო – ანი ჩაის დამლევით აღარა ვარ...

გრიმიორმა ცხვირსახოცით შუბლი მოიწმინდა და ხეს მიეყრდნო.

გრიმიორი – აბა რა გეგონა... კიდევ კარგი, დღეს მზე არ არის...

(წელზე ხელი მიიღო) ყველაფერი ამტკივდა...

ისიღორემ ორი მუჭა ჩაის ფოთოლი გამოიტანა და კალათში ჩაყარა, მერე ისიც სანდროსთან დაჯდა, ყურიდან პაპიროსი ჩამოიღო და გააბოლა.

გრიმიორი – (სერიოზული ტონით) ცვილონში სხვანაირად კრეფენ ჩაის.

სანდრო – როგორ?

გრიმიორმა ხიდან კალათი ჩამოიღო, ზურგზე მოიკიდა და

ჩაის ბუჩქთან გაჩერდა.

გ რ ი მ ი ო რ ი – აი ასე... როცა ფოთოლს სწყვეტს, ნელში იხრება, მერე ნელს გამართავს და ფოთოლს კალათში ყრის... მერე ისევ მოიხრება... ასე რომ იხრება და სწორდება... იხრება და სწორდება...

აჩვენებს აღწერილ მოძრაობას.

ისიდორე და სანდრო გულიანად იცინიან.

ცაცხვის ქვეშ რეჟისორი და ავტორი ისევ მუშაობენ. გივი ბექდავს და თან ამბობს:

„მეორე დღეს მოწმენდილი დილა გათენდა. ანთიმოზის გულში კი ბოლმა ტრიალებდა. მზია თავისი ჯადოქარი ხელებით პლანტაციაში მუშაობდა, წარბანეული ანთიმოზი საჩხუბრად გაემზადა“.

თითები ბექდავენ სცენარის სტრიქონებს...

ხელები კრეფენ ჩაის ფოთლებს.

გიტარა უკრავს ფილმის ლეიტმოტივს.

დღე იცვლება ღამით. ღამე იცვლება დღით.

ცის ფონზე მიდიან მეჩაიეთა სილუეტები.

თითები ბექდავენ.

დაბექდილი სცენარის ფურცლები ხელიდან ხელში გადადის. ერთმანეთს ცვლიან მზიას, ოთარის, სანდროს და სხვების მომღიმარი სახეები.

ალიონია. ცის ფონზე მიდიან მეჩაიეთა სილუეტები.

ხელები კრეფენ, თითები ბექდავენ.

გიტარა უკრავს ფილმის ლეიტმოტივს.

ღამის სიბნელეში პლანტაციაში ჩირაღდანი ანათებს. ჩირაღდნის შუქზე აგრაფინა გამალებით კრეფს და ფოთოლს ფუთაში ტენის.

თენდება...

მტრედისფრად განათებულ ცაზე ნელ-ნელა ისახებიან დევის კბილებივით აღმართული ბებერი ციხის ქონგურები.

ცის ფონზე მიდიან მეჩაიეთა სილუეტები.

მერე ერთბაშად ნათდება.

მზე მთელი ძალით ცდილობს გაარღვიოს თეთრი ღრუბლების უშველებელი გალავანი და მალლა, ცის უნაპირო, ლურჯ მინდორზე გამოვიდეს.

გადალების ადგილზე გამნათებლები ფანრებს ამზადებენ. ოპერატორის ასისტენტი აპარატს დგამს, ისიდორე სარკეს წმენდს. გადალების ადგილზე ცოტანი არიან. მოშორებით წინ და უკან მოსიარულე სანდრო უკმაყოფილოდ ცას შესცქერის.

ირგვლივ პლანტაციაში მკრეფავები მოსჩანან. მათ შორის კინომუშაკებიც შეიმჩნევიან.

ჩაის მიმღებ პუნქტთან ცარიელი საბარგო მანქანა გაჩერდა. ზოგიერთ ხელმარჯვე მკრეფავს უკვე მოაქვს ჩაის ფოთოლი.

სასწორთან ისევ ვახტანგი დგას. გოჩა ჩაის ახარისხებს. ერთ ციცქნა თმაგანწილ, გარუჯულ გოგონას უშველებელი ფუთა მოუკიდებია და ძლივს მოათრევს. გოჩა მიეშველა.

გოჩა – რავა ზღარბს დამგვანებიხარ!.. თმა ვერ დაივარცხნე ამ დილით?..

ვახტანგი – (წონის) თექვსმეტი... ყოჩაღ გოგონა!.. ახლა შენ აგწონი თუ ხარ ამდენი!..

გოგონამ გაიღრიჭა, თეთრი კბილები გამოაჩინა, ცარიელ ფუთას ხელი დაავლო და გაიქცა. პუნქტში ოლეანდრა და მზია შემოვიდნენ. ოლეანდრამ თავისი ბარაქიანი კალათა სასწორის ჩანგალზე დაკიდა, გოჩა დაიბნა. მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ.

ვახტანგი – (წონის) ოცდახუთი... დედოფლის ღირსეული.

გოჩა – (გვერდზე გაიხედა) პირველი ხარისხი...

ოლეანდრა შეუმჩნეველად გავიდა.

მზიამ თავისი პატარა ფუთა სასწორზე ჩამოკიდა.

ვახტანგი – ოთხი კილოგრამი... ერთ გადალების დღედ ჩაგეთვლება...

მზია – ჯერ სადა ხართ?!

ჩაის პუნქტის შენობის გვერდზე, სადაც მშენებლობიდან მორჩენილი ქვა-ხრეში ყრია, ოლეანდრა დგას. მოულოდნელად მის წინ გოჩა გაჩნდა. ოლეანდრამ თვალი მოარიდა.



გოჩამ საკმაოდ მოზრდილი რიყის ქვა აიღო...

გოჩა – ოლენდრა!...

ოლენდრა შემობრუნდა, შეშინებულმა უკან დაიხია.

ოლენდრა – რა იყო?..

გოჩამ წარბები შეიკრა. ეტყობა რაღაც უნდა თქვას, მაგრამ ვერ ახერხებს... გოჩამ ქვიანი ხელი აღმართა. ოლენდრამ ისევ უკან დაიხია.

გოჩა – აი როგორი ყოფილხარ შენ... ასეთი... ქვა გვერდზე მოისროლა.

ოლენდრამ შვებით ამოისუნთქა, გაიღიმა. მერე დაიხარა ერთი მუჭა სილა აიღო.

ოლენდრა – მე კი არა, შენ ხარ ქვა...

ეკრანზე მოჩანს ოლენდრას ზევით აწეული მარჯვენა, ხელიდან ქვიშა ცვივა და ირგვლივ იფანტება, ბოლოს ხელზე აღარაფერი რჩება.

ოლენდრას ხმა – ასეთი...

გოჩა – (ნაღვლიანად) კარგი... მე ვიყო დამნაშავე... ოღონდ დაბრუნდი სახლში და თუ გინდა წავალ... სულ გადავიკარგები აქედან.

ოლენდრა პლანტაციისაკენ გაიქცა. გოჩა სახტად დარჩა. ოლენდრას მზია დაენია.

ჭიშკარი გაიღო. გზაზე უჩვეულოდ დატვირთული აგრაფინა გამოვიდა. მას ზურგზე ჩაის ფოთლით სავსე გიდელი ჰკიდია, ორივე ხელში ვეებერთელა ფუთები უჭირავს და ძლივს მოაბიჯებს.

იქვე გიგლა დგას და იცინის.

აგრაფინა – მომეხმარე ბიჭო, რა იქნება?..

გიგლა – (ხელი აუქნია) წაილე... წაილე... დღეს არ მცალია.

გიგლამ მოკურცხლა.

აგრაფინა ხვნეშით გაუდგა გზას.

გადაღების ადგილზე არავინ ჩანს. გზის პირას სანდრო ტრიალებს. მოსახვევიდან დატვირთული აგრაფინა გამოჩნდა.

აგრაფინა – (წუნუნებს) ვაი დდა! არ მოვიკალი თავი!

მან სანდრო დაინახა, ვერ იცნო, როლის ტანსაცმელში გამოწყობილი.

აგრაფინა – (შეჩერდა) რავა უსაქმოდ დაალაჯებ ყაძახო! მოკიდე ხელი და მომეხმარე... ხომ ხედავ ავადმყოფი ქალი გავწყდი წელში...

სანდრო შეცბა. გაკვირვებული უცქერის...

სანდრო – ეს როგორ?!!

აგრაფინა – (ფუთებს აწვდის) წაილე... წაილე...

სანდრო უნებლიედ ფუთებს ართმევს და მიდის. წინ მიაბიჯებს სანდრო, უკან მედიდურად აგრაფინა მიჰყვება.

ცარიელი კალათით მომავალმა ნათელამ ისინი შეამჩნია. სიცილი აუტყდა. შეჩერდა.

ნათელა – აგრაფინა დეიდა! გადაირიე?.. ეს კაცი სახალხო არტისტია...

აგრაფინამ ჯერ არ დაუჯერა, წინიდან მოუარა, დააკვირდა და თავში ხელი წაიშინა:

აგრაფინა – დედა, დედა! ეს რა მომივიდა!.. არა ბატონო, შემეშალა, თქვენ რავა შეგანუხებდით!.. მაგრამ უკვე გვიანაა, სანდრო ტვირთის ჩამოღებას არ აპირებს.

სანდრო – არა უშავს ქალბატონო... ჯერ არც ისე ბებერი ვარ, რომ მანდილოსანს არ დავეხმარო...

ისინი მიდიან. ნათელა იცინის.

ჩაის პუნქტში ტევა არაა. ჩაის ფოთლით დატვირთული მკრეფავები, ახალგაზრდები, ხნიერები რიგში დგანან, სასწორზე სწრაფად იცლებიან კალათები: ღიდები, პატარები, სავსენი, ნახევრად სავსენი.

იატაკზე მწვანე ფოთლის გროვა თანდათან იზრდება. ვახტანგი ოფლს ინმენდს, ვარლამის სიხარულს საზღვარი არა აქვს.

აგრაფინამ რიგი გაარღვია და ჩაის პუნქტში ამაყად შემოაბიჯა. უკან სანდრო მოყვება, განცვიფრებულმა მკრეფავებმა უკან დაიხიეს.

– დედა!..

– ეს რა ამბავია!

მოისმა ხმები, აგრაფინამ გიდელი სასწორზე ჩამოკიდა. ვარლამი და სხვები გაკვირვებით შესცქერიან.

ვახტანგი – (ნონის) ოცდაოთხი...

გოჩამ სასწორიდან გიდელი ჩამოხსნა.

ვარლამი – მოიცა... გასინჯე ერთი, ქვები არ იყოს...

აგრაფინა – ქვებს მოგცემ მე შენ... მიუმატე ესეც.

აგრაფინამ ფუთები სასწორზე ჩამოკიდა.

ვახტანგი – ოცდათორმეტი... სულ სამოცდაექვსი...

გოჩა ფუთებს ცლის.

აგრაფინა – (გვერდზე დადგა) პრემია... ორმაგი პრემია...

ახლავე მომეცით...

პუნქტში ხარხარი გაისმა.

ვარლამი – აი კომედია თუ გინდათ სწორედ ეს არის.

ვახტანგი – შემდეგი...

ცის კაბადონზე მთვლემარე ღრუბლებს ქარი აღმოსავლეთისაკენ მიერეკება. ღრუბლების საბურველი თანდათან იცრიცება და სადაცაა მზეც გამოიხედავს. ქარმა ქარსაცავის კენწეროებიც შეარხია და ბუჩქებსაც ჩაუქროლა.

ოლენდრა და მზია კრეფას განაგრძობენ, თან გულთბილად საუბრობენ. მზიას გარეგნობა შეასამჩნევად შეცვლილა, ეტყობა ახალ გარემოს შეგუებია.

ქარმა დაუბერა.

პლანტაციამი ვარლამი და რეჟისორი გამოჩნდნენ.

ვარლამი – (ოლენდრას) რას შვრება შენი თანაშემწე?

მზია – (ღიმილით) მალე დავენევი და გაუფსნრებ...

ვარლამი – ოლენდრას ასე ადვილად ვერ გაუფსნრებ...

მზია – (თავი აილო) დავიღალე...

რეჟისორი – აი, ახლა სწორად ამბობ...

ვარლამი – (ოლენდრასთან ახლოს მივიდა) დღესვე უნდა ნახვიდე თბილისში.

ო ლ ე ა ნ დ რ ა – (გაკვირვებული) თბილისში?

ვ ა რ ლ ა მ ი – ჰო! სიტყვით უნდა გამოხვიდე...

ო ლ ე ა ნ დ რ ა – მე ვერ წავალ... ახლა რა დროს თათბირია?..

ვ ა რ ლ ა მ ი – რას ქვია ვერ წახვალ?

ო ლ ე ა ნ დ რ ა – (ყოყმანობს) სხვა რომ გაგზავნოთ...

ვ ა რ ლ ა მ ი – ახლა დამირეკეს, პირადად შენ მოგიტხოვეს...

ო ლ ე ა ნ დ რ ა დუმს.

ვ ა რ ლ ა მ ი – ნადი მოემზადე... მალე მატარებელი გამოივლის.

ო ლ ე ა ნ დ რ ა მ კალათი მხარზე გაიდო. იქ მყოფთ მორცხვად გადახედა.

ო ლ ე ა ნ დ რ ა – ბოდიში!

და სწრაფი ნაბიჯით გავიდა.

მზიამ ალერსიანი თვალებით გააცვილა. უეცრად მის სახეს მზის სხივი დაეცა.

– მზე!.. – შეჰყვირა მან.

რეჟისორმა და ვარლამმა ცას შეხედეს.

დატყვევებული მზე თეთრი ღრუბლებიდან გამოცურდა და მიდამოს ოქროსფერ სხივებად დაეღვარა. ყველაფერი გამოიკვეთა. გორაკებზე შეფენილი ჩაის პლანტაციები და სიმინდის ყანები კვადრატულად მოხატულ მწვანე ხალიჩას დაემსგავსა. შორს ჰორიზონტზე თოვლიანი მთები აელვარდნენ.

რ ე ჟ ი ს ო რ ი – (აღგზნებით) სად არის ვახტანგი?!

მის ზურგს უკან ვახტანგი გამოჩნდა, მიკროფონით ხელში.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი – სად ვიქნები, თუ არა ჩემს სადარაჯოზე?!

(მიკროფონში) – ყველანი გადალებაზე!.. ყველანი გადალე-ბაზე!..

პლანტაციებიდან, ჩაის ბუჩქებიდან, ყანებიდან, კლუბი-დან, ჩაის პუნქტიდან გამორბიან მსახიობები, გამნათებლები და სხვები.

გადალების ადგილი გაცოცხლდა. ყველანი აფუსფუსდნენ. გრიმიორი სანდროს უღვაშებს უკეთებს. ოპერატორის ასის-

ტენტები ურიკაზე აპარატს დგამენ... რეზო ოთარს გრიმს უსწორებს, მზია სარკეში იხედება.

სახანძრო მანქანაც ამუშავდა. ვახტანგი და მეხანძრეები რეზინის მილებით გადასაღებ ადგილს რწყავენ. ლიხტვაგენი აგუგუნდა. გამნათებლებმა სინათლე ჩართეს. ისიდორეს უშველებელი სარკე მოაქვს.

რეჟისორი სამონტაჟო ფურცელს ათვალიერებს, გივი იქვე ახლოს მონყობილა და ბეჭდავს.

ოპერატორი სინათლეს აყენებს. ირგვლივ კოლმეურნენი გროვდებიან. ყველას აინტერესებს გადაღება.

ოპერატორი სარკესთან მდგომ ისიდორეს ხელით ანიშნებს: მარჯვნივ და მარცხნივ სარკე გადასწიოს. ისიდორე მორჩილად სარკეს ასწორებს. სარკიდან ანარეკლი სხივი მზიას თავზე ეცემა, რომელიც უკვე აპარატის წინ კადრში დგას და სარკეში კიდევ გრიმს ისწორებს. რეჟისორს კოტემ მიკროფონი მიაწოდა.

რ ე ჟ ი ს ო რ ი – ყურადღება! ვინცებთ გადაღებას! ურეპეტიციოდ...

ოპერატორი კადრში იხედება.

კოტემ მიკროფონი მოიმარჯვა.

კ ო ტ ე – მოემზადეთ!..

კადრში თავთავიანთ ადგილს იკავებენ ოთარი და სანდრო. გადაღების ადგილზე ჩემოდნით ხელში, საგარეოთ გამოწყობილი ოლეანდრა მოვიდა. თეთრ გამჭვირვალე ყელსახვევს ქარი უფრიალებს.

შორიახლოს გოჩა და ვარლამიც გამოჩნდნენ.

ო პ ე რ ა ტ ო რ ი – სრული სინათლე!

პროჟექტორები სრული ძაბვით აენთნენ.

– წამნამები!

ხელებგანვდილი გრიმიორი კადრში შემოვარდა.

რ ე ჟ ი ს ო რ ი – არ არის საჭირო!..

გრიმიორი უკანვე გარბის.

კოტე – (მიკროფონში) – სიჩუმე!

– ერთი წუთით! სამუშაო მომენტი!

ჰყვირის კომპიუტერზე მდგომი ფოტოგრაფი. ყველანი გაშუმდნენ.

ფოტოგრაფმა აპარატი რამდენჯერმე გააჩხაკუნა.

მერე ისევ ამოძრავდნენ.

მემონტაჟე ქალი აპარატის წინ დადგა.

– კამერა!

მოისმის რეჟისორის ბრძანება.

ოპერატორის ასისტენტმა მოტორი ჩართო.

მემონტაჟე ქალმა დაფის სახელური დაუშვა და კადრიდან სწრაფად გავიდა.

ჩაის ბუჩქს, რომლის ლორთქო დუყებზე, ჯერ კიდევ ბრწყინავს წყლის წვეთები, უმანიკურო, მზისაგან საკმაოდ გარუჯული ხელის მტევანი დანვდა და სწრაფად კრეფა დაუნყო. მეორე ხელიც მიეხმარა.

კამერა უკან იხევს.

მზია გამოჩნდა, მას ზუსტად ისევე აცვია, როგორც ოლენდრას, რაც მთავარია ის ძველ მზიასავით არ კეკლუცობს. ოდნავ სევდიანია და შეფიქრიანებული, წელში ოდნავმოხრილი ოსტატურად კრეფს.

კამერა უკან მოძრაობს.

პლანტაციაში ანთიმოზი გამოჩნდა, იგიც ახლა გარეგნობით და ტემპერამენტით ძველ ანთიმოზს არა გავს. ეტყობა თავის პროტოტიპს გავლენა მოუხდენია. იგი გამწყრალი სახით მზიას თავზე წამოადგა. მზია შეკრთა, მაგრამ კრეფა არ შეუწყვეტია.

ანთიმოზი – მაინც წამოხვედი ხომ ამ ტალახში?..

მზიამ არაფერი არ უპასუხა.

ანთიმოზი – (თავს ძლივს იკავებს) ეს რა გააკეთე?..

მზია – (კრეფა შეწყვეტა) არ მინდა, შენთან აღარ დავბრუნდები, დაგავინყდა, გუშინდელი...

ვარლამის უკან მდგარი გოჩა შეკრთა და ბრაზისაგან აენთო.

ანთიმოზის ხმა ისმის:

ანთიმოზი – ცოლი ხარ, თუ მტერი ხარ ჩემი?!

ვარლამმა წარბი შეიკრა და გოჩას გადახედა. გოჩამ სახე გვერდზე დამალა.

კადრი ისევ გრძელდება, კამერა ახლა მათ უახლოვდება.

ანთიმოზი – რა დავაშავე? მე ხომ შენთვის კარგი მენადა.

მზია – (წყნარად) უშრომლად ახლა ყვავილიც არ ხარობს...

ოლენდრა დაძაბული შესცქერის და აღელვებას ვერ ფარავს. ისმის ანთიმოზის ხმა:

ანთიმოზი – დაბრუნდი სახლში... გესმის?

კამერა კიდევ უფრო ახლოს მიდის.

მზია – შენ არ გესმის ჩემი... ალბათ ვერასოდეს ვერ გამიგებ...

მზიამ კრეფა განაგრძო.

კამერა ისევ უკან იხევს და ბოლოს საერთო ხედზე დგება. პლანტაციის სანდრო გამოჩნდა. მას ვარლამის მსგავსად აცვია. ახლოდან უფრო ენერგიული ჩანს, საქმიანი და ჭკუამახვილი. ის შეჩერდა და ყური მიუგდო...

ანთიმოზი – (ნაღვლიანად) – კარგი... მე ვიყო დამნაშავე... (უკან წავიდა და ისევ შემობრუნდა) თუ გინდა, სულ წავალ ამ სოფლიდან... გადავიკარგები...

სანდრო წინ წამოვიდა და მამხილებელი ტონით ანთიმოზს მიმართა:

სანდრო – სოფელს გაურბიხარ ბიძია?!

ისიდორემ ყურები დაცქვიტა.

სანდრო – (განაგრძობს) მერე ვინ მოუაროს ამ ჩაის?..

ვინ გაახაროს ყანა?! ბევრ შენისთანას აქვს გაქცევაზე თვალი.

ისიდორე კმაყოფილი ილიმება.

სანდრო – (განაგრძობს) ცოლი არ გინდა ამუშავო?..

გყავდეს აბა იადონივით გალიაში!..

ანთიმოზი – (გაფიცხებული) ჩემს საქმეში ნუ ერევი თავმჯდომარევი!.. სწრაფად შემოტრიალდა და წავიდა.

სიჩუმე ნათელას კისკისმა დაარღვია. რეჟისორმა მოიხედა. ნათელას ხმა ჩაუნწყდა და გაჩუმდა.

რეჟისორი – კარგია! ვიღებთ ხელმეორედ...

მსახიობები კადრში სანყის მდგომარეობას იღებენ. კამერაც თავის ადგილზე დგება.

დარცხვენილმა ოლენდრამ ყელსახვევი თავზე შემოიბურა, ჩემოდანი აიღო და ჩქარი ნაბიჯით წავიდა.

საქციელწამხდარი გოჩა, ხეს ამოფარებია და პაპიროსს აბოლებს. მან გვიან შეამჩნია შორს მიმავალი ოლენდრა. პაპიროსი გადააგდო და მისკენ წავიდა.

გიტარა უკრავს საფინალო მუსიკას.

ოლენდრას უკან გოჩა მიჰყვება.

გზა ციხის ფერდობს მისდევს. ოლენდრა აღმართს შეუდგა.

ისინი თანდათან გვმორდებიან. მუსიკა ძლიერდება.

მოკრიალებულ ცაზე მზე თავდაღმართზე ეშვება.

ოლენდრა შორს მიდის.

გოჩა უკან მიჰყვება.

ეკრანზე მხოლოდ მათ მოძრავ ჩრდილებს ვხედავთ.

მათ შორის მანძილი თანდათან პატარავდება,

შორს, ძალიან შორს მატარებელმა ჩაიქროლა.

ლამდება, მზის უკანასკნელი სხივიც ჩაქრა.

ციხის კედლებს ღამურები გარს უვლიან.

ზევით ციხის ყველაზე მაღალ ქონგურაზე რეჟისორის შავი ფიგურა გამოჩნდა.

რეჟისორმა ხავსიან ქვაზე ჩაიმუხლა. ის მაცურებლებს მიმართავს:

რეჟისორი – ძვირფასო მაცურებლებო!.. დღეს მხოლოდ ერთი კადრი გადავიღეთ. (ღიმილით) მგონი წინილამ კერცხის ნაჭუჭს მიუკაკუნა და ნისკარტი გამოჰყო... ჯერ კიდევ არ ვიცი, საით წავლენ ჩვენი გმირები!.. მაგრამ



ერთში კი დამერწმუნეთ... ფილმს მალე დავამთავრებთ  
და ჩვენი კომედიის სანახავად თქვენ ალბათ ისევ მოგიწი-  
ევთ ბილეთის შეძენა.

ლამის სიბნელეში ზვიადად შემართული ბებერი ციხე დგას.  
თენდება. გიტარა უკრავს ფილმის ლეიტმოტივს.

ცა ნელნელა მტრედისფერდება.

ცის ფონზე მიდიან ზურგზე კალათმოკიდებულ მეჩაიეთა  
შავი სილუეტები. დაბნელება.

დასასრული

1963



## კინომოთხრობა

### ქართული ნოველები

თოვლიანი ტაიგა.

ყინვისგან აკამკამებული ჰაერი.

პატარა, ჩუქჩულ ქოხამდე სამარხილე გზა მიდის. ქოხიდან ამოსული კვამლი თეთრ კამარას ერთვის.

ნელ-ნელა ვუახლოვდებით ქოხს. იქვე, ჭიმკართან ირმებშებმულ მარხილში ქურქსა და ბენვის ქუდში ცხვირპირიანად ჩაფუთული ჩვიდმეტიოდე წლის ყმანვილი – იგორი მოკალათებულია.

ქოხის კარი გაიღო. ტყაპუჭის სახელოებში ხელებშერგული რამდენიმე ჩუქჩა გამოვიდა და იქვე გაჩერდა. ჩუქჩებს წარმოსადეგი, სიმპათიური გარეგნობის, ქურქსა და ქართულ ყაბალახში გამონყობილი შუახნის კაცი-ექიმი შიო გამოჰყვა. შიოს წინ, უკან, გვერდზე ჩუქჩები მიაცილებენ. ვინ იფიქრებდა, თუ პატარა ქოხში ამდენი კაცი დაეტეოდა. ექიმი მარხილთან მოვიდა. ჩუქჩები მადლიერების ღიმილით შეჰყურებენ მას. შიომ ახლო მდგომ ჩუქჩებს რაღაც უთხრა. ჩუქჩები ახარხარდნენ. ერთ ჩუქჩას ხუმრობით ბენვის ქუდი თვალებზე ჩამოაფხატა, მარხილში ჩაჯდა, მარხილის ქურქი მუხლებზე გადაიფინა. მარხილი დაიძრა. შიომ მოიხედა და დარჩენილთ ხელი დაუქნია. ჩუქჩებიც ხელის ქნევით ემშვიდობებინ.

ირმებშებმულმა მარხილმა ტაიგაში მარცხნივ შეუხვია.

თოვლის ხრაშუნი, ირმების ფრუტუნე და მარხილის ზანზალაკების ჟღრიალი ნელ, სამგზავრო აკომპანიმენტად იწმინდება.

იგორი შიოს გვერდით უზის. ხელში აღვირები უჭირავს.

ი გ ო რ ი – გადარჩება?

შ ი ო – აბა რას იზამს (ღიმილით და თვალების მოჭყუტვით),

რომც არ უნდოდეს მაინც გადარჩება, სხვა გზა არა აქვს.  
ი გ ო რ ი – ძალიან კი ეშინოდათ.

შ ი ო – საერთოდ, ყოველგვარი სენი სამ კატეგორიად იყოფა.  
პირველი თავისით რჩება, მეორე მკურნალობით რჩება,  
მესამე არც წამლით რჩება, არც შელოცვით, სიკვდილის  
ქარს ეძახიან. ამ უკანასკნელით ადამიანები იშვიათად  
ავადდებიან.

შ ი ო – ჩუქჩას? ცოტა წამალი და გამხნეება სჭირდებოდა.

ი გ ო რ ი – გამხნეება?

შ ი ო – ჩვენში იტყვიან, ჩემო იგორ, – სიტყვა კლავს და სი-  
ტყვა არჩენსო.

გინდა? ტკბილი სიტყვის ძალაზე ერთ ამბავს მოგიყვები.  
მოგონილი არ გეგონოს, მე თვითონ შევესწარი, ჩემს მშობ-  
ლიურ ქალაქში. აბა მითხარი, რა ჰქვია ჩემს ქალაქს?

ი გ ო რ ი – საკარია.

შ ი ო – საკარია კი არა საქარია.

ი გ ო რ ი – (იმეორებს) საკარია.

შ ი ო – შე თარსო, ხუთი წელია საქარია ვერ გათქმევიანე. აბა  
დავინყოთ. მარხილი მიქრის. ზანზალაკების ჟღარუნში  
კადრს გარედან ისმის შიოს ხმა:

„ეს ამბავი ჩვენს წელთაღრიცხვამდე არ მომხდარა. მაგრამ  
რაც დრო გადის ზუსტი თარიღი უფრო და უფრო ძნელი დასა-  
დგენია. ნოემბრის მინურული, იმერეთის გრძელი წვიმების  
დრო იყო“.

ტიტრი – „დიდვაჭარი“ ნოველა

კოჭოია –

აბრამი –

მუშტარი –

წვიმს კრამიტითა და ყავრითგადახურულ სახლებიან ქა-  
ლაქში. ცა ფეხად ჩამოდისო, იტყვიან ასეთ წვიმაზე.

ზოგჯერ წვიმა ცოტას შეისვენებს, გუბებზე წვეთების  
ტყვაპ-ტყვაპი გამეჩხერდება, კაბადონი ოდნავ შეთეთრდება;

მაგრამ რიონის ქალიდან ქვენა ქარი ერთს წამოუბერავს და წვიმა ქორივით დააცხრება, ისედაც დამბალ-დაჭყაჭყულ ქუჩას.

ფანქრით დახატულს ჰგავს პროვინციული ქალაქი. ცისფრად ბოლავენ ბუხრები და ფანჯარაში თავგაყოფილი თუნუქის ღუმელები. ეზოებში მარტო ნარინჯისფრად განათებული ხურმის უფოთლო ხეები ჩანს. ხანდახან თუ გაირბენს თავზეტომარა-ჩამომხობილი, ჯიბეებში მუშტებჩანყობილი მოქალაქე კალოშების ფშლატუნით, თორემ ქუჩაში კაციშვილის ქაჭანება არაა.

მოსახვევთან, ქუჩის პირას, ერთსართულიან მაღაზიას „ათასი წვრილმანი“ აწერია. უღვაშგანკიპინებულ, ზორბა გამყიდველს – კოჭოიას ლურჯი სატინის ხალათი წამოუხურავს, დახლზე დანყობილ, მსუქან მკლავებზე გრუზათმიანი თავი დაუდვია და თვლემს.

როგორც იქნა, გამოჩნდა მუშტარი, გზადაბნეული ყვავევით შემობათქუნდ-შემოფრთხილდა მომცრო ტანის, შავკოსტუმიანი, სამოცსმიტანებული მამაკაცი. მიიხედ-მოიხედა და ღრმად ამოისუნთქა. ფანჯარას მიადგა, ოთხნასკვად თავზეჩამომხობილი, გალუმპული ცხვირსახოცი ლაფაროში ჩაანურა და კარგა ხანს ისვა სველ მხრებსა და მუხლისთავებზე (ვერ გეტყვით რა მიზნით). წვიმისაგან ასე ამჩატებულ-აცეტებული ერთბაშად დადინჯდა და ვიტრინებს ჩამოუარა, ათვალეერებს გულმოდგინედ, აუჩქარებლად. მკერდთან მედალი უბრწყინავს – „კავკასიის დაცვისათვის“. ბეჭემოტისთვალეება გამყიდველს კოჭოიას თავიც არ აუნწევია. თვალეებსლა აყოლებს ეული მუშტრის მოძრაობას.

მედლიანი კაცი ფიქრებში გართულ კოჭოიას თავს წაადგა და გაუბზარავი ხმით აუნწა:

მ უ შ ტ ა რ ი – ბამბა მინდოდა ერთი კილო.

კოჭოია – რაი?

ნოქარი უხალისოდ გადაიწია და მკლავჩახვეულმა ახედა.

მ უ შ ტ ა რ ი – ბამბა.

კოჭოია – სად ხედავ ბამბას? (ახლოს არ გაიკარა შინაუ-

რული კილო გამყიდველმა).

მ უ შ ტ ა რ ი – სად ვხედავ და სიზმარში, ასე გამთენიის ხანს იცის დასიზმრება, ღამეგამოშვებით. – ირონიას მიმართა კავკასიის დაცვის მონაწილემ.

კოჭოია – არაა ბამბა, მორჩა და გათავდა! – განზე გაიხედა ბეჭემოტისთვალეზამ.

მ უ შ ტ ა რ ი – აბა, რაის „ათასი წვრილმანი“ ხართ?

კოჭოია – ახლა შენი ბამბის გულიზა „ცხრაას წვრილმანს“ ვერ დავირქმევთ.

მ უ შ ტ ა რ ი – კაცო, მე სახუმროდ არ მცალია. შენს ბავშვებს ეხუმრე სახლში.

მე გეკითხები, რაის „ათასი წვრილმანი“ ხართ, აბა თქვა.

კოჭოია – შენ ბამბა არ გინდა?! – ხმას აუწია ნოქარმა – ბამბა არ გვაქვს.

მაგის რკვევას, ქე დაანებე თავი.

მ უ შ ტ ა რ ი – რაის „ათასი წვრილმანი“ ხართ-თქვა, მე შენ გეკითხები! – მომხმარებელს წარბი ავად აუთამაშდა.

კოჭოია – შენ, ჩვენი ძმა, გლახა ფეხზე ხვარ ამდგარხარ ამ დილით. მაღაზიის პასუხისმგებელი პირი წამოდგა, დონჯი გაიკეთა და დახლში გაიარ-გამოიარა.

მ უ შ ტ ა რ ი – მაღაზიაში რა გინდა შენ. საპალნე უნდა გქონდეს ზურგზე და სიპ ქვას ზიდავდე, ხვადაგივით იქცევი! – ხმადაბლა, სისინით უთხრა მედლის კავალერმა.

კოჭოია – ხვადაგმა რა იცის, ხომ იცი შენ? არ გადმო-მიყვანო აქედან, თვარა განახებ სეირს! – გამყიდველი გაფითრდა, ორივე ხელით დაეყრდნო დახლს და აშკარად შეეცყო, რომ ბამბის მაძიებელს კარგ დღეს არ დააყრიდა ამ დათვის ტორების პატრონი.

მ უ შ ტ ა რ ი – გადმომძორდი ერთი, გადმომძორდი გახობი-ალო ეგება ამ სველ პოლზე! – მომცრო ტანმა საშუალება რაც მისცა, გადაინია დახლზე სტუმარი. აქოჩრილი მა-მალვივით ცხვირწინ გაუჩერდა გამყიდველს.

ერთი წანევაც, სიტყვის ასანთის გაკვრალა იყო საჭირო, რომ ეს ორი ნერვიული მოქალაქე სამკვდრო-სასიცოცხლოდ შებმოდა ერთმანეთს.

უფროს გამყიდველ აბრამ მოშიაშვილს ხმამაღალი ლაპარაკი რომ მოესმა, სანყობიდან გამოვიდა და ნაბულზე გაქვავებული ნოქარ-მუშტარი რომ დაინახა, ამათ ფარსაგი არ ქართო და გამოიქცა.

ა ბ რ ა მ – მოიცათ, მოიცათ! შესვენება პატარა! ტელეფონზე რეკავს ვიღაცა. დეპეშაა მგონია მოსული! მილიციიდან არიან ამხანაგები! – ბეჭემოტისთვალელებას ხელი ჰკრა და წინ ჩაუდგა, მუშტარს ახედა – სწორი ბრძანდები, დაგენაცვლე. ასე უნდა მაგას! ერთნამიანი პერერივი ჩემი ხათრით და განაგრძეთ ისევე. მე გეუბნებით შერიგდით-თქვა?! არავითარ შემთხვევაში!

მიზანი მიღწეული იქნა. მუშტები აღარ ამუშავდებოდნენ, აბრამსაც ეს უნდოდა. თავის კოლეგას მიუბრუნდა და შეუბღვირა:

ა ბ რ ა მ – მიდი, ნახე ის კაცები ნახე, სანყობში რო არიან. იარალი აქვს მგონია ჯიბეში! მილიცია, ტელეფონი! დეპეშა ორია ერთის მაგივრად, ნახე ჩქარა და გვითხარი პასუხი. აქ ვიქნებით, არ წავალთ არსად!

კოჭოიამ გულზე მჯილი დაირტყა, ყრუდ ამოიგმინა, ხალათი მოისროლა და არენა დატოვა.

აბრამმა სკამს სტაცა ხელი, ჰაერში შეისროლა დახლს გადააცილა და სტუმარს გვერდით მიუდგა.

ა ბ რ ა მ – დაბრძანდი, დაგენაცვლე. მართალი ხარ ყველაფერში. ვთქვი მისი არ იყოს, გეუბნები არ ხარ მართალი თქვა? ამისთვის გცალია, ამ მსოფლიო კაცს, ახლა შეენ?

უცნობი დაჯდა, სული მოითქვა. დახლზე თითები აათამაშა და მოჩვენებითი სიმშვიდით თქვა:

მ უ შ ტ ა რ ი – ცხოვრებაა ახლა ეს? არ უნდა ჰქონდეს ახლა კაცს იარალი ჯიბეში? ნენკვე შუბლში ამნაირ ჯოჯოს და მოასვენე ქვეყანა.

ა ბ რ ა მ – შენგან არ მიკვირს? კოჭოიზა იშლი ნერვებს?  
კაცს მაინც ჰგავდეს. მაგისტვის გცალია ახლა შეენ?

სტუმარმა აბრამს გახედა. შესახედაობით არც მოშიაშვილი  
ბრწყინავდა. აგურისფერი წვერი ყვრიმალეებიდან ეწყებოდა,  
სახეზე გომბეშოსავით დატყეპებული, გაბუშტული ცხვირი და  
ვინრო უპეები ღრმად აწრიალებული, გაურკვეველი ფერის  
თვალები ჰქონდა. გამყინავი, ყიყინა ხმით ლაპარაკობდა.

მ უ შ ტ ა რ ი – რა გვარია?

ა ბ რ ა მ – გვარი? მიწერია სალაცა. გადამვარდა ენაზე. ამ  
დილას რა ვჭამე მახსოვს? რად გინდა მაგის გვარი, და-  
გენაცვლე. შენ რომ არ მიეხმარო, მისით გაიქცევა, აქ  
გამჩერებელია მაგი?

მ უ შ ტ ა რ ი – არაა გასაგდები? მითხარი არაა გასაგდები? –  
ღრმად, კანკალით ამოისუნთქა შეურაცხყოფილმა მუშ-  
ტარმა და სკამზე ცქვიტად შეტრიალდა.

ა ბ რ ა მ – გასაგდები? გასაგდები კი არა, დასაჭერი არაა?  
გაგდება თვითონაც ქე უნდა. კაპიკს ვერ ვშოულობ, რა  
მინდა აქანაო. მაგას ეგონა, მალაზიაში თუ შემოიტანდა  
თავს, ფოდნოსით მოართმევდნენ ფულს. სალადაა ფული.

მ უ შ ტ ა რ ი – საჩივრის წიგნი. – სტუმარი კედელზე კაპიტან  
გასტელოს სურათს თვალს არ აცილებდა.

ა ბ რ ა მ – ამ წუთას მოგიტან, დაგენაცვლე, ჩანწერე ყველაფერი,  
არ ეკუთვნის თუ რაი? ვთქვი მისი არ იყოს, შეიცოდე მა-  
გის ოთხი ბოვში თქვა, მე გეტყვი მაგას? იარონ მშიერი,  
მეოთხეში ყავს უფროსი, ასე დავიზარდეთ ჩვენც.

მ უ შ ტ ა რ ი – მაგნირები გაიზრდებიან, მაგის ბავშვებიც,  
ფრუნზე არც ერთი არ გამოვა, ნუ გეშინია.

ა ბ რ ა მ – ჩანწერე დაგენაცვლე. სწორი ხარ, ფრუნზე ვინ გამო-  
ვა დღეს. ანგელოზივით ბოვშები ყავს, მარა თვითონ არ  
ვარგა. ახლავე მოგიტან საჩივრის წიგნს. ვის ეშინია მაგი-  
სი ძველბიჭობის, ნაჯდომი ვარო, ტრაბახობს, კაცისთვის  
პირი გოუხევია ყურებამდე, მაგერ, მწვანეყვავილაზე შარ-  
შან, ვის ეშინია დღეს? შენ გაექცევი მილიციას?

ვინ იცის, რამ იმოქმედა „ოთხმა ბვშვმა“, „მწვანეყვავილელ კაცისთვის პირის გახევის“ სევდიანმა სურათმა, თუ სრულიად სხვა, კოჭოიასთვის გაუგებარმა, კაცთმოყვარულმა პრინციპმა დაახევინა უკან მედალოსან მომხმარებელს, იგი ერთბაშად ისე დამშვიდდა, რომ საჩივრის წიგნიც კი გადაავიწყდა.

მ უ შ ტ ა რ ი – კაცმა რომ თქვას, რაზე ამიხტა ნიშადურამოს-მულივით. ვკადრე რამე? შამევედი ამ თავსხმაში და ბამბა ვითხოვე... ერთ კილომდე ბამბა დამჭირდა... ვისი რა საქმეა, რად დამჭირდა ბამბა... ოჯახი მაქვს მე. ტყიდან კი არ გამოვსულვარ – წყნარად, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობდა უცნობი და დახლზე თითებს კვლავ ათამაშებდა.

ა ბ რ ა მ – ბამბის გულისთვის მოხდა ეს ამბავი? ვერ გითხრა ამ დამთხვეულმა? ბამბის მეტი რა მექნება ზეგ. ერთი ვაგონი ბამბა მაქვს მისაღები. შეგინახავ, შენ თავს ვფიცვარ, ერთი კილო ბამბა რას გიზამს. ორი-სამი კილო მაინც უნდა წაიღო.

მ უ შ ტ ა რ ი – ამდენი რად მინდა – სტუმრის ხმაში მაღლობის კილო გაკრთა.

ა ბ რ ა მ – შენ არ გინდა, მეზობელს დაჭირდება. ეგდოს ეს ბამბა სხვენზე, რას გიშლის.

მუშტარი წამოდგა, ერთი გახედა იმ კარებს, სადაც კოჭოია გაუჩინარდა, მერე სეფიაშვილს დააკვირდა, ბოლოს ხელი ჩაიქნია და გააბიჯა:

მ უ შ ტ ა რ ი – კარგი აბა, კარგად იყავით. ვირი მიუშვი ნებასათვით შეეყრება სნებასაო. უჩემოდაც წაიტყნავს მაგი ფეხს.

ა ბ რ ა მ – დაგენაცვლე! აბრამმა კარებში დაანია, – სად წახვალ ახლა ამ წვიმაში.?

სტუმარს გაელიმა.

მ უ შ ტ ა რ ი – ხვარ დამადნობს, როგორც მოვედი, ისე წავალ.

ა ბ რ ა მ – ზეგ ქე მოხვალ, მაგრამ ზეგამდე? ზეგამდე. იმანუელს გეფიცები, ვერსად იშოვი ბამბას, ერთს გეტყვი მე: ანკესი რომ იყიდო? კარგი ანკესები მაქვს, რუსული.



მ უ შ ტ ა რ ი – რად მინდა ანკესი? – უნდოდ მოხედა ბამბის მუშტარმა.

ა ბ რ ა მ – ანკესი რად მინდაო? შენ მეუბნები, გერმანელებთან ნაჩხუბარი კაცი მეუბნება ამას? გავსებულია რიონი თევზით. დაჯდები აგერ თეთრ ხიდქვეშ, სუფთად და ითევზავებ. გულს გადააყოლებ ზეგამდე. ზეგ ქე მექნება ბამბა.

ხელი მოჰკიდა, დახლთან მოიყვანა. სტუმარმა, როგორც ჩანს ხათრი ვერ გაუტეხა, თორემ თევზაობისა და ნადირობის დიდი ტრფიალი არ ჩანს.

აბრამმა ანკესებით სავსე კოლოფი გახსნა და მიანოდა.

ა ბ რ ა მ – ნახე რა ანკესებია, მამა შვილს არ მისცემს. ახლა მივიღე. მთელი წელიწადი არ მქონია. ბოლო კოლოფი დარჩა. მეტი აღარც გამოვა.

ამერიკას მოსწონს, თურმე, ძაან ჩვენი ანკესები. ხელშეკრულება დოუდვიათ, ვალუტაზე გაიყიდება.

მ უ შ ტ ა რ ი – რამდენი უნდა? – ჯიბე მოიქექა სტუმარმა.

ა ბ რ ა მ – რა უნდა მაგას, არაფერი, მანეთი და ოცდათვრამეტი კაპიკისაა.

შენი ფეშქაში იყოს.

მ უ შ ტ ა რ ი – რავა გეკადრება, – სამმანეთიანი გაუნოდა.

ა ბ რ ა მ – იყოს დაგენაცვლე, მანეთში ვართ ჩვენ ერთმანეთთან?

ბარემლაც ჯოხიც წაიღე, კაი ბამბუკის ჯოხები მაქვს.

მ უ შ ტ ა რ ი – მაჩვენე.

აბრამმა სანყოფიდან ორი მოზრდილი ჯოხი გამოიტანა და ხელში მიაჩჩა.

ა ბ რ ა მ – არც ჯოხებია ძვირი ორ-ორი მანათად მანერია.

ანკესში ფულ არ გამოგართმევ, იმანუელ გეფიცები.

სანამ სტუმარი საფულეს ამოიღებდა, აბრამი სანყოფში შებრუნდა და მაღალყელიანი რეზინის ჩექმები გამოურბენინა.

ა ბ რ ა მ – რა ნომერი გაქვს ფეხი?

მ უ შ ტ ა რ ი – (დაბნეულად) ორმოცი.

ა ბ რ ა მ – იღბალი გქონია, (სულის მოთქმა არ აცალა – ეს ჩექმები მონკავშირის უფროსი რომაა – სხილაძე, იმან შემანახია, მარა არ მოვიდა გუშინ და სხვაგან გავუხერხებ რამეს. თევზაობამ ფეხის დასველება იცის. ბავშვები აღარ ვართ, მე და შენ ანი. ჩვენი ავადმყოფობა ფეხის გაცივებიდან იწყება, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს – ჩექმები მხარზე გადაადო და დააყოლა – ოცდაშვიდ მანათად ვინ მოგცემდა ომის დროს ამნაირ ჩექმებ. იმ ანკესებში ფულ არ გამოგართმევ იმანუელ დავიფიცე!

შეცბუნებულმა, ყურებამდე განითლებულმა, სტუმარმა ფული ჩაუთვალა, მადლობა გადაუხადა და კარებისკენ გაინა, მაგრამ აბრამი რისი აბრამი იყო, ასე იოლად რომ გაეშვა.

ა ბ რ ა მ - დაგენაცვლე!

მ უ შ ტ ა რ ი – რა იყო?

ა ბ რ ა მ – რომც მომხსნას დირექტორმა, ერთი პატივი უნდა გცე. მომეწონე და იმიტომ. ჩვენ თუ არ მივხედეთ ერთმანეთს, ვინაა ჩვენი პატრონი. თავისთვის სანვიმარი აქვს გადანახული. ერთი ცალი მივიღეთ. მირავოი სანვიმარია, თუ მოგერგო ოლონდ – სანყობიდან მოლისფერი ბრეზენტის მოსასხამი გამოარბენინა, გაშალა და მხრებზე შემოაფინა – გაუყარე მკლავები. შენს ტანზე შეუკერავთ. თუ მომხსნის, მომხსნას, იმნაირი კაცი შემოვიდა, უარი ვერ ვუთხარი-თქვა გამიგებს ვითომ გამგე? რა იღბლიან ფეხზე ხარ ამ მაღაზიაში დღეს შემოსული, ნაღმა გატაროს გამჩენმა.

მ უ შ ტ ა რ ი – სარკე გაქვთ სადმე? – სტუმარმა სხვისი ხმით იკითხა.

ა ბ რ ა მ – რათ გინდა სარკე? არ მენდობი? ორმოცდაშვიდ მანათად შეკერვით ვინ შეგიკერავს ამნაირ პლაშ. ჩვენია, რაც მთავარია, გერმანულებში წყალი გადის, მატერიას ინგლისიდან ყიდულობენ და ხაშურში კერავენ. არ

გაიხადო, არ დაგინახოს ვინმემ. თუ გკითხონ, მოსკოვიდან ჩამომიტანა ძმიშვილმა თქვა, ასე უთხარი. ყელი არ გამომჭრა, აქ არავის მოასწავლო.

მ უ შ ტ ა რ ი – მაგის ფიქრი ნუ გაქვს – სტუმარმა პირობა მისცა, რომ არ გაამხელდა.

... აბრამ მოშიაშვილმა მოლისფერმოსასხამიანი სტუმარი ქუჩაში გამოაცილა. აბრამს ხელთ რეზინის ჩექმები და ბამბუკის ჯოხები უჭირავს, მუშტარს კი კობტად დაკეცილი, ყვითელი კარავი.

ა ბ რ ა მ – რამდენი შენ მლოცო ამ კარვისთვის, იმდენი გახარება ჩემ იმანუელ. მეთევზე კაცი ხარ, რა იცი სად დაგილამდება, გაშლი კარავ და თავი ქუდში გაქვს, საჭმელი უნდა თუ სასმელი – ჩვენნაირ ეს კარავი ხუთს მოინელლებს. შვილ გამოადგება, შვილიშვილ დაჭირდება. ცოტა წინაც ხომ უნდა გავიხედოთ.

ზოგს ჰგონია მარტო წვიმაშია კარავი საჭირო, რა ჯობია ამის ჩრდილში კოტრიალს, სიცხე როცაა, ყველა წესიერ კაცს უნდა ქონდეს თითო კარავი დღეს.

მ უ შ ტ ა რ ი – კარგია, კარგი მოგეცა, მაგრამ ნამეტანი დევინარჯე დღეს. სახლში არ შემიშვებენ. რაც მქონდა, ორი კაპიკი, გადანახული. ეს კარავი მაინც რატომ უნდა ღირდეს ასე ძვირი.

ა ბ რ ა მ – ნაჭერი უნდა დიდი, თვრამეტი მეტრი აბრეშუმნარევი ტილოა, ახლა შეკერვის ფასი? შენ მაგან არ დაგალონოს. ჯანმრთელობა იყოს და ფულის მეტს რას იშოვი.

მ უ შ ტ ა რ ი – სწორი ხარ, ხანდახან სათევზაოდაც ქე უნდა ნახვიდე კაცი. დავლპი სახლში პენსიის და ქალების შემეყურე. თვე ისე ჩეიარს, ხანდახან, ჭიშკარს არ გადავალ. რაცაა ესაა. ამ კარავზე გადვირევიან, თვარა სხვა არაფერი. პლაში და ჩექმები ისედაც ქე მჭირდებოდა, ამოვა ვითომ ტაქსი?

ა ბ რ ა მ – ამოვა, მაგრამ ისე, ჩვენ შორის დარჩეს და ტაქსის იმედზე მტერმა იარა. ერთი ოთხბორბლიანი არ გეკუთვნის შეენ? მეტი დამსახურება არა გაქვს? რაც შენ სისხლი გიღვრია? ჩვენი დირექტორი ყიდის იაფად ძველ „მოსკვიჩს“. ძველია, მარა გამომდგარი მანქანაა. ერთ ათწელიწადს ისე ივლის, ხელის ხლება არ დაჭირდება. წინა სამშაბათს მოაკითხა მუშტარმა, მარა ბეი არ მიუცია, მე მგონია, იფიქრე შენ და ზეგ ბამბაზე რომ მოხვალ, ეგებ, იმ „მოსკვიჩზეც“ ქე მოგარიგო. თუ მანამდე გაყიდული არ ექნა. ძველ მანქანებს ძან ეტანებიან ახლა, ხომ იცი, ნადირობენ პირდაპირ. ჩემმა ქვისლმა... სტუმარმა აღარ დაამთავრებინა, მოსახვევიდან გამოსული ტაქსისკენ ხელის ქნევით გაიქცა.

გამომშვიდობებისას აბრამ მოშიაშვილმა გადაკოცნა სტუმარი და გამგის „მოსკვიჩი“, ყოველ შემთხვევისათვის, შეახსენა.

ა ბ რ ა მ – სად უნდა სდიო ამხელა კაცმა ტაქსს? მე შენს ადგილზე რომ ვიყო, ვალს ავიღებ და ვიყიდი „მოსკვიჩს“. ფულ, გაცლის ჩვენი გამგე, იმნაირი კაცია.

მ უ შ ტ ა რ ი – რამდენს აფასებს, თუ იცი? – ქუჩას გაჰყურებდა უკანა სავარძელს მიწოლილი, კარაგჩაბლუჯული სტუმარი.

ა ბ რ ა მ – ჩემმა ქვისლმა სამი აძლია ერთი თვის წინ. ახლა, იქნებ, სამადაც გაყიდოს. ფული ერქარება, გოგოს ათხოვებს...

დაძრულ მანქანას მისდევდა და ფანჯარაში ჩასძახოდა აბრამ მოშიაშვილი.

\* \* \*

მიღაზიაში რომ შემობრუნდა, დახლსგადაწოლილმა კოჭოიამ კარებშივე შეაგება.

კოჭოია – რას შობი ახლა, ზეგისთვის სად შოულობ სამ კილო ბამბას?

მოშიაშვილმა არაფერი უპასუხა. ხელები დაიფერთხა, თაროდან ნახევრადსავსე „ბორჯომის“ ბოთლი გადმოიღო და პირზე მიიყუდა, მერე ფანჯარასთან მივიდა, წვიმით გაჯერებულ დაბას გახედა და თქვა:

ა ბ რ ა მ – მაგი ანი აქ მომსვლელი აღარ არის. ისე... რა გახდა ეს ბამბა. კაცმა რომ თქვას, ბამბა მაინც აღარ უნდა გვეკონდეს? ბამბას მიაქვს თურქმენეთში ქვეყანა. ნაახალწლევს მაინც გამოვიწეროთ, მესამე კვარტლისთვის.

წვიმს. საქარიის ყველა ქუჩაზე ტაქსი შხუილით და შხეფების მიმოფენით მიქრის.

ტაქსში კარავ-ჩექმებ-პლაშში ყელამდე ჩაფლული შეწუხებულ-გაოგნებული მუშტარი ზის.

ტაქსის ბორბლების ხმაურში შემოდის ირმებშებმული მარხილის მუსიკალური თემა და ტაქსიდან თოვლიან-ყინულიან ტაიგაში გადავდივართ.

მარხილი მიქრის, იგორი, რომელსაც ჩანს ძალიან მოეწონა შიოს ნაამბობი, სიცილს ვერ იკავებს.

ი გ ო რ – შორია საკარიამდე?

შ ი ო – (გზას გასცქერის და თავს უქნევს).

ი გ ო რ – სულ მინდა გკითხოთ, იმ სიშორიდან ჩვენს მხარეში როგორ მოხვდით?

შ ი ო – შევთანხმდეთ: მხოლოდ მაგ შეკითხვაზე არ გიპასუხებ. ოდესმე, ალბათ, გაიგებ. სევდიანი ისტორიაა.

ი გ ო რ – ცხენები თუ ყავთ საქარიაში?

შიო (თვალები გაუბრწყინდა) – გინდა უნაგირზე გიამბობ. ეს ამბავი ბიძაჩემს გადახდა, ბიძა მყავს მე, ცოცხალია ახლაც. ბალახვანში ცხოვრობს, იცი ბალახვანი? არ იცი.

მარხილი მიჰქრის და ირმების ფეხთა ჟღარუნში ეკრანზე ტიტრი გამოჩნდება.

„უნაგირი“ ნოველა  
ნაპოლეონ სიჭინავა-  
ჭიპიტო –  
რევიშვილი –

პროვინციული ქალაქის ბაზარი.

ყიდიან და ყიდულობენ ყველაფერს ძველი არღნებით დან-ყებული ცხენის ნახმარი ნალებით, ლამპის შუშებით და მოლუნული ლურსმნებით გათავებული.

ვის აღარ შეხვდებით აქ გულისგამანვრილებლად მონდომებულ ბაზრის ბიჭებს, გადამდგარ პოლკოვნიკებს, ელეგანტურ ქურდებს, გალიფრებულ სპეკულანტებს და გულუბრყვილო მოქალაქეებს.

აგერ ვილაც თუთიყუმს ჰყიდის, იქეთ ჩიხტიკოპიანი მანდილოსანი – კაჟიან თოფს. თვითნაკეთი ლატარიის მესვეური გამვლელთ მოგებას ჰპირდება. ტანმორჩილი მილიციელი წესრიგის ახმას დამრღვევს სტვენით დაედევნა.

ნაბლის ძირში მორცხვად დგას მკლავზე უნაგირგადაფენილი შუახნის წარმოსადეგი, გამხდარ-დაძარღვული წულა-მესტბსა და გალიფე-ახალუხში გამოწყობილი ნაპოლეონ სიჭინავა.

„აბა კაი უნაგირი აქეთო“, ერთი-ორჯერ გაუბედავად ჩაილაპარაკა, მაგრამ თავისივე ხმისა შერცხვა და გაჩუმდა.

ნაპოლეონს ფართოყურება, საშუალოზე დაბალი ტანის, ლაბაბიანი წითური – ჭიპიტო მიუახლოვდა.

ჭიპიტო – ჰყიდი უნაგირს?

ნაპოლეონმა მიიხედ-მოიხედა და თავი დაუქნია.

ჭიპიტო – რას აფასებ?

სიჭინავა – ხუთ თუმანს.

ჭიპიტო – ღმერთმა ასათ გაგაყიდვინოს, მარა მაგ ფასად პეტრე ბაგრატიონის უნაგირსაც არავინ იყიდის ამ ბაზარში.

ჭიპიტომ მარჯვნივ გააბიჯა.

სიჭინავა – მოიცა, შენ რას მისცემ?

ჭიპიტო – (უნაგირს ერთხელ კიდევ ახედ-დახედა) ოც მანათს.

ს ი ქ ი ნ ა ვ ა – (აიმრიზა) – ოც მანათიანი უნაგირია ეს? ასი მანათის მარტო ვერცხლი აქვს კეზზე და ლაგამზე, დოუკვირდი? ოც მანათს რომ იძახი, ღმერთს ვერ უყურებ? ბოვში რომ იყო, ვიტყვოდი არ იცისთქვა. კაი უნაგირის ფასი გეშლება, ახლა, ვითომ შეენ? ფული დამჭირდა სასწრაფოდ თვარა ჭკვიანი კაცი გასაყიდად გამეიტანდა ამას?

ჭიპიტომ ჯერ თვალები მოჭუტა, მერე სქელი ტუჩები მარჯვენა მხარეს გადაქაჩა და ისე გაიღიმა, როგორც დამბლიან ადამიანებს შეუძლიათ გაღიმება.

ჭ ი პ ი ტ ო – რას მეჩხუბები, შე კაი კაცო. შენ ასე აფასებ; მე ასე მიღირს. აბა რავა გინდა, შენ. თუ ასე წამოჭარხლდი ყოველ შეძლევაზე, ქე გადაყვები ამ უნაგირს და რათ გინდა რამე. ჭიპიტო უკმაყოფილო ჩიფჩიფით ხალხს შეერია. სიჭინავამ ერთხელ კიდევ ესროლა ამრეზილი მზერა მიმავალს, მერე ნაბლისკენ შებრუნდა და წელში კიდევ უფრო გაიმართა.

დგას და მუშტარს ელის. ჩრდილი ნაბლის ხეს მეორე მხრიდან მოექცა. ეს იმას ნიშნავს, რო შუადღე გადავიდა და სიჭინავამ ვერა და ვერ გაყიდა უნაგირი.

ბოლოს გაზიანი წყლის ჯიხურთან კვლავ ფართოყურება, ბოხობიან ჭიპიტოს ჰკიდა თვალი და მისკენ გაეშურა.

ს ი ქ ი ნ ა ვ ა – შენ გეუბნები, – ნაპოლეონმა უნაგირი მხრიდან ჩამოიღო და გაზონის რკინის მოაჯირზე შემოდო, – მოვილაპარაკოთ მე და შენ, არ გაძლევ გლახა საქონელს, სიყრმეს და მოხუცებულობას გეფიცები.

ჭ ი პ ი ტ ო – რა ქენი ვერ გაყიდე? – ნითური მიხვდა, რა საქმეზეც იყო მოსული განზილებული მეუნაგირე და თავი დაიფასა, ცივად შეხვდა, განზე გაიხედა.

ს ი ქ ი ნ ა ვ ა – მეჩქარება თვარა, გაყიდვით ქე გეყიდება, აბა, რა სიკვდილს იზამს.

ჭ ი პ ი ტ ო – მასე გგონია შენ. ცხენი აღარავის ყავს და რათ უნდა უნაგირი. ჩემსავით სულელი კი არაა ყველა, რომ ვერ იქნა და ვერ შევეშვი ამ საქმეს.

ს ი ქ ი ნ ა ვ ა – რ ა ვ ა ?

ჭ ი პ ი ტ ო – ბ ა ბ უ ა ჩ ე მ ი ც ა მ ს ა ქ მ ე ს მ ი ს დ ე ვ დ ა დ ა მ ა მ ა ჩ ე მ ი ც ა ,  
მ ე ც ხ ე ნ ე ბ ი ი ყ ვ ნ ე ნ ყ ვ ე ლ ა ნ ი დ ა ხ ო მ ი ც ი , დ ა ჩ ვ ე უ ლ ი ქ ი რ -  
ი ს ა რ ი ყ ო ს , მ ე ც ა მ გ ზ ა ს გ ა ვ ყ ე ვ ი . ხ უ თ ი ც ხ ე ნ ი მ ყ ა ვ ს  
ა ხ ლ ა , ა ს ე რ ო მ მ ი ყ უ რ ე ბ მ ე შ ე ნ , – თ ა ნ ა მ ა ს ა მ ბ ო ბ დ ა  
ფ ა რ თ ო ყ უ რ ე ბ ა დ ა თ ა ნ , მ ა ლ - მ ა ლ ე , მ ა რ ჯ ვ ნ ი ვ ყ ა ფ ა ნ ი ს კ ე ნ  
ი მ ზ ი რ ე ბ ო დ ა , ა მ ი თ ნ ა პ ო ლ ე ო ნ ს ა გ რ ძ ნ ო ბ ი ნ ე ბ დ ა : კ ა ც ი  
ხ არ დ ა გ ა მ ო გ ე ლ ა პ ა რ ა კ ე , თ ო რ ე მ ს ა დ მ ც ა ლ ი ა შ ე ნ თ ვ ი ს ,  
ა თ ა ს ი ს ა ქ მ ე მ ა ქ ე ს დ ლ ე ს ო .

ს ი ქ ი ნ ა ვ ა – ჰ ო დ ა , კ ა ი ხ ე ლ ს უ ვ არ დ ე ბ ა ე ს ჩ ე მ ი უ ნ ა გ ი რ ი ,  
ი ს ე ვ ა ტ ყ ო ბ მ ე .

ჭ ი პ ი ტ ო – უ ნ ა გ ი რ ი ს მ ე ტ ი რ ა მ ი ყ რ ი ა ს ა ხ ლ შ ი . ჩ ე მ ი ც ო ხ რ ა დ  
მ რ ჩ ე ბ ა . რ ა ლ ა ც ა ა ბ ჟ ა ნ დ ი მ ო მ ე ნ ო ნ ა ა მ დ ი ლ ა ს , თ უ  
გ ა ხ ს ო ვ ს დ ა , მ გ ო ნ ი ა , შ ე გ ე ვ ა ჭ რ ე კ ი დ ე ც . კ ი დ ე ვ კ არ გ ი რ ო მ  
ვე რ მ ო ვ რ ი გ დ ი თ , თ ვ არ ა მ ე რ ო მ კ ი დ ე ვ უ ნ ა გ ი რ ი მ ი მ ე ტ ა ნ ა  
დ ლ ე ს ს ა ხ ლ შ ი , ნ ყ ე ვ ლ ი თ გ ა დ ა მ ა შ ე ნ ე ბ დ ა ო ჯ ა ხ ო ბ ა . ვ ე რ  
ვ ა ტ ე ვ თ , ი ს ე დ ა ც , ც ხ ე ნ ი ს მ ო ს ა რ თ ა ვ - მ ო ს ა კ ა ვ ზ მ ე ბ ს ვ ე რ ს ა დ .

ს ი ქ ი ნ ა ვ ა – ი ყ ი დ ე , დ ა მ ი ჯ ე რ ე , ა რ ნ ა ა გ ე ბ , ა რ გ ე ქ ე ნ ე ბ ა შ ე ნ  
ა მ ნ ა ი რ ი უ ნ ა გ ი რ ი . ხ ვ ე ნ ნ ა გ ა ე რ ი ა ხ მ ა შ ი ნ ა პ ო ლ ე ო ნ ს .

ჭ ი პ ი ტ ო – მ ა დ ლ ო ბ ე ლ ი ვ არ , მ არ ა რ ო მ მ ა ჩ უ ე ტ ო , ა რ მ ი ნ დ ა .  
ხ ო მ გ ი თ ხ არ ი , უ ნ ა გ ი რ ს მ ი ა ქ ე ს ჩ ე მ ი ს ა ხ ლ ი თ ე ქ ვ ა – ბ ო ხ ო ხ ი  
ნ ი თ ე ლ , შ ე ს ი ე ბ უ ლ შ უ ბ ლ - ქ უ თ უ თ ო ზ ე ჩ ა მ ო ი ნ ი ა დ ა ნ ა ს -  
ვ ლ ა დ ა ა პ ი რ ა .

ს ი ქ ი ნ ა ვ ა – მ ო ი ც ა , ნ უ დ ა კ არ გ ა ვ ა მ ს ა ქ ო ნ ე ლ ს , მ ე ც ხ ე ნ ე  
კ ა ც ი ხ არ . მ ე ც გ უ ლ ი დ ა მ შ ვ ი დ ე ბ უ ლ ი მ ე ქ ე ნ ე ბ ა , კ ა ი კ ა ც ს  
გ ა ვ ა ტ ა ნ ე - მ ე თ ე ქ ი .

ჭ ი პ ი ტ ო – ა გ ა შ ე ნ ა ღ მ ე რ თ მ ა , მ არ ა რ ო მ ა რ მ ქ ი რ დ ე ბ ა ? –  
ფ ე ხ ი ა ი თ რ ი ა ფ ა რ თ ო ყ უ რ ე ბ ა მ .

ს ი ქ ი ნ ა ვ ა – ს ა მ თ უ მ ნ ა დ დ ა გ ი თ მ ო ბ .

ჭ ი პ ი ტ ო – ს ა მ მ ა ნ ე თ ს ა ც ა რ მ ო გ ც ე მ , ა რ გ ე ნ ყ ი ნ ო ს . გ ე ი -  
არ ე პ ა ტ არ ა დ ა გ ა მ ო ჩ ნ დ ე ბ ა მ უ შ ტ არ ი , ე გ ე ბ ა მ ე ტ ა დ ა ც ქ ე  
გ ა ყ ი დ ო , ა რ ა მ გ ო ნ ი ა , მ არ ა ...



სიჭინავა – რატომღაც შენ მინდა გაგატანო, იმნაირი თვალით შეგხედე, თან ცხენები გყოლია, სხვა, რა ვიცი მე... სხვამ შეიძლება შეაგდოს სხვენზე და თავს შეაჭამოს ეს ოქროსავით უნაგირი.

ჭიპიტო – ეგეც მართალია.

სიჭინავა – ცოდო ვარ, მარა წეილე ოც მანეთად, რა ვენა აბა.

ჭიპიტო – მე არ ვარ ცოდო? მეცხრე უნაგირი იქნება ახლა ეს, სახლში რომ მივიტან, გამიტეხავენ თავს ოჯახში და ის იქნება. ადგილი მაინც მქონდეს შესანახი. ცხრა უნაგირი, მე მგონია, დადიანს არ ექნებოდა თავლაში.

სიჭინავა – წეილე, წილე არ წააგებ, მამაჩემსა აქვს ცხონება.

ჭიპიტო – მოკლეთ, ჩემნაირი ხათრიანი კაცი არ უნდა გამევიდეს ბაზარში. გაგიგონია კაცს არ გჭირდებოდეს და ყიდულობდე მაინც? – ფართოყურებამ სერთუკის ღილები შეიხსნა და გულისჯიბეში იკრა ხელი.

სიჭინავა – ახლა მთლად ძალადმაცხონესავით არ გამომივიდეს, თუ ძმა ხარ, თუ არ გინდა, ნუ იყიდი. ამის ორი კაპიკი არ ამაშენებს, ქე იცი შენ. თუ არ გეიყიდა, მეტი სადარდი არ მომცეს გამჩენმა, ნევილებ სახლში და დაკვიდებ, სადაც მეკიდა – მძიმედ. იხტიბარგატეხილად მაგრამ დაჯერებულად თქვა ნაპოლეონმა.

ჭიპიტო – მომეცი, მომეცი. რაცაა ეგაა, მე მყიდველად არ ვვარგოდე და უნაგირზე სული მიმდიოდეს, რა შენი ბრალია. მე თუ არაფერში გამომადგა, შვილიშვილებს მაინც შოვუნახავ შენ სახელზე – სიტყვები არ დაემთავრებინა, ფართოყურებამ დააძრო ორი წითელი თუმნიანი და სიჭინავას გაუნოდა – მხარზე გადამადევი თუ კაცი ხარ, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს ეს ფული.

ნაპოლეონმა ფული გამოართვა, უნაგირს დაწვდა, მყიდველს მარჯვენა ბეჭზე ჩამოდებაში უშველა და თან დააყოლა:

სიჭინავა – შენც კეთილად მოგახმაროს ეს უნაგირი ღმერთმა, ჩემო, შენი სახელი?

ჭიპიტო – ჭიპიტო.

სიჭინავა – ჩემო ჭიპიტო რავარც მე შენ ბარეორჯერ დამლოცო ამ საქონლისთვის, ისე სიმხნე და ჯანმრთელობა ჩემს ნაგრამს ამ ქვეყანაზე. ბაბუაჩემის ნაქონი უნაგირია, მარა თვითონ ორჯერ არ მჯდარა ზედ. არ დააცალეს. ბაბუაჩემის დაკლებული დღეები ნლებად შეგმატოს ბუნებამ. ზუგდიდელი ქირიების ნამუშევარია. შენც ქე მიხვდებოდი, უნაგირზე და ცხენზე გაქვს ჭიპი მოჭრილი.

ამ სიტყვებით ორი დროული მოქალაქე ერთმანეთს დაშორდა. უნაგირის ახალი მფლობელი პატეფონების და გრამაფონების შემკეთებელ-გამსაღებელი სახელოსნოსკენ წავიდა, ნაპოლეონმა კი ნაბლს მიაშურა, ცოტა ხანს ჩამოვჯდები, გავაბოლებ და თვალს წყალს დავალევიებო.

ბაზარმა შეტყუება იცის. ჯერ რკინა-თუნუქეულობის რიგს ჩამოუარა. შავტუხა ბოშები სანაკვერცხლე მაშებს და სამფეხა საცეცხლურებს ყაყანითა და ერთმანეთში დავიდარაბით ყიდნიან. იმ ადგილიდან ადევნებულ ხელბავშვიან მკითხავ ქალს ებრაელ მექუდეებამდე ძლივს დააღწია თავი. საზაფხულო თხელი ქუდის ყიდვა სურდა, მაგრამ არც ერთი არ ჩამოეცია თავზე. საღამოვდებოდა. ბაზრის ჭიშკრისკენ რომ გაიკვლია გზა და ჭიშკართან ისევ ის ბოშა ქალი ჩამოეპორწნიალა ხელზე. იცოდა რა, აბეზარ მკითხავს ველარ გაექცეოდა, მანეთიანი მარცხენაში დაიჭირა და გააფრთხილა: „არ დამინყო გული კეთილი გაქვს, მარა მტრები გყავსო, ყველას რომ ერთნაირად ელაპარაკები, თუ რამე იცი სწორად მითხარი, თუ არა და, კაპიკს არ მოგცემ იცოდეო“. ამასობაში თავისი საქმის მცოდნე მკითხავს სიჭინავას მარჯვენა უკვე ხელში ეჭირა და ხელისგულს ისე გულმოდგინედ დასცქეროდა, თითქოსდა, მართლა ბედისწერის ამომკითხავი გახლდათ და არა ბაზრის აბეზარი მარჩიელ-ყალთაბანდი. უეცრად ნაპოლეონმა მანეთიანი მკითხავს ხელში შეაჩეჩა და გასასვლელისკენ ჩქარი ნაბიჯით მიმავალ მაღალსა და გაჩხინკულ, იმერულქუდიან კაცს – რევიშვილს დაედევნა.

ს ი ქ ი ნ ა ვ ა – ჩვენი ძმა!

უცნობს არ მოუხედავს, მხარზე უნაგირგადებული გულდა-გულ მიიჩქარის.

ს ი ქ ი ნ ა ვ ა – იმანო! აქანა იყიდე ეს უნაგირი?! – ამასობაში ნაპოლეონი დაენია ახმახს და ჯერ მარჯვენა მხრიდან ამოუდგა, მერე მარცხნიდან, რათა საბოლოოდ დარწმუნდეს, რომ მოქალაქეს სწორედ მის მიერ ორიოდ საათის წინ გაყიდული, ბაბუასეული უნაგირი მიჰქონდა.

რ ე ვ ი შ ვ ი ლ ი – კიე – უნაგირიანმა გვერდულად შემოხედა და ნაბიჯი, ზრდილობისათვის, ოდნავ შეანელა.

ს ი ქ ი ნ ა ვ ა – აქანა, ამ ბაზარში? – ძლივს აუწყო ფეხი ორმეტრიან, თუთიყუშისცხვირა იმერელს სიჭინავამ.

რ ე ვ ი შ ვ ი ლ ი – კიე, მოგწონს?! – სერიოზული და ალალი სახე აქვს უნაგირის ახალ პატრონს.

ს ი ქ ი ნ ა ვ ა – გაჩერდი ერთ წუთს, თუ ღმერთი გნმს, ვნახო რა უნაგირია, ამომაგჯა გული, – შეევედრა ნაპოლეონი.

რ ე ვ ი შ ვ ი ლ ი მწვანედშელებილ ჭიშკართან შეჩერდა, უნაგირი მხრიდან არ ჩამოუღია, შეტრიალდ-შემოტრიალდა, რითაც ახირებულ გამვლელს უნაგირის დათვალიერების საშუალება მისცა.

რ ე ვ ი შ ვ ი ლ ი – ჭიპიტია სპეკულიანტმა მომყიდა, მე მგონია, არ უნდა იყოს გლახა უნაგირი. ახალს მაინც აჯობებს, ჩემი მოკლე ჭკუით. ისე მე ბევრი არაფერი მესმის, მარა ვისაც ვკითხე, ძველი ურჩევნიათყენ. გადაატყავა ცხენს ზურგი კოოპერატივში ერთი თვის წინ ნაყიდმა უნაგირმა.

ს ი ქ ი ნ ა ვ ა – რა მიეცი, თუ ღმერთი გწამს? – უზანგი შეაბრუნა სიჭინავამ.

რ ე ვ ი შ ვ ი ლ ი – სამთუმანახევარს კაპიკი არ დააკლო, არ იცი ჭიპიტიას ამბავი? ძვირია, ვითომ?

ს ი ქ ი ნ ა ვ ა – ვერ გეტყვი ვერაფერს... საერთოდ მასე ღირს უნაგირი... გააჩნია... ხან ასე შეგხვდება, ხან ისე... – მაღალი მეცხენე დარწმუნდა, რომ ადევნებული მოქალაქე

საიტერესოს ვერაფერს ეტყოდა და გზის გაგრძელება დააპირა, მაგრამ ნაპოლეონმა ხელით შეაჩერა და გაფითრებული ტუჩებით აუწყა:

ს ი ქ ი ნ ა ვ ა – ერთი უნდა გთხოვო და უარი არ მითხრა, მამაშვილობას გაფიცებ.

რ ე ვ ი შ ვ ი ლ ი – რა იყო? უნაგირიანი მალლიდან ეჭვშეპარულად დაჰყურებდა ნაპოლეონს.

ს ი ქ ი ნ ა ვ ა – სადაური ხარ შენ?

რ ე ვ ი შ ვ ი ლ ი – გოდოგანი თუ გაგიგონია, არაა შორს, იქვე ვარ, შესასვლელში.

ს ი ქ ი ნ ა ვ ა – გიორგაძე იქნები, ან რევიშვილი.

რ ე ვ ი შ ვ ი ლ ი – კიე, რევიშვილი ვარ.

ს ი ქ ი ნ ა ვ ა – რაშია, ბიძია, საქმე იცი? ორი წელიწადია დავსდევ ამ უნაგირს, ჭიპიტიაც დაპირებული იყო, გადასარევი კი არაფერია მარა, მე სხვა უნაგირზე ვერ ვჯდები, მიჩვეული ვარ მაგნაირ უნაგირს, თუ არ გენყინება, უნდა დამითმო.

ახმახი ჯერ დაიბნა, მერე, როცა დარწმუნდა, ფარსაგი არაფერია და ეს დარბაისელი კაცი მართლა უნაგირის დათმობას მთხოვსო, უარი განაცხადა.

რ ე ვ ი შ ვ ი ლ ი – რომ არ მომწონებოდა, არც მე ვიყიდიდი, ჩემო ბიძია. არ გამოვა ეს საქმე.

ს ი ქ ი ნ ა ვ ა – არ გამომჭრა ყელი, – ადამიანისფერი აღარ ედო სიჭინავას. – გაფიცებ სინდისს და ყველაფერს, რაც გეფიცება, შენთვის ისეთი არაფერია ეგ უნაგირი, შეიძლება დღესვე იშოვო უკეთესი და მე, გითხარი მისი არ იყოს, ასეთ უნაგირს დავსდევ რამდენი ხანია.

რ ე ვ ი შ ვ ი ლ ი – ვერ იშოვი, ვითომ, სხვას ამნაირს? შეასახელე ჭიპიტია და უნაგირს კი არა, მთვარეს ჩამოგიღებს ციდან და მოგყიდის – დააიმედა ნაპოლეონი.

ს ი ქ ი ნ ა ვ ა – ვერ გამიგე შენ. ჩემი საქმე სხვანაირადაა, თვარა უნაგირი უნაგირია, ბოლოს და ბოლოს.

რევიზილი – მით უმეტეს – გოდოგნელმა კიდევ ერთხელ გაიწინა.

სიჭინავა – ჩემი საქმე სხვანაირადაა თქვა, არ გესმის? ხომ ვერ გეტყვი, ყველაფერს, მუზეუმში ვმუშაობ მე და დავკარგე ამნაირი უნაგირი. რომ შემამონმონ, მოხსნა არ ამცდება, ამიტომ ვიკლავ თავს, მეტი კი არაფერია. მივიტან და დავდებ თავის ადგილას იცრუა ნაპოლეონ სიჭინავამ.

რევიზილი – აბა, ვერ ვჯდები სხვა უნაგირზე? – ეშმაკურად მიწკურა თვალები ნატანების მკვიდრმა.

სიჭინავა – ისე გითხარი, სიტყვის მასალად. მიმიხვდი ახლა მაინც? ნუ შეჯდები ჯორზე, ეგება მეც რამეში დაგჭირდე და გამოგადგე. კაცნი ვართ. სამთუმანნახევარი ხომ მიეცი, მე ოთხ თუმანს გაძლევ.

ახმახმა რევიზილმა ყელშიგაჩხერილი ადამის ვაშლი ერთხელ კიდევ აათამაშა, უნაგირი მხრიდან ჩამოიღო და თვითმარქვია „მემუზეუმეს“ ფეხებთან დაუდო.

რევიზილი – ა, ბატონო დამითმია. თუ ასეა, ვინ მამაძალი. მთლად უუნაგიროდ რომ დავრჩე, ამაზე განწყენინებ? სწორს ამბობ, ალბათ, ამხელა კაცი ტყუილს რავა იკადრებ და თუ მატყუებ, მაინც ალალ იყოს შენზე.

სიჭინავა (სიხარულისგან ათრთოლებული) – შენ გაგახარა ღმერთმა. კაცი შენ ყოფილხარ (ჯიბეში იტყუცა ხელი და ჭიპიტიას მიერ მოცემული ორი ათმენთიანი დააძრო), ა, ოცი მანათი, ჩემო იმანო და ოცს ამ წუთში მოგართმევ. ახლავე ა, შენ აქ დამიცადე. (გაიქცა და ისევ შემოტრიალდა) არ წახვიდე, არ დამლუპო, თუ კაცი ხარ.

რევიზილი – რავა გეკადრება.

სიჭინავა ბაზრის გასასვლელისკენ ფაცხა-ფუცხით გაიქცა. ორსართულიან შენობას ფანრის გვერდზე გადაბმული ასოებით აბრა ჰკიდია – „ლომბარდი“. სიჭინავა ლომბარდში შევარდა. თვალის დახამხამებაში გამოვარდა იქედან თავისი

მშვენიერი აბრეშუმის ყაბალახი აღარ ახურავს და წელზე ვერ-  
ცხლისბალთებიანი ძველებური ქამარი აღარ არტყია. რალა  
კითხვა უნდა – დააგირავა.

რევიშვილს ფული მიურბენინა, თავისი უნაგირი ძვირფასი  
ნადავლივით ამოიღლიავა და ციმციმ გასნია სახლისაკენ.

ყუნცულით მიაბიჯებს ქუჩაში ნაპოლენ სიჭინავა. მია-  
ბიჯებს უნაგირჩაბლუჯული, სახეგაბადრული, წელში გამარ-  
თული, ფეხჩქარებული და კმაყოფილი.

სიჭინავას მხიარული განწყობილება ტაიგაში მქროლავი  
ირმებშებმული მარხილის აკომპანიმენტით იცვლება. ისევ  
ფილმის ტემპიან-სევდიანი მუსიკალური ლაიტმოტივი.

მიქრის მარხილი, შიო და იგორი ერთმანეთს რალაცას ეს-  
აუბრებიან. ზოგჯერ ორივენი იცინიან. მარხილი შორს ტაი-  
გაში იკარგება. მისი ზანზალაკების ჟღარუნი თავდადმართში  
თავანყვეტილად მსრბოლ „ჟიგულზე“ გადადის.

ტიტრი: „ლუიზა“, ნოველა

ლუიზა –

ბახვა –

სოსო –

გივი –

კახა –

მურმან –

ქალი –

„ჟიგულის“ საჭესთან მჯდარი ბახვა ნამდაუნუმ საათს და-  
ჰყურებს, ეტყობა სადღაც ერქარება. საქარიას ნაცნობი ქუჩა.  
იქეთ-აქეთ შუშაბანდიანი სახლები. ლამაზი კიბეები. შორს უქ-  
იმერიონის მთა ილანდება.

ძველი არქიტექტურული სტილით აშენებულ, რკინის ხუჭუ-  
ჭაივნებიან სამსართულიან შენობასთან ტელეგრაფის ბოძის  
გვერდით გოგონა დგას. მანქანა რომ შენიშნა მან პალტო გაიხ-  
სნა, მარჯვენა ფეხი წინ მაცდუნებლად წადგა და გამალებით

დაუნყო მძღოლს ხელის ქნევა. ბახვა გამოცდა ქალიშვილს. მერე უცებ დაამუხრუჭა, უკანსვლით დაძრა მანქანა და გოგონას გაუსწორდა. ქალიშვილმა არცთუ მორცხვად, მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმა, ნაზად მოუახლოვდა მანქანას, უკანა კარი გამოალო და დაჯდა.

ლ უ ი ზ ა – გამარჯობათ.

ბახვა (დარწმუნდა რომ ქალიშვილი უცნობია და სალამში კითხვა გაურია) – გაგიმარჯოთ?!

ქალიშვილი სავარძელში არხეინად მოკალათდა. ლამაზია, მრგვალი მუხლისთავეები, ცისფერი თვალები და ცისფრადვე მოღებული, მაღალი ქუთუთოები, სწორი ცხვირი, პომადანასმული ვნებიანი ტუჩები და გრძელი, სწორი, ყვრიმალეებზე დაშვებული ფერფლისფერი თმები აქვს. იაფფასიანი ბუკლეს ქრელი პალტო და ალუბლისფერი ჩექმები აცვია.

ბ ა ხ ვ ა – მაპატიეთ, ნაცნობი სახე გაქვთ და კი ვერ მოგიგონეთ, – როგორც ჩვეულებრივად იწყებენ ხოლმე საუბარს უცნობ ქალიშვილთან, ბახვამაც ისე დაიწყო.

ლ უ ი ზ ა – არაფერიც, მე თქვენ პირველად გნახეთ, – ქალიშვილმა ცოტა არ იყოს, ყალბი კეკლუცობით უპასუხა და გაუცინა.

ბ ა ხ ვ ა – რაკი ასეა, ვიცნობდეთ ერთმანეთს, ბახვა, – ბახვამ მარჯვენა ხელი უკან გადაწია და გოგონას მუხლებზე დაადო.

ლ უ ი ზ ა – ლუიზა, – ბახვამ თავის ხელში ქალის გრილი, რბილი თითები იგრძნო და მოედანს წრე დაარტყა.

ბ ა ხ ვ ა – საით წავიდეთ, ლუიზა?

ლ უ ი ზ ა – გცალიათ? – ლუიზა წინ გადმოიხარა.

ბ ა ხ ვ ა – ახლა რომელია?

ლ უ ი ზ ა – მე არ მაქვს საათი.

ბახვამ ჯიბიდან საათი ამოიღო და გაუნოდა.

ბ ა ხ ვ ა – ნახე. მოსამართს თითი დააჭირე და გაიღება.

ლ უ ი ზ ა – ოთხის თხუთმეტი წუთია.

ბ ა ხ ვ ა – ოთხზე სამსახურში უნდა ვიყო, ლუიზა, თორემ რა სჯობია შენთან გასეირნებას.

ლუიზამ მოინყინა.

ლ უ ი ზ ა – თუ დათვლილი წუთები გქონდა, რა ძალა გადგა, რას მიჩერებდი მანქანას, შე კაცო?!

ბ ა ხ ვ ა – ნაცნობი მეგონეთ.

ლ უ ი ზ ა – ნაცნობებზე მეტი ვიქნებოდით, დრო რომ გქონდეს.

ბ ა ხ ვ ა – სხვა დროს, სად შეიძლება შენი ნახვა, ლუიზა?

ლ უ ი ზ ა – სხვა დრო რად გინდა, ჩემს შეყვარებას ხომ არ აპირებ.

ბ ა ხ ვ ა – არა, ისე... ტელეფონი თუ გაქვს-მეთქი.

ლ უ ი ზ ა – ტელეფონი კი არა, ბიჭო, ღამის გასათევი არა მაქვს, ხან ერთ დაქალთან ვათევ და ხან მეორესთან.

ლ უ ი ზ ა – მუზეუმთან მიმიყვანე ისევ, თუ არ შენუხდები, და წავალ ჩემ გზაზე, – ბოლო სიტყვები გოგომ თითქმის ტირილით თქვა.

ბახვას შეეცოდა იგი.

ბ ა ხ ვ ა – ჩემს ძმაკაცთან რომ მიგიყვანო, ლუიზა?

ლ უ ი ზ ა – სიმპათიურია? – ლუიზამ სხვისი ხმით იკითხა.

ბ ა ხ ვ ა – შენთვის რა მნიშვნელობა აქვს, კაი ბიჭია, პატივის გცემს.

ლ უ ი ზ ა – პატივისცემაში ხომ არაა საქმე, ადამიანი ცოტა ხომ უნდა მოგეწონოს. მე ისე არ შემიძლია.

ბ ა ხ ვ ა – მოგეწონება, მოგეწონება.

ხიდს გასცდნენ და პროსპექტზე, მარჯვნივ, შესახვევში, ქუჩის პირას მდებარე ერთსართულიან სახლთან გაჩერდნენ. ბახვამ ფანჯარაზე დააკაკუნა.

თითქოს დაკაკუნებას ელოდაო, იმწამსვე გადმოყო თავი წითური სახის, თმაჭალარა, გრძელცხვირა, ოცდაათიოდე წლის ბიჭმა. სოსო უცოლო იყო და ნაქირავებში ცხოვრობდა.

ს ო ს ო – რა იყო? – უცერემონიოდ ჰკითხა სოსომ.

ბ ა ხ ვ ა – გოგო მიზის მანქანაში, რომ გაგეხარდება, ისეთია შესახედავად.



სოსო – რა გიყო ახლა. მონაფეები რომ მყავს; ორი მონაფე ძლივს ვიშოვე. იმ კვირაში გამიცდინეს, ერთი საათის მერე მოდით და გავალ, – შენუხდა სოსო.

ბახვა – ჩემთვის კი არ მინდა, შენ მოგიყვანე. სამსახურში გავრბივარ.

სოსოს გაეცინა და ცალი თვალი მოჭყტა.

სოსო – როდის იყო, ჩემზე ზრუნავდი, შენ მატყუებ რალაცას.

ბახვა – მართლა, ბავშვს გეფიცები.

სოსო – ერთი საათის მერე რომ მომიყვანო?

ბახვა – კი, ბებიაშენისამ, ერთ საათს გაგირთობ სადმე და მერე სინით მოგანვდი ფანჯარაში, არ გინდა? დასვი მანდ სადმე, სანამ მონაფეებს გაისტუმრებდე.

სოსო – გაგიჟდი, ბიჭო? იმ ნუთას მიხვდებიან ყველაფერს, თავი გინდა მომჭრა?

ბახვა – ნავედი აბა, არ მცალია ამდენი.

სოსო – ერთი საათის მერე! – ყველის ვაჭარით დაელრიჯა სოსო მეგობარს.

– გადაშენდი იქით! – ბახვამ მანქანა სიჩქარიდან ამოულე-ბლად დაქოქა და იქაურობას გაეცალა. სადარბაზოსთან დაამუხრუჭა.

კიბე აირბინა და აქოშინებულმა დარეკა ზარი.

გივის გრძელი ხალათი აცვია. მოტვლეპილ თავზე ჩაჩი ახურავს.

გივი – ვაჰ, ბახვა? შემოდი.

ბახვა – შემოსასვლელად არ მცალია. სახლში ხარ დღეეს?

გივი – აბა, სად უნდა ვიყო, შაბათია.

ბახვა – ბედნიერი ხალხი ხართ. ჩვენთვის შაბათი კი არა, კვირაც არ არსებობს, კვირასაც გვამუშავებენ. გივი, გოგო მოგიყვანე ა, ასეთი! – ბახვამ ცერი მალლა აიშვირა.

გივი – სსს, ნუ ყვირი, – გივიმ უკან გაიხედა, – რა გოგო?

ბახვა – გოგო, ჩვეულებრივი.

გ ი ვ ი – მაგას რა სჯობია, მაგრამ, – გვიმ ხელები ერთმანეთს გაუსვ-გამოუსვა, – სიდედრი რომ მყავს სახლში? რალაცას მოუფიქრებ და სადმე გავგზავნი. ერთი საათის მერე ვერ მოიყვან? ქენი სიკეთე.

ბ ა ხ ვ ა – ერთ საათს რომ მეცალოს, შენ მოგიყვანდი? ოღრა-შობა კი არ დამინყია. ოთხზე საავადმყოფოში უნდა ვიყო. ჩაიცვი ახლა, გაატარ-გამოატარე ქუჩაში და მიხედე საქმეს.

გ ი ვ ი – კარგი, – გივი ოთახში შებრუნდა და დაფაცურდა. მალე გამობრუნდა, კვლავ ხალათი აცვია, ჩაჩი ახურავს.

გ ი ვ ი – არ გამოდის არაფერი. არ წავა არსად, ვიცი მაგის ხასიათი მე.

ბ ა ხ ვ ა – კარგი, აბა, წავედი! – ბახვამ კიბე ჩაირბინა.

გ ი ვ ი – ბახვა! გივი მოაჯირს გადმოეკიდა.

ბ ა ხ ვ ა – ჰა.

გ ი ვ ი – ისე... ჩემთვის... ან კი აღარ შეიძლება, მაგნაირი რამეები, – თვალების სრესით გაუტყდა გივი.

ბ ა ხ ვ ა – ნუ მასხარაობ რალაცას. – დატუქსა ბახვამ ძმაკაცი. ბახვა იხტიბარგატეხილი, თავის ქექვით შემობრუნდა მანქანაში.

ლ უ ი ზ ა – რაო? – მოწყენილად იკითხა ლუიზამ.

ბ ა ხ ვ ა – სიდედრი ჰყავს სახლში, ამ უპატრონოს.

ლ უ ი ზ ა – მუზეუმთან გამიჩერე და ჩამოვალ. შეგანუხე დღეს, – ჩაილაპარაკა ქალიშვილმა და თავი ჩაქინდრა.

ბ ა ხ ვ ა – მოიცა, კიდევ ერთ ძმაკაცთან მივალ, ნახე, აბა, რომელია? – საათი გაუნოდა.

ლ უ ი ზ ა – ოთხს თხუთმეტი აკლია.

ბ ა ხ ვ ა – არა უშავს, ცოტას დავაგვიანებ.

სამიოდე წუთის შემდეგ ბახვამ კახა მიძველიას კარს აუტეხა ბრახუნით.

კ ა ხ ა – ამ წუთას! ვინ არის? – იკითხა კახამ. იგი ვილაც შავთმიან ქალთან ჩახუტებული წევს და კაკუნზე სწრაფად წამოჯდა. ორივენი წელსზემოთ შიშვლები არიან.

ბ ა ხ ვ ა – მე ვარ, ბახვა ვარ. გძინავს?

კახა ნიფხავპერანგის ამარა დგას კარში.

ბ ა ხ ვ ა – გძინავს ამ შუადღეზე? იმიტომაა შენი საქმე წინ.

კ ა ხ ა – შენს ხმას მივამსგავსე. ვინეჩი ისე, ფანჯარაში გამოვი-  
იხედე, არა ხარ, ვერც მანქანას მოვკარი თვალი.

ბ ა ხ ვ ა – ბევრი ლაპარაკის დრო არა მაქვს, – ბახვა ადგილზე  
ხტის, – გოგო მოგიყვანე.

კ ა ხ ა – ახლა რა დროსია, ასე გაბურძენული ხომ არ ვნახავ.  
ჩავიცმევ, გავიპარსავ და გამოვალ, სადაც გინდა.

ბ ა ხ ვ ა – გადასასინჯად კი არ მომიყვანია.

კ ა ხ ა – აბა?

კ ა ხ ა – იმნაირი გოგოა. ახლა გამოვიჭირე ქურჩაში. ისე არ  
უნდა იყოს ცუდი გოგო. ლამაზი თვალები აქვს და კაი  
ლაპარაკი იცის.

კ ა ხ ა – ოჰ, შენ რა გითხრა. მე სხვა რაღაც მეგონა, თორემ  
ერთი მაგნაირი ქე მიწევს ეგერ ლოგინში. არც მაგაში  
ყრია არაფერი. მომწყინდა. ანუ ცოლი უნდა ვითხოვო.

ბ ა ხ ვ ა – ფილოსოფიას მოეშვი ახლა, შენ ეგრე ამბობ ყოვ-  
ელთვის, არაფერი ცოლის მთხოვნელი შენ არ ხარ. რა  
ვეუყო ამ გოგოს?

კახამ ნიკაპზე ჩამოისვა ხელი.

კ ა ხ ა – რა ვქნა, ბიჭო. ესეც ახლა მოვიდა, რომ გავაგდო,  
წავა და სულ დაიკარგება. ხანდახან წამლად რომ გჭირდ-  
ებოდეს, განყდებიან, ეს ოხრები. ხანდახან დაიყრებიან.  
ერთი საათის მერე რომ მოვიდეს?

ბ ა ხ ვ ა – წავედი, დამაგვიანდა სამსახურში! – ბახვა კარისკენ  
გაიქცა.

კ ა ხ ა – ბოდიში, ბახვა, არ გენყინოს, – დაადევნა კახამ  
და გასაღები ორჯერ გადაატრიალა, კიდეც ვინმემ არ  
შემანუხოსო. შემობრუნდა, ფარდაგზე ფეხები ერთმა-  
ნეთს გაუსვ-გამოუსვა და შავთმიან ლამაზმანს შეუგორ-  
და ლოგინში.

ორივენი მოწყენილად, უბრადად სხედან მანქანაში. ბახვა წამდაუნუმ საათს დასცქერის. ჟიგულმა ვინრო ჩიხში შეუხვია.

ჭიშკართან უზომოდ გასუქებული ქალი ხალიჩას ფერთხავდა.

ბ ა ხ ვ ა – ქალბატონო, მურმანი ცხოვრობს აქ სადღაც.

ქ ა ლ ი – მურმანი? – ქალმა ჯოხი დაუშვა და მაღლა აიხედა, თითქოს ჰაერს ყნოსავსო.

ბ ა ხ ვ ა – ჰო, კოჭლობს ცოტას.

ქ ა ლ ი – აგრე გეთქვა, შე კაცო. მურმანი ჰქვია მაგას? ასე გადით, ეზოს ბოლოში, პირდაპირ კარებია.

ბ ა ხ ვ ა – სახლშია თუ იცით?

ქ ა ლ ი – ვერ გეტყვით, ისე დღეს გამოსული არ მინახავს.

ბ ა ხ ვ ა – გმადლობთ, – ბახვამ პარმალს გადააბიჯა და ქვაფენილით მოკირწყლულ ეზოში გაიქცა.

მ უ რ მ ა ნ ს სახეზე შეეტყო, რომ ბახვას მოსვლა გაეხარდა. სტუმარმა ამოსუნთქვა არ აცალა;

ბ ა ხ ვ ა – კიდევ კარგი რომ სახლში ხარ, მანქანაში გოგო მიზის და შემოვიყვან ახლავე. მე გავრბივარ, დამაგვიანდა, მომხსნიან სამსახურიდან.

პასუხს არ დაელოდა, გატრიალდა.

მ უ რ მ ა ნ ი – მოიცა, გამაგებინე, ვინ გოგოა, რა გოგო?! – უკან მისდევს მურმანი და კითხვებს აყრის.

ბ ა ხ ვ ა – გოგოა რა, მეც არ ვიცნობ წესიერად. მუზეუმთან ჩამიჯდა.

მ უ რ მ ა ნ ი – გასაგებია. მარა მე დამელაპარაკება იმ საკითხზე? მოინდომებს ჩემთან? როგორ ფიქრობ? – მურმანი ცდილობს დაეწიოს.

ბ ა ხ ვ ა – შენ ფიქრი ნუ გაქვს, არ ჩანს წუნია გოგო.

მ უ რ მ ა ნ – ნუ შემარცხვენ, თუ ძმა ხარ, არ ვარ მაგის კაცი მე. სხვას მიუყვანე ვინმეს.

ბ ა ხ ვ ა – კაცო, მე გეუბნები – ნაღდი ამბავია. ნათქვამი მაქვს წინასწარ, ასეთი და ასეთი ბიჭია თქვა, იცრუა ბახვამ.

მ უ რ მ ა ნ – მერე?

ბ ა ხ ვ ა – კიო, თანახმაა. გაბრუნდი შენ, ოთახში დაგველოდე.  
მურმანმა ასკინკილით გამოირბინა ეზო.

შემოვიდნენ. გოგონა კართან გაჩერდა თითებგადაჯვარედინებული, ბახვა ალაპარაკდა.

ბ ა ხ ვ ა – გაიცანი, ჩემო მურმან, ლუიზა. ჩვენ რომ გვიყვარს, ისეთი გოგოა, – ლუიზას მიუბრუნდა, – მურმანზე უკვე საკმაოდ გელაპარაკე. დიდი მხატვარია!

მ უ რ მ ა ნ – რეტუშიორი, – გაუსწორა მურმანმა.

ლ უ ი ზ ა – რაი?

მ უ რ მ ა ნ – სურათებს რეტუშს ვუკეთებ. თქვენ არ გეცოდინებათ, ერთი სიტყვით, თუ მკრთალი ხაზია ვამუქებ. გაზეთში დასაბეჭდად რომ გამოდგეს.

ბ ა ხ ვ ა – მოკლედ, კარგად იყავით. არ აწყენინოთ ერთმანეთს! – ეს ბოლო სიტყვები ბახვამ ღია კარებში თქვა და უკანმოუხედავად გაიქცა.

მ უ რ მ ა ნ – პალტო გაიხადე.

მურმანმა ქალს პალტო ჩამოართვა და იქვე, ლურსმანზე დაჰკიდა.

მ უ რ მ ა ნ – დაჯექი, – სკამზე მიუთითა, – ახლოს მოინიღუმელთან.

ლ უ ი ზ ა – გმადლობთ. არ მცივა, – გოგოს ხელები კალთაში უწყვია და იატაკს დასცქერის.

მ უ რ მ ა ნ – ეს... ახლა არ გცივა, გარედან შემოსული რომ ხარ, პატარა ხანში გაიყინები, – თუნუქის ლუმელს ხელი დაადო, – ესეც გაცივებულა, ეს ოხერი.

გავიდა. შეშა შემოიტანა. ლუმელთან ჩაცუცქდა და შეუკეთა.

მ უ რ მ ა ნ – რამდენი გრადუსი იქნება ახლა გარეთ?

ლ უ ი ზ ა – ნოლზე მეტი არ იქნება.

მ უ რ მ ა ნ – მერე ასე უნდა ციოდეს? ძვლები გამეყინა.

ლ უ ი ზ ა – აქ ნესტიანი ჰავაა და იმიტომ, – აუხსნა გოგომ, – ჩვენთან აბა, ათ გრადუსს ყინვაშიც არ ცივა ასე.

მურმან – სად თქვენთან?

ლუიზა – ჩონჩეთს ზემოთ სოფელია, შრეში.

პაუზა

მურმან – აქ, თბილისში სწავლობ, ლუიზა?

ლუიზა – ვსწავლობ? – ლუიზას გაეცინა, – სულ ჩემთვისაა ღია უმაღლესები. ოღონდ მივბრძანდე და ვისწავლო.

მურმან – რატომ? საშუალო ხომ გაქვს დამთავრებული?

ლუიზა – რად გინდა მერე. ვაშლიანის ქუჩაზე ვმუშაობდი მეურნეობაში და პატარა ოთახი მქონდა დაქირავებული. მამაჩემს სოფელში ფილტვების ანთება გაურთულდა და დამაგვიანდა ჩამოსვლა. სამუშაოდანაც ბრძანებით მოვუხსნივართ და ჩემს მასპინძელს ამ ერთ თვეში იმდენი უმარჯვია, ბინიდანაც ამოვუნერივარ. ჩამოვედი და ჩემი ბარგი კიბის ქვეშ დამხვდა.

მურმან – ახლა სადა გაქვს?

ლუიზა – დაქალთან მივიტანე გუშინწინ. ჩვენებური გოგოა. ისიც ნაქირავებში ცხოვრობს.

ცეცხლი აგუგუნდა. ლუიზას ღანვები შეუწითლდა. ხელები, როგორც იქნა, დააშორა ერთმანეთს და ლუმელს მიუმვირა. ზის ლუმელთან ღვთისმშობელივით ღამაზი და უმწეო. მურმანს მუხლზე შემოუდვია ხელი და ქალს დაჟინებით შესცქერის. ლუიზა გრძნობს მზერას და ხან ჭერისკენ ააპარებს, ხან კი მურმანს გაუსწორებს თვალს. მერე ისევ თავჩაქინდრული იატაკს ჩაშტერებია.

ლიზა – ლუმელს მაინც სხვა ძალა აქვს. რადიატორთან ასე ვერ გათბები, – ყრუდ ამოილაპარაკა.

მურმან – სწორი ხარ, მაგრამ ამ ოთახში სითბო არ ჩერდება. სულ ბამბა და დანა მიკავია ხელში. ვითომ დავგმანე ყველგან ყველაფერი. ჩაქრება თუ არა ლუმელი, განსაკუთრებით როცა მძინავს, ფეხები მეყინება.

ისევ სიჩუმე. კედლის საათის ტაკა-ტუკი და ლუმელის ტკაცანი.

მურმანი – სხვა. დაძმები, ლუიზა?

ლუიზა – მყავს. მაგ მხრივ მდიდარი ვარ. სამი ძმა და ოთხი და.

მურმანი – სულ შვიდნი ხართ?

ლუიზა – რვა.

– ლუიზა, – მურმანი წამოდგა, – სულ ველარ მოვიფიქრე მოშიებული იქნები. ძეხვს და პურს მაინც ამოვიტან.

ქალს არაფერი უთქვამს.

თითქოს ფეხებში ქარი ჩაუდგაო, ისე ჩაირბინა მურმანმა გასტრონომამდე. აღმართიც ხელად ამოათავა.

ლუიზას ტაფა გაუნმენდია და ლუმელზე დაუდგამს.

მურმანი – ხორცი სადაა. უშველებელი რიგი უკვე დგას. მოიტანენ – არ მოიტანენ, ღმერთმა უწყის. მანდ კარადაში კვერცხი უნდა იყოს. შენ მაცალე. ამ წუთში შევწვავ. კვერცხი და ძეხვი შემწვარი კარგი გამოდის. გიყვარს, თუ არ გიყვარს – ეს უნდა ვჭამოთ, ღარიბი კაცის სადილი ეს არის.

ლუიზა – ხელს სად იბან ხოლმე?

კაცმა განჯინიდან სუფთა პირსახოცი ამოიღო და მხარზე გადააფინა.

მურმანი – პირდაპირ და მარჯვნივ.

ლუიზა – ახლავე მოვალ, – ლუიზამ გაუღიმა, – შენ მოეშვი, მე შევწვავ. მარილი მომიმზადე.

მხარზე რომ აკოცა, ლუიზამ კვერცხის თქვეფა წუთით შეწყვიტა და გაყუჩდა. მურმანი ლუმელთან იჯდა და მაგიდას მიმდგარი ქალის სწორ ფეხებს და ლამაზ ზურგს შესცქერის.

სადილის შემდეგ ქალმა თეფშები დარეცხა, ოთახი მიაღვარა-მოაღავა და ისევ ლუმელს მიუჯდა.

მურმანს გაეცინა.

ლუიზა – რა გაცინებს? – ლუიზა მთელი ტანით შებრუნდა მისკენ.

მურმანი – ხელში საქარგავი გაკლია. თითქოს მთელი ცხოვრება ერთად გაგვეტარებინოს.

ქალი, ეტყობა, სხვა პასუხს ელოდა და ერთბაშად დამშვიდდა.

ლუმელში შემა ტკაცუნობს. ვინრო ფანჯრიდან დაღვრილ სხივს ნელ-ნელა აკლდება ძალა.

მ უ რ მ ა ნ – ქმარს რატომ გაშორდი, ლუიზა?

ლ უ ი ზ ა – ვინ თქვა?

მ უ რ მ ა ნ – ყველა ასე ამბობს.

ლ უ ი ზ ა – ვინ ყველა? – შეშფოთება გაისმა ქალის ხმაში.

მ უ რ მ ა ნ – რა ვიცი, – მურმანი დაიბნა, – საერთოდ... გოგონებს უყვართ ხოლმე თქმა: ქმარს ახლახან გაშორდი, იმიტომ რომ მომიტაცა და არ მიყვარდაო. პირველი კაცი, რომელიც ქმართან განშორების შემდეგ გავიცანი, თქვენ ხართო... ასე იციან ხოლმე თქმა.

ლ უ ი ზ ა – არა, მურმან, მე ქმარი არასოდეს მყოლია. არც იმის თქმას ვაპირებდი: „გოგონებმა რომ იციან ხოლმე თქმა“. ლუიზა წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა. მხრები უცახცახებს, ცხვირსახოცი ამოიღო და თვალებზე მიიფარა.

მ უ რ მ ა ნ – კარგი ახლა, შე ქალო... ისე ვთქვი... ხუმრობა არ იცი?.. კედლის საათი 23<sup>30</sup>-ს უჩვენებს. სხედან ლუმელთან უსიტყვოდ. მერე ლუიზა წამოდგა.

ლ უ ი ზ ა – რა დრო გასულა, – გამშრალი ხმით თქვა, – ხომ ხედავ რა უსინდისო გოგო ვარ, ჩემით ვერ ვხვდები წასვლას. რატომ არ მეუბნები, წადიო. გამაგდე, გეხვენები, წადი-თქვა, მითხარი! აქამდეც უნდა გეთქვა, ხომ ხედავ, რა სულელი გოგო ვარ! – ლუიზა თანდათან ხმას უმატებდა და ეს ბოლო სიტყვები ანტიკური ტრაგედიის გმირის მონოლოგით ხმამაღლა და კატეგორიულად თქვა.

ერთბაშად მოეშვა, სახე ხელებში ჩამალა და ისევ ატირდა. მურმანს მუხლისთვის ხელები არ მოუცილებია. ჯერ ტირილი აცალა გოგოს და მერე, როდის-როდის, ამოილაპარაკა:

მ უ რ მ ა ნ – დარჩი, სად წახვალ აწი. გვიანაა, სძინავს, ალბათ, შენს დაქალს.

წამოდგა. კარადის უკნიდან შეზლონგი გამოათრია, ძველთაძველ, მაუდგაცვეთილ დივანს თავი ახადა, ლეიბი და საბანი ამოიღო და დივანის თავი ფრთხილად დაუშვა, თითები არ მოვიჭეჭყო.



მურმან – მე შეზღონგზე დავწვები, შენ დივანზე, დავეც-  
ვით როგორმე.

კედლის საათზე ექვსს აღარაფერი აკლია. მურმანს თავზე  
რომ დაადგა პერანგში, თეთრად, სინათლესავით ჩამოშვებუ-  
ლი, თმებგაშლილი ქალი და მკლავზე შიშველი მუხლით შეეხო:  
ლუიზა – გძინავს? დავწვები რა შენთან? შემცივდა.

მურმანს, რა თქმა უნდა, არ ძინავს.

მეორე დილაა.

სანოლები კოხტად ალაგებული.

საუზმის შემდეგ მურმანმა ხელში მწვანე ყდიანი საქალა-  
დე დაიჭირა და კედელზე მიკრულ მრგვალ სარკეს გაუსწორდა.  
მურმანი – ლუიზა... მე სამსახურში გავვარდები. ერთი-  
ორი საათი დამაგვიანდება. შენ, თუ სადმე გახვიდე,  
გასაღები კართან რომ ფეხსანმენდი ტილოა, იმის ქვეშ  
დადე. საერთოდ... ყოველთვის მანდ ვინახავ გასაღებს.  
ვეცდები უფრო ჩქარა დავბრუნდე. შეიძლება საქმე  
არაფერი დამხვდეს.

ლუიზა – მე... ნავალ... ჩემი დაქალი ინერვიულებდა... საერ-  
თოდ... რა ვიცი. რა სიკვდილი დამემართა.. ღმერთო, რა  
სულელი ვარ... როგორ შეგეჩვიე.

(მივიდა ჩაეხუტა, მხარზე თავი დაადო).

მურმან (დაბნეული) – არაფერი არ მითხრა ახლა. დედას  
გაფიცებ, არ უნდა ამ საქმეს ლაპარაკი. მე... მაგვიანდება სამ-  
სახურში. შენ... იჯექი აქ ცოტა ხანს და მერე, როგორც ჭკუამ  
გაგიჭრას. გასაღები, თუ ნახვიდე, სადაც გითხარი იქ დადე.  
(აკოცა) კარგად იყავი!

კარი გაიხურა.

პროვინციული ქალაქის მუსიკალური თემა. ქუჩაში გზას  
მიიკვლევს კოჭლი მერეტუშე – მურმანი. თავის ეზოში შემ-  
ოვარდა. კიბესთან მიჩლახუნდა, დაიხარა, ფეხსანმენდი ტილო  
ცალ მხარეზე ასწია. გასაღები არ ჩანს. სიხარულისგან გაგი-  
ჟებული გამოტრიალდა. ხალიჩის მფერთხავ, უზომოდ გასუქე-  
ბულ ქალს მივარდა და მხრებში ხელები ჩაავლო:

მ უ რ მ ა ნ – არ წასულა! გესმის შენ?! არ წასულა!

ქალს აკოცა და სწრაფად გამოიშინა. ქალმა ხელი ჰკრა სიხარულისაგან ატროკებულ „ძალად მკოცნელს“.

ქ ა ლ ი – ვინ არ წასულა!? სად არ წასულა?! (თავისი ბინისკენ გაქცეულ მურმანს ხმა დაადევნა) აი, დარდი, თუ არ წასულა!

თავისი პატარა, ღარიბული ბინისკენ სირბილით მიმავალი, სახეგანათებული მურმანის სრბოლაში ფილმის ლაიტმოტივი – მარხილის თემა იჭრება და ისევ ტაიგაში ვბრუნდებით.

მიქრის მარხილი. იგორს და შიოს ქარ-თოვლი სახეში სცემთ. ი გ ო რ ი – მაინც ვინ იყო ლუიზა?

შ ი ო – ასეთ გოგოს თქვენში გზასაცდენილს ეძახიან. ჩვენში ხელშეშლილს.

ი გ ო რ ი – ასე რატომ უხაროდა მურმანს ლუიზას წაუსვლელობა.

შ ი ო – ლუიზა მურმანს მარტოობის სევდისაგან იხსნის.

ი გ ო რ ი – ლუიზას რაღა ეშველება?

შ ი ო – გოგოს ამ ცხოვრებისკენ სწორედ მურმანის ალალი გული და უშურველი სიკეთე მოაბრუნებს... მაგრამ სიკეთე ყოველთვის როდი დადის ზუსტი მისამართით. გინდა სიკეთეზე გიამბობ.

ზანზალაკების ჟღარუნის. მარხილი თანდათან გვშორდება.

### ტიტრი: „ქველი“ ნოველა

გიგა ხაჩიძე –

პისტი –

ერმინე სახამბერიძე –

უშანგი ჭედია –

ალმასკომის ინსტრუქტორი –

ღარიბულად, სადად მორთულ ოთახში ორმოცდათვრამეტი წლის სანდომიანი სახის, ცოტა არ იყოს სანყალი გამომ-

ეტყველების მამაკაცი გიგა ხაჩიძე ზის და საოჯახო ალბომს ათვალიერებს. ხანდახან წამოდგება და ბეჭისთავებზე ხელების სმითა და უცნაური ლულულით წინ და უკან დააბიჯებს. მარჯვენა მხარეს, წიგნების ძველი კარადის თავზე ლომისთავიანი ყულაბა დგას. ზოგჯერ იმ ყულაბასთან მივა გიგა, ხელში გადაატრიალ-გადმოატრიალებს და ისევ თავის ადგილას დადებს. კატას რძეს დაუსხამს, მოტრიალდება და ლომისთავიან ყულაბას მეორე მხრიდან დანით გაჭრის. ფულს მაგიდაზე დაახვავებს და თვლას იწყებს. ფულს რომ დათვლის, ცოტა ხანს თვალი გაუშტერდება და კედელზე მისი გარდაცვლილი მშობლების სურათებს შესცქერის. მერე, თითქოს გამოსავალს მიაგნოვო, სახე გაუნათდება, ტყავის საქალაღდეს გამოიტანს და ფულს სწრაფად ჩაალაგებს. შავ მოსასხამს მოიცვამს და საქმიანი სახით ქუჩაში გამოდის. გიგა ხაჩიძეს პროვინციული ქალაქის ქუჩაში ვხედავთ. მუსიკალური თემა მოაცილებს. ზოგჯერ გამვლელს შეაჩერებს და რალაცას კითხავს. გამვლელი, ზოგი შერდდება და „არ ვიცის“ ნიშნად თავს გააქნ-გადმოაქნევს. ზოგი რალაცას ასწავლის. გიგა თავს უქნევს და შორდება. მერე სხვა მოქალაქეს აჩერებს ქუჩაში და იგივე მეორდება. მთელ ამ ეპიზოდს კადრს გარედან ახლავს შიოს ხმა:

შ ი ო – გიგა ხაჩიძე გადასახლებიდან რომ დაბრუნდა, ორმოცდასამი წლის იყო. ისევ მუზეუმში დანიშნეს ექსკურსიამძღოლად, თითქოსდა არაფერი მომხდარიყოს. თითქოსდა არც არსებობდა ის ცხრა ჯოჯოხეთური წელი. შეცდომა იყო თქვენი დაპატიმრებაო, უთხრეს და ურჩიეს, მაინცდამაინც აღარ დაინტერესებულყო იმ შეცდომის მიზეზებით. ცოტა ფულს დავაგროვებ, სახლს გავარემონტებ და ცოლს შევირთავო, გადაწყვიტა. ხელფასზე გადარჩენილ მანეთებს ლომისთავიან ყულაბაში ყრიდა. ისე შემოეფცქვნა წლები ხელში, რომ არც გაუგია. იმ დღეს ორმოცდათვრამეტისა შესრულდა. იჯდა და საოჯახო ალბომმა გუნება მოუშხამა. ფოტოსურათებზე თავის გალიმებულ

სახეს რომ დახედავდა, ეგონა რომ იმ გულუბრყვილო ყმანვილს აღარაფერი ჰქონდა საერთო ორმოცდათვრამეტი წლის, დაღლილ მამაკაცთან. ორიათასთერთმეტი მანეთი და რვა კაპიკი შეგროვილიყო. რატომღაც უფრო მეტის იმედი ჰქონდა. ფულის დანახვამ სიხარული კი არ მოჰგვარა, თავის უმწეობაში დაარწმუნა. მარტომყოფს მოეჩვენა, რომ ახლა ყველაფერი გვიან იყო. მოეჩვენა, რომ მის მაგივრად სხვებს ეცხოვრათ ამ ქვეყანაზე და ახლა აზრიც აღარ ჰქონდა ყველაფრის თავიდან დაწყებას. უეცრად, ერთი აზრი დაეუფლა – ეს ფული ერუქე-ბინა ვისაც წვრილშვილი ჰყავდა და ხელმოკლედ ცხოვრობდა. ვისაც ზუსტად ეცოდინებოდა რაში დაეხარჯა.

წვრილშვილიანი და ხელმოკლე კაცის მოძებნა არც ისე იოლი აღმოჩნდა. ორი დღე იარა ქალაქის განაპირა უბნებში, არ უნდოდა ნაცნობისთვის მიეტანა. იმ დილით ვილაცამ მისწავლა, ერმინე სახამბერიძე ცხოვრობს ხიდსგალმა, ანდრია სინაურის ქუჩის ბოლოში და ხუთი შვილი ჰყავსო. როგორც იქნა, კითხვა-კითხვით მიაკვლია ერმინეს კარ-მიდამოს.

გაჭვარტლული, ყავრით დახურული, ალაგ-ალაგ აივნის რიკულებამოვარდნილი ფარღალალა სახლის ჭიშკარს შუახანსგადაცილებული, შავმოსასხამიანი კაცი გიგა ხაჩიძე მიადგა. ჯერ ეზოში გადაიხედა და კარგა ხანს უყურა ბატის ჭუკებს, რომლებიც კოინდარს ციციქნიდნენ და თავიანთ ბატურ ენაზე თავისმომაბზრებლად ყიპყიპებდნენ, მერე მზის მხრიდან კისერზე ტყავის საქალაღდე მიიფარა და თითქოს თავისივე ხმისა ეშინიაო, გაუბედავად დაიძახა: მასპინძელო!

ნაქცევაზემისული, კარმოღლეტილი ჩერმიდან ხუთიოდე წლის თავბურძღლა ბიჭი გამოვიდა და ჭიშკართან, უცნობის შორიახლოს, უხმოდ გაჩერდა. სარდაფიდან ნიფხვისამარა კანჭებჩაშავებული გოგო გამოხობდა და ბიჭს გვერდით დაუდგა. გოგონა დიდი-დიდი ორი წლით იქნებოდა უფროსი ძმაზე (უცნობმა ძმად იმიტომ მიიჩნია, რომ ბავშვები გაჭრილი ვაშლივით

ჰგავდნენ ერთმანეთს). ყავრით დახურულ საქათმეზე წითური, ქორფლიანი ათიოდე წლის ბიჭი გადმოდგა. ერთხანს შორიდან ზვერავდა უცნობს, მერე კატის ნაბიჯებით მოახლოვდა და შუაში ჩადგა. სამივენი კარგა ხანს უნდობლად, შიშნარევი მზერით, თავიდან ფეხებამდე ათვალეერებდნენ შავმოსასხამიან კაცს. ბოლოს, ისე რომ უცნობისთვის თვალი არ მოუცილებიათ, სამივემ ერთდროულად დაიყვირა:

– დედააა!

ამ ძახილმა ერმინე სახამბერიძის მეუღლეს – პისტის სხვენზე მოუსწრო, ძველთაძველი სკივრი გაუხსნია და მამა-პაპის ჟანგისგან შეჭმულ იარაღს სხვენზე ალაგებს.

პისტი – მოვდივარ! – კრამიტის ღრიჭოს გასძახა, უშველებელ კაჟიან თოფს დაეყრდნო და სხვენიდან ჩამოხტა.

სტუმარმა მისკენ ნამოსული, თავნაკრული, თოფიანი ქალი რომ დაინახა, გაეცინა.

გიგა – ნუ გეშინიათ, ქალბატონო, მტერი არა ვარ, – იარაღს დააკვირდა – ამის იმედზე ხართ? რაღა დროის კაჟიანი თოფია!

ბავშვებმა მრისხანედ ტუჩებმოკუმულ დედას შეხედეს და ერთად გადაიხარხარეს.

პისტი – მაპატიეთ, ბატონო – თოფი გამხმარ ბაღს მიაყუდა პისტიმ, თავსაფარი მოიხსნა და ყბებქვეშ ამოიმაგრა – სხვენზე ამქონდა და ხელში შემრჩა.

სტუმარი ვერ იცნო, მაგრამ ჭიშკარი მაინც ფართოდ გაუღო და შინ შეიპატიჟა.

პისტი – ხომ მშვიდობაა, პატივცემულო?

გიგა – კი, ბატონო, მშვიდობაა. თქვენ ერმინე სახამბერიძის მეუღლე ბრძანდებით, ალბათ.

პისტი – კი. ფარსაგი ხომ არაფერია?

გიგა – არაფერთქვა, ხომ გითხარით. სალაპარაკო მქონდა პატარა თქვენთან, თუ გცალიათ. თუ არა და სხვა დროს მოვალ.

პისტი – მოცლილი კუბოში წევს, ბატონო. ვინ მოგაცლის დღეს. შემობრძანდით – პისტიმ შემოგებებულ ბებერ ძაღლს წიხლი ჩაჰკრა და უცნობს მორყეულ კიბეზე აუძღვა.

გაზეთგაკრულ ხის ფარღალალა ოთახში შმორის სუნით დგას. საწოლები ისეა ახირჩხლული, რომ დევების ნაომარი გეგონებათ.

პისტი – გვაპატიეთ, ბატონო. ამათ ხელში დაალაგებ რამეს? – ბოდიშობს პისტი და ოთახის მონესრიგებას ამაოდ ცდილობს.

გიგა – იყოს, ქალბატონო, ამ წუთში გეახლებით მე.

ჭილოფისძირიან სკამზე დაეშვა, მაგრამ საეჭვო ჭრაჭუნმა შეაშინა და ისევ წამოდგა.

პისტი – ლოგინზე დაბრძანდით, არა უშავს, ჩემო ბატონო.

მალე დედა-წულნი შეზღონგზე გამწკრივდნენ და ერთნაირად იდაყვსდაყრდნობილები უცნობს მიაჩერდნენ.

გიგა – თუ არ გენყინებათ. მარტო მინდა დარჩენა თქვენთან – ძლივს ამოღერდა მოსულმა, მაგრამ ქალბატონ პისტის გაფითრებულ სახეს რომ შეხედა, სწრაფადვე დაუმატა: – წუ გეშინიათ, ქალბატონო. მე გიგა ხაჩიძე გახლავართ, მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ვმუშაობ. ბალახვანში ვცხოვრობ, ხიდს რომ გახვალ იქვე მარჯვნივ პურის მაღაზიასთან, მესამე მოსახლე ვარ. მავნეს და უბედურს ვგეგვარ მე?

პისტი – უშანგი გეცოდინებათ, აბა ჭეღია. – ჩაილაპარაკა პისტიმ, მაგრამ ეჭვის ნაპერწკლები არ გამექრალა მისი თვალებიდან.

გიგა – როგორ არ ვიცი, ცალთვალა უშანგი – მექუდე. გოგო გაათხოვა ახლა, ერთი კვირის წინ.

პისტი – ქვისლად მეკუთვნის უშანგი. ჩემი ქმრის გარე მამიდაშვილია – ცოტათი დამშვიდდა პისტი – არ უნდოდათ ეს საქმე. არ არიან მაინცდამაინც კმაყოფილი სიძის. წამოხტა და ბავშვებს შეუძახა:

პისტი – გადით გარეთ ერთნამას!

ბავშვები უკმაყოფილოდ, ბუზღუნით გალაგდნენ გარეთ.

გიგა – აქეთ მოინით, ქალბატონო, ბოდიშს ვიხდი, თქვენი სახელი?

პისტი – პისტი – ოჯახის დიასახლისმა ოდნავ გამოაჩოჩა შეზღონგი. გიგა ხაჩიძემ ტყავის საქალაღდე გაშალა, ქალღლის შეკვრა ამოიღო, მიიხედ-მოიხედა და გაუნოდა.

გიგა – აქ ორიათასი მანეთია, ქალბატონო პისტი.

პისტიმ დაუფიქრებლად გამოართვა.

გიგა – დათვალეთ თუ შეიძლება, ფულს დათვლა უყვარს, – გაულიმა გიგამ.

სახანბერიძის მეუღლე დიდხანს, ბუტბუტით, ტუჩების ცმაცუნით, არაჩვეულებრივი გულმოდგინებით ითვლიდა. ერთი შემლა შეეშალა. თავიდან დაიწყო. ოცდათხუთმანეთიანები და თუმნიანები ცალ-ცალკე დაალაგა თვლის გასაადვილებლად. სტუმარს მუხლისთვის თითები შემოუჭდია და შეჰყურებს. ქალს კეხიანი ცხვირი და ფოსოებში ღრმადჩამჯდარი, ნაქისფერი თვალეები აქვს. ძველი, გაცრეცილი თავსაფრიდან (რომელსაც ბოლოებზე რატომღაც ღუბები ახატია) ალაგ-ალაგ დაუვარცხნელობისგან დახუჭუჭებული თმა გამოსჩენია. ფეხზე ყელნაჭრილი ჩექმები აცვია და მღელვარებისგან, პირნმინდად ფრჩხილებმოჭრილი, უხეში თითები უკანკალებს.

თვლას რომ მორჩა, ფული ისევ იმ გაზეთში შეახვია, ლეიბის ქვეშ საიმედოდ შეჩურთა, თავსაფარი შუბლზე ჩამოიქაჩა და სტუმარს მიაჩერდა.

გიგა – ქალბატონო პისტი, – გიგას ხმა უკანკალებს – ეს ფული თქვენი და მოიხმარეთ, როგორც გაგებარდებათ. ჩემი არ იყოს, არც თქვენ ყოფილხართ მაინცდამაინც ხელმომართული. ცოტათი მაინც წინ წაგწევთ ეს ფული.

პისტი – არ დაიჯეროთ, ბატონო, მაგ ამბავი, ორიათასი მანეთი უშველის ჩვენს გაჭირვებას? – პისტი განზე იხედება და ისე ხმადაბლა და მღელვარებით ლაპარაკობს, გეგონებათ სტუმარს ჰბაძავსო, – ხუთი შვილი როგორი გასაზრდელია დღეს. ჩვენ პატიოსანი ხალხი ვართ, რვა წელი ვიმუშავე აბრეშუმსაქსოვში. რვა წელიწადი მღუღა-

რეში მენყო ხელები და ყაჭს ვფრცქვნიდი. ა, ნახეთ რას ჰგავს ჩემი ხელები. ახლა ვიმუშავებ, კი არა, პურზე რომ გავალ, ბავშვებს სახლი თავზე აქვთ წამოცმული: ჩემი ქმარია და, გეცოდინებათ, ალბათ, რაც ავარია შეემთხვა, მანქანას აღარ ანდობენ და არასაუნყებოში კარისკაცად მუშაობს. ორი ათასი მანეთი კი, რასაკვირველია, ცოტას შეგვეწვავს, მაგრამ გვეყოფა-მეთქი რომ გითხრათ, არ იქნება მართალი. შეხედეთ, რას ჰგავს ჩვენი ქერი? წვიმა რომ მოვა, საბანზე გვასხამს პირდაპირ.

გიგამ პირი გაალო და რალაც სურდა ეთქვა, მაგრამ მასპინძელი ისე ჩქარა ლაპარაკობდა, რომ ველარ გაანყვეტინა. პისტი – ის ავარიაც გეცოდინებათ, ალბათ, ჩემი ქმრის ბრალი კი არ იყო. მაგერ, კაცხის გადასახვევთან, აღმართზე გააჩერა მანქანა, თქვენთან ბოდიში მომიხდია, თავის კაცურ საქმეზე მიეფარა ხეს ერთნამს და მოგეხსენებათ მარცხის ამბავი, მანქანა მისით დაგორებულა, ეს უპატრონო, და ხრამში გადავარდნილა.

გიგა წამოდგა, ჯიბეში ხელები ჩაიწყო და ფანჯარასთან მივიდა. შავმუყაოსგან გამოჭრილივით მოჩანდა უკნიდან მისი სუფთად გაპარსული, ლამაზი თავი და კეფაზე აწეპებული ფართო ყურები.

გიგა – გაგიკვირდებათ, ალბათ, ქალბატონო პისტი, ამ ფულის ამბავი.

პისტი თავჩაქინდრული ზის და ხმას არ იღებს.

გიგა – ეს ფული ჩემი საჩუქარია. თქვენს ოჯახს ვაჩუქე, ისე, უბრალოდ, ხელისგასამართად. მეტი არ მქონდა თორემ მეტს მოგართმევდით. განა არ ვიცი, ეს ფული არაფერი არ არის დღევანდელ დღეს. (შემობრუნდა, საქალაქად აიღო და კარისკენ გაიქცა, შეჩერდა, დიასახლისის ღონივრად ჩამოართვა ხელი) – ღმერთმა მშვიდობით მოგახმაროთ უთხრა და ეზოში გააბიჯა.

წვერწამახული ნაგვერდულების ღობეზე ოთხი თავი გადმოეკიდა. პისტი და მისი შვილები დიდხანს შეჰყურებდნენ უც-



ნაურ სტუმარს, რომელსაც პლაშის ქამარი მინაზე მისთრევს და ბალახვნის ქუჩისკენ ისე მიეფარა თვალს, რომ ერთხელაც არ მოუხედავს.

დილაა. განუყრელ შავ პლაშში გამონყოფილი გიგა ეზოში გამოვიდა, ონკანთან სარზეჩამოცმულ პატარა სარკეს ჩაჰკრა თვალი, შეჩერდა, ნიკაპზე ხელი ჩამოისვა, გასაპარსი ვყოფილ-ვარო, გაიფიქრა და შუმაბანდში შებრუნდა.

პლაში და პიჯაკი ლოგინზე მიაგდო, ჩაიდნით თბილი წყალი გამოიტანა, ყელთან პირსახოცი ჩაიფინა და საპნის ქაფვას შეუდგა. ღრანჭიანად გასაპნულმა აივნის ბოძზე სამუდამოდ მიჭედებულ ძველ ქამარს სამართებელი რომ დაუსვა, შენიშნა რომ ჭიშკარს ზემოდან გადმოუყო ვილაცამ ხელი და ასასხლეტს დაუნყო ძებნა.

გ ი გ ა – ქვევით! უფრო ქვევით და მარჯვნივ!

ღია კარებში მარჯვენა თვალზე შავი ტყავის რიდეაკრული, დაბალი, თითქმის უკისრო, კაცი დგას, თავზე ულაზათოდ გრძელკეპიანი ბუკლეს ქუდი ახურავს.

გ ი გ ა – ამობრძანდით ზევით! მე ბოდიში, ვერ გეახლებით ერთნუთს!

სტუმარი დაუპატიჟებლად მშვენივრად მიიკვლევს გზას. პარმალს რომ მოადგა, გიგამ მაშინვე იცნო უშანგი ჭეღია.

გ ი გ ა – მაპატიე, უშანგი ბატონო, ამ წუთში ჩამოვიბან – გიგა წამოდგა, მაგრამ სტუმარმა ორივე ხელით დაიჭირა და თითქმის ძალით დასვა სკამზე.

უ შ ა ნ გ ი – რავა გეკადრება. შენ მშვიდად იპარსე, რაღაცა ორი სიტყვა მაქვს სათქმელი, დამჯდარს გეტყვი თუ გაქცეულს, სულ ერთია ჩემთვის, – გიგამ ფანჯარაში გადაიხედა – ისე, ხეხილი შენც დაგბერებია, ჩემი არ იყოს, ის გადაბელილი – ქლიავია? ონკანთან, მარჯვნივ.

გ ი გ ა – კორკიმელი. – გიგა პარსვას განაგრძობს.

უ შ ა ნ გ ი – გახმა?

გ ი გ ა – თითქმის. გადაბელეო მირჩიეს.

უშანგი – რაია კორკიმელი, არაფერი არაა. მე შენს ადგილას ამოვიძირკვავდი და თეთრ ბალს ჩავრგავდი, ან ატამს. მარა ატამიც გლახა მოსავლელია, ეს ოხერი, სამი ძირი მიდგას და ტანი ვერ აიყარეს, დაკონდა სამივე.

გიგა – მოვლა უნდა, უშანგი ბატონო. სულ აქ უნდა ტრიალებდე და სასხლავ-სარწყავი გეჭიროს ხელში. ახლა ისეა ნამხდარი ყველაფერი, რომ უპატრონოდ ბალახიც კი არ ამოდის მიწიდან. დრო გინდა კაცს და ხალისი. მე, სიმართლე გითხრა, არც ერთი მაქვს და არც მეორე. – ნელ-ნელა სამართებლის ჩამოსმასა და ჩამოსმას შუა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად მიუგო მასპინძელმა, თუმცა მშვენივრად ხვდება, რომ მისი გადაბელილი კორკიმელის ბედი ამჯერად უშანგი ჭედიას ყველაზე ნაკლებად აინტერესებს.

უშანგი – უკანაც ხომ გაქვს შენ ეზო?! – კვლავ შორიდან უფლის სტუმარი.

გიგა – არა კაცო, სადაა. უკანა ეზო ახლა წაიღეს?

ცოტა ხანს ჩუმად ისხდნენ, გიგამ პარსვა რომ დაამთავრა და წამოდგომა დააპირა, სტუმარმა მოსამზადებელი პერიოდი დამთავრებულად ჩათვალა და საქმეზე გადავიდა.

უშანგი – ფულის დარიგება დაგინწყია, გიგა ბატონო – ამ კითხვაში ბევრი რამ იგულისხმება და სხვათა შორის ისიც, რომ მე შენს მხარეს ვარ და ამ საიდუმლოს ჩემგან ვერავინ გაიგებსო.

გიგას გაეცინა.

გიგა – კი დავინწყე, უშანგი ჩემო, რა მექნა აბა.

უშანგი – გამოდის რამე? – მექუდემ ცალი თვალი მოჭუტა და წინ გადმოიხარა.

გიგა – ძალიან სარფიანი საქმეა – გიგამ სიცილს უმატა, და პირსახოცი მხარზე გადაიგდო, წამოდგა და სტუმრის შეთქმულივით დაყურსულ სახეს რომ შეხედა, სწრაფადვე დასერიოზულდა.

გიგა – ხომ ვთხოვე იმ ქალს, არ გაახმაუროთ ეს ამბავი თქვა.

უშანგი – ჩემი იმედი გქონდეს, გიგა ბატონო, – გულზე ხელი მიიდო მექუდემ, ირგვლივ მიმოიხედა და ხმას დაუნია – სახამბერიძეები ჩემი შორებლები კი არ არიან. ერმინეს და მე ერთი ძუძუ გვაქვს ნანოვი.

გიგა – რა მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არ მინდა ქვეყანამ გაიგოს. არ მიყვარს გახმაურებული საქმე. – გიგა ფანჯარას გადაეყუდა და ხელისგულზე ჩაიდნის წყალი დაისხა. უშანგი წამოხტა და ჩაიდანი გამოართვა.

გიგა – იყოს, იყოს, მე თვითონ... რაზე წუხდები... დიდი მადლობა...

მასპინძელმა პირისახე შეიმშრალა, პიჯაკი ჩაიცვა და კიროვის სურათს მიმტერებულ მექუდეს გვერდით დაუჯდა.

უშანგი – რასაკვირველია, ერთხელ ვთქვი იმისი არ იყოს... გახმაურებული საქმე ეშმაკისაა – მაგრამ ერთი კაცი მაინც გჭირდება ამ საქმეში, მარტო გაგიჭირდება... მე ასე ვფიქრობ, ჩემი ჭკუით – უშანგს ხელები ბარძაყებში ჩაუნყვია და გაქვავებულივით ზის.

გიგა – რა კაცი?

უშანგი – შენიანი... ვინმე... ერთგული... უღალატო... ვთქვი მისი არ იყოს.

გიგა – ხუმრობ უშანგი?

უშანგიმ ხმა არ გასცა.

გიგა – რად მინდა კაცი, მე ფულს კი არ ვჭრი, შე კაი ადამიანის შვილო!

უშანგი ჭედიას არც ამ პასუხმა შეუცვალა იერი. იცის, რომ მასპინძელი ასე ადვილად არ ენდობა.

უშანგი – დამიჯერე, გიგა, ჩემზე ერთგულ კაცს ვერ იშოვი. არ გინდა ჩემთან მასეთი ლაპარაკი.

გიგა – რა ლაპარაკი! შენ ხომ სრულ ჭკუაზე ხარ, თუ ძმა ხარ, ამ დილით?!

გიგას სიბრაზისაგან ცივმა ოფლმა დაასხა.

უშანგი – რა გაყვირებს? – უშანგიმ ჭიშკრისკენ გაიხედა – მე, შენთვის გეუბნები, რომ ჩავარდე. ხომ უნდა გყავდეს

კაცი... ჭირისუფალი ვინმე... პერედაჩის მომტანი. თუ გინდა, წილშიც არ გამოვალ, სამ პროცენტზე ვიქნები.

გ ი გ ა – რა წილი, რისი წილი... – გიგას ჭიანჭველებმა დაურბინეს სხეულზე, ყელში ბურთივით რალაც მოანვა და თითები ერთბაშად გაუცივდა – რა მაქვს საწილო. შე კაი კაცო. შენ იცი? რომ მე ის ორიათასი მანეთი თხუთმეტი წელი ვაგროვე?

უ შ ა ნ გ ი – ვისთვის? უშანგიმ სხვათა შორის ჩაუგდო.

გ ი გ ა – ჩემთვის.

უ შ ა ნ გ ი – თხუთმეტი წელი შენთვის აგროვე და მერე სახამბერიძეს მართავი საჩუქრად ხომ? – მექუდემ საზარლად ჩაიცინა და ხელები მუხლებზე დაიწყო – ვინ ჭამს ამას, ჩემო გიგა. რალაც მართალს ხომ უნდა ჰგავდეს. ვთქვი მისი არ იყოს.

გ ი გ ა – მკვდარი დედის სულს გეფიცები, თუ ასე არ იყოს, – გიგას ხმაში მუდარა ისმოდა და ცალთვალამ მთელი საუბრის მანძილზე პირველად შეხედა მასპინძელს.

უ შ ა ნ გ ი – რავა გინდა, აბა აწი?

გ ი გ ა – რა აწი?

უ შ ა ნ გ ი – ხვალღიდან ისევ დაიწყებ ფულის შეგროვებას? თუ შეეშვები ამ საქმეს? დიდი დრო კი უნდა, მართალი ხარ, ახლა ერთი თხუთმეტი წელი უნდა ელოდოს ერმინე სახამბერიძე სანამ კიდევ ორიათას მანეთს მიუტანდე, ხომ?! – გიგას არასოდეს არ სმენია ასეთი სიცილი. მექუდე კი არ იცინოდა თითქოსდა, ყეფდა. თოხივით კბილებს აელვებდა და მთელი ტანით ძიგძიგებდა.

გ ი გ ა – არ გჯერა ხომ? – ლამის ტირილით ჰკითხა მასპინძელმა.

უ შ ა ნ გ ი – რავა არ მჯერა. მაგისტანეები მჯერა? მჯერა აბა არა?.. თუ გჯერა, მეც მჯერა... – უშანგიმ თვალთან ორი თითი მიიტანა, ჯერ უპეები მოიფხანა, მერე მსხვილი დაფანჩული წარბები გაისწორა და წამოდგა.

უშანგი – მე ჩემი გითხარი და აწი შენ იცი. კარგად იყავი აბა... თუ რამე გადანყვიტო, ისევ იქ ვმუშაობ, მწვანეყვავილაზე. იცოდე, კარგი მინდა შენთვის – ამ ლაპარაკით ჩავიდნენ ეზოში და ჭიშკარს რომ მიადგა, მექუდემ სინანულგარეული ხმით ერთხელ კიდევ ჩაუკაკუნა მასპინძელს: – ამხელა საქმეს მარტოკაცი ვერ მოერევა... ვთქვი მისი არ იყოს, შენ ახლა ბავშვი აღარა ხარ. სანერვიულო საქმეა ეს... არ მეგონა, თუ მეტი არ ვიყავით ჩვენ ერთმანეთისთვის. მეტს არ მენდობი, შე კაცო?

გიგა ხაჩიძეს ჭიშკრის მიგდებაც დაავიწყდა, ერთხანს გადაბელილ კორკიმელს დაეყრდნო სულის მოსათქმელად, სახეზე წყალი შეისხა და ქუჩაში რომ გამოვიდა, თავიც არ აუნევია მუზეუმამდე.

პროვინციული ქალაქის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. ექსპოზიცია – კაჟიანი ნანვეტებული ქვები, დინოზავრის ჩონჩხი, ეროვნული ნივთები. ორ ბებერ გერმანელს უხალისოდ უხსნის რალაცას ხელჯოხიანი გიგა ხაჩიძე, ჩქარა გარბის ექსპოზიციიდან ექსპოზიციისკენ, რომ სტუმრები ძლივს ეწევან. აშკარად ეტყობა უგუნებობა.

ღამეა. გიგას სანოლთან მაგიდის ნათურა ბჟუტავს. გიგას სძინავს, „გიგა!“ დაიძახა ვილაცამ. მასპინძელს მაშინვე გამოელვია.

– გიგა! გიგათქვა! არ გესმის შეენ! – ჭიშკართან ერმინე სახამბერიძე დგას.

გიგა – ახლავე!

ფოსტლებში ფეხი ტუცა და ფანჯარას ხელი ჰკრა.

გიგა – ამ წუთში, ბატონო, რომელი ხარ?!

ერმინე – გვნახე ერთი აქეთ, თუ შეიძლება.

გარეთ ბნელა და კოკისპირულად წვიმს. გიგამ ნიფხავ-პერანგზე სანვიმარი წამოიხურა და ეზოში ჩაფლატუნდა. მალე თავიდან-ფეხებამდე გალუმპულ, მაღალ-მაღალ, თავგისფერსვიტრიან წვერულვაშგაბუძგულ კაცს შემოუძღვა.

სინათლეზეც ვერ იცნო და შარვალს რომ იცვამდა, ერთხელ კიდევ მოუბოდიშა.

გიგა – ჩამძინებია; ეს ოხერი. ვერ ვარ რალაც კარგად დიდხანს იძახეთ?

დაბრძანდით – სკამი მიუჩოჩა.

ერმინემ გრუზა თმანვერიდან წყალი ჩამოიწურა და ტაბურეტის სკამზე ცალფად ჩამოჯდა.

ერმინე – ერმინე გახლავართ მე სახამბერიძე.

გიგა – რას ლაპარაკობთ?! – გიგას თვალები გაუბრწყინდა და ხელი ღონივრად ჩამოართვა – კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა, ბატონო ერმინე.

ერმინე – მაღლობელი ვართ გუშინდელი ამბის, რასაკვირველია – ღერღვევა ერმინე და ხელებს იფშენეტდა – მაინტერესებდა რალაცა ჩემთვის... ვითომ და ბოდიშს კი ვიხდი ასე გვიან შეწუხებისთვის, მე ვთქვი... ასე ადრე რავა დანვებობდათქვა.

გიგა – პატარა თვალს მოვატყუებ მეთქი და მიმძინებოდა, ბატონო. რალაცა ვერ ვიყავი ხასიათზე, თორემ სადაა ძილი. გამოვყრუვდი ამ სახლში მარტო. ე, იმ კატის მეტი არ მიჭყავის არაფერი.

ერმინე – ჰო... რა ვიცი... ზოგი, აბა, მე გეტყვი შენ, პირიქითაა. ერთი მარტო დამტოვა და ამ ბოვშვების ჯიჯღინი არ გამაგონა, არ მინდა არაფერი თქვა, ჩემთვის ვიტყვი, ხანდახან.

გიგა – რავა გეკადრებათ, ხუთი ბავშვის ფასი რაა ოჯახში – მასპინძელმა იგრძნო, რომ იმას მაინც არ ლაპარაკობდნენ, რაც უნდა ეთქვათ და ერთბაშად მოიწინა.

ერმინე – გიგა, ბატონო, თქვენ რომელი ხაჩიძის ხართ? – სტუმარმა ისე ამოიხვნეშა, თითქოს გული ამოაყოლაო.

გიგა – არ გეცოდინებათ, მამაჩემი ადრე დაიღუპა. რაში გაინტერესებთ, ერმინე ბატონო?

ერმინე – არაფერი... ისე... – ერმინემ ცხვირსახოცი ამოიღო და შუბლზე გაისვა.

ერმინე – სულ არაობას, რად უნდა ლაპარაკი, ორიათასი მანეთი სჯობია, მაგრამ...

გიგა – რა მაგრამ, ერმინე ბატონო? – მასპინძელი სმენად იქცა.

ერმინე – რა და... კი არ უნდა ვამბობდე. მაგრამ, გითხრათ სიმართლე, ცოტა მეტს ველოდი.

გიგა – რატომ ელოდით ცოტა მეტს? – გიგა აიმრიზა.

ერმინე – მეკუთვნის და იმიტომ. ჩემი ცოლი რვა წელიწადი ძაფსალებში ჯახირობდა. რავარი ჩასანყობია აბა, ნახეთ ერთი, ცხელ მდულარეში ხელები. საკეცსაც ვერ იკავებს წესიერად ახლა, ნაკვერცხლის ასაღებად. მე ვარ და კარებში დამაყენეს სალ-სალამათი კაცი. თუ მაგენი მანქანაზე დასმას არ მიპირებენ, მეტი უნდა გამოეგზავნათ.

გიგა – ვინ მაგენს?

ერმინე – მთავრობას.

გიგა – რა შუამია მთავრობა?!

ერმინე – კი, ახლა ასე ითქმის. კაცის გადაგდებაზე ადვილი არაფერია. ორიათასი მანეთი მირჩინს ხუთ ბავშვს?

გიგა – ჩემგან რა გნებავთ, ბატონო ერმინე? – გიგა ხაჩიძეს კეფა აენვა და ყურებმა შუილი დაუნყო.

ერმინე – შენგან არაფერი. მე იმასთან მაქვს საქმე ვინც ფული გამოგატანა, მე, შე კაი კაცო, ყრუ კი არა ვარ. ახლა რაკი შოფერი ვარ, არ მეცოდინება ვითომ ამ ქვეყნის არაფერი? ვინ სულელი გააჩერებდა სიჩქარეში ჩაუგდებლად აღმართზე მანქანას. სიჩქარეშიც იყო და ხელის მუხრუჭიც ამოჭიმული მქონდა, იქვე არ სწერია ექსპერტის დასკვნაში? ილბალია ყველაფერი ამ ქვეყანაზე. რაღა მე უნდა მომსვლოდა მაინცდამაინც.

გიგა – ჩემო ერმინე, მე არაფერი ვიცი. მე მთავრობასთან საქმე არა მაქვს. ჩემი ფული მოგიტანე და გაჩუქე. ჩემი ნაგროვები ფული. არ გითხრა მეუღლემ?

ერმინე – კი ბატონო, ჩვენ ასე გაუგებრები კი არ ვართ. გვესმის ყველაფერი. მაგრამ მე იმაზე მწყდება გული,

რომ რატომ კაცო, სხვას უარესი ემართება და ახალ მანქანაზე სვამენ. მე რა ქვა გავტყხე. მე თვითონ გავარემონტებდი, რამა მთელია და ძრავასაც არაფერი სჭირს ისეთი. რადიატორია მარტო გამოსაცვლელი.

გიგა – ალბათ ცოტა ხანს კარისკაცად გამოუშვებენ და მერე მოგცემენ მართვის უფლებას. თვითონ იციან თავისი საქმე. კი არ ვიცი, როგორია წესი.

ერმინე – მე რაკი ახლა ამ ორიათას მანეთს დამაჯერეს, მაგენი ჩემთვის საბუთების დამბრუნებლები და საჭისმდობლები აღარ არიან.

გიგა – რატომ არ გინდათ გაიგოთ, იმ ორიათას მანეთს არავისთან არა აქვს კავშირი. ჩემი ჯიბიდან მოგეცით. ღმერთმა ალაღად მოგახმაროთ.

ერმინე – ერთს ვიტყვი მე, – მცირე პაუზის შემდეგ თავი ასწია ერმინემ.

გიგა – ბრძანეთ.

ერმინე – იმ ორიათას მანეთს არ უნდა მოყოლოდა რამე საბუთი? კვიტანცია, სიტყვაზე, მაგალითად? ხელი არაფერზე იყო მოსაწერი?

გიგა – ისევ თქვენსას ამბობთ?! – გიგას ნერვები დაანყდა – თქვენ ჩემი სიკვდილი ხომ არ გინდათ. რა კვიტანცია, ჩემი ჯიბის ფული მოგართვით. წადით და იკითხეთ სადაც გინდათ!

ერმინე – რას მიყვირი, თუ ძმა ხარ, შენ?! – ერმინე წამოდგა – თვალში ხომ არავის ვეპატარავები აქანა. ჯერ წესიერად გელაპარაკებით და მერე ვიკითხავთ, აბა რას ვიზამთ. ჩვენ გზაც ქე ვიცით და კვალიც.

ტყვიდან გამოვარდნილი აღარავინაა დღეს.

გიგა – ვირო მაღლიო, ასეა ხომ ბატონო ერმინე? – გიგა ძლივს სუნთქავდა.

ნესტოები დაჰბერვოდა და ცხვირი გათეთრებოდა.

ერმინე – კი ნუ გწყინს, პირდაპირი ლაპარაკი, თქვენ, ნასწავლ ხალხს, ნერვები ჩვენც გვაქვს. ნუ გემინიათ, ანგე-



ლოზეები არ ხართ არც თქვენ. მე არაფერს არავის ვაბრალებ, მაგრამ არის შემთხვევები. არ არის?

გიგა – რა შემთხვევები?

ერმინე – რა და ოთხასი მანეთი რომ გამოუყვეს კაცს და ორასი მომტანმა რომ გადალუნა. ფული მწარეა, მე თქვენ კი არაფერს გაბრალებთ, მაგრამ გარკვევა უნდა ყველაფერს. არ გენწყინოთ, ძმებშიც კი მოდის ანგარიში და ჩვენ რა ვართ, ერთმანეთისთვის? არაფერი.

გიგა – მიბრძანდით და გაარკვიეთ, სადაც გაგეხარდებათ! – გიგამ თავისი ხმა ვერ იცნო. საფეთქლის ძარღვები უხტოდა და ნესტოები დასკდომაზე ჰქონდა.

ერმინე ფანჯარასთან მივიდა, შემობრუნდა და ცხვირი ყურთან მიუტანა მასპინძელს.

ერმინე – ერთი ეს მითხარი, ჩემს ცოლს იცნობდი ადრე?

გიგა – რომელ შენს ცოლს?

ერმინე – რომელსაც მიუტანე ფული, აბა სხვა არ მყავს მე.

გიგა – პისტის?

ერმინე – ჰო.

გიგა – არ ვიცნობდი. პირველად ვნახე – გიგა ხაჩიძე მიხვდა, საითკენ გადაუკაკუნა სტუმარმა... არ გრცხვენია ერმინე? კაცი მგონიხარ შენ მე.

ერმინე – ვინცაა ჩვენ შორის კაცი, იმას გაარკვევენ, სადაც ადგილია. მე კაცი ვარ, თუ პროპკა არავის საქმე არაა მაგი. არაფერი არ დაიმალება ქვეყანაზე, იცოდე ეს... არ დაიმალება არაფერი – გაცრით, სისინით, დაქადნებით ჩაილაპარაკა ერმინემ და სიბნელეს შეერია.

თავსხმაში თავის ქიშკართან დგას გიგა ხაჩიძე და წყვილადს გაჰყურებს. ვერ გაარკვევთ, ცრემლი თუ წყალი ჩამოსდის ლანვებზე.

მერე ისევ მოწყენილი სახით ვხედავთ გიგა ხაჩიძეს თავის სამუშაო ადგილზე მუზეუმში. ხან ერთ ჯგუფს უხსნის და ხან მეორეს. ხან დინოზავრის ჩონჩხთან დგას, ხან დავით აღმაშენებლის ხმალ-აბჯართან.

ლამით ქალაქი საქარია. კანტიკუნტად მანქანები. ლამპიონები, ხიდები რიონზე. შინ ბრუნდება დაღლილი გიგა ხაჩიძე.

ეზოდანვე შენიშნა, შუშაბანდის კარი ღია იყო. შეშინებით არ შეშინებია (რა ჰქონდა მოსაპარავი), მაგრამ ღრმად დარწმუნებულმა იმაში, რომ დილით კარი გამოიკეტა, სიბნელეს შესძახა.

გიგა – რომელი ხარ?!

წყვდიადს ლანდი გამოეყო და კარებს შიგნიდან მოადგა.

ინსტრუქტორი – სტუმარი ვარ, არ შეგეშინდეს, თუ კაცი ხარ, ახალგაზრდული, უცნობი ხმაა.

გიგამ კიბე სწრაფად აიარა და სიბნელეში ხელის ფათურით, ძლივს მოძებნა ღილაკი.

მის წინ ლამაზად თმაგადავარცხნილი გამხდარი, ცხვირნისკარტა, ტანმორჩილი, სათვალისანი ბიჭი დგას. ოცდახუთიოდე წლის იქნება. თეთრ პერანგზე მსხვილად განასკვული კოპლებიანი ჰალსტუხი უკეთია და პიჯაკის გულის ჯიბეშიც ჰალსტუხისფერი, განგებ ამონეული ცხვირსახოცი უდევს.

ინსტრუქტორი – არ გეწყინოს, თუ გიყვარდე, ხუთი საათია გიცდი, ჩამოვწყდი ფეხზე ეზოში. პატარა რომ წამოწვიმა, მე ვთქვი გადახურულში კიბეზე დავდგებოთქვა. ზურგით მივანექი კარებს და არ გაიღო? ეტყობა ღიად დაგრჩენია ამ დილით. ქე შემოვედი და ვდარაჯობ აგერ შენს სახლს, პატარა საქმეა?

გიგა – კარებს არ ვკეტავ საერთოდ. ვის დავუკეტო? ქურდს ჩემთან ქუდი რომ შემოუგდო არ შემოვა.

ინსტრუქტორი – სწორი ხარ. ქურდმა იცის ვის მიადგეს კარზე.

ყმანვილმა პირადობის მონმოზა რომ აჩვენა, გაუკვირდა, ოთახიდან დაწნული სკამი გამოიტანა და სტუმარს დაუდგა. თვითონ ტაბურეტზე ჩაიმუხლა სმენად იქცა.

ინსტრუქტორი – მიხვდებოდით, ალბათ, რა საქმეზე ვარ მოსული. – ყმანვილმა სათვალე მოიხსნა, დაორთქლა, ცხვირსახოცით გულმოდგინედ განმინდა და გაიკეთა.

გიგა – ვერა? – მასპინძლის უარში უფრო მეტად კითხვა ისმის.

ინსტრუქტორი – ერმინე სახამბერიძე იყო ჩვენთან.

გიგა – მიჩვილა?

ინსტრუქტორი – ჩივილი რა შუაშია. აინტერესებს იმ კაცს, რა, რატომ, რანაირად. შენ რომ იყო მის ადგილას, შენც ასე არ იზამდი?

გიგა – რა აინტერესებს?

ინსტრუქტორი – არ გინდა ახლა ჩემთან ასე ლაპარაკი. გუშინდელი არც შენ ხარ და, მაღლობა ღმერთს, ჩვენს საქმეშიც კარგად ერკვევი. მე პატარა კაცი ვარ, ქე იცი შენ. დამავალეს გაარკვიეო და ხუთი საათია ვყურყუტებ შენს კიბეზე. ძალიან კარგად იცი, რაც აინტერესებს სახამბერიძეს.

გიგა – ხომ ავუხსენი ყველაფერი. თქვენთან რა უნდოდა?

ინსტრუქტორი – ჩვენთან რომ მოვიდა, უნდა გიხაროდეს. აბა ის გირჩვენოდა მილიციაში და სასამართლოში წასულიყო? გავარკვევთ აგერ ყველაფერს, მოვახსენებ უფროსს. დაიბარებენ სახამბერიძეს, აუხსნიან საქმის ვითარებას და მორჩება საქმე. ასე არ ჯობია? – სათვალნიანმა ეს ბოლო სიტყვები არაჩვეულებრივი ექსტაზით წარმოსთქვა.

გიგა – მე გასარკვევი არაფერი მაქვს. ჩემი დანაზოგი, ხელფასზე გადანარჩენი ორიათასი მანეთი მივუტანე წვრილშვილიან, ხელმოკლე ერმინე სახამბერიძეს და ვაჩუქე. არ შეიძლება?

ინსტრუქტორი – რა?

გიგა – ჩუქება.

ინსტრუქტორი – ვთქვი მე არ შეიძლება-მეთქი? რა ნიშნისმოგებით მელაპარაკები, შე კაცო. რატომ გაქვთ ყველა რეაბილიტირებულს ერთნაირი ტონი?

გიგა – თუ მიცნობთ მე თქვენ, მაშინ ისიც გეცოდინებათ, რისთვის ვარ რეაბილიტირებული.

ინსტრუქტორი – კი მაგრამ, რატომ გგონიათ რეაბილიტირებულებს, რომ ხელმეორედ თქვენი დაჭერა არ შეიძლება, თუ რამეს დააშავებთ, რასაკვირველია.

გიგა – ჩვენ უკვე ვიჯექით, სხვის მაგივრად, კაი ხანს და შენ ცოტა სიტყვებს დაუკვირდი, თუ ძმა ხარ. შენნაირი აღმასკომის ინსტრუქტორებიც მინახავს ოთხზე გაკრული.

ინსტრუქტორი – რა ვთქვი ახლა მე ისეთი – ინსტრუქტორმა ჩაიცინა და ფეხი-ფეხს გადაადო – ჩემი შეცდომა რა არის იცი? მე რომ მოვედი ჩემი ფეხით. უნდა გამომეგზავნა მანქანა, უნდა ამომეყვანე იქ და მაშინ სხვანაირ ხმაზე ილაპარაკებდი.

გიგა – შენ კრუხის თავი ხომ არ გიჭამია თუ ძმა ხარ დღეს. შარს არაფერს შემამთხვიო, საშენო ნერვები კაი ხანია დამაწყვიტეს. თქვი რა გინდა და გაათავე! – თავი ვერ შეიკავა გიგამ.

ინსტრუქტორი – ესე იგი დანაზოგი ფული მიუტანე ერმინეს?

გიგა – დიახ.

ინსტრუქტორი – საჩუქრად?

გიგა – საჩუქრად.

ინსტრუქტორი – თუ იცნობ სხვას, ვინმეს, ვისაც ასე შენსავით ფული ეგროვებინოს და მერე სხვისთვის ეჩუქნოს?

გიგა – არა.

ინსტრუქტორი – შენი ძმაკაცებიდან ხომ არავინ აპირებს ამის გაკეთებას?

გიგა – არ ვიცი.

ინსტრუქტორი – აბა კარგად გაიხსენე.

გიგა – ვერ ვიხსენებ.

ინსტრუქტორი – შენ თვითონ გადანყვიტე სახამბერიძეს დახმარებოდი, თუ გირჩია ვინმემ?

გიგა – მე თვითონ.

ინსტრუქტორი – რაღა ერმინე ამოარჩიე.

გ ი გ ა – ვერ გავიგე?

ი ნ ს ტ რ უ ქ ტ ო რ ი – რალა ერმინე სახამბერიძეს მიუტანე მაინცდამაინც ფული და არ მიუტანე ვთქვათ, ვასო ხურცილავას. შენგან მეხუთე მოსახლეა ამ ქუჩაზე. იმასაც ხუთი შვილი ჰყავს.

გ ი გ ა – არ მინდოდა ნაცნობთან მიმეტანა. თანაც ვასო ხურცილავას ღმერთმა მისცეს და არაფერი უჭირს ჩემი დასახმარებელი.

ი ნ ს ტ რ უ ქ ტ ო რ ი – ერმინეს იცნობდი ადრე?

გ ი გ ა – არა.

ი ნ ს ტ რ უ ქ ტ ო რ ი – მის ცოლს?

გ ი გ ა – არც მის ცოლს.

ი ნ ს ტ რ უ ქ ტ ო რ ი – ვინ მიგასწავლა ერმინესთან?

გ ი გ ა – არ ვიცნობ. ქუჩაში მიმავალს ვკითხე, თუ ცხოვრობს აქ ვინმე წვრილშვილიანი, ხელმოკლე კაცი-მეთქი.

ი ნ ს ტ რ უ ქ ტ ო რ ი – რას ეძახი ხელმოკლეს?

გ ი გ ა – ერმინე სახამბერიძისთანა ოჯახს.

ი ნ ს ტ რ უ ქ ტ ო რ ი – რომ მიხვედი, მისმა ცოლმა თვითონ გითხრა გვიჭირს და დაგვეხმარეო?

გ ი გ ა – არ უთქვამს.

ი ნ ს ტ რ უ ქ ტ ო რ ი – არ გვიჭირსო გითხრა?

გ ი გ ა – მე არ მიკითხავს.

ი ნ ს ტ რ უ ქ ტ ო რ ი – აბა? მიიხედ-მოიხედე, რაკი შეატყვე, რომ ჭერზე ძვირფასი ჭალი არ ეკიდა, დაასკვენი ამ ოჯახს უჭირსო, შეუკუშნე ორი ათასი მანეთი ლეიბსქევმ და გამოიქეცი?

გ ი გ ა – ლეიბსქევმ თვითონ შეკუშნა. მე ხელში მივეცი.

ი ნ ს ტ რ უ ქ ტ ო რ ი – დათვალა?

გ ი გ ა – კი.

ი ნ ს ტ რ უ ქ ტ ო რ ი – ნაჩუქარ ფულს რა დათვლა უნდოდა. ვთქვათ, ათი მანეთი აკლდა, არ მოკიდებდა ხელს?

გ ი გ ა – არ ვიცი.

ი ნ ს ტ რ უ ქ ტ ო რ ი – რატომ დათვალა, თუ იცი?

გიგა – არ ვიცი.

ინსტრუქტორი – არც იმ კაცის სახე გახსოვს, ვინც ერ-  
მინესთან მიგასწავლა?

გიგა – მახსოვს.

ინსტრუქტორი – ?!

გიგა – ცხვირზე მეჭეჭი ჰქონდა და ცალი ულვაში მწვანედ  
შეღებოდა.

ინსტრუქტორი – მე სერიოზული კაცი მგონიხარ. რას  
გლახაობ.

გიგა – არ დაგკვირვებიავარ... რა ვიცი... ხელმეორედ რომ  
შემხვდეს, შეიძლება ვიცნო.

ინსტრუქტორი – რატომ უთხარი, მარტო მინდა თქვენ-  
თან დარჩენაო?

გიგა – ვის?

ინსტრუქტორი – პისტის.

გიგა – არ მინდოდა, ბავშვებს ფული დაენახათ.

ინსტრუქტორი – მაგაობა გითხრა პისტიმ?

გიგა – არ უთქვამს.

ინსტრუქტორი – რატომ არ უთქვამს, თუ იცი?

გიგა – არ ვიცი. ეს მისი საქმეა.

ინსტრუქტორი – თუ გაინტერესებს, მე გეტყვი. რაც შენ  
გააკეთე, სიკეთე არ არის. ან უფრო სწორად, გულუბრყვი-  
ლო სიკეთეა. მე ძალიან მინდა დავიჯერო, რომ შენ მარ-  
თლა და მართლა უბრალოდ, არაფრის გულისთვის ხელის-  
გასამართავად აჩუქე ფული სახამბერიძეს, მაგრამ ვერ ვი-  
ჯერებ. შენ კარგად იცი, რატომ. ეს ყველაფერი შეთხზულს  
და მოგონილს ჰგავს. ადამიანები კარგა ხანია გადაეჩვივნენ  
ასეთი „სიკეთეების“ ჩადენას. შენ თუ სახამბერიძის პატივ-  
ისცემა გინდოდა, რალაც სხვა ფორმით უნდა გეცა. მე ახლა  
ისე გელაპარაკები, თითქოს, შენ რაც მითხარი, ყველაფერი  
მართალი იყოს. არ გიფიქრია იმაზეც, რომ პისტი და ერ-  
მინე ჩათვლიდნენ, თითქოს შენ ეს ფული კი არ აჩუქე, არ-  
ამედ მთავრობამ დააჯილდოვა და შენი ხელით გაუგზავნა?

გიგა – არ მიფიქრია.

ინსტრუქტორი – ჰოდა, ის კაცი, ვერაფრით დავარწმუნეთ, რომ შენ მისი ფულის ნაწილი არ მიგითვისებია.

გიგა – ეგ ყველაფერი მის კისერზე იყოს. მე არ მაინტერესებს რას იფიქრებს ჩემზე ერმინე სახამბერიძე.

ინსტრუქტორი – არა ხარ მართალი. შენ მას ფული სწორედ იმიტომ მიუტანე, რომ ძალიანაც გაინტერესებს, რას იფიქრებს შენზე ერმინე სახამბერიძე.

გიგა – ეგ თქვენი აზრია.

ინსტრუქტორი – რა ხნის ბრძანდებით?

გიგა – ორმოცდათვრამეტის.

ინსტრუქტორი – მერე ამ ხნის კაცმა როგორ არ იცით, რომ თქვენს უაზრო ხელგაშლილობას დღეს ვერავინ გაიგებს. ახლა სხვა დროა.

გიგა – რა დროა?

ინსტრუქტორი – რა დროა და ხალხოსნური ქველმოქმედება მოდაში აღარ არის. კაცისთვის ორიათასი მანეთის ჩუქებას დღეს დამცირების, შეურაცხყოფის ელფერიც ახლავს.

გიგა – ეგ თქვენი აზრია, სიკეთეს მოდა არ გააჩნია.

ინსტრუქტორი – აბა, კარგად დაფიქრდით. ხომ შეუძლია თავმოყვარე კაცს – ერმინე სახამბერიძეს – გითხრათ; ვინ არის შენი ორიათასი მანეთის მათხოვარიო.

გიგა გაჩუმდა.

სტუმარი წამოდგა.

ინსტრუქტორი – საერთო სურათი ჩემთვის ნათელია. ცოტა რალაცებია კიდევ დასაზუსტებელი და, შეიძლება, ჩვენთან შემოვლამ მოგინიოთ ერთხელ. კარგად ბრძანდებოდეთ – თქვა მან, კარს უკან, კუთხეში მიდგმული პატარა შავი ჩემოდანი აიღო და კიბე მსუბუქად ჩაირბინა.

გიგას რალაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ვერ მოასწრო. ინსტრუქტორი სწრაფად გაუჩინარდა. ქვაფენილზე დიდხანს ისმის მისი ფეხსაცმლის ავისმომასწავებელი პაკი-პუკი.

გიგა სახტად დარჩა. გაოგნებული, გაოცებული, გამწყრალი.

შინ შემობრუნდა. ოთახში გაიარ-გამოიარა. დედ-მამის სურათს შეხედა. კარადიდან ყულაბა აიღო. ერთხანს დასცქეროდა. მერე მოიქნია და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, იატაკს დაანარცხა. ყულაბა დაიმსხვრა. სასწაულებრივად გადარჩენილი ლომის თავი დიდხანს ირწევა საათის ქანქარასავით.

ლომის თავის რწევაში ფილმის მუსიკალური ლაიტმოტივი შემოდის და ისევ ტაიგაში ვბრუნდებით. მიქრის მარხილი. შიო და იგორი რალაცაზე კვლავ საუბრობენ. ირმების ფეხებით ატეხილი თოვლის კორიანტელი მიდამოს ეფენება. მარხილი გვშორდება.

### **ტიტრი: „იმედო“, ნოველა**

იმედო –

დედა –

სილიბისტრო ხარაძე –

მუნჯი –

ქალაქი საქარია. დილა. კონდრიანი კოპნია ეზო. ეზოში ლამაზი იმერული სახლი. ოთახიდან ოთახში გარბი-გამორბის ახალგაზრდა კაცი იმედო ფარცვანია. ჩანს ძალიან ერქარება. დედამისი უკან დასდევს ხან გაუთავებულ შარვალს მიაწვდის, ხან ჭიქა რძეს და პურს. როგორც იქნა გამოენყო იმედო და წელში უცნაურად გამართული, თავანუელი, მხნე ნაბიჯებით გამოდის ქუჩაში. მთელ ამ სურათს ახლავს კადრს გარედან სადილო განწყობილების შესაქმნელი მხიარული, ტემპიანი მუსიკა და შიოს ხმა:

შ ი ო – იმედო ფარცვანიამ დიდხანს იცადა და როგორც იქნა გუშინ დაინერა მისი დანიშვნის ბრძანება. დღეს პირველად მიდის სამსახურში. ერქარება. გუშინ საამქროს უფროსმა საგანგებოდ გააფრთხილა – არაფერს შენგან არ მოვიტხოვთ, სამსახურში დროზე მოსვლის გარდაო.



თუ დაგვიანებას დაინყებ, ახლავე დავშორდეთ ერთმანეთსო. უკეთესს რას ეტყოდნენ, არდაგვიანებაზე ადვილი რა არის.

საქმიანი კაცის მხნე (ცოტა არ იყოს სასაცილო) ნაბიჯებით მოდის ქუჩაში იმედო. ალბათ მეტი სერიოზულობის მისაღებად ხელში საეჭვოდ მსუბუქი პორტფელი უჭირავს.

მკაცრი თმა დიდის რუდუნებით შუაზე გაყოფილი. მომწვანო-მოყვითალო გარდამავალი ფერის კოსტიუმი – შარვალს რომ გარკვევით ამჩნევია ორი ხაზი (ძველი და ახალი განაუთავები). ლურჯმინიანი მზის სათვალეები – შრომა-გასწორების კოლონიის მიერ სერიულად გამოშვებული. ნითელი ნეილონის ჰალსტუხი და ნეილონისვე თეთრი პერანგი. მაღალქუსლიანი და სქელლანჩიანი ტუფლები გაერთიანება „ბალახვანის იბერიის“ სამოდელო ნაწარმი.

ავტობუსის გაჩერებამდე აღარაფერი აკლია. ფურნის ჩასახვევთან, კუთხეში შეჯგუფულ ბავშვებს მოჰკრა თვალი. არ გაჩერდებოდა, ლეკვი რომ არ შეემჩნია. ამ ადგილას არხის ტოტი ჩამოდის ცემენტით ამოლესილი. შედგა და დააყურა, ოთხი ბიჭი ლეკვით ერთობა. ყველაზე მაღალი მათ შორის, ათზე მეტი წლის არ იქნება. გადაადგდებენ გალუმპულ ლეკვს წყალში, საცოდავს ცემენტზე თათები უსრიალებს, ძლივს ამობობლდება ნაპირზე წკმუტუნ-წკაუნკავით, ტანის გაფერთხვას ვერც კი მოასწრებს – სტაცებენ ხელს და ისევ წყალში გადაუძახებენ.

იმედოს გული შეეკუმშა. არც დაფიქრებულა, ლეკვს ხელი სტაცა და ბიჭებს შეუბღვირა:

ი მ ე დ ო – საგლახაო მეტი ვერაფერი ნახეთ?

ბ ი ჭ ი – უპატრონოა, ბიძია! – არ დაიბნა მაღალი.

ი მ ე დ ო – უპატრონოს მოგცემთ მე თქვენ, კლასში არ გაგვიანდებათ?! მოუსვით ახლა აქედან, სანამ არ მომიცია თქვენ-თქვენი ყურები ხელში!

ბ ი ჭ ე ბ ი ტყაპა-ტყუპით ჩაცვივდნენ თავდაღმართში და სკოლის მოსახვევში გაუჩინარდნენ.

იმედომ ჩანთიდან ნეილონის პარკი ამოიღო, ლეკვი შიგ ჩასვა და გულზე მიიკრა.

ლეკვს ამასობაში ჩაეძინა კიდეც და იმედოს იგი, რაც შეეძლო, ფრთხილად მიჰყავდა, რომ მთელი დღის დაღლილი და ნანერვიულები უმწეო არსება არ შეენუხებინა.

დ ე დ ა – ვისია, იმედო, ეს ლეკვი? – დედამ აივნიდან დაინახა.

ი მ ე დ ო – ჩამოდი ჩქარა, გამომართვი! სამსახურში მაგვიანდება. მოდი, შეხედე, დედაჩემო, რა ლამაზია. ბალკონში წყალი დაუდგი და ბორჯომის ცარიელ ყუთში თექა ჩაუფინე. გამოადგი ფეხი, დამაგვიანდა სამსახურში!

დ ე დ ა – ლეკვის თავი გვექონდა, ამისთვის გეცალა ამ დილას შეენ? – ბუზღუნებს შავთავსაფრიანი ქალი და მარქსის მოედნისკენ გაფრენილ შვილს გაჰყურებს.

რასაკვირველია, დააგვიანდა. საამქროს გამგე – სილიბისტრო ხარაძე – ტანდაბალი, ელამი კაცი, რომელსაც თავის ტანთან შედარებით არაჩვეულებრივად ძლიერი ხმა აქვს, კარებთან დახვდა.

ხ ა რ ა ძ ე – ჯერ არ დაგინყია მუშაობა და ასე დამინყე შენ?!

ი მ ე დ ო – ბატონო სილიბისტრო...

ხ ა რ ა ძ ე – არ უნდა „ბატონო“ ამას. არ გთხოვე გუმინ? ყველაფერს გაპატიებ, დაგვიანების გარდა-თქვა, არ გითხარი?!

ი მ ე დ ო – კი მითხარი, – ენა გაუშრა იმედოს.

ხ ა რ ა ძ ე – მერე?

ი მ ე დ ო – ლეკვს ახრჩობდნენ წყალში ბავშვები.

ხ ა რ ა ძ ე – ვინ ბავშვები?!

ი მ ე დ ო – ქუჩის.

ხ ა რ ა ძ ე – რომელ ლეკვს?! – გამოაჯავრა სილიბისტრომ.

ი მ ე დ ო – პატრონი ახლაც არ ვიცი ვინაა. დედაჩემს მივუყვანე სახლში. თუ მოაკითხა ვინმემ, ქე გაატანს.

სილიბისტრომ ჯერ გულიანად გაიცინა, მერე უეცრად ალაგმა სიცილი. იმედოს სერიოზული სახით დააკვირდა და ისევ სიცილი აუტყდა. ახალმა წუნმდებელმა დასჯის წუთები

დამთავრებულად ჩათვალა და კარის შეღება დააპირა, მაგრამ გამგის მქუხარე ხმამ ადგილზე გააცივა.

ხ ა რ ა ძ ე – პირველი და ბოლო იყოს ეს დაგვიანება შენთვის! მაგნაირი სისულელე, ახლა რომ მითხარი, აღარ გამოიგონო, თვარა, ლეკვს მოგცემ მე შენ! არ დაგავინყდეს, პირობით რომ ხარ მიღებული! სანამ სამი თვე შეგისრულდებოდეს, შენს მოსახსნელად არც პროფკომია საჭირო და არც ადგილკომი!

სილიბისტრომ ხმამაღლა, სხვების გასაგონად ლაპარაკობდა; აქაოდა, შემომხედეთ, რა მკაცრი და შეუვალი ვარო. აღმაცერი შუბლი, მომცრო, წინ წამოსული ცხვირ-პირი, ვინრო ბეჭები და თეთრი, გათხლებულ-გადასლექილი თმა, ერთი სიტყვით, საამქროს გამგე ფქვილის ტომრიდან ამოსულ თავგს ჰგავდა.

მეორე დღე. დილა. იმედო ზუსტად ისეა გამონყობილი, როგორც გუმინ, ქუჩაში მიიჩქარის. საქმიანი გამომეტყველებით მოდის. ირგვლივ ყურადღებას აღარაფერს აქცევს. გაჩერებასთან მივიდა. №9 ავტობუსში ჩაჯდა. ავტობუსშიც გაჭიმული, სერიოზული ჩანს.

ვილაც მხარზე შეეხო. ოციოდე წლის, დაბადებიდან თმა-შეუკრეჭავი, ჯინსიანი ყმანვილი მუყაოს ნაგლეჯს აწოდებს.

ი მ ე დ ო – მე? – გამოართვა ქალაღდი იმედომ.

ქ უ რ დ ი – აააა! – თავი დაუქნია ბიჭმა

ი მ ე დ ო – „შმიდტის მეორე შესახვევი, №9“ – ხმამაღლა წაიკითხა იმედომ.

ი მ ე დ ო – შმიდტის ქუჩა საკირესთან არაა? – ჰკითხა იმედომ გვერდით მჯდომს და პასუხს არც კი დაელოდა, ჯინსიანს მიუბრუნდა: – თქვენ ოთხ ნომერს უნდა გაჰყოლოდით, ეს ავტობუსი სხვაგან მიდის.

ქ უ რ დ ი – აააა! – დაიზმუვლა ყმანვილმა, მერე ენა-ყურზე ხელი მიიღო და ჰაერში შეათამაშა (ე. ი. არა მარტო ვერ ვლაპარაკობ, ყურშიც არ მესმისო).

– მუნჯია, ხომ ხედავ, არ ესმის ჩვენი ენა მაგას! – აღმოაჩინა იმედოს გვერდით მჯდომმა.

იმედო შენუხდა.

იმედო – რა ვუყო ახლა, როგორ გავაგებინო, შმიდტის ქუჩას ეძებს და ამ ავტობუსს ბოლომდე თუ ჩაყვა, სულ დაიბნევა. ოთხ ნომერზე უნდა დაჯდე, ოთხზე! – დამარცვლით ჩასძახა იმედომ.

ქურდი – აააა! – ნალვლიანად ამოხედა მუნჯმა და ისევ დაიფარა ხელი ყურზე და ენაზე.

– ისე გეიგონა შენმა დამანწყევარმა, როგორც მაგას ესმის! არა და რა მშვენიერი ბიჭია, რამ დააყრუა ნეტავი ეს უბედური?! – ჩაილაპარაკა ვილაცამ უკანა რიგიდან.

– რამ დააყრუა და გამჩენმა, – უპასუხეს მას.

– ვაი შენს დედას, უბედურს! – შეიცხადა მარტოსკამზე შესკუპულმა ფუმფულა კონდუქტორმა ქალმა.

– უბედური კი არა, მაგაზე ბედნიერი კაცი არაა. მე თუ მესმის ათასი ოხრობა ყოველდღე, იმიტომაა წინ ჩემი საქმე! – უკბილოდ იხუმრა ვილაცამ.

იმედო – ოთხი! ოთხი! – ოთხი თითი აჩვენა იმედომ მუნჯს. ქურდი – აააა! – ჯინსიანს ეტყობოდა, რომ არითმეტიკის ანბანსაც სუსტად იცნობდა.

იმედომ საათზე დაიხედა და მტკიცე გადანყვეტილებით წამოდგა. – წამოდი! გაუღიმა მუნჯს და გასასვლელისკენ გაემართა.

პირველივე გაჩერებაზე ჩავიდნენ. იმედომ ხელი მოჰკიდა და პატარა ბავშვივით გადაიყვანა ქუჩაზე. რატომღაც მიიჩნია, რომ ყრუ-მუნჯი ადვილად შეიძლებოდა ცოტა ბრმაც ყოფილიყო.

მოედნამდე ტროლეიბუსით მივიდნენ, გადასახვევთან ოთხ ნომერში ჩასხდნენ და საკირესთან არც კი იყვნენ მისულნი, რვა საათი რომ შესრულდა. შმიდტის გაჩერებაზე ჩავიდნენ.

იმედო – აქედან გააგნებ სახლში?! – ჩასძახა იმედომ ყურდალუქულ თანამგზავრს.

ქურდი – აააა! – მუნჯმა მუყაოს ქალაღდი დააძრო და ადამის ვაშლზე მოიკიდა საპირფვარედ მომზადებული სამი თითი, ამით აგრძნობინა, – რაკი ამხელა სიკეთე მიყავი, სახლამდე მიმიყვანეო.

იმედო – დამაგვიანდა! გესმის შეენ?! – იმედომ საათზე დაახედა.

ქურდი – აააა! – თავისას არ იშლიდა ყმანვილი.

იმედო – ჯანდაბას შენი თავი, წამოდი, აბა, ჩქარა.

ვანაძეების ლელესთან, ბოგირქვეშ რომ გადიოდნენ, მუნჯი ალაპარაკდა:

ქურდი – რაც გაქვს ფული, ამოიღე ახლა ჯიბიდან და მაინც გაგვიანდება, უკანმოუხედავად გაიქეცი, თვარა იმდენს გირტყამ, ბარაბანს რომ არ მოხვედრია!

სხვათა შორის დამცემი უშეცდომოდ და უაქცენტოდ ლაპარაკობდა.

იმედოს ჯიბეში მხოლოდ და მხოლოდ შვიდი მანეთი აღმოაჩნდა, რამაც ჯინსიანი ძალიან ააღელვა.

ქურდი – შვიდ მანეთზე მეტი თუ არ გიჭყავის ჯიბეში, რად გინდა ამ გალსტუკს რომ იკეთებ, შე უპატრონო. გახსენი ჩანთა. ძველი გაზეთები მაინც ვერ ჩაანყვე, ან პური და ყველი მაინც ვერ წამოიღე? ჩემზე დავსებული ხარ, ვილაცა ხარ. მანახე საათი? რა დროის „პაბედაა“, ახლა ვილას უკეთია ეგ ჯართი, შე გამჩენძალლო, არ ააშენებ, ვილაცასთან მიდიხარ ამ დილას?!

ჯიბიდან დანა ამოიღო, ღილაკი გაატკაცუნა და იმედოს რომ მიუახლოვდა, იმედოს ადამიანის ფერი აღარ ედო.

ქურდი – ნუ გეშინია, – გული გაუკეთა ქურდმა, ჰალსტუხი გამოქაჩა, ნასკვთან ოთხი თითის დადებაზე შეაჭრა და კბილებში გამოსცრა:

ქურდი – შეაყოლე ახლა, უკან არ მოიხედო, რავაც გითხარი, და ქუჩაში გამარჯობის თქმა არ დამინყო, თვარა გამოგჭრი ყრონტს!

იმედო – მესმის, – თავი დაუქნია იმედომ და გზაზე აირბინა. უკან როგორ მოიხედავდა. ასე ეგონა, თითქოს დანიანმა ჯიბგირმა სიცოცხლე აჩუქა.

რასაკვირველია დააგვიანდა. საამქროს გამგე სილიბისტრო ხარაძე, ტანდაბალი, ელამი კაცი, რომელსაც თავის ტანთან

შედარებით არაჩვეულებრივად ძლიერი ხმა ჰქონდა, კარებთან ელოდებოდა.

ხარაძე – ეს ხარ სულ? ესაა შენი პირობა? წადი, ძმაო, შენ შარს გადამკიდებ რალაცას! შენი გულისთვის სმენა ვერ გაფუჭვი სახლში! გაათიე აბა შენ, რავარი გასათევია ღამე!

იმედო – სილიბისტრო ბიძია...

ხარაძე – კი, სილიბისტრო მქვია.

იმედო – ბანდიტი დამესხა თავზე!!

ხარაძე – რააო? ახლა მაგას ვჭამ მეე? სად იყო, ბიჭო, ბანდიტი ამ ცხრა საათზე?!

იმედო – ა ნახე, გალსტუკი შემაჭრა! – იმედომ შუაზე გაჭრილი ჰალსტუხი ამოიღო.

სილიბისტრო ხარაძის სიცილმა იქაურობა გააყრუა, მაგრამ, როგორც იცოდა, უეცრად მოგუდა სიცილი.

ხარაძე – არ ხართ ქრისტიანი?! მიშველეთ, თვარა შემომაკვდება ეს კაცი. ცოტა ჭკვიანურს მაინც მოვიგონებდი რამეს. ტყვილშიც არ გაქვს შნო, შე უპატრონო? ყაჩაღი დამესხა დღისით-მზისით ავტობუსშიო, ვინ დაგიჯერებს მაგას. ახლა მეორე საყვედურს გაძლევ. კიდეც ერთი დაგვიანება და შენი ღუხი არ ვნახო აქ! – საამქროს ხელმძღვანელი არ ხუმრობდა.

მესამე დღე. იმედოს სახლში უფრო დიდი ფაციფუცია. იმედო წამდაუნუნებულ საათზე იცქირება. იცვამს, იპარსავს, იბანს. დედამისი უკან დასდევს. ლეკვს რძე და პური გაუტანა. დედამ გამოსდია და ღამის ძალით გამოარადა ლეკვს. იმედო ქუჩაში მიიჩქარის. გადანყვეტილი აქვს დღეს მაინც არ დაიგვიანოს. ქუჩაში იმავე ძველი გზით მიდის გაჩერებისკენ. არხთან მორზე რომ გადიოდა, ძირს, თეთრ კენჭებში კუ შენიშნა, ეტყობა სასაფლაოს ეზოდან ცივილიზაციისკენ მცირე ექსკურსია გადაენწყვიტა და თხრილში ჩაგორებულიყო. იმედო არ გაჩერდებოდა, კუ რომ პირაღმა არ გდებულყო. გადმობრუნებას ამაოდ ცდილობდა. კაი ხნის უნდა ყოფილიყო, რადგანაც ყველა კუზე დიდი იყო, რაც აქამდე იმედოს ენახა ოლასკურას სასაფლაოზე.

იმედომ ფეხსაცმელები გაიხადა, შარვალი აიკაპინა, ლელეში ჩასასვლელი მოძებნა, კუ გადააბრუნა და გამობრუნდა.

გაჩერებასთან არც კი იყო მისული, რომ გამოტრიალდა. ისევ გაიხადა ფეხზე, აიკაპინა შარვალი, კუ ხელში აიყვანა (საკმაოდ მძიმე ეჩვენა), ალაგეს გადააბიჯა და პრეისტორიული ცხოველი ბალახში გაუშვა.

სანამ ავტობუსი მოვიდოდა, იმედომ ისევ მოიფიქრა რალაც. გამობრუნდა, კუ მოძებნა, გაზეთში გაახვია და შინისკენ გაარბენინა.

რასაკვირველია, დღესაც დააგვიანდა. საამქროს გამგე – სილიბისტრო ხარაძე, ტანდაბალი, ელამი კაცი, რომელიც შესახედავად ფქვილის ტომრიდან ამოსულ თავგს ჰგავდა, მაგრამ თავის თავთან შედარებით არაჩვეულებრივად ძლიერი ხმა ჰქონდა, კარებთან ელოდებოდა.

ხარაძემ იმედოს მრისხანება და სიბრალულშერეული მზერა ესროლა. ხელი მოკიდა და ადგილკომის ოთახში შეიყვანა.

ადგილკომის სასწრაფო სხდომა. მკაცრი მუსიკალური აკომპანემენტი. კუთხეში მობუზული იმედო დგას. ადგილკომის წევრები (მათ შორისაა, რასაკვირველია სილიბისტროც) თითის ქნევით, მუქარით რალაცას ეუბნებიან. იმედო თავს უქნევს, სანყალობელი გამომეტყველება ახატია სახეზე.

სხდომა მთავრდება. ადგილკომის მკაცრი წევრები კაბინეტიდან გამოდიან. ვილაცამ კარებზე ჭიკარტებით მანქანაზე გადაბეჭდილი ქალაღდი გააკრა.

შიო (კადრს გარედან) – იმედოს სასტიკი საყვედური გამოუცხადეს უკანასკნელი გაფრთხილებით.

იმედო დაღვრემილი გამოვიდა ადგილკომის ოთახიდან. საამქროში (კოტონ წინდების ფაბრიკაში მუშაობს) სანამ თავის სამუშაო ადგილამდე მივიდოდა, შენიშნა რომ საამქროში საიდანღაც ყვავი (თუ ყვავის მსგავსი სხვა ფრინველი) შემოფრინდა.

იმედოს არაჩვეულებრივი ენერგია ჩაუდგა ძარღვებში. გამოცოცხლდა. რაკი ფრინველი წვალობს, მინის ფანჯრებს

ანყდება და გარეთ გასასვლელი ვერ უპოვია, იმედო ბუნე-  
ბრია შეიპყრო სურვილმა როგორმე ყვავი გადაარჩინოს.

მთელი საამქრო ყვავს დასდევს. რომ იტყვიან, „მონას-  
ტერი აირია“. ყვავი ერთი ადგილიდან მეორეზე ხტება. ბო-  
ლოს შეშინებული ფრინველი საამქროს ქერზე, გრძელ მორზე  
შესკუპდა, ხლართს გამოედო და ფეხებით დაეკიდა. ყვავის  
მდევერები გაიტრუნენ. მორზე ფრთხილად, კატის მოქნილო-  
ბით გადის იმედო. მის გარდა ვერავინ გაბედა იმ სიმაღლეზე,  
საშიშ ადგილას ასვლა ყვავის გადასარჩენად.

იმედო ჯამბაზივით გადის მორზე. ყვავს მიუახლოვდა ახ-  
სნა და უკან წამოვიდა.

საამქროში ტაშმა იხუვლა.

გაოფლილი, დამტვერილ-გამურული იმედო ყვავით ხელ-  
ში გასასვლელისკენ მიემართება. ბედნიერი სახე აქვს. ყვავი  
გადაარჩინა. სილიბისტროც კი კმაყოფილია.

საამქროს წინ პატარა მოედანზე გამოვიდა და მუშებ-ინ-  
ჟინრებით გარშემორტყმულმა ყვავი მალლა ისროლა.

ფრინველმა კამარა შეჰკრა და მერე ფრთების ქნევით  
გაფრინდა თავის ყვავურ გზაზე.

ყვავის ფრთების ბათქუნიდან ისევ ტაიგაში მარხილის სრ-  
ბოლაზე გადავდივართ. ეტყობა ჩვენს მგზავრებს აგვიანდე-  
ბათ, იგორი მთელი ძალით მიერეკება ირმებს.

მარხილი შემადლებულ ადგილას მდგარი დიდი, მაღალი  
ქვიტკირის ღობემემოყოლებულ შენობას უახლოვდება. რკინის  
კარები იღება და მარხილი ეზოში შედის.

მაღალ, ქვიტკირის ღობეზე აქა-იქ სათვალთვალო კომკები  
მოჩანს.

დასასრული

1984





## კინონოველა

### დილაა თუ ბინდია

სისხამი დილაა.

თეთრი შენობის პარმალზე წითელი ნათურა ინთება და ქრება, ინთება და ქრება. გაბმული ზარი პატარა ქალაქის ქუჩებში იღვრება.

მოქრის სასწრაფო დახმარების მანქანა მხიარული მუსიკის აკომპანიმენტით.

კოპნია ქალაქი – ვინრო ქუჩებით, საყდრებით, ქუჩაბანდებით, ქალაქის თავზე წამომართული მწვანე მთით – უქიმერიონით, წითელი კრამიტით გადახურული სახლებით და ულამაზესი ჭიშკრებით. ამ ქალაქში ჭიშკრის კულტია.

მანქანაში პროფილით ვხედავთ ერთადერთ კაცს – მძღოლს კიტა სვანიძეს.

სასწრაფო დახმარების მანქანა, რომელსაც თვალსაჩინო ადგილებზე დიდი შრიფტით „03“ აწერია, ერთბაშად ჩერდება ღია თალიან ჭიშკართან.

ჭიშკრის თაღზე წარწერაა – „ბაზარი“.

ხმა კადრს გარედან: „გარდა სამსახურისა ადამიანებს აქვთ სხვა ცხოვრებაც. იგი სამუშაო დროზე ადრე იწყება“.

კიტა გადმოხტა, მანქანის კარი გამოაღო.

ფილმის მუსიკალური ლაიტმოტივი გრძელდება.

მანქანის ღია კარებში ჯერ ინდაურის თავი გამოჩნდა, მერე ის, ვისაც ინდაური დიდის ამბით აუხუტებია გულზე – იმერულქუდიანი, გრძელუღვაშა, ჭარმაგი კაცი.

კიტა მაჯის საათს აჩვენებს ინდაურიანს და ანიშნებს დაუჩქარე, სამსახურში მაგვიანდებაო.

გრძელუღვაშამ ფეხშებორკილი ინდაური ტროტუარზე დადო და მანქანის გადმოტვირთვას შეუდგა.

სასწრაფო დახმარების მანქანა „03“ სავსე აღმოჩნდა შინაური ფრინველ-ცხოველით. იმერულქუდიანმა ერთმანეთის მიყოლებით გადმოიყვანა ქათმები, ბატები, გოჭი, ხბო და ბოლოს წვეროსანი თხა, რომელსაც ეტყობა ძალიან მოეწონა სამედიცინო ტრანსპორტით მგზავრობა და გადმოსვლაზე პეტელით განაცხადა პროტესტი, მაგრამ ამაოდ.

პეტელი მანქანის საყვირის ხმაში გადაიზარდა, საყვირის ხმა მხიარულ აკომპანიმენტში.

სასწრაფო დახმარების მანქანა კვლავ ქუჩაშია.

რძის ნაწარმის სოლიდურ რიგში თეთრხალათიანი სანიტარი მოშე იაკობაშვილი წამდაუნუმ საათზე იხედება, რიგი დგას – გაქვავებული, მრისხანე, გაბრაზებული ადამიანებისაგან შემდგარი. მოშემ იცის – ჭიპზე რომ გასკდე, აქ რიგს არავინ დაგითმობს.

როგორც იქნა მოუნია რიგმა. ჩანთაში ხელმარჯვედ ილაგებს მანონს, ხაჭოს და სახლისაკენ მირბის. გამყიდველმა და რიგმა მისკენ ხელები ერთბაშად მრისხანედ, ქოროსავით გაიშვირეს.

მუსიკალური ლაიტმოტივი ფარავს მათს დაძახილს.

მოშეს ფულის გადახდა დავინწყებია, მიბრუნდა, მანეთიანი დახლზე დააგდო და კვლავ ჩვეული ძუნძულით გამორბის.

მოშე ორმოცს გადაცილებულია, ულაზათოდ გასუქებული, მრგვალი ჩოფურა პირისახე და მოკლე ხელები აქვს. ტანზე თეთრი ხალათი ლამის შემოასკდეს.

მოშე კოხტად ნაგები, აივნიანი სახლის კიბეზე არბის და გრძელ დერეფანში მიაბიჯებს.

დერეფანი დაცარიელებულია. ამ სახლის მკვიდრნი, ეტყობა, აბარგებულან და სადღაც წასულან.

მოშე ოთახში შედის, კედლებზე ჩამოსხნილი სურათების, თუ სარკეების ადგილი გამოხუნებულ შპალერს აჩნია.

გაიარა ერთი ოთახი, მეორე, ალაგებული საწოლები, გადმობრუნებული სკამები, ახირხლული, ცარიელი ყუთები.

კედელზე ერთგან საოჯახო სურათებია გაკრული. ღიპიანი,

უზბეკურქუდიანი, მომღიმარი კაცი, თავისი არანაკლებმომღიმარი ცოლ-შვილით უქიმერიონის ფონზე. მეორე სურათზე იგივე ოჯახი ცათამბჯენებისა და „როლს როისის“ ფონზეა გადაღებული. ოჯახის მამის სახეზე შეფარული, ნაღვლიანი ღიმილი ჩანს.

მოშე აივანზე გამოვიდა. აივანი ქუჩის პირას, პატარა, შუშბანდიან ჯიხურში გადის. მოხუცი, ქუდიანი, ნვეროსანი მესაათე, ცალ თვალში ლუპაჩადგმული – საათის მექანიზმს ჩაჰკირკიტებს.

მოშემ უსიტყვოდ ამოალაგა მანონი და ხაჭო. მესაათემ მოიხედა და თავი დაუქნია. მოშემ ჯერ თავის საათზე დაიხედა, მერე კედელზე ჩამოკიდებულ უამრავ საათს შეხედა, ჩანთას ხელი წამოავლო და კიბე ჩაირბინა.

ტრიფოლიატის ლობესთან მოშეს გამოჩენისთანავე მოგრილდა სასწრაფო დახმანების მანქანა „03“.

მოშე უსიტყვოდ უღიმის მძღოლს და ხვნეშით იკავებს თავის ადგილს.

მანქანა გზას განაგრძობს.

კოპნია ქალაქი ნელ-ნელა ცოცხლდება. გამოჩნდნენ დინჯი, ძველებური „მოსკვიჩები“, მეტიჩარა, სწრაფი „ჟიგულები“ და ცხენებშებმული ორთვალეები. ქვაფენილზე ეტლიც გაბრაგუნდა. ზოოპარკი.

კიპარისის ქვეშ თეთრხალათიანი, პროვინციულად თმადავარცხნილი, სანდომიანი სახის, მაგრამ ლოტოს კოჭის ელგანტურობის ქალი – შურა ზოოპარკის ჭირვეულ ბინადართ ნემსებს უკეთებს. გვერდით გადაშლილი სამედიცინო ყუთი უდევს. ირგვლივ შემოჯარულან ზოოპარკის თანამშრომლები. თითო კაცს თითო მაიმუნი აუხუტებია გულზე, ერთს ჟირაფი მოუყვანია და ამოდ ახრევიანებს ოთხმეტრიან კისერს, შურამ რომ ყელში ჩახედოს. მაიმუნები ჭირვეულობენ.

შურა წამდაუნუმ საათზე იხედება.

ეკრანზე მაიმუნის – სიმპათიურობისაგან ძალზე შორს მდგარი პირისახე მოჩანს. მაიმუნმა საზარლად დაიჭყვილა.

ახლა ეკრანზე მთლიანად მოჩანს მაიმუნის წითელი უკანალი.

შურამ ნემსი გამოაძრო, საათზე დაიხედა და ხელები გაასავსავა. იგი ხომ მხოლოდ მეოთხედ შტატზეა ზოოპარკში. ძირითადი სამსახურის ადგილზე – სასწრაფო დახმარებაში აგვიანდება.

შურამ ყუთს თავი დაახურა, ხელი სტაცა და გამოიღიზინა. მაიმუნ-ჟირაფიანები უკმაყოფილოდ, ხელების ქნევითა და მუქარით მოსდევენ.

შურამ ზოოპარკის ჭიშკრიდან ქუჩაში გადმოიღიზინა და იქვე მდგარ სასწრაფო დახმარების მანქანა „03“-მივიარდა.

მოშემ ხელი გაუნოდა და დიდი მონინებით აპირებდა მანქანაში აყვანას, მაგრამ შურამ ყუთი მიაჩერა „კავალერს“ ხელში და დაუხმარებლად ამოფორთხდა.

სასწრაფო დახმარების მანქანა მოქრის.

ეკიპაჟის მთავარი ნევრი, ექიმი გუჯუ მისურაძე, ფოსტლებში და ხალათში გამონცობილი, პირს იპარსავს. საშუალოზე ოდნავ მაღალია. ურჩი თმა – საკმაოდ ჭალარა და გაჩეჩილი. მკვირცხლი და მეტყველი – საოცრად კეთილი თვალეზი. განზე გასული ყბები და ჩვეულებრივზე ოდნავ დიდი პირი. საკმაოდ სწორი (რამდენადაც ხალათში ჩანს), პროპორციული ტანი და ოდნავშესამჩნევი ღიპი. ფეხზე ფაჩუჩები აცვია და ერთი შეხედვით – ცოტა შორიდან, ფეკილის ტომრიდან ამოსულ თავგვს წააგავს.

ერთოთახიანი ბინა შუაზეა გაყოფილი საოჯახო ნივთებით. ორი სანოლი დაშორებით დგას. შუაში შირმაა, გაშლილი ქოლგა და საზღვრად იატაკის საწმენდი ჯოხიც გამოუყენებიათ. ყველაფრიდან ჩანს, რომ ცოლთან უბრად არის, მაგრამ ვინაიდან სხვა სახსარი არ გააჩნიათ, ჯერჯერობით ერთოთახიანი ბინაში ერთად ცხოვრობენ. მოშორებით გუჯუს ყოფილი მეუღლე საქმიანობს. გამხდარი, თავნაკრული, წუნკალსახიანი ქალი. ოდნავ ახალგაზრდა რომ არ იყოს, ზღაპრების ბებერ ჯადოქარს ემგვანებოდა.

ცოლმა ქალაღი გაუნოდა. ქალაღზე სწერია: „გამატარეთ, თუ შეიძლება“.

გუჯუმ პარსვა შეწყვიტა. მაგიდიდან ქალაქების გროვა აიღო. ერთი მათგანი ამოარჩია და გაუნოდა, ქალაქზე სწერია: „მიბრძანდით“.

გუჯუმ აბაზანისკენ გზა დაუთმო თავის თანამეცხედრეს, რომელთანაც მხოლოდ და მხოლოდ ამგვარი წერილობითი კომუნიკაცია აქვს.

ხმა კადრს გარედან:

„ზეგ ერთი წელი შესრულდება, რაც ექიმი გუჯუ მანსურაძე და მისი მეუღლე განქორწინდნენ. მათი განქორწინების შვიდას ოცდახუთი მიზეზიდან მხოლოდ ერთს გაგიხვლით“.

ეკრანზე იწერება: „1989 წლის 7 სექტემბერი“.

დ ი ლ ა ა.

გუჯუ თავისი განუყრელი პორტფელით და მისთვის დამახასიათებელი სერიოზული სახით სამსახურისაკენ მიიჩქარის.

ელექტრონის ბოძთან ლამაზ ქალს მოჰკრა თვალი. ქალი დგას – შავგვრემანია იგი, მოხდენილი, სწორი, შუბლზეგაყოფილი თმებით, მაცდური ღიმილით. ასეთი ქალები იშვიათად როდი დგანან ავტობუსის გაჩერებიდან რამდენიმე ნაბიჯზე. ერთი შეხედვით მშვიდად, უდარდელად და მიმზიდველად. თუმცა მილიცია მათზე სხვა აზრისა გახლავთ, მაგრამ ამ სტრიქონების ავტორი ჯიუტად ამტკიცებს, რომ ისინი ქალაქს დრამატიზმს მატებენ და იქნებ ალამაზებენ კიდევც.

მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ეჩქარებოდა, გუჯუმ გაუღიმა და მოეჩვენა, რომ ქალმაც გაუღიმა. ამ ქალს ლუიზა ჰქვია. გთხოვთ დაიმასსოვროთ.

გუჯუმ უკან მოიხედა და კიდევ გაუღიმა. ქალმა კოპები შეჰყარა და წელში გახნეკილმა გააბიჯა.

ავტობუსის გაჩერებამდე აღარაფერი აკლდა, გუჯუმ ფურნის ჩასახვევთან კუთხეში შეჯგუფებულ ბავშვებს რომ მოჰკრა თვალი, არ გაჩერდებოდა, ლეკვი რომ არ შეემჩნია, ამ ადგილას რიონის ტოტი ჩამოდიოდა ცემენტით ამოლესილი. შედგა და დააცქერდა. ოთხი ბიჭი ლეკვით ერთობოდა. ყველაზე მაღალი მათ შორის, ათზე მეტი წლის არ იქნებოდა. გადააგდებდნენ

გალუმპულ ლეკვს წყალში, საცოდავს ცემენტზე თათები უს-  
რიალებდა, ძლივს ამობობლდებოდა ნაპირზე წკმუტუნ-წკავენ-  
კავით, ტაცებდნენ ხელს და ისევ წყალში გადაუძახებდნენ.

გუჯუს გული შეეკუმშა. არც დაფიქრებულა, ლეკვს ხელი  
სტაცა და ბიჭებს შეუბღვირა.

– გასართობი სხვა ვერაფერი ნახეთ?

– უპატრონოა ბიძია! – არ დაიბნა მაღალი.

– უპატრონოს მოგცემთ მე თქვენ. მოუსვით ახლა აქედან,  
სანამ არ მომიცია თქვენ-თქვენი ყურები ხელში.

ბიჭები ტყაპა-ტყუპით ჩაცვივდნენ თავდაღმართში და  
სკოლის მოსახვევში გაუჩინარდნენ.

გუჯუმ ჩანთიდან ნეილონის პარკი ამოიღო, ლეკვი შიგ  
ჩასვა და შინისაკენ გამობრუნდა. ისეთი სერიოზული სახე  
აქვს, თითქოს ძვირფასი ნადავლი მიჰქონდეს შინ.

– ვისია, გუჯუ, ეს ლეკვი? – ცოლმა აივნიდან დაინახა.

– ჩამოდი ჩქარა, გამომართვი, სამსახურში მაგვიანდება!

– ლეკვის თავი გქონდა, ამისათვის გეცალა ამ დილას  
შენ? – შეიცხადა ცოლმა.

გუჯუმ მიძინარე ლეკვი თექაჩაფენილ ყუთში ფრთხილად  
ჩასვა და ცოლის მრისხანების მიუხედავად, ვალმოხდილი,  
კმაყოფილი, ისევ სერიოზული სახით (ოღონდ უფრო სწრაფი  
ნაბიჯით) მოიჩქარის სამსახურისაკენ.

გზის განაპირას თეთრ კენჭებში კუ შენიშნა. ეტყობა სა-  
საფლაოს ეზოდან ცივილიზაციისაკენ მცირე ექსკურსია გა-  
დაენწყვიტა კუს და თხრილში ჩაგორებულიყო. გუჯუ არ გაჩ-  
ერდებოდა, კუ რომ პირაღმა არ გდებულებოდა. ფეხებს და  
გველისნაირ თავ-კისერს სანყალობლად აფხარკალებდა, გად-  
მობრუნებას ამოდ ცდილობდა. კაი ხნის უნდა ყოფილიყო,  
რადგანაც ყველა კუზე დიდი იყო, რაც აქამდე გუჯუს ენახა.

გუჯუმ ფეხსაცმელები გაიხადა, შარვალი აიკაპინა, ლე-  
ლეში ჩასასვლელი მოძებნა, კუ გადააბრუნა და გამობრუნდა.

გაჩერებასთან არც კი იყო მისული, რომ გამოტრიალდა,  
ისევ გაიხადა, ფეხზე, აიკაპინა შარვალი, კუ ხელში აიყვანა

(საკმაოდ მძიმე ეჩვენა), ალაგეს გადააბიჯა და პრეისტორიული ცხოველი ბალახში გაუშვა.

სანამ ავტობუსი მოვიდოდა, გუჯუმ ისევ მოიფიქრა რაღაც, გამობრუნდა, კუ მოძებნა, გაზეთში გაახვია და შინისაკენ გაარბენინა.

გუჯუ თავისი სადარბაზოდან გამოდის მხნე, სერიოზული ნაბიჯებით. აივნიდან მრისხანე ცოლი ხელებს უქნევს.

– ვაი, შენ გამოგაგდებდნენ იმ სამსახურიდან და არ მინდა არაფერი!

გუჯუ ავტობუსში ზის, ჩანთა მუხლებზე უდევს და ნამდაუნუმ საათს დასცქერის.

ვილაცა მხარზე შეეხო. ოციოდე წლის დაბადებიდან თმა-შეუკრეჭავი, ჯინსიანი ყმანვილი მუყაოს ნაგლეჯს აწოდებს.

– მეე? – გამოართვა ქალალდი გუჯუმ.

– აააა! – თავი დაუქნია ბიჭმა.

– „შმიდტის მეორე შესახვევი, №9“ – ხმამალლა წაიკითხა გუჯუმ.

– შმიდტის ქურჩა საკირესთან არაა? – ჰკითხა გუჯუმ გვერდით მჯდომს და პასუხს არც კი დაელოდა, ჯინსიანს მიუბრუნდა.

– თქვენ ოთხ ნომერს უნდა გაყოლოდით, ეს ავტობუსი სხვაგან მიდის.

– აააა! – დაიზმულია ყმანვილმა, მერე ენა-ყურზე ხელი მიიღო და ჰაერში შეათამაშა (ე. ი. არა მარტო ვერ ვლაპარაკობ, ყურშიც არ მესმისო).

– ოთხ ნომერზე უნდა დაჯდე, ოთხზე! – დამარცვლით ჩასძახა გუჯუმ.

– აააა, – ნაღვლიანად ამოხედა მუნჯმა და ისევ დაიფარა ხელი ყურზე და ენაზე.

– ისე გეიგონა შენმა დამანყევარმა, როგორც მაგას ესმის – ჩაილაპარაკა ვილაცამ ზურგისკენ.

– ვაი, შენს დედას, უბედურს – შეიცხადა მარტოსკამზე შესკუპებულმა, ფუმფულა კონდუქტორმა.

– უბედური კი არა, მაგაზე ბედნიერი კაცი არაა. მე თუ მესმის ათასი ოხრობა ყოველდღე. იმიტომაა წინ ჩემი საქმე – უკბილოდ იხუმრა ვილაცამ.

გუჯუმ საათზე დაიხედა და მტკიცე გადანყვეტილებით წამოდგა.

– წამოდი! – გაულიმა მუნჯს და გასასვლელისაკენ გაემართა. ის იყო ჩასასვლელს მიუახლოვდა, ეს მეორედ, უმშენიერეს ლუიზას მოჰკრა თვალი, გუჯუ დაიბნა, ერთი სული ჰქონდა გამოლაპარაკებოდა ქალს, მაგრამ მუნჯს ხომ ვერ მიატოვებდა, როგორც ჩანს, ლუიზა ხედავდა გუჯუს მიერ ჩადენილ სიკეთეს და უცნობ მამაკაცს მადლიერი, კეთილი თვალებით შესცქეროდა. გუჯუმ ჩასვლისას გაულიმა და მგონი ხელიც კი დაუქნია. პირველივე გაჩერებაზე ჩავიდნენ. გუჯუმ ხელი მოჰკიდა მუნჯს და პატარა ბავშვივით გადაიყვანა ქუჩაზე, რატომღაც მიიჩნია, რომ ყრუ-მუნჯი ადვილად შეიძლება ცოტა ბრმაც ყოფილიყო.

მოედნამდე ტროლეიბუსით მივიდნენ. გადასახვევთან ოთხ ნომერში ჩასხდნენ და საკირესთან არც კი იყვნენ მისულები, ცხრა საათი რომ შესრულდა. შმიდტის გაჩერებაზე ჩავიდნენ.

– აქედან გააგნებ სახლში? – ჩასძახა გუჯამ.

– აააა! – მუნჯმა მუყაოს ქალღიმილი დაადრო და ადამის ვაშლზე მოიკიდა საპირფარედ მომზადებული სამი თითი. ამით აგრძნობინა – რაკი ამხელა სიკეთე მიყავი, სახლამდე მიმიყვანეო.

– დამაგვიანდა! გესმის შენ? – გუჯუმ საათზე დაიხედა.

– აააა! – თავისას არ იშლიდა ყმანვილი.

– ჯანდაბას შენი თავი, წამოდი ჩქარა.

– ვანაძეების დელესთან, ბოგირქვეშ რომ გადიოდნენ, მუნჯი ალაპარაკდა:

– რაც გაქვს ფული ამოიღე ახლა ჯიბიდან და, მაინც გაგვიანდება, უკანმოუხედავად გაიქციე, თვარა იმდენს გირტყამ, ბარაბანს რომ არ მოხვედრია.

სხვათა შორის დამცემი უშეცდომოდ და უაქცენტოდ ლაპარაკობდა.



გუჯუს ჯიბეში მხოლოდ შვიდი მანეთი აღმოაჩნდა, რამაც ჯინსიანი ძალიან ააღელვა.

– შვიდ მანეთზე მეტი თუ არ გიჭყავის ჯიბეში, რად გინდა ამ გალსტუკს რომ იკეთებ, შე უპატრონო. გახსენი ჩანთა. ძველი გაზეთები მაინც ვერ ჩაანყვე, ან პური და ყველი მაინც ვერ წამოიღე? ჩემზე დავსებული ხარ, ვილაცა ხარ. მანახე საათი. რა დროის „პაბედაა“, ეხლა ვილას უკეთია ეგ ჯართი, შე გამჩენძალლო, არ ააშენებ ვისთანაც მიდიხარ ამ დილას?!

ჯიბიდან დანა ამოიღო, ლილაკი გაატკაცუნა და გუჯუს რომ მიუახლოვდა, „სასწრაფოს“ ექიმმა ფერი დაკარგა.

– ნუ გეშინია, – გული გაუკეთა ქურდმა – ჰალსტუხი გამოქაჩა, ნასკვთან ოთხი თითის დადებაზე შეაჭრა და კბილებში გამოცრა:

– შეაყოლე ახლა, უკან არ მოიხედო, რავაც გითხარი და ქუჩაში გამარჯობის თქმა არ დამინყო, თუ არა გამოგჭრი ყრონტს!

– მესმის – თავი დაუქნია გუჯუმ და გზაზე ამოირბინა. უკან როგორ მოიხედავდა, ასე ეგონა, თითქოს იმ დანიანმა ჯიბგირმა სიცოცხლე აჩუქა. გულში ცოტა მადლიერიც კი იყო მისი, ჰალსტუხის შეჭრას თუ მხედველობაში არ მივიღებთ, ცუდად არ მომექცაო.

ცოლმა ეზოში სერიოზული სახით შემოსული, ამ დილით კიდევ ერთხელ მობრუნებული, ჰალსტუხნაჭრილი გუჯუ რომ დაინახა, თვალები გაუფართოვდა და სიბრაზისაგან იატაკის სანმენდ ჯოხს წამოავლო ხელი.

– გუჯუ! – ცოლი ანტიკური ტრაგედიის გმირივით დოინჯშემოყრილი დგას.

– კი, გუჯუ მქვია, – გუჯუ სარკეში ჰალსტუხს იცვლის.

– რატომ მიკეთებ ამ ამბავს, გუჯუ?! – ცოლს გამყინავი ხმა აქვს.

– ბანდიტი დამესხა თავზე.

– ჭკვიანური რამე მაინც მოიფიქრე, ვინ დაგიჯერებს მაგას. სად იყო ბანდიტი ამ დილას, ვიცი სადაც ეგდე, წადი ახლა და იყავი იმ გათახსირებულთან!

იატაკზე მოცვივა გუჯუს ტანსაცმელი, ფეხსაცმელები, წიგნებიც კი.

ხმა კადრს გარედან: „ამ დღეს ყველაფერი დამთავრდა. შერიგების ყველა ცდა უშედეგო აღმოჩნდა და ისინი განქორწინდნენ“.

სასამართლოს სხდომა. თავმჯდომარე, რალაცას კითხულობს. დარბაზში გუჯუს ეკიპაჟის წევრებიც ჩანან.

გუჯუ პარსვას ათავებს, თეთრ ხალათს იცვამს, პატარა ხელჩანთას იმარჯვებს და ჭიშკრისაკენ მორბის.

სასწრაფო დახმარების მანქანა გუჯუს ჩაჯდომისთანავე დაიძრა ადგილიდან. გზადაგზა გუჯუ რალაცას ყვება. ხანდახან კისერში გამოისვამს ხელს, ე. ი. მეტი აღარ შემოძლიაო.

ეკიპაჟი ერთმანეთის მიყოლებით არბის საავადმყოფოს კიბეებზე.

დარბაზი.

თეთრ ფონზე მხოლოდ სახეები ჩანს. სასწრაფო დახმარების საავადმყოფოს თანამშრომლებში სხვადასხვა ადგილას ჩანან გუჯუ, კიტა, მოშე და შურა.

სცენის შუაგულში საბინაო სამმართველოს უფროსი ანდრო კეზევაძე დგას და საზეიმო იერით ლაღადებს:

– გუჯუ მაისურაძისათვის ბინის გამოყოფა კიდევ ერთი დადასტურებაა ჩვენი ახალი ხელისუფლების შეუწელებელი ზრუნვისა სამედიცინო კულტურის განუხრელი აღმავლობისათვის და მით უფრო სასიამოვნოა, რომ ორდერის გადაცემა ემთხვევა ისტორიულ მოვლენებს ჩვენს რესპუბლიკაში. დღეს, როცა ბნელეთის დამქაშები ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვირიან საქართველოში დიქტატურის დამყარებაზე და საერთაშორისო ვითარების დაძაბულობა იმპერიის აგენტთა ანგარებიან სინდისზე მოდის. ჩვენ მზადა ვართ ვუთხრათ იმ ვაჟბატონებს!..

სცენის თავზე ისევ აკიაფდა წითელი ნათურა და ზარის გაბმული წკრიალი გაისმა.

თეთრ ფონზე ერთმანეთის მიყოლებით ქრებიან გუჯუს, კიტას, მოშეს და შურას სახეები.

ისინი დერეფანში გამორბიან.

მოშე შეჩერდა, სცენაზე აირბინა, საბინაო სამმართველოს უფროსს ორდერი გამოგლიჯა და წინ წასულეებს გამოუდგა.

ეკიპაჟი მანქანაში სხდება.

ბინის ორდერის საზეიმო გადაცემა არ შედგა.

სასწრაფო დახმარების მანქანა ქუჩაში მოქრის.

მანქანაში ხელიდან ხელში გადადის გუჯუ მაისურაძის ბინის ორდერი.

მანქანა ამოტრიალებულ ჭიშკართან გაჩერდა.

ფანჯრის სარკმელს ნაქეიფარსახიანი მამაკაცი მოშორდა და ტახტზე წამოწვა. სწრაფად წამოხტა, მუხლი ხილაბანდით შეიკრა და ისევ წამოწვა. სასწრაფო დახმარების მანქანას შემოეხვივნენ ცნობისმოყვარე მეზობლები და ბავშვები.

ზევით, კიბეებზე ანიშნებენ.

წინ გუჯუ მიდის, მერე მოშე და ბოლოს შურა.

გუჯუმ ავადმყოფის მაჯა აიღო.

გ უ ჯ უ – რაზე ინერვიულე?

ავადმყოფი – სანერვიულო არ მოშორდა ლერიკონა სამდუხადის გვარს და ჯილაგს. ვინერვიულე, აბა რა ვქენი, უნდა წამევიდე მაქიდან. არც ფული მინდა მაგისი და არაფერი. კვირაში ერთხელ მაინც მოდი სამსახურშიო, არ შემჭამა? საბავშვო ბაღში თელი ორი წელი ერთად დავდიოდით, ეს უნდა მითხრას? უნდა წამევიდე, არც ფული მინდა მაგისი და არაფერი, კვირაში ერთხელ მაინც მოდი სამსახურშიო.

გ უ ჯ უ (შურას) – ნემსი!

შურა ჩანთაში ფათურობს.

გ უ ჯ უ (კარნახობს) – პაპავერინი, დიბაზოლი და დიმედროლი ნახევარი.

შურამ ნემსი მიანოდა.

ავადმყოფი დაიღრჩვა.

ავადმყოფი – ნემსი არ გახდება, მე მგონია, საჭირო.

გუჯუმ ნემსი მოიმარჯვა.

მ ო შ ე (შურას) – გაიხედე იქით.

შურამ თავი შეაბრუნა.

გუჯუმ მოშეს თვალი ჩაუკრა, ავადმყოფის ჩანუელ ტრუსიკს ააშორა ნემსი და მუთაქას ჩხუტა.

პატარა მაგიდაზე არაყი, მრგვლად მოხარშული დედალი და ჩურჩხელა დევს.

გუჯუ (ჩანთას ხსნის და სანერ-კალამს იმარჯვებს) – რამდენი დავნერო?

ავადმყოფი – დანერე სამი დღე, მერე შვებულებაში გავალ და აღარც დავბრუნდები მაქანა. გესმის შენ? კვირაში ერთხელ მაინც მოდი სამსახურშიო. თელი ორი წელიწადი საბავშვო ბაღში ერთად ვიყავით, კაცია მაგი? ძმაკაცი იცის მაგან?

მ ო შ ე – ვთქვი მისი არ იყოს, ნერვებია კაცი. ნერვებს თუ არ მოუვლი: ნიმუტ ხარ, ნიმუტ არა ხარ.

ეკიპაჟი ჭამითა და ტურების წმენდით ჩამოდის კიბეზე.

მეზობელ-ბავშვების წრე იყოფა, სამედიცინო პერსონალს მანქანისაკენ გზას უთმობს.

სასწრაფო დახმარების მანქანა ქუჩაში მოქრის. ორდერი ისევ ხელიდან ხელში გადადის.

გ უ ჯ უ (მძლოლს) – გააჩერე.

ყველანი გუჯუს შეაჩერდნენ.

გ უ ჯ უ – შამპანურს ვიყიდი.

მალლა აიხედა და ღრმად ამოისუნთქა.

შამპანურის ბოთლით მანქანაში ბრუნდება.

ეკიპაჟი გუჯუ მასურადის ახალი ბინისკენ მიქრის.

მანქანაში წითელი სინათლე აინთო, მიმღები ალაპარაკდა.

– მეოთხე, მეოთხე... სასწრაფოდ კლინიკაში! (ქალიშვილის ხმა) გუჯუმ ღილაკს თითი აჭკრა.

– რა იყო?

თითი ისევ ჩამოჰკრა.

ხმა – არ ვიცი, ამ წუთში აქ გაჩნდესო უფროსმა.

სასწრაფო დახმარების „03“ მანქანა შემოტრიალდა და უკან წამოვიდა.

ისევ კიბეზე არბიან.

კიბის თავზე ლურჯკაბიანი ქალიშვილი დგას.

ქალიშვილი (ხელში საგზური უჭირავს) – ლექცია!

გ უ ჯ უ – სად?

ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი – ანერია ზედ, თორმეტ საათზეა, ჩქარა!

ეკიპაჟი ისევ ჩამორბის კიბეებზე.

ქუჩა.

ალაყაფის კარებს ანერია „ტრიკო-პერანგეულის ფაბრიკა“.

გუჯუ პორტფელთ ხელში ჭიშკარს მიაშურებს. ეკიპაჟის სხვა წევრები ქუჩის პირას, ბალახზე სხდებიან.

ღირექტორმა, უიმედოდ გასუქებულმა, მელოტმა კაცმა, გუჯუ მაისურაძე თავაზიანად მიიღო.

ღ ი რ ე ქ ტ ო რ ი – გისმენთ.

გ უ ჯ უ – ლექცია უნდა წავიკითხო.

პორტფელში იქექება.

ღ ი რ ე ქ ტ ო რ ი – თემა?

გ უ ჯ უ (საგზურს აწვდის) – „პირადი ჰიგიენის როლი შრომის ნაყოფიერების ამაღლების საქმეში“.

ღ ი რ ე ქ ტ ო რ ი – აუჰ! (შენუხდა).

გ უ ჯ უ – როგორ, თქვენ არ იცოდით?

ღ ი რ ე ქ ტ ო რ ი – როგორ არ ვიცოდით, მაგრამ პირადად თქვენ თუ იქნებოდით, არ გვეგონა.

გ უ ჯ უ (დაიმორცხვებს) – გმადლობთ, გმადლობთ.

ფაბრიკის ღირექტორმა საგზურს ორ ადგილას მოაწერა ხელი, ორსავე ხელმონერილს მრგვალი ბეჭედი დაარტყა, მერე საგზური შუაზე გახია. ერთი ნახევარი გუჯუს გაუნოდა, მეორე ნახევარი კი უჯრაში ჩაიღო.

თვალი ჩაუკრა და ხელი გაუნოდა.

გ უ ჯ უ – ლექცია?

ღ ი რ ე ქ ტ ო რ ი (ღიმილით) – რა აუცილებელია. ლექცია უნდა ახლა ამ ისედაც გამწარებულ ხალხს?

გ უ ჯ უ – როგორ გეკადრებათ. ხუმრობა იქეთ იყოს (საათზე დაიხედავს) ხალხი ალბათ შეიკრიბა. გამიძეხით.

დ ი რ ე ქ ო რ ი (საქციელწამხდარი) – იცით რა, ჩვენი ფაბრიკა რადიოფიცირებულია. კლუბში ფეხზე დგომას არ ჯობია ჯიხურიდან წაგვიკითხოთ ლექცია? მთელი ფაბრიკა მოისმენს, კლუბში ყველა ვერც დაეტევა.

გ უ ჯ უ – კარგი.

დირექტორმა იგი მინის ჯიხურში შეიყვანა, მიკროფონთან დააყენა. ლილაკს თითი დააჭირა. გუჯუს მაჯის საათზე ანიშნა. გუჯუმ საათი მოიხსნა და წინ დაიდო. დირექტორმა ხელით ანიშნა დაიწყო. გუჯუ მიკროფონს ჩააცქერდა. დირექტორი ჯიხურიდან გავიდა. ჯიხურში ვხედავთ რა მონდომებით ამოძრავებს ტუჩებს გუჯუ, რა ექსტაზით კითხულობს ლექციას.

აპარატი ჩამოუვლის ბოძებზე დაკიდებულ რადიომიმღებებს. რადიომიმღებნი სდუმან.

გარეთ, სასწრაფო დახმარების მანქანასთან წამოწოლილი ეკიპაჟის წევრები თვლემენ.

მინის ჯიხურში გუჯუ მაისურაძე ოფლს ღვრის, ქაქანებს. ხმა არ ისმის.

ფაბრიკის ეზოს დიდი საათი მოჩანს. ეკიპაჟის წევრები ისევ თვლემენ.

გუჯუ ვალმოხდილი, მაგრამ დაღლილი გამოდის ჯიხურიდან. დირექტორს ხელს ართმევს და გაბადრული სახით ჭიშკრისაკენ მოდის.

შესასვლელში სათვალეებიან, თოფიან მოხუცს კმაყოფილი სახით ეკითხება:

გ უ ჯ უ – ვარგოდა რამედ?

დ ა რ ა ჯ ი – რა?

გ უ ჯ უ (რადიომიმღებზე მიუთითებს) – ლექცია.

დ ა რ ა ჯ ი (სათვალე მოიხსნა) – რა ლექცია?

გ უ ჯ უ – რადიოს არ უსმენდი?

დ ა რ ა ჯ ი (რადიოს ახედა) – რას გლახაობ. ორი წელიწადია ხმა არ ამოუღია ჩვენს ფაბრიკაში რადიოს. მინისძვრამ

მოშალა და გაკეთებაზე კაცი არ ფიქრობს. რა ლექცია, რისი ლექცია.

გუჯუ ამიღვრა, წამონითლდა შეურაცხყოფისაგან. ჩანთა გულზე აიხუტა და შეტრიალდა, მაგრამ დარაჯმა რკინის მოაჯირი გამოსწია.

დარაჯი – უსაშვოდ არ შეიძლება.

მოშვებული, დაღლილი, ილაჯგანყვეტილი გუჯუ ეკიპაჟს უახლოვდება. უხმოდ სხდებიან მანქანაში. სასწრაფო დახმარების მანქანა „03“ ისევ ქუჩაშია.

მოშე, რომელიც ყველაფრიდან ჩანს, რომ შურაზეა გამიჯნურებული, ექთნისკენ ხელს გააპარებს, მაგრამ კატის სისწრაფის მქონე ქალი ხელის ზურგს ტკაცუნით აუნვაავს. შინაბერა შურა ვეფხვივით იცავს თავის პატიოსნებას.

გუჯუმ ჩანთიდან შამპანურის ბოთლი ამოიღო და სინათლეზე გახედა.

ყველანი გამოცოცხლდნენ.

მანქანამ ზედ კიბესთან დაამუხრუჭა.

საცხოვრებელ სახლს „№17“ აწერია.

კიბეზე წინ გუჯუ მიაბიჯებს და ბინის ორდერი უჭირავს. უკან მოშე მიჰყვება შამპანურის ბოთლით ხელში, მერე მძლოლი კიტა სვანაძე და ბოლოს შურა ხვნეშით ადის კიბეზე.

ბინა „67“.

შიგნიდან ჟრიამული ისმის.

გუჯუ ერთხელ კიდევ დახედავს ორდერს. ყველაფერი ზუსტია. მაგრამ ვინ არიან მისი დაუპატიჟებელი სტუმრები? ეს ბინა ხომ გუჯუმ მიიღო ახლახან.

აკაკუნებს.

კარს არავინ აღებს.

გუჯუმ კარი შეაღო, მაგრამ მაშინვე გამოიხურა.

კარს შიგნიდან დამანგრეველის ძალით მოხვდა მარჯვედ გამოტყორცნილი ფეხსაცმელი და ბავშვის წკრიალა ხმაც გაისმა:

– მოგხვდა! მოგხვდა, მკვდარი ხარ!

ეკიპაჟი ბინაში შედის.

სახლი ბავშვებითაა სავსე. სხვადასხვა ასაკის შვიდი ბავშვი. წინსაფრიალი დედა ამაოდ ცდილობს წესრიგის დამყარებას. ზოგი ნათურის მავთულზე ქანაობს, ზოგი თავდაღმა დგას, ერთი კედელზე ადის.

რა ეფექტი ექნება ბავშვების თვალწინ თეთრხალათიანი ექიმების გამოცხადებას. ყველანი ერთბაშად გაქვავდნენ. დედას გვერდით ამოუდგნენ და გაისუსნენ.

– მობრძანდით – მრავალშვილიან, ლამაზ ქალს ლოყაზე ხალი აქვს და ჩვილი ხელში უჭირავს – ალბათ მისამართი შეგეშალათ ბატონო.

გ უ ჯ უ – მე მგონი არ შეგეშლია. „67“ ხომაა ეს ბინა?

ქ ა ლ ი (დაბნეული) – კი უნდა იყოს.

გ უ ჯ უ (ორდერი გაუნოდა) – ბინა ჩემია, ქალბატონო.

ქ ა ლ ი (საქციელწამხდარი) – ვიცით, ვიცით პატივცემულო.

ჩვენი არაა და ან თქვენი იქნება ან სხვისი (ბავშვი ერთი ხელიდან მეორეში გადაიტანა). ორი დღეა ამ წუთს ველოდები. დაიხურა ჩემმა კაცმა ქუდი და ნავიდა სამსახურში ამ დილას. უგე ახლა ამ პატიოსან ხალხს პასუხი.

მ ო შ ე – რა პასუხი, ერთხელ ვთქვი იმისი არ იყოს, პასუხი და სჯა ბაასი გვინდა ჩვეენ?

გ უ ჯ უ (მოშეს) – აცალე, მერე ქალბატონო?

ქ ა ლ ი – ორი დღეა ნერვიულობისაგან ლუკმა არ ჩამსვლია პირში, ძუძუ გამიშრა. არ ჭამა ანდრო კეზევაძის ღრანჭებმა არაფერი. ათი წელია გვატყუილებს. შვიდი ბავშვით ვინმე გაგაჩერებს ნაქირავებში? მეტი ვეღარ მოვითმინეთ, ავდექით და შემოვცვივდით ამ ბინაში. ახლა თუ გაგვიყრით ამ ბავშვებს გარეთ – კი ბატონო.

გ უ ჯ უ სდუმს.

მ ო შ ე – რაღა ამ ბინაში შემოვარდით ქალბატონო, ვერ მოძებნეთ სხვა ბინა?

ქ ა ლ ი (გულწრფელად) – რა ვიცი, ეს ვარჩიეთ. ბაზართან ახლოა და.



მოვა სალამოს ჩემი ქმარი. ახლა მე ქუჩაში რაფერ ავლოლდე, ამგენის პატრონი, ჩემო ბატონო (ახედ-დახედავს გუჯუს) ისე, რომ თქვენ ექიმი ყოფილხართ, ექიმს ბინას ვინ დაუკავებს. ხვალვე მოგცემენ ახალ ბინას.

გუჯუ გამოტრიალდა, ეკიპაჟის წევრებიც მიჰყვნენ. დაღლილნი, განზილებულნი ჩამოდიან კიბეზე.

ეკრანზე წარწერა:

„გავიდა ერთი წელი“.

საბინაო სამმართველოს უფროსი ანდრო კეზევაძე მინისკედლიან კაბინეტში ზის, აკვარიუმის მსგავს კაბინეტში.

გუჯუ გამოჩნდება. ჩვენ ხმა არ გვესმის.

გუჯუს ვიზიტი რამდენჯერმე მეორდება. გუჯუს ხან პერანგი აცვია, ხან პიჯაკი, ხან პალტო, მერე ისევ პერანგი წელიწადის დროთა ცვალებადობის მიხედვით.

ანდრო კეზევაძეს და გუჯუს მიმიკური, ჰიპერბოლიზებული კამათი. მათი ტურების მოძრაობით თუ ვიმსჯელებთ, მთლად საალერსო სიტყვებს არ ეუბნებიან ერთმანეთს.

ხელებში თავჩარგული ანდრო კეზევაძე.

ქალაქის ქუჩა.

კარებზე წარწერა: „საქალაქო საბჭოს საბინაო სამმართველო“.

კარებთან სასწრაფო დახმარების მანქანა „03“ გაჩერდა.

ერთი მეორის მიყოლებით გადმოვიდნენ ჩვენი ნაცნობები – გუჯუ, მოშე, კიტა, შურა და მოხუცი მეარღნე.

ეკიპაჟის წევრები სიმთვრალისაგან ფეხზე ძლივს დგანან (მხოლოდ შურაა ფხიზელი და ამაოდ ცდილობს მეგობრები ისევ მანქანაში შეაბრუნოს).

ეკიპაჟის წევრებმა მეარღნე წინ გაიგდეს და საბინაო სამმართველოს შენობაში შევიდნენ.

სამმართველოს გრძელი დერეფნის ბიბლიოთეკურ სიჩუმეში არღნის ხმა გაისმა.

არღანი უკრავს გრძელ სამგლოვიარო მელოდიას.

გუჯუ, მოშე და კიტა თავჩაქინდრულნი დგანან და ზოგჯერ

„ეი“-ს შედახილით ამხნევებენ მეარლნეს.

ერთიმეორის მიყოლებით იღება კაბინეტთა კარები, გაოცებული, შემცბარი, თვალებში ეშმაკებჩამდგარი მოხელები დერეფანში გამოდიან.

დარაჯი, სახალხო რაზმელი, მეხანძრე, ვახტიორი ამაოდ ცდილობენ ჩვენი გმირების დაძვრას ადგილიდან.

ბოლოს თავისი კაბინეტიდან გამოდის საბინაო სამმართველოს უფროსი ანდრო კეზევაძე, ყველაფერზე ეტყობა რომ დამარცხდა, გატყდა.

ისევ სასწრაფო დახმარების თანამშრომელთა თეთრი ფონი. ისევ სახეები თეთრ ხალათებში. აგერ გუჯუ – კიტა, მოშე და შურა.

მიკროფონთან ანდრო კეზევაძე დგას და ხელში ორდერი უჭირავს.

ანდრო კეზევაძე (პათეტიკურად) – დაე შურით და ბოლმით გულზე დასკდნენ ჩვენი იდეოლოგიური მტრები. ისინი ვერ შეაჩერებენ ჩვენს ძღვევამოსილ წინსვლას. ძალი ყვეს, ქარავანი მიდის. ნება მომეცით ამ ისტორიულ წუთებში შევასრულო სასიამოვნო მისია და ადამიანის ყოველმხრივი განვითარებისათვის ჩვენი ახალი ხელისუფლების ზრუნვის დასტურად ახალი ბინის ორდერი გადავცე გუჯუ მაისურაძეს!“

გაბმული ზარი, სააქტო დარბაზში ისევ აინთო წითელი ნათურა.

სასწრაფო დახმარების სამედიცინო პერსონალთა ამ ფორუმზე კვლავ ერთმანეთის მიყოლებით ქრებიან გუჯუს, კიტას, მოშეს და შურას სახეები.

აი ისინი, გრძელ დერეფანში გამორბიან. მოშე შეჩერდა, შემობრუნდა, ლაქლაქის ექსტაზში შესულ ანდრო კეზევაძეს ორდერი გამოგლიჯა და წინ წასულებს გამოუდგა.

სასწრაფო დახმარების მანქანამ მთავარი გზიდან ვიწრო შუკაში გადაუხვია. ერთმანეთს მიჯრილი ლამაზჭიშკრიანი, აივნისანი სახლები. ერთი ჭიშკარი ღიაა.

მანქანა „03“ გაჩერდა.

ეკიპაჟი ეზოში შედის, მოშეს ყოველ შემთხვევისათვის საკაცე მოაქვს.

აივნის კარიც ღიაა და სასტუმრო ოთახშიც არავინ ჩანს. ეკიპაჟის წევრები აივანს აივლიან და ოთახში შედიან.

სიჩუმე.

გ უ ჯ უ – არის აქ ვინმე?

ხმა ბოლო ოთახიდან.

– აქ ვარ, მარცხენა კიბეს ამოჰყევით.

საკაცეს ერთმანეთს ანოდებენ, რის ვაივაგლახით და ჭაპანწყევით ადიან მალლა, ვერანდის მსგავს ერთადერთ ოთახში, სადაა ავადმყოფი?

ნარდს მიჯდომია უჯანსაღესი, თეთრმაიკიანი, ვოროშილოვისულვაშება მამაკაცი, ჩახლეჩილი ხმით, მთელი სერიოზულობით ამბობს, მთვრალი კაცის ოდნავი დამორცხვებით:

– დაბრძანდით, სხვანაირად არ მიიღოთ, შეიძლება გაგიკვირდეთ, მარა არ დამძრახოთ, თუ ღმერთი გნამთ (გუჯუს მიუბრუნდა), მარტო დავრჩი ეს უპატრონო და გამოვყრუვდი სახლში, რა უბედური ყოფილა მარტო ყოფნა. (ნარდზე მიუთითებს) ერთი ხელი მეთამაშე, თუ არ შენუხდები, მარტო ერთი ხელი...

გუჯუ, შეძრწუნებული, არაფერს იტყვის გატრიალდება და ეკიპაჟის სხვა წევრებსაც გაიყოლიებს.

მასპინძელი – რა გეჩქარებათ, რა იყო, სად გარბიხართ ყველა. ერთი და ერთი მაინც დარჩით. ხალხი არა ხართ? ვინც იჩქარა არც ერთი არ მობრუნდა უკან, ასეა ეს!

ეკიპაჟი მანქანაში სხდება.

გაბრაზებულმა კიტამ ლამის ოთხით დაძრა მანქანა ადგილიდან.

ეკიპაჟის წევრებს წყენამ მაშინვე გაუარათ, როცა მოშემ ჩანთიდან შამპანურის ბოთლი ამოიღო.

სასწრაფო დახმარების მანქანა ჩვენთვის ნაცნობი მხიარული მუსიკის აკომპანიმენტით მოქრის პროვინციული ქალაქის ქუჩებში.

მეექვსეჯერ შემოუარეს ერთ სახლს მაღალსახლებიან ახალ კვარტალში. ნომერი არა და არ აწერია. ისევ უკან დაბრუნდნენ. თითებით ითვლიან სახლებს. ერთ სახლთან შეაჩერეს მანქანა. მოშე გადახტა, ხალათის სახელოთი თეთრად შეღებილი ნომერი გადაასუფთავა, გამოჩნდა რიცხვი „14“, „არის!“ სიხარულით იყვირა მოშემ.

ოთხივენი კიბეზე არბიან. წინ გუჯუ მიდის, ბედნიერი, სერიოზული სახით, ახალი ორდერით ხელში.

„ბინა №33“, ეკიპაჟის წევრებს თითქოს ცივი წყალი გადაახესო. ბინიდან ტკბილი სიმღერა ისმის. „რომ მოგიტაცო სად წაგიყვანო, სახლი არა მაქვს, სად მიგიყვანო, მაგრამ მაინც წამოდიო“, მღერიან, ქეიფობენ ახალმოსახლენი.

გუჯუმ კიტამ, მოშემ და შურამ რამდენიმეჯერ დააკაკუნეს, მერე კარს მხრებით მიანვნენ და კარი რომ შეინგრა, კინაღამ მოქეიფეთა ფეხებთან გაიშხლართნენ.

სუფრას ექვსიოდე კაცი უზის, იქვე თმაგადასლექილი, მოხდენილი ქალი ტრიალებს.

როგორც ამ ქალაქში საერთოდ იციან, ეკიპაჟის წევრები თვალის დახამხამების უმაღლესი აღმოჩნდებიან მოქეიფეთა ტყვეობაში. კაცებს ყანები შეაჩერეს, შურას შამპანური (მოშეს უცერემონიოდ გამოართვეს ეს შამპანური ხელიდან), სულმოუთქმენლად დააღევინეს სტუმრებს პირველი სასმისი. გუჯუს რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ვიღაცამ სიმღერა წამოიწყო და სხვა გზა არ იყო, გუჯუც აპყვა.

სიმღერა რომ ჩაათავეს, მასპინძელი – ტაქსის მძღოლი გელა იაშვილი, გახეთქილი მთვრალი, ლალისფერი ღვინით სავსე ჭიქით ხელში ბარბაცით სადღეგრძელოს ამბობს: „ბიჭოიას ჰგონია მარტო თვითონაა კაცი. მევიდეს ახლა და შეხედოს. ოთხი ექიმი ერთად მაგის გვარშიც არ უნახავს არავის. რაზე მოვიდა ეს პატიოსანი ხალხი?! გაიგეს გელა იაშვილმა ბინა მიიღოვო და მოსალოცად მობრძანდნენ. ასე არის ეს, მეც კარგი მაქვს დათესილი, რასაკვირველია ამ ქვეყანაზე და იმიტომ. მადლობელი ვარ დიდად. ზოგიერთს თქვენს ადგილზე

არც კი გაახსენდებოდა სანყალი ტაქსის შოფერი. ასე არის ეს. მოდი ამ ჭიქით საექიმო, რავა ჰქვია? – პერსონალი შეაშველა ვილაცამ.

– საექიმო პერსონალის შემოსწრებას გაუმარჯოს.

გუჯუს ისევ უნდოდა რალაცა ეთქვა, მაგრამ ისევ სიმღერა წამოიწყეს.

სხვა გზა არ იყო, ბინის კანონიერმა მფლობელმა ორდერი წვრილად დაახვია და ხალათის ჯიბეში ჩაჩურთა.

ქეიფი გრძელდება.

სიმღერა ცეკვაში გადადის.

გუჯუ შემთვრალია და გამეტებით უსვამს ფეხებს. ცეკვავს აღტკინებული. „დავრდომილი არაბის“ საცეკვაო მოტივი გაკრთება ალაგ-ალაგ მის იმპროვიზებულ ცეკვაში.

მოშეს ყველასგან განსხვავებული, ორიგინალური ცეკვა სცოდნია.

საქმე იქამდე მივიდა, რომ შურაც კი ააცეკვეს.

ბოლოს მთვრალეები, ხელგადახვეულები ეშვებიან კიბეზე.

თითო სტუმარს თითო მასპინძლისათვის გადაუხვევია ხელი და მღერიან

გუჯუ და გელა იაშვილი წინ მიდიან. უეცრად გელა შეჩერდა, ცდილობს სიმთვრალე არ შეიმჩნიოს.

– არ თქვა, თუ ღმერთი გნამს, არაფერი, ვიცი, ვხვდები ყველაფერს. მთლად ასეც არაა საქმე. უნამუსოები არიან მაგენი და უნამუსო ვირს უნამუსო პალო უნდა ხომ იცით თქვენ, ამდენ ტყუილ დაპირებას ვერ გაუუძელი, ჩემნაირ უსახსროს და უპატრონოს ბინას აღირსებს კეზევაძე? ვიცი, ხვადაგობა ჩავიდინე, მაგრამ სხვა გზა არ იყო. ცოცხალი თავით არ გავალ ახლა იმ ბინიდან.

გ უ ჯ უ (ამოიხვნეშებს) – აგაშენა ღმერთმა, მაგრამ მე რა ვქნა? გ ე ლ ა (თითქოს გამოსავალი იპოვა) – შენც ადექი და სხვის ბინაში შედი.

გუჯას გაოცებული თვალებიდან კამერა უკან მომავალ მოშესა და მალალ, ხმელ მამაკაცზე გადადის. ხელიხელგადახვეულ-

ნი, მთვრალეები, მოშეს მოუსწრია ამ უცხო კაცთან დამეგობრება.  
მ ო შ ე – ვთქვი მისი არ იყოს, მოსწრებაზეა ცხოვრება, და-  
გენაცვლე.

ისევ მანქანა ქუჩაში.

სასწრაფო დახმარების ეკიპაჟი თვლემს.

გუჯუს წინ წითელი ნათურა აინთო და რადიომიმღები  
ალაპარაკდა.

– მეოთხე! მეოთხე! – ქალიშვილის ხმა.

გუჯუმ ლილაკს უხალისოდ აჰკრა თითი.

– მეოთხე გისმენ.

– მარშალ ბუდიონის ქუჩა, შვიდი ნომერი. კიზირია.

გ უ ჯ უ – რა ჭირს?

ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ს ხ მ ა – ვერ გეტყვი, ამ ნუთში დარეკეს.

გ უ ჯ უ (დაეჭვებით) – თვითონ დარეკა ავადმყოფმა?

ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ს ხ მ ა – რა ვიცი, მეზობელი ვარო.

გ უ ჯ უ – ბუდიონის ქუჩა, ბალახვანში არაა?

ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ს ხ მ ა – საკირესთან ზევით, კუთხეში.

გ უ ჯ უ – მივდივართ.

მისამართის ძებნა არ დასჭირვებიათ. ეზო ხალხით არის  
სავსე. მანქანამ საყვირი მისცა, მოქალაქეებმა გზა დაუთმეს,  
ეკიპაჟის წევრები ცდილობენ სიმთვრალე არ შეიმჩნიონ.

გუჯუ, რამდენადაც მოუხერხდა, სერიოზულად ჩამოდის  
მანქანიდან და მითითებული სახლისაკენ მიდის.

მოშემ საკაცე გადმოიღო, მაგრამ შეატყო, რომ ვერ მო-  
ერეოდა და ისევ უკან შეატურა.

კარები ორმეტრიანმა ულამაზესმა ახალგაზრდა კაცმა  
გააღო. შეძრწუნებული სახე აქვს.

ო რ მ ე ტ რ ი ა ნ ი – მიშველეთ ექიმო!

გ უ ჯ უ (მშვიდად) – თქვენი რა არის?

ო რ მ ე ტ რ ი ა ნ ი – ცოლია.

მდიდრულად მორთული ოთახის შუაგულში არაბულ სა-  
წოლზე ინისფერთმიანი ფაშფაშა ქალი წევს ფიროსმანის „ორ-  
თაქალის კახპას“ პოზაში.

ლამაზს ფუნჩულა ხელი გულზე უდევს და ვნებისმომგვრელი მკერდი იმაზე მეტად მოუშიშვლებია, ვიდრე ავადმყოფს ეკადრება საერთოდ.

გ უ ჯ უ (ავადმყოფის მაჯა აიღო) – ინერვიულე?

ქ ა ლ ი (ფართო, წყლიანი თვალებით გუჯუს ამოხედა) – რაი?

გ უ ჯ უ – სანერვიულო შეგხვდა რამე?

ქ ა ლ ი (დარწმუნებით) – კი (თავი გადააგდო) ექიმო, ვკვდები, წყალი!

ორმეტრიანმა ლამაზმა ქმარმა ჭიქას ხელი წამოავლო და გავიდა. გავიდა თუ არა ქმარი, ავადმყოფი მაშინვე გამოცოცხლდა, მიიხედ-მოიხედა, გუჯუს თავი დაანეწინა, ფუნჩულა მკლავები კისერზე შემოხვია და ყურში რალაცა უჩურჩულა.

გუჯუმ კისერი უბოდიშოდ გაინთავისუფლა და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

ულამაზესმა ვაჟკაცმა, ავადმყოფის ქმარმა, ჭიქით წყალი შემოიტანა, ავადმყოფმა ჭიქას ტურჩები მიაკარა და კვნესას მოუმატა.

გუჯუს სიმთვრალე ნელ-ნელა ერევა.

როგორც იქნა გაუსინჯა ქალს მაჯა, მერე კარგა ხანს გულს უსმინა (სულო, ცოდვილო, ქალის ფუმფულა ძუძუებში გულმოდგინედ ჩურთავდა ფონენდოსკოპს) ბოლოს თავი აწია და ქმარს შეხედა.

გ უ ჯ უ – მდაა... მძიმე სურათია.

ამის გამგონე ქმარს ფერი ეცვალა, ქალმა კი მკლავი ჩამოაგდო და თვალები დახუჭა, აქაოდა გული შემიღონდაო.

გ უ ჯ უ – კლინიკური სიკვდილი იწყება. ერთადერთი ხსნა გულის მასაჟშია.

ქ მ ა რ ი (დაბნეული) – რაშია?

გუჯუმ არაფერი უპასუხა.

ავადმყოფის მაჯები აიღო და ჯერ ხელოვნური სუნთქვა დაუნყო, მერე უშუალოდ გულის მასაჟზე გადავიდა. მედიცინაში ნაკლებად გარკვეულ მკითხველს შევახსენებთ, რომ გულის მასაჟი კეთდება მკერდის არეში ხელისგულების პერი-

ოდული დანოლა-აშვებით.

გუჯუ მასაჟის დროს მთელი ტანით აწვებოდა ავადმყოფს, მგონი ტუჩებითაც კი ეხება (აქაოდა სულს ჩავბერავო).

„ავადმყოფი“ დიდი ნებისყოფით ითმენს ამ ძალად მკურნალობას, მეტი რა გზა აქვს.

მოშე და შურა სიცილს ძლივს იკავებენ.

მ ო შ ე (შურას) – გაიხედე იქით!

შურამ თავი შეაბრუნა.

ავადმყოფმა „სული რომ მოითქვა“, გუჯუ კვლავ ჯიუტად განაგრძობდა მასაჟს. ეჭვიანმა ქმარმა უკნიდან მოხვია ხელები ექსტაზში შესულ ექიმს, ავადმყოფს გამოარიდა და სკამზე დასვა.

გუჯუმ ოფლი მოინმინდა და ქმარს შეხედა.

გ უ ჯ უ – ლევომიციტინი გაქვთ?

საიქიოდან მობრუნებული ქალი მტკიცედ ამბობს:

– არა!

გუჯუმ რეცეპტი გამონერა.

გ უ ჯ უ (ორმეტრიანს) – გავარდი ჩქარა! აფთიაქი არის აქ ახლოს?

ქ მ ა რ ი – კი, ბატონო.

საბოებში ფეხი წაჰყო, პიჯაკი მოისხა და გასვლისას (რაც არ ეპატიება) სარკეშიც კი ჩაიხედა, სარკის დრო აქვს ახლა?

გავიდა თუ არა ქმარი, გუჯუ დინჯად წამოდგა, მიიხედ-მოიხედა, კარადასთან მივიდა, კარი გამოალო და კარადაში ჩამოკიდებულ ათასნაირ კაბებს განუცხადა:

– გამობრძანდით!

კარები შეინძრა და კარადიდან იატაკზე გადმოაბიჯა ნიფხვისამარა დაბალი ტანის გამხდარ-გალეულმა, წვრილულვა-შიანმა, გრძელცხვირა კაცმა.

მ ო შ ე (სახტად დარჩენილ შურას) – გაიხედე იქით!

შურამ, ალბათ პირველად მის ცხოვრებაში, მოშეს რჩევა ყურად არ იღო და თავი არ შეაბრუნა.

„დონ-ჟუანმა“ ოთახში ამდენი ხალხი რომ დაინახა, შეცბა და ისევ კარადაში შებრუნებას აპირებდა, მაგრამ ქალის ხმამ



შეაჩერა.

ქაღალდი – ჩაიცვი ჯიმი, ნუ გეშინია!

დარცხვენილი ჯიმი შემოტრიალდა. იატაკის საწმენდი ჯოხი აიღო, საწოლს ქვემოთ იატაკს გამოუსვა, ნაუცბათევად იქ შეყრილი თავისი ტანსაცმელი გამოათრია, ჩარლი ჩაპლინის კაცუნას სისწრაფით ჩაიცვა და კარებისაკენ რომ გაიქცა, ისევ ქალის ხმამ შეაჩერა.

ქაღალდი (გუჯუზე ანიშნებს) – ჯიმი, აი, ჩვენი მხსნელი!

ჯიმი შეტრიალდა, გუჯუს ხელი ჩამოართვა და გადაეხვიდა. სხვებისკენაც გაიწია, მაგრამ მოშემ და შურამ ამბორის ნება არ მისცეს. კიდევ ერთხელ რევერანსებითა და ჰაეროვანი კოცნებით გადაიხადა მადლობა და სიცოცხლენაჩუქარავით ფრთაშესხმული გაბაკუნდა.

გუჯუმ მიაცილა კარებამდე.

გასვლისას შეაჩერა და მთვრალი კაცის ღიმილით, ნაძალადევი სიმშვიდით უთხრა:

– მე ვინ მკითხავს, მაგრამ, არ ვარგა ასე ჯიმი!

ჯიმი – სწორი ბრძანდებით, ვინ იცოდა, რომ მობრუნდებოდა. ჩვენს იღბალზე არ გაფრინდა თვითმფრინავი.

ღილაკს თითი დააჭირა და ლიფტის შავ ხახაში გაუჩინარდა.

„ბრძოლით“ დაღლილი ეკიპაჟის წევრები ხანძართან უთანასწორო ბრძოლაში არაქათგამოლეული მებანძრეებივით მძიმედ ეშვებიან კიბეზე და მანქანაში სხდებიან.

წარწერა ეკრანზე:

„ერთი წელი მთლად არ გასულა“.

თავის აკვარიუმის მსგავს მინის კაბინეტში კვლავ ვხედავთ საბინაო სამმართველოს უფროსს ანდრო კეზევაძეს.

ჩვენ ისევ გარედან შევცქერით აკვარიუმს და ხმა არ გვემის.

ჯერ მშვიდად იწყებენ საუბარს, მერე კი გუჯუ და ანდრო შესტიკულაციის უკიდურეს ფორმაზე გადადიან.

დრო გადის. გუჯუ ხან პერანგით მოჩანს ანდროს კაბინეტში, ხან თავისი განუყრელი ფართოფიბიანი პიჯაკით, ხან პალტოთი. უკვე წერვები აღარ ჰყოფნის, რაც იმაზე ეტყობა,

რომ საბინაო სამმართველოს უფროსის კაბინეტში შესვლისას ამ ბოლო დროს აბებს ყლაპავს.

ანდრო კეზევაძე ჯიუტობს. იგი მშრომელ ადამიანებზე ფიქრში გართული გვიან ღამემდე უზის თავის სამუშაო მაგიდას, მაგრამ გუჯუ მაისურაძეს ბინას მაინც არ აძლევს. ჩვენ რომ ხმა გვესმოდეს, ვინ იცის, იქნებ ეუბნება: ორჯერ მოგეცით ბინა და ორჯერვე სხვამ შეგასწროთ, რა გიყოთ ძმაო, ეგებ არა გაქვს საერთოდ ბინის ილბალიო.

ღამეა. საბინაო სამმართველოს შენობაში მხოლოდ ანდრო კეზევაძის კაბინეტშია სინათლე. ხელმძღვანელი მუშაკი ამ ბოლო დროს ღამეც მუშაობს.

ფანჯარაში ყვავი შემოფრთხილდა.

ანდრო კეზევაძე შეშინდა და თავი აიღო. კარმა გაიჭრიალა. საბინაო სამმართველოს უფროსის შეშინებული თვალები.

კარებში გუჯუ დგას. ხელში კეტი უჭირავს და როგორც ვეფხვი თავის მსხვერპლს, ისე ეპარება ახლა ანდრო კეზევაძეს.

შეშინებული კეზევაძე კედელს აეკვრება და ოთახიდან გარბის.

გრძელი დერეფნის ბოლოს მოშე დგას კეტით ხელში და კბილთა ღრჭიალით უახლოვდება მსხვერპლს.

ანდრო შემოტრიალდება და კარებისაკენ მორბის. კიბის თავზე კიტა სვანაძე ელოდება თავის მსხვერპლს.

საბინაო სამმართველოს უფროსი შემოტრიალდება და განწირული სახით მარჯვნივ, სახანძრო კარებისაკენ გარბის, კარები იღება და შურა გამოჩნდება კეტით ხელში.

კიდევ ერთხელ მიანყდა ხაფანგში გაბმულ თავივით ანდრო კეზევაძე აქეთ-იქით და ბოლოს ხელები ასწია.

ანდრო კეზევაძის ხელანეული ფიგურა სასწრაფო დახმარების საავადმყოფოს პერსონალის წინაშე დგას.

ტაში გაისმის.

სამედიცინო პერსონალის თეთრ ფონზე აქა-იქ ვხედავთ გუჯუს, კიტას, მოშეს და შურას სახეებს.

ანდრო კეზევაძემ მუშტი შემართა, მიკროფონი გამოსწია

და დაიწყო: „ასე და ამგვარად, თვითნებობის, სიბნელის წყეული დრო წარსულს ჩაბარდა, დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ძლევამოსილი ლაშქრობის ამ ისტორიულ დღეებში კორუფციისა და წაყრუების რეციდივების საბოლოოდ მზის ჩასვენების ნიშნად მიიხსიანდა ახალი ბინის ორდერი საჯაროდ გადავცე ჩვენი ქალაქის ღირსეულ მშრომელს, სახელოვან ექიმს გუჯუ მაისურაძეს!“

სცენის ზემოთ კვლავ აინთო წითელი ნათურა და კვლავ გაისმის გაბმული ზარი.

საბინაო ორდერის საზეიმო გადაცემა კიდევ ერთხელ ჩაიშალა.

სასწრაფო დახმარების საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალის ერთსულოვან ორკესტრ-კედელში კვლავ ერთმანეთის მიყოლებით ქრებიან გუჯუს, კიტას, მოშეს და შურას სახეები.

„03“ მანქანის ეკიპაჟი კიბეზე ჩარბის.

მოშე ერთხელ კიდევ შეჩერდა, მობრუნდა, ანდრო კეზევაძეს ორდერი გამოგლიჯა და წინ წასულებს გამოუდგა.

სასწრაფო დახმარების მანქანა ქუჩაში მოქრის.

ანდრო კეზევაძე საბინაო სამმართველოს შენობის შესასვლელში სამოქალაქო ომის ჯარისკაცის გაცვეთილ-გახუნებულ ტანსაცმელში გამოწყობილ საკმაოზე მეტად დაჩაჩანაკებულ, წელში მოხრილ მეტად გათეთრებულ მოხუც კაცს ესაუბრება.

ანდრო კეზევაძე – მე ვიცი რასაც ვამბობ. წადი ჩქარა.

მოხუცი – სხვანაირად არ შეიძლებოდა? ექიმთან ჭიდაობა შემიძლია მე ამ სიბერეში?

ანდრო კეზევაძე – კაცო, მე ვიცი რასაც ვაკეთებ-თქვა, არ გითხარი? შედი და თუ გამოგადგეს, ეს უღვაში მომპარსე. შენ არ იცნობ გუჯუ მაისურაძეს. პირველი შემთხვევა კი არაა. შენ კი არა ტაქსის შოფერს შეატოვა ბინა.

მ ო ხ უ ც ი – ნავედი აბა...

ანდრო კეზევაძე (დაენია) – შენი ცოლი დახვდეს სახლში და სულ ნუ გაუღებს კარს. ასე ქენი ახლა!

შორიდან ვხედავთ უკაცრიელ ქუჩაზე გაჩერებასთან ლუ-

იზა დგას. ვილაც მთვრალი მამაკაცი ელლაბუცება. შეტრი-  
ალდება ლუიზა, მთვრალი ახლა იქიდან მოუდგება. შორი-  
დან ლუიზას ულამაზესი ფეხები აქვს და, ღმერთო შეგცოდე,  
ვნებისაღმძვრელი ტანი, რასაც ის გარემოებაც უსვამს ხაზს,  
რომ უფრო მოკლე კაბა აცვია, ვიდრე ახლა ატარებენ ქალები.

კიტამ სიგნალი მისცა. ლუიზა შემობრუნდა და ენა გამოუყო  
მანქანას. გუჯუმ იცნო ლუიზა და კიტას მხარზე ხელი დაჰკრა:  
– გააჩერე!

მანქანა უკანსვლით რომ წამოვიდა, ლუიზამაც იცნო  
გუჯუ (ისინი ხომ აქამდე ორჯერ შემთხვევით შეხვდნენ ერთ-  
მანეთს) და სასწრაფო დახმარების მანქანისაკენ თამამი ნაბი-  
ჯით წამოვიდა.

მანქანა მიქრის ქუჩაში, გუჯუ და ლუიზა ერთმანეთის  
გვერდით სხედან, გუჯუს არაჩვეულებრივად სერიოზული სახე  
აქვს. არ არის იგი ქალთა მოყვარული, მოსეირნე მამაკაცი.

გ უ ჯ უ – მაპატიეთ, ნაცნობი სახე გაქვთ და კი ვერ მოგიგონეთ.  
ლ უ ი ზ ა – არაფერიც, მე თქვენ პირველად გხედავთ.

ცოტა არ იყოს ყალბი კეკლუცობით მიუგო ქალმა.

გ უ ჯ უ – რაკი ასეა, ვიცნობდეთ ერთმანეთს, გუჯუ.  
გუჯუმ ხელი გაუწოდა.

ლ უ ი ზ ა – ქალმა ნაზად გაუწოდა ხელი და რაკი გუჯუმ ჩვეუ-  
ლებრივზე უფრო მოუჭირა, სწრაფად გაინთავისუფლა,  
თითები დაიქნია და ერთი-ორჯერ სულიც კი შეუბერა.

გ უ ჯ უ – საით მიდიოდით ლუიზა?

ლ უ ი ზ ა (დაუფიქრებლად) – არსად.

გ უ ჯ უ – არ მუშაობ?

ლ უ ი ზ ა (გაცხარებით) – არა.

გ უ ჯ უ (მიხვდა ვისთანაც აქვს საქმე) – აააა ხოოოო,...

ლ უ ი ზ ა (თვალეები ცრემლებით აქვს სავსე) – ახლა თქვენ,  
როგორც წესიერი ოჯახის კაცი და თან ცოტა მშობარა,  
გააჩერებთ მანქანას და ჩამომსვამთ ხომ? რატომ გამიჩე-  
რეთ, ვინ გეხვეწებოდათ?

გ უ ჯ უ – რა გაყვირებს? (მიიხედ-მოიხედა, ეკიპაჟის წევრები თავიანთ ფიქრებში არიან) – რა სჯობია შენთან ლაპარაკს, მაგრამ გვეჩქარება, სასწრაფო გამოძახებაზე მივდივართ.  
ლ უ ი ზ ა (დანანებით) – მესმის. ყველას ერქარება. მარტო მე არ მეჩქარება და იმ ლოტს, ქუჩაში რომ ამეტორლიალა (თვალეები ცრემლებით აქვს სავსე).

გ უ ჯ უ (შეეცოდა) – საწყენად კი არ მითქვამს შე ქალო.  
ცოტა ხნით უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

ლუიზამ გაზეთი გამალა, ერთხანს ათვალაიერა და უეცრად ლოყაზე იტკიცა ხელი.

ლ უ ი ზ ა – ვაიმე!

მ ო შ ე (გამოერკვევა) – რა წერია შით?

ლ უ ი ზ ა – ვილაცას ვეფხვი გაუზრდია ბინაში. ერთ დღეს ცუდ ხასიათზე გამოუღვიძია იმ ვეფხვს და შეუჭამია მთელი ოჯახი.

მ ო შ ე (აღშფოთებით) – შეჭამდა, აბა რას იზამდა. შენ მოერევი ვეეფხვ? ამ ხალხის მიკვირს, ჩემზე ღონიერ მხეცს რავა გავაჩერებ სახლში. თუ თავი მოგძულდა, პირდაპირ ჩაბარდი ზოოპარკს ხორცად და ის იქნება. მაინცდამაინც შენმა გაზრდილმა მგელმა უნდა შეგჭამოს?!

ეკიპაჟის წევრებს მოშეს „სიბრძნეზე“ წარბიც არ შეურხევიათ. თითქოს არც გაუგონიათ.

მანქანამ ოვალური ხიდი გადაიარა და ტრასაზე გავიდა.

კ ი ტ ა (უკანმოუხედავად) – მოვედით.

შემთხვევის ადგილზე ხალხი ირევა, თითქმის დაჭყლეტილი თავდაღმამდგომი „მოსკვირიდან“ პირსისხლიანი კაცი კისერ-მოლრეცით ჩანს. მოშორებით საბარგო მანქანა დგას.

ეკიპაჟის წევრები თითქმის ერთდროულად გადმობტნენ სასწრაფო დახმარების მანქანიდან. ნაავარიევ „მოსკვირთან“ პირველი გუჯუ მიიჭრა, მხრებით მიანვა, სხვებიც დაეხმარნენ და „მოსკვირი“ როგორც იქნა, თვლებზე დააყენეს. კარები გაჭყლეტილია და არ იღება.

მძღოლს კისერი გადაუვარდა და სავარძელზე მიესვენა. სისხლი სდის. ცოცხალია თუ მკვდარი, კაცმა არ იცის.

როგორც იქნა გამოგლიჯეს კარები. დაზარალებული საკაცეზე დაასვენეს. გამალებით მუშაობენ ეკიპაჟის წევრები. ადგილზე პირველი დახმარებაა, სისხლის შეჩერება. ხელოვნური სუნთქვა მორიგეობით. ყველას შუბლი დაცვარული აქვს ოფლისაგან. ავადმყოფმა ბევრი სისხლი დაკარგა და გონს ჯერ ვერ მოიყვანეს.

შემკრთალი, შეძრწუნებული ლუიზა, მკლავებზე ხელს ისვამს და მანქანის შორიახლო დგას. ჯერ ნასვლა გადანყვიტა, მაგრამ სწრაფადვე გადაიფიქრა და ეკიპაჟის წევრების ირგვლივ ფუსფუსებს, ხელოვნური სუნთქვით გართულმა, დაღლილობისაგან გასავათებულმა გუჯუმ თავი ასწია და მომაკვდავთან ჩაჩოქილი, ცრემლდენილი ლუიზა რომ დაინახა, გულის სიღრმეში ესიამოვნა კიდევ.

სიცოცხლე გადარჩენილია. სასწრაფო დახმარების მანქანა „03“ სირენის სიგნალით მიქრის საავადმყოფოსაკენ. ყველა და ყველაფერი გზას უთმობს, ავადმყოფს თავი ლუიზას მუხლებზე უდევს.

საავადმყოფოსთან მანქანა გაჩერდა. ეკიპაჟმა საკაცე გრძელ დერეფანში შეარბენინა.

მანქანიდან ლუიზაც გადმოვიდა და მკლავებზე ხელის სმით იქვე დადის.

ეკიპაჟი მალე გამობრუნდა. ისინი ვალმოხდილნი, წელში გამართულნი, ცოტათი გახალისებულნიც მიაბიჯებენ. გუჯუს მაინცდამაინც არ ესიამოვნა ლუიზას დანახვა, მაგრამ იხტიბარი არ გაიტყნა. უნდა როგორმე მოიშოროს ეს ქალი.

მანქანა დაიძრა. ლუიზა და გუჯუ კვლავ ერთმანეთის გვერდით სხედან. მომე მხრებზე შეეხო გუჯუს და ქალზე მიუთითა, ე. ი. მოიშორე თავიდანო.

გ უ ჯ უ – სხვა დროს სად შეიძლება შენი ნახვა, ლუიზა?

ლ უ ი ზ ა – მემშვიდობები?

გ უ ჯ უ – ხომ ხედავ, არ გვცალია.

ლ უ ი ზ ა – სხვა დრო რად გინდა. ჩემს შეყვარებას ხომ არ აპირებ?

გ უ ჯ უ (აიმრიზა) – არა... ისე... ტელეფონი თუ გაქვს-მეთქი.

ლ უ ი ზ ა (ისევ გაცხარებით) – მარტო ტელეფონი მაკლია, სხვა ყველაფერი მაქვს.

გუჯუს აშკარად შეეცოდა ეს ქალი, მაგრამ გარემოების გამო მაინც უნდა მისგან თავის გათავისუფლება.

– ლუიზა, – გუჯუმ თითქოს შორიდან, ყრუ ხმით ჰკითხა – ჩემს ძმაკაცთან რომ მიგიყვანო?

ლუიზამ გაკვირვებით ამოხედა თავის ლამაზ, წყლიან, ფართო თვალებით და განზე გაიხედა.

მალე გუჯუმ ხელი დაჰკრა მხრებზე კიტას.

მანქანა გაჩერდა.

გუჯუ გადავიდა და ქუჩის პირას, პირველი სართულის ფანჯარაზე დააკაკუნა.

თითქოს დაკაკუნებას ელოდაო, იმ წამსვე გამოყო თავი წითური სახის თმაჭალარა, გრძელცხვირა, ორმოციოდე წლის მამაკაცმა – სოსო ბუხაიძემ.

ს ო ს ო – რა იყო?

გ უ ჯ უ – გოგო მახლავს, მანქანაში მიზის.

სოსომ თვალი ჩაუკრა.

ს ო ს ო – როდის იყო ჩემზე ზრუნავდი. შენ მატყუებ რაღაცას.

გ უ ჯ უ – დედას გეფიცები.

ს ო ს ო (დასერიოზულდა) – მონაფეები რომ მყავს?

გ უ ჯ უ – დასვი მანდ სადმე, მონაფეებთან, ოღონდ ხმა არ გასცე იცოდე.

ს ო ს ო – გაგიჟდი ბიჭო? იმ წუთას მიხვდებიან ყველაფერს, თავი გინდა მომჭრა? ვინაა, რა ქალია, რა საქმე აქვს შენთან?

გ უ ჯ უ – ჩემთან კი არაფერი... სხვამ მომაბარა.

ს ო ს ო (ყველის ვაჭარივით დაიღრიჯა) – ერთი საათის მერე.

გ უ ჯ უ – გადაშენდი იქით! მადლობელი ვარ, დაგიმახსოვრებ ამ პატივისცემას.

განზილებული სახით მოდის მანქანისაკენ.

მანქანა დაიძრა.

ერთ კვარტალს რომ გაცდნენ, მარჯვნივ ჩაუხვიეს.

გუჯუ გადმოვიდა. სადარბაზოში შეირბინა, ლიფტის ღილაკს თითი დააჭირა, ლიფტის კარი რომ გაიღო, თავის ძმაკაცს, გივი ბაჩალაძეს შეეფეთა. გივის მოტველებილ თავზე ჩაჩი ახურავს, გრძელი ხალათი აცვია და თანამდებობის პირის სერიოზულობით ვარჯიშობს.

გ ი ვ ი – ვაჰ, გუჯუ! შემოდი.

გ უ ჯ უ – შემოსასვლელად არ მცალია, ქალი მყავს მანქანაში.

გ ი ვ ი – რა ქალი?

გ უ ჯ უ – შენთან უნდა დავტოვო ცოტა ხანს.

გივის გაოცებისაგან ჩაჩი მალლა აენწევა. ასეთ ჟესტს თავისი უწყინარი ძმაკაცისაგან არ ელოდა, მაგრამ სწრაფად მოეგება გონს, ხელებს ერთმანეთს გაუსვ-გამოუსვამს და საქმეზე გადადის.

გ ი ვ ი – მაშ ასე, ერთი საათის მერე უნდა მომიყვანო.

გ უ ჯ უ (სასონარკვეთილი) – ახლა რა გიშლის ხელს?

გ ი ვ ი (სუ... მიიხედ-მოიხედავს) – ჩემი სიდედრია სახლში.

გ უ ჯ უ – ვაი შენს პატრონს, ვერ გამიგე ბიჭო, მე ოღრაშობა კი არ დამინყია, არ მცალია და გამირთობდი ცოტა ხანს. აბა ნავედი. შენგელია სახლში იქნება?

გ ი ვ ი – სად წავა აბა (კიბეზე გაქცეულ გუჯუს დაანია) გუჯუ! ისე, ჩემთვის ანი კი აღარ შეიძლება მაგნაირი რამეები!

გ უ ჯ უ (ამოხედა) – ნუ მასხარაობ რაღაცას.

წელანდელზე უფრო დაძმარებული შემოდის გუჯუ მანქანაში. ლუიზამ კითხვაჩამდგარი თვალებით ამოხედა. ლუიზა ვერ მიმხვდარა, რაშია საქმე. მე მგონი ვერც ეკიპაჟის წევრები ხვდებიან.

ურიცკის ქუჩაზე, ერთსართულიან, კრამიტით გადახურულ სახლში კახა შენგელია ცხოვრობს. გამოუსწორებელი უცოლო.



რომ ვერ გააგონა, გუჯუმ კარს აუტეხა ბრახუნი.

– ახლავე! – კარის ღრიჭოში კახა შენგელიას სათვალისანი ცხვირი გამოჩნდა, გაუპარსავია, ნამძინარევი.

გ უ ჯ უ – ბევრი ლაპარაკის დრო არ მაქვს, ქალი მახლავს.

კ ა ხ ა (სახე გაებადრა) – ახლა რა დროისაა, ასე გაბუძგული ხომ გადავრევე, ჩავიცვამ, გავიპარსავ და ერთი საათის მერე ვნახავ.

გ უ ჯ უ – გადასასინჯად კი არ მომიყვანია. ისე ქალია.

კ ა ხ ა – ოჰ, შენ რა გითხრა, მე სხვა რაღაცა მეგონა. არც მაგაში ყრია არაფერი. ახლა, შემოდგომაზე ცოლი უნდა ვითხოვო.

გ უ ჯ უ – ფილოსოფიას მოეშვი ახლა. შენ ეგრე ამბობ ყოველთვის, არაფერი ცოლის მთხოვნელი შენ არა ხარ. (დაფიქრდა) – ისე, ვერც შენ განდობ ამ ქალს (ახედდახედა), გლახა ღლაბუცი იცი.

კ ა ხ ა – ერთ საათს ვერ მოიცდის?

გუჯუმს ეს ბოლო სიტყვები აღარ გაუგონია, იგი უკვე მანქანაში იყო და ფიქრი ხმამალლა ნამოცდა.

გ უ ჯ უ – რაღა ერთად გამოსწორდა ყველა, რაღაცა კარგი არ ჭირს ამ ქვეყანას.

ლ უ ი ზ ა – რაზე ამბობ?

გ უ ჯ უ (ყალბად) – კოჭის ძაფს ვეძებ და ვერ ვიშოვე ვერსად.

ლ უ ი ზ ა (მრავალმნიშვნელოვნად) – ააა, ჰოოო.

გ უ ჯ უ (ცოტა ხელოვნური უკმეხობით) – ქმარს რატომ გამოორდი, ლუიზა?

ლ უ ი ზ ა – ვინ თქვა?

გ უ ჯ უ – ასე იციან ხოლმე თქმა.

ლ უ ი ზ ა – ვინ „იციან ხოლმე“?

გ უ ჯ უ – რა ვიცი, ქალებმა... საერთოდ... ქმარს ახლახან გავშორდი, იმიტომ რომ არ მიყვარდა. პირველი მამაკაცი, რომელიც ქმართან განშორების შემდეგ გავიცანი, შენ ხარო... ასე არ იციან?

ლ უ ი ზ ა (მცირე პაუზის შემდეგ) – არა, გუჯუ, მე ქმარი არ მყოლია, რომ მყოლოდა ყველაფერს გავაკეთებდი რომ არ დავშორებოდი. არც იმის თქმას ვაპირებდი „ქალებმა რომ იციან ხოლმე“...

ერთბაშად შეტრიალდა და გუჯუს ზურგი შეაქცია. გუჯუს სახის გასწვრივ ლუიზას მოცახცახე მხრები მოჩანს.

გ უ ჯ უ (დაბნეული, წინ იყურება) – კარგი ახლა, შე ქალო... ისე ვთქვი... ხუმრობა არ იცი?..

სალამოსპირია. მზე ჯერ არ ჩასულა, ქარი ქრის.

სალორიის ტყე-პარკს ის-ის იყო უნდა გასცილებოდნენ, რომ მოშემ ქუჩაზე პირაღმა დაგდებული კაცი შენიშნა.

– კაცი! – იყვირა მოშემ.

ყველანი ფანჯარას მიანყდნენ.

კიტამ მანქანა ქუჩაში გარდიგარდმო გაშხლართული კაცის გვერდით გააჩერა. ეკიპაჟის წევრები გადმოცვივდნენ. გუჯუ პირველი მიიჭრა დაზარალებულთან, ორივე მუხლზე დაიჩოქა და მისი მაჯა აიღო ხელში, მაგრამ ამ დროს მოხდა სრულიად გაუთვალისწინებელი რამ, „ავადმყოფმა“ თვალი გაახილა. ჯიბიდან ბრაუნინგის სისტემის რევოლვერი ამოიღო, გააჩხაკუნა და ექიმს გულზე მიადო.

– გარშემორტყმული ხართ და ოდნავი აფართხალება სიცოცხლედ დაგიჯდებათ.

გ უ ჯ უ – რა გინდათ?

ტყიდან მეორე ბანდიტი გამოვარდა, ერთ-ერთი მათგანი მოშესთან მივიდა და ხელი გადაუგრიხა.

მ ე ო რ ე ბანდიტი – განზე არ გაიხედოთ. ასე იჯექით, ჩვენ სახუმროდ არ გვცალია (პირველ ბანდიტს) გრიშაია მიდი!

პ ი რ ვ ე ლ მ ა ბანდიტმა – გრიშაიამ ელვის სისწრაფით დატვირთა მანქანა პირამდე სავსე ტომრებით.

სასწრაფო დახმარების მანქანა „03“ ტრასაზე მიჰქრის.

ბანდიტებს თეთრი ხალათები ჩაუცვამთ, ჩვენი გამირები კი უხალათებოდ არიან კუთხეში მიკუჭულები. კიტას გვერდით თეთრხალათიანი პირველი ბანდიტი ზის და რევოლვერი

მძლოლისთვის გვერდში მიუბჯენია. მანქანის სალონში ოთხნი არიან. რევოლვერმომარჯვებული ბანდიტი და ხელებმეკრული ეკიპაჟი – გუჯუ, შურა და ლუიზა. კაცებს ტანსაცმელი შემოხეული აქვთ და შუბლ-ღანვებზე სამედიცინო ექსპერტიზის ენით რომ ვთქვათ, მსუბუქი დაზიანების კვალიც არნიათ. ეტყობა, სანამ ხელებს შეუკრავდნენ, მცირე წინააღმდეგობა როდი გაუწიეს ბანდიტებს, მაგრამ მოგეხსენებათ ძალა აღმართს ხნავს.

გ უ ჯ უ (ბანდიტს) – ეს მანდარინი მოპარულია?

მ ე ო რ ე ბანდიტი – არა, გვაჩუქეს, ობლები ხართ, კუტუნია, გაყიდეთ და ფული ჭკვიანად დახარჯეთო.

ეტყობა ნათქვამი თვითონვე მოეწონა და საზარელი, ჰომერული ხარხარი აუტყდა, სიცილი პირველ ბანდიტსაც გადაედო და გრიშაიამაც მოალო თავისი უშველებელი, მულტფილმის პირატის მსგავსი პირი.

შორიდან ავტონისპექციის ჯიხური გამოჩნდა. ახალგაზრდა ავტონისპექტორი გზის მეორე მხარეს გადმოვიდა. ბანდიტებმა სიცილი მონყვიტეს, მეორე ბანდიტმა რევოლვერი მოიმარჯვა. ავტონისპექტორმა ხელი ასწია.

კიტამ მანქანა შეაჩერა, გრიშაიას რევოლვერის ლულა გვერდს უწვავს.

კიტამ ავტონისპექტორს საბუთები აჩვენა.

პირველი ბანდიტი (ავტონისპექტორს) – ამისათვის გვცალია კაცო? ადამიანი იღუპება!

გუჯუმ ამასობაში კბილით გაღრღნა ტომარა, სანამ მეორე ბანდიტი ავტონისპექტორს შესცქეროდა პირით ამოიღო (ხელები შეკრული აქვს) ერთი მანდარინი და ფანჯარასთან მჯდომ ლუიზას პირითვე გადაანოდა. ლუიზამ დიდი მოხერხება გამოიჩინა – პირითვე გამოართვა გუჯუს მანდარინი და ფარდაჩამოფარებულ სარკმლიდან გადააგდო.

სასწრაფო დახმარების მანქანა „03“ დაიძრა თუ არა ავტონისპექტორმა თვალი ჰკიდა მანდარინს, ხელი სტაცა, ჯიხურში შეარბენინა და ტელეფონს ეცა.

ნამიც და ორი მამაცი ავტონსპექტორი მოტოციკლით მისდევს საკმაოდ შორს წასულ სასწრაფო დახმარების „03“ მანქანას.

მანქანების სრბოლა კარგი დეტექტური სურათების დონეზე: თხრილიდან გადახტომებით, მოულოდნელი მოსახვევებით, გზის მორებით, მანქანის დამალვის ცდით და ა.შ.

მოტოციკლი ერთ მოსახვევში ნანვიმარზე მოსრიალდა და ამოყირავდა. ბანდიტებმა მოიხედეს და სიხარულის ყიჟინა დასცხეს. ისევ გზა.

ავტონსპექტორთა დასახმარებლად ახლახან გამოვიდა გზაზე მილიციის ორი ვოლგა შეიარაღებული მილიციელებით.

დრო არ ითმენს, სადაცაა სასწრაფო დახმარების მანქანა რესპუბლიკის საზღვარს გაცდება. ისევ კიტამ იმარჯვა. შორდან გზის პირას მდგარი თივის ზვინი დალანდა.

კიტა სვანაძემ გზიდან ელვისისწრაფით გადაუხვია და სანამ ბანდიტები გონს მოვიდოდნენ, სასწრაფო დახმარების მანქანამ თივის უზარმაზარ ზვინში ტუცა თავი.

მალე მდევრებიც მოგროვდნენ.

თივის ზვინიდან უსიტყვო კაპიტულაციის ნიშნად მძიმედ, ხელებანეული, განამებული სახეებით გამოდიან ბანდიტები.

ჩვენი ეკიპაჟის წევრებიც უვნებლად გადარჩენილან. მოშე ძლივს აღმოაჩინეს თივის ზვინში. მილიციელები რომ დაინახა, მოშეს გული მიეცა და გრიშაიას მივარდა.

მოშე – შენ გაეცევი მილიციას? შეგჭამ გელაპარაკები!

ბანდიტები „ვოლგებში“ ცალ-ცალკე ჩასვეს.

გამარჯვებული სასწრაფო დახმარების მანქანა „03“ მოტოციკლეტებისა და მილიციის „ვოლგის“ ესკორტით ქალაქში ბრუნდება.

დღე მიილია.

მზემ უქიმერიონიდან კარგა ხანია აკეცა უკანასკნელი სხივებიც.

პატარა ქალაქს არაფერი შეუტყვია. იგი თავისი ჩვეულებრივი, რუტინული ცხოვრებით ცხოვრობს.

სასწრაფო დახმარების მანქანა ახალი, მრავალსართულიანი სახლის წინ გაჩერდა.

სუთივენი ლიფტში დგანან და ლიფტის ჭერს შესცქერიან. გუჯუმ ორდერი დაადრო ჩანთიდან. მოშეს შამპანურის ბოთლი აღარ უჭირავს.

გუჯუმ ყოველი შემთხვევისათვის დააკაკუნა და კინალამ ელდა ეცა. როცა დარწმუნდა, რომ მის მესამე, ახალ ბინაშიც ვილაც იყო.

– ვინ ბრძანდებით? – მოხუცი ქალის ხმაა შიგნიდან.

გ უ ჯ უ – გააღეთ, ერთი წუთით.

ხ მ ა – ვერ გაგიღებთ. ჩემმა ქმარმა არავის გაუღოო.. არ გენყინოთ ბატონო, ვინ ბრძანდებით?

გ უ ჯ უ – გუჯუ ვარ, მაისურაძე.

ხ მ ა – კეთილი და პატიოსანი, რა გნებავთ?

გ უ ჯ უ – მე არაფერი. თქვენ რა გნებავთ ჩემს ბინაში, ქალბატონო?

ხ მ ა – რას ჰქვია თქვენი ბინა. ყველაფერი თქვენ გინდათ, ჩვენ არ გვეკუთვნის არაფერი ამ ქვეყანაზე?

გ უ ჯ უ (სისხლგამშრალი) – ქალბატონო, მე ორდერი ხელში მიჭირავს, მე ექიმი მაისურაძე ვარ.

ხ მ ა – ვიცი, ვიცი ბატონო, ექიმებისა და არტისტებისა დღეს ქვეყანა. ორი პარასკევი დაგვრჩენია მე და ჩემს ქმარს. პენსიონერები ვართ ორივე. სანამ შეგვეძლო, ხომ გვიმსახურეთ, ახლა გადასაგდები გავხდით? დღეს ხვალ, დღეს ხვალ! აღარ გათავდა კეზევაძის დღეს ხვალ. ავდექით და ჩვენ გავიჩინეთ სამართალი. წადით და გვიჩვილეთ სადაც გინდათ.

გ უ ჯ უ (ხავსს ებლაუჭება) – მე რა ვქნა, ქალბატონო?

ხ მ ა – შედით სხვის ბინაში, სანამ გვიან არაა, სხვის ბინაში შედით!

გუჯუმ თვალი მოავლო თავდახრით მდგარ თავის მეგობრებს, ცივმა ოფლმა დაასხა და ხელი რომ არ შეემველებინა მოშეს, უსათუოდ ჩაიკეცებოდა,

სასწრაფო დახმარების მანქანა „03“ სალამოს ქალაქის ქუჩაში, ნელ-ნელა ერთიმეორის მიყოლებით ინთება ლამპიონები.

ეკიპაჟი სდუმს. დაღლილია ბრძოლით, გზით, თავისი გრძელი დლით.

გ უ ჯ უ (ლუიზას გახედა, გაულიმა) – რა მშვიდად ხარ.

ლ უ ი ზ ა (ამოხედა) – დავილაღე.

გ უ ჯ უ – ხელში საქარგავი გაკლია. თითქოს მთელი ცხოვრება ერთად გაგვეტარებინოს.

კიტამ მანქანა გააჩერა.

მალე შურაც ჩავიდა, კარგად იყავითო, გულმოსულად თქვა და ლუიზას შეხედა.

ცოტა ხანში ლუიზა და გუჯუ ერთად ჩამოდიან მანქანიდან.

ქუჩა გადმოჭრეს.

გუჯუმ თავის სახლს შეხედა.

გ უ ჯ უ – რომ იცოდე, როგორ მეჯავრება ახლა იქ შესვლა.

ლ უ ი ზ ა – რატომ?

გ უ ჯ უ – გრძელი ისტორიაა.

გ უ ჯ უ (მტკიცე გადანყვეტილებით) – კარგად იყავი.

ქალმა ხმა არ გასცა. მოაჯირს მიეყრდნო და თვალები დახუჭა.

გუჯუ ნავიდა, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ მოტროი-ალდა.

სერიოზულად, კარგი გულშემატკივარით ეკითხება:

– შენ ახლა, სად ნახვალ?

ლ უ ი ზ ა – არ ვიცი.

გუჯუ კიდევ რალაცის თქმას აპირებდა, მაგრამ გადაიფიქრა და თითქოს უკანიდან თოკით ექაჩებინაო, ისე შეაბიჯა თავის სადარბაზოში, ჩანთა დივანზე მიაგდო, ხალათი გაიხადა.

ცოლი ტეელევიზორს უცქერის, გუჯუსკენ არც გამოუხედავს.

გუჯუ ფანჯარასთან მივიდა, ქვემოთ ელექტრონის ბოძთან, სინათლის წრეში ისევ დგას ლუიზა.

გუჯუმ პაპიროსს მოუკიდა. უცქერის ამხელა ქალაქში მარტო დარჩენილ ქალს.

გუჯუმ ოთახს მოავლო თვალი. შეზარა უმნოდ გადახერგილი ოთახის ყურებამ. შეაფრჟოლა. მოეჩვენა, რომ თვითონაც მარტოა ამ ქვეყანაზე.

სიგარეტი ჩააქრო და შემობრუნდა.

ზემოდან ვხედავთ, როგორ მივიდა იგი ლუიზასთან, როგორ გაეხარდა უმნეო ქალს მისი დანახვა, როგორ ჩასჭიდა ხელი ხელში ბავშვივით გუჯუმ და წაიყვანა.

ისინი ერთმანეთის გვერდით მიაბიჯებენ, გუჯუ რალაცას უამბობს. ლუიზა თავის ჩვეულებრივ პოზაშია მკლავებზე ხელს ისვამს.

თეთრი ხიდი გადაიარეს.

უქიმერიონის მთას ღამის მომტრედისფრო ციაგი ადგას.

ქალაქში არავინაა. მიტოვებულს ჰგავს პატარა ქალაქი.

ქუჩაში ორნი მიაბიჯებენ.

1981 წ.



## კინონოველა

### გნეპღეპით

ტიტრების შემდეგ ფილმის მუსიკალურ ლაიტმოტივს სცვლის ხალისიანი, ტემპიანი მუსიკა. ამ მუსიკის ფონზე, კიბეზე ხელჩანთა-ჩემოდნებით ფაცხაფუცხით ჩამორბიან გერა და ლელა. გერამ ზემოდანვე ჩამოიხედა ქუჩაში, ტროტუართან ახალთახალი „09“ სისტემის ჟიგული დგას. მიირბინეს. გააღეს კარები და საბარგული. ბარგი ჩაანყვეს, გერა საჭეს მიუჯდა. ეს-ესაა დაიძრა მანქანა და ლელამ ხმა ამოიღო.

ლ ე ლ ა – გაზი გამოვრთე, თუ გახსოვს?

გერამ შეძრწუნებულად და ამრეზილად შეხედა. მანქანა გააჩერა, გადმოვიდა აირბინა კიბე და ახლა თავისი ბინის კარებს აღებს. წვალობს, ეს-ესაა დაკეტეს რამდენიმე „საიდუმლო“ გასაღებით. გააღო შევიდა, გაზი გამორთულია, ისევ კეტავს, ისევ წვალობს, გასაღებების ნახევარი პირში უდევს. ჩამოვიდა, მანქანა დაძრა, ისევ მხიარული მუსიკა, წრე დაარტყეს მოედანს. ჩაუარეს შადრევანს და ისევ მანქანის სალონი.

ლ ე ლ ა – უთო გამოვრთე, თუ გახსოვს!

გერამ ამოიგმინა, შეწუნებული გამწყრალი თვალებით გახედა ცოლს და მანქანამ ერთხელ კიდევ უკან მოუხვია.

ისევ ქალაქის ქუჩებში.

წინ შავად მბოლავი საბარგო მანქანა მიდის. მისი ავი კვამლი მთელ ქალაქს წამლავს. გერას და ლელას ხველება აუტყდათ.

მოტოციკლეტთან ავტონისპექტორი დგას. დაინახა თუ არა, მბოლავი მანქანა დაუსტვინა, მაგრამ საბარგომ არ გააჩერა.

ავტონისპექტორმა მიირბინა მოტოციკლეტთან. მეგაფონს რაღაც ჩასძახა. „დამატებითი“ სავარძლიდან აირწინალი ამოიღო, სწრაფად გაიკეთა ცხვირ-პირზე და მბოლავ მანქანას გამოენთო.



წინ მბოლავი საბარგო მანქანა, უკან აირწინალიანი ავტონისპექტორი.

გერა და ლელა ისევ ახველებენ.

მუსიკალური მელოდია იცვლება, როგორც იქნა გააღწიეს ქალაქიდან.

არ გაუვლიათ დიდი მანძილი, შორიდან ავტონისპექტორი შენიშნეს, სწრაფად მიწვდნენ და ჩამოიფარეს უსაფრთხოების ქამრები, მაგრამ უკვე გვიან არის, ავტონისპექტორმა ანიშნა, გააჩერეთო.

გ ე რ ა – ხომ გითხარი, დაგვინახა.

ლ ე ლ ა – თავი მოიკალი და საბუთები არ მისცე.

ფილმის მუსიკალური ლაიტმოტივი.

გერა ავტონისპექტორთან მივიდა და გაუღიმა.

ავტონისპექტორმა ხელი აუღო და რალაც უთხრა.

გერამ რალაც უპასუხა, ისევ გაუღიმა და პირადობის მონ-  
მოზა ამოიღო.

ავტონისპექტორმა პირადობის მონმოზას არც დახედა, ისევ მწყრალად გაუწოდა ხელი.

გერამ სანყალი სახით გაუღიმა. ჯიბე მოიქექა და პასპორტ-  
ტი გაუწოდა.

ავტონისპექტორმა არც პასპორტს დახედა, აშკარაა მართ-  
ვის მონმოზას და მანქანის ტექპასპორტს მოითხოვს.

გერა ენერგიულად ცდილობს არ დანებდეს და რასაც სთხოვენ, არ მისცეს. ახლა უბის წიგნაკი გაშალა და შიგ ჩაკ-  
რული სურათი ცხვირთან მიუტანა ავტონისპექტორს, სურა-  
თზე გერა ბრეჟნევის გვერდითაა გადაღებული.

არც ამ ხერხმა გაჭრა. ავტონისპექტორმა ისევ გაუწოდა  
ხელი და რალაც უთხრა.

გერა მანქანისკენ გამოიქცა. ავტონისპექტორმა რევოლვ-  
ერის ბუდეზე მიიღო ხელი და გამოეკიდა, მაგრამ გერამ ხე-  
ლით ანიშნა, მომიცადეო. საბარგული გახსნა, ჩემოდნიდან  
სიგელი ამოიღო და მოარბენინებს.

ავტონისპექტორმა სიგელს დახედა, შუბლი შეიკრა, მკა-

ცრად უთხრა რალაც გერას, თითი დაუქნია და ანიშნა, ნასულიყო.

ჟიგული ისევ გზატკეცილს მიუყვება.

გააჩერა გერამ. მოხარული სიმინდის ორი ტარო იყიდა და საჭეს მიუჯდა. ერთი ტარო თვითონ, დაიკავა, მეორე ცოლს გაუწოდა.

ლელას სიმინდი გერას პირთან უჭირავს. გერა ორივე ხელით საჭეს ჩაფრენია, პირით ხანდახან სიმინდს მიწვდება და მადლიანად ილუკმება. მაგრამ როგორც კი სიმინდისკენ გაიშვებს პირს გერა, მანქანა რვიანებს ხაზავს. ავტონისპექტორმა შენიშნა და გააჩერა.

გ ე რ ა (ცოლს) – ხომ გითხარი.

მანქანა ავტონისპექტორთან მოშორებით გააჩერა. არც ავტონისპექტორი მიდის, არც გერა გადმოდის მანქანიდან.

გერა და ლელა უკან, ავტონისპექტორისკენ იცქიერებიან.

ერთმანეთს რალაც გადაულაპარაკეს. ეტყობა, გაიფიქრეს ალბათ, ჩვენ არ გაუჩერებივართო, გერა სიჩქარის რიჩაგს მიწვდა და ის-ის იყო მანქანა დაძრა, რომ ავტონისპექტორი მთელი ტანით შემოტრიალდა და ლოყების დახეთქვამდე ჩაბერა სასტვენს.

გერა გადმოვიდა და კეფის ფხანით ავტონისპექტორისკენ წამოვიდა.

გ ე რ ა (დარცხვენილი) – დავარღვიე?

ავტონისპექტორი – საავარიო სიტუაციის შექმნა მოხარული სიმინდის მირთმევის ნიადაგზე.

გერამ გაუღიმა.

ავტონისპექტორი ღიმილში არ აპყვა.

ავტონისპექტორი – საბუთები!

გერამ ტუჩები ყურთან მიუახლოვა და ავტონისპექტორს რალაც უთხრა.

ავტონისპექტორი – გასაგებია პატივცემულო. არტისტი თქვენ სცენაზე ხართ, ჩემთვის მძღოლი ბრძანდებით, რვა საათიდან აქ ვდგავარ და ჯერ უბრალო კაცს არ

ჩაუვლია, გინახავთ ასეთი რამ? მიბრძანდით და ცოტა დაუკვირდით საქმეს.

გერა მადლობის ნიშნად თავს უქნევს და მანქანასთან ბრუნდება.

ჟიგული გზას განაგრძობს.

ბუჩქებში ორი ყმანვილი შეყუყულა. ხელში თოკის ბოლო უჭირავთ. თოკის მეორე ბოლო გზაზე დაგდებულ ფიცარზეა გამობმული. იქვე მოშორებით სპეცტანსაცმელში გამონყობილი კაცი ზის.

გერას ჟიგული რომ მოახლოვდა, ბიჭებმა თოკი დაქაჩეს, ფიცარი გასრიალდა, თურმე იგი ამოგლეჯილ ასფალტზე იყო დაფარებული, დამუხრუჭება გვიან იყო, გერას ჟიგული ხაფანგში აღმოჩნდა. ორმოში ჩაჰკრა მარცხენა მხარე და მანქანა დაკოჭლდა, ეტყობა უკანა თვლის გიტარა გატყდა.

სპეცტანსაცმლიანი ბიჭებს თვალის ჩაკვრით მიმართავს: – გმადლობთ.

სპეცტანსაცმლიანი გერას მანქანასთან მივიდა.

გერა გაფუჭებულ მანქანას ცრემლმომდგარი ათვალიერებს.

ავტოპროფილაქტიკაც იქვე ახლოს ყოფილა, გერამ და სპეცტანსაცმლიანმა ჟიგული ავტოპროფილაქტიკის ეზოში შეაგორეს.

სპეცტანსაცმლიანი (გერას) – გამოანერინე.

გერა ყოყმანობს, აშკარად არ უნდა მანქანის მიტოვება. მერე ლელას ყურში რალაც უთხრა და ავტოპროფილაქტიკის ადმინისტრაციული შენობისკენ გაიქცა.

ლელა მანქანიდან გადმოვიდა და დოინჯშემოყრილი დარაჯობს მანქანას, რომ ავტომომსახურების მუშაკებმა არაფერი მოიპარონ.

გერა დიდ განამანიაშია. თან ცალი თვალი მანქანისკენ უჭირავს, თანაც რიგში დგას. ერთი რიგი გაიარა, ქალღი გამოუწერეს, ახლა მეორე რიგში ჩადგა, ფული გადაიხადა, მერე მესამე რიგში ჩადგა სანყოფინში და მანქანის ნაწილი მიიღო. კვიტანციით და ჯაფით მოპოვებული სათადარიგო ნაწილით მანქანისკენ მორბის;

როგორც იქნა შეაკეთეს. დააღწიეს თავი ავტოპროფილაქტიკას.

გერას ჟიგული გვირაბს უახლოვდება.

გ ე რ ა (ლელას) – ღრმად შეისუნთქე, გვირაბში შევედივართ.

გვირაბი. ოღრო-ჩოღრო გზა. გამონაბოლქვის მრუმე კვამლი. ღრმად შესუნთქვამ ვერ უშველათ. გერას და ლელას კვლავ აუტყდათ ხველება.

ჟიგული გვირაბიდან გამოდის.

რომელიღაც პატარა ქალაქში გაიარეს.

გერამ მანქანა უნივერმალთან გააჩერა.

ლელა გაუჩინარდა თუ არა უნივერმალის კარებში, გერას მანქანასთან ავტონისპექციის მოტოციკლეტმა დაამუხრუჭა.

ავტონისპექტორი – აქ გაჩერება არ შეიძლება!

გ ე რ ა (მუდარით) – ცოლია შესული. ახლავე გამოვა.

ავტონისპექტორი – აქ გაჩერება არ შეიძლება.

გ ე რ ა – სად გავაჩერო აბა?

ავტონისპექტორი – სადღელამისო სადგომზე, აქედან კილომეტრნახევარში.

გ ე რ ა – ცოლი ველარ მიპოვის.

ავტონისპექტორი – მაშინ კრუგი ურტყი მოედანს.

გ ე რ ა – გმადლობთ.

გერა თავისი მანქანით გარს უვლის მოედანს. ლელა რომ გამოვიდა, დაამუხრუჭა, ჩასვა და გზა განაგრძეს.

ჟიგული ისევ გზაზეა.

უეცრად მანქანა საეჭვოდ აძიგძიგდა და გაჩერდა.

გერა დამუხრუჭებული სახით გადმოვიდა.

მანქანის კაპოტი ახადა, უკირკიტა, მაგრამ ვერას გახდა.

დადგა გზაზე მანქანის გვერდით და ყელზე, ადამის ვაშლზე ხელის მიდებით ეხვეწება გამვლელ მანქანებს – გამიჩერეთო, მაგრამ არავინ უჩერებს.

დაიღალა. იმედი გადაეწურა. უეცრად სახე გაუნათდა. კარი გამოაღო და ლელას რაღაც უთხრა.

ლელა მანქანიდან გადმოვიდა. მისი ადგილი გერამ დაი-

კავა. ლელა მარტო დადგა გზის პირას, მანქანის გვერდით და ნაზად დაუნყო ხელის ქნევა მანქანებს.

ერთიმეორის მიყოლებით ჩერდებიან მანქანები. წინ, უკან, მარჯვნივ, მარცხნივ, ლამაზი ქალის დანახვაზე მძღოლები საოცრად გულჩვილები და ყურადღებიანები გახდნენ.

ზოგი სათადარიგო საბურავს მოარბენინებს. ზოგს ქანჩები და დომკრატი-ამწე მოაქვს.

როცა მანქანაში გერას „აღმოაჩენენ“, სახე მოუმჟავდებათ, მაგრამ არ იმჩნევენ.

შეესივნენ მძღოლები, სწრაფად გამართეს გერას მანქანა და დაძრულს კარგა ხანს უქნევენ ხელს.

რომელიღაც ქალაქის სასტუმრო.

გერამ ადმინისტრატორს გასაღები რომ გამოართვა, მერე მორცხვად აუწყა:

გ ე რ ა – ჩვენ მანქანით ვართ.

ა დ მ ი ნ ი ს ტ რ ა ტ ო რ ი – სასტუმროს მანქანის სადგომი არა აქვს.

გ ე რ ა – რა ვქნათ, აბა?

ა დ მ ი ნ ი ს ტ რ ა ტ ო რ ი – ვერაფერს გეტყვით.

გ ე რ ა – შეიძლება მოგვპარონ მანქანა?

ა დ მ ი ნ ი ს ტ რ ა ტ ო რ ი – ყველაფერი შეიძლება.

გ ე რ ა მ ლელას შეხედა – რა ვქნათ?

ლ ე ლ ა – მორიგეობით დავიძინებთ და ის იქნება.

დილაა. განვალებულ-განამებული ცოლ-ქმარი მანქანით გზას განაგრძობს.

გერას რული ერევა. ლელას მის მხარზე ჩამოუდვია თავი. მანქანა რვიანებს ხაზავს.

ბუჩქებში მოტოციკლეტიანად მიმალულა ავტონისპექტორი. დაინახა „მოზარბაცე“ მანქანა და გზაზე გამოვიდა.

გაბმული სიგნალი.

გერას ამონმებენ ჯიხურში; ხან ქიქაში ჩაასუნთქებენ, ხან წნევას უსინჯავენ. თეთრხალათიანები და ავტონისპექტორები ერთმანეთში არეულან.

გერა თავისი „ჟიგულის“ საჭეს უზის და თბილისში ბრუნდება ავტონისპექციის ესკორტით. ლელას გზაზე გადაშვერილი თეთრი ბაირალი უჭირავს.

ქალაქის ჭიშკარს უახლოვდება. გვერდით, იქეთ-აქეთ, წინ და უკან ავტონისპექციის მოტოციკლეტები და კანარეიკიანი ჟიგულები მოაცილებენ.

გერა შემცბარი, დაბნეული, არცთუ მთლად დაწყობილ-ჭკუიანი კაცის ღიმილით იღიმება.

დასასრული

1985 წ.



## კინონოველა

### მარტო

პატარა პროვინციული ზღვისპირა კურორტი.  
გვიანი შემოდგომაა.

ფოთოლცვენა კარგა ხანია ძალაში შესულა.

ფოთლები ყრია ყველგან: ქუჩაში, ეზოებში, სახურავებზე.  
თითქმის უკაცრიელი პლაჟი. ღრუბლიანი დღე.

ისმის ენერგიული, ტემპიანი მუსიკა.

ქუჩაში მოაბიჯებს შუახანსგადაცილებული უცნობი. იგი კანტიკუნტად გამვლელთა ყურადღებას იპყრობს თავისი ძველი, მოდიდან კარგა ხნის წინათ გამოსული „მაკენტოჟის“ პლაშით, ძველთაძველი ტყავის ჩემოდნით და ილლიაში ამოჩრილი არანორმალურად დიდი საანგარიშოთი.

ჭიმკარს ანერია: დასასვენებელი სახლი „სანავარდო“.

ჩემოდანი ხელიდან ხელში გადაიტანა, სათვალე მოიხსნა და წარწერა გულდასმით წაიკითხა.

ახლა იგი კიბეზე სვენებ-სვენებით ადის.

ჩემოდანი, ეტყობა, ძალიან მძიმეა, რადგანაც უცნობს შესვენების დროს დაგროვილი ენერგია ხუთ საფეხურზე ძლივს ჰყოფნის. შეჩერდება, ჩემოდანს ფეხებს შორის ჩაიდგამს, თითქოს ვიღაცას ეძებსო, ირგვლივ ქურდულად მიმოიხედავს. გახუნებული, ფართოპლატფორმიანი ცილინდრული სისტემის ქუდის მოუხდელად ცხვირსახოცით მოინმენდს ოფლს და გზას განაგრძობს. როცა მეოთხე სართულს მიაღწია, პლაში გაიხადა, მოსაცდელში სკამზე დაკიდა, ჩემოდანი ჩვეულები-სამებრ ფეხებშუა ჩაიდო და დაჯდა. მოსაცდელში მის გარდა არავინაა. მუხლებს ცოტა შეღავათი რომ მისცა, იატაკზე ჩემოდანი გაშალა, პასპორტი და საგზური ამოიღო და ჩემოდანი

ისევ დაკეტა. ამას რომ აკეთებდა, დერეფნისთვის თვალი არ მოუშორებია, ვინმემ რომ გაიაროს, არ გამოიმეპაროსო. შენობაში არაჩვეულებრივი სიმყუდროვე სუფევს.

გამოჩნდა. ერთ საათსაც კი არ დასჭირვებია ლოდინი. დერეფნის ბოლოდან მხარზე პირსახოცგადაკიდებული კაცი გამოვიდა და ვითომც აქ არაფერიაო, ღიღინით წამოვიდა უცნობისაკენ. უცნობმა ქალაქლები ელვისისწრაფით ჩამალა უბეში, ცილინდრი შუბლზე ჩამოიფხატა, პლაში მხარზე ნაბადივით მოიგდო და პირსახოციანს გზა გადაუჭრა. პირსახოციანს ჯერ შეეშინდა და უკან დაიხია, არაპროფესიონალური თვალით თავდაპირველად ხელებში შეაჩერდა უცნობს, მერე მის დანაოჭებულ სახეს და წვრილ კისერს დააკვირდა და ოდნავ დამშვიდდა.

უცნობმა რაღაც ჰკითხა.

პირსახოციანმა ხელით დერეფნის ბოლოსაკენ მიუთითა.

უცნობმა მადლობა გადაუხადა. იგი რეგისტრატორის სარკმელთან დგას და ანკეტას ავსებს.

– მე ცალკე ოთახი უნდა მომცეთ. – ჩაილაპარაკა უცნობმა ისე, რომ მის ხმას მხოლოდ ადმინისტრატორამდე მიეღწია. როცა ადმინისტრატორმა გაკვირვებით შემოხედა, უცნობმა თავი დაუქნია და მისი პიროვნებისათვის მეტი იდუმალების მისაცემად წარბები ასწია.

– ჩვენ ცალკე ნომრები არა გვაქვს! – ცოტა არ იყოს ხმა-მალლა უთხრა ადმინისტრატორმა და ამით აგრძნობინა, მე არავისი არ მეშინია და საჩუროლოც არა მაქვს რაო.

– რა გაყვირებთ! – შიშით მიმოიხედა უცნობმა და ცხვირზე მარცხენა ხელი ჩამოიფარა – მე მართო უნდა ვიყო.

– რატომ? რატომ? – ხმამალლა, გამოჯავრებით უთხრა ადმინისტრატორმა და ისევ აუწია ხმას – მე მგონი გასაგებად მოგახსენეთ: ერთადგილიანი ნომრები არა გვაქვს. ეს სასტუმრო არ არის, დასასვენებელი სახლია. ორიანიც ერთი დაგვრჩა, თქვენს ილბლად, თორემ ოთხიანში შეგასახლებდით.

– თქვენ მე ყველაფერს ვერ აგისხნით. – არ დაიბნა უცნო-



ბი – მე სამუშაოდ ჩამოვედი. მეტიც თქმის უფლება არა მაქვს – ხმას უფრო დაუნია და გაცემებისაგან პირდაღებულ ადმინისტრატორს ჩემოდანზე მიუთითა – ამ ჩემოდანში სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დოკუმენტებია. ეს რომ უცხოეთის დაზვერვას ჩაუვარდეს ხელში, დავიღუპებით.

– მაპატიეთ – აწრიალდა დასასვენებელი სახლის თანამშრომელი – ვერ გიცანით. (თუმცა ვერც ახლა იცნო) მოვახერხებთ რამეს. ხომ იცით, ყველას ცალკე უნდა. არ დაიჯერებთ; ერთკაციანი ოთახები მართლა არა გვაქვს, რამდენჯერმე ვუთხარი დირექტორს, ყოველ სახანძრო შემთხვევისათვის თითოკაციანი ნომრები უნდა გვექონდეს-მეთქი, მაგრამ ესმის?

უცნობმა განზე გაიხედა.

ადმინისტრატორი მოტყდა.

– ორკაციანი ნომერში გაგაფორმებთ. ნუ ღელავთ, მეორეს არ შემოგისახლებთ, მარტო იქნებით. ხვალ დირექტორსაც მოველაპარაკები და თუ რაიმე შევავნებინე, ხომ კარგი, თუ არა და, პატიოსან სიტყვას გაძღვეთ, თუ დირექტორმა ნება არ დაგვრთო, სანამ ძალიან არ გამიჭირდება, არავის შემოვუშვებ თქვენს ოთახში.

უცნობმა აიღო გასაღები, ჩემოდანი კარებამდე მიიტანა, დადგა, სწრაფად შემოტრიალდა და ისევ ადმინისტრატორის სარკმელში შეყო თავი.

– თუ იცით, რამდენი გრადუსი იქნება ახლა გარეთ?

ადმინისტრატორი ასეთ უბრალო შეკითხვას არ ელოდა და უხერხულობისაგან თავდასაღწევად, საკმაოდ ზოგადად უპასუხა.

– ვერ გეტყვით. გრილა.

– მე მაინტერესებს ზუსტად რამდენი გრადუსია.

– ფანჯარას გამოვალე და ახლავე მოგახსენებთ. – შემოფოთდა ადმინისტრატორი.

– არ არის საჭირო. – მოჭრა უცნობმა და სარკმელს მოშორდა.

სათვალისწინებელია უცნობმა ფეხაკრეფით გაიარა დერეფანი. თავის ოთახამდე არავინ შეხვედრია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქალ-ვაჟს, რომლებიც კიბის ქვემოთ, მოსანევე კუთხეში ერთმანეთს ჩაფსკვნოდნენ და როცა უცნობმა გაიარა, თვალი გააყოლეს, რადგანაც ხნიერ კაცად მიიჩნიეს. ხნიერები კი ამ დასასვენებელ სახლში იშვიათი მოვლენა იყო.

უცნობმა №11 ოთახს გასაღები მოარგო, უხმაუროდ გადასწია, ერთხელ კიდევ მიიხედ-მოიხედა და კარი შეაღო.

შეაღო თუ არა კარი, შეშინებულმა უკან დაიხია, სამი წინსაფრიანი დამლაგებელი ერთიმეორის მიყოლებით გამოვარდა ნომრიდან. ისინი სწრაფად გაუჩინარდნენ მტვერსასრუტებით და ცოცხ-ჩვრებით ხელში.

ჩემოდანი ლოგინქვეშ შეაცურა, პალტო გარდერობში დაკიდა, ცილინდრი მაგიდაზე დადო, ფეხსაცმელი დაუხრელად, ფეხების დახმარებით გაიხადა და ლოგინზე წამოწვა.

ისევ სწრაფად წამოდგა.

კარები გადარაზა.

ჩემოდანი გახსნა და ამოალაგა თავისი ავლა-დიდება. პატარა საანგარიშო. ხელით სატრიალებელი გამომთვლელი. დავთრები. საბუღალტრო მონყობილობა. მალვიძარა (ეს უკანასკნელი მომართა და საწოლის გვერდით პატარა კარადაზე დადო).

მერე თავის დოკუმენტაცია ამოიღლია და ოთახი მოათვალიერა. ეტყობა საიმედოდ შესანახ ადგილს ეძებს.

შედო კარადაში.

ისევ გამოიღო.

კარს უკან მეორე კარადა იპოვა.

იქ შეალაგა დოკუმენტ-დავთრები, კარადის კარები ჩაკეტა და გასაღები გულის ჯიბეში ჩაიღო.

მერე მშვიდად შეუდგა თავის ტუალეტს.

ჩემოდნიდან ზოლებიანი ფანელის პიჟამო და ძველმოდური ჩუსტები ამოიღო.

მაიკისამარა სარკესთან დგას და თავის ბებრულ თავს ათვალიერებს.

საშუალო სიმაღლისაა. ბეჭებში მოხრილი გრძელი, ექვსკუთხედი სახე აქვს. გაცრეცილი ჭალარა თმა საფეთქლებზედა შემორჩენია. სათვალთან ფართო, ნაქისფერი თვალები უჩანს, ჩვეულებრივ ორ სათვალეს ხმარობს, ერთს მუშაობისათვის, მეორეს დანარჩენ დროს.

აბაზანაშია.

გასაპნული.

წყლის სასიამოვნო ჩხრიალი ზარის ძლიერმა ხმამ დაფარა.

შეკრთა.

ქაფი ჩამოინმინდა, აბაზანის კარი გამოაღო და ოთახის კარებს რალაც გასძახა.

მერე ისევ მიიხურა აბაზანის კარი და ბანვა განაგრძო.

თმის მშრალებით გამოდის აბაზანიდან; (კმაყოფილი შეიძლება ლილინებს კიდევც) და ელდა ეცა.

მის სავარძელში, ზურგით მისგან, ვილაც ახალგაზრდა კაცი ზის.

ჯერ სეიფად გამოყენებულ კარადას დაადგა თვალი – მერე კარებს შეხედა, მერე დაუპატიჟებელ სტუმარს შემოუარა ნინიდან;

სავარძელში მჯდომი იცინის.

– ხომ არ შეგეშინდა, ბიძაჩემო?

– მაპატიეთ, მაგრამ ვინ ბრძანდებით? – საყვედურგარეული ინტერესით შესცქერის მასპინძელი.

– თქვენი მეზობელი ვარ, მეჩვიდმეტეში ვცხოვრობ. ნოდარი მქვია, ხუნდაძე ვარ მე, მეზღვაური გახლავართ. გამოვყრუვდი ამ დასაქცევში. კაციშვილი არაა პლაჟზე, ტყუილად ხართ ჩამოსული. მთქნარებამ მომკლა მთელი დღე. თქვენ მაინც არ იცოდით, რა მოწყენილ ადგილზე მოდიოდით? სად მუშაობთ, ბიძაჩემო?

– ბულალტერი ვარ.

– მით უმეტეს, ვერ ნადით სადმე, წესიერ ადგილას?

ბულალტერმა (მას კირილე ჰქვია) ვერ გაიგო მისი შეკითხვა. სტუმარს ზურგი შეაქცია, ფეხები ლოგინის წინ დაგებულ

მომცრო ფარდაგს გაუსვ-გამოუსვა და უბოდიშოდ შეგორდა საწოლში.

– მე ბატონო, დასასვენებლად და სალლაბუცოდ კი არ ვარ წამოსული. ჩემი საქმე სხვანაირადაა, კვარტლის ანგარიში მაქვს მოსათავებელი და დღე და ღამე უნდა გავასწორო, სამუშაო მაქვს თავზე-საყრელად.

– სამსახურში ვერ იზამდით მაგას?

– სამსახურში ვინ გაცლის. თერთმეტი კაცი ვართ ერთ ოთახში. მარტო „გამარჯობაზე“ და „ნახვამდიზე“ თავის ქი-ცინი დაგლის კაცს.

ნოდარი გახუნებულ უღვაშებიანი, მაღალი ახალგაზრდა კაცია. სპორტული ლურჯი შარვალი და იაფფასიანი სარეკლამო პერანგი აცვია. პერანგზე მსოფლიოს საუკეთესო სიგარეტთა ეტიკეტები ახატია.

ნოდარი ლაპარაკის გუნებაზეა.

კირილე კი პირიქით, დაღლილობისაგან კისერს ძლივს იმაგრებს.

კირილეს ეძინება. თვალები ეხუჭება. ნოდარი პირს გაუჩერებლად ამოძრავებს, ხანდახან გაიცინებს, კირილეს მხოლოდ გაურკვეველი ბგერები ესმის.

ნოდარის ნაამბობს ყოველთვის ერთი და იგივე ხალისიანი მუსიკა მოჰყვება.

ნოდარი წამოდგა, ჩაძინებულ კირილეს მიუახლოვდა, რაღაც ჩასძახა, რომ ვერ გააღვიძა, საწოლს ჩაეჭიდა და ისე მაგრად შეანჯღრია, რომ საწოლი კინალამ დაიშალა, შეშინებული კირილე წამოხტა და კვლავ ნოდარი რომ დაინახა, სიმწრისაგან ტუჩზე იკბინა.

– ხომ არ დაგეძინა, ბიძაჩემო? – იცინის ნოდარი, იმას ვამბობდი, ადესიდან ბალგარიაში მივდიოდით, ბალგარია მთაგორიანი ქვეყანაა. ძალიან ჰგვანან ჩვენებს, შევედით ნავსადგურში და...

რასაც ნოდარი ჰყვება ეკრანზე მოჩანს აჩქარებული კადრებით. კირილე ძილბურანშია. ნოდარის ადგილას იგი თავის თავს წარმოიდგენს და ასეთი სიუჟეტის პერსონაჟად იქცევა.

გემი შემოვიდა ნავსადგურში. ნოდარის ტანსაცმელში (მეზღვაურის მაისურა) გამონყობილი კირილე ნაპირზე გამოდის. პირველ რიგში მოაჯირთან ჩამწკრივებულ გოგონებს შეავლო თვალი.

ერთს გაუცინა. ქალიშვილი ჯგუფს გამოეყო და მისკენ წამოვიდა.

მერე კადრები სწრაფად იცვლებიან.

ისინი ერთად არიან და ნაყინს მიირთმევენ.

საქანელაზე ქანაობენ.

პარკში გარბიან.

კინოში სხედან.

არც კი გაუგიათ როგორ დაღამდა.

ერთხელ კიდევ გადაეხვივნენ ერთმანეთს.

ქალიშვილი საგარეუბნო მატარებლის კიბეზე დგას.

მატარებელი წავიდა.

კირილემ საათზე დაიხედა და თავში ხელი წაიშინა.

დაგვიანდა.

გამორბის რაც ძალა და ღონე აქვს.

ქუჩაზე გამვლელებს ვისაც კი დაენევა, ევედრება ეს და ეს გემი სად დგას ხომ ვერ მეტყვითო.

მოვარდა ნავსადგურში.

გემი რეიდზე დგას.

არც დაფიქრებულა, ტანსაცმელი გაიხადა, თავზე შემოიხვია და გემისაკენ გაცურა.

ნოდარი ისევ წამოდგა, კარგა ხანს ანჯღრია კირილეს საწოლი, მაგრამ ღრმად ჩაძინებული მოხუცი ვერა და ვერ გააღვიძა, ხელი ჩაიქნია, ღიმილით რაღაც ჩაიბუტბუტა და გავიდა.

გავიდა თუ არა, არაქათგამოცლილმა კირილემ თვალი გაახილა. ჯერ მალვიძარას შეხედა. სამი საათია. სასონარკვეთილი სახე აქვს. წამოდგა, ნიფხვისამარა მივიდა კარებთან და გასაღები გადაატრიალა. საწოლთან რომ დაბრუნდა, ისევ შეტრიალდა, კიდევ ერთხელ მივიდა კარებთან და სახელური გამოსწნია, ახლა კი მიხვდა, როგორ აღმოჩნდა ნოდარი მის ოთახში,

თურმე კარი გასაღების ერთხელ გადატრიალებით არ იკეტება. კარი საიმედოდ გადარაზა და გასავათებელი თავდაღმა დაემხო სანოლზე.

მეორე დღე.

დილაა.

უკაცრიელ პლაჟზე საგულდაგულოდ გამოწყობილი კირილე მოდის. მოპირდაპირე მხრიდან ნოდარი გამოჩნდა. კირილე მაშინვე შეტრიალდა და გზიდან გადაუხვია. იგი გულმოდგინედ ემალება ნოდარის. ნოდარი კი გამალებით მას დაედებს, მოსაუბრე უნდა.

კირილემ ქურდულად მიმოიხედა და დასასვენებელი სახლის გრძელ კიბეს აუყვა.

კიბე ჯერ არ აეთავებინა, რომ პირველ საფეხურს ნოდარი მიადგა.

კირილემ თითქმის სირბილით აათავა კიბე და იქვე ბოძს მიეფარა.

ნოდარმა ვერ შეამჩნია იგი და დერეფანს გაუყვა.

კირილემ გახედა. მორიგის მაგიდასთან მივიდა, თავისი გასაღები ამოიღო, ხის მძიმე ბალთას გასაღები მოაძრო და ნომრიანი ბალთა ისევ თავის ადგილას დააბრუნა.

ამასობაში მოპირდაპირე მხრიდან ჩქარი ნაბიჯით მოდის ნოდარი. კირილე ისევ დაიმალა, ნოდარმა გვერდით რომ ჩაუარა, ელვის სისწრაფით გაიქცა თავისი ოთახისაკენ. სწრაფად გაალო, შევიდა, შიგნიდანაც ჩაკეტა კარი და გულზე ხელი მიიღო.

ამასობაში ნოდარი მორიგის მაგიდასთან მივიდა, მორიგეს რაღაც ჰკითხა. მორიგემ გასაღებების მაგიდაზე ანიშნა. ნოდარმა კირილეს ოთახის გასაღები თავის ადგილას რომ ნახა, ხელი ჩაიქნია, კიბეს ჩამოჰყვა.

კირილეს გაუშლია თავისი სამუშაო და ჩოთქზე გამალებით ანგარიშობს. დავთარში რაღაცას ინიშნავს, უმატებს, აკლებს, კვადრატული ფესვი გამოჰყავს და ა. შ.

უეცრად ზარის ხმა გაისმა.

კირილეს მალვიძარა ჰგონია და ანგარიშმიუცემლად ხელი ზურგისაკენ გაიშვირა და მალვიძარას ლილაკს დააჭირა, მაგრამ ზარი ისევ ისმის, ახლა კი მიხვდა კირილე, რომ კარის ზარია. დამარცხებული, შეწუხებული, ნერვებაშლილი მიდის კარებთან.

ნოდარი ჰყვება. კირილეს კვლავ გაუგებარი ბგერები ესმის. ეკრანზე მოჩანს ნოდარი პატარა მაიმუნით ხელში.

პალმებსა და კიპარისებს შორის ფოტოგრაფის წინ გაჭიმული ნოდარი დგას და სურათს იღებს.

ქუჩაში შავი ინდოელი დგას და ტაფაზე ხვლიკებს წვავს.

როცა ინდოელი ჩანგლით ხვლიკს დანვდა და ნოდარს მიაწოდა, ამ უკანასკნელს გული აერია და ბარბაცით გაშორდა იმ ადგილს.

ეკრანზე მოჩანს ნოდარი ჯუჯა პაპუასებს შორის და მერე გოლიათური აღნაგობის ამერიკელებს ან შვედებს შორის.

კირილე ისევ წუხს. ვერ ისვენებს, ჩაეძინება.

ნოდარი ისევ ანჯღრევს მის საწოლს.

კირილე თავს სწევს.

ნოდარი განაგრძობს. არეული იგივე კადრები. ეხლა ინდიელის ადგილზე ევროპელი და ხვლიკებს წვავს, ეკრანზე მოჩანს ნოდარი პატარა ბეჭემოთით ხელში. ეტყობა კირილეს უკვე აღარა აქვს ძალა ნოდარის ნაამბობის ლოგიკას მიჰყვეს, მალვიძარა 3 საათს უჩვენებს.

მესამე დღე. თავშეხვეული კირილე საწოლიდან დგება. უხასიათოდაა. მესამე ღამეა არ სძინებია. აბაზანაში შევიდა და წყალი მოუშვა. ეტყობა მარტო ცივი წყალი მოდის. ელექტროამდუღებელი ჩართო. ელექტროამდუღებლიანმა წყლის ქილამ ლაპარაკი დაიწყო. კირილემ გაოცებისაგან პირი დაალო. გამორთო – ლაპარაკი შეწყდა, ჩართო – ისევ დაიწყო. მიხვდა, თურმე ელექტრო ამდუღებლის ნაცვლად რადიო ჩაურთავს.

აბაზანიდან გამოვიდა, ფანჯარასთან მივიდა და პირის პარსვას შეუდგა. ჩამოისვა თუ არა სამართებელი, ღრჭიალის ხმა გაისმა. შეჩერდა, მიაყურადა, ისევ ჩამოისვა, ისევ განმეორდა ღრჭიალი.

გადაიხედა, მეეზოვე ეზოს გვის და ხმაც თურმე იქიდან მოდიოდა.

კირილე უკაცრიელ პლაჟზე მიდის, ფეხაკრეფით შემოიპარა შენობაში. ნოდარი პატარა ბავშვთან უშველებელი ფიგურებით შაშს თამაშობს.

კირილე გამოცდილი დეტექტივივით კედელს აეკრა და ისე გაემართა დერეფნისაკენ. ის ის იყო ერთი ნაბიჯი ჰქონდა დარჩენილი გასასვლელამდე, რომ ნოდარმა მოიხედა. შაში ბავშვს შეატოვა და მისკენ გაიქცა.

კირილე წითელ კუთხისაკენ გაიქცა, ტელევიზორი ჩართულია, მაგრამ არავინ უცქერის.

ნოდარმა რომ ჩაიარა, კირილემ ტელევიზორის ზურგსუკან თავი გამოჰყო და შეშინებულმა იქეთკენ გაიხედა, საითაც ნოდარი წავიდა.

სწრაფად ჩამორბის კიბეზე.

დასასვენებელი სახლის შენობას შემოურბინა.

ქვემოდან თავისი ოთახის ფანჯრები მოძებნა.

რა ქნას, როგორ ავიდეს?

თვალი ჰკიდა კიბეს. მიირბინა და წამოიღო. მიაყუდა კედელს და ავიდა. თურმე თავისი ფანჯარა სწორად ვერ გამოიანგარიშა, კირილე ის-ის იყო შედიოდა ფანჯრიდან, რომ სანოლზე გაშოტილმა ნახევრადშიშველმა ქალიშვილმა იკივლა და ზენარს წამოავლო ხელი.

კირილე გამოცდილი მეხანძრესავით სწრაფად ჩამოსრილდა კიბიდან.

ახლა თავისი ოთახის ფანჯრებს უპირდაპირა კიბე, ავიდა კიდევ და ზედ ბოლო საფეხურზე ყვირილი ესმის. შეძრწუნებულმა მოიხედა.

მოპირდაპირე კედელთან ვედრითა და უზარმაზარი ფუნჯით ხელში მღებავი დგას და კიბის უკან დაბრუნებას სთხოვს.

კირილე ევედრება. მიმიკებით ანიშნებს ნუ ყვირი, არ მინდა ვინმემ გაიგოს, რომ აქ შემოვედიო.



რამე საშარო საქმე არ იყოსო, ფიქრობს მღებავი, სამუშაოს თავს ანებებს, კიბეს წამოიკიდებს და თავქუდმოგლეჯილი გარბის ამ ეზოდან.

კირილე თავის ოთახშია.

კვლავ გამოალაგა თავისი საანგარიშო და საქმეს შეუდგა. ხანდახან შეჩერდება და მიაყურადებს.

დერეფანში ნაბიჯების ხმა მოისმა. ხმა თანდათან ახლოვდება. ეტყობა, ვილაც აქეთ მოდის. ნაბიჯების ხმა ზარის გამაყრუებელი წკრიალით გვირგვინდება.

კარებში ნოდარი დგას.

ისევ არაქათგამომცლელი მოყოლა.

ნოდარი ახლა კონგოს ამბებს იხსენებს.

კირილეს გაურკვეველი ბგერები ესმის.

ნოდარმა კაქტუსთან მდგარი პატარა კონგოელ ბიჭს პური მისცა, ბიჭმა მადლობის ნიშნად ნიჟარა აჩუქა.

ცოტა ხნის შემდეგ იმ ადგილას ზანგის ორი ბიჭი დგას. ნოდარს ორი პური გამოაქვს, აძლევს მათ და ორი ნიჟარა მოაქვს.

ბიჭების რიცხვი ნელ-ნელა იმატებს.

კირილეს სათვალავი აერია.

ახლა თვითონაა ნოდარის როლში.

უთვალავი ზანგის ბიჭი ნიჟარით ხელში ნავსადგურს მოსდებია.

კირილე პურის დარიგებას ვერ აუდის.

ემატება და ემატება პურის მსურველთა არმიას.

კირილეს წინ ნიჟარის მთა აღიმართა.

ნიჟარებს უწვდიან ყოველ მხრიდან.

– აღარ მინდაა! – იყვირა მთვლემარე კირილემ საანგარიშოს დაწვდა და იატაკზე დაახეთქა.

საანგარიშოს რგოლები ჩხრიალით გარბის იატაკზე.

შეცბუნებული ნოდარი ფეხზე წამოდგა.

სიბრაზისაგან აცახცახებულ კირილეს ადამიანის ფერი აღარ ადევს.

კირილე – კი მარა, გემზე ასე უპრაგონოდ შეგიძლია შეხვიდე ყველასთან და გაუთავებლად ილაპარაკო?

ნოდარი – ბიძაჩემო, გემზე უხარია კაცს რომ შეხვალ და ხმას გასცემ.

კირილე – მერე, გემზე ვართ ჩვენ ახლა?

ნოდარი – არა.

კირილე – ერთი სიტყვით. აქ მეტი აღარ შემოხვიდე, თუ ძმა ხარ. შენ კრუხის თავი გაქვს გადაყლაპული და მე დაღლილობისაგან ისე ვარ დასუსტებული, რომ ხვანჯარს ძლივს ვიბნევ ხანდახან.

ნოდარი შეცბა. მეზღვაური ამგვარ საუბარს არ ელოდა. მან გაკვირვებით შეხედა მოხუცს და ღიმილით ჰკითხა:

– რა მაქვს გადაყლაპული?

კირილე მიხვდა, რომ უტაქტოდ მოიქცა. თანაც ცოტა არ იყოს, შეეშინდა, შეურაცხყოფას რომ ვაყენებ, არ ადგეს და არ დამიშვას სკამი თავშიო. ამიტომ უკან დახევა ამჯობინა.

– გადაყლაპული კი არაფერი გაქვს, ჩემო ბიძია, მარა, მე ავადმყოფი კაცი ვარ. შენი ხნის რომ ვიყო, სხვა ამბავია, სად შემიძლია მე ღამეების ტეხვა და შენთან ლაპარაკი. მე დასვენება მინდა და შენ დასვენებული ხარ. ღმერთმა კარგად გამყოფოს. ამიტომ, შენ შენთვის და მე ჩემთვის. არ გამოგადგები ამქრად, ხომ ხედავ, მე ჩემი გაჭირვება მაქვს. ჩემი სამუშაო მაქვს. ასე ვქნათ, ჩვენ-ჩვენ საქმეს მივხედოთ ყველამ.

ნოდარი წამოდგა. ერთხელ კიდევ გაიღიმა. ხელეები გაშალა. კირილეს თავი დაუკრა და გავიდა. თქმით არაფერი უთქვამს.

მეორე დღეს კირილემ კარგად დაისვენა. იგი უსაზღვროდ კმაყოფილი იყო. ნოდარს მხოლოდ ერთხელ მოჰკრა თვალი, შორეული ცურვის მეზღვაური სასადილოს წინ ფანჯარასთან მიმდგარ ექთანს ესაუბრებოდა.

მესამე დღეს კირილეს გვიან დაეძინა. იგრძნო, რომ რაღაც ანუხებდა, რაღაც აკლდა. ნოდარი თითქმის ყურადღებას აღარ აქცევს.

კირილე თავის ოთახშია.

სამუშაო გაუშლია, მაგრამ გულს ველარ უდებს.  
შეჩერდება, მიაყურადებს.  
ნაბიჯების ხმა ახლოვდება, გაეხარდა. ჩაიარა ვილაცამ.  
კირილე დალონდა.  
ვილაცას ელის, ნუხს.  
მარტოობამ შეანუხა.  
შუალამისას გარეთ გამოვიდა.  
ადმინისტრატორს სძინავს.  
კიბეზე ჩავიდა.  
აშკარად ჩანს ნოდარს ეძებს.  
ეზოში გასასვლელი კარი ვერ გააღო. შემობრუნდა.  
ჩაბნელებულ დერეფანში ასანთით ეძებს ნოდარის ოთახ-  
ის ნომერს. ჩაუქრება ასანთი, ისევ აანთებს და ძებნას გა-  
ნაგრძობს.  
არაფერი ღლით ადამიანებს ისე, როგორც მარტოობა.  
ვილაცის კარზე დააკაკუნა.  
უცნობმა გაუღო.  
ეტყობა ნომერი შეეშალა.  
მოიბოდიშა და უკან დაბრუნებას აპირებს, მაგრამ მასპინძე-  
ლი სახელოში წვდა.  
ეტყობა ისიც შენუხებულია მარტო ყოფნით და ხმის გამ-  
ცემი ენატრება. თითქმის ძალით შეიყვანა ოთახში, ერთმა-  
ნეთს შესცქეროიან.  
– მიამბეთ რამე – მეტყველებენ მასპინძლის თვალები –  
გემუდარებით, ილაპარაკეთ.  
კირილე გამოიქცა უცნობის ოთახიდან.  
ისევ სიბნელეში ასანთით ეძებს ნოდარის ოთახს.  
იპოვა.  
ზარს რეკავს.  
არავინ უღებს.  
აკაკუნებს.  
ჯერ ნელა, გაუბედავად, მერე უფრო ღონივრად, ბოლოს  
მუშტები დაუშინა კარებს.

ერთიმეორეზე იღება სხვადასხვა ოთახის კარები და ძილ-  
გატყეხილი დამსვენებლები ნიფხავ-პერანგისამარა დგანან თა-  
ვიანთ კარებთან.

ისინი აშკარად გამოხატავენ აღშფოთებას.

კირილე კარებზე ბრახუნს განაგრძობს.

ბრახუნის გამო კარი გაიღება.

კირილე შედის.

ნოდარის ოთახში არავინაა.

კირილე ღონენართმეული დაეშვება სავარძელზე. იგი თა-  
ვის სიბერეს, თავის მარტოობას აუჯანყდა.

წასთვლემს.

ხედავს როგორ აფრინდა ხიდან ჩიტების გუნდი.

ხედავს ერთად რომ ნადირობენ თოლიები.

ხედავს ვინროებზე დაშვებულ ცხვრის ფარას, ქალაში ერ-  
თიმეორეს გადევნებულ ცხენების რემას.

შუალამისას ნოდარი შემოდის.

თითქოს ელოდაო მოხუცის აქ ყოფნას.

ლიმილით უახლოვდება.

შესცქერის.

აღარ აღვიძებს.

საწოლიდან თბილ ზენარს აიღებს და კირილეს ბებრულს,  
მოხრილ ბეჭებზე მოახურავს.

1980 წ.



## ასარჩევნი

სალამოის ხანს.....	5
ნავი.....	11
შენი პატარა მტრები.....	23
რა მოხდა?.....	28
ლეილ-მაჯნუნიანი.....	34
მეცხრეკლასელის დღიურიდან.....	41
ლეკი-სანდროს ამბავი.....	47
მივდივარ.....	52
ლაზი.....	57
ავი მუსაიფი.....	67
ლუკა.....	75
სამართლებრივი სახელმწიფო.....	79
მოქცევაი.....	83
მესამე ზარი.....	87
აღსარება.....	91
ცოფი.....	96
შხამი.....	100
„დაუკარით!..“.....	106
კაცი ჯორჯადის ქუჩიდან.....	109
დიხამინჯია.....	114
საიქიოს თბილი წვიმა.....	118
მეფე.....	137
საბავშვო ბაღი.....	146
გავლენათა გალავანში.....	154
შიგნიდან გატეხილი ციხე.....	158
არაჩემია და სანერი ქალაღდი.....	161
სასარგებლო ნაშრომი.....	164
როგორ გავხდი პოეტი.....	166
ობიექტური კრიტიკის ქარცეცხლში.....	170
შეეშინდა.....	172
მონადირის ნაამბობი.....	175
მთვარე და სიყვარული.....	179
ვაცალოთ ილოს მუშაობა.....	182
იქნებ თქვენც გაგეცინოთ?!.....	185
მრისხანე სიცილი.....	188

საბავშვო ნაწარმოები .....	191
უსაქმოდ ნუ გაჩერდებით!.....	196
<b>არამოდერნიზებული ნოველები</b>	
პატიების მსხვერპლი .....	199
მუმუ.....	200
ქვის ლურსმანი.....	202
ახია ჩემზე!.....	203
კონტროლი.....	204
მეხუთე გზა .....	205
ოპონენტი .....	209
კბილი .....	211
გამთელება .....	212
ამერიკული იგავი .....	213
ტელევიზორი.....	214
<b>იბეჭდება მკითხველთა თხოვნით</b>	
უცნაური .....	216
გუნება.....	221
კაცი .....	224
პირუტყვი .....	227
გაზეთური ხუმრობა .....	231
ჰაერი.....	236
ნახევარი კაცი .....	246
ქალბატონი დასაქმების სამინისტროდან .....	248
გემოვნება.....	254
უბრალოდ, ფილოსოფიის გარეშე.....	257
ურაპატრიოტის ჩივილი.....	259
კომმარი .....	265
გალაკტიონი რა შუაში იყო .....	267
„გთხოვთ გამაკრიტიკოთ“ .....	270
კრიტიკოსის მონოლოგი .....	272
პირველი ადგილისათვის.....	274
ოცდახუთი წლის წინათ.....	275
მზის მოლოდინში .....	278
ქართული ნოველები.....	355
დილაა თუ ბინდია .....	418
გნებდებით .....	457
მარტო .....	464

**РЕВАЗ МИШВЕЛАДЗЕ**  
**ИЗБРАННЫЕ ПРОИЗВЕДЕНИЯ**  
в 25 томах  
ТОМ XII

Издательство „Сакартвелос Мацне“  
Тбилиси 2012